

თ. ყაუხჩიშვილი

საქართველოს ისტორიის ძველი გერძნული წყაროები

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო
სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ
დამტკიცებულია დამსმარე სახელმძღვანელოდ
სტუდენტთათვის



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1976

9(C41)

9 (47 . 922) (001)+90(38)

ყ 369

ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“ პირველი ქართული განმარტებული და შემაჯამებელი ნაშრომია ბერძნული წყაროთმცოდნეობის საკითხებზე. იგი შედგება 3 ნაწილისაგან: I. თქმულებები და გადმოცემები; II. ძველი ბერძნული მწერლობა; III. ბერძნული ეპიგრაფიკა.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტთათვის, აგრეთვე საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

Тинатин Семёновна Каухчишвили

**ДРЪВНЕГРЕЧЕСКИЕ ИСТОЧНИКИ
ИСТОРИИ ГРУЗИИ**

(на грузинском языке)

**Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1976**

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976

10601

К _____ 22--76

М 608(08)—76

შესავალი

ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის, იმ პირობებშიც კი, როდესაც უკვე არსებობს საამისო სამეცნიერო ლიტერატურა, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყაროებს, იმ სხვადასხვა რიგის მასალას, რაც შემოგვრჩა წარსულიდან და რაც არის საფუძველი, ამოსავალი კვლევისათვის.

საქართველოს ისტორიის შესწავლისას შემდეგი წყაროებია გასათვალისწინებელი:

1. ენობრივი მონაცემები

საკუთრივ ქართული ენისათვის დოკუმენტური, წერილობითი მასალა V ს-დან მოგვეპოვება; ამას გარდა არსებობს ქართული დიალექტების მონაცემები (ზეპირსიტყვაობასა თუ სპეციალისტთა ჩანაწერებში); დღესდღეობით დიდი ყურადღება ექცევა ტოპონიმიკის საკითხებს; ფართოდ არის გაშლილი ქართველთა მეზობელი ხალხებისა თუ ქართველებთან რაიმე მიმართებაში მყოფი ხალხების ენების შესწავლა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ლინგვისტთა განკარგულებაშია მდიდარი მასალა, რომლის საფუძველზედაც საბოლოოდ შესაძლებელი იქნება დადგენა, ხოლო ამ ეტაპზე დასმა ისეთი საკითხებისა, როგორცაა ქართველთა ეთნოგენეზი, მათი ნათესაობა და კონტაქტები სხვა ხალხებთან, ავტონომია თუ მიგრაცია, ქართველური პრაენა, მისი დივერგენცია და სხვ.

ლინგვისტიკის მოშველიებით გადასაჭრელი აქ დაყენებული ყველა საკითხი საკვანძო საკითხია საქართველოს ისტორიისა და, ამდენად, სრულიად უდავოა ენობრივი მონაცემების, როგორც საისტორიო წყაროს, მნიშვნელობა.

2. ზეპირსიტყვაობა

ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ქანრებში (ლეგენდები, თქმულება-გადმოცემები და ზღაპრები, საწესჩვეულებო, საისტორიო თუ საგმირო პოეზია და სხვ.) შემონახულია ამა თუ იმ ხალხის ისტორიული წარსულის ამსახველი მრავალი მასალა თუ ფაქტი, აღბეჭდილია გარკვეული ისტორიული ეპოქის სოციალური და იდეოლოგიური ყოფისა თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სურათი, ისტორიული ფაქტები და მოვლენები, ხალხთა ურთიერთდამოკიდებულება, მოიხსენებიან ისტორიული პირები. ამასთან ზეპირსიტყვიერების გარკვეულ ქანრებში დაცული მასალა ზოგჯერ უნიკალური წყაროა კაცობრიობის უძველესი ისტორიისათვის დამახასიათებელი მოვლენების ასახსნელად. ფოლკლორულ მასალაში აღბეჭდილია ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი მისწრაფება-შეხედულებანი, რაც აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია ამ ეპოქის სრულყოფილი ისტორიული შესწავლისათვის.

ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ისტორიკოსმა სხვადასხვა მოვლენების გაშუქების დროს მიმართოს ზეპირსიტყვაობას, გამოიყენოს ის რაციონალური მარცვლები, რაც ამა თუ იმ ხალხურ ნაწარმოებში მოიპოვება.

ამიტომაცაა, რომ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირები სწავლობენ თქმულებებს ამირანზე, ვახტანგ გორგასალსა და თამარ მეფეზე, ხალხური პოეზიის ნიმუშებს, თქმებსა და ანდაზებს.

3. ეთნოგრაფიული ცნობები

ქვეყნის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროა ეთნოგრაფიის მონაპოვარი, რომლის საშუალებით შეიძლება გარკვევა ხალხის უძველესი სარწმუნოების საკითხების, სოციალური სტრუქტურის, წესჩვეულებების, მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგების, წარმოების საშუალებებისა და სხვ. ამასთან, ეთნოგრაფიული მასალა საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ეთნოგენეზის, ხალხთა ურთიერთობის, მიგრაციისა და ასიმილაციის საკითხები. ავხსნათ მატრიანეში დაცული ისეთი ცნობები, რომლის გარკვევა ხალხის ყოფაში დაცული მსგავსი გადმონაშთური მასალითდა ხერხდება.

ეთნოგრაფიული მასალა უხვად არის გამოყენებული საერთოდ ისტორიის და განსაკუთრებით ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას. იგი საშუალებას იძლევა აიხსნას ისეთი სოციალური და რელიგიური ინსტიტუტები, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროე-

ბი თითქმის არ შემორჩენილა (მაგ. პირველყოფილთემური საო-
გადობისათვის დამახასიათებელი რელიგიური და სოციალური ინს-
ტიტუტები).

ამდენად, ისტორიის კვლევისას ეთნოგრაფიული მასალა ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

4. მატერიალური კულტურის ძეგლები

ნამოსახლარები, საკულტო ნაგებობანი, სამაროვნები, იქ დატუ-
ლი ინვენტარი (საყოფაცხოვრებო თუ სამხედრო დანიშნულების),
მხატვრული ღირებულების ნაკეთობანი და სხვა მრავლისაგან მრავალი, რაც უხვად არის მოპოვებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე,
კარგად დამუშავებული და დათარიღებული უტყუარი საისტორიო
წყარო იქნება ქვეყნის ყოფის შესასწავლად, მისი საზოგადოებრივ
ფენების, ეკონომიკის, სხვა ქვეყნებთან კონტაქტებისა და ა. შ. და-
სადგენად. ასეთი მასალა ძირითადად არქეოლოგიის მონაპოვარია
და მისი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიის შესწავლისას ძალიან დი-
დაა.

მატერიალური კულტურის ძეგლებად არის მიჩნეული მოხე-
ტებიც, რომელთაც შეისწავლის ისტორიის დამხმარე დისციპ-
ლინა—ნუმისმატიკა.

მონეტების შესწავლის საფუძველზე ირკვევა ქვეყნის ეკონომი-
კის, სავაჭრო ურთიერთობების, პოლიტიკური დამოუკიდებლობის
(თუ დამოკიდებულების) საკითხები, გარკვეულ ქრონოლოგიურ
ჩარჩოში.

მონეტები მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად
მნიშვნელოვანი მასალაა ქვეყნის ისტორიის კვლევისას.

5. წარწერები

ეპიგრაფიკულ მასალას ერთგვარად საშუალო ადგილი უქირავს
მატერიალური კულტურის ძეგლებსა და წერილობით წყაროებს
შორის.

წარწერები მაგარ საწერ მასალაზე (შენობებზე, სტელებზე,
სხვადასხვაგვარ ნივთზე) შეიცავენ ფასდაუდებელ ცნობებს ქვეყნის
პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიურ ცხოვრებაზე, მოსახლეობის
რელიგიურ რწმენაზე, ერთი ქვეყნის მეორესთან ურთიერთობაზე.

მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებთან შედარებით წარწე-
რებს ის უპირატესობა აქვთ, რომ აქ სიტყვით არის ნათქვამი ის,

რის შესახებაც 'ეკლევიარმა უწარწერო ძეგლი თვითონ უნდა აამეტყველოს.

წერილობით წყაროთა შორის წარწერას დოკუმენტის ღირებულება აქვს.

6. წერილობითი წყაროები

ყველა ზენოთ მოყვანილი წყარო ძალიან მნიშვნელოვანია და აუცალებელი ვრის ისტორიის შესასწავლად და განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც წერილობითი წყაროები არ მოიპოვება. მაგრამ თუკი არსებობს წერილობითი წყარო, მისი მნიშვნელობა მაინც შეუდარებლად დიდია, ყველა სხვა სახის მასალაზე.

საქართველოს ისტორიის კვლევისათვის პირველ რიგში საკუთრივ ქართული წყაროები მოგვეპოვება — ქართლის ცხოვრების კრებულში შესული საისტორიო თხზულებები, ძველი ქართული მწერლობა, ქართული სიგელ-გუჯრები, ქართული წარწერები, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომებს თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრ სხვადასხვა ხალხთან ჰქონდათ ურთიერთობა, ამ ხალხთა მწერლობაში გაჩნდა მასალა ქართველი ტომების შესახებაც. ქართველი ტომების ხსენებას და დახასიათებას ვხვდებით აღმოსავლურ წარწერებში, ბერძენი და რომაელი მწერლების თხზულებებში, სომეხ ავტორებთან, არაბ, სპარსელ და თურქ გეოგრაფებთან და ისტორიკოსებთან, ევროპელ მოგზაურებთან და მისიონერებთან, რუს ელჩებთან.

ყველა ეს უცხოენოვანი მასალა მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიის შესასწავლად. ე. წ. ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობები ერთი აუცილებელი წყაროა.

საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისას ბერძნულ ცნობებს იმთავითვე მიმართავდნენ ხოლმე, მაგრამ ჩვეულებრივ ეს ხდებოდა არა პირველი წყაროების მიხედვით, მანამდე მაინც, ვიდრე ვ. ლატიშევის კრებული (*Scythica et Caucasia*) გაჩნდებოდა, ხოლო ამ კრებულის გამოქვეყნების მერე (ე. ი. 1900-იანი წლებიდან) ბერძენი (და რომაელი) ავტორების გასათვალისწინებლად ჩვეულებრივ დასაყრდენი ეს ნაშრომი იყო.

დაახლოებით 30 წელია, რაც ჩვენში ბერძენი ავტორების სპეციალური დამუშავება ხდება სწორედ ამ ასპექტში. საგანგებო შესწავლის საგანია მათი ცნობები საქართველოს შესახებ და წინამდებარე ნაშრომი — საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროები — ამ ნაშრომთა მონაპოვარზე არის აგებული.

მასალა, რომლის მიხედვითაც არის აგებული „საქართველოს ისტორიის ბერძნული წყაროები“, ძირითადად მოპოვებულია ჩემს მიერ, ხოლო ნაწილი მასალისა დამუშავებულია ჩემივე კოლეგების, ნ. კეკელაძის, აკ. ურუშაძის, მ. ინაძის, ნ. ლომოურის და თ. მიქელაძის მიერ.

ერთი ნაკლი, რომელიც ახლავს ჩვენს პირობებში გაკეთებულ ყველა ამგვარ ნაშრომს, ისაა, რომ ჩვენ არ გვაქვს საშუალება ხელნაწერებში ჩახედვისა და ძალაუნებურად უნდა ვენდოთ იმ გამოცემებს, რომლებსაც დასავლეთიდან ვღებულობთ. გამოცემები უმეტეს შემთხვევაში აკადემიურია, მაგრამ რამდენადაც გამოცემლები მეტ წილად საქართველოს ისტორიის საკითხებით მხოლოდ სხვათა შორის ან ნაკლებად არიან დაინტერესებული, ამიტომ ბევრ რასმე უყურადღებოდ სტოვებენ. ამის ერთ მაგალითად გამოგვადგება სტრაბონის „გეოგრაფიიდან“ შემდეგი პარაგრაფი (XI, 3, 5): იმ ადგილას, სადაც მტკვარი და არაგვი ერთმანეთს უნდა შეერწყან, კლდეებზე მდებარეობს ორი გამაგრებული ქალაქი, რომლებიც ერთმანეთს 16 სტადიონით არიან დაცილებული — მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიკე, ხოლო არაგვზე — სისამორა. წლების მანძილზე ეს მეორე ქალაქი ბერძნულად ყველა გამოცემაში იყო ფორმით *Σασαμωρα* და ჩვენც ასე ვიმეორებდით (მხოლოდ მას მაინც ვუკავშირებდით დღევანდელ „წიწამურს“). მას მერე, რაც W. Aly-მ გამოაქვეყნა სტრაბონის პალიმფსესტი (VI ს-ის ტექსტი, მანამდე ყველაზე ადრინდელი X ს-ის ხელნაწერი იყო), გამოირკვა, რომ VI ს.-ში ეწერა აქ *Σασαμωρα*, რისი ერთადერთი წაკითხვაა იმ დროისათვის „სისამორა“ (ბერძნული გადმოცემა „წიწამურის“), ხოლო *Σασαμωρα*-მ თუ როგორ მოგვცა *Σασαμωρα*, ეს ბერძნული პალეოგრაფიისა თუ ორთოგრაფიის ნიადაგზე სრულიად ადვილი ასახსნელია.

ჩვენ რომ საშუალება გვქონდეს ზოგჯერ მაინც ზოგი ხელნაწერის ნახვისა, ჩვენი ნაშრომები უთუოდ უფრო სანდო და საინტერესო იქნებოდა.

ახლა შევეხოთ კონკრეტულად, თუ რა სახის ბერძნულ წყაროებს ვიყენებთ საქართველოს ისტორიისათვის.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქვეყნის ისტორიისათვის საინტერესო ცნობებს ვნახულობთ თქმულებებსა და გადმოცემებში. ბერძნული კულტურის ისტორიაში მითოლოგიას დიდი ადგილი უქიაა. ბევრი დარგი ბერძნული მწერლობისა, ბერძნული ხელოვნებისა, მითოლოგიის მონაცემებზე არის დაფუძნებული, მითოლოგიით იკვებება.

მითში საერთოდ რეალურობის მარცვლები უეჭველად მოიპოვება. განსაკუთრებით ეხება ეს საგმირო თქმულებებს, რომლებშიაც ძირითადი არის ის გადმოცემები და მოგონებები, რაც უკავშირდება ნამდვილად მომხდარ ისტორიულ ამბებს. ამდენად, ბერძნულ მითოლოგიასა და თქმულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით საბერძნეთის ისტორიისათვის, აგრეთვე იმ ხალხთა ისტორიისათვის, რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ საბერძნეთთან.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით ბერძნულ თქმულებათაგან ორი იპყრობს ყურადღებას: ერთი — ამბავი არგონავტთა ლაშქრობისა და მეორე — მითი პრომეთესის შესახებ.

უნდა შეენიშნო, რომ არგონავტთა ლაშქრობის ისტორიულობა სჯეროდათ კლასიკური ხანის მწერლობის წარმომადგენლებს: ჰეკატაეოს მილეტელს, სკილაქს კარიანდელს, ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, ჭსენოფონტს და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში ეს მითები განხილულია როგორც წყარო საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყნის ისტორიისათვის წერილობითი მემკვიდრეობა. საქართველოს ისტორიის წერილობით წყაროთა შორის ძველ ბერძენ მწერალთა თხზულებებში დაცულ მასალას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბერძნულ მწერლობაში, შეიძლება ითქვას დღიდან მისი არსებობისა, გვხვდება ცნობები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას.

ბერძნული მწერლობა, რომელმაც შემოგვინახა საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი ცნობები, თავისთავად ძალიან მრავალფეროვანია: ესაა ეპოსი, ლირიკა თუ დრამა, პოეზია თუ პროზა, საისტორიო თუ საგეოგრაფიო თხზულებები და ა. შ. მათ შორის, როგორც წყარო, ყველა ერთფასოვანი არაა და გამოყენებისას ეს გარემოება აუცილებლად არის გასათვალისწინებელი.

ბერძნულ წყაროებს, რომელთაც ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლისას აუცილებლად იყენებენ, ზოგი მკვლევარი კრიტიკული თვალთ უყურებს და ზოგადი ფრაზით მათ არასანდოობას უჩივის.

ჩვენი დამოკიდებულება ამ წყაროების მიმართ დიფერენცირებული უნდა იყოს და წყაროთმცოდნე-სპეციალისტი სწორედ ამისთვის არის საჭირო.

ისევე როგორც ყველა საისტორიო წერილობითი წყარო, ბერძნული მასალაც პროდუქტია თავისი ეპოქისა. მასში თავს იჩენს ავ-

ტორის პიროვნული თვისებები, მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, პოლიტიკური მრწამსი და ა. შ.

მაგ. ქსენოფონტი, ერთ-ერთი უდიდესი ისტორიკოსი, თვით ბერძნებს, საბერძნეთის ისტორიისათვის არასანდო ავტორად მიაჩნიათ მისი პოლიტიკური შეხედულებების გამო (და ერთგვარად ფალსიფიკატორადაც კი). ჩვენთვის, საქართველოს ძველი ისტორიის შემსწავლელთათვის, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო ისტორიკოსი, სწორედ იმიტომ, რომ მისი ინტერესების სფეროში არ შედიოდნენ ძველი ქართველი ტომები. ისინი მან თვით ინახულა, ამასთანავე ის ნიჭიერი და დაკვირვებული კაცი იყო და ამდენად, მის მიერ დატოვებულ ცნობებს განსაკუთრებული ღირებულება ენიჭებათ. ამავე დროს გარკვეულ ანგარიშს ვუწევთ იმ ინტერპრეტაციას, რასაც ის ამა თუ იმ ფაქტს აძლევს და რაც დამოკიდებულია ქსენოფონტის სამყაროში არსებულ ნორმებზე, მაგ., მონიციებში მისთვის აღსანიშნავია *coitus publicus*-ი, და იმიტომ, რომ ეს ამბავი იმდროინდელი ცივილიზებული ელინებისათვის გაუგებარი იყო, ასეთი რამ ელინურ სამყაროში არ ხდებოდა (თუნდაც რელიგიური რიტუალის შესრულებისას).

ასევე — ევრიპიდე კოლხი მედეას ბოროტმოქმედების ძირითად მიზეზად მის ბარბაროსობას მიიჩნევს (და არა, ვთქვათ, ელინი იასონის ვერაგობას), ე. ი. ფაქტის ახსნის დროს ავტორის მსოფლმხედველობაა გადამწყვეტი და არა რეალური ვითარება.

ამის საპირისპირო განწყობილება ბარბაროსების მიმართ აქვს პეროდოტეს, რომელსაც პლუტარქე *φιλοζήλωνος*-ობასაც კი უსაყვედურებდა: მას აინტერესებს ე. წ. ბარბაროსი ტომების ყოფა, იგი ბარბაროს მოღვაწეებს ობიექტურად აფასებს (მაგ., კროფსოსს, ქსერქსეს და სხვათ, მიუხედავად მათი, მისი თვალსაზრისით დასაგმობი, პოლიტიკური საქმიანობისა, ბევრი კარგი ადამიანური თვისება აქვთ), მისთვის გარდუვალი ზღუდე არაა აგებული ელინებსა და ბარბაროსებს შორის, ყოველ შემთხვევაში — ეთიკურ ასპექტში მაინც.

არის სხვა რიგის გაუგებრობებიც, რაც ძველი ელინი ავტორების ცნობების გამოყენებას ახლავს — ეს არის თვით მათი წყაროების საკითხი. მაგ., ერთი დროის მოღვაწენი არიან არიანე და დიონისიოს პერიეგეტი, მაგრამ არიანე უმთავრესად გადმოგვცემს იმას, რაც მან თვით იხილა 131 წელს. მისი ცნობები თარიღიანია, მისი თანადროულია, ესაა თვითმხილველის სანდო მასალა, ხოლო დიონისიოსი არის განსწავლული პოეტი და არა პრაქტიკოსი მოღვაწე, მისი „დედამიწის აღწერილობა“ დაფუძნებულია ძველ მასალაზე და

აი, აქ არის საჭირო კვლევა, მკვ., პირენედან მოსული იბერი ტომის საკითხისა, აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები კამარიტებისა, პონტოს სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროსზე მცხოვრები ტომებისა (ისევ ბიძერები, ბეჭირები და სხვები ისენიებიან, მაშინ, როდესაც არიან მათზე აღარ ლაპარაკობს). ამგვარად ეს ორი თანადროული ავტორი სხვადასხვაგვარად უნდა იყვნენ გამოყენებული გვლევებისა. ერთი სიტყვით ბერძენი ავტორების ცნობების გამოყენების დროს დგება საკითხი თვით მათი წყაროებისა, ამ წყაროების დროის, სანდობისა და ა. შ.

აქვე მინდა შევნიშნო ერთი რამ: იყო დრო, როდესაც ძველი ავტორების ცნობები (ეს არ ეხება მხოლოდ ბერძენ ავტორებს) ლიტონ ჰემმარიტებად იყო აღიარებული და უყოყმანოდ გაზიარებული მკვლევართა მიერ. შემდეგ ხანაში თავი იჩინა წერილობით წყაროთა მიმართ ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ. თანამედროვე ეტაპზე ნელ-ნელა ხდება ძველი ავტორების ერთგვარი რეაბილიტაცია და ირკვევა, რომ ძირითადად მათი ცნობები სწორია და სანდო, განსაკუთრებით იქ, სადაც საქმე ეხება ფაქტიურ მასალას (შდრ. პეროდოტე, სტრაბონი, ლეონტი მროველი...).

ამრიგად, ბერძნულ წყაროებს ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ წყაროთა გამოყენების დროს საჭიროა ისეთივე კრიტიკული დამოკიდებულებისა და სიფრთხილის გამოჩენა, როგორც ყოველი სხვა წყაროს მიმართ ვიჩენთ. გასათვალისწინებელია ავტორთა პიროვნული თავისებურებანი, ეპოქა და ა. შ.

ნაშრომი „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები“ შედგება 3 ნაწილისაგან: I. თქმულებები და გადმოცემები, II. ძველი ბერძნული მწერლობა და III. ბერძნული ეპიგრაფიკა.

გარკვეულ ასპექტში შეიძლება გამოგვეყენებინა ბერძნული ენობრივი მასალაც, მათუშემტეს, რომ წინაბერძნული და ქართველთა წინაპარი მოსახლეობის ურთიერთობის საკითხი ჩვენს წინაშე დგას, მაგრამ ამჯერად ამ სფეროს, როგორც ჯერ კიდევ პრობლემატურს, ვანზე ვტოვებთ.

საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები ძირითადად ქრონოლოგიურ პრინციპზეა აგებული, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხდება ავტორთა და ცნობათა გადაჯგუფება გამეორებების თავიდან ასაცილებლად¹.

¹ 1964 წელს გამოქვეყნდა ს. კაუხნიშვილის „რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ“. წიგნი მეცნიერულ-პოპულარული შინაარსისა და მიზნად ისახავს გააცნოს ფართო მკითხველ საზოგადოებას როგორც ძვე-

ბერძნულ თქმულებებში, ბერძნულ მწერლობასა თუ ეპიგრაფიკაში ცნობები საქართველოს შესახებ, ბუნებრივია, გაჩნდებოდა მას მერე, რაც ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დამყარდებოდა.

ძველ ქართველ ტომებსა და ანტიკური სამყაროს ურთიერთობაში რამდენიმე ეტაპი ჩანს ბერძნული წყაროების მიხედვით. I ეტაპია, როდესაც ბერძენი გამოღის თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ეგეესის ზღვასა და მის აუზს ეცნობა, ამყარებს კავშირს მცირე აზიის სანაპიროსთან და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნებთან — კერძოდ — კოლხიდასთან. ამ დროს ურთიერთობას, ასე ვთქვათ, სტიქიური ხასიათი აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, იმდენად ინტენსიური, რომ იგი აისახა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ბერძნულ მითში — არგონავტების შესახებ (დაახლ. ძვ. წ. XIII ს-ის 60-იანი წლები, თუ შეიძლება ასეთ ზუსტ თარიღზე ლაპარაკი). კიმერიელთა შემოსევებისა და ბერძნული კოლონიზაციის განვითარების ხანაში (VIII—VI სს.) ზედახლა ღვივდება ბერძნებში ინტერესი შავიზღვისპირეთის ქვეყნების მიმართ და ამ დროიდან ბერძნებისა და ამ ქვეყნების (და მათ შორის ააა—კოლხიდის) ურთიერთობა საკმაოდ საფუძვლიან და გამუდმებულ ხასიათს იღებს.

ბერძნულ-სპარსულმა ომებმა (500—449 წწ.) ისევ ამოატივტივა წერილობით წყაროებში როგორც ის ქართველი ტომები, რომლებიც სპარსთა სატრაპიებში შედიოდნენ, ასევე სპარსთა მიერ „ნებაყოფლობით“ დახარკული კოლხები.

საქართველოს ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ინტერესი ჩანს საისტორიო. საბუნებისმეტყველო და საგეოგრაფიო უანრის თხზულებებშიც, სადაც დიდძალი მასალა თავმოყრილი ან თვითმხილველი მოგზაური ავტორის მიერ შეგროვილი, ანდა სხვათა ნაშრომის საფუძველზე გადამუშავებული სხვა სპეციალისტის მიერ.

ქართული სინამდვილის ამსახველი ცნობების ახალი დიდი ნაკადი ბერძნულ მწერლობაში ჩნდება მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით (ძვ. წ. I ს.-ის პირველი ნახევარი), როდესაც რომი თითქოს სხვათაშორის და იძულებით, მაგრამ სინამდვილეში სავანგებო ინტერესით ეკიდება ამიერკავკასიის ქვეყნებს. რომის ეს ინტერესი და სწრაფვა ამიერკავკასიის ქვეყნებისადმი შეუწელებელია ახ. წ. პირველ საუკუნეებშიც, რაც აისახა ამ დროის მწერლობაში (ბერძნულ და ლათინურ ენებზე).

ლი ბერძნული, ისე ბიზანტიური წყაროების ცნობები საქართველოს წარსულის შესახებ. აღნიშნული წიგნი, გარდა იმისა, რომ მასალას სხვა მოცულობით შეიცავს, აგებულია სრულიად სხვაგვარად, ვიდრე წარმოდგენილი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომი.

I. ძველი ბერძნული ტექსტები

ა. ტექსტები არგონავტებზე

[ისტორიული სინამდვილე, რაც არგონავტთა ტექსტებში აისახა, არის ის ლაშქრობა, რომელიც აწარმოეს მეკობრეობის სურვილით შეპყრობილმა ბერძნებმა შავი ზღვის სანაპიროებზე ვაჭრობის მიზნით. ამის შესახებ ცნობა აქვს ერატოსთენეს (ძვ. წ. III ს.), რომელიც წერს: „ძველი ხალხები ცურავდნენ ყაჩაღობისა და ვაჭრობისათვის, შუა ზღვაში კი არ ცურავდნენ, არამედ ნაპირ-ნაპირ, როგორც იასონი“ და სხვ. (სტრაბონი, გეოგრაფია, I, 3, 2). არგონავტთა მოსვლა კოლხიდის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასეულის მეორე ნახევარში ივარაუდება. უფრო დაზუსტებით ეს მოხდა ტროის ომის უწინარეს. ტროის ომის თარიღი არის XIII ს.-ის 30-იანი წლები, ხოლო ძველი ბერძნულივე ტრადიციის მიხედვით ტროის ომის გმირები არგონავტთა მომდევნო თაობას წარმოადგენდნენ, არგონავტთა შვილები არიან. ე. ი. ამ მონაცემების საფუძველზე არგონავტთა ლაშქრობა XIII ს.-ის 60-იან წლებში მაინც უნდა ვივარაუდოთ¹.)

[აია-კოლხიდაში ვაჭარ და მეკობრე ბერძნებს იზიდავდა ქვეყნის სიმდიდრე. თვით ძველი ბერძენი ავტორების წარმოდგენით ოქროს საწმისი იყო სიმბოლო ამ შორეული ქვეყნის კეთილდღეობისა. ქუვე ძველი ბერძენი ავტორები ეძებდნენ არგონავტთა მითში სინამდვილეს. სტრაბონი წერდა, რომ კოლხიდა მდიდარი ქვეყანა იყო. ამ

¹ არგონავტების ტექსტებში კოლხური ელემენტების შეტანა ყველა მკვლევრის მიერ ასე არაა დათარიღებული, მაგ., გ. მელიქიშვილის აზრით, ეს ფენა შესულია XI—VIII სს.-ში, როდესაც კოლხეთი ძლიერი გაერთიანება (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1, 1970, გვ. 40, 372); რ. პენინგისა და ა. ლესკის აზრით VIII ს.-ის შემდეგაა მითში შესული კოლხიდაში ლაშქრობა, ოქროს საწმისის მოტაცება და მდევას საბე, მას მერე, რაც იონიური კოლონიზაცია მისწვდა შავი ზღვის სანაპიროებს და გაიცნო ეს ქვეყანა (A. Lesky, Aia, Wiener Studien, 63, 1948, 52).

ქვეყანაში მდინარეს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები დაწვრილები ვარცლებითა და გრძელბეწვიანი, ბანჯგვლიანი ტყავებით ანუ ცხვრის ტყავებით აგროვებენ. ამან წარმოშვა არგონავტთა თქმულება — ამ სიმღიდრისათვის გაიქცა ფრიქსოსი კოლხიდაში და მას მიჰყვუნენ შემდეგ არგონავტებით.

ქარაქს პერგამონელის (II ს.) „ქრონიკაში“ ეწერა: არგონავტებმა კოლხიდაში ილაშქრეს იმ ღირსშესანიშნავი წესის გულისათვის, რაც იქ იცოდნენ: ოქროს საწმისი არის მხოლოდ ოქროს მოპოვების წესი, რაც დაწერილი იყო ტყავებზე. ამავე აზრისაა ლექსიკოგრაფი სვიდაც (X ს.)

არგონავტების მითის შინაარსი მოკლედ ასეთია: ბეოტიის ქალაქ ორქომენში მეფობდა ეოლოსის ძე, ათამანტი. მას ღრუბელთა ქალღმერთ ნეფელესაგან ჰყავდა ორი შვილი: ფრიქსოსი და ჰელე. ათამანტმა უღალატა ნეფელეს და შეირთო მეფე კადმოსის ასული, ინო. დედინაცვალმა ამოიძულა გერები და განიზარა მათი დაღუპვა. ამისთვის მან შემდეგ ხრიკს მიმართა: ორქომენელ ქალებს ჩააგონა სათესლე ხორბალი გაეხმთ. ამის შერე, ცხადია, მოსავალი არ მოვიდა და ქალაქს შიმშილი ელოდა. გაგზავნეს კაცები დელფოს სამისნოში ამბის გასაგებად. ინომ მოისყიდა წარგზავნილები და ათქმევინა ათამანტისთვის: შესწირე ღმერთებს მსხვერპლად შენი ვაჟი, ფრიქსოსი და მოვა მოსავალიო. ათამანტმა დაიჯერა და გადასწყვიტა სამშობლოს საკეთილდღეოდ შეილის განწირვა. მაგრამ ღვთაებრივმა დედამ იხსნა თავისი შვილები: მოუვლინა ჰერმესის ნაჩუქარი ოქროს საწმისიანი ვერძი სამსხვერპლოდ გამზადებულ ფრიქსოსსა და ჰელეს, ბავშვები შესხდნენ ამ ვერძზე და ვაფრინდნენ ჩრდილოეთისაკენ. ზღვაზე რომ მიფრინავდნენ, შეშინდა ჰელე. ელარ შეიკავა თავი და გადმოვარდა ვერძიდან, ჩავარდა ზღვაში, რომელსაც ამის შერე ჰელესპონტი დაერქვა¹. ფრიქსოსმა განაგრძო ფრენა და მივიდა კოლხიდაში, სადაც მეფობდა ჰელიოსის ძე, აქეტესი. მან აღზარდა ფრიქსოსი და შემდეგ თავისი ასული ქალკიოპე მიათხოვა. აქეტესმა ოქროს საწმისიანი ვერძი შესწირა ზევსს, ხოლო მისი საწმისი ჩამოკიდა არესის ქალაში და მცველად მიუყენა ცეცხლისმფრქვევი ურჩხული.

ათამანტის ძმამ, კრეთევსმა თესალიაში, ზღვის ნაპირას ააგო ქალაქი იოლკოსი, რომელიც მალე მდიდარი და სახელმწიფოევილი გახ-

¹ „ჰელესპონტი“ აქ გაგებულია როგორც „ჰელეს ზღვა“. ამ სიტყვის ეს ეტიმოლოგია ყველას შერე არ არის გაზიარებული. შდრ. ვ. გეორგიევის Исследования по сравнительно-историческому языкознанию, М., 1958.

და. კრეთევის სიკვდილის შემდეგ იოლკოსში გამეფდა მისი ძე. ესონი, მაგრამ მისი მეფობა ხანგრძლივი არ ყოფილა — მას ტახტი წაართვა მისმა დედითერთმა ძმამ პელიასმა (რომლის მამაც პოსედონი იყო). ესონი ამიერიდან ეწეოდა უბრალო მოქალაქის ცხოვრებას. ესონს ეყოლა ვაჟი, იასონი, შეეშინდა პელიასმა არ მომიკლას, როგორც ტახტის მემკვიდრეო და გააერცელა ხმა, ბავშვი დაბადებისთანავე მოკვდაო. სინამდვილეში კი შვილი გახიზნა ბრძენ კენტავრთან, ქირონთან აღსაზრდელად. ქირონმა რაც იცოდა, ყველაფერი ასწავლა იასონს — იარაღის ხმარება, მუსიკა და სხვ. დავაჯაცებულ იასონს არავინ შეედრებოდა სილამაზესა, სიციქვიტესა და სიმამაცეში.

იასონმა მიმართა სამისნოს, თავისი შემდგომი ცხოვრებისა და საქმიანობის გასარკვევად. სამისნოში უთხრეს, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა დაბრუნდე იოლკოსში და სამეფო დაიბრუნოო. იასონი გაემართა იოლკოსისაკენ. გზად ანაგრის წყალი ჰქონდა გადასავლელი. წყლის პირას ერთი დედაბერი შეხვდა და სთხოვა, მდინარეზე გადამიყვანეო. იასონმა ზურგზე წამოიკიდა და ისე გადაიყვანა დედაბერი მდინარეზე. შუა წყალში იასონს ცალი სანდალი გასძვრა ფეხიდან და ნაპირზე ცალსანდალიანი გამოვიდა. დედაბერმა მას დიდი მადლობა გადაუხადა¹ და გაშორდნენ ერთმანეთს. მოვიდა იასონი იოლკოსის აგორაზე, ხელთ ორი შუბი ეპყრა, მხრებზე ჩიქის ტყავი ესხა, ზურგზე ოქროსფერი თმები ჰქონდა დაფენილი, სანდალი მარტო მარჯვენა ფეხზე ეცვა, მარცხენა ტიტველი ჰქონდა. აგორაზე იასონმა ხალხს გამოუცხადა თავისი ვინაობა და თავისი მოსელის მიზეზი. მოვიდა მეფე პელიასიც. ცალსანდლიანი ჰაბუკის დანახვაზე შეკრთა, რადგან ოდესღაც სამისნომ აუწყა, ცალსანდლიანი კაცისაგან დაიღუპებოო. უარესად შეკრთა პელიასი, როდესაც შეიტყო ვინ იყო ჰაბუკი და რისთვის იყო მოსული. მაგრამ გადაწყვიტა, თავისი თავისთვის ეშმაკობით ეშველა და ასე უთხრა იასონს — სამეფო შენია, შენ იმას მიიღებ, მაგრამ ჯერ ჩვენი სიამაყე, ოქროს საწმისი კოლხიდიდან მოიტანე, სამშობლოს უკან დაუბრუნეო.

იასონი არ იხევს უკან, აწყობს ლაშქრობას კოლხიდაში, ხომალდით „არგოთი“ და დაახლ. 50 მეზღვაურით (არგონავტით) დიდი თავგადასავლების გადატანის შემდეგ მიდის კოლხიდაში.

კოლხიდაში მოსულმა იასონმა ჯერ მშვიდობიანი გზით სცადა

¹ ამ დედაბრის სახით იასონს ქალღმერთი ჰერა გამოეცხადა. ამ შემთხვევის მერე ჰერა იასონის მფარველი და ქომაგი იყო.

საწმისის მოპოვება — ეახლა ძლევამოსილ მეფეს, ანეტესს და უთხრა, თუ რისთვის არის მოსული. ანეტესი საშინლად განრისხდა, მაგრამ მერე გადაწყვიტა, მოსული სტუმრებისათვის მძიმე პირობები დაედო და ამგვარად ამოეწყვიტა ისინი. მან უთხრა იასონს, რომ იგი მიიღებს ოქროს საწმისს, თუ არესის ველზე გაშვებულ ორ, სპილენძის ჩლიქებიან და ცეცხლმფრქვეველ ხარს დაიმორჩილებს, გუთანში შეაბამს და არესის ველზე 4 დღიურ შიწას მოხნავს, დათესავს გველეშაპის კბილებს და ნათესიდან ამოსულ ღვეგძირებს დაამარცხებს.

იასონმა იკისრა ამ დავალების შესრულება, მაგრამ ვერ შესძლებდა ამას, იასონის მფარველ ღმერთებს რომ ანეტესის ასულის, მედეასათვის მისი სიყვარული არ ჩაენერვათ. გრძნეული, ჭადოქარი, მედიცინაში განსწავლული მედეა დიდად დაეხმარა იასონს. რომელმაც ანეტესის ყველა დავალება შეასრულა. მაგრამ ანეტესი მაინც არ აპირებდა მისთვის ოქროს საწმისის მიცემას, თანაც მამა მიმხვდარი იყო, რომ მედეას გრძნეულების გარეშე იასონი ვერაფერს გახდებოდა და ქალ-ვაჟს მისგან ხიფათი ელოდა.

მედემ და იასონმა (ისევ მედეას გრძნეულების წყალობით) მოსტაცეს ურჩხულს ოქროს საწმისი და არგოზე შეათარეს თავი, ხოლო არგომ სასწრაფოდ გასცურა ელადისაკენ. გამძვინვარებულმა ანეტესმა მდევარი დაადევნა გაქცეულებს. მდევარს მეფის ძე, აფსირტე შეთაურობდა. მედემ და იასონმა ვერაგულად აკუწეს აფსირტე, თვითონ კი გზა განაგრძეს. მგზავრობაში, ვიდრე იოლკოსს მიაღწევდნენ, მედეასა და იასონს ბევრი რამ გადახდათ თავს. ბოლოს მივიდნენ იოლკოსში.

ვერაგმა პელიასმა სიტყვა არ შეასრულა, არ დაუბრუნა ტანტი იასონს. ამიტომ იასონმა, ისევ მედეას შემწეობით, სასტიკად იძია მასზე შური—შვილებს აკუწინა და მღულარე წყლიან ქვაბში ჩაჰყარა მისი ნაჭრები.

არც ამის შემდეგ ერგო იასონს იოლკოსი. პელიასის ძემ, ადრასტოსმა გააძევა ისინი ქალაქიდან ამ ვერაგული საქციელის გამო.

ამის მერე მედეა და იასონი დასახლდნენ კორინთოში, სადაც მეფობდა კრეონტი, იასონს შეუყვარდა მეფის ასული და მოინდომა მისი შერთვა. მედეას ძველებურად უყვარდა იასონი, არ ეთმობოდა იგი. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მედეას დაუპირეს კორინთოდან გასახლება, მედემ გადაწყვიტა ეძია შური — საწამლავით გაჟღენთილი ტანსაცმელი და გვირგვინი გაუზხაენა მეფის ასულს. ამ საჩუქარმა დასწვა და ფიზიკურად გაანადგურა კრეონტიცა და მისი ასულიც. ამის მერე მედემ დახოცა თავისი საკუთარი

შვილები (უკანასკნელი ვერსიის თანახმად იასონის კიდევ უფრო მეტად დასასჯელად, უფრო ადრეულის მიხედვით — იმისათვის, რომ კრეონტის ნათესაეებს არაფერი ექნათ მათთვის დედის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების პასუხად), და თვითონ გველ¹მაკებ-შებმული ეტლით, რომელიც გამოუგზავნა თავისმა პაპამ, ჰელიოსმა, გაფრინდა ათენში ეგევსთან, როგორც ადრევე იყო შეთანხმებული.

ამის მერე აღარც იასონს გაუხარია. მან ხეტიალში გაატარა თავისი ცხოვრება. ბოლოს ერთხელ, ისთმოში, თავისი „არგოს“ ქვეშ ჩაეძინა, ამ დროს „არგოს“ (რომელიც საკმაოდ დაძველებული იყო) ჩამოენგრა კიო, დაეცა ზედ მძინარე იასონს და თან ჩაიტანა!

არგონავტების მითის ძირითადი ბირთვი თესალიურ თქმულებას წარმოადგენს (იოლკოსის ამბები), მაგრამ დროთა ვითარებაში ამ ბირთვიდან დიდი თქმულება წარმოდგა, რის შექმნაშიც თათქმის მთელმა საბერძნეთმა მიიღო მონაწილეობა. ამ ციკლში შესულია ბეოტიაში დამუშავებული თქმულება (მაგ., ათამანტისა და იხოს ამბები), კორინთოს ეპიზოდები (მედეა და იასონი კორინთოში; ადეტესის კავშირი კორინთოსთან), წმინდა იონიური ფენები, არკადიული ელემენტები, სხვადასხვა ადგილობრივი გადმოცემები და ა. შ.

არგონავტთა თქმულების შესახებ პირველი ლიტერატურული ცნობა ჩვენამდე მოღწეულ პირველსავე ლიტერატურულ ძეგლებშია. ჰომეროსი მრავალგზის ახსენებს არგონავტთა მითთან დაკავშირებულ ეპიზოდებს, ხოლო „ოდისეაში“ ნათქვამია: *ἄντιοῦρος ἦγε δ' Ἀργῶν ἄσπι μάλιστα* (XII, 69), „ზღვისგამკვეთი ყველასათვის ცნობილი არგო“. არგონავტების თქმულებას იცნობდა ჰესიოდეც (VIII ს.). როგორც ჩანს მისი „ქალთა კატალოგის“ ფრაგმენტებიდან („არგონავტები შეტურდნენ ფაზისში“), როგორც ეპიზოდი, შეტანილი იყო ის კინაფთონის ეპოსშიც (VI ს.). მთლად ნათელი არაა, ევმელოსის (VIII ს.) *Κορινθιακά* და კარკინოსის *Ναυπακτικὰ* (დაახლ. VII—VI სს.) საკუთრივ არგონავტთა თქმულებას ეხებოდნენ თუ მხოლოდ ისეთსავე ცნობებს შეიცავდნენ ამ მითის შესახებ, როგორსაც ზემოთ დასახელებული ნაწარმოებებზე დიოგენე ლაერტელის (ახ. წ. III ს.) ცნობით კრეტელ მოღვაწეს ეპიმენიდეს (VI—V სს.) დაუწერია დიდი პოემა (6500 ტაეპის შემ-

¹ ესაა მითის შინაარსი ძირითად ხაზებში. რა თქმა უნდა, ამ სახით ეს თქმულება ერთბაშად არ შექმნილა.

კველი), რომელიც ეხებოდა ამ თქმულების მხოლოდ I ნაწილს (ფრიქსოსისა და ჰელეს თავდასავალს). სამწუხაროდ ამ ნაწარმოების მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. ძველ ბერძენ ლირიკოსთაგან განსაკუთრებით მიმწერმე (VII ს.) და ანტიმაქე (V ს.) ახსენებენ არგონავტთა თავდასავალს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმწერმესთან დატულია ამ თქმულების უძველესი ვერსია. უდიდესი ბერძენი ქორიკოსის, პინდარეს (V ს.) IV პითიური ოდა ძირითად თემად სწორედ არგონავტთა თქმულებას შეიცავს.

ბერძენ ტრაგიკოსთა ნაწარმოებთაგან ამ თემაზე სრულად მხოლოდ ევრიპიდეს (V ს.) „მედეა“ მოღწეული. მაგრამ ნაწილობრივ დატული ფრაგმენტებისა და ნაწილობრივ სხვა მწერალთა ცნობების მიხედვით ვიცით, რომ სხვა ბევრი ტრაგედია ყოფილა ამ ციკლზე აგებული. არგონავტების ლაშქრობას ეხებიან და დაბეჭდვით სჯერათ მისი ისტორიულობა ძველ ბერძენ მწერლებს: ჰეკატაეოს მილეტელს, სკილაქს კარიანდიოს, ჰეროდოტეს, თუციდიდეს, ქსენოფონტს (VI—IV სს) და სს.

ალექსანდრიელმა მოღვაწემ, ლიკოფრონმა (ძვ. წ. III ს.) დაწერა პოემა „ალექსანდრა“, რომელშიაც გამოყენებულია არგონავტთა თქმულება და, რაც ჩვენ დრომდეა მოღწეული XII ს.-ის კომენტარებით (რაც ეკუთვნის იოანე ცეცეს). ლიკოფრონის პოემა თავისი განმარტებებით ბევრს საინტერესო მასალას შეიცავს საკუთრივ მითის და შემდეგ საქართველოს (უფრო ზუსტად—კოლხიდის) ისტორიის თვალსაზრისიდან.

ალექსანდრიელი პოეტები — კალიმაქე, თეოკრიტე და ევფორიონი (III ს.), თავის ნაწარმოებებში აქა-იქ ურევდნენ სხვადასხვა ეპიზოდებს არგონავტთა თქმულებიდან.

ყველაზე სრული თხრობა არგონავტთა ლაშქრობის შესახებ ჩვენამდე მოღწეულია აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. III ს.) პოემაში „არგონავტიკა“, აპოლონიოს როდოსელის ნაწარმოებმა ამ მითისთვის ერთგვარი დაკანონებული, ოფიციალური ვერსია შექმნა. ამის შემდეგ, რაც გაკეთდა ანტიკურ სამყაროში, ძირითადად ყველაფერი ემყარებოდა აპოლონიოსის პოემას. მაგ., ძვ. წ. II ს.-ში დიონისიოს სკიტობრაზიონს დაუწერია „არგონავტიკა“ 6 წიგნად. ჩვენამდე მოღწეულია ვალერიუს ფლავიუსის (ახ. წ. I ს.) აპოლონიოსის პოემის დაუმთავრებელი ლათინური თარგმანი. სენეკას ეკუთვნის ტრაგედია „მედეა“, VI ს.-ში მარიანოსმა გააკეთა აპოლონიოსის პოემის მეტაფრაზა (იამბიკური ტრიმეტრით).

ქროსის V—IV სს.-ით დათარიღებულ წარწერაში წარმოდგენა-

ლია არგონავტთა სია, თანრიგი არგონავტებისა მათი ღვთაებრივი მამების რანგის მიხედვით არის დაცული.

არგონავტთა მითი ასახულია ანტიკური ხანის სახვითი ხელოვნების ძეგლებშიც. მაგ., V ს.-ით არის დათარიღებული წითელფიგურიაანი თასი, ტარენტის კრატერი და კამპანის ამფორა, რომლებზედაც გამოსახულია იასონი კოლხიდან¹ წითელფიგურიან ვახაზედვეა გამოსახული ხე, რომელზედაც ურჩხულია გარშემოხვეული და მის წინ მდგა და იასონი ღვანად².

წვ. წ. III ს.-ზე აღრინდელია ვახა, რომელზედაც გამოსახულია იასონი ცეცხლისმფრქვევე ხარებთან ერთად; იგივე სიუჟეტი დაცულია რომაული სარკოფაგის ილუსტრაციაში.

მედია არგონავტებთან ერთად ჯადოსნური ყუთით ხელში გამოსახულია აპულის ვახების მხატვრობაში და სხვ.

არგონავტების მითს იცნობს ქართული მწერლობაც. ექვთიმე ათონელი და ეფრემ მცირე იცნობენ მას ბიზანტიური წყაროებისა და კომენტარების წყალობით, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი და თეიმურაზ ბაგრატიონი — რუსული წყაროების მიხედვით.

აკაკი წერეთელმა არგონავტების თქმულების საფუძველზე ააგო სრულიად ახალი კონცეფციის დრამა „მედია“³.

არგონავტების მიფში ქვეყანა, სადაც ილაშქრეს არგონავტებმა, წოდებულია ააა-დ. უკვე ევმელოსთან ააა გაიგივებულია კოლხიდანთან. ააას (Aix) პარალელურ ფორმად მიჩნეულია ყაყა („მიწა“, „დედამიწა“), რომელიც ზოგი სპეციალისტის აზრით ბერძნულ ნიადაგზე არ იხსნება⁴. ცნობილია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ყაყა || ყწ უკავშირდება ქართულ „დედას“². ამ სიტყვის დაუდგენელ ეტიმოლოგიას რომ თავი დავანებოთ, მნიშვნელოვანი ის ჩანს, რომ ააა (Aix) არის „მიწა“, „ქვეყანა“. რომელ მხარეს შეიძლება ეწოდოს „მხარე“, „ქვეყანა“ და ეს გასაგები იყოს ყველასათვის? იმ მხარეს, რომელიც ყველასათვის ცნობილია, მნიშვნელოვანია (მდრ. uixs ეწოდება „რომს“, „სტამბოლი“ წარმოდგება ბერძნული πάλαι-იდან, ქართველები „ქალაქს“ ჩვეულებრივ „თბილისს“ უწოდებენ).

ამგვარად, ძველი ბერძნებისათვის ააა ნიშნავს „ქვეყანას“,

¹ განსხვავებით მათგან ვ. გეორგიევი მისთვის ევროპულ ეტიმოლოგიას იძლევა.

² ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, 1, 1928, გვ. 85—86.

„მხარეს“, საკუთარ სახელად დაუმკვიდრდა ის ქვეყნის კიდევ მყოფ მდიდარ, მნიშვნელოვან ქვეყანას, რომელსაც მერე „კოლხიდა“ დაერქვა¹. ამავე ძირიდან არის წარმოებული საკუთარი სახელი *Αλκή* (=აელი), რომელიც გვხვდება არგონავტების მითში და შემდეგი ხანის ბერძნულ მწერლობაში².

ქართულ ნიადაგზე იხსნება ორი საკუთარი სახელი, რომლებიც არგონავტთა თქმულებამ შემოგვინახა: ერთია *Ἀψαρτος* (აფეტესის შვილი), ხოლო მეორე *Κυρσάρα* (აფეტესის შვილიშვილი და ფრიქსოსის შვილი), სიტყვა „აფსურტოსი“ იმავე ძირისაა (სუფიქსი *-τ*-ით), როგორისაც მდ. ჭოროხის სახელი ანტიკური ხანის აფტორებთან — აფსაროსი (სკილაქსი), აფსორარე (პტოლემეაძოსი), აბსარუსი (პლინიუსი), აფსურ||აფსარ იგივე ძირისაა, როგორისაც აფსილები (ქართული პარალელური სუფიქსებია—არ და ილ³). *Κυρσάρα*-ში ძირია *Κυρ*, საერთოდ საკმაოდ გავრცელებული ძირი და სხვა სახელთა შორის იგივე, რაც არის სიტყვაში *Κύρτα* (ქუთაისი), *-σ* და *-არ* სუფიქსებია, ე. ი. „კვტისოროსი“ ნიშნავს *Κύρτα*-ს, ე. ი. ქუთაისის მკვიდრს, ანუ „ქუთაისელს“.

ამრიგად, არგონავტთა თქმულებამ შემოგვინახა საკუთარი სახელები, რომლებიც ქართულ ნიადაგზე იხსნება.

არგონავტთა თქმულებაში დატულია მთელი რიგი ცნობები ქართველი ტომების ურთიერთობის შესახებ სხვა ხალხებთან, რაც წარმოდგენილია აფეტესის, ე. ი. კოლხიდის მეფის ოჯახის წევრების კავშირითა და ურთიერთობით სხვა ქვეყნებთან. მაგ., ევმელონის (ძვ. წ. VIII ს.) „კორინთიკას“ ფრაგმენტებში აფეტესის წარმოშობის შესახებ ასეთი ვერსიაა დატული: ალოევსი და მედეას მამა, აფეტესი ჰელიოსისა და ანტიოპეს შვილები იყვნენ. ჰელიოსმა მათ

1 ა. ლესკის თვალსაზრისით ის ააა, რომელზედაც ლაპარაკობენ არგონავტთა მითის უძველეს ვერსიებში, ივარაუდება უკიდურეს აღმოსავლეთით, დაახლ. იქ, სადაც არის ეთიოპია. მას მერე, რაც საკოლონიზაციო მოძრაობის შედეგად ბერძნებმა გაიციეს შავი ზღვის სანაპირო, მერე გაიიგივეს „ააა“ და „კოლხიდა“.

ასეა თუ ისე, ააა ქველი ბერძნებისათვის ყოველთვის აღმოსავლეთით იყო, ჰომეროსმა გადაიტანა ის დასავლეთში და შემდეგ გავრცელდა ლიტერატურასა თუ მეცნიერებაში ეს აზრი. ბევრი ევროპელი მკვლევარი იცავს იმ დებულებას, რომ ააა ხმელთაშუა ზღვაშია საქმბარი, მაგრამ ამ უკანასკნელად ისევე ა. ლესკიმ უარჰყო ეს მოსაზრება მისთვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით.

² წიგნიერი გზით ეს სახელი თანამედროვე ქართველებშიც არის შესული.

³ პაპეს ლექსიკონში ბარბაროსულ ფორმადაა მიჩნეული *Ἀψαρτος*-ი, ბერძნული *Ἀψαρτος*-ისათვის.

დაუნაწილა ქვეყანა და ალოევის შეხვედა მხარე არკადიაში, ადეტესს კი კორინთო. ადეტესს არ მოეწონა სამფლობელო და ამიტომ ქალაქი გადასცა ვინმე ბუნოსს, ჰერმესის ძეს, თან უთხრა, დაეცვა იგი მისი შთამომავლობისათვის. თვითონ კი სკვითის კოლხიდაში წავიდა, დასახლდა და მეფობდა (პინდარეს სქოლიასტი, ოლ. XIII, 74; ცეცე ლიკოფრონის 174 ტაეპის შეს.). იმავე ევმელოსის დამოწმებით პავსანაასი (II, 3, 10(8) წერს: „როცა ბუნოსი გარდაიცვალა, ალოევისს შვილმა, ეპოპევსმა ეფირელთა (ე. ი. კორინთოს) გამგებლობაც მიიღო. შემდეგში, რაკილა მარათონის ძეს, კორინთოსს არც ერთი შვილი არ დარჩა, კორინთელებმა იოლკოსიდან მოიწვიეს მედეა და ხელისუფლება მას გადასცეს. აი, ამის წყალობით დაიწყო მეფობა იასონმა კორინთოში“... ამ ვერსიის თანახმად ჩანს ადეტესის (ე. ი. კოლხიდის მეფის) კავშირი ელადასთან და მედეას (ადეტესის მემკვიდრის) კანონიერი უფლებები კორინთოზე, რომელიც ბუნოსს დროებით, მოსაველეად ებარა.

ამ მითის ერთი ვერსიის თანახმად ადეტესის შვილმა (რომლის სახელიც მოღწეული არაა) დააარსა ქალაქი პანტიკაპეონი¹. ეს ცნობა მიუთითებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროსთან კოლხიდის ურთიერთობის არსებობაზე ამ მითის ჩამოყალიბების თუ არა, დამკვიდრების დროისთვის მაინც (ეს ამბავი დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც — კოლხური ტულები არის მოპოვებული ყირიმში, აქვეა ნაპოვნი გრაფიტო წარწერით „კოლხი“; აქვეა მოპოვებული კოლხური თეთრი).

არგონავტების თქმულებაში ასახულია ამა-კოლხიდის კავშირი კრეტასთან. ჯერ ერთი, ადეტესის და პასიფაე ცხოვრობს კრეტაზე. ამას გარდა, კოლხიდიდან წამოსული არგონავტები მოადგებიან კუნძულ კრეტას, კალიმაქეს ცნობით მედეას თან ჰყავდა მხლებელი კოლხი ქალები, აპოლონის მსხვერპლშეწირვის დროს კოლხმა ქალებმა, რომლებიც თავის ქვეყანაში მუდამ მდიდრულ მსხვერპლშეწირვას ესწრებოდნენ, აქ კი ერთგვარად სიმბოლურად მოხდა ეს ამბავი, დასცინეს არგონავტებს, ქალთა დაცივნამ ვაჟკაცები გაახარა და მედეას მხლებლებს მათ უწმაწური სიტყვებით უპასუხეს. ამგვარად, მათ შორის უწყინარი დაცივნა და უწმაწური შაირობა გაჩაღდა. ამის შემდეგაა, რომ ამ კუნძულზე ქალები ასევე დასცინიან მამაკაცებს, როცა ისინი აპოლონ-ევგლეტეს მსხვერპლს სწირავენ. ამგვარად, ერთი ვერსიის თანახმად, კრეტაზე არსებული აპოლონის

¹ Steph. Byz. v. Παντικάπαιον; Eustath. Dionys. Perieget. 311 (Κτίσμα παιδός Αλήτου).

კულტთან დაკავშირებული ჩვეულების საწყისად კოლხი ქალები არიან მიჩნეული.)

ღმრთების ზოგი გადმოცემით კოლხიდის მეფის ოჯახს კავშირი აქვს თესალიასთან: ანტიკის შვილიშვილია მედეასა და იასონის შვილი თეტალე. თვით სახელი მაუწყებელია იმისა, რომ იგი წარმოუდგენიათ თესალიის ეპონიმად (ცნობა დაცულია დიოდორესთან).

ამავე დროს თესალიურ კულტად მიჩნეული Ζεუს ღმრთის (ლტოლვილთა მფარველი ზეუსის) საკურთხევლები ფრიქსოსის დროიდან არსებობდა კოლხიდაში (აპოლონიოს როდოსელი, არგ., II). საინტერესოა ისიც, რომ ფრიქსოსი გაგებულია ფრიგიის ეპონიმად, ხოლო ფრიგია კოლხიდასთან არის გაიგივებული რომაულ ხანაში ზოგ ავტორთან (მიქაელ მოციქულის „ანდაზების კრებულიდან“, აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 464).

წოდორესა და კინაფთონის ცნობით მედეასა და იასონას ვაჟია მედეაოსი, რომელიც მერე დასახლდა მიდიაში, იგი მიდაოს ეპონიმა.

ტოროე მხრივ, ჩანს მკიდრო კავშირი არგონავტებისა ჩვენს ქვეყანასთან: აქ პირველ რიგში ის უნდა აღვნიშნოთ, რომ ოვიდიუსი არგონავტებს უწოდებს პელაზგებს და არა ელინებს (მეტამორფ. VII, 133; ჰეროდოტი XII, 29; 83). ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პელაზგებისა (ანუ წინაბერძნული მოსახლეობის) და ქართველთა წინაპარი ტომების ურთიერთობის საკითხი დგას ჩვენს მეცნიერებაში და ამას გარდა, თვით თქმულების წარმოშობას დათარიღებისათვის — ამ ცნობის მიხედვით ისე გაშლის, რომ ოვიდიუსის ცოდნით არგონავტები არიან პელაზგები, ე. ი. არგონავტთა ლაშქრობა მოხდა მაშინ, როდესაც ელადის ტერიტორიაზე პელაზგები იყვნენ დამკვიდრებული (და არა საკუთრივ ბერძნული ტომები). ტიმონაქსის ცნობით, იასონი რჩება კოლხიდაში და შემდეგ მისი მეფე ხდება. არმენიის ეპონიმი არის არგონავტი არმენოსი და სხვ.

არგონავტების თქმულებაში მარტო ბერძნების მოძრაობა კი არაა ასახული, არამედ ისიც ჩანს, რომ კოლხებიც სახლდებიან სხვადასხვა ადგილებში თავის სამშობლოს გარეთ. მაგ., მედეასა და იასონს კოლხიდიდან დაეღვენა აფსირტე თავისი მსლებლებით. აფსირტე გზაზე დაიღუპა, მისი მსლებელი კოლხები აღარ ბრუნდებიან შინ (მითში ანტიკის შიშით) და სახლდებიან აფსირტეს კუნძულებზე (ადრიატიკის ზღვაში ილირიის სანაპიროსთან), ილირიის

დიდი მდინარის ნაპირებზე და კერავნიის მთებში (ილარიის მთებია, ახლა კიშარა ეწოდება).

უძველეს ვარიანტში აფსირტე მედევანე უმცროსი, პატარა ბიჭია და მას მედევანე კოლხიდაშივე კლავს და ფასისში ჰყრის მის ნაწილებს, ე. ი. აქ აფსირტესთან ერთად კოლხთა შორის გასვლაზე და მათ მიერ აფსირტიდების დასახლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ხოლო შემდეგ, მავალითად უკვე ტიმონაქსთან აფსირტე ვაყვაცია, მედევანე უფროსია. ამას მოჰყვება აპოლონიოს როდოსელის მიერ ტექსტის განვრცობა, თუმცა ამასაც, ალბათ, თავისი ფოლკლორული საცუძველი ჰქონდა.

კოლხ მდევართა მეორე ჯგუფი მედეასა და იასონს კუნძულ კერკირაზე დაეწია, მათ საწმისისა და მედეას უკან დაბრუნება უნდოდათ. კერკირას მეფე-დედოფალმა არგონავტების მხარე დაიჭირეს. კოლხებმა (მითის მიხედვით აფეტესის შიშით) აქ დარჩენა გადაწყვიტეს. კოლხი კოლონისტები ჯერ კერკირაზე ცხოვრობდნენ (ე. ი. იონიის ზღვის კუნძულზე), ხოლო შემდეგ, როდესაც კორინთოდან ბაკქიდებმა (ე. ი. კორინთოს მეფის, ბაკქის ჩამომავლებმა) ისინი შეავიწროვეს, კოლხი კოლონისტები მოპირდაპირე კუნძულზე გადავიდნენ და კერავნის მთებში დასახლდნენ.

ტიმაიოსის ცნობათა საფუძველზე გადმოსცემს კალიმაქე, რომ არგონავტთა მდევარმა, ისტროსს აყოლილმა ადრიატიკის ზღვისაკენ მიმავალმა კოლხებმა ილირიის მიდამოებში - დააარსეს ქალაქი პოლა (რაც ნიშნავს კოლხურად ლტოვილთა ქალაქს).

ამგვარად, არგონავტების მითი იცნობს კოლხ კოლონისტებს, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვადასხვა მხარეში გვხვდებიან:

არგონავტების თქმულების მიხედვით კავშირი ჩანს კუნძულ ლემნოსსა და ღმერთ დიონისეს შორის. როგორც ცნობილია, დიონისე ვენახისა და ღვინის კულტურის დამნერგავი ღვთაებაა. იგი ბერძენ ღმერთთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა და ამ კულტურის შემოტანამ ბერძნებში დიდი გავლენა იქონია ბერძნების საზოგადოებრივ და ეკონომიურ ცხოვრებაზე.

დიონისე ადგილობრივ, საკუთრივ ბერძნული წარმოშობის ღვთაებად არ ითვლება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები წერდნენ; ყველგან არის კვალი იმისა, რომ ეს ღმერთი და მასთან დაკავშირებული კულტურა აღმოსავლეთიდან შემოვიდა საბერძნეთში. და არგონავტების თქმულება ამ არაბერძნული წარმოშობის დიონისეს აკავშირებს კუნძულ ლემნოსთან, რომელიც თვითონ ბარბაროსული ხალხებით (სინტიებით) იყო დასახლებული: დიონისე მა-

მა ლემნოსის მეფის თოასისა (თოასის ქალი კი არის ჰიფსიპილე, რომელიც იმ დროს მეფობს ლემნოსზე, როდესაც არგონავტები მოვიდნენ აქ). ცხადია, ეს ცნობა არ წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტს, მაგრამ მაინც ანარეკლია იმ ამბისა, რომელიც არგონავტიკის შექმნელმა ხალხმა იცოდა: არც დიონისე და არც ლემნოსელები, რომლებიც შემდეგ შეისისხლნორცა ბერძნულმა კულტურამ, საკუთრივ ბერძნული წარმოშობისა არ არიან.

არგონავტთა თქმულებაში გვხვდება დასახელება და დახასიათება ქართველი ტომებისა (ხალიბების, ტიბარენების, მოსინიკების, ბეჭირების, საპირების, მაკრონების¹....), რომელთა შორის ყველაზე დიდი ადგილი უჭირავთ კოლხებს. ძნელია დაბეჭივებით იმის თქმა, როგორ ესახებოდათ კოლხები და კოლხიდა ამ მითის შექმნის პირველსავე საფეხურზე, რადგან უძველესი წერილობითი ძეგლები, რომლებიც სრულად არიან დღემდე მოღწეული და რომლებშიც არგონავტების მითი და კოლხიდა გვხვდება, V—III სს.-ით თარიღდება (ევრიპიდეს „მედეა“, პინდარეს „IV პითიური ოდა“, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“). თითოეულ ამ ნაწარმოებში, რა თქმა უნდა, ბევრია აღრინდელი გადმოცემების საფუძველზე შეტანილი, მაგრამ ამის გვერდით, ასევე უეჭველია, ბევრია ავტორების თანამედროვე სურათის ამსახველი ცნობაც.

ყველაზე დაწვრილებით აპოლონიოს როდოსელსა (III ს.) აქვს კოლხიდისა და კოლხი ხალხის ყოფის დახასიათება. სახელდობრ, „არგონავტიკის“ მიხედვით კოლხები ცხოვრობენ ბიძერებს ზემოთ (II), ზღვისა და მიწის უკიდურეს მხარეში (II), პონტოს უკიდურეს საზღვარზე, სადაც ფასისი ერთვის ზღვას (II). ქვეყანა, სადაც ცხოვრობენ კოლხები, მოხსენებულია როგორც კოლხიდა. აჰა ან კუტიის ხმელეთი (II) მას ეწოდება ტიტენისის აჰაც (III). ეს ალბათ იმიტომ, რომ ტიტანი პრომეთესი იყო ამ ქვეყნის მთებზე მიჯაჭვული. ან შესაძლოა იმიტომ, რომ ტიტენისი მდინარეს ეწოდებოდა, ხოლო ეს მდინარე საზღვრავდა აჰას (აი, ის აჰა, რომელიც ტიტენისის მიდამოში არის!). აღსანიშნავია (და არა სარწმუნო)

¹ აპოლონიოს როდოსელის აზრით, მაკრიები (იგივე მაკრონები), რომლებიც პროპონტიდაში ცხოვრობენ დოლიონების მეზობლად, პელაზგური წარმოშობის ტომი ყოფილა. სქოლიასტის ცნობით, პელაზგების ეს ტომი კუნძულ ვებეიდან გადმოსახლებულა, ვებეას კი ეწოდებოდა მაკრისი. ამ ცნობას ჰეშმარტი დებულების ღირებულებას, ცხადია, ვერ მივცემთ, მაგრამ უეჭველად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ჩანს აპოლონიოს როდოსელისა და მისი წრის უხედულებები და ცოდნა ქართველი ტომებისა და პელაზგების (ე. ი. წინაბერძნული მოსახლეობის) ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ის ვარემოება, რომ იასონის თქმით, „ჰემონიაში (ე. ი. თესალიაში) სულაც არ იხმის აფას სახელი“ (III). ამავე დროს ნაწარმოებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ევვიპტელთა მიერ მრავალი საუკუნის წინ დაარსებული აფა ჯერ მტკიცედ დვას და მასში ცხოვრობენ იმ დროს დასახლებული ხალხის ჩამომავლები (IV)¹.

[„არგონავტიკაში“ არის ასეთი გეოგრაფიული ხასიათის ცნობებიც: ზღვიდან ფასისში შეტურებული კაცისათვის კუტაია არის მარჯვნივ, ისევე, როგორც კავკასიონის მთებიც (II). მდინარე ფასისი მოედინება კირკეს ველზე (II), ხოლო იწყება ის ამარანტის მთიდან (II). ამარანტის მთა ხალხური თქმით „ამირან-მთა“ უნდა იყოს, ე. ი. ფასის მთა². ფასისს ერთგან (III) ეწოდება „ამარანტის ფასისი“, უთუოდ იმიტომ, რომ არსებობდა სხვა ფასისებიც. „კოლხთა ურიცხვ ტომზე“ (II, III) და „უთვალავ კოლხებზე“ (III) არაერთგზის არის ლაპარაკი. ერთგან ასეა ეს ტომი დახასიათებული: „(კოლხები) იმდენი იყვნენ, რამდენ ტალღასაც ააგორებს ზღვაზე ზამთრის ქარი და რამდენი ფოთოლიც დასცვივა ხეებს ფოთოლთცვენის თვეში“ (IV). მეომარი კოლხების ზნე-ჩვეულებებიც არის აღწერილი — როგორ ეპყრობიან ისინი გვაძებს (III), როგორ იღებენ სტუმრებს (III); როგორია მათი ქალაქი (კეთილმოწყობილ ქუჩებიანია კუტაია, ქალაქიდან გარეთ ფართო შარაგზით გაისვლება III), ხომალდი (კოლხური ხომალდი „არგოზე“ უარესია, II, III), გუთანა (ის მაგარი ფოლადისგანაა გაკეთებული, III. ნიშანდობლივია სპილენძისა და ფოლადის იარაღის ხსენება!) და სხვ. კოლხებს აქვთ კოლხური ენა — მედია თავის მამიდას, კირკეს თავის თავგადასავალს უამბობს კოლხურად (Κολχιδᾶ Ἰφίσυ ἐξῆσθ, IV, 731).]

[კოლხების კულტურული დონის მაუწყებელი საინტერესო ცნობა აქვს დაცული „არგონავტიკაში“ აპოლონიოს როდოსელს: „კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამებისაგან დანაწერი კირბები, სადაც წყლისა და ხმელეთის ყველა საზღვარია მოგზაურებისათვის ნაჩვენები“ (IV). აპოლონიოსის სქოლიასტის ჩვენებით კირბები (Κῆρυξ) მალალი ბოძებია, რომლებიც შეიცავენ წარწე-

¹ „არგონავტიკის“ ეს ადგილი დამყარებულია ჰეროდოტეს „ისტორიის“ ცნობაზე.

² თუ როგორ მივიღებ „ამირანიდან“ ბერძნული Ἄμιραντος, ამისათვის დავიმოწმებდით ლათინურ Amaranus (Jupiter-Amaranus), რომელიც „ამირანს“ უნდა ნიშნავდეს და ბერძნულიდან გადაღებული ჩანს (ბერძნულში უნდა ყოფილიყო Ἄμραντος Ἄμραντος). აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა“, თარგმანი აკაი ურუშაძისა, თბ., 1970, გვ. 347.

რებს (ამ შემთხვევაში კარტოგრაფიული მნიშვნელობისას). თუ საიდან აიღო ეს ცნობა ავტორმა, გაურკვეველია. ცნობა კირბების შესახებ მოწმობს იმას, რომ თუ უფრო ადრეულ ხანაში არა, აპოლონიოს როდოსელის დროს კოლხებს ჰქონდათ დამწერლობა, რაც ელინისტურ სამყაროში კარგად იყო ცნობილი

„არგონავტიკაში“ ასახულია ის აზრი, რაც არსებობდა ელინისტურ სამყაროში კოლხთა მეფის აგეტესის შესახებ, ფეაკების მეფე, ალკინოე ეუბნება თავის მეუღლეს არეტეს: „...არც მეფე აგეტესის მოურიდელობა იქნება კარგი. აგეტესზე უძლიერესი მეფე არავინაა. მართალია შორს ცხოვრობს, მაგრამ თუ მოისურვა, ელადას ომს გამოუცხადებს“ (IV). აგეტესის ძლევა მოსილებასა და მრისხანებაზე პოემაში სხვაგანაც ბევრგან არის ლაპარაკი (მაგ., II), მას უთანხმოება აქვს სავრომატებთან, რაც სხვა ვერსიების მიხედვითაც არის ცნობილი. „არგონავტიკაში“ აგეტესი იწოდება ქაჰალ-სანდ-ად (მაგ., III, 274 და მრავალი სხვა) და ამ ქაჰალსანდ-ს მართლაც მეფური ცხოვრება აქვს, ბრწყინვალე სასახლეში ნადიმებით, მონებითა და მხეველებით და სხვ.

ევრიპიდეს ტრაგედიის ერთ-ერთი მოქმედი პირი არის მედეას ძიძა. სადაურობა ამ ქალისა აღნიშნული არაა. ვალერიუს ფლაკუსის ნაწარმოებში მედეას ძიძა არის ჰენიოხი ქალი — ძნელია იმის თქმა, ჰენიოხი ძიძა თავიდანვე იყო თუ არა თქმულებაში, მაგრამ ის გარემოება, რომ I საუკუნისათვის საქიროდ მიიჩნეოს კოლხთა მეფის ასულისათვის ჰენიოხი ქალი მიეჩინათ ძიძად, იმას მოწმობს, რომ ამ დროისათვის ამ ტომების ერთგვარად სუბორდინაციულ ურთიერთობაზე გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ.

ასეთია არგონავტების მითში, მის სხვადასხვა ფენაში დაცული ცნობები ძველი საქართველოს (დაზუსტებით—კოლხიდის) შესახებ.

ლიტერატურა:

აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.
აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო აკ. უ რ უ შ ა ძ ე მ, თბ. 1970.

ე ვ რ ი პ ი დ ე, „მედეა“, თარგმანი ჰ. ბერაძისა, 1969.

ბ. პრომეთევის მითი

ეს მითი ასეთი შინაარსისაა: იაფეტს (ტიტანს, კრონოსის ძმას) კლიმენესაგან (ოკეანეს ასულისაგან) (სხვა ვარიანტებით — ასოპესაგან ან თემიდასაგან) შეეძინა 4 შვილი: ატლანტი, მენეტოსა,

პრომეთევსი და ეპიმეთევსი. როდესაც ზევსმა ვაიმარჯვა და თვით-
მპყრობელი გახდა, იაფეტის ოთხივე შვილი დასაჯა: ატლანტს მიუ-
საჯა სამუდამოდ ცისკამარის ხელებითა და თავით ჭერა, მენეტროსს,
როგორც თავხედსა და გადაჭარბებული ძალის მქონეს, მეხი დას-
ცა და ქვესკნელში გაისტუმრა, ეპიმეთევსს ცოლად გაუგზავნა პან-
დორა, რომელმაც კაცობრიობას უბედურება მოუტანა. ხოლო პრო-
მეთევსი შუა სვეტთან (ერთი ვარიანტით), ან კავკასიონის მთაზე (მეო-
რე ვარიანტით) მიაკრა და მიუჩინა არწივი, რომელიც მას ღვიძლს
უჭამდა ღლისით. ღამით ეს ღვიძლი ისევ იზრდებოდა. მრავალი
წლის თუ საუკუნის შემდეგ ჰერაკლემ (ზევისსა და ალკმენეს ძემ)
მოკლა ეს არწივი და პრომეთევსი გაათავისუფლა. ამის მერე მოხ-
და ზევსისა და პრომეთევსის შერიგება.

მაინც რა იყო ზევსის რისხვის მიზეზი? პრომეთევსი ყველაფერ-
ში ეჭიშპებოდა და სჯობნიდა ზევსს. მაგ., მან ორჯერ შეძლო ზევ-
სის მოტყუება — ერთხელ სამსხვერპლო ხორცის ნაჭრების განაწი-
ლებისას მას უვარგისი შეატყუა. ცხადია, ზევსმა ეს ძალიან იწყინა.
მეორე მოტყუება ის იყო, რომ პრომეთევსმა მოსტაცა ზევსს ცეცხ-
ლი და ადამიანს ასწავლა მისი ხმარება, ერთი ვარიანტის მიხედვით
ეს ცეცხლი ზეციდან ჩამოიტანა პრომეთევსმა ლერწმის ღეროში
დამალული; მეორე ვარიანტის მიხედვით ცეცხლი ჰეფესტოს სამ-
ჭედლოდან მოიტაცა პრომეთევსმა.

გარდა ცეცხლის ხმარებისა პრომეთევსმა ხალხს ასწავლა ლი-
თონის დამუშავება, მიწის დამუშავება, აფრებიანი ხომალდების
აგება; ანგარიში, წერა-კითხვა, სამკურნალო ბალახების გამოყენება.

პრომეთევსი ძალიან გონიერი, ჰკვიანი და შორსმჭვრეტელი იყო.
მან ბევრი რამ იცოდა, მათ შორის ისიც, თუ როგორ შეიძლებოდა
ზევისს ბოროტება აეცდინა თავიდან. მაგრამ რადგან შეუპოვარი,
ჯიუტი და პრინციპული იყო, ზევსს, სანამ ის მას მტრობდა, არაფ-
რით არ უთხრა ეს საიდუმლო. ხოლო, როდესაც შერიგდნენ, შემ-
დეგი გაუმეღავნა: ზევსი არ უნდა შეეუღლოს ნერევსის ასულს თე-
ტიდას, რადგან ცნობილია, თეტიდას შვილი უკეთესი ვაჟაკი გა-
მოვა, ვიდრე მისი მამა; ხოლო თუ ამ შვილის მამა ზევსი იქნება,
ზევისსათვის ეს არ ივარგებს; მასზე უკეთესი შვილი დაამარცხებს
მამას და ალბათ მის უფლებებს მოიპოვებს. ამის მერე ზევსისავე
ხელდასმით თეტიდა მიათხოვეს მოკვდავს პელევსს აფაქოსის ძეს.
თეტიდას მისგან შეეძინა ვაჟი, აქილევისი, რომელაც არა მარტო
თავის მამას, პელევსს, აღემატებოდა ვაჟაკობით, არამედ ყველა
მოკვდავს.

პრომეთევსის მითი შექმნილია შორეულ წარსულში, პირველ-

ყოფილი გეაროვნული წყობილების პირობებში. მასში ასახულია საზოგადოებრივი ძალების ბრძოლა, ბრძოლა მატრიარქატსა და პატრიარქატს შორის, რაც პრომეთესისა და ზევსის კონფლიქტის სახით არის წარმოდგენილი¹. როდესაც ლაპარაკია მატრიარქატზე საბერძნეთში, ამით წინაბერძნულ საზოგადოებაზე არის ლაპარაკი. მკვლევართა სრულიად სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ პრომეთესის კავშირს პელაზგურ კულტურასთან, რითაც პრომეთესი წინაბერძნული მოსახლეობის ღმერთად (გმირად) გვევლინება და თვით ამ თქმულების წარმოშობის დათარიღებაც წინაბერძნული საზოგადოების ხანით უნდა მოხდეს.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ჰომეროსი, რომლის დროსაც უძველესად არსებობდა ეს თქმულება, პრომეთესის სახელს არც კი ახსენებს, მიუხედავად იმისა, რომ მითოლოგიას ის საერთოდ ხშირად მიმართავს. ამის ყველაზე მართებული ახსნა უნდა იყოს ის, რომ ჰომეროსი გეაროვნული არისტოკრატის იდეოლოგია, რაც ყველაზე მეტად თავს იჩენს რელიგიის სფეროში. მაგ., ჰომეროსის ოლიმპოზე ვერ ვხვდებით აგრარულ ღვთაებებს, რომელთაც ავტორი საერთოდ უხალისოდ და იშვიათად ახსენებს. ყოველგვარი უპირატესობა ენიჭებათ ე. წ. ზეციურ ღმერთებს. თუ მხედველობაში მივიღებთ პრომეთესის მჭიდრო კავშირს მიწათმოქმედებითი რელიგიის ღვთაებებთან (მაგ., დემეტრე) და ხოთონურ ღმერთებთან (მაგ., კრონოსი, ტიტანები), მაშინ სრულიად გასაგებია, რომ ჰომეროსი მას არ მოიხსენებდა².

პრომეთესის მითი ბერძნულ მწერლობასა და ხელოვნებაში ხშირადაა ასახული. უძველესი ლიტერატურული ძეგლები, რომლებშიც გადმოცემულია ეს თქმულება, არის ჰესიოდეს (ძვ. წ. VIII—VII სს.) პოემები: „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“, სახელგანთქმულ ბერძენ ტრაგიკოსს ესქილეს (VI—V სს.) პრომეთესისა თემაზე დაწერილი ჰქონდა ტრილოგია: „მიჯაჭვეული პრომეთესი“, „განთავისუფლებული პრომეთესი“ და „ცეცხლოვანი პრომეთესი“³ ესქილესვე ეკუთვნოდა სატირული დრამა „ცეცხლისდამნებე პრომეთესი“. ამ 4 ნაწარმოებიდან სრულიად მოღწეულია მხოლოდ „მიჯაჭვეული პრომეთესი“³, ხოლო დანარჩენები მცირეოდენი ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. მიუხედავად იმისა, რომ ჰესიოდეს პოემები უფრო ადრეული ნაწარმოებებია, ვიდრე ესქილე-

¹ Поль Лафарг, Религия и капитал, 1937, стр. 150.

² И. М. Тронский, Гомер, Иллиада, 1953, стр. 57, 60.

³ „მიჯაჭვეული პრომეთესი“ ქართულად თარგმნა ალ. ქუთათელმა, თბ., 1948 წ.

სი, ესქილესთან მითის გაგების უფრო ძველი ვარიანტია დაცული. მასთან შერწყმულად არის წარმოდგენილი 3 წყარო—კაბირებისა და ჰეფესტოს ლემნოსური კულტი, პრომეთევის ატიკური კულტი და ჰელიოდესთან დაცული ვარიანტი¹. ესქილეს „მიჯაჭველ პრომეთესს“ დიდი გავლენა ჰქონდა შემდეგი დროის მწერლობასა და ხელოვნებაზე. სრულიად თავისებურად არის მითი გადმოცემული ჰეროდოტესთან, რომლის მონაცემებიც დიდ სიახლოვეს იჩენენ ქართულ ტომთა სამყაროსთან².

პრომეთევის მითის სიუჟეტებზე აგებულია სახვითი ხელოვნების ბევრი ძველი ძეგლი: მაგ., უძველესი სავაზო მხატვრობის ნიმუშია (VI—V სს.) საკმარისად დიდი და რთული გამოსახულება, რომელზედაც ჰერაკლე მშვილდ-ისრით კლავს პრომეთევის გულის მკორტნელ არწივს.

ანტიკურ სარკოფაგებზე, რომელიც კაპიტოლიუმის მუზეუმშია დაცული, გამოხატულია პრომეთევი და მასთან ერთად ადამიანის გაჩენა და ბედი. ანტიკურ ბარელიეფზე გამოკვეთილია პრომეთევი, რომელიც ძერწავს ადამიანს. ანტიკურსავე კამეაზე მოცემულია სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც პრომეთევი აქანდაკებს ადამიანის ჩონჩხს — ე. ი. ქმნის ადამიანს.

შემონახულია ანტიკური ლამპარი გამოსახულებით: პრომეთევის მოუტაცნია ცეცხლი. იგივე სიუჟეტი არის სარკოფაგის რელიეფზე, რაც ბორგეზეს ვილაშია დაცული.

ესქილეს მიერ მოცემულ ვერსიაში პრომეთევის სახით გამოყვანილია კაცობრიობის კულტურის მესვეური, რომელმაც ადამიანი ველური მდგომარეობიდან გამოიყვანა და კულტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა, ხოლო თავისი პირადი მოღვაწეობითა და თავვადსაველით უჩვენა მაგალითი შეუღრეკელი მოქმედებისა, თავისუფალი აზრისა და ქედმოუხრელი პრინციპულობისა.

ანტიკურ მწერლობაში გვაქვს ცნობები ამათივ მითოლოგიური გმირისა თუ გადმოცემების მიხედვით ცნობილი პირების ურთიერთობისა პრომეთევისთან. მაგ., ჰესიოდე ამბობს „კატალოგების“ პირველ წიგნში, რომ დევკალიონი იყო პრომეთევისა და პანდორას ვაჟი, ხოლო დევკალიონისა და პირას ვაჟი იყო ჰელენი. „დევ-

¹ ი. რ. შენგელია, Древнейшие элементы мифа о Прометее, Тб., 1950 (მანქანაზე გადაბეჭდილი... გვ. 103).

² ა. უ. რ. უ. შ. ა. ძე, პრომეთეს მითის ერთი თავისებური ვერსიის შესახებ. ისტ. შრომები, 45, 1951, გვ. 225—228.

კალიონი, რომლის დროსაც მოხდა წარღვნა, იყო პრომეთევის ძე. ხოლო მისი დედა, როგორც მრავალნი ამბობენ, იყო კლიმენე, პესიოდეს აზრით კი — პრონოე“, („ქალთა კატალოგი“, ფრაგ. 2^ა და 3). დევკალიონი რომ პრომეთევის შვილია, ამის შესახებ წერს აპოლონიოს როდოსელიც (არგ., III, 1085). ამ გადმოცემათა მიხედვით პრომეთევის უკავშირებენ ბერძენთა წინაპრებს, იგი ბერძნული ტომების მამამთავრად არის გააზრებული. სხვა გადმოცემის მიხედვით პრომეთევის ასულია თებე, რომელიც პელაზგეს დაა, ე. ი. ამ ვერსიით პრომეთევი წინაბერძნულ საზოგადოებას უკავშირდება.

უფრო საინტერესოა და არსებითი ის ცნობა, რომელიც პრომეთევის სახელს აკავშირებს ქალღმერთ ათენასთან¹. ათენაზე არსებული გადმოცემებისა და მისი კულტის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დავასკვნათ: 1. ათენა თავისი პირველი გაგებით ელვის ღმერთი იყო და 2. ათენა წინაბერძნული ღვთაება იყო².

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ თავდაპირველად ათენა ელვის ღმერთი იყო და ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ პრომეთევის მიერ მოტაცებული ცეცხლი თავისი ბუნებით ღვთაებრივი, ზეციური ცეცხლი — ელვა იყო, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, გადმოცემებში პრომეთევი რომ ცეცხლს იტაცებს, ამით ის ათენას იტაცებს. ამ მოსაზრებას ამაგრებს ბევრი სხვა მონაცემი და მათ შორის ასეთი: აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი წერს: „პესიოდე ამბობს, რომ პრომეთევი მიაჯაჰვეს ცეცხლის მოტაცებისათვის; ამისთვისვე მიუხიეს მას არწივი (თეოგ. 521), ხოლო ღურისი კი ამბობს, რომ პრომეთევი მიაჯაჰვეს ათენას სიყვარულისთვის. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ კავკასიონთან მცხოვრებნი მხოლოდ ზეესსა და ათენას არ სწირავენ მსხვერპლს“.

ლიტერატურული წყაროებისა და ხელოვნების ძეგლების მონაცემების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა

¹ ჯერ კიდევ უ. ე. ი. ლამოვიც-მელენდორფი წერდა, რომ „არც ერთი ქალღმერთი არ ჩანს ისე სპეციფიკური ბერძნული, როგორც ათენა-პალადა და ისიც კი თავისი წარმოშობით ელინური არაა“ (Athene, გვ. 950. SB, 1921); სიტყვა 'Αθηνα-ს ბერძნული ახსნა არ მოეპოვება და ისიც ისეთივე სტრუქტურისაა, როგორც სხვა, არაბერძნული ტოპონიმიკური სიტყვები (მაგ., 'Αθήνα 'მღრ. Μυκ-άναι, Πυρ-άνα და სხვ.).

² ირ. შენგელიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 126.

ფრიად დამაჯერებელი აზრი, რომლის თანახმად უძველესი წარმოდგენით პრომეთევსმა მოიტაცა ცეცხლი-ელვა (პერსონიფიცირებული ათენად), შემდეგ საფესურზე ათენას სახელი ჩამოშორდა გავრცელებულ ვარიანტებს და პრომეთევსი გვევლინება ცეცხლის მომტაცებლად (ცეცხლი ადრე საფესურზე ღვთაებრივი, ზეციური ცეცხლი იყო).

პრომეთევსის მითი 2 ნაწილს შეიცავს: I ეხება ცეცხლის მოტაცებას, ხოლო II — პრომეთევსისა და ზევსის ბრძოლას. პირველი ნაწილი ადრევე უკეთ იყო დამუშავებული და გავრცელებული მკვლევართა მიერ. რაც შეეხება მეორეს, იგი მხოლოდ საბჭოურმა კლასიკურმა ფილოლოგიამ დასძლია. ი. ტრონსკისა¹ და ს. ყაუხჩიშვილის² ნაშრომებში პრომეთევსისა და ზევსის ურთიერთობის საკითხი ასეა გადაჭრილი: პრომეთევსი არ არის ბერძნული ღვთაება, იგი ამ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და რომელიც მაღალი კულტურის მატარებელი იყო, ხოლო ზევსი იმ ბერძნების ღმერთია, რომელიც მოვიდა და დასახლდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგევისის არქიპელაგსა და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე. ახალმოსული ბერძენი მოსახლეობა დაბალი კულტურის მატარებელი იყო და ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მოსახლეობას. პრომეთევსის მითი მოგვითხრობს სწორედ ახლად მოსული ბერძნების ბრძოლაზე წინაბერძნულ (შესაძლოა არაინდოევროპულ) მოსახლეობასთან. ეს ბრძოლა საბოლოოდ ახალმოსულთა გამარჯვებით დამთავრდა და, ბოლოს და ბოლოს, მოხდა პრომეთევსისა და ზევსის შერიგებაც. დროთა ვითარებაში ამ თქმულებამ განიცადა ცვლილებები, შემდეგში (ყოველ შემთხვევაში ესქილეს დროისთვის) აღარავის ახსოვდა ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთევსიცა და ზევსიც ბერძენ ღმერთებად მიიჩნდათ.

ამრიგად, თანამედროვე საბჭოურ კლასიკურ ფილოლოგიაში პრომეთევსი გავრცელებული როგორც წინაბერძნული მოსახლეობის ღვთაება — გმირი. წინაბერძნული მოსახლეობისა და ქართველურ-კავკასიური ტომების ურთიერთობის საკითხი ამათუიმ ასპექტში კარგა ხანია ისმის და ყოველივე ამის ფონზე ბუნებრივია პარალელის გავლება პრომეთევსისა და ქართული ეპოსის გმირს — ამირანს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ორ თქმულებას შორის გარკვეული ნათესაობა შეიმჩნევა.

¹ История античной литературы, 1947, стр. 123—125.

² ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I, 1950, გვ. 297—299.

თანამედროვე მეცნიერებაში სამი ძირითადი შეხედულება არსებობს პრომეთევისა და ამირანის შესახებ. პირველი აზრი, რომელიც არსებობს ამ 2 თქმულების ურთიერთობის შესახებ, ეკუთვნის ნ. მარს: პრომეთევისა და ამირანის მსგავსება ასახსნელია იმით, რომ ორივე თქმულება აღმოცენებულია ერთი დამავე იაფეტური წრიდან (პელაზგები და ეტრუსკები იაფეტიდები არიან; იაფეტური ლეგენდაა საბერძნეთში — პრომეთევის შესახებ, არმენიაში მაპერზე, საქართველოში ამირანზე, ხოლო აფხაზეთში აბარსკილზე¹). მეორე შეხედულების თანახმად პრომეთევის შესახებ ბერძნული მითი წარმოიქმნა უშუალოდ საბერძნეთ-კოლხიდის ურთიერთობის საფუძველზე, არსებითად ეს იმასვე ნიშნავს, რასაც ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, მხოლოდ საკითხი უფრო გამარტივებულად არას წარმოდგენილი. ამ აზრისა იყო შ. ნუცუბიძე², მესამე შეხედულების მიხედვით პრომეთევისა და ამირანის თქმულებები გენეტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. ისინი წარმოიქმნენ პარალელურად. ამ აზრისაა მ. ჩიქოვანი³. კიდევ ერთი ახალი შეხედულების წამოყენება გაძნელება ამ მოსაზრებათა საპირისპიროდ მანამ მაინც, ვიდრე მასალა კიდევ უფრო მეტად და სპეციალურად არ არის შესწავლილი. ერთი გარემოება კი უდავოა: ამ ორ თქმულებას შორის დიდი მსგავსებაა, თუ ცალკეული ფაქტების თვალსაზრისით, თუ მოტივების მხრივ. სხვაა, შეგვიძლია თუ არა გარკვევა, რა საფუძველზეა ეს მსგავსება.

ამირანის თქმულება მრავალვარიანტად არის ცნობილი. ამ თქმულების ყველა ნაწილი თანადროული არ არის და თვალი რომ გავადევნოთ სიუჟეტის ხაზს, აშკარაა შიგ წყვეტილები და გაუგებარი გადასვლები. მე არ ვაღმოვცემ ამ ცალკეულ ვარიანტებს, ანღა თუნდაც ამ თქმულების ჩონჩხს⁴, აღვნიშნავ მხოლოდ იმ საერთოს, რაცაა პრომეთევის მითსა და ამირანის თქმულებას შორის: ესაა — კავშირი მქედლობასთან, ცეცხლთან, ათენას და ყამარ-ქეთუს მო-

¹ Н. Я. Марр. Избранные работы, I, Л., 1933, წერილი — «Кавказоведение и Абхазский язык». მისივე — Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании средиземноморской культуры, 1920 г.

² «Амиран», грузинская мифологическая поэма, реставрированная и переведенная Ш. Нуцубидзе, Тб., 1946 г.

³ მ. ჩ. ჩიქოვანი, „მიჯაჭული ამირანი“, თბ., 1947.

⁴ სამისოდ იხ. მ. ჩ. ჩიქოვანი, მიჯაჭული ამირანი, 1947. მისივე, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971. ესქილე, მიჯაჭული პრომეთე, თარგმანი ა. ლ. ქუთათელის, 1948.

ტაცება -- კავშირი ზეცასთან, გმირის დასჯა, მისი მიჯაჭვის ადგული, მისი პალოზე მიჯაჭვა და კლდეზე მიჯაჭვა — ორივეგან სხვადასხვა ვერსიაში და სხვ¹.

ამრიგად, სრულიად გარკვეულია ამ გადმოცემათა საერთო მოტივები და როგორც ამირანის თქმულებას ვიყენებთ წყაროდ საქართველოს ძველი ისტორიისათვის, ასევე გამოგვადგება პრომეთესის მითიც ამავე მიზნით.

¹ შტრ. ივ. ჯ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 152—159.

II. ბერძნული მწერლობა

ძველმა ბერძნულმა მწერლობამ საფუძველი ჩაუყარა პოეზიისა და პროზის დღეს გავრცელებულ ყველა ძირითად ჟანრს. ეს ჟანრები აღმოცენდნენ და განვითარდნენ გარკვეულ ისტორიულ პირობებში — ერთ ეპოქაში წამყვანი იყო ერთი მხატვრული ჟანრი, მეორეში — მეორე.

IX—VIII სს.-ში საბერძნეთში განვითარდა და წამყვანი როლი ეკუთვნოდა საგმირო ეპოსს, რომელიც უმღეროდა წაჩსულის ბრწყინვალე გმირობას. VIII—VII სს.-ში მნიშვნელოვნად განვითარდა ე. წ. დიდაქტიკური ეპოსი, რომელიც წვრილი მწარმოებლის, გლეხის საზოგადოებრივ ცხოვრებას აწესრიგებდა. VII ს.-ში, სოციალური ბრძოლების ეპოქაში პიროვნების როლის განზრდასთან ერთად განვითარდა ლირიკის სახეობანი (ელეგია, იამბი, მელიკა, ქორიკა), VI ს.-ში ყველა ჟანრი დაჩრდილა დრამამ, ტრაგედია (VI—V სს.) და კომედია (V—IV სს.).

V ს.-დან იდეოლოგიურ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოიპოვა პროზამ (რიტორიკულმა, ფილოსოფიურმა, ისტორიულმა).

ჟანრების ასეთი ქრონოლოგიური განლაგება მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ ამ ეპოქაში უპირატესად ეს ჟანრი ვითარდებოდა და არა მხოლოდ და მხოლოდ ეს ჟანრი. ერთი ჟანრის გვერდით მეორეც არსებობდა, მაგრამ ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში წამყვანი მაინცდამაინც ერთი იყო.

ბერძენი მწერლების ცნობებს საქართველოს შესახებ განვიხილავთ საგმირო ეპოსის ძეგლებში, ჩვენამდე მოღწეულ პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, „ილიადასა“, და „ოდისეაში“, რომლებიც ტრადიციის მიხედვით ჰომეროსს ეკუთვნის.

ჰომეროსი ცხოვრობდა დაახლ. ძვ. წ. IX—VIII ს.-ში. ივარაუდება, რომ აგი იყო მცირეაზიელი ბერძენი, ახლომდგომი წარჩინებულთა წრესთან¹. იგი მიჩნეულია პოემების, „ილიადისა“ და „ოდი-

¹ A. Lesky. Geschichte der gr. Lit.². 1963, გვ. 57—58. ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა G. Kuhl—Furthmann-ის, Wann lebte Homer? Eine verschol-

სეის“ ავტორად (თუმცა ამ საკითხში სპეციალისტების ერთსულოვნება არ არის). „ილიადის“ ისტორიული საფუძველი არის ტროის ომის ამბები, ხოლო „ოდისეა“ ამ ტროის ომის მასალის გარდა საზღვაო-სათავგადასავლო ზღაპრებზედაც არის აგებული¹.

„ილიადასა“ და „ოდისეაში“ პირდაპირი ხსენება ან დახასიათება კარგად ცნობილი ქართველი ტომებისა არ გვხვდება, მაგრამ ე. წ. „ხომალდთა კატალოგი“, რაც „ილიადის“ ორგანული ნაწილია (ილ. 11. 494—877), ერთი ადგილი უეჭველად გვაფიქრებინებს იმას, რომ ტროელთა ბანაკში ყოფილან სხვებთან ერთად ხალიბები. ე. ი. ქართველი ტომი, ხალიბები ტროის ორიენტაციის ხალხია და უპირისპირდება აქეელთა ვაერთიანებას.

„ხომალდთა კატალოგი“ კი ძვ. წ. XIII ს-ის მიწურულის ეგეისის ზღვის აუზში არსებული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების რეალურ სურათს გადმოგვცემს. მის ავტორს სხვა სახის წყაროებთან ერთად წერილობითი დოკუმენტებიც აქვს გამოყენებული². „ხომალდთა კატალოგი“ გკითხულობთ:

ἀνὰρ Ἀλιζάγῳ Ὀδῆος καὶ Ἐπίστρωφος ἦρχον

τηλῆθει ἐξ Ἀλκίης, ἔθει ἀργύρου ἔσει: γυνῆμῃ (II, 856—857)

„ხოლო ჰალიძონებს ოდიოსი და ეპისტროფოსი მიუძღოდნენ, შორეულ ალიბედან, სადაც ვერცხლის სამშობლო არის“.

ჰალიძონების მეთაური, დიდი ოდიოსი „ილიადაში“ მეორეგანაც არის მოხსენებული (V, 38—39).

„ილიადის“ ჰალიძონები რომ იგივე ხალიბები (ხალღები) არიან, სტრაბონის დროიდან თითქმის აღარავისთვის არის საეჭვო. ჰალიძონების (ხალიბების) სამფლობელო მდ. ჰალისის დასავლეთით მდებარე საკმაოდ მნიშვნელოვან ტერიტორიას მოიცავდა (ამ ხალხს 2 წინამძღოლი ჰყავს) და ალბათ ჰალისის აღმოსავლეთითაც ვრცელდებოდა³. ჰალიძონები — ხალიბები ანტიკური წყაროების მი-

leno Menschheit tritt ans Licht. 1967, საღაც ეს ეპოსი ძვ. წ. XIV ს-ში შექმნილად არის წარმოდგენილი.

ჩემს ძალღონეს აღემატება არგუმენტირებული უარყოფა რომელიმე ამ შეხედულებისა, მაგრამ იმ მასალის მიხედვით, რაც თანამედროვე მეცნიერებაში არის მოპოვებული, ასე ადრიანი დათარიღება ელინური საგმირო ეპოსისა, საეპეოა, ხოლო ა. ლესკის შეხედულებაც შეიძლება დასაზუსტებელი იყოს და ამ ეპოსის დამთარიღებელი, უწინ აღიარებული IX ს. ვცნოთ ისევ.

¹ ა. ლესკის დასახ. ნაშრომი, გვ. 58—60.

² რ. გორდეზიანი, ილიადის „ხომალდთა კატალოგი“ (ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზი). თბილისი, 1966, გვ. 267.

³ იქვე, გვ. 134.

ხედვით კოლხურ ტომს წარმოადგენენ და მათი სამშობლო — ალი-
ბე (ხეთური ცნობების Halluwa) ვერცხლის საბადოებით იყო გან-
თქმული.

„ოდისეაში“ ჩართულია კირკეს ეპიზოდი და ცნობები არგონაუ-
ტების თქმულებიდან. „ზღვის გამკვეთი, ყველასთვის ცნობილი
არგო“ (XII, 69) პირდაპირ არის ხსენებული. ხოლო კირკე კი
არის კოლხიდის მეფის, აფეტესის და და ის გარემოება რომ ეს ეპიზო-
დი შესულია „ოდისეაში“, იმას მოასწავებს, რომ თქმულება კოლ-
ხიდაზე (და ამის შესახებ არსებული პოემა¹) დადი პოპულარო-
ბით სარგებლობდა ბერძნებში. კირკეს კუნძული აჰაჰე (ე. ი. აჰა-
სადმი განკუთვნილი) ზოგიერთ ვეროპელ მეცნიერთა მიერ უფრო
დასავლეთით არის ხოლმე ჩვეულებრივ ნავარაუდები, ვიდრე არას
აჰა-კოლხიდა. ეს ასეც რომ იყოს, არ წარმოადგენს დაბრკოლებას,
რადგან „ოდისეაში“ ხსენებული ბევრი ადგილის ლოკალიზაცია არ
არის საჭირო, რადგან ამ ნაწარმოებში, მხატვრულ ნაწარმოებში
შესულია ბევრი თქმულება კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტე-
ბის გარეშე². ევსტათი თესალინიკელს აჰაჰე-ს შესახებ, ოდისეას-
თან დაკავშირებით (IX, 32) აქვს საინტერესო განმარტება: „აჰაჰე
(იხმარება) „კოლხიკეს“ ნაცვლად როგორც ადგილის აღმნიშვნელი
სახელწოდება. აჰა ხომ კოლხიდის ქალაქია სხვებთანაც და ლიკოფ-
რონთანაც.

აჰა-ს მოქალაქე კაცი იქნება „აჰაჰოსი“, ხოლო მოქალაქე ქალი
აჰაჰა. კირკეს კუნძულს იმავე კირკეს გამო აჰაჰა ჰქვია... გმირმა
აფეტესმა რომ სახელი ამავე აჰადან მიიღო, ამას ძველი (მწერლები)
ცხადპყოფენ“.

„ოდისეაში“ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც
ოდისეისა და კირკეს ეპიზოდთან დაკავშირებით არის ნაწარმოებში
შესული (ოდ., K, 305). ესაა $\mu\alpha\lambda\alpha$, მცენარე, რომელსაც შვიი ძირი
აქვს და თეთრი ყვავილი (რომელიც მისცა პერმესმა ოდისეესს, რო-
გორც კირკეს მაგიური ძალის საწინააღმდეგო საშუალება). ბერძნულ
ენაში ეს სიტყვა გავრცელებული არ არის, სულ რაღაცა 5 შემთხვევაა
დადასტურებული (და მათ შორის ერთ-ერთი ძვ. წ. I ს-ის ავტორის,
დიოსკურიდეს თხზულებაში — კაპადოკიაში). ბერძნული ენის ეტი-
მოლოგიურ ლექსიკონში მის ბერძნულობას, ანდა საერთოდ ინდო-
ევროპულობას ჩვეულებრივ არ სცნობენ, მაგრამ პ. კრეჩმერი მას
უკავშირებს სანსკრიტის $m\tilde{u}lam$ -ს (რაც ნიშნავს „ფესეს“). ხოლო
კლასიკური ფილოლოგიის ქართულ სკოლაში გამოთქმულია აზრი,

¹ A. Lesky, Geschichte der griech. Lit.². 1963, გვ. 60.

² იქვე, გვ. 60.

რომ ის უნდა დაკავშირდეს ქართულ სიტყვასთან „მოლი“. თუ ეს მოსაზრება გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ჰომეროსის ეპოსში შესულია არა მარტო ეპიზოდები ქართულ (კოლხურ) სამყაროსთან დაკავშირებით, არამედ სიტყვაც კი ამ ეპიზოდთან ერთად.

ჰომეროსის ტექსტის უამრავი გამოცემა, ასევე არსებობს თარგმანებიც სხვადასხვა ენებზე. ქართულად — მთლიანად თარგმნილია მხოლოდ „ოდისეა“ პ. ბერაძის მიერ. თარგმანი ჯერ გამოქვეყნებული არ არის.

„ოდისეის“ სრული პროზაული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“, 1971, №№ 3—12; ცალკე წიგნად გამოიცა 1971 წ. „ილიადისა“ და „ოდისეის“ ნაწყვეტები თარგმნილია რ. მიმინოშვილის მიერ, გამოცემულია „ელადის მუზაში“. თბ., 1963 წ.

ვსარგებლობდი ტექსტით: Homeri Opera et reliquiae, recensuit D. B. Monro M. A., Oxonii. 1901.

ლიტერატურა: ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, პეროდოტეს „ისტორიის“ I, 2—3 თავი და ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგი“: თსუ შრომები, XXXIV, 1948, გვ. 365—372. თ. შ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქართველური ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის: აკადემიის მოამბე, № 2, 1960, გვ. 164 — 198. გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნონიმიკის შესწავლისათვის, აკადემიის მოამბე, № 3, 1961, გვ. 87—119. რ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, ილიადა და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, 1970.

ბერძენთა საზოგადოების ცხოვრების განვითარებისათვის VIII ს-ის მეორე ნახევარში დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებრივი და სოციალური ცხოვრების სარბიელზე გამოდის გლენობა, როგორც არისტოკრატიისადმი დაპირისპირებული ფენა.

პოეტი-რაფსოდი ჰესიოდე ემსახურება ამ გლენობის ინტერესების დაცვას თავისი შემოქმედებით, თავისი რჩევა-დარიგების საშუალებით.

ამ დროისათვის ბერძნულ მწერლობაში წამყვანია რჩევა-დარიგებითი ანუ ლიტერატურული ეპოსის ჟანრი, რომლის უდიდესი წარმომადგენელია ჰესიოდე, ძვ. წ. VIII ს-ის მწერალი. მისი პოემებია: „სამუშაონი და დღენი“ და „თეოგონია“. მასვე მიეწერება „ქალთა კატალოგი“ და ზოგი სხვა ნაწარმოები, არსებითად მისი სკოლის პოეტთა ხელიდან გამოსული (VIII—VII სს.-ში)¹.

¹ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I. 1950, გვ. 108—124.

„თეოგონიაში“ მოხსენიებულნი არიან ჰელიოსისა და პერსეისის შვილები—კოლხთა მეფე აფეტესი და კირკე; აფეტესისა და იღვრას ასული მედეა, რომელიც იასონმა ელადში გაიტაცა პელიასის მძიმე დავალებათა შესრულების შემდეგ. აქვე იხსენიება მედეასა და იასონის ვაჟი—მედიოსი და მდინარეები — ფასისი და რესოსი (ტაეპი: 337—340; 956—962; 992—1002). ჰესიოდესავე ცნობით კირკე დაუკავშირდა ოდისეევს და შვა აგრიოსი, ლატინოსი და ტელეგონე (ტ. 1011—1016).

ყველა ეს ცნობა მაუწყებელია იმისა, რომ ჰესიოდესათვის ცნობილია ის ურთიერთობა, რაც არსებობდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებსა და კოლხებს შორის. ეს ურთიერთობა მან ნათესაური კავშირით გამოხატა. კოლხთა მეფის ასული მეუღლეა თესალიელი იასონის; კოლხთა მეფის და — კირკე ოდისეევსისაგან აჩენს შვილებს — ლატინოსს — ლატინთა ებონიმს, აგრიოსს (ხომ არაა ეს „არგოსის“ ვარიანტი?). მდინარე ფასისი ძირველად ჰესიოდესთან არის ხსენებული. ხოლო რაც შეეხება რესოსს, სწორი უნდა იყოს აკ. ურუშაძე, რომელსაც ეს სახელწოდება (*Ῥῆσος*) ფსევდო-სკილაქსის *Ῥίξ-ისა* არ იყოს. „რიონის“ გადმოცემად მიაჩნია¹.

„ქალთა კატალოგის“ მოღწეულ ფრაგმენტებში (ფრაგ. 83) ისევე იხსენიება მდ. ფასისი, რომლის გადალახვითაც შეცურდნენ არგონავტები (კოლხების ქვეყანაში).

ტექსტი: *Hesiodi Carmina, Recensuit Al. Rzach, Lipsiae, 1913. Scholia vetera in Hesiodi Opera et Dies, rec. Pertusi A.: Milano Vitae Pensiero, 1956.*

თარგმანები, ნაწყვეტების: აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 186—194. SC, I, 2. 319.

B. B. В е р е с а е в, „Труды и дни“, „Феогония“.

Hesiod, translated by Lattimore, Michigan, 1959.

VIII—VII სს.-ში შინაური ეკონომიური გაჭირვებისა, პოლიტიკური დაძაბულობისა და საგარეო გართულებების პირობებში საბერძნეთში (უპირველეს ყოვლისა მცირე აზიის იონიელებში) იწყება საკოლონიზაციო მოძრაობა, რასაც მოჰყვა ზღვაოსნობის განვითარება, აღებმიცემობის გაზრდა, ფულის მოჭრა, ხელოსნობა, ხელოვნების ზოგი დარგის დაწინაურება. წარმოიშვა მოსახლეობის ახალი ფენები — ხელოსნები და ვაჭრები; ბასილევსური წყობი-

¹ აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 19—21, 139, 494.

ლება ადგილს უთმობს ოლიგარქიასა და ტირანიას. ჩნდება ოპოზი-
ცია არსებული წყობილებისადმი. ეს ზრდის ცალკეული პიროვნე-
ბის როლს. ამ ბაზისზე წარმოიშობა ლიტერატურის ახალი ჟანრი—
ლირიკა, რომელიც საბერძნეთში 4 სახეობისაა: ელეგია—თანამოქა-
ლაქეთა გამამხნევებელი, ბრძოლისაკენ მომწოდებელი სიმღერა,
იამბი — მოწინააღმდეგის განმაქიქებელი სიმღერა, მელიკა—სა-
კუთრივ ინტიმური გრძნობების ამსახველი პოეზია, ქორიკა—ცეკ-
ვით შესასრულებელი საგუნდო სიმღერები, რომლებიც მაზნად ისა-
ხავდნენ ღმერთებისა და ადამიანების განდიდებას.

ლირიკოსები. ელინური ხანის ლირიკოსები ხშირად მიმართა-
ვენ არგონავტთა თქმულებას.

არ შევჩერდები ყველა იმ შემთხვევაზე, სადაც ლირიკოსს არ-
გონავტთა თქმულების რომელიმე ეპიზოდი აქვს გამოყენებული,
განვიხილავ მხოლოდ ორ ავტორს, მიმნერმესა და პინდარეს.

მიმნერმე (ძვ. წ. VII ს.) კოლოფონელი პოეტი-ელეგიკოსი
იყო. ჩვენამდე მოღწეულ მის ნაწარმოებთა შორის ყველაზე პოპუ-
ლარული არის ერთტიკული ხასიათის კრებული „ნანო“, რომელ-
საც ავტორი უძღვნის ავლოსზე დამკვრელ ქალს (ნანოს). ამ ელე-
გიებში საგანგებოდ საინტერესოდ არის მიჩნეული მიმნერმეს მიერ
არგონავტთა ამბის უძველესი ვარიანტის გამოყენება (იმის საილუს-
ტრაციოდ, რომ სიყვარული ყოვლის შემძლე რამ არის).

„წვით იასონიც ვერ წამოიღებდა ძვირფას საწმისს,
და აადაღან ვერ გამოივლიდა ტვირთშიმე გზას,
და ვერ შეაღწევდა ოკეანეს, და ამით ვერ შეასრულებდა
ბოროტი პელიასის მიერ დავალებულ მძიმე საქმეს
(რომ მეღვას სიყვარულს არ ეშველა)“ (ნანო, ფრგმ. 10).

შემდეგ ფრაგმენტში, სპეციალისტთა აზრით, მკაფიოდ არის ნაჩ-
ვენები აქას მღებარეობა: „ოკეანის ნაპირზე არის ადეტესის ქალა-
ქი, სადაც მოვიდა იასონი. აქაა ჰელიოსის ოქროს თალამოსი, სა-
დაც ღმერთების სხივები იმყოფებიან“ (იქვე, ფრგ. 11).

ა. ლესკის აზრით, მიმნერმეს ელეგიაში ასახულია ბერძნული
თქმულების ის ვარიანტი, რომელიც აქას ვარაუდობდა აღმოსავლე-
თით, რომელიდაცა უქიდურეს აღმოსავლურ ქვეყანაში (დაახლ.
ეთიოპიაში); აქა ამ ღროს ჯერ არ იყო გაიგივებული კოლხიდას-
თან¹. ეს საკითხი საერთოდ საკამათოა მეცნიერებაში, ამიტომ ვერ
ვიტყვივით დაბეჭითებით, რომ მიმნერმეს აქა (და ადეტესი) მაინცლა-
მაინც ეთიოპიაშია და ის აქა—კოლხიდა არ არის, მაგრამ ის უდა-

¹ A. Lesky, *Aia*, Wiener Studien, 63, 1948, 52.

ვოა, რომ შიმნერმე იცნობს აღმოსავლეთის ადას (და არა დასავლეთისას, რაც „ოდიხის“ შემდეგ ჩნდება ლიტერატურაში).

ტექსტი: აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტებს თქმულებაში — გვ. 201—202.

პინდარე (518—422 წწ.) საგუნდო ლირიკის, ანუ ქორიკის უდიდესი წარმომადგენელია. მის ეპინიკთა შორის ე. წ. მეოთხე პითიურ ეპინიკში ჩანს იმაზე უფრო კონკრეტული ცოდნა კოლხთა შესახებ, რაც სხვა ნაწარმოებებში გვხვდება. „შემდეგ არგონავტები მივიდნენ ფასისტან, იქ შავგვრემან კოლხებთან ბრძოლა გამართეს აფეტესის თანდასწრებით (211 და მძღ): კოლხები აქ მოხსენიებულნი არიან როგორც შავგვრემნები; მათი მეფე აფეტესი მრისხანე, შეუპოვარი და ძლიერია, მან „ფოლადის გუთანნი შუაში დააყრდნო და ხარები, რომლებიც ყვითელი ყბებიდან მგზნებარე ცეცხლის ალებს ისროდნენ და სპილენძის ფლოქვებით მიწას სთურგნიდნენ, მარტოკამ მიიყვანა და შეაბა უღელში“ (224—227); ბევრია მოთხრობილი მედეას განსწავლულობაზე და მის როლზე არგონავტთა გამარჯვების საქმეში.

პინდარეს „ოდემა“ ადრევე მიიპყრეს ყურადღება და დღემდე მოღწეულია მისი სქოლიოები. სიტყვასთან — „შავგვრემანი კოლხები“ სქოლიასტის ასეთი შენიშვნაა: „ერთნი ამბობენ, რომ ეს ნიშნავს „სახით—შეშინებულს“, რადგან „კელაანოსს“ ხმარობენ „შეშინების“ მნიშვნელობით. ხოლო სხვები ამბობენ, რომ სკვითები ეგვიპტელთა კოლონისტები არიან, ამიტომაც, რომ ამბობენ, შავკანიანები არიანო. ხოლო საფიქრებელია, რომ ისინი (მართლაც) ეგვიპტელთა კოლონისტები არიან“... *ἄλλοι δὲ, როგორც მასალის შემოწმებამ გვიჩვენა, ნიშნავს „შავს“, „მუქს“, „ბნელს“, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ასევე მეტაფორულად. ამ სიტყვის კავშირი „შეშინებასა“ და „გაოცებასთან“ (რასაც ნიშნავს *ἄτασπληχεῖς* და *ἄτασπληγῆς*) არაფრით დგინდება. უთუოდ ისინი, ვინც არ სცნობდნენ კოლხთა კავშირს ეგვიპტელებთან, ვერ ხსნიდნენ მათ შავგვრემანობას და უპოვეს ასეთი ახსნა პინდარეს ცნობას — არგონავტები შეებრძოლნენ შეშინებულ (თუ გაოცებულ) კოლხებს — მახვილი კოლხების სხვა თვისებაზე გააკეთეს. აქ ჩანს ბერძნის დამოკიდებულება არაბერძნის მიმართ.*

როგორც ჩანს, პინდარე კოლხების ფიზიკური ტიპის შესახებ ლაპარაკობს და არა მათ ზნეობრივ თვისებაზე და სწორი ჩანს ის მეორე მოსაზრება, რომელიც მოჰყავს სქოლიასტს: კოლხების კავშირი ეგვიპტელებთან სხვა ბერძნულ წყაროებშიც არის ნახსენები

(მაგ., ჰეროდოტესთან) და ამის საფუძველი ისტორიულ სინამდევ-
ლეში უნდა ვეძებოთ — II ათასეულის შუა საუკუნეებში სპელთა-
შუა ზღვის აუზის ტომთა ურთიერთობისა და მიგრაციის გამოძახი-
ლი უნდა იყოს ეს ცნობა, თუმცა ასეთი ახსნა „კოლხების ეგვიპტუ-
რი წარმოშობისა“ ჯერჯერობით პიპოტეზის ფარგლებს ვერ გასტ-
დება.

პინდარეს ე. წ. XIII ოლიმპიურ ეპინიკში გაკვრით არის ხსე-
ნება მედეასი, რომელმაც იხსნა არგონავტები და მამის სურვილის
წინააღმდეგ იქორწინა (ტ. 53—54).

ეპინიკის ამ ადგილს სქოლიოში ვკითხულობთ: *Αἰζηῆ γὰρ... ἡρῆ-
σμον ὀμιῆσαι πῶλις ὀκίλει ἐν Κόλχιδι ἀπ' αὐτῆς τῆς ἑπαυσιμῆς
ἔγισται*. „ხოლო ანეტესმა (ასეთი) მისნობა მიიღო—კოლხებში დაე-
ფუძნებინა ქლაქი, რომელსაც მისი (სახელის მიხედვით) დაერქმეოდა
სახელი...“ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სქოლიოსტი გეოგრა-
ფიულ სახელს „აია“ (*Αἶα*) აკავშირებს პირის სახელთან, „ანეტესთან“
(*Αἰζηῆς*).

ჩვენი დღევანდელი წარმოდგენით პირველადია „აია“ და მეო-
რადია „ანეტეს“ (ისევე, როგორც *πῶλις* და *πολιτης**). მაგრამ
სქოლიოსტისათვის, რომელმაც „ანეტესი“ უკეთ იცის (ეს სახელი
უფროა დამკვიდრებული კლასიკური ხანის კულტურაში), ვიდრე
„აია“ (რომელიც ახსოვთ, მაგრამ უკვე საექვოა მათთვის, ეს არის
მხარე თუ ქალაქი), ამოსავალი ხდება „ანეტესი“.

ტექსტი: Pindarus, Carmina cum fragmentis, ed. Snell, B.
ed. 3^a. I. Epinicia; B T Leipzig, 1959.

Pindare, II, Pythiques, Textes établis et trad. par Aimé Pu-
ech, Paris, 1922.

Scholia vetera in Pindari Carmina, rec. A. B. Drachmann,
Vol. I—II. Lipsiae, 1903—1910.

The Odes, transl. by Lattimore R. 3rd impr. Chicago,
1959.

აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში.
თბ., 1964, გვ. 203 — 224.

საკოლონიზაციო მოძრაობის განვითარებას მოჰყვა საბერძნეთის
პოლისების ეკონომიური გაძლიერება, ერთის მხრივ, ხოლო მეო-

* ეს ეპიკი ჯერ კიდევ სტეფანე ბიზანტიონელმა გამოთქვა „ეფინიკაში“ —
(ს. ყ. Georgica, ტ. III, გვ. 274).

რეს მზრივ თვით პოლისებში კლასობრივი ბრძოლის განწყობება. ამ მოძრაობაში დაწინაურებული დემოსი, როგორც ეკონომიური დოვლათის შემქმნელი, ებრძვის არისტოკრატიას პოლიტიკური უფლებებისათვის. პოლისთა შორის მეტოქეობის დროს ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა ათენი, რომელშიც მრავალი სხვა პოლისი ზედავეს თავის წინამძღოლს. გაძლიერებული ათენი იზიდავს მრავალ უცხოელსაც. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საერო დღესასწაულების სახეიმოდ და მდიდრულად ჩატარებას, რომლებიც იმართებოდა ათენში (ისევე, როგორც სხვა პოლისებში).

პისისტრატემ, რომელიც დიდ სამშენებლო სამუშაოებს ატარებდა ათენში და საერთოდ დიდი გაქანების საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე იყო, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დღესასწაულების ორგანიზაციის საკითხს, ამ დღესასწაულთა შორის ყველაზე პოპულარული იყო დიონისეს დღესასწაულები, რომლებზედაც იდგმებოდა ტრაგედიები — ამ დღესასწაულის მთავარი სანახაობა სწორედ ეს იყო.

აი, ამ დროიდან (VI ს-დან) წამყვანი ლიტერატურული ჟანრი ბერძნული პოეზიისა არის ტრაგედია, რომლის სამი უდიდესი წარმომადგენელი, ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე, შესული არიან მსოფლიო ლიტერატურის კორიფეთა რიცხვში.

დრამა. ბერძენი ტრაგიკოსები (ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე) ხშირად იყენებდნენ ხოლმე სიუჟეტად არგონავტთა მითს. სხვა მოღწეული და დაკარგული ტრაგედიები რომ არ მოვიხსენიოთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ევრიპიდეს „მედეა“, რომელიც პირველად დაიდგა ათენის თეატრში 431 წელს, ხოლო შემდეგ იქნა გადამუშავებული და ეს ვარიანტი მოღწეულია დღემდე.

„მედეაში“ დამუშავებულია მითის ის ნაწილი, რომელიც კორინთოში ხდება და მასში ავტორის მიერ არსებითი ხასიათის სიანლენი და ცვლილებებია შეტანილი, რისი აზნაც ავტორის კონცეფციაში არის საქმბარი.

როდესაც არგონავტთა შესახებ თქმულებასე ვლაპარაკობთ (და მაშასადამე, მედენს ბარბაროსობასა თუ კოლხობასე), უნდა გავიხსენოთ მითის ის ცნობები, რომლის თანახმადაც აფეტესი მოსულია კოლხიდაში—მისი თავდაპირველი სამშობლო იყო კორინთო. ე. ი. ასახულია ის ამბავი, რომ ჰელიოსის ძე (ე. ი. ღვთაებრივი წარმომავლობის) ელინი სახლდება კოლხიდაში (ეს ერგო მას წილად) — ანუ ისევ მკიდრო კავშირი ელინურსა და კოლხურ საშყაროს შორის — მითის შემქმნელთა წრეში ასეთი აზრი არსებობს. მედეა ბარბაროსული წარმომობისაა (მიუხედავად იმისა, რომ ჰელიოსის

შვილიშვილა) და ბევრი რამ მის მიერ ჩაღწეულ ბოროტებათაგან ქედმაღალი ბერძნის თვალსაზრისით აქედან მომდინარეობს. ე. ი. მედეას სახის ამგვარ დამუშავებაში ჩანს ძვ. წ. V ს.-ის ვანათლებული ბერძნობის გარკვეული ნაწილის დამოკიდებულება არაბერძნულ, კონკრეტულად, კოლხურ სამყაროსთან *.

ტექსტი: Euripides Medea mit Scholien, herausgegeben von Dr. Ernst Diehl. Bonn, 1911.

ქართულად: პ. მირიანაშვილი, ესქილეს „მიჯაჭვეული პროტეა“, სოფოკლეს „ედიპ მეფე“, ევრიპიდეს „მედეა“, თბილისი, 1910 წ.

პ. ბერაძე, ევრიპიდეს „მედეა“, 1969 წ.

საკოლონიზაციო მოძრაობამ და მასთან დაკავშირებულმა ზღვაოსნობის განვითარებამ (და უცხო ქვეყნების გაცნობამ) ბერძნების წინაშე ახალი საკითხები დააყენა: მათ დასქირდათ გადახედვა თავისი ძველი შეხედულებებისა ბუნების მოვლენებსა და სალხთა წარმოშობაზე, შესწავლა ბუნების მოვლენებისა და შეცვლა მითოლოგიური წარმოდგენებისა ახალი მეცნიერული დასკვნებით.

საკოლონიზაციო მოძრაობასვე უკავშირდება აუცილებლობა სხვადასხვა ქვეყნების გაცნობისა, ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის, მოსახლეობის წინა-ჩვეულებებისა და ისტორიული წარსულის შესწავლის საჭიროება.

ამრიგად, საკოლონიზაციო მოძრაობას უკავშირდება ახალი ჟანრი, ისტორიული პროზა და ის ჩაისახა პირველად იონიაში, საბერძნეთის იმ მხარეში, რომელიც პირველი ჩაება ამ მოძრაობაში.

ლოგოგრაფოსები. ბერძნული პროზის განვითარების ადრეულ ეტაპზე (VI—V სს.) ჩნდებიან ბერძენი ისტორიკოსები, რომელთაც ჩვეულებრივ ლოგოგრაფოსებს უწოდებენ (λογογράφος—პროზით მწერალი, განსხვავებით მანამდე არსებული პოეტებისაგან). მათი თხზულებები თავისი თემით ჭერ კიდევ ახლოს არიან ეპიკურ თხზულებებთან, მაგრამ მითოლოგიური მასალის გვერდით ისინი უკვე სარგებლობენ სხვადასხვა მოგზაურთა ცნობებით, საკუთარი დაკვირვებებით თუ დოკუმენტური მასალებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად ისტორია და გეოგრაფია არც კი იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან; ლოგოგრაფოსები იმა-

* აუ როგორ ვითარდება არგონავტების მითში მედეს სახე, ამის შესახებ დაწერ: Kurt von Fritz, Die Entwicklung der Jason — Medea — Sage und die Medea des Euripides: Antike und moderne Tragödi., Berlin, 1962, зя. 222—229

ვე დროს გეოგრაფოსებიც იყვნენ და მეორეს მხრივ საკუთრივ გეოგრაფიული ნაწარმოებები ხშირად მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა.

ლოგოგრაფოსთა შორის, რომელთაც მოეპოვებათ ცნობები საქართველოს შესახებ, გამოირჩევა ჰეკატაეოს მილეტელი (დაახლ. 549—472 წწ.). იგი იყო თავისი დროის საზოგადო მოღვაწე და ცნობილია, რომ მან ბევრი იმოგზაურა. იგი მინანულია ისტორიკოსთა შორის ერთგვარად რაციონალისტად და მის თხზულებებში უკვე შეიმჩნევა ისტორიული კრიტიკის ელემენტები.

იგი არის ავტორი „ვენეალოგიისა“ (*Γενεαλογίαι*) და „დედამიწის აღწერისა“ (*Περὶ τῆς γῆς*).

ორივე შრომა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. ეს ფრაგმენტები დაცული აქვს ძირითადად სტეფანე ბიზანტიონელსა და აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტს.

„დედამიწის აღწერაში“ ჰეკატაეოსის ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს სია იმ ქართველ ტომთა, რომელიც VI ს.-ის ბერძენთათვის იყო ცნობილი (გამორიცხული არაა ისიც, რომ ჰეკატაეოსს უფრო ადრინდელი წყაროები ჰქონდა). ეს ტომებია: მელანქლაენები, კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოაები, ბეჭეარები, დიქერები, მაკრონები, მარები, მოსინოკები, ტიბარენები, ხალიბგა. საინტერესოა ის გარემოება, რომ კორაქსებისა და მოსხების შესახებ ჰეკატაეოსი ამბობს: კოლხური ტომებიო (*ἔθνος Κόλχων*). კოლხური ტომი, კოლხები საკუთრივ არ არიან ხსენებული ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში, მაგრამ არ ვიცით, ჰყავდა თუ არა ისინი ჰეკატაეოსს! დამოწმებული.

ტომების ჩამოთვლის გარდა ხსენებულია ორი ქალაქი (*πόλις*): ქოზარდესი — მოსინოკების ქალაქი და სტამენე — ხალიბების ქალაქი.

ფრაგმენტებში დასახელებულია: კორაქსების ზღუდე და კორაქსების მხარე.

ჰეკატაეოსმა იცის კავკასიონის ქედი, მისი ფერღობი — კოლების მთები და მდ. ფასისი. საკუთრივ ჰეკატაეოსის ცნობები და ძირითადად კი მათი შეგერება სხვა ავტორთა მონაცემებთან ქართველ ტომთა ლოკალიზაციის შესაძლებლობას იძლევიან: მელანქლაენები ცხოვრობდნენ მდ. ბზიფის ჩრდილოეთით; კორაქსები

1 საერთოდ უნდა შეინიშნოს, რომ ჰეკატაეოსის ფრაგმენტთა რკვევისას გასარჩევია, რას ამბობს ჰეკატაეოსი და რაა სტეფანე ბიზანტიონელისა.

ცხოვრობდნენ მერმინდელი ბზიფას რაიონში, კოლხები — ბზიფის აქსა და სოხუმს შორის; მოსხები — მატეენების (მიტანის) მგზობლად, ე. ი. მესობოტამიის ჩრდილოეთით, ანდა მცირე ანისის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სოფებს, ჩვეულებრივ ტაოხოს შერყვნილ ფორმად მიიწნევენ, მაგრამ მათი (სოფების) საცხოვრისი ქ. რიგეს მახლობლად) იმდენადაა დაშორებული ტაოხების სამყოფელს, რომ ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს. ბეჭეალები ქ. რიგეს რაიონში ცხოვრობდნენ. დიძერები (იგივე ბიძერები) მდ. კოროხის სამსრეთით, დაახლ. მდ. ორხოფიდან მდ. არხავემდე. მკარონები — ტრაპეზუნტის რაიონში. მოსინოაკები — ქ. კერასუნტსა და ქ. ფარნაკიის მიდამოებში. ტიბარენები — ქ. კოტიორასთან (თანამედროვე ქ. ორდუ), მის აღმოსავლეთით ორი დღის სავალზე. ჰეკატაფოსის ხალიბებში იგულისხმება ხალიბების ის ჯგუფი, რომელიც მთაში ცხოვრობდა და მცირე არმენიას ემუხოზლებოდა. ამრიგად, ჰეკატაფოსი შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამსრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ასახელებს ქართველ ტომებს, რომლებიც სპეციალისტთა აზრით (მცირეოდენი გამოწაკლისის გარდა) დასავლურ-ქართულ. ანუ მეგრულ-ქანურ ტომებად არიან მიჩნეული.

მოსინოაკების ტერიტორიაზე აღნიშნული ქალაქი ქოძრადესი გაიგივებულია თანამედროვე ქ. გირესუნთან (კერასუნტი) ან ქ. ფარნაკიასთან.

ხალიბების ტერიტორიაზე ხსენებული ქ. სტამენე თანამედროვე ქ. ორდუსთან (კოტიორა) არის საძებარი.

ჰეკატაფოსის „კორაქსების ზღუდე“ დღემდე დაცული მდ. ბზიფის ხეობაში არსებული ძველი ნაგებობის კედელი უნდა იყოს¹.

ტექსტი: C. Müller, *Fragmenta historicorum graecorum*, I. Paris, 1885. F. Jacoby, *Die Fragmente der griech. Historiker*. I. Teil. Berlin, 1923.

Hecataei Milessii Fragmenta, testo, introduzione, oppedice e indici a cura di Giuseppe Nenci, Firenze, 1954.

B. B. Latyshev, *SC*, I. BქU. 1947, № 1.

ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცხოვრები საქართველოს შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963. გვ. 3—35.

¹ შტრ. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცხოვრები საქართველოს შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963 წ., გვ. 3—35.

ახალი ეტაპი ბერძნულ საისტორიო პროზაში იწყება პეროლოტეთი. თუ ლოგოგრაფოსები ძირითადად ზალხთა თავჯდასავლას მითიურ ხანას ეხებოდნენ, პეროდოტე (და მისი მომდევნო ისტორიკოსები) ძირითადად წერენ თანამედროვე ან მახლობელი ხანის ეპოქის შესახებ.

ლოგოგრაფოსებს აინტერესებთ რომელიმე ცალკეული კუთხის, ქალაქის ან ტომის ისტორია, ხოლო პეროდოტე (და მისი მომდევნო ისტორიკოსები) ეხებიან მთელ ბერძნულ სამყაროს, უმთავრესად ბარბაროსთა სამყაროსთან ურთიერთობის ასპექტში.

ლოგოგრაფოსთა ძირითადი წყარო მითებია და ეპიკური ნაწარმოებები იყო; ახალი თაობის ისტორიკოსები თავის თხზულებებს უმთავრესად ისტორიულ მასალაზე აგებენ.

ამ მოვლენას თავისი ისტორიული საფუძველი ჰქონდა — პოლისებად დაქუცმაცებული ქვეყანა არსებითად გაერთიანებული იყო დემოკრატიული ათენის ჰეგემონობის ქვეშ; ათენმა შექლო შეექმნა კონცეფცია მთლიანი ბერძნული სამყაროსი და დამეტაკებინა, რომ მსოფლიოს მოვლენების განვითარებას მიმართულებას აძლევს არა ცალკეული ქალაქის ისტორია, არამედ ერთიანი, მოწინავე. ამჟამად ბერძნული, სამყარო თავისი ინტერესებითა და საერთო ამოცანით.

პირველი დიდი ისტორიკოსი, ~~ჰეროდოტე~~ თუმცა წარმოშობით იონიელია, მაგრამ ის თავისი მსოფლმხედველობით ათენელია, ე. ი. გაერთიანებული ელინური სამყაროს წარმომადგენელია.

ჰეროდოტე (484—425 წწ.), წარმოშობით მცირეაზიელი, პალიკარნასელი, თავის სამშობლოს გარდა მოღვაწეობს სამოსზე, ათენში, იურიონში; მას უმოგზაურია საბერძნეთში, მცირე აზიის სანაპიროებზე, ეგვიპტეში, სირიაში, არაბეთში, ბაბილონში; პონტოს სანაპიროებზე, კოლხიდაში, სკვითებში, თრაკიაში, მაკედონიასა და სიცილიაში.)

[მან თავისი თხზულება „ისტორია“ (Ἱστορίαι) დაახლ. 430 წლისთვის დაასრულა. შემდეგი ხანის მოღვაწეებმა ის 9 ნაწილად დაჰყვეს და თითოს თითო მუზის სახელი დაარქვეს. თანამედროვე სპეციალისტებს ეს დაყოფა მექანიკურად მიაჩნიათ.

ცნობები ამ ძეგლში არის ძირითადად ძვ. წ. V ს-ისა და ზოგი მასზე აღრინდელი, რადგან ჰეროდოტეს, გარდა თავისი თანამედროვე და თვალთ ნახული ამბებისა, წყაროებიც მოვუოვებოდა (პომეროსი, ლოგოგრაფოსები, ოფიციალური ნუსხები და აღწერები, წარწერები და სხვა). მასალა, რომელიც ჰეროდოტემ შემოგვინახა მრავალსაუკუნოვანი კრიტიკის შემდეგ, ძირითადად სანდოდ არის

აღიარებული. ენა, რომელზედაც ჰეროდოტე წერს, არის ბერძნულის იონიური დიალექტი.

ჰეროდოტეს „ისტორიის“ მიზანი არის ბერძნულ-სპარსული ომების (500—449 წწ.) აღწერა და გარკვევა იმ მიზეზებისა, თუ რატომ ებრძოდნენ ერთმანეთს ბერძნები და სპარსელები. საკუთრივ ბერძნულ-სპარსული ომების აღწერა იწყება V წიგნიდან (ომის ისტორია მოყვანილია ბერძნების მიერ სესტოსის ალემამდე — 478 წ.). ხოლო I—IV წიგნებში მოცემულია ევროპისა და აზიის ქვეყნების ის ისტორია, რაც უსწრებდა წინ ბერძნულ-სპარსულ ომებს.

ჰეროდოტე მიჩნეულია „ისტორიის მამად“, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ლოგოგრაფოსებთან მას ბევრი რამ აკავშირებს, იგი თვისობრივად უკვე სხვა საფეხურზეა—მას ახასიათებს ერთიანი თემა (თუმცა ბევრი წიაღსვლა აქვს) და ინტერესი ისტორიისადმი (და არა მითებისადმი). მსოფლმხედველობის თვალსაზრისით იგი ახლოსაა პერიკლეს წრესთან—მაგ., სოფოკლესთან. იგი ღვთისმოსავია, მაგრამ მორწმუნეობასთან ერთად მას აქვს რეალურობის გრძნობა და ფხიზლად აფასებს ყოველდღიურ ცხოვრებასაც.

ქართველი ტომების შესახებ ცნობების გადმოცემა ჰეროდოტესთვის არასებითი არ ყოფილა, მაგრამ სხვა მასალის გვერდით მას ასეთი მონაცემებიც მოუპოვება.

ჰეროდოტეს „ისტორიის“ რამდენიმე ადგილას გადმოცემულია არგონავტთა მითის სხვადასხვა ნაწილი ყურადღებას იქცევს ის ძირითადი ნაწი, რომელსაც ავტორი იტყვის: ლაქედემონელებს დიდი როლი ენიჭებათ ამ ექსპედიციაში: მთელი ეს საზღვაო ექსპედიცია არგონე ტინდარიდების მოწყობილი იყო (IV, 145). ამას გარდა, ამ მითშივეა ჩაქსოვილი მიზეზი საბერძნეთისა და სპარსეთის უფრო ფართოდ — დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირებულობისა: არგონელი იო მოიტაცეს ფინიკიელებმა, წაიყვანეს ეგვიპტეში. ამის მერე ელიანებმა ფინიკიის ტიროსიდან მოიტაცეს მეფის ასული — ევროპე. შემდეგ ელიანებმა მოიტაცეს ახა-კოლხიდიდან მედეა. ქალის მამამ დაკმაყოფილება ითხოვა და ელინებმა არ გაუგონეს. ამის მერე ტროელმა პარისმა — ალექსანდრემ, რომელმაც იცოდა, რომ ამისთვის პასუხს არ აგებდა, მოიტაცა არგონელი ელენე. როდესაც ელინებმა ელენე უკან მოითხოვეს, მათ პასუხად მიიღეს: თქვენ არც გიზღვევიათ და არც დაგიბრუნებიათ მედეა, ჩვენგან კი საზღაურსა თხოულობთო (I, 1—3). ამ პასუხს მოჰყვა ტროელთა და ბერძენთა ომი. ამგვარად, ამ ცნობის მიხედვით ტროელები და კოლხები ერთ ბანაკში არიან, ხოლო ბერძნები მათ

უპირისპირდებიან (ეს არის ასახვა იმ ისტორიული სინამდვილისა. რაც ძვ. წ. XIII ს-თვის დასტურდება: მცირე აზიის, ეგვიპტისა და შავიზღვისპირეთის გაერთიანებული მოსახლეობის დაპირისპირება საერთო მტრის ბერძნების წინააღმდეგ).

ასევე სიანტურესოა ის ცნობები, რომლებიც ჰეროდოტეს დროის ქართველ ტომებს ეხება. ქართველ ტომთა შორის იხსენიებიან: კოლხები, სასპეარები, ხალიბები, მაკრონები, მოსხება, ტიბარენები, მოსინოაკები, მარები. მათ მონათესავე ტომთაგან: ალაროდოლები, მათიენები არ არიან ჩამოთვლილნი, მაგრამ იხსენიებიან ტომები, რომლებიც კავკასიის მთებში ცხოვრობენ (I, 203) და ის ტომებიც, რომლებიც კოლხების მეზობლები არიან ჩრდილოეთიდან (III, 97). ზოგჯერ მოცემულია ცალკეული ტომების ლოკალიზაცია: მაგ., მეწამულ ზღვასა და ფასისს შორის ცხოვრობენ: სპარსელები, მიდიელები, სასპეარები, კოლხები (IV, 37. IV, 40). კოლხი-დასა და მიდიას შორის მხოლოდ ერთი ტომია — სასპეარები (I, 104), ან კიდევ — მაკრონები სირიელების მეზობლები არიან. სირიელები კი ცხოვრობენ თერმოდონტთან და პართენიოსთან (II, 104).

სხვა, არაქართველ ტომებთან ერთად ხალიბებიც კრომოსის ხელში არიან (I, 28). სპარსეთის ხელმწიფის ჯარში მყოფი ხალიბების, მოსხების, ტიბარენების, მაკრონების, მოსინოაკების, მარების, კოლხების, სასპეარებისა და ალაროდოლების შექუტრვილობის აღწერილობა მოცემულია VII, 76, 78—79 თავებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსხები, ტიბარენები, მაკრონები და მოსინოაკები ერთნაირად იყვნენ შექუტრილნი; ხოლო ალაროდოლები სასპეარები და კოლხები — ერთნაირად. მოსხები და ტიბარენები ომში ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენ; მაკრონები და მოსინოაკები — მეორეს; მარები და კოლხები ერთი მეთაურს ხელქვეითნი იყვნენ; ალაროდოლები და სასპეარები — მეორის.

ასევეადასხვა ტომის სახელწოდების ან თვით წარმოშობის საკითხებიც აქვს დასმული ჰეროდოტეს. მაგ., ყოფილ არაებს მიდიელები ეწოდათ კოლხიდელი მედეას საჩუქრის მიხედვით (VII, 62). თვით კოლხები, რომლებიც შესახედავად შავეკრემები და სუტუქთმიანები არიან, წარმოშობით არიან ეგვიპტელები; ცხოვრებაც და ენაც საერთო აქვთ ამ ორ ხალხს (II, 103—105).

ჰეროდოტეს ამ აზრის საფუძველი უთუოდ იმაშია საძებარი, რომ მან იცის, კოლხები საიდანაც არიან მოსული ფასისის მიდამოებში. რაკილა ეგვიპტე არის ჰეროდოტესთვის ყველაფრის წყარო (მაგ., დიონისეს კულტიც ეგვიპტიდან შევიდა საბერძნეთში),

ამიტომ კოლხთა თავდაპირველ სამშობლოდაც მას ეგვიპტე მიიჩნია, საიდანაც ისინი მოვიდნენ სესოსტრისის ლაშქრობის დროს (ე. ი. ძვ. წ. XIII ს-ში). თვითონ თარიღი ისეთია, როდესაც ეგვიპტის წლების აუზში ტომთა გადასახლებებს ჰქონდა ადგილი¹.)

გვაქვს ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები: კავკასიონის მთებში ბევრი ტომი ცხოვრობს. ისინი იკვებებიან ტყის გარეული მცენარეებით. ამ ხეების ფოთლებს ნაყავენ, წყალს ურევენ და ამკვარი საღებავით ხატავენ ტანსაცმელს. ეს ნახატი იმდენად გამძლეა, რომ სულ არ ხუნდება, მასალასთან ერთად ცვლება. ქსოვილის ასეთი მომზადება, მისი შეღებვა თუ დახატვა (და თანაც ისე, რომ ნახატმა მხოლოდ ქსოვილის გაცვეთასთან ერთად ფუჭდება), მოწმობდა იმისა, რომ მოსახლეობას ამ დროისათვის წარმოების ეს დარგი საკმაოდ განვითარებული ჰქონია (და შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ სხვა დარგებიც იყო ამასთან განვითარებული). ამის გვერდით დამაფიქრებლად უღერს შემდეგი ცნობა იმავე მოსახლეობის შესახებ: ამ მთიელებს კავშირი ისევე აშკარად აქვთ, როგორც ცხოველებს (I, 203). ჰეროდოტეს ცნობების განხილვისას ამ ცნობას ჩვეულებრივ დიდ ყურადღებას არ აქცევენ, ჩემის აზრით, იგი უნდა დავუკავშიროთ ქსენოფონტის მასალას, მოსინოპეების შესახებ რომ აქვს (იხ. ქვემოთ).

კოლხთა და მაკრონთა შორის წინდაცვეთის წესი არსებობს. მაკრონებმა ეს კოლხთაგან ისწავლეს, ხოლო კოლხები და ეგვიპტელები, ეთიოპელებთან ერთად იმთავითვე მისდევდნენ ამ წესს (II, 104). სელს კოლხები და ეგვიპტელები ერთნაირად ამუშავებენ. კოლხურ სელს ელინები სარდონულს (σαρδονιαιου λειου) უწოდებენ (II, 105).

III, 89—97 თავებში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ დარიოსმა (521—485 წწ.) 20 სატრაპიად დაჰყო თავისი სამფლობელო და სატრაპიებიდან ხარკს ღებულობდა. შრომის ეს ნაწილი დოკუმენტურ მასალაზე არის დაყრდნობილი. ერთი სატრაპია მეტს იხდის, მეორე ნაკლებს. საინტერესოა, რატომ ხდება ეს — იმიტომ, რომ გათვალისწინებულია ამა თუ იმ ხალხის ეკონომიური შესაძლებლობა, თუ ეს დამოკიდებულია იმაზე, რა სახისაა სპარსეთის ძალა ამა თუ იმ ქვეყნის მიმართ.

¹ იმავე რიგისაა ცნობა იმის შესახებ, რომ მაკრონები წარმოშობით ებრაელები არიან. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიასტი. სქოლიო II წიგნის 392 ტაბის მიმართ. ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

(ხარკის გადამხდელ ტომთა შორის ქართულ ტომებს (სარკისა და XVII-სა XVIII-სატრიახებში-გაერთიანებულენს) ჰეროდოტეს სიაში ბოლო ადგილები უჭირავთ (იხდიან 200 და 300 ტალანტს). მაგრამ თუ გადაუვლავთ-თვალს-იშას, თუ მათზე ვინ დააბლავთ-მათსავე, ვინა-ღახარკული (პარტები, აზიები, ბაქტრიანები, პელესპონტელები, ფრიგიელები, სირიელები, სხვადასხვა ტომის ბერძენები; მაშინ ნათელი გახდება, რომ მათ დარიოსის დროისათვის თვალსაიწინო ადგილი სჭირათ. *ეტიხა*)

ამის გარდა (III, 97) ჩამოთვლილია ხალხები, რომლებიც ხარკს არ უხდიდნენ სპარსელებს, მაგრამ სამაგიეროდ საჩუქრებს მიაართმევდნენ ხალხს. მათ შორის „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც, ვიდრე კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდება სპარსეთის მმართველობა...), ამათ საჩუქრად დაიწესეს ჩვენ დრომდე ყოველ მეხუთე წელს, რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი ქალწული“. ეს საჩუქრებიც ხარკის თავისებურ გამოხატულებას წარმოადგენს.)

[ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰეროდოტე არსად ახსენებს „იბერიას“. ძვ. წ. V ს.-ში დღევანდელი აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე უქველად სახლობდა განვითარების მაღალ დონეზე მყოფი ხალხი, რასაც მოწმობს არქეოლოგიური მონაპოვარიც. შესაძლოა ჰეროდოტემ იცოდა იბერიის არსებობა, სწორედ ამ სახელწოდებით, მაგრამ არ ახსენებს მას იმტომ, რომ მის თხრობის რკალში ის არ შედიოდა. მნიშვნელოვან მოვლენათა შორის ის აგვიწერს იმას, რაც უშუალო კავშირშია მებრძოლ ბერძენ-სპარსელებთან. ან კიდევ, უფრო სარწმუნოდ შეგვიგნება ის ამბავი, რომ იბერია ბერძენ ავტორებთან სტრატონამდე (თუ მის წყაროებამდე) საერთოდ არ იხსენიება, ეს მანამ, სანამ მითრიდატეს ომების დროს არ შეხვდნენ ერთმანეთს რომაელები და იბერები. მაშასადამე, ჰეროდოტესთან მისი ხსენება არცაა მოსალოდნელი.]

ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრისაა ს. ჯანაშია, რომელიც ამბობს, რომ მერმინდელი იბერ-ქართველი პეროლოტეს მოთხრობაში სასპეარების სახელით გვევლინებიან. სასპეარი ონომასტიკურადაც უდრის მერმინდელ იბერს; სასპეარებით დასახლებული ტერიტორია რომაულ ხანაში სისპირიტიდად იწოდებოდა, რაც შეიცავდა იბერია-ქართლის სამეფო ტერიტორიასაც, მხოლოდ მისი პოლიტიკური ცენტრი მცხეთა-არმაზის რაიონზე სამხრეთით იყო საძიებელი. სამხრეთით სასპეარ-იბერების მიწა-წყა-

ლი ვრცელდებოდა არაქსის ხეობასა, ქოროხის ხეობის ზემოთა ნაწილზე და ეფფრატის სათავეებზე¹.

ის ვრცელი ენობრივი ანალიზი და დაკავშირება, რასაც ს. ჯანაშია ახდენს სასპეარებსა (ჰეროდოტე), ჰესპერიტებსა (ქსენოფონტი). სასპეარებსა (აპოლონიოს როდოსელი), სუსპირიტისსა (სტრაბონი), იბერებსა, სასუბაროსა, თაბალ-თუბალსა და ტიბარენთან², შესაძლოა ერთხელ კიდევ გადასახედი იყოს; ხოლო რაც შეეხება თანამედროვე საქართველოს აღმ. ტერიტორიაზე და შავი ზღვის სამხრ. აღმ. მხარეებში მცხოვრები ტომების ურთიერთობის საკითხს, a priori შეიძლება იმის თქმა, რომ მათ ურთიერთობა ექნებოდათ, მაგრამ რა სახის იყო ეს ურთიერთობა, ჰეროდოტეს „ისტორიის“ მიხედვით არ ჩანს.

ჰეროდოტეს „ისტორიაში“ არის წმინდა გეოგრაფიული ხასიათის ცნობები (მან იცის კავკასიონის ქედი, მდინარეები — ფასისი, ჰალისი... პონტო, კასპიის ზღვა). ამ ასპექტში საინტერესოა ის, რომ მას პარალელურად მოჰყავს ძველი და ახალი ტოპონიმები. მაგ., ამა-კოლხიდა (I, 2; VII, 197), პითო-დეღო (I, 54)... ე. ი. ამა ძველი სახელია, მისი შესაბამისი მომდევნო ხანის სახელი არის „კოლხიდა“, „პითო“ უწინ ეწოდებოდა იმას, რასაც შემდეგ დაერქვა „დეღო“.

ამრიგად. ჰეროდოტე არის ძვ. წ. V ს-ის საქართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წერილობითი წყარო, სადაც მოცემულია:

1. ქართველი ტომების ურთიერთობა სპარსეთის სახელმწიფოსთან; მათი ეკონომიური მდგომარეობა, მათი სხვადასხვა წეს-ჩვეულება, თვით მათი მიმართება ერთმანეთთან.

2. ჰეროდოტეს აქვს შემონახული უძველესი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ადგილი უჭირავთ ქართველ ტომებს ეგეისის ზღვის აუზის მცხოვრებთა შორის (მედია არის ეპონიმი მიდიის; ტროელეზი და კოლხები ერთი ორიენტაციის არიან).

ტექსტი: 1. კრიტიკული გამოცემა პ. შტაინისა (I გამოც. 1869 — 1971 წ., VI გამოც. 1901 წ.). 2. Hude-ს გამოცემა — 1908 წ., ორ ტომად 3. Ph. Legrand-ის გამოცემა — Paris, 1932—54 წწ. გამოც. 10 ტომად (არის უკვე II გამოცემაც 1955 წ.-დან).

¹ ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველ-საცხოვრისის შესახებ: შრომები, II, 1952, გვ. 21—101.

² ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი; ასევე „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“: შრომები, III.

ახალი გამოცემა: Herodotos Historien, griechisch und deutsch, hrsg. von Feix. J., München. 2 ტომად, 1963.

თარგმანები, რუსულად: ა. მარტინოვის, ბ. გორბაჩევი-სკის, თ. მიუჩენკოსი (1888 წ.), ორ ტომად, სტრატანოვი-სკის, 1972 წ.

ნაწყვეტები: В. В. Латышев, SC, I. ВДИ, 1947 (დამატება).

ფრანგულად: Ph. Legrand-ის გამოცემაში, ბერძნული ტექსტის პარალელურად.

ინგლისურად: Enoch Powell-ის, 1949, Oxford (2 ტომად). Herodotus, The Histories, transl. and introd. by Carter H. Oxford, 1962.

გერმანულად: Feix-ის გამოცემაში, ბერძნული ტექსტის პარალელურად. Th. Braun-ისა, Das Geschichtswerk des Herodotos von Halikarnassos, 1964, Leipzig.

ქართულად: ჰეროდოტე, „ისტორია“, თარგმანი, შესავალი და საძიებელი თ. ყაუხჩიშვილისა. I, 1975, II, 1976.

ნაწყვეტები: თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, 1960. აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი... გვ. 280—286.

ქსენოფონტი (435/31—355/54 წწ.) წარმოშობით ათენელი, წარჩინებულთა წრიდან. ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებულ, იყო სოკრატეს მოწაფე. თავისი ცხოვრების მეტი წილი თავისი პოლიტიკური სიმპათიებისა და ამისი შესაფერისი მოღვაწეობის შედეგად გაატარა ათენს გარეთ. 401 წელს შეეკედლა კიროსის არმიას და 10000 მოქირავნესთან ერთად გაილაშქრა არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ ათენიდან გაძევებული ცხოვრობდა სხვადასხვა ქალაქებში, გარდაიცვალა კორინთოში.

ქსენოფონტი არის ბერძნული საისტორიო პროზის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. მისი სახელით ბევრმა თხზულებაა ჩვენამდე მოღწეული: „საბერძნეთის ისტორია“, „აგესილაე“, „ლაკედემონელთა პოლიტია“, „მოგონებანი სოკრატეზე“, „სოკრატეს აპოლოგია“, „ოჯკონომიკოსი“, „სიმპოსიონი“, „კირაჰაპედია“, „კონეგეტიკოსი“ და სხვ. საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა მისი „ანაბასისი“ (Κύριος ἀναβάσις), „ანაბასისში“ აღწერილია 10000 მოქირავნის ლაშქრობა არტაქსერქსე II-ის წინააღმდეგ, ბრძოლა კუნაქსასთან, კიროსის დალუპვა და მოქირავნე-

ების უკან დაბრუნება. „ანაბასის“, როგორც ისტორიულ წყაროს (~~მონაწილე ავტორის სტანფორდის გამოთავის დეაწლის უკვდავ-
ფესაფენს~~) შიარად უნდობლად ეყიდებიან ხოლმე, მაგრამ რადგან ქსენოფონტს ქართველი ტომების მიმართ არავითარი პოლიტიკური ინტერესი არ შეიძლება ჰქონოდა, ამიტომ ის ნაწილი, რომელიც გადმოსცემს ქართველი ტომების ამბავს, უეჭველად სანდოა—„ანაბასისა“ არის ლიტერატურულად გადამუშავებული დღიური, რომელსაც ქსენოფონტი ადგენდა მთელი ლაშქრობის დროს, ესთაჟორ ~~გად დაჯერებულნი თვითმშობლებს ცნობუბი~~, რომელთაც პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიისათვის.)

(ქსენოფონტს და მის თანმხლებ ბერძნებს მოუხდათ მკნავერობა ქართველი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე. იგი ასახელებს და ასახიანებს შემდეგ ტომებს: კარდუხებს, ტაოხებს, ხალიბებს, ხალდებს, ფასიანებს, სკვითინებს, მაკრონებს, კოლხებს, დრილებს, მოსინიკებს, ტიბარენებს, ჰესპერიტებს, კოხტებს.)

კარდუხებით დასახლებული ტერიტორიის საზღვრებია: ჩრდილოეთით მდ. კენტრიტზე (თანამედროვე ბოტან-ჩაი), დასავლეთით მდ. ტივრისზე — სამხრეთით ქ. ჯიზრეს მიდამოებში (ე. ი. თანამედროვე ქუთისტანის მთიანეთის დასავლეთ ნაწილში). კარდუხების სახელის ვარიანტებია ბერძნულ-რომაული წყაროების ყიფნაჟიფ და Cordueni; ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილმა ის დაუკავშირა „ქართულებს“ სახელწოდებას¹.

კარდუხები სპარსთა მეფის მეტრები არიან, მაგრამ არც ბერძნების მიმართ იჩენენ მეგობრულ განწყობილებას, არ აძლევენ სურსათს, ამიტომ მათ შორის ბრძოლა ხდება. ბერძნებმა კარდუხების სახლებში იპოვეს დიდძალი სანოვავე და სხვადასხვაგვარი ბრინჯაოს ნივთები (IV, 1, 8), რაც ამ ტომის ეკონომიურ სიძლიერესა და წარმოების განვითარების მომასწავებელია, ამიტომაცაა, რომ ისინი არც სპარსეთის მეფეს ებუებნიან და არც მისი მოწინააღმდეგის მოსვლა გაეხარადათ.

(ტაოხები, რომლებიც ცხოვრობენ მერმინდელ ოლთისის-ოლქში, სპარსეთის მეფეს არ ემორჩილებიან და ხალიბებთან ერთად სპარსელი სატრაპის ტირიბაძეს მოჭირავენები არიან (IV, 4, 13)².

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913 წ. გვ. 34—35.

² არაერთი ქართველი ტომი არის ამ ნაწარმოების მიხედვით სპარსეთის მოჭირავენე. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ისინი ამ დროისათვის სპარსეთის მიმართ სამხედრო ვალდებულები აღარ არიან, მოუპოვებიათ თავისუფლება და

ბერძნებს არც უხენი შეხვედრიან უკულოდ — მოხულებს მათ სურსათი დაუჭირეს და ამის გამო მათ შორის შეტაკება ხდება (V, 5, 17). მათი სამშობლო მთიანი ქვეყანაა. თვითონ გამაგრებულ ადვილებში ცხოვრობენ (IV, 7, 1), ტაოხების საქმიანობა — მეცხოველეობაა. მათ ჰყავთ ბევრი მსხვილფეხა საქონელი, სახედრები და ცხვარი (IV, 7, 14) შეიარაღება სუსტი აქვთ, მაგრამ ამავე დროს ერთი ტაოხის ჩაცმულობა ელინ ოფიცერსაც კი ხიბლავს (IV, 7, 13—14), ეს კი ამ ტაოხის რჩეულ სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს.) ტაოხების სულიერ სიმტკიცეს მიუპყრია ქსენოფონტის ყურადღება (IV, 7, 13—14). ხალიბების სახელი ბერძნულ წყაროებში საკმაოდ ხშირად გვხვდება და ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ცალკე დასადგენი მათა საცხოვრისი, რომელიც, როგორც ჩანს, იცვლებოდა სხვადასხვა ისტორიულ სიტუაციაში. ის ხალიბები, რომლებიც ქსენოფონტმა ნახა, ორ ადგილას იმყოფებიან — ერთნი არიან მდ. პარპასოსის (თანამედროვე ჭოროხის) ხეობაში, ოლო მეორენი — მონინოაკების დასავლეთით, ქ. კოტიორას (თანამედროვე ქ. ორდუს) აღმოსავლეთით. ჭოროხის ხეობაში მცხოვრები ხალიბები თავის მეზობელ ტაოხებთან ერთად ტირიბაძეს მოქირავნენი არიან (IV, 4, 18), რაც მათ სიძლიერეზე მიუთითებს (მათ თავი უხსნიათ სპარსეთის უღლისაგან). ისინი გამაგრებულ ადვილებში ცხოვრობენ და მათი სიმამაცე ქსენოფონტისათვის საგანგებოდ აღსანიშნავი გამხდარა. მათ ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს ელინებს და მათი შეიარაღება ისეა აღწერილი, რომ აშკარად ჩანს მათში სელის მეურნეობის არსებობა (მუცლამდე სელის აბჯარი ჰქონდათ, ხოლო წელს ქვემოთ — სქლად დაგრეხილი თოკი. IV, 7, 15—17).

მათთან შედარებით უფრო დასავლეთით მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალიბები კი, რომელთა საარსებო საშუალება რკინის საბადოების დამუშავება იყო, მოსინოაკების ქვეშევრდომები არიან (V, 5, 1), რაც, ცხადია, მათი პოლიტიკური და ეკონომიური დამახუნების შედეგი იქნებოდა.)

ხალდები, რომლებიც ჩვეულებრივ ერთ-ერთ ქანურ ტომად არიან მიჩნეული, ასევე განთავისუფლებულან სპარსთაგან და ამ დროისათვის არმენიელებთან და მარდებთან ერთად სპარსელი საერაპის, ორონტას და მისი სარდლის, არტუხას მოქირავნეები არიან,

ახლა მოქირავნებად წასულან. „მოქირავნობა შეიძლებოდა გაჩენილიყო მაშინ, როდესაც გვაროვნული წყობილება დაშლას იწყებს და უშიწაწულოდ დარჩენილი თავისუფალი მეთემენი მიდიან საშოვარზე თავისი ქვეყნის ვარეთ“: თ. შიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, 1967, გვ. 58.

ისინი მამაცი და საშიში ხალხის რეპუტაციისა იყვნენ (IV, 3, 4; V, 5, 17) ¹.

ფასიანების სახელწოდება ისეთია, რომ სრულიად უეჭვოა მისი კავშირი „ფასისთან“. ქსენოფონტიც ასე აღიქვამს ამ სატომო სახელს და იგი ორ ტომს(?), თუ ორ დასახლებას უწოდებს ამ სახელს — ერთს მოსახლეს ფასის-არაქსთან და მეორეს — მოსახლეს ფასის-რიონთან. ორივე რიგის „ფასიანების“ კავშირი კოლხებთან უდავოა ².

ფასის-არაქსის „ფასიანები“ ბასიანის აუზში ცხოვრობენ (IV, 6, 5) და ისინი არ არიან თავისუფალი სპარსთა ბატონობისაგან, ჰესპერიტებისა და ფასიანების გამგებლად ტირიბაძე არის გამოცხადებული (VII, 8, 25). ეს ფასიანები თვითონ ნახა ქსენოფონტმა.

რაც შეეხება ფასის-რიონის „ფასიანებს“, მათ ტერიტორიაზე ელინთა ლაშქარი არ ყოფილა — სტრატეგოსებმა ურჩიეს ქსენოფონტს, გაეცურათ ფასისისკენ და დაეპყრათ ფასიანთა ქვეყანა, სადაც ამ დროს ადეტესის შვილიშვილი შეფობდა (V, 6, 36), მაგრამ ეს ექსპედიცია არ შემდგარა. ეს ცნობა ძალიან მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი იმით, რომ კოლხების ქვეყანა ფასიანთა ქვეყნად არას წოდებული („ფასიანები“ ე. ი. „ფასისელები“ ამ მნიშვნელობით იციან ჰიპოკრატემ და ჰერაკლიდემაც) და მეორე იმით, რომ მისი (ე. ი. ელინთა) აზრით, და შესაძლოა ადგილობრივი მოსახლეობის რწმენითაც, მისი თანამედროვე კოლხი ბასილევსი ლეგენდარული ადეტესის ჩამომავალია ³.

სკვითინები ცხოვრობენ მდ. ჰარპასოსთან (ე. ი. ჭოროხთან), ე. ი. მათ ეჭირათ ჭოროხის ხეობის მარცხენა ნაწილი და ტავროსის კალთები (IV, 7, 18).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მდ. ჭოროხის ზემო წელზე ერთ-ერთ მთას მოსახლეობა დღესაც ჰარპაზონის მთას უწოდებს (იხ. სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXIV, № 6, 1960 წ. გვ. 763), რაც იმას მოწმობს, რომ უძველესი ტოპონიმი დღემდეა შემორჩენილი.

¹ არიან აეტორები, რომლებიც ხალდებსა და ხალიბებს აიგივებენ, მაგრამ ქსენოფონტს ისინი ცალ-ცალკე ჰყავს ხსენებული (შემდეგ იმავე მასალის მიზონილისას დიოდორე სიცილიელი უყვე მართო ხალდებს ახსენებს. იხ. ქვემოთ).
² ამის მანიშნებელია თეოკრიტეს იდილიების სქოლიონი, სადაც ნათქვამია კოლხოსი ფასისის ძეაო, SC, 1, გვ. 398.

³ „ეს თვით ადრეანტიკური კოლხეთის მეფის კარზე შემუშავებული შეხედულებაა, რომელიც მისი უფლების თეორიულ დასაბუთებასა და ხელისუფლებას უზენაესობის რწმენის განმტკიცებას ისახავდა მიზნად:“ ოთ. ლ ო რ თ ჭ ი ფ ა ნ ი ძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 111.

ამ ტომის სახელი დაკავშირებულია მეგრულ-ქანურ „შკვითთან“ და სხვა მონაცემებთან შედარების საფუძველზე გაგებულია, როგორც „შვიდსოფლები“, ე. ი. სკვითინთა სახელი ნიშნავს შვიდი სოფლის, შვიდი სასოფლო თემის გაერთიანებას, სკვითინები ეთნიკურ-პოლიტიკური გაერთიანებაა. მათ ტერიტორიაზე არის დიდი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი გვიმნიასი, რომელიც მმართველის რეზიდენცია ჩანს (IV, 7, 19). გვიმნიასი ივარაუდება თანამედროვე დაბა ვალახორთან (ქ. ბაიბურთიდან დაახლ. 20 კმ-ის დაშორებით). სკვითინები მტრულ ურთიერთობაში არიან მეზობელ ტომებთან, რომლებიც დაასჯევინეს მოსულ ბერძნებს (IV, 7, 19—20). ეს მტრული ურთიერთობაც იმის მაუწყებელია, რომ სკვითინთა გაერთიანებას აგრესიული ზრახვები ჰქონდა მეზობელთა მიმართ, მეზობელი მოსახლეობა კი, როგორც ჩანს, ახერხებდა მათ გაძლიანებას.

კოლხების ტერიტორიაზე მოსულმა ელინებმა ნახეს ელინური ქალაქები — სინოპეს კოლონია, კარგად დასახლებული ტრაპეზუნტი და ზღვისპირა კერასუნტი (IV, 8, 22—24; V, 3, 2). ტრაპეზუნტელები მოსულ ელინებს ეხმარებიან სხვა კოლხებთან მოლაპარაკებაში და მათ საჩუქრებსაც მიართმევენ (ხარებს, ქერის ფქვილსა და ღვინოს). დაბლობზე მცხოვრები კოლხებიც საჩუქრად ხარებს მიართმევენ მოსულ ბერძნებს (IV, 8, 22—24). ბარში მცხოვრებ კოლხებს კარგი ურთიერთობა აქვთ ტრაპეზუნტთან და მოსულ ელინებთან, ხოლო მთაში მოსახლე კოლხები მტრულ ურთიერთობაში არიან სანაპიროს ბერძნულ მოსახლეობასთან.

(კოლხების ცხოვრებიდან ქსენოფონტზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სკას — უამრავი სკა ჰქონიათ კოლხებს და იქიდან ამოღებულ თაფლს მოსული ჯარისკაცები დაუწამლავს) (IV, 8, 20—21).

წალსანიშნავია ის გარემოება, რომ ის კოლხები, რომლებიც ქსენოფონტს უნახავს, ცხოვრობენ ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოებში (ტრაპეზუნტი დღევანდელი ტრაპზონია; ხოლო კერასუნტი — გირესუნი) და შეიძლება ითქვას, რომ „ანაბასისი“ ერთადერთი წყაროა, რომელიც ასე პირდაპირ, გარკვეულად აღნიშნავს ამ ტომის საცხოვრისს ასე სამხრეთით, ამ დროისათვის.)

ქსენოფონტის ცნობების მიხედვით კოლხები დასავლეთით კერასუნტს იქითაც ვრცელდებოდნენ და ესაზღვრებოდნენ მოსინოპესს, სამხრეთით კი მაკრონებს. აღმოსავლეთით ისინი სცილდებოდნენ ტრაპეზუნტს და დაახლ. პონტოს ტავროსის ფერდებამდე იყვნენ. სანამდე ვრცელდებოდა კოლხების სამფლობელო ზღვის გასწვრივ ჩრდილოეთისკენ — არ ჩანს.

ქსენოფონტის ცნობები მეტად-მნიშვნელოვანია კოლხების ეკონომიკურ ზღვომარეობასა და მეურნეობის სახეობათა დასახასიათებლად, კოლხიდისა (თუ მისი ნაწილის) ტერიტორიის დასადგენად (ეს საკითხი თანამედროვე მეცნიერებაში საბოლოოდ გარკვეული არ არის: ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრები კოლხები რას წარმოადგენენ. ეს მხარე დამოუკიდებელი ერთეულია, თუ კოლხიდის სამეფოს ნაწილია; ან კოლხების საცხოვრისი როგორ უნდა წარმოვიდგინოთ. ისტორიულ ასპექტში როგორი იყო მისი მდებარეობა, რა საზღვრებში ვრცელდებოდა იგი და ა. შ.).

ქსენოფონტი ასახელებს კიდევ ერთ ტომს, დრილებს, რომლებთანაც მოსულ ბერძნებს ბრძოლა მოუხდათ. ისინი ავიწროებდნენ ტრაპეზუნტელებსაც და დახასიათებული არიან, როგორც ყველაზე უფრო მეომარი ხალხი (V, 2, 2). მათ აქვთ კარგად გამაგრებული ქალაქი და სავაოდ შეძლებულები ჩანან — განსაკუთრებით მდიდარი არიან შინაური საქონლით (ხარი, ღორი, ცხვარი).

დრილები მიჩნეული არიან დასავლეთ ქართულ ტომად და მათი საცხოვრისი მდ. ხარშუტის ხეობაში ივარაუდება, კოლხების სამხრეთით.

მაკრონთა სატომო სახელს დიდიხანია, რაც უკავშირებენ ეთნიკურ ტერმინს „მეგრელი“ (ე. ი. ისინი მეგრულ-ჭანურ ტომად არიან მიჩნეულნი). მათი საცხოვრისი „ანაბასისის“ მიხედვით არის ტრაპეზუნტსა და ზიგანდალს შორის, სამხრეთ-საზღვარი მდ. მაჩკადერეზე გადის, აღმოსავლეთით — კაზიკლი-დაღზე, დასავლეთით ისინი კერასუნტის ხაზს აღწევენ და აქ მოსინოაკებს ესაზღვრებიან.

ქსენოფონტის განცხადების თანახმად, მაკრონები ბარბაროსები არიან. მაგრამ ბერძნებს საბოლოოდ მაინც მეგობრულად შეხვდნენ და სურსათიც მისცეს, მანამდე კი კინალამ შეტაკებაც მოუხდათ (IV, 8, 7; 6; V, 5, 18).

აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძენ პელტასტთა შორის აღმოჩნდა მაკრონი, უწინ მონად გაყიდული ათენში (IV, 8, 4—5). ბერძნულ წერილობით წყაროებში ეს უძველესი ცნობაა ქართველი კაცის ათენში მონად ყოფნის შესახებ.

მოსინოაკების (სახელი ქართველური წარმოშობისა ჩანს, მოსინოაკი, რაც ჭანების თუ სვანების სახელის უძველესი ბერძნული ფორმა უნდა იყოს) ორი ჯგუფი ჰყავს გამოყვანილი ქსენოფონტს — პირაქეთა და პირიქითა. ესენი ერთმანეთში მტრულად არიან და არც ელინებს შეხვედრიან ერთნაირად (V, 4, 3). პირიქითელი მოსინოაკები ელინების მოკავშირეები ხდებიან პროქსენოსის, ტი-

შესიტოვოსის -- ჩარევით. (V, 4, 8; 4, II); ხოლო პირაქეთელები — მტრულად შეხედნენ ელინებს დავიდა — გამაჯრებელი აღგილების იმედით (V, 4, 2). ბრძოლაში მარცხდებიან პირაქეთელები. დამარცხებულითა სახლებში ელინებმა დიდძალი სურსათი წახეს: წინა წლას პურის მარაგი, რაც განაწილებულა და ახალი პურიც, თავთავებად დაგროვილი. ~~მეტ. ბევრი ასლიც~~ (V, 4, 27). ამფორებში იყო დამარილებული ზღვის ღორის ხორცი, ~~სხვა~~ სხვა კურკლებში ამავე ღორის ქონი, რასაც ისევე იყენებენ მოსინოაქები, როგორც ბერძნები ზეთს (V, 4, 28). სხვენში შენახული იყო ბევრი წაბლი, რასაც მოსინოაქები ჰამენ ან მოხარშულს, ან პურად გამოცხებარს. აქვთ ბევრი ღვინოც, რაც ელინებს, გაუზავებელი ცხარედ და მკავედ ეჩვენათ, ხოლო წყალშერეული — მოეწონათ (V, 4, 29).

ყოველივე ეს მოწმობს მათ მატერიალურ დოვლათზე, რაც შეუძინეველი არ დარჩა ქსენოფონტს. ასევე შეუძინეველი არ დარჩა ავტორს ის ბრძოლა, რაც იყო თვით მოსინოაქთა შორის და ის საზოგადოებრივი წყობა, რაც მათ ანასიათებთ: მოსინოაქები 2 ნაწილად არიან გათიშული და ებრძვიან ერთმანეთს ძალაუფლებისათვის. პირიქითელ მოსინოაქებს ჰყავთ თავკაცები (ἄρχοντες) — რომლებიც აწარმოებენ ელინ სტრატეგოსებთან მოლაპარაკებას თავისი თანამეტომეების სახელით (V, 4, 3), პირაქეთელებს კი უპყრიათ მეტროპოლისი და ბრძოლაც მათ შორის მისთვის ხდება — რადგან ვისიც ეს ქალაქი ექნებოდა, ის იქნებოდა მთელი მოსინოაქების გამგებელიც, ახლანდელ შინ მფლობელებს კი (ცხადია, მეორეჯერ ფის აზრით) უკანონოდ არ ეპყრათ ქალაქი, თავისი უპირატესობა მათ საერთო სამფლობელოს დაპყრობით მოიპოვეს“ (V, 4, 15). მათ ჰყავთ ხის კოშკებში (მოსინებში) ¹ მეფეები (βασιλεὺς), რომელთაც დარაჯობენ და საზოგადოებრივ ხარჯზე აცხოვრებენ. მეფეები ამ კოშკებიდან არ გამოდიან (მაშინაც კი, როცა ეს კოშკები მტერმა ცეცხლს მისცა. V, 4, 26). მოსინოაქების „მეფეები“ სპეციალისტებს ესმით როგორც კულტის მსახურები (ქურუმები). მოსინოაქები არა მარტო ერთმანეთში იბრძვიან ძალაუფლებისათვის, არამედ ახერხებენ ე. წ. საგარეო ომებსაც — ქსენოფონტის დროისათვის მათი ქვეშევრდომები არიან ხალხები (V, 5, 1), რომლებიც, ცხადია, მათ ნებაყოფლობით არ ჩაბარდებოდნენ. ასევე შეუძინეველი არ დარჩა ავტორს მდიდარი მოსინოაქების ჩასუქებული, განახებული, თეთრი და დატატუირებული შვილები (V, 4, 32).

¹ მოსინებისა და მოსინიკების შესახებ იხ. ქვემოთ იმ პარაგრაფში. რომელიც ეხება დიონისოს პალიკარსკულს.

პროქსენოსის არსებობა მოსინოაკთა ცხოვრებაში და მისი საქმიანობის აღნიშვნა ქსენოფონტის მიერ სპეციალისტებს აძლევს იმის საფუძველს, რომ მოსინოაკებში ამ დროისათვის გვაროვნული წყობილების დაშლა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის წარმოშობა და დიპლომატიური ურთიერთობის საჭიროება ივარაუდო¹.

იმ განვითარებული საზოგადოებრივი ყოფის ფონზე, რომელსაც ქსენოფონტი აკვიწებს, საგანგებო ყურადღებას იქცევს (და ელინებზედაც შოუხდენია ამას შთაბეჭდილება) *coitus publicus*-ი, რასაც მისდევენ მოსინოაკები (V, 4, 33—34). როგორც სამართლიანად ვარაუდობენ სპეციალისტები, ბერძნები მოწმენი გამხდარან ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული რელიგიური მისტიერიისა, რომლის ნაწილი იყო კოაქტუსის ინსცენირება, იმიტაცია².

მოსინოაკების ქვეყნის შესახებ ნათქვამია, რომ ის იყო მთავორიანი (V, 4, 31), მაგრამ ზღვაზედაც გადიოდა: მათი აღმოსავლეთის მეზობლები კოლხები და დრილები იყვნენ, ხოლო დასავლეთის მეზობლები (და ქვეშევრდომები) ხალიბები.

ტიბარენების სახელის კავშირს აღმოსავლური წყაროების თვბალ-თაბალთან არა ერთი მკვლევარი შეხებია. ისინი დღესდღეობით მეგრულ-ქანურ ტომად არიან მიჩნეული. მათი საცხოვრისი (რომელიც ხალიბების დასავლეთითაა) ძირითადად ვაკე ადგილასაა, ზღვისაკენ ნაკლებად გამაგრებული, ზუსტი განსაზღვრა მათ მიერ დაკავებული ტერიტორიისა—ძნელდება. მათ ტერიტორიაზეა ელინური ქალაქი კოტიორა (თანამედროვე ორდუ), რაც სინოპელთა კოლონიაა. ტიბარენები მოსულ ბერძნებს მეგობრულად მოეკიდნენ (V, 5, 2), ხოლო კოტიორა კი მტრულად (V, 5, 6; 19). კოტიორა სინოპეს ბეგარას უხდის (V, 5, 7), სამაგიეროდ სინოპემაც დაიცვა კოტიორა, როდესაც მოსულმა ელინებმა მას შევიწროება მოუნდომეს (V, 5, 8—19).

ქსენოფონტის „ანაბასისის“ ბოლო (VII, 8, 25), რაც ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ტექსტში მოცემული ცნობებისას, ჩვეულებრივ მიჩნეულია სხვა, ვითარების კარგად მცოდნე პირის შემოქმედებად. აქ პირველად არის ხსენებული 2 ტომი: ჰესპერიტები და კოატები.

ჰესპერიტებს ამ სახით მხოლოდ ქსენოფონტი ახსენებს. ისანი ფასიანებთან ერთად სპარსეთის გამგებლობაში იმყოფებიან და მათ

¹ თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, 1967, გვ. 58, 139.

² იქვე, გვ. 141, შენ. 65.

საერთო მმართველად ტირიბაძე ჩანს. სავარაუდებელია, რომ ისინი ცხოვრობდნენ ფასიანების სამხრეთით, მდ. ტიგრისის სათავეებთან.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ჰესპერიტები“ ვაიგივებულა ჰეროდოტეს „სასპეარებთან“ და სტრაბონის „სუსპირიტისთან“.

ამ სიტყვებს (სასპეარი, ჰესპერიტი, სუსპირიტისი) ჩვეულებრივ აკავშირებენ ხოლმე სატომო სახელთან „იბერთან“, რასაც ჩემის აზრით, დამტკიცება სჭირდება.

კოეტების შესახებ. მ. მაქსიმოვა წერს, რომ ეს არის მცირეაზიელი ხალხი, ხოლო პაპეს ლექსიკონში *Κοιται* მიჩნეულია *Τάριχοι*-ს შეცდომად. მე ვფიქრობ, რომ *Κοιται* არის შემდეგ, იტალიისა და სხვა ორთოგრაფიული ცვლილება-აღრევის შედეგად გაპარული ფორმა. მისი თავდაპირველი დაწერილობა უნდა ყოფილიყო *Κνται* (რაც თავისუფლად იძლევა მერე *Κοιται*-ს). *Κυται*-ში კი იგივე ძირია, რაც არის *Κνταια*-ში (ამისი პარალელური ფორმებია: *Κυταια*, *Κνται*, *Κνταιη*). ესაა „ქუთაისის“ აღმნიშვნელი სიტყვა დამოწმებული ძვ. წ. III ს.-დან. იგივე ძირია *Κυταισθαρις*-ში, რომელიც ფრიქსოსის ძეა, რაც დამოწმებულია უკვე ძვ. წ. V ს.-ში (არ მომყავს სხვა ბევრი მაგალითი *Κυτ*-ძირიანი სახელებისა). ქსენოფონტის *Κνται*—ე. ი. კვტები.

ამგვარად, ესეც ქართველი ტომია, „კვტები“, რომლებიც იხსენიებიან კოლხებთან, მოსინოაკებთან და ტიბარენებთან ერთად, როგორც დამოუკიდებელი სპარსეთისაგან. მსგავსი სახელწოდების ფორმა გვხვდება პლინიუსთან (NH, VI, 19), რომელიც სავრომატების მერე, საღდაც იმავე ჭგუფში ახსენებს „კოიტებს“; სხვაგან ამ ტომის სახელი არ ჩანს, და თუ ჩემი მოსაზრება სწორია (და ეს *Κυτ*-ძირის შემცველი სიტყვაა), ეს მოხდა იმიტომ, რომ მალე განიცადა მან ასიმილაცია სხვა ქართველ ტომებთან, თავისი სახე დაკარგა.

(ქსენოფონტის ცნობათა შორის ყურადღებას) იპყრობს კიდევ ერთი, დაცული მის ტრაქტატში „ნადირობის შესახებ“ (II, 4). სხვადასხვა სახის ბადეები უნდა გაეთედეს ფასისური (*φασισური*) ან სხვა, კართაგენული წმინდა სელისაგან. ქსენოფონტის ფასისური სელი იგივეა, რაც ჰეროდოტესა (II, 105) და სტრაბონის (XI, 2, 17) (კოლხური სელი, განთქმული თავისი ხარისხითა და გამოყენებულ საექსპორტოდ.)

ტექსტი: უახლესი გამოცემები: 1. *Xenophontis Anabasis* erklärt von C. Rehdantz, O. Cornuth, Berlin, 1912.

2. Xenophontis Expositio Cyri, iterum recensuit G. Gemoll, Lipsiae, 1909.

ნაწყვეტები: В. В. Latyshev, SC, I. გვ. 65—84. ВДИ, 1947, № 2, გვ. 303—305.

თარგმანი: Ксенофонт, Анабасис, перевод, статьи и примечания М. И. Максимовой, М. Л., 1951.

Xenophon Athenicensis, Anabasis übers von Forbiger A. & Woyte C; Anmerkungen von Lotze, D, Leipzig, 1964.

თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“ (ცნობები ქართული ტომების შესახებ), თბ., 1967.

VII—VI სს.-ში ბერძნულ სამყაროში შექმნილმა ახალმა ყოფამ, ბერძნული მოსახლეობის საბერძნეთის ტერიტორიის გარეთ გასვლამ და კონტაქტმა ახალ ქვეყნებთან გამოიწვია ის გარემოება, რომ წარმოიშვა მთელი რიგი ახალი დისციპლინებისა, განვითარდა მეცნიერების სხვადასხვა დარგი.

ერთ-ერთი ასეთი იყო მედიცინა, კავშირში ბუნებისმეტყველების (ფართო გაგებით) სხვადასხვა სფეროსთან.

თვითონ ბერძნები მედიცინას ცალკე დარგად არ მიიჩნევდნენ და ფილოსოფიაში შემაჯალ ერთ-ერთ დისციპლინად აცხადებდნენ.

იმის მიხედვით, რაც ქვემოთ იქნება მოყვანილი, ჰიპოკრატე მედიკოსად არ წარმოგვიდგება, მაგრამ მისი ძირითადი ნაშრომები სწორედ მედიცინის სხვადასხვა საკითხს ეხება, ხოლო ჩვენი განსახილველი ტრაქტატი „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ მოწმობაა იმისა, რომ ძველ საბერძნეთში მეცნიერების სხვადასხვა დარგი ისე არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან, როგორც დღეს: ანტიკური საბერძნეთის მეცნიერები ფართო დიაპაზონის მოღვაწენი იყვნენ.

ჰიპოკრატე (460—356 წწ.) სახელგანთქმული ბერძენი ექიმი, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი, დაიბადა კუნძ. კოსზე. ასკლეპიადთა ოჯახში. მის მასწავლებელთა შორის იხსენიებიან ექიმი პეროდოკოსი, გორგიასი და ლემოკრიტე. მან ახალგაზრდობაშივე დატოვა თავისი სამშობლო და ბევრი იმოგზაურა ქვეყნებისა და ხალხების შესწავლის მიზნით. ზუსტად არ არის დადგენილი, თუ რომელი ქვეყნები მოინახულა.

ზოგი ბიოგრაფი ჰიპოკრატეს მეტისმეტად მაღალი სულის ბერძნულ წარმოდგენს და ამავე დროს ბარბაროსების (ე. ი. არაბერძნების) მოწინააღმდეგედ. არის ისეთი ცნობებიც, სადაც ის აღმოსავლეთს მეცნიერებას კარგ მცოდნედ არის აღიარებული.

ჰიპოკრატეს სახელით 100 ბერძნული და 30 ლათინური თხზულება ცნობილი, მაგრამ ესენი ყველა მისი არაა. მის უტყუარ ნაწარმოებთა შორის ასახელებენ ტრაქტატს „ჰაერთა, წყალთა და ადვილთა შესახებ“ (Περί ἀέρος ἰσχυροῦ καὶ ἰσχυροῦ), თუმცა არიან მკვლევრები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს ტრაქტატი ჰიპოკრატეს სკოლის წარმომადგენლისაა. რაკილა ტრადიცია ამ ნაშრომს ჰიპოკრატეს მიაწერს, ყველანი, ისინიც კი, ვინც ჰიპოკრატეს ავტორობას უარბუოდენ, მას ჩვეულებრივ ჰიპოკრატესეულს უწოდებენ.

მკვლევართა ნაწილი იმ აზრისაა, რომ ამ ტრაქტატის ავტორი კარგად იცნობს პონტოს ქვეყნებს და პირადად არის ნამყოფი ფასისზე. ნაწარმოები შედგება 2 ნაწილისაგან და დაწერილია იონიურ დიალექტზე, მომჭირნე, საქმიანი სტილით.

ამ ტრაქტატში გვხვდება ჰიპოკრატეს დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი და მოწინავე აზრები. მაგ., გარკვეულია გეოგრაფიული ფაქტორის როლი ადამიანის ფიზიკური და სულიერი თვისებების გამომწვევებისას (§ 24), საზოგადოებრივი მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მნიშვნელობა ადამიანისა და საერთოდ ტომის თვისებების ჩამოყალიბებაში (§ 16, § 23), ახსნილია ავადმყოფობათა ბუნება—ყველა ავადმყოფობა ეროვნირად ღვთაებრივია და ადამიანური. ყოველ ავადმყოფობას აქვს თავისი ბუნება და არაფერი ხდება ბუნების გარეშე (§ 22).

ღმერთების დამოკიდებულება ადამიანის მიმართ არაა უანგარო—რაც უფრო მდიდარია კაცა, მით უფრო მოწყალეა მის მიმართ ღმერთი, რადგან ღებულობს მისგან მდიდრულ შესაწირავს (§ 22).

ტრაქტატის მეორე ნაწილში არის ცნობები ქართველი ტომების შესახებ. პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ცნობა კოლხების შესახებ (§ 15), თუმცა ავტორი არსად უწოდებს ამ ტომს „კოლხებს“. ხალხი, რომელიც ცხოვრობს ფასისთან და მის მიდამოებში, წოდებული არიან *Ἰασηνοὶ*, რაც ნიშნავს „ფასისელებს“. (Ἰασηνὸν გეოგრაფიული სახელი, აქედან *ay*—სუფიქსით — იონიური ვარიანტით — *ay* —, წარმოებულია ხალხის სახელი).

ჰიპოკრატეს დროს (V—IV სს.) ბერძნები კარგად იცნობდნენ კოლხებს. როგორც ზემოთ ითქვა, ავტორი თვით იყო ნამყოფი კოლხიდაში, ისე რომ, ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ ცნობილი სახელით არ იხსენიებს ჰიპოკრატე ფასისის მიდამოების მოსახლეობას. ამის მიზეზად ის მიმაჩნია, რომ ჰიპოკრატეს ხალხის კონსტიტუციური ტიპი აინტერესებდა და არა ცალკეული ტომების აღწერა. რაკილა მას მდ. ფასისის ქვემო წელსა და მის მიდამოებში მცხოვრები ტომები (კოლხები, ჰენიოხები, ბექეარები, ბიძერები და სხვ.)

ამ თვალსაზრისით მსგავსნი ექვენენ, ისინი მან მოიხსენია საერთო სახელწოდებით, გეოგრაფიული სახელით — „ფასისელები“.

„ფასისელები“ ჰიპოკრატესათვის ან სინონიშია „კოლხების“, ანდა კრებითი სახელია ტომთა იმ ჯგუფისათვის, რომელთა შორის მის დროს პირველი ადგილი „კოლხებს“ ეჭირათ. ჰიპოკრატე არის პირველი ბერძენი მწერალი, რომელმაც დაწვრილებით და ზუსტად აღწერა კოლხიდის ბუნება, მისი კლიმატური თავისებურებები (§ 15): ჰავა თბილია და ზომიერი; ქვეყანა—ქაობიანი, წვიმიანი, წყლებითა და ტყეებით მდიდარი, ნაყოფი (მაგ., ხილი) წყლის სიმრავლის გამო განსხვავებული — თითქოს ზრდადაუსრულებელი. ქარები მეტწილად სამხრეთისაა, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა (კენზრონისა), რომელიც ძლიერი და უსიამოვნოა. ჩრდილოეთის ქარმა თუ დაუბერა, ის სუსტია და უძალო. აქამდე ვერ აღწევს. ფასისი დამდგარი და მდორე მდინარეა (ე. ი. რიონი დაბლობზე რომ გამოდის, მართლაც წყნარად მიედინება, რასაც ვერ ვიტყვით მისი ზემო წელის შესახებ).

ჰიპოკრატეს დახასიათებით ფასისელები ტანმაღლები, მსუქნები და ჩაყვითლებულები არიან. ლაპარაკობენ ბოხი ხმით. საგანგებოდ არის აღნიშნული მათი სიზარმაცე. სიყვითლე, ჩანს, იმათი იქნა შემჩნეული, ვისაც მალარია სჭირდა და ასეთი ბევრი იქნებოდა ქაობებში მცხოვრებთაგან. რაც შეეხება მეტისმეტ სიმსუქნესა და სიზარმაცეს, ჰიპოკრატეს მსუქანი (ან დასიებული) და ზარმაცი ისევ ავადმყოფები ეჩვენენ, რომლებიც მას, როგორც ექიმს, უთუოდ უფრო აინტერესებდა. ვიდრე ჯანღონით სავსე მშრომელი ხალხი, რომლის დაკვირვების საშუალება ექიმს ნაკლებად ექნებოდა.

ან კიდევ, შესაძლოა ეს იყო ჰიპოკრატეს კონცეფციიდან გამომდინარე — მისი თეორიის თანახმად, ზომიერ ჰაეაში (და მაშასადამე კოლხიდაშიც) ადამიანი უფრო ნებიერია, ზარმაცია, მსუქანია.

ჰიპოკრატეს ფასისელები ცხოვრობენ ხიმიჩვენებულ ხისა და ლერწმის სახლებში (რაც შეესაბამება სინამდვილეს) და ქალაქსა და ემპორიონში (სავაჭრო ადგილში, ნავსადგურში) ფეხით კი არ დადიან, არამედ ნაგებით მიცურავენ. რიონი (და ბევრი სხვა მდინარე) რომ სანაოსნოა, ამის შესახებ სხვა ავტორებიც წერენ, დამატებით ჰიპოკრატე კიდევ იმას აღნიშნავს, რომ არხები ბევრია და იმაზედაც დაცურავენ ნაგებითაო¹.

¹ ნავის საგანგებო ტიპია ხსენებული, *μιορτζυλα*. რაც ქართულ ყოფაშიც არის დადასტურებული და მას „ვარკლანავი“, „ნუშა“ ან „ნიში“ ეწოდება. შდრ. მ. გეგეშიძე, წყლის ტრანსპორტი დას. საქართველოში; მიმოხილველო, III, 1953, გვ. 241.

ქლაქისა და ნავსადგურების შემჩნევა ქვეყანაში და იქ მოსახლეობის სხვადასხვა ადგილებიდან სისტემატური სიარულის აღნიშვნა, საამისოდ საგანგებოდ გათხრილი არხების გამოყენება, უთუოდ იმის მომასწავებელია, რომ ჰიპოკრატემ დაინახა ამ ქვეყანაში (კოლხიდაში) განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა.

მაკროკეფალების დაწვრილებითი აღწერილობა მარტო ჰიპოკრატეს აქვს (§ 14). მაკროკეფალებს საგანგებო მოყვანილობის (გრძელი) თავები აქვთ, რომლის მიზეზსაც ავტორი ვარკვეული წეს-ჩვეულებით ხსნის: თავდაპირველად ხელოვნურად გამოჰყავთ ასეთი თავები, მაგრამ შემდეგ ეს იქცევა ამ ტომის დამახასიათებელ ნიშნად, მის ბუნებად. დროთა ვითარებაში წეს-ჩვეულებას ძალა აღარ ჰქონდა, ბუნებამ ისევ თავისი გაიტანა — მერე აღარ ჩნდებოდნენ გრძელთავიანები. მაკროკეფალები, იგივე მაკრონები, სხვა ავტორთა მონაცემების მიხედვით ცხოვრობენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში, ჰიპოკრატეს მათი ლოკალიზაცია არ აინტერესებს. ისე მათი ხსენება ხდება აზიისა და ევროპის ხალხებს შორის.

ჰიპოკრატეს აქვს საინტერესო ცნობები ქართველ ტომთა მეზობლების — სავრომატების (§ 17) და ნომადი სკვითების (§ 18—22) შესახებ.

ტექსტი: 1. Hippocratis vol. I. ...edidit I. L. Heiberg. Lipsiae et Berolini (in aedibus Teubneri), 1927.

2. Hippocratis De aere, aquis, locis... herausgegeben von G. Gundermann, Bonn, 1911.

3. Griechische Lesebuch, von U. von Wilamowitz-Moellendorf. Text. II Halbband, Berlin, 1902. გვ. 200—207.

4. Ippocrate, Dell'aria, delle acque, dei luoghi testo e trad. a cura di Untersteiner Candia L. Firenze Sansoni, 1957.

თარგმანები: Les œuvres médicales d'Hippocrate d'après l'édition de Foës accompagnées en fin d'édition de réflexions et commentaires de M. le prof. Savy. 1953—54. Lion I vol. pp., 127 — 156.

The medical works of Hippocrates, a new translation from the original Greek made especially for English readers by the collaboration of John Chadwick, M. A. and W. N. Mann, M. D. Oxford, 1950.

Hippokrates... übersetzt von Richard Kapferer, Stuttgart, 1939, VI, Teil.

Гришопкрат, Избранные книги, перевод с греческого В. И. Руднева, редакция В. И. Каршова, 1936, стр. 275 — 305. В. Latyshev, SC, I, ВДН, № 2. 1947.

თ. ყ ა უ ს ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965.

წემოთაც იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საკოლონიზაციო მოძრაობამ, მასთან დაკავშირებულმა ზღვაოსნობის განვითარებამ და ახალი ქვეყნების გაცნობამ ბერძნების წინაშე დასვა ახალი საკითხი — აუცილებელი გახდა ბუნების მოვლენების შესწავლა და მათ შესახებ ახალი მეცნიერული დასკვნების გამოტანა, გადასახედი აღმოჩნდა ძველი შეხედულებები ხალხთა და სამყაროს წარმომოხაზვე, ასე ჩაეყარა საფუძველი ახალ ჟანრს — ფილოსოფიურ პროზას.

ამ დარგის სხვა წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, პლატონისა და არისტოტელეს მოუხსენიებლობა მაინც არ იქნება. ესენი, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა ფილოსოფოსები არიან, მაგრამ მათ შემოქმედებაში სხვა რიგის ბევრ საინტერესო მასალასაც ვხვდებით.

არისტოტელე (384—322)—საბერძნეთის კულტურის დარგის მოღვაწეთა შორის უბრწყინვალესი წარმომადგენელი. უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი, ამასთანავე მეცნიერების მრავალი სხვა დარგის ფუძემდებელი (ლიტერატურათმცოდნეობა, სამართალი, ბუნებისმეტყველება). მას მიაწერდნენ 400-მდე (ზოგიც — 1000-მდე) ნაშრომს, მაგრამ ყველა ეს ნაშრომი უშუალოდ მისი ხელიდან არ არის გამოსული. ზოგიერთი, ცხადია, თვით მან შეამზადა გამოსაცემად, მაგრამ ბევრი მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მიერ დამუშავებულია იმ შენიშვნებისა და კონსპექტების საფუძველზე, რაც არისტოტელემ დატოვა. მის უტყუარ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია შემდეგი (რამაც მას მსოფლიო მნიშვნელობის სახელი მოუპოვა): ორგანონი, ფიზიკა, სულისათვის, მეტაფიზიკა, ეთიკა, პოლიტიკა, რიტორიკა (თითოეული რამდენიმე ნაწილისაგან შედგება, ზოგ ნაწილს სხვადასხვა სახელიც აქვს) და სხვ.

მას ჰქონია კავკასიისა და სკვითიის ისტორია-ეთნოგრაფიის შესახებ სპეციალური თხზულება „ბარბაროსთა ზნე-ჩვეულებები“ (Νόμοι παρβαρῶν), რაც ჩვენამდე არაა მოღწეული. ჩვენს ხელთ არსებულ ნაწარმოებთა შორის ზოგიერთში არის დაცული შემთხვევითი ხასიათის ცნობები საქართველოს შესახებ, მაგრამ ეს მასალა დიდად მნიშვნელოვანია, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ავტორი-

ტეტული წყაროდან მომდინარეობს. არისტოტელეს ამ რიგის ცნობათა შორის ყურადღებას იპყრობს ერთი, რომელიც მის უტყუარ ნაწარმოებში „მეტეოროლოგიაში“ არის დაცული. ესაა უძველესი ცნობა ქ. ბათუმის შესახებ. მართლაცდა უცნაური იყო ის გარემოება, რომ ძველ ბერძნულ მწერლობაში არსად იყო სხენებული ადგილი, რომელსაც არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ეტყობა ინტენსიური ციფრება, ხოლო ძვ. წ. VII ს.-დან—ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური კავშირი ბერძნულ სამყაროსთან (დადასტურებულია იმპორტული კერამიკა. ნაპოვნია სამაროვნები ბერძენთა და ადგილობრივ მოსახლეთა ცალ-ცალკე).

არისტოტელეს „მეტეოროლოგიაში“ ორ ადგილას (350a, 351a) ხსენებულია ძვ. ალკისმეზა ჰამზა (ე. წ. „სიღრმეები“), რომელიც აღინიშნება პონტოს (ე. ი. შავი ზღვის) სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე; ჰამზ — ძირის შემცველი სახელი (ე. ი. ბათ-ომ-ი) ბერძნულად ჰამზ (ღრმა) არის გაგებული, მოცემულია მისი ბერძნული ეტიმოლოგია. ის, რაც შემდეგ საუკუნეებში (პლინიუსი, არიანე, ანონიმი, Tabula Peutingeriana, პანქალური ქრონიკა) დიდ ქალაქად და მნიშვნელოვან ნავსადგურად იხსენიება, რამდენიმე საუკუნის წინ ისეთი პუნქტი ყოფილა, რომელზე მითითებითაც არისტოტელეს აზრით აიხსნებოდა ისეთი რამ, რასაც მის ღრის განმარტება სჭირდებოდა (მაგ., კასპიის ზღვის რაობის საკითხს).

ზოოლოგიური ხასიათის ცნობებიდან, რომლებიც დიდი რაოდენობით არის მოცემული არისტოტელეს თხზულებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

„ცხოველთა ისტორიაში“ (რომელიც ძირითადად თვითონ არისტოტელეს მიერ დაწერილად არის აღიარებული, მხოლოდ მისი VII და X წიგნები ითვლება სხვა წარმოშობისად) არის ერთი ასეთი ცნობა (III, 21): ფასისის ძროხები პატარები არიან და ბევრს იწველიან (ეს დამოკიდებულია, ჩანს, საკვების ნაირსახეობაზე), ხოლო ეპირისა — დიდები არიან და ცოტას იწველიან (თანაც ეს „კოტა“ არის ერთი ამფორა. ერთი ამფორა კი შეიცავს 15—20 ლიტრს).

თანამედროვე ქართული ჯიშის ძროხების შესახებ ის აზრი არსებობს, რომ ისინი იმდენად ბევრს არ იწველიან, რამდენადაც მაღალხარისხიანი ცხიმიან რძეს იძლევიან. და ის გარემოება, რომ არისტოტელე ქართულ ძროხაზე საგანგებოდ აღნიშნავს, მომასწავებელია იმისა, რომ ჩვენში ადრევე იცოდნენ საქონლის შესაფერისი მოვლა, რაც გარკვეული კულტურული დონის მაუწყებელია და ეს იყო ცნობილი ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

არისტოტელეს ამავე ნაწარმოებში (V, 22) არის დაწვრილებითი ცნობები პონტოს ფუტკრისა და თაფლის შესახებ, პონტოს თაფლი საერთოდ იპყრობდა ბერძენი მწერლების ყურადღებას (ქსენოფონტი, სტრაბონი, კლავდიუს ელიანუსი).

არისტოტელეს ცნობათა ერთი რიგი იძლევა ქართველ ტომთა დახასიათებას. „პოლიტიკასა“ (1338) და „ნიკომაქოსის ეთიკაში“ (1148, 22), რომლებიც არისტოტელეს შეიძლება დაუმთავრებელ, მაგრამ უტყუარ ნაწარმოებებად ითვლებიან, ლაპარაკია პონტოს ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის შესახებ. ველურ ტომთა შორის დასახელებული არიან აქაეები და ჰენიოხები, რომელთაც აქვთ მიდრეკილება მკვლევლობისა და კაციჰამიობის მიმართ. ისინი მეკობრეები არიან, მაგრამ ამავე დროს ვაჟკაცობით არ გამოირჩევიან.

„ეთიკაც“ და „პოლიტიკაც“ განმაზოგადებელი ნაშრომებია. იქ კატეგორიებზე არის ლაპარაკი და არა ცალკეულ ფაქტებზე. ამდენად, დებულებები კაციჰამია ტომების შესახებ ზოგადია, მათი დართარლება ხდება „პოლიტიების“ ფრაგმენტის მიხედვით. „პოლიტიები“ თუ პირადად არისტოტელესი არ არის, მისი სკოლიდან არის მაინც გამოსული¹. „პოლიტიებში“ შედის „ფასისელთა სახელმწიფო წყობილების“ პატარა ფრაგმენტიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჰამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები. ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ელუპებათ; ესენი 3 მნას აძლევენ (მილეტელებს) და ზღვითვე მიემგზავრებიან“². ამ ცნობის მიხედვით თარიღდება აქაეებისა და ჰენიოხების „კაციჰამიაობა“ — ეს ყოველივე იყო ე. წ. მილეტელთა კოლონიზაციამდე. მაგრამ მიუხედავად არისტოტელეს დიდი ავტორიტეტისა, მაინც გვიჭირს იმისი დაშვება, რომ ფასისში (და მის მიდამოებში) მილეტელთა კოლონიზაციამდე ასეთი დაბალი კულტურული დონე იყო. არქეოლოგიური მასალა, მოპოვებული ამ ტერიტორიაზე, ამის საშუალებას არ იძლევა. არისტოტელეს შემდეგ ეს ცნობა ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ხშირად გვხვდება. ის გადაჰარბება, რაც არისტოტელეს აქვს ამ 2 ტომის მიმართ, ვფიქრობ შემდეგი წარმოშობისაა: ბერძნულ მწერლობაში მრავალი საუკუნის მანძილზე აქაეები და ჰენიოხები დაბალი გან-

¹ ეს „პოლიტიები“ ლიტერატურაში შესულია ჰერაკლიდეს სახელით.

² უფრო დაწვრილებით იხ. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰერაკლიდე და მისი ცნობა საქართველოს შესახებ; აღმოსავლური ფილოლოგია, 1, 1969 წ.

ვითარების ტომებად იყვნენ მიჩნეულნი, ხოლო რაც შეეხება მათ კაციქამიობას, ეს ცნობა უნდა მომდინარეობდეს სკვითების იმ რეპუტაციიდან, რაც მათ ბერძენულში ჰქონდათ (მდრ. სტრაბონი, გეოგრაფია, VII, 3, 6; კლავდიუს ელიანუსი, „სხვადასხვა ამბები“, VI, 14; VII, 17 და სხვ.). შესაძლოა ცნობა სკვითების კაციქამიობის შესახებ ავტორმა განავრცო აქაეებსა და ჰენიოზებზედაც, რომლებიც აგრეთვე სკვითურ ტომად მიიჩნია (მითუმეტეს, რომ მომდევნო ზანის ავტორებთან და სქოლიასტებთან „სკვითური ტომები“ ფართო ცნებაა).

თუ ამ ფრაგმენტში ფასისის მცხოვრებლები ეელური კაციქამიები არიან, მეორე ფრაგმენტში (83) ფასისიდან მოსული ხალხი ათენშია (რაც არ წარმოადგენს იშვიათობას) და მათ საზოგადოებაში ატარებს დროს ათენელი სახალხო ორატორი. ამ ჩამოსულთა მიზნებზე არაა ლაპარაკი ფრაგმენტში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი, ზღვით მოსულნი ამოდენა მანძილზე, ტყუილად არ იქნებოდნენ წამოსულნი, შეიძლება უფრო პირდაპირ ვთქვათ — მათ უთუოდ სავაჭრო საქმიანობა და ურთიერთობა ექნებოდათ ათენელებთან; იმ მოედანზე, სადაც სასწაულმოქმედთა სანახაობები იმართებოდა, ესენიც ტრიალებდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ.

ძველ ბერძენულ მწერლობაში გაცილებით უფრო ადრე ჩნდება ცნობები კოლხების შესახებ, ვიდრე იბერებზე. ამის მიზეზი უთუოდ ისაა, რომ ბერძენებმა უფრო ადრე გაიცნეს შავი ზღვის პირას მოსახლე კოლხები, ვიდრე ქვეყნის შიგნით მცხოვრები იბერები.

პლატონი და არისტოტელე „იბერებს“ ჩვეულებრივ ესპანეთის მკვიდრთ უწოდებენ, მაგრამ გვაქვს ამ ავტორებთან თითო შენობა-ვევა, სადაც მთლად გარკვეული არაა, ეს იბერი ვინაა, ესპანელი თუ ჩვენი წინაპარი.

პლატონის „კანონებში“ (I, 9) იხსენიებიან მეომარი იბერები სკვითებთან, სპარსელებთან, კართაგენელებთან და თრაკიელებთან ერთად, ერთ კონტექსტში.

ასევე არისტოტელეს „პოლიტიკაში“ (1324) ერთგან გვაქვს ისეთი მოხსენიება იბერებისა, რომ სრულიად შესაძლებელია ეს ცნობა საქართველოს იბერებს ეხებოდეს, მითუმეტეს, რომ ქართული ეთნოგრაფიული მონაცემები მას უჭერენ მხარს. ამ ცნობის მიხედვით იბერები მეომარი ტომია და მათ შორის არის ასეთი წესი: იმდენი ობელისკი უნდა დაირჭოს კაცის საფლავის ირგვლივ, რამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული. კავკასიონის აღმოსავლეთ მთიანეთში დადასტურებული ფაქტია ის, რომ მტრის მოკვლა რაღაცა ერთეულებით აღინიშნებოდა: მაგ., რამდენ მტერსაც მოკლავდა ქისტი, იმ-

დენი წითელი ხელსახოცი უნდა გაეკეთებინა ქამარში; ან კიდეც — მთიულეთში იმდენი ქლე იქნებოდა კვერთხზე, რამდენმა კაცმაც დალოფიცა, რომ მოკლულს ისიხსლებდა.

პეროდოტეს ცნობით, სკვითთა შორის ყველაზე დიდ ვაჟაკად ის ითვლება, ვისაც ყველაზე მეტი აქვს მტრის თავიდან გადაძრობილი კანის ხელსახოცი (IV, 64). ნიკოლოზ დამასკელის ცნობით, სინდები (სკვითური მოღვმის მეოთხე ტომი) იმდენ თევზს აგდებენ საფლავზე, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული გარდაცვალებულს („უცნაურ ჩვევათა კრებული“, § 120). ყველა აქ მოტანილი ცნობა ჩვენს სამყაროს ეხება (და არა ესპანეთის იბერებოსას), ამდენად შესაძლოა, რომ არისტოტელეს ცნობაც იბერთა მეომარი ტომის შესახებ საქართველოს იბერების შესახებ იყოს¹.

ნაწარმოები „საოცარ ამბავთა შესახებ“ ტრადიციულად არისტოტელეს სახელს უკავშირდება, მაგრამ თანამედროვე სპეციალისტები სრულიად უარყოფენ ამის შესაძლებლობას. იგი მიჩნეულა კომპილაციურ ნაწარმოებად და მისი შექმნა საბოლოოდ არიანეს დროს განეკუთვნება. ამ ნაწარმოებში კარგა დიდი ნაწყვეტებია ბევრ სხვა ბერძენ მწერალთან ხსენებული ხალიბური რკინისა და მოსინოაკური სპილენძის თვისებებისა, ღირსებებისა და დამუშავების წესების შესახებ. აღსანიშნავია ის, რომ ასე კარგად ჩამოყალიბებული ეს ცნობები სხვა ავტორებთან არ არის („საოცარ ამბავთა შესახებ“, 833 b). ფსევდო-არისტოტელე წერს: „ამბობენ, რომ განსაკუთრებულია სალიბური და ამისური რკინის წარმოება. ის დაკავშირებულია იმ ქვიშასთან, რომელიც მდინარეებს ჩამოაქვს. ზოგერთები ამბობენ, რომ ამ ქვიშას, უბრალოდ გარეცხილს ღუმელში ახურებენ, ხოლო სხვების აზრით ის, რაც რჩება გარეცხვისა და გახურების შემდეგ, კვლავ მრავალგზის ირეცხება, ხოლო შემდეგ მასში დებენ ეგრეთწოდებულ ცეცხლგამძლე ქვას, რაც ამ ქვეყანაში ბევრია, ეს რკინა ბევრად უკეთესია ყველა სხვაზე, მაგრამ იგი ერთ ღუმელში რომ არ დნებოდეს, როგორც ჩანს, არაფრით განსხვავდებოდა ვერცხლისაგან. ამბობენ, რომ მხოლოდ ეს რკინაა, რომ არ იყანგება, მაგრამ ის ბლომად არ მოიპოვება“.

ეს ცნობა თუ საკუთრივ არისტოტელესი არ არის, ტრადიციით მაინც მისად ითვლება და საკმაოდ ზუსტად და დაწვრილებით აგვიწერს რკინის დამუშავების წესს.

¹ ასეთ ვარაუდს ვუშვებ ესპანეთის ეთნოგრაფიული ყოფის მასალების გაუთვალისწინებლად.

ამავე თხზულებაში ლაპარაკია მოსინკურ სპილენძზე; მის შე-
მადგენლობაზე და მის საგანგებო ღირსებებზე (835).

„პეპლოსი“ არ ეკუთვნოდა არისტოტელეს და ისე მიეწერა მის
სახელს. ის ეპიგრამები, რომლებიც ამ მითოლოგიური ხასიათის ნა-
წარმოებში იყო ჩართული, ზოგი სპეციალისტის აზრით დაახ. ძვ. წ.
250—150 წწ.-ში უნდა იყოს შეთხზული.

მიუხედავად ამისა, არისტოტელეს ფრაგმენტებში ყოველთვის
არის ხოლმე შეტანილი ამ „პეპლოსიდან“ მოღწეული ნაწყვეტები.
ამ ეპიტაფიათა შორის ერთია საინტერესო: 43. „აეტესის მიმართ,
რომელიც განისვენებს კოლხიდაში. აეტესი, ოქრომრავალი კოლ-
ხების მეუფე აქ გააბატონა ღმერთების ყველაფრის დამორჩუნველ-
მა ბედისწერამ“.

მართალია, ეს მასალა უფრო გვიანდელია, ვიდრე არისტოტე-
ლეს, შესაძლოა მისი ავტორი კარგად იცნობდა აპოლონიოს რო-
დოსელის „არკონავტიკას“ და ცნობა იქიდან ჰქონდა აღებული,
მაგრამ ის, რომ მან სწორედ ისე მოიხსენია კოლხები, როგორც იმ-
დროინდელ მსოფლიოში სიმდიდრით განთქმული ქალაქები (მიკენა,
სარდე, ბაბილონი) და პირები (გიგესი, პრიამოსი), იმას მაუწყებე-
ლია, რომ მის წარმოდგენაში კოლხები მდიდარი (და ძლიერი) ხალ-
ხი ყოფილა აეტესის დროს.

ტექსტი: უახლესი გამოცემები: 1. *Aristoteles De animalibus
historia, textum recognovit L. Dittmayer, Lipsiae, 1907 (BT).*

2. *Aristotele Meteorologica, with an English translation by
H. D. Lee, 1952 (Loeb-ის სერიაში).*

3. *Aristotelis Opera, ex rec. Bekker... addendis instr. frag-
mentorum collectionem retract. Gign. O. Berlin de Gruyter,
1960.*

4. *Aristotelis Fragmenta, edidit V. Rose, Lipsiae, 1886.*

ნაწყვეტები: B. Latyshev, SC, I. ВДН, № 2, 1947.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, არისტოტელეს ზოგიერთი ცნობის შე-
სახებ., ქართული წყაროთმც. კრებ., II, 1906.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ე ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები სა-
ქართველოს შესახებ, თბ., II, 1969 წ.

მისივე, ჰერაკლიდე და მისი ცნობა საქართველოს შესახებ; აღ-
მოსავლური ფილოლოგია, I, 1969 წ.

მართალია, ქრონოლოგიის თვალსაზრისით ნიკოლოზ დამასკე-
ლი და კლავდიუს ელიანუსი ზემოთ განხილულ ავტორებთან შედარე-
ბით მომდევნო ეპოქის წარმომადგენლები არიან, მაგრამ იმ ცნობე-

ზის მიხედვით, რომლებიც მათ აქვთ საქართველოს შესახებ, ისინიც უნდა შევიდნენ ნაწარმოების იმავე ქვეთავში, რომელშიც არიან ჰიპოკრატე და არისტოტელე. მათი ცნობები ეთნოგრაფიული ხასიათისაა, ანდა განეკუთვნებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერების სფეროს.

თუ ნიკოლოზ დამასკელი ტრადიციული კლასიფიკაციის თანახმად განეკუთვნება ისტორიკოსთა რიგს, მისი საქართველოს შესახებ ცნობები იმ ხასიათისაა, რომ ისიც ხვდება ჩემი ნაშრომის ქვეთავში — მეცნიერების სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები ძველ საბერძნეთში.

ნიკოლოზ დამასკელის (ძვ. წ. 64 წ. ახ. წ. 14 წ.) წარმომოხა არ არის დადგენილი, მაგრამ თვით ნიკოლოზი თავს ბერძნად თვლიდა და განათლებაც შესაბამისი ჰქონდა მიღებული. იგი უეჭველად ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო და ამასთან, მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას მიაღწია. ის გახდა უფლისწულების აღმზრდელი, იუდეველთა მეფის, პეროდეს მრჩეველი და ოქტავიანუს ავგუსტუსის ბიოგრაფი. ცნობილია, რომ მან ბევრი იმოგზაურა პეროდესთან ერთად და სხვა ადგილთა შორის მოიარა მცირე აზია და შავი ზღვის სანაპირო (სამწუხაროდ, უფრო ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება, თუ შავი ზღვის რომელი სანაპირო მოინახულა).

ნიკოლოზ დამასკელის სახელით რამდენიმე ნაწარმოები არის ცნობილი, მაგრამ არც ერთი მათგანი მთლიანად არაა ჩვენამდე მოღწეული. ყველა ისინი ან მხოლოდ ფრაგმენტების სახით არიან დაცული, ან აღარც ფრაგმენტებია მათი, მარტო სათაურებიღაა ცნობილი.

ნიკოლოზ დამასკელის თხზულებათა (უფრო სწორად, თხზულებათა ფრაგმენტებს) შორის საქართველოს ისტორიისათვის სხვაზე მეტად საინტერესოა ორი: „ისტორია“ და „უცნაურ ჩვევათა კრებული“ (Παράδειξαι ἔθιμον σπαραγῶν).

„ისტორიისათვის“ ძირითადი წყაროა: პელანიკე და ეფოროსი — დასავლეთის ქვეყნებისათვის; კტესია და ქსანთოსი — აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. მითრიდატეს ომების ისტორიისათვის წყაროდ პოსეიდონიოსია აღიარებული.

„უცნაურ ჩვევათა კრებულის“ წყაროთა შორის ყველა ასახელებს ეფოროსს და ზოგჯერ არისტოტელეს, რაც არსებითად ისევ ეფოროსზედ დამოკიდებულად არის მიჩნეული.

ქართველთა წინაპარბ ტომებისა და მათი მეზობლების ყოფის დახასიათებიდან, რაც მოცემულია „ჩვევათა კრებულში“, ყურადღებას იპყრობს შემდეგი: მოღწეულ ფრაგმენტებში სხვა ტომებს გარ-

და იხსენიებიან კოლხები, სინდები, ტავრები, მოსინები, კერკეტეა, სავრომატები... ამათგან პირველი სამი დამარხვის წესებთან დაკავშირებით არიან ხსენებული, ხოლო დანარჩენების ჩვეულებების აღწერა უფრო მრავალმხრივი და დაწვრილებითია.

ნიკოლოზ დამასკელი ამბობს: „ტავრები შეფეებთან ერთად მარხვენ უერთგულესებს მათ მეგობართა შორის, ხოლო მეფე, როდესაც კვდება მეგობარი, ან ნაწილს ან მთელ ყურს სჭრის მას გარდაცვლილის ღირსების მიხედვით... სინდები იმდენ თევზს აგდებენ საფლავზე, რამდენი მტერიც ჰყავს მოკლული მას, ვისაც მარხავენ... კოლხები მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხეებზე“ (119, 120, 121).

დამარხვის ამ წესთა შესახებ შემდეგი შეიძლება შეინიშნოს: კოლხთა დამარხვის ეს წესი ანტიკურ მწერლობაში მართო ნიკოლოზ დამასკელს არა აქვს გადმოცემული.

ძვ. წ. III ს.-ის ებიკოსი აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში“ (III, 201—209) წერს, კოლხიდაში კირკეს დაბლობზეა მოსული იასონი და აქ ხეების წვერებზე ხედავს თოკებით ჩამოკიდებულ გვამებს და ამბობს — აქამდე მძიმე ცოდვად ითვლება კოლხებში ცეცხლით დასწვან დახოცილი მამაკაცები. მათ ახვევენ გამოუყვანელ ხარის ტყავებში და ჰკიდებენ ხეებზე ქალაქიდან მოშორებით, მაგრამ მიწაც ღებულობს თავის კუთვნილს ჰაერთან თანაბრად, რადგან ქალების გვამებს მიწაში მარხავენ. ასეთი წესი აქვო მათ. აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი კი შენიშნავს, რომ აპოლონიოსი კოლხების დამარხვის საკითხში ნიმფოდოროსის მიმდევარიაო.

II—III სს.-ის მწერალი კლავდიუს ელიანუსი „სხვადასხვა მოთხრობებში“ (IV, I) წერს: „კოლხები მიცვალებულებს ტყავებში მარხავენ, გამოჰკერავენ და ხეებზე ჰკიდებენ“.

ანტიკური წყაროების გარდა ქართულ მწერლობაშიც მოგვეპოვება მსგავსი ცნობა, ვახუშტი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა შესახებ ამბობს: „არა დაძფლვენ მკუდართა თვისთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგამენ ხეთა ზედა“...¹. ასეთივე ცნობები აქვთ ევლია ჩელებისა და არქანჯელო ლამბერტის. ცხადია, დაკრძალვის ასეთი წესის შესახებ არქეოლოგიური მასალა ვერაფერს გვეტყვის. ძველი კოლხიდის ტერიტორიაზე მიცვალებულ-

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 786.

თა დამარხვის ასეთი წესი დადასტურებულია ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვითაც და ქართველ ეთნოგრაფებს საამისო ახსნაც მოეპოვება: ტყავში გახვეული მიცვალებულის ხეზე ჩამოკიდება. — ეს არის ხარის კულტის ასახვა (ვეყრდნობი პროფ. ვ. ჩიტაიას ზეპირ ვანცხადებას). პროფ. გ. ნიორაძე სხვაგვარად ხსნიდა ამ ჩვეულებას: ჰაერზე დამარხვისას ჭირისუფალს სჯეროდა, რომ ამით მიცვალებულის სულს არ ჰკლავდა¹.

მიცვალებულთა დამარხვის ამა თუ იმ წესის ახსნა ჩემს შესაძლებლობას აღემატება, ის კი უღაოდ ჩანს, რომ ნიკოლოზ დამასკელმა თავის „უცნაურ ჩვევათა კრებულში“ კოლხებს შორის რეალურად არსებული წესი აღწერა.

მართალია, ამ რიგის არ არის, მაგრამ კოლხების შესახებ ნიკოლოზ დამასკელს კიდევ ერთი ცნობა აქვს (ისტორია, თავი 103): ქიოსელები დაიმორჩილა მითრიდატე კაადოკიელმა და შეკრულები გადასცა თავის საკუთარ მონებს, რათა კოლხთა ქვეყანაში დაესახლებინათ (ამბავი დათარიღებულია ძვ. წ. 86 წლით). ეს ცნობა ნიკოლოზს პოსეიდონიოსისგან აქვს აღებული. მითრიდატეს უკმაყოფილება ქიოსელებით და მათი დაჯგის სურვილი სხვა წყაროების მიხედვითაც ცნობილია — დასჯილი ქიოსელები, ძალით აყრილები და შეურაცხყოფილები მითრიდატემ გაგზავნა ევქსინის პონტოსკენ (აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, § 47). რატომღაც კოლხიდა ვადასახლებელ ადგილად გამოყენებული, გაურკვეველია. თუ ეს სამივე ავტორი ერთმანეთისგან არ სარგებლობს (და ერთის შეცდომას არ იმეორებს), ცნობა ჩამდენჯერმე გვხვდება და ამდენად დამაფიქრებელია.

ნიკოლოზის ნაშრომის მიხედვით, სინდები, რომლებიც მიცვალებულის საფლავზე იმდენ თევზს აგდებენ, ჩამდენიც მტერი ჰყავს დამარხულს მოკლული (უცნ. ჩვ. § 120), სკვითური მოდგმის, უფრო ზუსტად მეოტი ტომია². ცხადია, იგივე არ არის არისტოტელეს ზემოთ (თავის ადგილას) მოყვანილი ცნობა (იბერთა შესახებ, — იბერები საფლავის ირგვლივ იმდენ ობელისკს არჭობენ, ჩამდენი მტერიც ჰყავს მას მოკლული, პოლიტიკა, VII, II, § 6), მაგრამ იმავე რიგისაა. ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ კავკასიონის მთიანეთში მტრის მოკვლა რალაცა ერთეულებით აღინიშნებოდა.

¹ ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 57—81: „მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა“.

² ეესტათის კომენტარის თანახმად სინდებს ზოგიერთები ზიკხებსაც (*αυχολ*) უწოდებენ.

მოსინიკების შესახებ ცნობა ძველ ბერძენ მწერლებთან ხშირად გვხვდება. ასეთები არიან: ქსენოფონტი, სკიმნოს ქიონელი, სტრაბონი, დიოდორე და სხვ.

ნიკოლოზ დამასკელი მათ შესახებ წერს: „მოსინები თავიანთ მეფეს კოშკში დამწყვდევულს ინახავენ, თუ ვინმემ იფიქრა, რომ მეფემ ოდესმე ცუდად გადასწყვიტა საქმე, მაშინ მას შინშილით ჰკლავენ. იმ პურს, რომელსაც ისინი ჭამენ, თანაბრად ყოფენ და ნაწილს საერთოდ განუკუთვნიებენ მეფეს. ისინი მტრულად არიან განწყობილი მოსული უცხოელების მიმართ“.

ერთ-ერთი უძველესი ავტორი, რომელიც მოსინიკებს ახსენებს, არის ქსენოფონტი (მასზევე არიან დამოკიდებული დიოდორე და სტრაბონი). ხოლო ნიკოლოზ დამასკელის ცნობა ყველაზე ახლოს სკიმნოსის ვარიანტთან არის. უთუოდ მათი (ე. ი. სკიმნოსისა და ნიკოლოზის) საერთო და უშუალო წყარო იყო ეფოროსი. ყველა ცნობასთან შედარებით ნიკოლოზ დამასკელს თავისებურად აქვს ის მუხლი, სადაც სწერია საერთო ქონებისა და მეფის მიმართ რებრესიების შესახებ. ეს ცნობა საყურადღებოა და სტრაბონის იბერთა შესახებ ცნობის რიგშია ჩასაყენებელი. ისიც საყურადღებოა, ვინაა, ვისაც შეუძლია მეფის გადაწყვეტილების შეფასება, მოწონება თუ დაწუნება და ამის შედეგად მისთვის მსჯავრის დადება.

როგორც ზემოთ, ქსენოფონტის შემთხვევაში აღვნიშნე, მოსინიკების „მეფეები“ (βασιλεις) სპეციალისტებს ესმით როგორც კულტის მსახურები. მოსინიკების მტრული დამოკიდებულების ხაზგასმა უცხოელთა მიმართ ორგვარად შეიძლება გავიგოთ: ერთი ზოგადად — შავი ზღვისპირეთის ტომთა საერთო ველურობის აღნიშვნა სურს ნიკოლოზ დამასკელს (ისევე, როგორც მაგ., ჰერაკლიდე ლაპარაკობს ჯერ ველურ პენიონებზე ფასისში და შემდეგ სტუმართმოყვარე, უცხოელების მიმართ კეთილად განწყობილ მილეტელებზე, იქვე). მეორე — ეს გამოთქმა შეიძლება უფრო კონკრეტულია და აქ წყაროში, მაგ., ეფოროსთან ან ქსენოფონტთან გარკვეული ფაქტი იქნებოდა, როდესაც, ვთქვათ, მოსულ მოქირავნებს, ე. ი. უცხო ჯარს, მოსინიკები გახარებული არ დახვედრიან.

კერკეტები სხვა ანტიკური წყაროების მიხედვითაც ცნობილი ტომია. სტრაბონის განსაზღვრით ისინი შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე ცხოვრობენ პენიონების გეზობლად (პენიონები მათზე უფრო ჩრდილოეთით არიან). ბერძნული „კერკეტები“ ჩვეულებრივ „ჩერქეზებად“ ესმოდათ ხოლმე. ამ ბოლო ხანებში დაიხსნა საკითხი მათი დაკავშირებისა „ეგრ“-ფუძესთან. ნიკოლოზ დამასკელი მათ ასე ახასიათებს: „კერკეტები მათ, ვისაც რაიმე უსამართლობა აქვთ ჩა-

დენილი, მოჰყვეთენ ხოლმე სალოცავთაგან, თუ ვინმე ხომალდის მართვისას შეცდება, ჭერიჭერით ჩაუვლიან ყველანი მას გვერდით და აფურთხებენ“ (უცნ. ჩვ. § 125). ამ რიგის ცნობა თითქოს სხვა ავტორებთან არ ჩანს და იგი საინტერესოა ამ ტომის ყოფის თვალსაზრისით; მის მიღებამდე საჭიროა მისი შემოწმება ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით (თან, ცხადია, ისიც სარკვევია, უსამართლო საქციელად რა იყო მიჩნეული).

ნიკოლოზ დამასკელის ცნობები ქართველ ტომთა შესახებ საინტერესოა და ლიტერატურაში ჭეროვნად არ არის გამოყენებული.

ტექსტი F. Jacoby, Die Fragmente der griechischen Historiker, II Teil, A. Berlin, 1926, გვ. 324—430. II Teil, C. Kommentar, Berlin, 1926, გვ. 229—291.

Wacholder, B. Z. Nicolaus of Damascus. California, 1962.
B. B. Latyshev, SC, I. B.IV, 1947, № 3.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, 1969.

კლავდიუს ელიანუსი (170—235 წწ.) წარმოშობით რომაელი, პავსანია კესარიელის მოწაფე იყო, ამიტომ ბერძნული შესანიშნავად იცოდა; თავისივე სიტყვით, მას არ უმოგზაურია და სხვა ქვეყნები არ უნახავს.

ბერძნული მწერლობის ისტორიაში შესულია როგორც სოფისტი, მაგრამ განსხვავებით თავისი თანამედროვეებისაგან (თუ ბუნებრივი მონაცემების გამო), ის არ მისდევდა ორატორულ ხელოვნებას და კმაყოფილდებოდა სამწერლობო მოღვაწეობით.

კლავდიუს ელიანუსის სახელით რამდენიმე ნაწარმოები არის ცნობილი: „ცხოველთა ბუნების შესახებ“, „სხვადასხვა ამბები“, „წერილები სოფლის შესახებ“, „განგების შესახებ“ და „ღვთაებრივი თვალსაჩინოების შესახებ“ (და რამდენიმე სხვა, მხოლოდ სახელწოდებით ცნობილი ჩვენთვის). უკანასკნელი ორი ნაწარმოები, რომლებიც შინაარსობლივად ერთმანეთთან ახლოს იყვნენ, ამჟამად დაკარგულია და მათი მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული.

ნაწარმოები „ცხოველთა ბუნების შესახებ“ მთლიანადაა დაცული (ზოგიერთი მკვლევარი მასში ინტერპოლაციებს ავლენს), იგი შედგება 17 წიგნისაგან. შეაჯლია და ბოლოსიტყვაობისაგან. ნაწარმოები ძირითადად საბუნებისმეტყველო ხასიათისაა, მაგრამ ბევრია მასში პარადოქსოგრაფიულიც — ავტორი დიდი ხალისით გადმოცეცუნს სხვადასხვა პიკანტური შინაარსის ანეკდოტებს, რომელ-

თა მიმართაც არ იჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამას გარდა აშკარა ავტორის განწყობილება — მას სურს ადამიანის ცხოვრებისათვის დამაბნელებელი ცუდი მხარეების მიმართ ცხოველთა სპეციალისტების მიხედვით გაამახვილოს ყურადღება.

ნაშრომი „სხვადასხვა ამბები“ შედგება 14 წიგნისაგან, მაგრამ იგი ნაკლულია. ეს თხზულება ისტორიული ხასიათისაა, მაგრამ მის მიმართაც იგივე უნდა შეინიშნოს, რაც ითქვა „ცხოველთა ბუნების“ შესახებ: აქაც ჭეშმარიტი ამბების გვერდით ბევრი საოცარი ამბავია გადმოცემული, ისე, რომ არ ჩანს ავტორის დამოკიდებულება მათ მიმართ.

„წერილები სოფლის შესახებ“ — ოცია, ამ წერილებში ბევრია ეროტიკული მომენტი და ჩანს, რომ მათ შემთხვევლს უსარგებლია ძვ. წ. IV ს-ის ანტიკური ლიტერატურით.

მიუხედავად იმისა, რომ კლავდიუს ელიანუსი არ ეკუთვნის უმაღლესი რანგის მწერალთა რიცხვს, მას კითხულობდნენ მისი თანამედროვეებიცა და შემდეგი დროის საზოგადოებაც.

კლავდიუს ელიანუსის წყაროების საკითხი სპეციალურად იყო გამოკვლეული. ერთი საერთო აზრი, რაც არსებობს მის შესახებ ისაა, რომ ავტორს თავისი მასალა უძველეს დოკუმენტებში არ უძებნია, რომ მისი უშუალო წყაროები მას ქრონოლოგიურად ღიდად არ უსწრებენ. ამრიგად, კლავდიუს ელიანუსის ცნობათა გამოყენებისას დგება საკითხი მისი წყაროების წყაროებისა და ა. შ.

სპეციალისტთა აზრით, Περὶ ζῳκῶν-ისათვის ძირითადი წყარო იყო ალექსანდრე მინდოსელი (ახ. წ. I ს-ის I ნახევრის მოღვაწე) და ბევრი ავტორი, რომელსაც კლავდიუს ელიანუსი ახსენებს და არ ახსენებს (პეროდოტი, არისტოტელე, არისტოფანე ბიზანტიონელი, აპოლოდორე...) ალექსანდრე მინდოსელის მეშვეობით აყო მიათვის ცნობილი. დიდი მნიშვნელობა, როგორც წყაროს, ენიჭება (ზოგი მკვლევრის აზრით) არისტოტელეს Zoika-ს უშუალოდ.

„სხვადასხვა ამბები“ პლუტარქოსისა (46—120) და ათენაეოსის (III ს.) თხზულებებთან იჩენენ მსგავსებას და ამისი მიზეზიც სპეციალისტების აზრით ისაა, რომ ამ სამივე ავტორს ერთი და იგივე წყაროები ჰქონიათ ხელთ.

კლავდიუს ელიანუსის ტექსტების შესწავლისას სრულიად უდავოა, რომ მას ბევრი ისეთი მასალა აქვს, რაც აქვთ მაგ., პეროდოტეს, არისტოტელეს, პლუტარქოსს, პლინიუსს და ბერძნულ-რომაული სამყაროს სხვა მნიშვნელოვან წარმომადგენლებს. მაგ., მარტო არისტოტელე 64-ჯერ ჰყავს ნახსენები Περὶ ζῳκῶν-ში, ამდენად

ძნელია იმისი თქმა, იგი მას უშუალოდ იცნობს, თუ მაინცდამაინც ალექსანდრე მინდოსელის კონვენდუმის მეშვეობით, მიუხედავად, რომ ეს კონვენდუმი, როგორც ცნობილია, საერთოდ აღარ არსებობს, დაკარგულია.

კლავდიუს ელიანუსის თხზულებებში მრავალნაირი მასალაა; მასალა, რომელიც ასე თუ ისე ეხება საქართველოს წარსულს, შეიძლება რამდენიმე დაეაჯუფოთ.

1. ცნობები კოლხების შესახებ.

„სხვადასხვა ამბების“ IV წიგნში (§ 1) სწერია: „ღერბიკები 70 წელს გადაცილებულეს ხოცავენ, (მათგან) მამაკაცებს მსხვერპლად სწირავენ, ხოლო ქალებს ასრჩობენ: კოლხები გვამებს ტყავებში მარზავენ, გამოახვევენ მათში და ხეებზე ჰკიდებენ“.

სპეციალისტები იმ აზრისა არიან, რომ კოლხთა დამარბვის შესახებ ეს ცნობა კლავდიუს ელიანუსმა ნიკოლოზ დამასკელისგან გადმოიღო; ხოლო ნიკოლოზ დამასკელზე ადრე ეს ცნობა მოუპოვებია აპოლონიოს როდოსელს. აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი შენიშნავს, რომ აპოლონიოსისათვის წყარო ამ საკითხში არის ნიმფოდოროსის სირაკუსელი (ძვ. წ. III ს.-ის პირველი ნახევრის მოღვაწე). ბერძნულ მწერლობაში მეტი ცნობა ამის შესახებ არ არის. წერილობით წყაროებში სხვაგანაც გვაქვს მსგავსი ცნობები, მაგ., ვახუშტის „გეოგრაფიაში“, ევლია ჩელებისთან და არქანჯელო ლამბერტისთან¹.

ყველა არსებული მასალის გათვალისწინებით უდავოა, რომ კოლხებში დაკრძალვის ანეთი წესიც არსებულა და ამის შესახებ სხვა ავტორებთან ერთად გვაუწყებს კლავდიუს ელიანუსიც. იმან ვერ ვიტყვი, რომ მან თვითნახული ამბავი გადმოგვცა, მან, ჩანს, გაიმეორა ლიტერატურაში არსებული ცნობა, რომელიც ერთგვარად არგონავტთა ლაშქრობას უკავშირდება, მაგრამ დაწერილი ძვ. წ. III ს.-ზე ადრინდელი არ არის.

კოლხთა და მეზობელ ტომთა ურთიერთობა ჩანს მეორე ნაწარმოებებშიც (ღვთაებრივი თვალსაჩინოების შეს., fr. 71), რომლის წყაროდაც პოსეიდონოსისა მიჩნეული², ამ ნაწყვეტში ვკითხულობთ: „სახელად დიონისიოსი, საქმიანობით ვაჭარი, ბევრსა და ხანგრძლივად მოგზაურობდა ზღვაზე. მოგების სურვილით წაქეზე-

¹ ამის შესახებ უფრო დაწერილებით იხ. ზემოთ, ნიკოლოზ დამასკელთან დაკავშირებით.

² არისტოტელეს შემდეგ ანტიკურ სამყაროში ყველაზე დიდ მეცნიერად აღიარებულ პოსეიდონოსის (II—I სს.) „ისტორია“ ხშირად არის ხოლმე საქართველოს შესახებ ცნობების წყარო სხვადასხვა ავტორებთან (მაგ., სტრაბონთან).

ბული იგი მეოტიდაზე უფრო შორს ავიდა. იყიდა კოლხი ასული, რომელიც მოეტაცათ მახლიებს; იქაურ ბარბაროსთა ტომს“... ამ ფრაგმენტში ჩანს კოლხთა და მეზობელ ტომთა: ურთიერთობა — მეზობელი ბარბაროსი ტომი იტაცებს კოლხს და ჰყიდის, კოლხთა (და საერთოდ ქართველ ტომთა) გაყიდვის ფაქტი სხვა მწერლებთანაც ვკვლევთ (ქსენოფონტი, პოლიბიოსი...). კოლხი რად ზიანისა კლავდიუსს ელიანუსს, ამ კონტრესტის მიხედვით არ ჩანს; მახლიებს ბარბაროს ტომად მიიჩნევს, ხოლო დიონისიოსი — ბერძენი ვაქარია.

მახლიების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთსულოვნება არ არის¹, დღევანდელი ჩვენი ცოდნის მიხედვით კლავდიუსს ელიანუსის მიერ ხსენებული მახლიები მეოტიდის ნაპირას მცხოვრებ ერთ-ერთ ტომად უნდა მივიჩნიოთ, რის საფუძველს გვაძლევს ლუკიანე სამოსატელის (II ს.) დიალოგი „ტოქსარსისი ანუ მეკობრობა“, სადაც მრავალგზის არის ხსენებული ტომი Μάχληδες, ამ ტომის წარმომადგენელი Μάχλης და ქვეყანა Μάχληση (§ 45—55).

ელიანუსის ცნობა კოლხთა და მახლიებს შორის მტრულ ურთიერთობას აღნიშნავს. ლუკიანესთანაც მახლიები სკვითებს უპირისპირდებიან².

საინტერესოა კლავდიუსს ელიანუსის დამოკიდებულება კოლხი ძეღვას მიმართ. პავსანიასთან (II ს.) სწერია, რომ მეღვას შვილები კორინთელებმა ჩაჰქოლეს, ისინი დედას არ დაუხოცია. კლავდიუსს ელიანუსიც მისდევს ამავე ვერსიას და ვერბიპიდესეული ინტერპრეტაცია კორინთელების თხოვნის შესრულებად მიაჩნია („სხვადასხვა ანბები“, V, 21).

კორინთოს როლი არგონავტების ამბავში ჩვენთვის ცნობილ წერილობით მასალაში ევმელოსის მიერაა გაზრდილი; ევმელოსის

¹ ბერძენი წყაროები (პეროდოტე, ნიკოლოზ დამასკელი...) იცნობენ მახლიებს, ლიბიურ ტომს. ლიბიელი მახლიები ერთნი არიან და მეოტიდის მახლიები—მეორენი. ასეთი მაგალითი სხვაეც ბევრია ანტიკურ მწერლობაში: მაგ. საქართველოს „იბერები“ და ესპანეთის „იბერები“, საბერძნეთის „აქაეები“ და შავი ზღვის სანაპიროს „აქაეები“. ერთი და იგივე სახელწოდება აქვს ორ სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ ტომს და აერთებს უჩინდებთ სურვილი ამ ტომთა ერთმანეთთან დაკავშირებისა, რისი ქვეშაირიტი ისტორიული საფუძველიც ჯერჯერობით არ გვაქვს და მეტწილად ვხსნით ტომთა მიგრაციის რეალურობით — მაგრამ ეს ზოგადი ახსნაა.

² სამეცნიერო ლიტერატურაში იყო სურვილი „მახლიების“ შეცვლისა „მახლონებით“. „მახლონები“ კოლხეთის სამხრეთით მცხოვრები ტომია (პლინიუსი, არიანე, ანონიმი) და არსებითად ეს იგივე ტომია, რაც „მაკრონები“. „მახლიები“ კი, როგორც ზემოთ ითქვა, მეოტიდის მიდამოში მოსახლე ტომს ერქვა.

„კორინთიკაში“ მედემ შეილება ჰერას ტაძარში დამალა, რადგან მათთვის უკვდავების მინიჭება უნდოდა (აქ მკვლელობაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ უკვდავების მინიჭებაზე); ამრიგად, ძვ. წ. VIII—VII სს.—ში ჯერ კიდევ არის მედეას მიმართ ასეთი დამოკიდებულება. იგი ჯერ ბოროტმოქმედი არ არის. აფსირტეს (მედეას ძმის) მკვლელობის შესახებაც იგი იმ აზრისაა, რომ „კოლხი გრძნეულის შესახებ ამბავი მისი ხელით ძმის მკვლელობისა, მიზიელების გავრცელებულია და არ შეეფერება სინამდვილეს („ცხოველთა შეს.“ XIV, 25).

ფაქტია ის ამბავი, რომ კლავდიუს ელიანუსი ყველგან უარყოფს მედეას ბოროტმოქმედებას, თუმცა მას გრძნეულად მიიჩნევს. მისი (და მისი წყაროს) დამოკიდებულება მედეას საკითხისადმი ცხადყოფს იმას, რომ იგი მხარს უჭერს მითის უფრო ძველ ვერსიას, როდესაც ელიანთა შეგნებაში ფლინი და ბარბაროსი არ იყვნენ ისე მკვეთრად დაპირისპირებული, როგორც შემდეგში, როდესაც აღზევებული კლასიკური ხანის ბერძნული საზოგადოება ქედმაღლურად უყურებდა ყველაფერ არაბერძნულს.

II. კლავდიუს ელიანუსს ბევრი ცნობა აქვს ბუნებისმეტყველების დარგიდან, რაც უეჭველად მნიშვნელოვანია ამ დარგის სპეციალისტთათვის.

გაკვრით მინდა შევეხო პონტოსპირეთის თაფლის შესახებ ცნობებს, რომლებიც ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ხშირად გვხვდება (ქსენოფონტი, არისტოტელე, სტრაბონი, პლინიუსი). როგორც ჩანს, კლავდიუს ელიანუსი აქ არისტოტელეს იმეორებს — პონტოსპირეთის თაფლი წიფლისაგან მზადდება, მას მეტად მძიმე სუნი აქვს, ჯანმრთელ ადამიანებს ის აგიჟებს, ხოლო ბნედიანებს კვლავ ჯანმრთელობას უბრუნებს (ცხ. შეს. V, 42). კლავდიუს ელიანუსი სკვითურ ფუტკარსა და თაფლზედაც ლაპარაკობს (არაა დაზუსტებული, რომელ სკვითებზეა ლაპარაკი); სკვითებს თაფლი და ცვილი გასაყიდადაც კი მიაქვთ მიზიელებში (ცხ. შეს. II, 53). საყურადღებოა ის, რომ ავტორის ცნობით, ეს საქონელი საქსპორტოც კი არის და გარკვეულ ხანაში (არც დროა დაზუსტებული) სავაჭრო ურთიერთობა იყო სკვითებსა (?) და მიზიელებს შორის.

კლავდიუს ელიანუსს აქვს ცნობები საქართველოს მეზობლების — სკვითების, ბოსფორის სამეფოს, არმენიის და სხვათა შესახებ.

ამ ავტორის შესახებ დამატებით უნდა ითქვას ისიც, რომ მისი ყველა ნაწარმოები ცოცხალი, კარგი ენით არის დაწერილი და მას მართო მშრალი აღწერილობები კი არა აქვს, არამედ მხატვრულიც.

შინაარსის თვალსაზრისით მის თხზულებებში დაცული მასალა მეტწილად უეჭველად სანდოა.

კლავდიუს ელიანუსი თუ თვითონ არ არის უშუალო მკვლევარი. იგი საიმედო მასალებით სარგებლობს და ამდენად ეს მწერალიც დგება იმ ავტორთა რიგში, რომელთაც ჩვეულებრივ იყენებენ ხოლმე წყაროდ ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის.

ტექსტი: Aeliani De natura animalium, Varia historia. Epistolae et Fragmenta, recognovit adnotatione critica et indicibus instruxit Rud. Hercher, Parisiis, MDCCCLVIII.

მისივე, Lipsiae MDCCCLXIV, MDCCCLXVI, MDCCCLXVII.

Aelian, On the characteristics of animals, with an English translation by A. F. Scholfield, 3 ტომად, 1958—1960.

რუსულად: Элиан, Пестрые рассказы, перевод С. П. Поляковой. М., Л., 1963.

ნაწყევტები: В. Latyshev, SC, I და იგივე, გამეორებული ყურნალში ВДМ, 1948, № 1.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II, 1969.

ელინისტურ ხანაში მათგან გეოგრაფიის გვერდით განვითარდა ქანჩი ე. წ. პერიპლუსისა და პერიოდოსისა ან პერიეგესისის¹, რომელთა მიზანია აკვიწრონ მოგზაურობა ზღვისა თუ ხმელეთის რომელიმე მონაკვეთზე, გააცნონ მკითხველ საზოგადოებას რომელიმე ზღვის სანაპირო, ან რომელიმე ქვეყანა თავისი მოსახლეობითა და სიძველეებით.

თავდაპირველად ამ აღწერილობებს პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მოგზაურთათვის, კერძოდ სავაჭრო გზების მაძიებლებისათვის, ამდენად ბუნებრივია, რომ მათი სათავე იოხიაშია საქებარი. შემდეგ თანდათანობით განვითარდა ორივე დარგი; ძირითადად ისინი გეოგრაფიული მეცნიერების ნაწილები იყვნენ, ხოლო ბოლოს პერიოდოსმა ანუ პერიეგესისმა გარკვეული მიმართულება მიიღო — პაესანია, მაგ., თავის „ელადის პერიეგესისში“ (ახ. წ. II ს.-ის მეორე ნახევარში) ძირითად ყურადღებას ხელოვნების ძეგლებს აქცევს, მათ აღწერილობას იძლევა.

¹ *Περὶ Ἰσθμῶν* ნიშნავს რომელიმე ადგილის ხომალდით გარშემოვლას, ზღვის ნაპირას ცურვას.

Περὶ οὐρανόθεν და *Περὶ ἰσθμῶν* სინონიმურად იხმარება და ნიშნავს ხალხთა და ქვეყანათა ღირსშესანიშნავი ამბების აღწერილობას.

წვენით ერთმანეთის მიღვევნებით განვიხილავა: ყველა პერიბლუსსა და პერიეკსისს, რომლებმაც საქართველოს წარსულის შესახებ შემოგვიწინაეს ცნობები. ამ დროს ერთგვარად დაირღვევა ქრონოლოგიის პრინციპი, რაც ძირითადად დატულია წინამდებარე ნაშრომში. ეს იმიტომ, რომ უმჯობესია რომელიმე არიანე და ანონიმი განვიხილოთ სხვა პერიბლუსებისა და პერიეკსისების ავტორებთან ერთად, ვიდრე დავიცვათ ქრონოლოგია და ისინი განვიხილოთ მაგ., დიონ კასიუსთან და კლავდიუს ელიანუსთან ერთად, მაშინ რამდენჯერმე მოგვიხდება ერთა და იმავე საკითხებზე მსჯელობა. საერთო შთაბეჭდილებისათვის უმჯობესია ავტორების ასეთი გადაჯგუფება.

სკილაქს კარიანდელი. ჟანრი, რომელსაც ბერძნულად ეწოდება Περὶ Ἰουδαίας, სხვა ენებზედაც იმავე სიტყვით გადმოიციემა ჩვეულებრივ. ეს სიტყვა ნიშნავს რომელიმე ადგილის ცურვით გარშემოვლას, ზღვის ნაპირის გასწვრივ ცურვას. ხოლო ტერმინი დამკვიდრდა იმ ჟანრისათვის, რომელიც აგვიწერდა გარკვეული ხმელეთის გასწვრივ ზომადით მოვზაურობის დროს ნაწახს (ნავსადგურებს, ქალაქებს, მდინარეებს, იქ მცხოვრებ ტომებს და სხვ.).

ჩვენამდე მოღწეულ „პერიბლუსებს“ აქამად დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. (საქართველოს ისტორიის, კერძოდ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შესასწავლად საინტერესოა ერთი პერიბლუსი, რომელსაც სპეციალისტები ძვ. წ. IV ს.-ით ათარიღებენ და რომელსაც ჩვეულებრივ უკავშირებენ ზოლმე სკილაქს კარიანდელის სახელს.) სკილაქს კარიანდელი ძვ. წ. VI—V ს.-ის მოღვაწე იყო და მისი „პერიბლუსიდან“ (რომელიც ინდოეთისა და არაბეთის ზღვებს აგვიწერდა ძირითადად) მცირეოდენი ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული. ხოლო IV ს.-ის პერიბლუსი (ადრისაბლბული ეგროპის, აზიისა და ლიბიის ზღვის გარშემოვლა — Περὶ Ἰουδαίας ἤ τῆς Ἰαχθίας ἢ τῆς ὀκεανῆς Ἐσθρᾶτης καὶ Ἀσῆας καὶ Ἀζῆτης), თუ რატომ მიეწერა ცნობილ სკილაქსს, დღემდე დაუდგენელია: შესაძლოა იმიტომ, რომ პერიბლუსის ავტორად მანამდე არსებულთა შორის ყველაზე პოპულარული სკილაქს კარიანდელი იყო, ან იმიტომ, რომ ამ პერიბლუსში იყო იმდაგვარივე ცნობები, როგორც პქონდა სკილაქსს, ანდა სკილაქსი ერთი კი არა, ორი იყო, ერთი VI ს.-ში და მეორე შემდეგ; ან კიდევ: შესაძლოა სულაც ხელნაწერის შეცდომა იყოს სკილაქს კარიანდელისათვის ამ პერიბლუსის მიწერა. გასარჩევად VI ს.-ის ავტორს ეწოდება სკილაქსი, ხოლო IV ს.-ისას ფსევდო-სკილაქსი.)

(სპეციალისტთა აზრით, ავტორი ამ პერიბლუსისა იყო ათენელი

მწერალი და ვაჭარი, რომელსაც აინტერესებდა ყირიმში, სინდიკე და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო).

მან თავისი პერიპლუსი შეადგინა 361 წლის შემდეგ 357 წლამდე², რაც შემდეგ შეივსო უფრო გვიანდელი ჩანაწერებით. მის წყარობად უკანასკნელი დროის გამოკვლევების მიხედვით ივარაუდებიან არა VI—IV სს.-ის ლოგოგრაფოსები და ისტორიკოსები (როგორც ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, ჰეკატაეოს მილეტელი, თეოპომპე, ეფოროსი და ფილეასი), არამედ ამავე დროის საზღვაო რუკები³.)

ჩვენი პერიპლუსის ავტორი შავი ზღვის სანაპიროს აღწერას იწყებს ჩრდილოეთიდან და მოდის თანდათანობით სამხრეთისაკენ. აღწერისას ჩამოთვლის ტომებს, მდინარეებს, რომლებიც ერთვებიან ზღვას, ნავსადგურებს და იშვიათად სხვა ქალაქებსაც, თუკორამეთი არიან შესანიშნავი. (ტომთა შორის ის ჩამოთვლის (ვიცავ იმავე-რიგს, რაც-აქვს ფსევდო-სკილაქსს): სავრომატებს, მამოტებს, სინდებს, კერკეტებს, ტორეტებს, აქამებს, ჰენიოქებს, კორაქსებს, კოლებს, მელანქლამებს, გელონებს, კოლხებს, ბიძერებს, ექექეარებს, ბექეარებს, მაკროკეფალებს, მოსინოაკებს, ტიბარენებს, ხალიბებს. ეს არის შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული ტანაისიდან (ე. ი. დონიდან) თერმოდონტამდე (თანამედროვე თერმეჩაიმდე).)

ზოგი ტომის ხსენებისას ავტორი ასახელებს ქალაქებსაც, რომლებიც ამ ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზეა, მათ შორის ზოგი ქალაქი ელინურია, ზოგი ბარბაროსული და ზოგის შესახებ სწე-რდია მხოლოდ „ქალაქი“. არაა განსაზღვრული, თუ როგორი ქალაქია, მაგ.; კოლხების ელინური ქალაქებია: გვენოსი, ფასისი. მათი ქალაქია დიოსკურისი. მათი დიდი ბარბაროსული ქალაქია მდ. ფასისის ნაპირას, შესართავიდან 180 სტადიონის დაშორებით, საიდანაც იყო მდგეა (ქალაქის სახელი არაა); ექექეარების ელინური ქალაქია ოდე-ანიოსი, ხოლო ქალაქია ლიმნე. ბექეარების ელინური ქალაქია ბექეარეასი (ეტყობა, იგივე არის ბექეარების ნავსადგურიც). მაკროკეფალების ელინური ქალაქია ტრაპეზუნტი, მათი ნავსადგურია ფსორონი. მოსინოაკების ელინური ქალაქია ქომარდესი, მათი ნავსადგურია ძეფიროსი. ხალიბების ელინური ქალაქია სტამენეა,

¹ М. Ростовцев, Скифия и Боспор, 1925, стр. 25.

² Fabre, P. La date de rédaction du périple de Scylax: Les études classiques. Namur. XXXIII, 1965, გვ. 353—366.

³ Peritti, A. Teopompo e Pseudo-Scilace: Studi Classici e Orientali: Pisa, XII, 1963, გვ. 16—80.

ელინური აკროპოლისია — იასონია, ხოლო დახურული ნავსადგური გენეტესი.)

! ზემოხსენებულ ტომთა შორის ბევრია ისეთი, რომელთა ქალაქებსაც არ ასახელებს ავტორი. მიზეზი შესაძლოა ის არის, რომ ამ ტომებს ქალაქები (ან მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები) არ ჰქონდათ. მითუმეტეს, რომ ზოგიერთს ამ ტომთაგან სხვა ავტორები ჩამორჩენილსა და ველურს უწოდებენ, ისინი მეკობრულსა და მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. ასეთი ტომებია: კერკეტები, აქაეები, ჰენიოქები, კორაქსები, კოლები, მელანქლადები, გელონები, ზიქერები, ტინარენები.

(ფსევდო-სკილაქსის მიერ ჩამოთვლილი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მოედინებიან მდინარეები, რომელთა აღნიშვნა მას საჭიროდ მიუჩნევია. მელანქლადების ქვეყანაში არის მდინარეები: მეტასორისი და ადგიბიოსი. კოლების მიწა-წყალზე მოედინება: მდ. მდ. ვვენასი, ქერობიოსი, ქორასი, არიოსი, ფასისი, რისი, „ყაჩაღთა მდინარე“ და აფსაროსი. ბიქერების მხარეში არის მდინარეები: დარაანონი და არიონი) ~~ფეჟეჟერების ქვეყანაში არის მდინარეები: ბორდონი და არაბისი.~~

(ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში ძირითადად ტომთა მხოლოდ ჩამოთვლა, მათი დახასიათება თითქმის არ გვაქვს) ფსევდო-სკილაქსის ცნობების გათვალისწინებით და მათი შეყვარებით სხვა ავტორთა მონაცემებთან ამ ტომების ასეთი ლოკალიზაცია ხერხდება: საერომატები ცხოვრობენ მდ. ტანასთან (ე. ი. დონთან) და ჰონტოსთან. ესენი არიან ქალთამიერ მართლნი (γυθαμιοιερμαρτοιςμησων, § 70). აქ ამ დახასიათებაში უნდა იყოს მითითება საერომატთა კავშირზე ამძონებთან (საერომატები სკვითებისა და ამძონების შეუღლების შედეგად წარმოშობილ ტომად იყვენ მიჩნეულნი. შდრ. ჰეროდოტე, IV, 110—117; ფსევდო-სკიმნოსი, 280. დიონისიოს პერიეგეტი, 652—662 და სხვ.). საერომატთა მეზობელი, მამოტთა ტომი (სხვა ავტორთა განსაზღვრით ასევე საერომატული ტომი) მამოტისთან, ე. ი. აზოვის ზღვასთან სახლობდა. სინდები, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ ტამანის ნახევარკუნძულიდან დღევანდელ ნოვოროსიისკამდე, ხოლო ტერიტორია ნოვოროსიისკიდან დაახლ. ტუაფანგდეკირათ კერკეტებსა და ტორეტებს¹.

კერკეტებსა და ტორეტებს ჩვეულებრივ ჩერქეზულ-ადიღეურ ტომებად მიიჩნევდნენ ხოლმე (კერკეტი — ბერძნული გადმოცემა „ჩერქეზის“), მაგრამ გ. მელიქიშვილის დაშვებით „კერკეტი“ შეიძ-

¹ Гайдукевич В. Ф., Боспорское царство, 1949, стр. 22, 215—217.

ლება დაუკავშირდეს ეგრების სახელს¹, მითუმეტეს, რომ ასეთი სახელის ტომი შავი ზღვის სამხრეთ-აღმ. სანაპიროზედაც გვხვდება (სტრაბონი, XII, 3, 18).

აქაეები და ჰენიოქები ფსევდო-სკილაქსის მასალის მიხედვით თანამედროვე ტუაფსესა და ვაგრას შორის უნდა ვივარაუდოთ. ირრევე სახელი მართალია ბერძნულად ჟღერს, მაგრამ კარგა ხანია, რაც არავინ ფიქრობს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში გავრცელებული ლეგენდის დაქვრებას მათი ელინური წარმომავლობის შესახებ. ეპეებენ ამ სახელებში დამალულ ადგილობრივ სახელწოდებას. აქაეების ეთნიკური კუთვნილების შესახებ ნაკლები ვიცით, ხოლო რაც შეეხება ჰენიოქებს, ისინი უკვე დიდი ხანია, რაც სპეციალისტთა უკრადლებას იხყრობენ. გავრცელებული შეხედულების მიხედვით (რასაც ალბათ ლინგვისტური შემოწმება ესაშიროება). „ჰენიოქი“ არის ვარიანტი მეორე სატომო სახელის „სანიგის“ (რაც ევზებდა სხვა ავტორებთან) და ეს არის დასავლურ-ქართული მოღვმის ტონი (მეტი წილი ფიქრობს, რომ მეგრულ-ქანური ოჯახისა; ზოგიერთების აზრით — სვანურისა).

კორაქსები და კოლები დაახლოებით ბზიფის შესართავის რაიონში არიან საგულვებელი². მათ მეზობლად კი მელანქლაძეები და გელონები ცხოვრობდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტომების შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრებას სკეპტიკურად უყურებდნენ და ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსის ეს ცნობა ან გაუგებრად ან მიზნეული, ან არა და, სკილაქსის პერიპლუსიდან გადმოსულად³ მემის აზრით, ეს ტომები სახლობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე ბზიფის შესართავსა და დიოსკურიას (სოხუმს) შორის, მაგრამ სტ. წ. IV ს.-ზე უფრო ადრე, თარიღი საერთოდ დასაზუსტებელია. ამ აზრის სისწორეს მოწმობს ჰეროდოტეს „ისტორიაც“ (IV, 103. 110—136), როპელსაც, როგორც ცნობილია, ფსევდო-სკილაქსისაქან განსხვავებული წყაროები ჰქონდა და სადაც სკვითის ტერიტორიაზე იხსენიებიან არასკვითური მოღვმის მელანქლაძეები (IV, 20).

(ფსევდო-სკილაქსი, სხვა ბერძენი ავტორებისა არ იყოს, შავი ზღვისპირეთის ტომთა ჩამოთვლა-აღწერისას ვანსაკუთრებულ ადგილს უთმობს კოლებს (§ 81). კოლებით დასახლებული ტერიტორია ვრცელდება ქ. დაოსკურისიდან მდ. აფსაროსამდე, ე. ი. ქ. სოხუმიდან მდ. ჭოროხამდე. ქსენოფონტის „ანაბასისში“, რო-

¹ Г. А. Мелликишвили, К истории древней Грузии, стр. 89.

² ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, 1963, გვ. 22.

³ იქვე.

მელიც ამ პერიპლუსზე დაახლ. 40—50 წლით ადრე დაიწერა, კოლხები ცხოვრობდნენ ტრაპეზუნტისა და კერასუნტის მიდამოებში (IV, 8, 22; V, 3, 2). შავი ზღვის აღმ. სანაპიროს გასწვრივ ჩრდილოეთით სანამდე ვრცელდებოდა კოლხების ტერიტორია, არ ჩანს (რადგან ქსენოფონტს ის არ უნახავს), სამხრეთის საზღვარი კი სრულიად გარკვეულია. ფსევდო-სკილაქსთან ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოებში სხვა ტომები ჩანან—ბიძერები (§ 82), ეკექეარები (§ 83), ბექეარები (§ 84), მაკროკეფალები (§ 85) და მოსინოაკები (§ 86).

ასე მცირე დროით დაშორებული ორი ძეგლი რომ ორ ასეთ განსხვავებულ ცნობას იძლევა კოლხთა საცხოვრისის შესახებ, ეს ახსნას მოითხოვს. რომ ქსენოფონტმა საკუთრივ კოლხები ინახულა ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარეში, ეს უდავოა, რომ ამავე ტერიტორიაზე ფსევდო-სკილაქსმა სხვადასხვა ტომების სახელები იცის, ესეც ცხადია; ბექეარები და ბიძერები (see ბიძერები) ჰეკატაეოს მილეტელმაც იცის (იხ. ზემოთ). აქედან ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ის ტერიტორია, რაც ქსენოფონტის დროს კოლხებისად იყო მიჩნეული, სხვა დროს (ე. ი. მასზე ადრე და, მაშასადამე, ფსევდო-სკილაქსის ცნობები უფრო ადრინდელ მასალას შეიცავენ, ვიდრე თვით ფსევდო-სკილაქსი და ქსენოფონტი იყვნენ) ეპირათ სხვადასხვა (პატარა) ტომებს, რომლებიც, ეტყობა, შემდეგ უფრო ძლიერმა კოლხთა ტომმა შთანთქა (და არა მარტო პოლიტიკურად).

ბიძერების საცხოვრისი იყო მდ. ქოროხსა და მდ. არქაბისის (არაბისის) შორის. მდ. არქაბისი ვიწვეზე ჩრდილოეთითაა (დაახლ. 16 კმ-ით) და თვით გეოგრაფიული სახელი „ვიწე“ კავშირში უდა იყოს ამ ტომის სახელთან¹.

ეკექეარები² მდ. არქაბისსა და მდ. ოფიუნტს (თანამედროვე სულაკლი) შორის არიან საძებარი, ხოლო ბექეარები — სადღაც თანამედროვე რიძესთან. ეს ტომები ქართველ ტომებად არიან მიჩნეული.

მაკროკეფალები (რასაც ჩვეულებრივ მაკრონებთან აიგივებენ ხოლმე) თანამედროვე ტრაპეზუნტის მიდამოებში ივარაუდებინან, მოსინოაკები — რომლებიც ზღვაზედაც ჯამოდიან და მთებშიც ცხოვრობენ (§ 86) თანამედროვე გირესუნტთან; ტიბარენების შესახებ ფსევდო-სკილაქსი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ისინი მოსინოაკებია მეზობლები არიან. ამის მიხედვით ზუსტი ლოკალიზაცია

¹ არის აზრი „ბიძერების“ დაკავშირებისა „ბერძენთან“ (მ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი).

² ამათ სახელწოდებასაც ეგრძის უკავშირებს გ. მელიქიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 89, 99.

ჭირს, მაგრამ თუ მოვიშველიებთ ქსენოფონტს, ისინი კოტიორასთან (თანამედროვე ორდუ) ცხოვრობდნენ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქსენოფონტისა და ფსევდო-სკილაქსის მიერ ხსენებული ერთი და იგივე ტომი ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას არ ცხოვრობს (ფსევდო-სკილაქსის ცნობები თითქოს უფრო ადრინდელი ჩანს).

იმ ხალიბებს ახსენებს ფსევდო-სკილაქსი, რომლებიც ზღვის გასწვრივ ცხოვრობენ, რომლებსაც აღმოსავლეთით ტიბარენები ჰყავთ, ხოლო დასავლეთით ასირია (თერმოლონტი, ჰალისით etc). ეს ხალიბები ცხოვრობენ იქ, სადაც თანამედროვე იასუნ-ბურუნი, ხანმეტ-კალესი და სხვ. პუნქტებია.)

რაც შეეხება სხვადასხვა ქალაქებსა და მდინარეებს, რომელთაც უხვად ასახელებს ფსევდო-სკილაქსი, მათ შესახებ შემდეგი შეგვიძლია ვთქვათ:

კოლხების ტერიტორიაზე ნახსენებია: ელინური ქალაქები გვენოსი და ფასისი (რაც ივარაუდება დაახლ. იმ ადგილას, სადაც თანამედროვე ოჩამჩირე და ფოთია — ეს მეორე მანისკ დასუსტებულ მოითხოვს), ქალაქი დიოსკურისი (დაახლ. თანამედროვე სოხუმის ადგილას). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიოსკურისი „ელინური“ ქალაქად არ არის გამოცხადებული. საკითხის ყველაზე მარტივი გადაწყვეტა იქნება იმის დაშვება, რომ ეს ხელნაწერის შეცდომაა, ან არა და, რომ თვით ფსევდო-სკილაქსს გამორჩა სიტყვა „ელინური“. შეიძლებოდა იმის თქმაც, რომ რაკილა ფსევდო-სკილაქსის ცნობები ავტორზე უფრო ადრინდელია, შესაძლოა მასთან ასახულია ის ვითარება, როდესაც ფასისი და გვენოსი იმყოფებოდნენ უკვე ბერძნულ სამყაროსთან, ასე ვთქვათ, გარკვეულ აქტიურ ურთიერთობაში, ხოლო დიოსკურისმა ასეთი ურთიერთობა უფრო გვიან დაამყარა (ხოლო პიტიუნტმა კიდევ უფრო გვიან). ყველაზე უფრო (საინტერესოა აღნიშვნა „დიდი ბარბაროსული ქალაქისა“ შესახებ, მაგრამ ასეთი მინიშნებით: აქედან იყო ბერძენთათვის კარგად ცნობილი მედეა და ის მდებარეობდა ფასისის აყოლებაზე 180 სტადიონის (ე. ი. დაახლ. 35 კმ-ის) მანძილზე (უთუოდ იმ ადგილიდან, სადაც მაშინ მდინარე ფასისი ზღვას ერეოდა). მედეას სამშობლოდ და ამა-კოლხიდის დიდ ქალაქად მიჩნეულია კუტაჰა (ქუთაისი), მაგრამ დღეს ის გაცილებით უფრო შორსაა რიონის შესართავიდან, ვიდრე 35 კმ-ია. მაგრამ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მდ. ფასისის შესართავი და ზღვის სანაპირო ხაზი სკილაქსის (თუ მისი წყაროს) დროისათვის იქ არ იყო, სადაც დღე-

საა, ამიტომ კირს დაზუსტებით იმის თქმა, „დიდი ბარბაროსული ქალაქი“ მდ. რიონთან რა ადგილას უნდა ვეძებოთ.

ავტორი ამ კონტექსტში, ე. ი. ამ ქალაქთან მდ. რისს ასახელებს. ს. ჯანაშიას რიბი რიონად მიაჩნია, რიონის ზემო წელად. ასევე შესაძლებელია, რომ „რისი“ რიონის რომელიმე შენაკადი იყო, მის შუა თუ ზემო დინებასთან.

ეკექემარიების ტერიტორიაზე აღნიშნულია ელინური ქალაქი ოდეანოსი (სხვა წყაროების ადიენოსი, თანამედროვე ასკუროსთან და ყიბლედალდერესთან, თუ კანლუდერესთან) და ქალაქი ლიმნე (იგივე ათინა, დღევანდელი ფაზარი). ლიმნეც მხოლოდ ქალაქად არის ხსენებული, რაც, უთუოდ, შემთხვევითი არ არის.

(ბექემარების მხარეშია ელინური ქალაქი ბექემარიასი, რომელიც როგორც ჩანს, ამავე დროს არის მათი ნავსადგურიც. ეს სახელი არაა საკუთარი სახელი, ის წარმოებულია იმავე სიტყვისაგან, რომლისგანაც არის თვით ტომის სახელი; ფსევდო-სკილაქსის ბექემარისი გაიგივებულია ქ. რიზესთან)

(აკროკეფალების ტერიტორიაზე არის ელინური ქალაქი ტრაპეზენტი (თანამედროვე ტრაპზონი) და ნავსადგური ფსორონი-ფსორონი დაახლ. იქ იყო, სადაც არის ახლანდელი ფოლბაზარზი. (?) მოსიროკების ელინური ქალაქია ქოჯრადესი (თანამედროვე გირესუჯა) და ნავსადგურია ძეფირიოსი (თანამედროვე ზუფრუს კონცხი).
სალობების მხარეში აღნიშნულია ელინური ქალაქი სტამენეა (ივარაუდება იაზუნბურნუს აღმოსავლეთით), ელინური აკროპოლისი — იასონია (თანამედროვე იაზუნ-ბურნუ) და დახურული ნავსადგური გენეტესი (ხანეტ-კალესი).

უნდა შეინიშნოს ის, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ბევრი ქალაქია აღნიშნული ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში, რაც მისი დროისათვის (და-ვფიქრობ-ბე-წ. IV ს.-ზე კიდევ უფრო უდრე) ამ მხარეში განვითარებულ საქალაქო ცხოვრებაზე ლაპარაკობს. ~~ხოლო რაც შეეხება განსაკუთრებით აღნიშნულ ელინურ ქალაქებს, აქ გასწორებულია ეს ცნება რას ვუღიარებ, იასონი-უთუოდ, რომ ბერძნულ სამყაროსთან ამ ქალაქებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ.~~

ფსევდო-სკილაქსის მიერ ჩამოთვლილ მდინარეთა შორის ჩვენი ცოდნის დღევანდელ საფეხურზე მათი ასეთი იდენტიფიკაცია ზერხდება: ადგილისა და მეტასორისი მხოლოდ ამ თხზულების მიხედვით ცნობილი მდინარეებია. მათი ზუსტი ლოკალიზაცია არავის მოუხდენია, მაგრამ არსებობს ევროპელ მეცნიერთა (მფულერი, ტომაშეკი, ჰერმანი, კისლინგი) ცდა, რომლის მიხედვითაც „ადგილის“

არის შემდეგ ბერძნულ წყაროებში ხშირად ხმარებული მდ. ჰიპოსი, ხოლო „მე-ტასორის“-ი იგივე ტარსურა — ისინი ივარაუდებია კორაქსების მხარეში, დაახლ. თანამედროვე ოჩამჩირის რაიონში. ეს მდინარეები მელანქლაძეების ტერიტორიაზე მოედინებია, მელანქლაძეები კი ჩემის ვარაუდით დაახლ. ბზიფის შესართავთან ცხოვრობდნენ, ამდენად ადგილისა და მე-ტასორისის ოჩამჩირის რაიონში გადმოტანა (და გაიგივება მოქვისწყალთან და ცხენისწყალთან) სწორად არ მიმაჩნია¹.

✓(გოლსების მიწაწყალზე ფსევდო-სკილაქსი 9 მდინარეს ასახელებს: ქ. გვენოსთან ნახსენებია მდ. გვენოსი, თუ ქ. გვენოსი ოჩამჩირეა, მდ. გვენოსი უნდა იყოს მოქვის წყალი. ფასისი რადგან რიონია (შესაძლებელია არაა-საეჭვო, მისთან ერთად ქ. ფასისია ნახსენებთ), ამდენად მოქვის წყალსა და ფასისს შორის ნახსენები 3 მდინარის გარკვევა არ ჭირს — ამის შესაბამისად ქერობიოსი უნდა იყოს ოქუმი (ერისწყლითურთ), ქოროსი — ენგური და არიოსი — ხობი)

ფასისის შემდეგ არის მდ. რისი (მხოლოდ ჩვენს ტექსტში ხსენებული), რაც კინლინგისა და ს. ჯანაშიას აზრით არის იგივე რიონი, მისი დინების შემოწილი. შეაძლებელია ეს ასეა, მაგრამ გამორიცხული არაა ისიც, რომ ეს არის ფასისის რომელიღაცა შენაკადი, მითუმეტეს, რომ არ ჩანს, რომ ის ზღვას ერთვოდეს. იგი „ბარბაროსული ქალაქის“ მიდამოშია ნახსენები. ამის შემდეგ (მდ. აფსაროსამდე (ჰოროზამდე) ორი მდინარეა ნახსენები — მდ. იასი — რაც მდ. ნატანებთან არის გაიგივებული და „ლესტონ პოტამოსი“ — ანუ ყაჩაღთა წყალი — თანამედროვე კინტრისი ან ყოროლის წყალი).

ბიძერების ტერიტორიის დაბრუნება თანამედროვე მდ. ორბოფია, არაონი — მდ. არხავე, (ხოლო ეკექედრების პორდანისი — მდ. ფურტუნა-სუ, არაბისი კი თანამედროვე სუხა-დერე².)

(პრივად, ფსევდო-სკილაქსი ერთ-ერთი ძირითადი ავტორია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ნაწილის უძველესი ქართული ტომების ისტორიისა და გეოგრაფიისათვის.)

¹ საინტერესოა ენათმეცნიერული ვარჯიში, რაც ამ სიტყვებზეა ჩატარებული — „მე-ტასორის“-ში გამოყოფილია „მე“ (ქართული) — მაწარმოებელი, რაც დასაშვებია კიდევ, მაგრამ „ადგილისში“ ადგილის ამავე ნიადაგზე გამოყოფა მხოლოდ ვაუგებარია (მსჯელობა ასეთია: ქართული ფორმა ჩვეულებრივ უფრო ვრცელია. პრეფიქსიანია, მაგ., ადგილისი, მისმა ბერძნულმა შემოკლებამ მოგვცა „ΠΗΛΟΣ“-ის RE, VIII, 2 გვ. 1918).

² უფრო დაწვრილებით, თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 36 და შმდ.

³ ნ. ლ. მ. ო. უ. რ. ი, ბერძენი ლოგოგრაფიების ცნობები... გვ. 14.

ტექსტი: C. Müller, Geographi graeci minores, vol. I, Paris, 1882, გვ. 15—96.

A. Baschmakoff, La synthèse des périples pontiques, Paris, 1948.

B. B. Latyshev, SC, I. ВДИ, 1947, № 2.

ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოების ცნობები ქართული ტომების შესახებ, 1963, გვ. 33—34.

თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 9 — 52.

თ. ყაუხჩიშვილი, სკილაქს კარიანდელის ზოგიერთი ცნობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, I, 1965.

სკიმნოს ქიოსელი. ელინისტურ ხანაში მსოფლიო გეოგრაფიის გვერდით პერიპლუსის ყანართან ერთად განვითარდა მეორე სახეობაც — პერიოდოსის, ან პერიეგესისა, მისი მიზანი იყო ხალხთა და ქვეყანათა ღირსშესანიშნავი ამბების აღწერა.

სკიმნოს ქიოსელის სახელით მოღწეული პერიეგესი ძირითადად გეოგრაფიული ხასიათისაა, სასწავლო ტიპის ნაშრომია; ისაა პოემა, რომელიც დღესდღეობით შედგება 980 ტაეპისაგან და დაწერილია იამბიკური საზომით. ის რაც ხელთ გვაქვს, შესავალს გარდა შეიცავს 2 ძირითად ნაწილს—„ევროპას“ და „აზიას“. შესაძლოა მას ჰქონდა კიდევ მესამე ნაწილიც—„ლიბია“ (ან „ლიბია“ ავტორს ესმოდა როგორც „აზიის“ ნაწილი და II ნაწილშივე შედიოდა მისი აღწერილობაც). ევროპისა და აზიის აღწერისას ავტორი არ გაუბრუნებს სხვა რიგის ცნობებს ამა თუ იმ ადგილისა ან ხალხის შესახებ.

ძველ ბერძნულ მწერლობაში იყო ცნობილი სახელი სკიმნოს ქიოსელისა, რომელიც ცნობობდა III—II სს.-ში და რომელსაც ჰქონდა პროზად დაწერილი „პერიეგესი“. ეს „პერიეგესი“ დაკარგულა, სამაგიეროდ აღმოჩნდა უავტორო პოემა — „პერიეგესია“, რომელსაც ათარიღებენ ძვ. წ. II თუ I სს.-ით. სხვადასხვა დროს ის სხვადასხვა ავტორს ფიანურეს და დღესდღეობით კი პირობით მას ფსევდო-სკიმნოს ქიოსელისას უწოდებენ.

პერიეგესის ავტორი მკვლევართა უმეტესობის აზრით ბერძნული, მაგრამ აღმოსავლეთის ბერძნული ქვეყნებიდან არის¹. მისი წყაროებია პეროდოტეს გარდა IV—III სს.-ის ავტორთა მთელი რიგი, რომელსაც იგი დიდი ხალისით იმოწმებს და ახსენებს თავის პოემაში.

¹ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქ-ს შესახებ, I, გვ. 59—60.

ხსენებულ ავტორთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეფოროსს (ძვ. წ. IV ს.)¹.

საკუთრივ ქართველ ტომთაგან ფსევდო-სკიმნოსი ასახელებს და ახასიათებს მოსინიკებს, ტიბარენებსა და ხალიბებს. მოსინიკების შესახებ მას ასეთი ცნობა აქვს:

„მოსინიკები თავისი ჩვევების, კანონებისა და საქმიანობის მიხედვით ყველაზე უფრო ბარბაროსები არიან. ამბობენ, რომ ისინი ყველანი ცხოვრობენ ხის ძალიან მაღალ კოშკებში და ყველაფერს მუდამ ცხადლივ აკეთებენ, ხოლო თავის მეფეს შეკრულსა და კოშკში ჩაკეტილს, გულმოდგინედ იცავენ. იგი ჰყავთ სულ ზემო სართულში, ხოლო მისი დარაჯები ზრუნავენ იმისათვის, რომ ყოველივე მისი განკარგულება კანონიერი იყოს, ხოლო თუკი მან გადაუხვია (კანონს), ამბობენ, რომ მას უდიდეს სასჯელს ადებენ — არ აძლევენ საქმელს“ (900—910 სტრ.).

მოსინიკების შესახებ ცნობები სხვა ავტორებსაც აქვთ; ყველა პუნქტი, რაც არის ჩვენს ავტორთან, არის აპოლონიოს როდოსელთან (არგონავტიკა, II, 379—383, 1015—1031), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ აპოლონიოსი უფრო დაწვრილებით აღწერს, თუ რას აკეთებენ მოსინიკები ცხადლივ — მათი წყარო ერთ მუხლში იყო ეფოროსი, ხოლო სხვა მუხლები მათ საერთო აქვთ ქსენოფონთან.

ტიბარენების შესახებ ფსევდო-სკიმნოსი წერს: „ისინი ძალიან ცდილობენ ყოველნაირად, რომ იცინონ, რადგან ეს დიდი ბედნიერების მომასწავებლად მიაჩნიათ“ (914—916). ტიბარენთა ხსენება ჰეკატაეოს მილეტელიდან დაწყებული ბევრ ავტორთან გვხვდება. მათთან ძირითადია ამ ტომის ლოკალიზაცია, პოლიტიკური ისტორია, ეთნიკური კუთვნილება, შექურვილობის აღწერა და სხვ. მათი დამოკიდებულება სიცილისა და მხიარულებისადმი გვხვდება მხოლოდ ეფოროსთან და მისგან მომდინარე ცნობებში (ჩვენი პერიეგესი, მელა; ჩვენი პერიეგესიდან — ანონიმური პერიპლუსი).

ხალიბებს ფსევდო-სკიმნოსი ძალიან გაკვრით ეხება, მასთან არაა, რაც აქვთ სხვა ავტორებს (მაგ., ამ ტომის მელითონეობა), მაგრამ მისი ცნობა გამოსადეგია ხალიბთა ლოკალიზაციისათვის: „ხალიბები ქვეყნის შიგნით არიან და (ცხოვრობენ) კაპადოკიელების მახლობლად“ (938 და შმდ.), ამას წინ უძღვის ის, რომ ზღვის ნაპირას არიან პაფლაგონიელები და პამფილიელები, შემდეგ ზღვისაგან დამორებით, მატერიკის სიღრმეში — ხალიბები.

¹ თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქ-ს შესახებ, I, გვ. 64 და შემდ.

ფსევდო-სკიპონოსი უთუოდ იცნობდა არგონავტთა თქმულებას, მაგრამ მის მიერ დამოწმებული მასალა ავ სფეროდან უფრო „ოდი-სეიდან“ და ტროის ციკლიდან მომდინარე ჩანს, ვიდრე უშუალოდ არგონავტთა მითიდან. მაგ., ლატილების მამამთავარია ლატინოსი, კირკესა და ოდისევისის შვილი, ხოლო ავსონებისა — ავსონი, ოდი-სეისისა და კალიფსოს შვილი (227 და შმდ.)

„ოდისეაში“ არაფერი სწერია ამის შესახებ (თუმცა საყოველ-თაოდ ცნობილია ოდისევისის შეხვედრა კირკესთან — კოლხიდის მე-ფის ადეტესის დასთან და ნიმფე კალიფსოსთან). ეს ცნობები მო-დის ტროის ციკლის თქმულებიდან და საინტერესოა იმდენად, რამ-დენადაც ჩვენი პერიეგეტი მათ იმეორებს, შეაქვს ისინი სასწავლო ტიპის თხზულებაში. კირკეს დაკავშირება ლატინებთან, მათ წინაპ-რად გამოცხადება, ჩვენთვის უეპველად საინტერესოა და გვაფიქრე-ბინებს იმაზე, რომ ძველი კულტურული ხალხები იმდენად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ისეთი მკვიდრო ურთიერთობა ჰქონ-დათ, რომ იმდროინდელ მკვლევარებს აუცილებლად მიაჩნდათ მათი ერთმანეთთან გენეტიკური დაკავშირებაც (კირკე კოლხიდის მეფის დაა და ამავე დროს დედია ლატინთა მამამთავრის).

ტექსტი: M. Letronne, *Fragments des poèmes géographiques*, Paris, 1840.

A. Meineke, *Scymni Chii periegesis et Dionysii descriptio Graeciae*, Berlin, 1846.

C. Müllerus, *Geographi graeci minores, I. Parisiis*. 1882. (გვ. 196—237).

B. B. Latyshev, *SC, I. გვ. 87—91. ВДИ, 1948, № 1.*

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ I, 1967, გვ. 55—99.

ლიონისიოს პერიეგეტის პიროვნებისა და ცხოვრების თარიღის საკითხი დიდხანს გაურკვეველი იყო მეცნიერებაში; დღესდღეობით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის ადრიაანეს დროს მოღ-ვაწეობდა (ე. ი. II ს.-ის პირველ ნახევარში) და წარმოშობით ალექ-სანდრიელი იყო.

ლიონისიოსის „დედამიწის აღწერილობა“ (*Οἰκουμένης περιήγησις*) წარმოადგენს ჰეგზამეტრებით დაწერილ პოემას, სადაც მოცემულია მისთვის ცნობილი მსოფლიოს აღწერილობა და ზოგადი გეოგრაფიუ-ლი ხასიათის ცნობების გვერდით (რაშიც შედის ზოგადი გეოგრა-ფიაც, ხოროგრაფიაცა და ტოპოგრაფიაც) არის პოეტური და მი-თითურ-კოსმოგრაფიული წილსვლებიც. ტექსტი ჩვენამდე მთლიან-

ნად არის მოღწეული. რომაულსა და ბიზანტიურ ხანებში მას მიიჩნევდნენ გეოგრაფიის ძირითად სახელმძღვანელოდ, ბერს კითხულობდნენ, იწერდნენ, თარგმნიდნენ და კომენტარს ურთავდნენ. დიონისიოსის „პერიგესის“ შესახებ მსჯელობა არ იქნება სრული, თუ არ გავითვალისწინებთ რამდენიმე ბიზანტიური ხანის ნაშრომი: ბერძნულივე პროზაული Paraphrasis-ები, ლათინური Paraphrasis-ები (IV და VI სს.-ისა); სქოლიოები (IV—V სს.-ისა) და XII ს.-ის ცნობილი მოღვაწის, ეესტათი ეპისკოპოსის კომენტარები.

დიონისიოსის პოემის გაცნობა უეპველს ხდის, რომ მისი ავტორი განათლებული კაცია, ზედმიწევნით იცის ძველი ბერძნული ლიტერატურა და მთელი ის მონაპოვარი, რაც ალექსანდრიელ მოღვაწეებს ჰქონდათ ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში. დიონისიოსის უშუალო წყაროებად მიჩნეულია ალექსანდრე ლიხნოსის პოემა და მეტროდორე სკეპსისელის კომპილაციური ხასიათის ნაშრომი.

რანდენადაც ავტორი არის განსწავლული პოეტი და არა რომელიმე პრაქტიკოსი მოღვაწე, ამდენად პოემაში ძირითადად მოიპოვება ლიტერატურული ცნობები, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ძველი და ზოგჯერ კიდევაც მოძველებული მისი დროის მიღწევათა ფონზე.

დიონისიოსი ძლევამოსილი, ყოვლისშპყრობელი რომის დიდად დამფუძნებელი და განმადიდებელი ჩანს, ხოლო ბარბაროსთა ცხოვრებას იგი მუქ ფერებში გვიხატავს. დიონისიოსის „პერიგესი“, როგორც ლიტერატურული ძეგლი, მაღალი ღირსებისაა, ხოლო როგორც წყარო, უეპველად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ შეიცავს ბევრ უძველეს ცნობას.

ახალი და საგანგებოდ საინტერესო, რაც მის ნაშრომში მოიპოვება საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით, შემდეგია:

კასპიისა და ევქსინის ზღვებს შორის მდებარე ყელზე ცხოვრობს იბერთა აღმოსავლური ტომი, რომელიც ოდესღაც პირენეიდან მოვიდა აღმოსავლეთში და პირკანიელებთან სასტიკი ბრძოლა ჰქონდა (ტაბეი 695 და შმდ.).

ასე ერთი ცნობის საფუძველზე (თუმცა მას ზოგი სხვა ძველი ავტორიც იმეორებს) საქართველოს იბერთა დასავლეთიდან მოსულობის საკითხი ვერ გადაწყდება, მაგრამ იგი უნდა იყოს გამოძახილი ამ ცოდნისა და გადმოცემებისა, რაც გავრცელებული იყო ანტიკურ სამყაროში ტომთა შორის ურთიერთობისა და მიგრაციის შესახებ. რაც შეეხება იმის აღნიშვნას, რომ მოსულ იბერებს ბრძოლა ჰქონდათ ადგილობრივ პირკანიელებთან, ეს ამ ტომთა შორის რეალურად არსებული ურთიერთობის გამოძახილი უნდა იყოს.

საინტერესოა აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე კამარიტების

ტომის ხსენება¹ — ესენი უშუალოდ იბერიელთა შემდეგ, აღმოსავლეთისაკენ, კასპიის ზღვისაკენ იხსენიებიან; ეს დიდი ტომია, რომელმაც ოდესღაც ბაკქუსი სტუმართმოყვრულად მიიღო, რის შემდეგაც ამ ღმერთმა გულით შეიყვარა ეს მოღვმა და მათი ჩვევები (700 და შმდ.). ვის გულისხმობს დიონისიოსი „კამარიტებად“, გაურკვეველია, მაგრამ ერთი ცხადია, რომ იბერიის აღმოსავლეთით და კასპიის ზღვის დასავლეთით მდებარე ქვეყანა მას დიონისეს მიერ ყურადღებაშიქცეულად, ე. ი. ღვინის ქვეყნად მიაჩნია.

დიონისიოსს გარდა არც ერთ ბერძენ მწერალს არ ჰყავს ხსენებული ტომი — „კამარიტები“. ლათინურად მწერალ ისტორიკოსთა შორის კამარიტებს ახსენებს ამიანუს მარცელინუსი (22, 8, 23-24), რომლის თანახმადაც კამარიტების „ხალხმრავალი თემი“ კოლხთა და ტიბარენ-მოსინიკ-მაკრონთა შორის ცხოვრობს. როგორც ვხედავთ, საცხოვრისი სრულიად სხვაა. რამდენად შეიძლება ამ ორი „კამარიტების“ დაკავშირება, საკითხია.

დიონისიოსის სქოლიასტის განმარტებით „კამარიტების“ სახელი წარმოსდგება იმ მრგვალი ნაგებობის სახელწოდებისაგან, რომელთაც *μακρά* ეწოდებათ (და რომელთა შესახებ სტრაბონი დაწვრილებით ლაპარაკობს ძიგებთან, აქეებთან და ჰენიოხებთან დაკავშირებით; იმინი იყენებენ ამ ნაგებობას, მაგრამ როგორც ცნობილია, ამ ნაგებობის მიხედვით მათ სულაც არ ჰქვიათ „კამარიტები“). სქოლიასტის ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დიონისიოსის იმ ტექსტში, რომელიც მას ხელთ ჰქონია, ტომს „კამარიტები“ რქმევია (და არა ვარიანტებში დადასტურებული „მაკარიტები“). რაც შეეხება კავშირს ამ სატომო სახელისა და მანცდამანც ნავის სახელთან, ეს საექვო ჩანს.

სხვა ტომთაგან განცალკევებით, მაგრამ მათ თვითონ ერთობლივ განიხილავს დიონისიოსი ე. წ. პონტოელ ტომებს (ἔθνηα Πόντου ტაეპი 762 და შმდ.), რომლებიც ცხოვრობენ ევქსინის პონტოს სანაპიროზე „კოლხებისა და ფასისიდან დასავლეთისაკენ, ვიდრე თრაკიის სრუტემდე“. ჩამოთვლის მათ (როგორც ჩანს ადრეული წყაროების მიხედვით): ბიძერებს, ბეჭირებს, მაკრონებს, ფილირებს, მოსინიკებს, ტიბარენებს და ბოლოს ხალიბებს, რომელთა საქმიანობასაც შედარებით უფრო დაწვრილებით აგვიწერს: „პირქუშსა და მკაცრ მიწაწყალზე ცხოვრობენ ხალიბები, მძიმე რკინის დამუშავების

¹ ვარიანტებშია: მაკარიტები; მაკარიტატები; ხომ არაა — „მაკარ“ ძირისაგან წარმოებული, ე. ი. „ნეტარნი“ — ან ხომ არ ესმოდა გადამწერს როგორც მისთვის კარგად ცნობილი „მაკრონის“ მსგავსი სიტყვა?

მკოდნენი. ისინი დგანან მძიმედ მკლერად გრდემლებთან და არასოდეს ისვენებენ ჯაფისა და საშინელი გასაჭირისაგან“ (ხალიბების შემდეგ გადაჭიმულია ასირიის მიწები).

დიონისიოსის ტექსტისა და მისი კომენტატორის შენიშვნათაგან საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამხრეთის პონტოსპირეთის ტომები სკვითურ ტომებად არიან გამოცხადებული. ამას ორგვარი ახსნა შეიძლება მოეძებნოს: 1. ცივილიზებული ბერძნისათვის „სკვითი“ კონკრეტული ცნება კი არ არის, არამედ კრებითი სახელია და ამ სახელწოდებაში გაერთიანებული ტომები ცხოვრობენ შავი და კასპიის ზღვების მიდამოებში, არა ერთ ადგილას (სკვითი სინონიმია ბარბაროსისა, ე. ი. არაბერძნისა).

2. ქსენოფონტი ახსენებს (და მის საფუძველზე დიოდორე იმეორებს) ტომს, „სკვითინებს“. ეს „სკვითინები“ (რომლებიც ქსენოფონტის მკვლევართ ესმით როგორც ქართული სიტყვიდან, „სკვითი“-დან, წარმოებულად და არა ბერძნული Σκῦθη-იდან) ივარაუდებიან მიახლოებით იმ ტერიტორიის ნაწილზე, სადაც დიონისიოსის სკვითურა პონტოს ტომები არიან. ე. ი. სამხრეთ პონტოსპირეთის ტომთა საზოგადო სახელი ადრეული წყაროს მიხედვით „სკვითინთაგან“ ყოფილა წარმომდგარი.

ვესტათის იმ კომენტართაგან, რომელიც დიონისიოსის მიმართ არის გაკეთებული, ყურადღებას იპყრობს შემდეგი: ქალაქი პანტიკაპეონი აფეტესის შვილის მიერ არის დაფუძნებული — ეს მოწმობს იმ ცოდნას, რაც ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპიროთა მოსახლეობის ურთიერთობის შესახებ. ეს ურთიერთობა გარდა წერილობითი წყაროსი, არქეოლოგიური მონაპოვრითაც მტკიცდება, რაც შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზეა აღმოჩენილი.

დიონისიოსის პოემის მიხედვით კოლხები ევროპიდან მოსულები არიან (ტაეპი 76), განსხვავებით იმ მეორე ავტორისაგან, რომლის თანახმადაც კოლხები ეგვიპტელი კოლონისტები არიან; ეს ცნობა შედარებით განმარტოებით დგას ბერძნულ წყაროთმკოდნეობაში და მისი გენეზისი საკვლევია. დასადგენია ის საფეხური (და მისი ამსახველი ერთ-ერთი უძველესი წყარო), როდესაც ეს ვერსია შეიქმნა. 76-ე ტაეპის კომენტარში ვესტათი თესალონიკელი წერს: ეტრუსკების მეზობელმა ლიგურებმა სახელწოდება მიიღეს მდ. ლიგუროსისგან. უნდა ვიცოდეთ, რომ ზოგიერთი კოლხი ლიგიელები გამოსულები არიან ევროპელთაგან, ამას ცხადყოფს ლიკოფრონი, რომელიც მოგვითხრობს კოლხებში ლიგისტური (ანუ ლიგიელთა) ქალაქის კვტამას შესახებ.

რაკორც ვხედავთ, ევსტათი აქ ძველ ცნობას იმოწმებს და უფრო კონკრეტულად, რაკი არ ვიცით ახსნა ამ ცნობის წარმოშობისა, ისევ იმ სოგადი ფრაზით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ ძველ (და ბიზანტიელ) ბერძენთა აღქმაში კავშირი კოლხიდასა და ევროპას შორის უმნიშვნელო არ ყოფილა.

ძალიან საინტერესოა კოლხური ტრაპეზუნტის ხსენება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის, ის ტინდარიდებისა და ჰენიოხების კონტექსტშია (ტაეპი 667 და შმდ.). ეს ცნობა დასაკავშირებელია არიანეს *Παλαιά Ανακτῆς* (§ 28) და პტოლემეაფოსის *Ανακτῆς παλαιοῦ*-თან (V, 8) კერკეტიდის უბეში. რაკორც ჩანს, ეს სახელები, რომლებიც შემდეგ გაცილებით უფრო სამხრეთით დაკანონდნენ (დაახლ. აფსაროსსა და დიოკურია-სებასტოპოლისს შორის, მაგ., არიანეს დროისთვის), ადრე ჩრდილოეთითაც იყვნენ გავრცელებული (ან—ორივეგან სახლობდა ასეთი ხალხი, ორივეგან არსებობდა ასეთი პუნქტები).

ევსტათისავე კომენტარების საფუძველზე სინდებს ზოგი ზოკებ-საც უწოდებს; სინდები სხვები არიან და ძიგიები კიდევ სხვები: ძიგიები — პელაზგების (ე. ი. წინაბერძნული მოსახლეობის) ჩამომავლები არიან. ამ ცნობაში თუ უეჭველი არაფერია, მაინც საყურადღებოა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია უძველესი ტომების მიგრაციის საკითხით.

ძველ მაკრონებს ევსტათის დროს „სანები“ ეწოდებოდა, რაც ადგილობრივი გამოთქმით „ჰანებს“ ნიშნავდა და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, დიონისიოსის „პერიეგესი“ თავისი პარაფრაზებით, სქოლიოებითა და კომენტარებით, რომლებიც ბევრ ძველ ცნობას შეიცავენ, საინტერესო წყაროა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის.

ტექსტი: 1. C. Müllerus, *Geographi graeci minores*, II, 1861, გვ. 103—176.

2. Bernhardy, *Annotatio ad Dionysium Periegetem*, გვ. 518—832.

Ludwich, *Ar. Aristarchs homerische Textkritik*, II, გვ. 553—97.

3. *Dionysii Ixeuticon seu de aucapio libri tres in epitomen metro solutam redacti*. rec. Garzya A. (B. T.), Leipzig, 1963.

B. Latyshev, SC. I. ВДН, 1947, № 4.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 101—165.

(**წ/ვლავიუს არიანე** (95—175 წწ.) იმპერატორ ადრიანეს მოხელე იყო, მკვრამ იგი გამოიჩინოდა ~~რომელიც~~ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით, ~~რომელიც~~ საფუძვლიანი განათლებით და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობით.)

მისი ერთ-ერთი ადრინდელი ნაწარმოებია „მოგზაურობა შავ ზღვის გარშემო“ (**Ἡερίπλους Ἐξάντισα Πόντου**), რომელიც დაწერა 131 წელს. ~~ესეში~~ ~~ცნობილია~~ ცნობილია, რომ მან ადრიანეს დაავლევით მოიარა სანაპირო ხაზი ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე, აღწერა ის, შეავსო ძველი წყაროების მიხედვით ცნობილი მასალით, რაც ითვალისწინებდა შავი ზღვის მთელ სანაპიროს და დაურთო იმპერატორისადმი გაგზავნილ ლათინურ წერილს (რაც დაკარგულია.)

(**არიანეს „პერიპლუსის“ I ნაწილი**, რაც შეიცავს ტრაპეზუნტი-დიოსკურიის ხაზის აღწერას, ფასდაუდებელი წყაროა დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად) ეს არის ნამდვილი დოკუმენტი, რასაც მოხელე უგზავნის თავის იმპერატორს, მისთვის აქტიურად საინტერესო მხარის შესახებ.

(**არიანე აღნიშნავს ყველა ქალაქს, ნავსადგურსა და მდინარეს, რომელთაც მან ან გვერდით ჩაუარა, ან სადაც გაჩერდა. მნიშვნელოვან ნავსადგურ-ქალაქებს იგი ახასიათებს. აქა-იქ იძლევა ცნობებს ქართველი ტომების შესახებაც. ქალაქთა შორის, სადაც ის შეჩერდა, პირველია ტრაპეზუნტი — აქ არიანე ხანგრძლივად შეჩერებულა. მან აგვიწერა ქალაქის სამსხვერპლოების, პერმესისა და ფილესიოსის (პერმესის-შვილთშვილთ) ქანდაკებები, ადრიანეს ქანდაკება, ბერძნული წარწერა (სხვათაშორის, მეტრონები იყო იქ დაშვებული, რადგან წარწერა ბაიბაროსთა-მიერ იყო ამოკვეთილი). რომელთა მიერ შესრულებული მსხვერპლშეწირვა (სამსხვერპლოდ უარა გიჯიშის საქონელი თვით ტრაპეზუნტელებმა მოუშაადეს აარიანეს) და სხვ. (§ 1). ყოველივე ეს არის მნიშვნელოვანი მასალა ტრაპეზუნტელთა ეკონომიური მდგომარეობისა და მათი ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.)**

ტრაპეზუნტს (შემდეგ არიანე შეჩერდა ნავსადგურ ჰისოსში (ახლ. სურმენე), რომელმაც მიიღო სახელი მდ. ჰისოსისგან (ახლ. კარა-დერე). აქ მან დაათვალიერა ჯარი, რომელიც ძირითადად ქვეითი იყო, მის ვარჯიშსაც კი დაესწრო და ნახა ამ ჯარის მომსახურე მცირერიცხოვანი (20 კაცისაგან შემდგარი) ცხენოსანი ჯგუფიც. ორი ჯარისკაცთა-რაოდენობის შესახებ აწვდის ცნობას იმპერატორს (§ 2). შემდეგ არიანე შეჩერდა ქ. ათინაში (ახლ. ფაზარი). აქ ვრცელი მსჯელობაა ქალღმერთ ათენას ტაძარზე (ადგილმაც, თითქოს, აქედან

მიიღო სახელი) ¹, ციხე-სიმაგრეზე, ადგილის, როგორც ნავსადგურის თვისებებზე (იგი ცოტა ხომალდებს იტევს, მათ ყველა ქარისაგან ვერ იცავს). სხვათაშორის, ექსპედიციას აქ მოუხსრო ქარიშხალმა, ხომალდები დაზიანდა, შესაკეთებელი გახდა და ამიტომაც არიანე წერს აღრიანეს—სახომალდე ხე, ხომ იცი, პონტოს სანაპიროზე უხვადააო (§ 3—5) ². შემდეგი პუნქტი არის აფსაროსი (ახლ. გონიოთუ სარფი), აქ ყოფილა ჭარი, რომელსაც არიანემ ხელფასი დაურიგა. ჭარი საკმაო რაოდენობით მდგარა — 5 რაზმი (ანუ ხუთი კოპორტი), იგი კარგად იყო შეიარაღებული. აქვე ყოფილა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე, მტკიცე კედელი, თხრილი, ჭარისკაცთათვის პურის მარაგი და საავადმყოფო (§ 6).

ერთი სიტყვით, რომის იმპერიის საზღვრების დამცველ სიმაგრეთა შორის აფსაროსი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა. ყველა ის პუნქტი, რაც მან აქამდე აღწერა, ამ თვალსაზრისით უფრო სუსტად იყო გამაგრებული და შემზადებული.

არიანეს აზრით, „აფსაროსი“ ადგილობრივი ბარბაროსების მიერ შერყვნილი ფორმაა „აფსირტოსისათვის“ — აღრე ამ ადგილს აფსირტოსი რქმევია მედეას ძმის, აფსირტეს სახელის მიხედვით (§ 6). ჩვენ აქ ერთი შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ამ სახელთა ძირთა შორის მსგავსება უდავოა, მაგრამ არიანეს ახსნა ელინოფილურია — მას სურს გეოგრაფიული სახელი აგვიხსნას ბერძნულ მითოლოგიაში პოპულარული სახელის მიხედვით, მაშინ როდესაც თვით სახელი „აფსირტოსი“ უნდა იყოს კავშირში კოლხურ სამყაროსთან (აფსარ-აფსირ-აფსილ—საერთო ძირია სხვადასხვა სუფიქსით).

აფსაროსის შემდეგ არიანე საკმაო ხანს შეჩერებულა ქ. ფასისში, სადაც სხვადასხვა სამუშაოებიც კი ჩაუტარებია. მდ. ფასისის წყლის თვისებებზე ვრცელი მსჯელობის შემდეგ (§ 8) აეტორი საგანგებოდ აგვიწერს ფასისელი ქალღმერთის ქანდაკებას, რომელიც გარეგნობის მიხედვით ჰგავს რეას (რეა — კიბულეს, მცირე აზიის ძველი მოსახლეობის ღვთაებას) და რომელიც თავეც

¹ ამასთან დაკავშირებით გვახსენდება პავსანიას ცნობა (ელადის აღწერილობა, III, 24, 7), სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კოლხებს ჰქონდათ ათენა ასიელის სალოცავი. მართალია, პავსანია ამ ამბავს არგონავტთა მითის კონტექსტში იხსენიებს, მაგრამ ერთი ცნობა მეორეს უეჭველად უკერს მხარს. ერთი აეტორი თვითმხილველია, ხოლო მეორე — წყაროების მიხედვით ამბობს მსგავსავე ამბავს.

² ეს ცნობა სხვა აეტორებთან, მაგ., სტრაბონთანაც გვხვდება და ამჭერად სხვა ცნობათა სარწმუნოობა თვითმხილველი არიანეს მასალით დასტურდება.

³ ცნობა, რომლის თანახმადაც აფსაროსში ტრაიანეს დროს რომაელთა რაზმი მდგარა, დასტურდება ერთი ლათინური წარწერითაც. CIL, X, № 1202.

ზის, როგორც ათენის მეტრონში ფიდიასის ქანდაკება¹. შემდეგ მოხსენიებულია ფასისის ციხე-სიმაგრე, მისი მცველი 400 რჩეული მეომარი, ორმაგი თხრილი) ნავსადგურის გამაგრებისა და ციხის გარშემო მცხოვრებლების (ვაჭრებისა და სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირების) დაცვის მიზნით არიანეს ამ ორმაგი თხრილიდან, რომელიც გარს უვლიდა კედელს, მესამე თხრილი გაუყვანია მდინარემდე, რომელიც გარემოიცავდა ნავსადგურსა და კედელს გარეთ მდებარე სახლებს. ძველად კედელი მიწისა იყო და ზედ ხის კოშკები მდგარა. არიანეს დროს კი კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისაგან ყოფილა ნაშენები. იგი მყარ საძირკველზე მდგარა და ზემოთ მანქანები ყოფილა მოთავსებული, „ერთი სიტყვით, იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვერაინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ“ (§ 9). ერთი სიტყვით ეს ცნობა ნათელყოფს რომის ინტერესებს ფასისის მიმართ და არიანეს მისიას კოლხიდაში (ეს ცნობის-მოყვარე მოგზაურის ან ვაჭართათვის გზამკვლევის შთაბეჭდილებები არ არის!). †

მდ. ქობოლზე (ახლ. ენგური) შეჩერების მიზეზი არსებული ტექსტის მიხედვით არ ჩანს. შემდეგ არიანე მივიდა სებასტოპოლისში, რომელსაც უწინ დიოსკურიასი ეწოდებოდა და ჩვენი ავტორის აზრით, აქ იყო მილეტელთა კოლონიჟ ეს აზრი, ბევრ ბერძენ-რომაელ ავტორს აქვს გამოთქმული, იგი ანგარიშგასაწევი, მოწმობს მილეტის (თუ ბერძნული ქალაქების) ურთიერთობას შავი ზღვისპირეთის ქალაქებთან. მაგრამ, როგორც აღრეც, მაგ., ჰერაკლიდესთან დაკავშირებით აღგვინიშნავს, შავი ზღვის კოლხური სანაპირო ქალაქების ურთიერთობის საკითხი ბერძნულ სამყაროსთან უფრო სხვაგვარად დგას, ვიდრე იმავე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ქალაქებისა, რომ არაფერი ვთქვათ მაგ., სამხრეთ იტალიის ქალაქებზე. სამხრეთ იტალიაში, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე გვაქვს ბერძნული კოლონიები, თავისი ყველა ძირითადი ნიშნებით, ხოლო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, რომელსაც უხსოვარი დროიდან ჰქონდა ურთიერთობა ელინურ ქვეყნებთან, ასეთ რამეს ვერ ვხედავთ. აქ სრულიად განსხვავებული, თავისებური ვითარებაა. სებასტოპოლისში მოსულმა არიანემ იმავე-დღეს დატურიგა გასამრჯელო ჯარისკაცებს, დაათვალიერა ცხენები, იარაღი, მხედართა ვარ-

¹ ისე ნოშანდობლივ აგვიწერს ამ ქანდაკებას არიანე, რომ ის მას უეჭველად უნახავს, ის ნამდვილად მდგარა ფასისის მარცხენა მხარეს და მას გაუგია, სცოდნია, რომ ის ადგილობრივი ღვთაების გამოსახულებაა.

ჯიშობა, ავადმყოფები, პურის მარაგი, გარს შემოუარა ქალაქის კედელსა და თხრილს) (§ 10).

დიოსკურია იყო „უეიდურესი პუნქტი რომაელთა სამფლობელოსი პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“ (§ 17), ე. ი. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე¹.

ამრიგად, (არიანე, როგორც რომელიც მოხელე, ჩერდება და ავეიწერს მხოლოდ რომაელთათვის საინტერესო პუნქტებს, სხვა პუნქტებს იგი მხოლოდ ჩამოთვლის) და აღნიშნავს მათ შორის მანძილებს (ისიც მიაზლოებითი სიზუსტით).

ჩვერი ცნობა აქვს არიანეს მდინარეთა შესახებ, რომელთა გაიგივებასაც ცდილა თანამედროვე მდინარეებთან არაერთი სპეციალისტი. ეს მდინარეებია: მდ. პისოსი — ახლ. კარა-დერე; მდ. ოფიხი — სულაკლი; მდ. კადოსი — კალოპოტამოს-დერე, მდ. რიზიოსი — რიზე; მდ. ასკუროსი — ასკოროსი; მდ. ადიენოსი — ყიბლე-დალ-დერე; მდ. პრიტანისი — ფურტუნ-სუ; მდ. არქაბე — არხავე (ან ორხოფი); მდ. აფსაროსი — ჭოროხის დას. ტოტი; მდ. აკამფსისი — ჭოროხის აღმ. ტოტი; მდ. ხათჯი — ფოროლის წყალი; მდ. აკინასე — კინტრიში; მდ. ისისი — ნატანები; მდ. მოგროსი — სუფსა; მდ. ფასისი — რიონი; მდ. ქარიენტი — ხობი; მდ. ხობოსი — ენგური, მდ. სიგამე — ერისწყალი; მდ. ტარსურა — მოქვისწყალი; მდ. ჰიპოსი — კოდორი; მდ. ასტელეფოსი — პატარა კოდორი; მდ. აბასკოსი — ბზიფი; მდ. ნესესი — სოჭი (?); მდ. აქეუნტი — შახე და სხვ.

(ეს გაიგივება, ჩუმის-აზრად, მეტნაკლებად მისაღებია და დამყარებულია იმ მანძილთა გამოანგარიშებაზე, რაც თვით „პერიპლუსში“ მოიპოვება².)

კავკასიონის ქედის (რომელიც არიანეს აზრით სიმაღლით კელტურ ალპებსა ჰგავს) მწვერვალთა შორის მოგზაური ლეგატის ყურადღება მიუბყრია ერთ მწვერვალს, სტრობილოსს, რომელზედაც გადმოცემების მიხედვით ზევსმა პრომეთესი ჩამოაკიდებინა ჰეფესტოსს (§ 11). ეს მწვერვალი მოჩანდა იმ მანძილზე, რომელზეც იგი

¹ ამის შემდეგაც ავეიწერს გზას არიანე, მაგრამ შემდგომი ტერიტორია, როგორც ჩანს, რომის სამფლობელოში არ შედიოდა, თუმცა აქა-იქ რომაელთა დასმული კაცი მეფობს მაინც, ამის შესახებ იხ. ქვემოთ.

² თუმცა, ერთგვარად ექვს მაინც იწვევს შემდეგი გარემოება: რატომ უნდა იყოს მაგ., მდ. ქარიენტი თანამედროვე „ხობი“, და ძველი „ხობოსი“ — მაინცდამაინც „ენგური“, „ჰიპოსი“ ზოგ შემთხვევაში „ცხენისწყალი“ და ზოგჯერ „კოდორი“ — და სხვ. ზოგი ასეთი; მიუხედავად იმისა, რომ არაერთი სპეციალისტი — ევროპელებს რომ თავი დავანებოთ — შეხებია ამ საკითხს საგულდაგულოდ თუ სხვათაშორის, იგი მაინც, მე პირადად, საბოლოოდ დადგენილად არ მიმაჩნია.

გადიოდა ჰიპოსსა (კოდორსა) და დიოსკურიას შორის; კავკასიონის ქედის დასავლეთ მონაკვეთზე ბევრი მაღალი (და ლამაზი) მწვერვალია. რომელმა მათგანმა მიიპყრო არიანეს ყურადღება, ძნელი სათქმელია. არიანესთან (და მასზე დამოკიდებულ ანონიმ ავტორთან) არის ხსენება Παλαιὰ Λαζική და Παλαιὰ Ἀχαΐα-სი (§ 18). Παλαιὰ Λαζική ე. ი. ძველი ლაზიკა შემდეგ იგივე ნიკოფსისია (ანონიმი, § 18). ნიკოფსია, რომელსაც იცნობენ უცხოელი და ქართველი ავტორები, გაიგივებულია თანამედროვე მდ. ნეგოფსუხუსთან არსებულ ძველი ქალაქის ნაშთებთან.

ამ ცნობაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ლაზები, რომლებიც დაახლ. I ს.-დან სამხრეთ ტერიტორიაზე ჩანან, უძველეს წყაროებში ჩრდილოეთით იმყოფებიან (ისევე, როგორც ჰენიოხები). რაც შეეხება აქამას, ეს ძვ. ლაზიკის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, იქ, სადაც ძველი ავტორები ჩვეულებრივ ასახელებენ ზოლმე აქაძებს (რომელთა დახასიათებაც გვქონდა არისტოტელესთან, არის სტრაბონთან, აპიანესთან და ა. შ.).

(ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკემდე (ნიკოფსიამდე) არიანეს „პერიპლუსის“ შიხედვით ცხოვრობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აპასკები, სანიგები, ძილქები.)

ჩვენ დაჩვეული ვართ იმას, რომ ანტიკურ წყაროებში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა შორის ყველაზე მეტი ცნობა კოლხთა შესახებ იყო ზოლმე. მაგრამ ეს იყო უწინ, დაწყებული არგონავტთა მითიდან და გათავებული კოლხთა ძლიერი სახელმწიფოს ეპოქით, დაახლ. ძვ. წ. III ს.-მდე. არიანეს დროისათვის (და მასზე კიდევ უფრო ადრე) კოლხთა ძლიერებაზე აღარ არის ლაპარაკი და ამდენად სხვა ავტოხთონ ტომთა შესახებ ცნობები თუ მეტი არაა, ნაკლები არ გვაქვს. (არიანე კოლხთა შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „კოლხები ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით არიან, როგორც ქსენოფონტიც ამბობს“ (§ 11) და „მდინარე ოფისი გამოჰყოფს კოლხების მიწას თიანიკესაგან“ (§ 7). (მდ. ოფისი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, არის სულაკლი; ხოლო თიანიკე, იგივე ჰენეთია). როგორც არიანეს, თვითმხილველის ახინდო ცნობებიდან ჩანს, კოლხთა ტომი მის დროს ნამდვილად ცხოვრობდა ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით და ვრცელდებოდა მდ. ოფისამდე) მაშასადამე, კოლხთა ტერიტორიაზე მიედინებოდა მდ. ჰისოსი (კარა-დერე).

(კოლხების მეზობლები არიან ჰანები, იგივე სანები) მათი სახელი იწერებოდა: Σάνοι, უფრო მოგვიანებით Τζάνοι. მათ ქვეყანას ამის შესაბამისად ეწოდებოდა Σανυική ან Τζανυική. არიანე იმოწმებს მე-

სამე სახელწოდებას—**მაცუიჯი** (§ 7). არიანეს სქოლიოების მიხედვით ჩანს ამ სახელის მეოთხე დაწერილობაც—**Тациуж** და **Тациуж**. სრულიად უდავოა, რომ ეს სხვადასხვა დაწერილობა შედეგია იმისა, რომ ბერძენს უჭირს ქართული ბგერის სწორად გადმოცემა (მისთვის იყენებს: **Σ**, **T**, **Θ**, **Tζ**-ს და სხვ.).

სანები, მაკრონები (მაკრონები იგივე სანები არიან), ჰენიოხები და ძიდრიტები ცხოვრობენ შავი ზღვის სანაპიროს იმ ტერიტორიაზე, რომელიც არის მდ. ოფისიდან (ხულაკლი) აფსაროსამდე.

აფსაროსიდან (გონიო თუ სარფი) დაახლ. მდ. კოდორის შესართავამდე ტერიტორია ეკირათ ლაზებს. ზღვის პირას და შემდეგ, კოდორის ხეობაში ცხოვრობენ აფსილები. მათ შემდეგ, ისე რომ **ქ. სუბასტოპოლისი** მათ ტერიტორიაზეა, მდ. შახემდე არიან სანიგები; მანიგებს ზემოთ, მთებში სახლობენ აბასკები. მდ. შახედან მდ. ნეგოფსუხუმდე ცხოვრობენ ძილქები (ჯიქები).

ამ ტომთა სახელწოდებათა შესახებ არაერთ მეცნიერს გამოუთქვამს აზრი. მაგ., ჩვეულებრივ, უკავშირებენ ხოლმე ერთმანეთს „სანებისა“ და „სანიგების“, „სანიგებისა“ და „ჰენიოხების“ სახელს. მაკრონებს იმავე სანებად მიიჩნევენ და მეორეს მხრივ მაკრონთა სახელს უკავშირებენ ეგრძირის (შემდეგი დროის „მეგრელი“) შემცველ სახელებს (ეკრქტიკე, ევექეარები, მანრალები...) და სხვ.

საინტერესოა ის სურათი, რასაც წარმოგვიდგენს არიანე, ამ ტომთა განვითარების, საზოგადოებრივი წყობისა და რომთან ურთიერთობის ასპექტში:

სანები კარგი მეომრები არიან, გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობენ, მეფე არ ჰყავთ; ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტრები არიან და თუმცა რომაელთა მოხარკენი არიან აღრიდანვე, მაგრამ ეურჩებიან მათ, გადასახადს არ უხდიან, ყაჩაღობენ — და ერთი სიტყვით — რომაელები უკმაყოფილონი ჰყავთ (არდანე. იმასაც უიწერს იმპერატორს, რომ ამიერიდან მათ ან გადასახადს წესიერად გადაგახდევინებთ, ანდა სულაც გაფაძევებთ ამ ქვეყნიდანო (§ 11): არიანეს განმარტებით, უმეფო ტომი, ავღორც ჩანს, ნიშნავს იმას, რომ კანები ამ დროისათვის ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებას არ წარმოადგენდნენ ცხოვრობენ გამაგრებულ ადგილებში და თან რომაელების მიმართ სულ ურჩობას იჩენენ.

(არ არიან დასახელებული კოლხებისა და ძიდრიტების მეფეები. მაგრამ ძიდრიტები, რომლებიც დაახლ. პრიტანიდიდან (ფურტუნსუ) აფსაროსამდე ცხოვრობდნენ, ფარსმან მეფის ქვეშევრდომები არიან (§ 11). ეს ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია იბერიის მეფის

(ფარსმან II-ის) უფლების გაგრძელების თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (როგორც ცნობილია, იბერია I — II სს. — ში ისევ ძლიერდება) და იბრუნებს იმ ოლქებს, რომლებიც ოდესღაც მას ეკუთვნოდა. ამაზე მიუთითებს არიანეს ეს ცნობა; ამჯერად იბერიას შავი ზღვის სანაპირომდე გაუვრცელებია თავისი ძალაუფლება და დასავლეთ საქართველოს ერთი კუთხე დაუქვემდებარებია).

ჭენიოხებსა და მაკრონებს ერთი საერთო მეფე, ანქიალე ჰყოლიათ. მისი სასახლე მდ. პრიტანიდთან (ფურტუნა-საჟ) ყოფილა (§ 11)¹. წინა საუკუნეების ცნობებთან შედარებით ჭენიოხების სოციალური განვითარების პროცესი წინ წასულა — გვაროვნულ წყობილებაში მყოფი ტომი ახლა კლასობრივ საზოგადოებად გადაქცეულა, მაკრონთა ტომს შეერთებია, ერთი სახელმწიფოებრივი ერთეული შეუქმნიათ და მათ ერთი მეფე განაგებს (ფრიანესთან ხანენდულო — „მეფე“ — *βασιλευς* — გვარის უფროსი — არ არის, „მეფეა“). ამ მეფის შესახებ არიანე არაფერს ამბობს, მათი მიმართება კომპლექსური იქნებოდა. იმპერატორებთან — არჩანს — სამაგიეროდ — ლაზებს, აფსილებს, აბასკებს, სანიგებს, ჯიქებს რომელთა მიერ დანიშნული მეფეები ჰყავთ) მაგ., ლაზთა მეფეს, მალასას ადრიაანესგან ჰქონია სამეფო ნიშნები ბოძებული; აფსილთა მეფეს, იულიანეს — ადრიაანეს მამისგან, ე. ი. ტრაიანესგან, აბასკთა მეფეს, რესმაგას ტახტი ასევე ადრიაანესგან აქვს მიღებული, ისევე როგორც სანიგთა მეფეს, სპადაგას (§ 11).

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ლაზები ცხოვრობდნენ აფსაროსიდან ჰიპოსამდე (თანამედროვე სახელების მიხედვით — ჰოროხიდან კოდორამდე). ზღვისპირას და კოდორის ხეობაში ცხოვრობდნენ აფსილები, მათ მეზობლად — აბასკები², ხოლო შემდეგ მდ. აქუნტამდე (თანამედროვე შახე) — სანიგები, ისე რომ, ქ. სებასტოპოლისი მათ ეკუთვნოდა.

ლაზებისა და სანიგების სადაურობა ზადავო არ არის თანამედროვე მეცნიერებაში — ესენი მიჩნეული არიან მეგრულ-ჭანური მოდემის ტომებად. ხოლო, რაც შეეხება აბასკებსა და აფსილებს

¹ ამ მეფის სახელს იცნობს დიონ კასიუსიც; ის მას 114 თუ 115 წელში ასახელებს.

² არიანეს პერიპლუსის მიხედვით არ ჩანს, სად ცხოვრობენ აბასკები, ზღვის პირას, აფსილებსა და სანიგებს შორის თუ აფსილების მეზობლად მთებისკენ. ნ. კეკელიძემ პროკოპი კესარიელის მოშველიებით („კავკასიის მთებთან ცხოვრობენ აბასკები“ BP, II, 29) მათ მთებში ათავსებს (იხ. ფლავიუს არიანე... გვ. 79 და იქვე რუკა).

(კოდორის ხეობაში მყოფთ), ზოგი მეცნიერის აზრით ისინი ქართველი ტომები იყვნენ¹, ხოლო ზოგის აზრით — ტომები, რომელთა შემკვიდრებებიც თანამედროვე აფხაზები არიან².)

თვითონ ამ წყაროში ტომების სადაურობა არ ჩანს. აბასკი, აფსილი, ლაზი, ძიდრიტი ყველა ერთნაირად არის ხსენებული. არ ჩანს მათი, კერძოდ აფსილის სადაურობა არც პლინიუსთან (VI, II), რომელიც არიანზე აღრე ასახელებს აფსილებს, ისევე „სანიკების“ კონტექსტში.

გვიანდელი ავტორები და კომენტატორები აფსილებს სკვითურ ტომს უწოდებენ (სტეფანე ბიზანტიონელი), აბასგებს — მასაგეტებს (იოანე ცეცე), ეს იმის გვერდით, როდესაც კოლხი და სკვითი მათთვის მთლად გარჩეული არ არის — აფეტესი სკვითთა მეფეა, მედეა — სკვითთა მეფის ასული (ლიბანიოსი), მაკრონები — სკვითური ტომია (აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი), კოლხები აზიელი სკვითები არიან (იოანე ცეცე), სკვითები ეგვიპტელთა კოლონისტები არიან etc (პეროდოტეს ცნობა კოლხების შესახებ — პინდარეს სქოლიასტთან) და ა. შ. ე. ი. ამ კონცეფციით აბასკი და აფსილიც ისევეა სკვითი, როგორც კოლხი და მაკრონი.

არიანეს „პერიპლუსის“ მიხედვით ჩანს, რომ რომაელთათვის აფსაროსის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას ისეთი ჰამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონდა, როგორც ჩრდილოეთისას, ამიტომ სამხრეთის მეფეებს თავს აწებებდნენ და მეტ ყურადღებას აქცევდნენ აფსაროსის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებს — იქაური მეფე მათი კაცი უნდა ყოფილიყო. რომს დასავლეთ საქართველოში ძირითადად იმპერიის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა აინტერესებდა და ქართველ მეფეთა უმთავრესი მოვალეობა იყო ჩრდილო საზღვრის დაცვა ალანთა და ჰუნთა შემოჭრისაგან, რაც ქართული სამეფოების ინტერესებშიც შედიოდა³.

¹ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, გვ. 11, 15: „მეგრული მოდგმის ტომის... არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს, უძველესობით არის საგულისხმებელი“ (გვ. 11), „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრივ სვანური შტოსი, მეორე მხრით ქანურ-მეგრულია“ (გვ. 15).

ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, Georgica — II, 1963, გვ. 28; VI, 1967, გვ. 90 — 91 და სხვ.

² გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 1970, გვ. 31. 360; З. В. А н ч а н д з е, История и культура древней Абхазии. М., 1964.

³ კავკასიის ალანები ქლუბორის გადასასვლელთან ცხოვრობდნენ, ახლანდელი აფხაზეთის ჩრდილოეთით, კავკასიონის მთების გასწვრივ და, როგორც ჩანს,

(არიანეს „პერიპლუსი“ დიდად მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს II ს.-ის ისტორიისათვის)

ტექსტი: Arrianus, Periplus Ponti Euxini, Lipsiae, 1928 (BT).

ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა ქეჯალმაძისა, თბილისი, 1961.

ანონიმური პერიპლუსი. ესაა „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რასაც ოდესღაც არიანეს მიაწერდნენ, მაგრამ კარლ შაულერმა, ძველ ბერძენ გეოგრაფოსთა და ისტორიკოსთა ტექსტების გამოკვლევამ და ერთ-ერთმა საუკეთესო მკოდნემ, გამოარკვია, რომ ამ ტრაქტატის ავტორს V ს.-ში უნდა ეცხოვრა (Geographi graeci minores, I. გვ. CXVII).

კ. შაულერისავე გამოკვლევით ამ „პერიპლუსის“ წყაროებია: I. არიანეს (95—175 წწ.) „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, II. მენიპე პერგამონელის (ახ. წ. I ს.) „მოგზაურობა ხმელთაშუა ზღვის გარშემო“ (რომელიც შედგებოდა 3 წიგნისაგან და მისი შემოკლებული რედაქცია ეკუთვნოდა IV—V სს.-ის გეოგრაფოსს, მარკიანე პერაკლეელს. ამ ნაშრომით ისარგებლა ანონიმური პერიპლუსის ავტორმა). III. ფსევდო-სკიმნოსის „პერიეგესისი“ (ძვ. წ. II—I სს.) და IV. ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსი“ (361—357 წწ.).

დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას, ანონიმურსათვის რა თქმა უნდა, ძირითადი წყარო არის არიანეს პერიპლუსი (და ამიტომაც ერეოდათ ის არიანეს ნაწარმოებში). ხშირად საქმე იქამდე მიდის, რომ ეს V ს.-ის ავტორი უაზრობამდე სიტყვა-სიტყვით გადმოსცემს არიანეს ტექსტს: მაგ., ლაზთა მეფემ, მალასამ შენგან (ე. ი. აღრიანესაგან II ს.-ის პირველ მეოთხედში — თ. ყ.) მიიღო მეფობა... აფსილთა მეფე იულიანეა. იმას შენი მამისგან (ე. ი. ტრაიანესგან — თ. ყ.) აქვს მეფობა მიღებული და ა. შ. (§ 10). ასევე ანონიმის § 12-შიც (შენთვის ამეწერა გზა...). ერთი სიტყვით, დაცულია არიანეს წერილის სტილი და ავტორი არ ზრუნავს იმაზე,

ის-ნი პონტოს აღმოსავლეთ სანაპიროს უფრო ესმოდნენ თავს, ვიდრე სამხრეთ-აღმოსავლეთისას.

არის გადმოცემა, რომ ფლავიუს არიანეს აღანთა შემოსევებისაგან იმპერიის საზღვრების დაცვის მიზნით დაუთვალეიერებია კასპიის კარიც (ამჯერად უნდა აღნიშნავდეს დარიალს); მ. ი. ნ. ა. ქ. იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს.-ის პირველ ნახევარში: ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 313.

რომ მკითხველს გააგებინოს, თუ ვინაა მისი წყაროს აღრესატი („შენ“) ანდა აღრესატის მამა. მე-8 §-ში, გადმოწერილში არიანეს § II-დან, ქსენოფონტის მოციტატებით იხსენიებიან ყოფილი დრილები, აწ სანები, ტრაპეზუნტელების დაუძინებელი მტრები, უმეფო ტომი, რომელიც ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და რომელსაც აღარ უხდის ხარკს.

მთელი ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ანონიმთან შედარებით სამი საუკუნით უწინარეს ხდებოდა.

თითქმის სიტყვასიტყვით განმეორებაა: ანონიმის პერიპლუსის § 2 (აფსაროსიდან აკამფისამდე) არიანეს „პერიპლუსის“ § 7-ისა; § 5 ანონიმისა (ფასისის წყლის შესახებ) არიანეს პერიპლუსიდანაა (§ 8), ანონიმის § 6 არიანეს § 10-ის დასაწყისია, ანონიმის § 8 მისდევს არიანეს § 11-ის პირველ ნახევარს, ანონიმის § 10 — არიანეს § 11-ის მეორე ნახევარს, ანონიმის § 11 — არიანეს § 11-ის ბოლოს, ანონიმის § 12 — იმეორებს არიანეს მე-17 §-ს, ანონიმის § 13 — არიანეს მე-18 §-ის დასაწყისს, ანონიმის § 15 — არიანეს მე-18 §-ის გაგრძელებას, ანონიმის § 17 არიანეს მე-18 პარაგრაფის მეორე ნახევარს (მაგრამ არა სიტყვასიტყვით); ანონიმის § 19 იმეორებს არიანეს მე-18 §-ის ბოლოს, ანონიმის § 29 არიანეს 19-ე §-ს. ანონიმის „პერიპლუსის“ § 4 (მედეას და აძას შესახებ) სცილაქსთან იჩენს მსგავსებას, მხოლოდ იგი უფრო გავრცობილია და თან ანონიმისთვის ქალაქი არის აძა. დანარჩენი პარაგრაფები ანონიმური „პერიპლუსიდან“ ან ერთგვარი შეჯამებაა იმისა, რაც სხვა, არიანესაგან მომდინარე §-ებშია, ან ახალი ცნობებია. ჭერჯერობით ზუსტი განსაზღვრა იმისა, თუ საიდან მომდინარეობს ეს ახალი ცნობები, არ ხერხდება. ბევრ შემთხვევაში ისინი ძალიან ჰაინტერესოა. მაგ., არიანეცა და ანონიმიც ახსენებენ მდ. ტარსურას, რასაც ანონიმი დამატებით უროთავს „მოქვს“ (ე. ი. ვასაგებია ამით, რომ ტარსურა იგივე მოქვის წყალია).

ახალია ანონიმური პერიპლუსის § 1:

„მდინარე არქაბისიდან მდინარე ოფიუნტამდე წინათ ცხოვრობდა ტომი ეკქეირიებად წოდებული (ახლა ცხოვრობენ მაქელონები და ჰენიოხები), მდინარე აფსაროსიდან მდინარე არქაბისამდე წინათ ცხოვრობდნენ ეგრეთწოდებული ბიძერები (ახლა კი ცხოვრობენ ძიდრიტები)“. რომ ჰენიოხებისა და მაკრონების მეზობლები ძიდრიტები არიან, ეს იცის არიანემაც. მაგრამ ანონიმთან ახალია უწინდელი მაკრონების, ბიძერების და ეკქეირიების ხსენება (ამ ტომთა ხსენება ალბათ ფსევდო-სცილაქსიდან მომდინარეობს, პერიპლუსი § 82, 83. ხოლო ლოკალიზაცია ავტორისეულია). ანონ-

ნიმისეულია § 7; „დიოსკურისიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელმწიფევილი“ — ე. ი. ანონიმმა იცის ლაზთა და კოლხთა მიმართება, კოლხური და ლაზური სახელმწიფოების გავრცელების არე.

ანონიმი აზუსტებს ძიქების საცხოვრისს იქ, სადაც უწინ პენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლაინები, მაქელონები, კოლხები და ლაზები ცხოვრობდნენ (§ 18), ან იქ, სადაც ძველი აქაფები ცხოვრობდნენ (§ 20).

კ. მაჟული ანონიმის ერთ-ერთ წყაროდ ფსევდო-სკიმნოსს ასახელებს და ცნობას ფასისის შესახებ (§ 3) მისგან მომდინარედ მიიჩნევს. ჯერ ერთი, ტექსტის შედარებამ ცხადყო, რომ ფასისის შესახები მსგავსი ცნობა, რომ ის მილეტელთა კოლონიაა და რომ ის ზღვის პირას მდინარის შესართავთან მდებარეობს, არ მოეპოვება ფსევდო-სკიმნოსს; ხოლო შემდეგ, ვინც იცნობს ფსევდო-სკიმნოსის „პერიეგესს“ და ანონიმის „პერიპლუსს“, ამ ორი ნაწარმოების სტილსა და თავისებურებებს, იგი a priori დაასკვნის, რომ ამ ხასიათის ცნობა არ შეიძლებოდა ფსევდო-სკიმნოსს ჰქონოდა. ამ ცნობის (§ 3) პირველი ნაწილის სადატურობა ცხადია, ის გარკვეულად არიანეს „პერიპლუსიდან“ მომდინარეობს. რაც შეეხება მეორე ნაწილს (ფასისში 60 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი იყრის თავს, რომელთა შორის არიან ინდოეთისა და ბაქტრიის ბარბაროსები), ეს ისე გარკვეული არ არის. ამ რიგის ცნობები არის სხვა ავტორებთან (მაგ., სტრაბონთან დიოსკურიასთან დაკავშირებით). მ. ინაძის აზრით, მათი წყარო ძვ. წ. III ს.-ის ავტორი ტიმოსტენია¹. ესეც თავისთავად პრობლემატურია, მაგრამ ერთი უდავოა, ეს ადგილი ანონიმური პერიპლუსისა სკიმნოს ქიოსელის ოხზულებიდან არ მომდინარეობს. ანონიმური „პერიპლუსი“ ზემოთ მოყვანილ პერიპლუსებთან და პერიეგესებთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ძველი ისტორიისათვის.

ტექსტის გამოცემა: FHG, V, გვ. 174 — 184.

ნ. კეკელიძე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 1961 წ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, II², 1965 წ. გვ. 1—29.

პავსანიას (II ს.) შესახებ ბიოგრაფიული ცნობები თითქმის არ მოგვეპოვება. მისივე ოხზულების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ,

¹ М. П. Ипадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1969, стр. 72—74.

რომ იგი დაბადებული უნდა იყოს მცირე აზიაში, სიპილონის მთის მახლობლად, II ს.-ში. მთელი სიცოცხლე გაუტარებია მოგზაურობაში. საბერძნეთი მთლად მოუვლია (განსაკუთრებით ყურადღებით შეუსწავლია შუა და სამხრეთ საბერძნეთი), ასევე ეგვიპტე, მცირე აზია, იტალია, სარდინია, კორსიკა.

იგი არის ავტორი თხზულებისა *Περὶ γῆς καὶ Ἑλλάδος* (საბერძნეთის აღწერილობა), რომელიც შედგება 10 წიგნისაგან და დაწერილია 160—178 წწ.-ში.

ერთ დროს იყო აზრი, რომ აღნიშნული წიგნი პავსანიამ მხოლოდ ავტოფსიის საფუძველზე შეადგინა. ამჟამად მეცნიერებაში დამკვიდრებულია ის აზრი, რომ უძველესია ავტოფსიაც, მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორი მოგზაურობის დროს გარკვეულ შენიშვნებს აკეთებდა, ხოლო წერის დროს სარგებლობდა ძირითადად წერილობითი წყაროებით (ამის საფუძველს სპეციალისტებს ის აძლევს, რომ ძველი ძეგლები, ასე, დაახლ. ძვ. წ. 150 წ.-მდე, ყველა უკლებლივ არის აღწერილი, ხოლო უფრო ახალი, ის, რაც მას თვითონ ნამდვილად უნდა ენახა, უფრო ნაკლებად). მისთვის წყარო ძველი პერიპლუსები და პერიეგეზისები იქნებოდა. მის წყაროდ ასახელებენ: პოლემონს, გეოგრაფოს არტემიდორეს, ისტორიკოსებს ისტროსს, მირონს, სოსიბიოსს და სხვ.

ჩვენ დაჩვეული ვართ იმას, რომ პერიპლუსი და პერიეგეზი ძირითადად გეოგრაფიული ქანრია — იქ არის აღწერილობა ქვეყნისა, ქალაქებისა, მდინარეებისა, ტომთა და სხვ.

პავსანიას პერიეგეზისი ამ მხრივ განსხვავებული ხასიათის ნაწარმოებია — მისთვის ძირითადია საბერძნეთის არა გეოგრაფია, არამედ მის მიერ საბერძნეთში ნახული ძეგლების დაწვრილებითი აღწერილობა. (XIX—XX ს.-ის არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც საბერძნეთის ტერიტორიაზე წარმოებდა, დაადასტურეს პავსანიას აღწერილობათა სიზუსტე). მის ნაშრომს მნიშვნელობა აქვს ბერძნული მითოლოგიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ისტორიის, ყოფისა და ნაწილობრივ თვით საბერძნეთის პოლიტიკური ისტორიისათვის.

საკუთრივ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით პავსანიას „ელადის აღწერილობაში“ არის ასეთი საინტერესო ადგილები:

1. პავსანიასთვის ცნობილია პრომეთესის მითი და სახელდობრ ის, თუ სად იყო პრომეთესი მიჯაჭვული: „ჭერაკლეს შესახებ ამბობენ იმასაც, რომ მან მოჰკლა არწივი, რომელიც კავკასიაში (*ἔν τῃ Καυκάσῳ*) ტანჯავდა პრომეთესს, ხოლო თვით პრომეთესი გაათავისუფლა ბორკილებისაგან“ (V, 11, 6). თავისთავად ამ ცნობაში ახა-

ლი არაფერია (რაც არ ვიცით სხვა წყაროების მიხედვით) და არც ისაა გასაკვირველი, რომ პავსანიამ ეს ამბავი იცის. მასალა მომყავს პავსანიას ჩვენი თვალსაზრისით საინტერესო ცნობები სისრულისათვის და აგრეთვე იმის საჩვენებლად, თუ მითხს რა ვერსიაა მისთვის ცნობილი.

2. ასევე, რა თქმა უნდა, პავსანიამ იცის არგონავტების მითიც. ამ მითიდან რამდენიმე საინტერესო ცნობა აქვს დაცული:

შემდეგში, როდესაც დაბრუნდა კოლხთაგან, ზოგიერთების აზრით ფრიქსოსი, ხოლო სხვათა აზრით პრესბონი, ფრიქსოსის შვილი ანტიქსის ასულსაგან, თერსანდრეს შვილებმა ათამანტის სახლი ათამანტსა და მის შთამომავლებს დაუბრუნეს, ხოლო თვითონ დააფუძნეს ჰალიარტოსი და კორონეა“ (IX, 34, 8). ამ ცნობაში საინტერესოა ის ვერსია, რომ ფრიქსოსი თუ მისი შვილი პრესბონი კოლხთაგან საბერძნეთში დაბრუნებულა და მამეული ტახტი ისევ მას რგებია. ეს ცნობა ყველა ვერსიაში არ გვაქვს (ზოგი ვერსიის მიხედვით ფრიქსოსი კოლხების ქვეყანაში კვდება ღრმად მოხუცებულად).

ასევე საინტერესოა ცნობა ანტიქსის შესახებ: „ევმელოსი ამბობს, რომ ჰელიოსმა მისცა ალოევსს ასოპიისა, ხოლო ანტიქსს — ეფირადის ქვეყანა (χώρα). ანტიქსმა თავისი მიწა-წყალი (γῆ) კოლხებში წასვლისას ბუნოსს გადააბარა“ (11, 3, 10).

ამ ცნობის მიმართაც იგივე უნდა ვთქვა, რაც პირველ შემთხვევაში — ანტიქსის კუთვნილი ქვეყანა საბერძნეთში ყველა ვერსიაში არ გვაქვს (და ეს ცნობა უკავშირდება შემდეგ იმ ვერსიას, რომლის მიხედვითაც კორინთოზე მედევს, ანტიქსის ასულს, გარკვეული მემკვიდრეობითი უფლებები აქვს. ის შემთხვევით არ დასახლდა შემდეგ კორინთოში). თვით მედეაც, პავსანიას აზრით არ არის შვილების მკვლეელი ბოროტმოქმედი; მას თავისი შვილები თვითონ არ დაუხოცია, ისინი კორინთელებმა ჩაპქოლეს იმ საჩუქართა გამო, რომლებიც მათ გლავკეს მიუტანეს (II, 3, 6—11). როგორც ჩანს, პავსანიას დაცული აქვს მითის ძველი ვერსია, რაც ევმელოსის პოემის კონცეფტიაზე კიდევ უფრო ადრინდელია (ყოველშემთხვევაში, მედევს სახის განვითარების თვალსაზრისით). ამას გარდა, ორივე ამ ცნობაში ლაპარაკია, „კოლხების“ და არა „კოლხიდის“ შესახებ, პავსანიას დროს (და მასზე დაცილებით ადრე) ბერძნულ წყაროებში არც ხსენება კოლხთა სახელმწიფოსი, კოლხიდის. როგორც ჩანს პერიეგეტს ძველი წყაროები აქვს ხელთ, როდესაც კოლხთა ქვეყნის შესახებ ლაპარაკობს და ამიტომ იხსენიებს ამ

ქვეყანას სატომო სახელით (ისევე, როგორც ყველა იმ შემთხვევაში, რომელსაც მოვიყვან ქვემოთ).

3. პავსანია მსოფლიოში განთქმულ დიდ მდინარეთა შორის ასახელებს მდ. ფასისსაც (IV. 34, 2). ეს მდინარეებია: ინდოსი, ნილოსი, რაინი, ისტროსი, ევფრატი და ფასისი. მაგრამ რამდენად მართალია ის ცნობა, რომ ყველა ამ მდინარეში საზარელი მხეცები მოიპოვებოდა, რომლებიც შესახედავად ჰერმოსისა და მადანდროსის ლოქოებს ჰგვანან (მხოლოდ უფრო შავები და ღონიერები არიან), მაგრამ კაციჟამიები არიან, არ ვიცი. აქ რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს (ნილოსის ნიანგები ფანთქმულია, მაგრამ ფასისის რაიმე ცხოველი, თევზებს გარდა, არსად აღნიშნული არ არის. პირიქით, სხვა მწერლებთან ისიც კი ზწერია, რომ შავი ზღვაც კი უწყინარია, რომელსაც ბევრი სხვა მდინარე და მათ შორის ფასისი ერთვის). პავსანიას ცნობათა შორის, რაც საქართველოს წარსულს ეხება, ყველაზე საყურადღებოა შემდეგი:

4. იმ გზაზე, რომელსაც სპარტიდან თერაპნისაკენ მიყვავართ, სამლოცველოთა შორის უძველესი არის არესის სამლოცველო (*Ἐρῶν*), გზის მარცხენა მხარეს. ხოლო ქანდაკების შესახებ კი ამბობენ, რომ დიოსკურებმა მოიტანეს კოლხებისაგანო. არესს თერეატასს უწოდებენ, თეროს, არესის ძიძის სახელის მიხედვით. იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა კოლხებისაგან გაიგონეს თერეატასი, რადგან ელინებმა არ იციან არესის ძიძა თეროო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ „თერეატასი“¹ ძიძის სახელის მიხედვით კი არ ეწოდა არესს, არამედ იმის გამო, რომ ის მტრის მიმართ უღმობელი იყო... (III, 19. 7).

არესის ზედწოდებას, *Θηρεῖας* || *Θηρεῖας* პავსანიას გარდა იცნობს კიდევ ჰესიხოსი. პავსანიას იმ აზრს, რომ ბერძნებმა არ იციან სახელი *Θηρᾶς*, არ იზიარებს *Tümpel*-ი², იგი ჩამოთვლის პავსანიას „პერიეგესის“ გარდა კიდევ რამდენიმე შემთხვევას, სადაც ბერძნულ სინამდვილეში დადასტურებულია სახელი *Θηρᾶς*: ფილასის ასული, ქაფრონის დედა (პესიოდესთან, ჰელანიკესთან, სტეფანე ბიზანტიონელთან), ქალწული *Θήρα*—ლებადიიდან. ამას გარდა *Pape* ასახელებს კიდევ *Θηρᾶς*-ს სახელის მატარებელს: ამაზონს—*Inscrp.* 4,7577 და ძალის სახელს—*Inscr.* 4,8139, *Vase in Gerh. A. V. III, n. 135*.

როგორც ვხედავთ, არც პავსანია თვითონ მაინცდამაინც იმ აზრის, რომ სახელი „თერეატას“ კოლხთაგან გაიგონეს და იქიდან შე-

¹ *Θηρεῖας* ეტიმოლ. *θηρ*-ძირისაგან, „მხეცი“—მხეცებრი, მხეცური.

² *RE, II, 1896, სტატია Ares, გვ. 642—661.*

მოიტახეს ბერძნებმა (იგი ამ სახელის ბერძნულ ეტიმოლოგიას იძლევა). მაგრამ ერთი უდავოა: 1. მან იცის, რომ კოლხთაგან არის არეისი ქანდაკება მოტიანილი ლაკედემონში (დიოსკურებმა მოიტახეს ის კოლხთაგან) და 2. მას გაუგონია, რომ კოლხთა მიერ შერქმეულია ეს ზეღწოდება. არესი ბერძნულ პანთეონში თრაკიული წარმოშობის ღვთაებად ითვლება, მაგრამ მისი კულტი მთელს ბერძნულ სამყაროში იყო მოდებული. ამას გარდა კოლხებში ცნობილი იყო მისი სალოცავი — არესის ჭალა (აპოლონიოს როდოსელი, III, 1228).

შემთხვევითი არ არის, ალბათ, არც ის, რომ 'Αρηϋδῶης-ს უკავშირებს მაგ., დიონისიოს პერიეგეტი „მამაცი აქეელების“ შავი ზღვის სანაპიროზე მოსვლას (მათ აქ დასახლებას (681—685 ტ.). 'Αρηϋδῶης-ს შესახებ სქოლიასტები და კომენტატორები სხვადასხვა ინტერპრეტაციას გვთავაზობენ, მაგრამ ერთი უდავოა — ყველა მათგანი არესის სახელს გულისხმობს ამ სახელში (სულერთია, ის იქნება აგამემნონი, არესის ჩამომავალი, აქილეუსი — ე. ი. მეომარი ბასილევსი, თუ პომპეუსი — მეომარა მხედართმთავარი, რომლის მოკავშირეებიც იყვნენ კავკასიის აქეელები). ე. ი. ამ მასალის მიხედვით, რასაც მხარს უჭერს პავსანიას ცნობაც, არესის კულტი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კოლხებშიც ყოფილა გავრცელებული. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დიოსკურები, რომლებიც თქმულების მიხედვით არგონავტებთან ერთად მოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, როგორ წაიღებდნენ აქედან არესის ქანდაკებას? არესის კულტის მოწმობაა ისიც, რომ ჩვენს ტერიტორიაზე არის „არესის კუნძული“. არესის კუნძული მოსინოჟკთა და ტიბარენტა შორის ნახსენები აქვს ფსევდო-სკილაქსს (§ 86).

დაახლოებით აქვე ახსენებს მას ფსევდო-სკიმნოსიც: „კერასუნტი, სინოპელთა კოლონიაა, აქამდე ვრცელდება უდაბური კუნძული, რომელსაც არესისა ეწოდება“ (911 და შმდ. ტ.). სტეფანე ბიზანტიონელიც სკიმნოსზე დაყრდნობით წერს: არესის კუნძული, კოლხებთან, პონტოში და სხვ.

ამ შემთხვევაში კოლხიდა ძველი და ფართო გაგებითაა ნაყარაუდევი, მოიცავს დას. საქართველოს; „აქეელებიც“ და მოსინოჟკტიბარენტებიც დას. საქართველოს ტერიტორიაზე არიან პირველები ზღვის გასწვრივ ჩრდილოეთ მონაკვეთში, ზოლო მეორენი სამხრეთ ნაწილში, იქ, სადაც ქსენოფონტმა კოლხები ინახულა. კოლხთა ეპითეტა ἀρηϋδῆ (აპოლონიოს როდოსელი) ამავე რიგისაა: მეომარი კოლხები (ძირი ისევ არესთან არის დაკავშირებული). პავსა-

ნიას ამ რიგის კიდევ ერთი ცნობა აქვს: ლაკედემონის ქალაქის, ლასოს ნანგრევებში არის ქალღმერთი ათენა ასიელის ტაძარი: (νῦδος). ამბობენ, რომ ეს ტაძარი პოლიდევეკემ და კასტორმა ააგეს მას შერე, რაც კოლხებიდან დაბრუნდნენ. იმიტომ, რომ კოლხებშიც არის ათენა ასიელის სალოცავი (ἑρῶν). ტინდარევის შვილების იასონთან ერთად ლაშქრობის შესახებ მე თვითონაც ვიცი, ხოლო ასიელ ათენას რომ პატივს სცემენ კოლხები, ამის შესახებ ეწერ იმის მიხედვით, რაც ლასელთაგან მოვისმინე — ამბობს პავსანიი (III. 24, 7).

კოლხთა და ლაკედემონელთა კულტურულ-რელიგიური კავშირების ამბავი ისევ დიოსკურების (ტინდარიდების) სახელს უკავშირდება. მათ შემოუტანიათ კოლხთაგან ეს კულტი საბერძნეთში (თითქოს ლაკედემონელთა ცნობით). ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება, რომ არ გავგახსენდეს „პერიპლუსიდან“ (§ 4) ასეთი ცნობა: „ევქსინის პონტოსთან არის ადგილი, რომელსაც (ათენა) ეწოდება. იქვეა ათენას ბერძნული ტაძარი, რომლისგანაც მიიღო ამ ადგილმა სახელი, მე ასე მგონია“ (ათენა ანუ ათინა — თანამედროვე ფაზარია და ეს ადგილი დას. საქართველოს ტერიტორიაზე შემოდიოდა).

არიანეს, როგორც თვითმხილველს, დაეჭვრება ის, რომ შავი ზღვის ამ სანაპიროზე იყო ათენას ბერძნული ტაძარი.

პავსანიას ამ ცნობასთან დაკავშირებით ის უნდა დავუშვათ, რომ ავტორმა იცის პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ათენას კულტის არსებობა (ხოლო მისი დაკავშირება ტინდარიდებთან უკვე თქმულებისეულია). ეგებ რომელიმე ადგილობრივი, ქართული ღვთაება გაიზარა ლაკედემონელმა ბერძენმა ათენა ასიელის მსგავსად და თავისთვის ცნობილი სახელი უწოდა (ისევე, როგორც იგივე არიანე მაგ., ფასიელ ღმერთ ქალს, რომლის სახელსაც არ ამბობს, რეას უდარებს). შემდეგ ეს მისი ცოდნა ისევ ცნობილ არგონავტთა მითს, დიოსკურებს (მათი კულტი ლაკედემონში დიდი იყო, ისინი ხომ წარმოშობით ლაკედემონელები არიან) დაუკავშირდა.

5. საქართველოს მეზობელ ტომთაგან პავსანიი ცნობებს გვაწვდის სავრომატების შესახებ. ერთი ცნობა ეხება სავრომატულ ჯავშანს, რომელიც მას ქ. ათენის ასკლეპიოსის სალოცავში უნახავს, აღტაცებული დარჩენილა ამ ნამუშევრით — ცხენის ჩლიქებისაგან ყოფილა ის იგაკეთებული, დიდი სილამაზისა და გამძლეობის (ელინურს არ ჩამოუვარდებიანო). მართალია ისინი ბარბაროსები არიან, მაგრამ ხელოვნებაში ელინებს არ ჩამოუვარდებიან. ამავე დროს

აღნიშნავს, რომ საერომატებს არა აქვთ რკინა, არც თავისი და არც შემოტანილი და ამიტომ, რომ ისრის წვერები ძვლისა აქვთ. ეს იმიტომ, რომ უცხოელებთან ურთიერთობას ერიდებიან. ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწევიან, ცხენებს მათ შორის დიდი გამოყენება აქვთ, ომში, მსხვერპლშეწირვისას (თავისი ღვთაებებისადმი) და საკმელად. მომთაბარეობა მათი იძულებით არის ახსნილი: მიწები არა აქვთ გაყოფილი, ველური ბალახის მეტი ზედ არაფერი მოდის და ამიტომ უხდებათ ხეტიალი — ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა (I, 21, 5). ერთი სიტყვით, ამ ნაწყვეტში მოცემულია სურათი მომთაბარე საერომატების ცხოვრების და მათი ველურობის ფონზე პავსანიას დიდად ფაპკვირება შესანიშნავად დამუშავებული ჯავშნის ნახვა. ისიც აღსანიშნავია, რომ საერომატული ნახელავი პავსანიამ ათენში იხილა; ეს უეჭველი მოწმობაა უშუალო თუ შუალობითი გზით ათენსა და საერომატთა შორის ურთიერთობისა.

მეორე ცნობა საერომატთა შესახებ თარიღიანია — ეხება II ს.-ის II ნახევარს. „ანტონინუს მეორემ დასაჯა გერმანელები, ყველაზე მეტბრძოლი და მრავალრიცხოვანი (ტომი) ევროპაში მცხოვრებ ბარბაროსთა შორის და საერომატთა ტომი (ჭმუიც), რადგან მათ პირველებმა დაიწყეს ომი და უსამართლოდ მოქცევა“ (VIII, 43, 6).

ანტონინუს II — არის მარკუს ავრელიუსი, რომელიც რომის ტახტზე იყო 161—180 წწ.-ში. ცნობილია მისი გაუთავებელი ომი ერთი მხრივ გერმანელების და მეორე მხრივ პართელების წინააღმდეგ. საერომატთა დასჯა მარკუს ავრელიუსს უთუოდ პართელებთან ბრძოლის ასპექტში მოუხდა.

პავსანია, რომელიც საქართველოს ისტორიის ბერძნულ წყაროთმცოდნეობაში სრულიად არ ჩანდა აქამდე, უთუოდ საინტერესო აღვილს დაიჭერს იმ ავტორთა შორის, რომელთაც საქართველოს უძველესი კულტურის საკითხები აინტერესებთ.

ტექსტი: Pausaniae Graeciae descriptio, rec. F. Sprio, I—III. 1903 (BT).

Павсаний, Описание Эллады, Перевод С. П. Копдратьевой. I том—1938; II том—1940.

ელისისტური ზანის მწერლობაში ვითარდება ახალი ქანრი საისტორიო პროზისა — მსოფლიო ისტორია. თუ მანამდე ზოგიერთი ბერძენი ისტორიკოსის (მაგ., პეროდოტეს ან ფეოროსის) შემოქმედებაში არა მხოლოდ ერთი ქვეყნის ისტორიაა გადმოცემული, მათი ისტორიები მანაც არაა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული, ერთ კონცეფციაზე აგებული მსოფლიოს ისტორიის ამსახველი ნაწარმოები.

ამ უნარის დამწერგავი არის პოლიბიოსი, ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე არა მხოლოდ ბერძნული, არამედ მთელი ევროპული ისტორიოგრაფიის მასშტაბით.

მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს იმდენის და იმის გაკეთება, რაც გააკეთა პოლიბიოსმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ავტორთა, დიონისიოს ჰალიკარნასელის და დიოდორე სიცილიელის შრომებს ღირებულება არა აქვთ მეცნიერებისათვის.

პოლიბიოსი ცხოვრობდა ძვ. წ. II ს.-ში და მისი სახელით ცნობილია ნაშრომი, Ἱστορίαι (ისტორია), რომელიც შედგებოდა 40 წიგნისაგან. აქედან პირველი 5 მთლიანად არის მოღწეული, VI—XVIII წიგნების დიდი და საკმაოდ გაბმული ნაწყვეტებია გადარჩენილი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენს, იქიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული. სრულიად დაკარგულია მე-17, მე-19, 37-ე და მე-40 წიგნები. პოლიბიოსის „ისტორია“ არის მსოფლიო (და არა კერძობითი) ისტორია; ბერძნულ მწერლობაში იგი არის ამ უნარის შემქმნელი და დამამკვიდრებელი. მას განხილული აქვს შედარებით პატარა პერიოდის (დაახლ. 70 წლის) ისტორია. ავტორი ძირითადად გადმოსცემს იმ ამბებს, რომლის მომსწრე და მონაწილე თვითონ იყო. პოლიბიოსის „ისტორია“ არის ერთი ძირითადი წყარო ე. წ. II პუნიკური ომისათვის, თუმცა ამას გარდა იქ ბევრი საინტერესო მასალაა მსოფლიო ისტორიისათვის. ავტორი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სანდო ისტორიკოსად ბერძენ მწერალთა შორის და არის აზრი მის შესახებ, რომ პონტოს ირგვლივ მდებარე ადგილები მას პირადად მოუხაზულებია.

პოლიბიოსის ცნობათა შორის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საგანგებოდ საინტერესოდ მიმაჩნია ერთი რიგი ცნობებისა, რაც გადმოცემულია ბიზანტიონისა და როდოსელთა 219 წლის ბრძოლასთან დაკავშირებით და სადაც ქ. ბიზანტიონის შესახებ არის მსჯელობა, ხოლო ბიზანტიონთან დაკავშირებით ზოგადად პონტოსპირეთის ქვეყნებზეა ლაპარაკი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მონაკვეთში არსადაა პოლიბიოსთან პონტოსპირეთის რუმელიმე კონკრეტული ქვეყნის ხსენება (სხვა კონტექსტში მდ. ფასისი ორჯერ არის ნახსენები: IV, 56, 5; V, 55, 7), ის ცნობები, რომელთაც განვიხილავ სხვა მასალასთან შეჯერების შემდეგ, მიმაჩნია, რომ ისევე ეხება კოლხიდასაც (თუ მეტად არა), როგორც შავი ზღვის პირას და ირგვლივ მდებარე სხვა ქვეყნებს. ამავე აზრისაა „ისტორიის“ რუსულად მთარგმნელი თ. მიშჩენკოც, რომელიც „პონტოს ირგვლივ მცხოვრებ ბარბაროს ტომებს“ (IV, 38, 7) უკეთებს შე-

ნიშნას: «Фракияне, геты, тавры, скифы, сарматы, колхидяне, друлы, мосинойки и др.», т. I, стр. 515.

პოლიბიოსის სიტყვით რომ ვთქვათ, ბიზანტიონელები ისე არიან დასახლებული, რომ ზღვის მხრივ ჰაუცეთესო მდებარეობა აქვთ, როგორც უშიშროების თვალსაზრისით, ასევე სიმდიდრის მოსაპოვებლად, ზოლო ხმელეთის მხრივ ორივე თვალსაზრისით ძალიან არახელსაყრელი მდგომარეობა აქვთ. პონტოზე ისინი ისე მფლობელობენ, რომ მათი ნებასურვილის გარეშე ვერც შიგ შევლენ და ვერც იქიდან გამოვლენ საეაქრო ზომალდები. პონტოში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ესაქიროებათ სხვა ხალხებს და ყოველივე ეს ბიზანტიონელების ხელშია; ხალხები, რომლებიც პონტოს ირგვლივ ცხოვრობენ, ამარაგებენ ბერძნებსა და რომაელებს (პოლიბიოსი აქ ხმარობს სიტყვას „ჩვენ“) საქონლითა და დიდი რაოდენობის საუკეთესო მონებით, ამას გარდა, პონტო აწვდის ბერძნებსა და რომაელებს ფუფუნების საგნებსაც: თაფლს, ცვილს, დამარილებულ თევზს — ასევე დიდი რაოდენობით. სამაგიეროდ, პონტოსპირეთის ქვეყნებში ამათ შეაქვთ ზეთი და ყოველგვარი ღვინო, პურს კი უცვლიან ხოლმე ესენი ერთმანეთს, როცა რომელიმეს აქვს ამისი გაჭირვება (IV, 38, 1—5).

პონტოსპირეთის, კერძოდ ჩრდილო სანაპიროს სიმდიდრე პურით კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამ დროიდან ჩნდება ცნობები (ნარატიული და ეპიგრაფიკული), რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ აქაური მოსახლეობაც განიცდის დროდადრო ამ გასაჭირს, შექმნილი ვითარების გამო (ესაა პოლიბიოსის ცნობა III ს.-ის მიწურულისათვის, ოლივის დეკრეტი პროტოგენეს მიმართ IOSPE 1², 32; ხერსონელთა ფიცი IOSPE, 1², 401).

რომ პონტოს მიმართ ვაჭრებს დიდი ინტერესი ჰქონდათ, ამას მოწმობს პოლიბიოსის მეორე ცნობაც: თრაკიის გალატების მეფემ, კავაროსმა, რომელიც ნამდვილი მეფური სულგრძელობის მქონე იყო, მისცა ვაჭრებს საშუალება პონტოზე თავისუფლად ცურვისა (VIII, 24). ან კიდევ: ბიზანტიელები ხარკს ახდევინებდნენ ვაჭრებს, რომლებიც მიდიოდნენ პონტოში მონებისათვის ანდა სათევზაოდ (IV, 50, 2—3).

პონტოს დამარილებული თევზი დიდად საფუფუნო საგნად ითვლებოდა რომაელებისათვის, რასაც აღუშფოთებია სახელგანთქმული კატონი და მას საჭაროდ გაულაშქრია ამის წინააღმდეგ. მოყვანილია მისი სიტყვის ნაწყვეტები, სადაც ნათქვამია: პონტოს ერთი ქურჭელი დამარილებული თევზი უფრო ფასობს რომაელებისათ-

ვის, ვიდრე გუთნის დედა, ანდა საყანე მიწის ნაკვეთიო (XXXI, 24, 1—4).

ზემოთ ხსენებულ შემთხვევებში პოლიბიოსი თევზის არავითარ კონკრეტულ სახეობას არ აღნიშნავს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხვა ძველი ავტორებთან ცნობებს (პეროდოტე, არისტოტელე, კლავდიუს ელიანუსი) და თანამედროვე ზოოლოგების გამოკვლევებს, შეაძლება ვიფიქროთ, რომ პოლიბიოსის მიერ აღნიშნული საექსპორტო დამარილებული (თუ დაკონსერვებული) თევზი სკუმბრია იყო.

თევზის გარდა, საფუფუნო ჭავანთავან შავიზღვისპირეთიდან გააქვთ თაფლი და ცვილი (ამის შესახებ ბევრი ძველი ავტორის ცნობა გვაქვს, როგორც პოლიბიოსზე ადრეულის, ისე შემდეგი ხანისა).

პონტოსთან მცხოვრები ხალხები ბერძნებსა და რომაელებს ამარაგებენ არასაფუფუნო საგანთაგან საქონლითა და მონებით. საქონლის, შინაური პირუტყვის ექსპორტის შესახებ სხვა ბერძნული წყაროები არაფერს ამბობენ, თუმცა პონტოს ქვეყნების, სახელდობრ კოლხიდის მსხვილფეხა საქონლით სიმდიდრეზე წერს ქსენოფონტიც (ანანბ., IV, 8, 23—24).

პონტოს ქვეყნები რომ ამარაგებდნენ საბერძნეთსა და რომს მონებით, ამის შესახებ თვით პოლიბიოსსავე აქვს ლაპარაკი მეორეგანაც (IV, 50). სტრაბონს უფრო კონკრეტული ცნობა აქვს — მან იცის, რომ მის დროს კოლხიდაში ტყვეებით ვაჭრობენ, ზოგი მათგანი იყიდება ბოსფორის ტერიტორიაზე, ხოლო ზოგს გამოასახილთ იბრუნებს უკან ის, ვისაც იგი მოსტაცეს (XI, 2, 12). პოლიბიოსის ისტორიაში არ ჰყვია სახელდებით, რომ მაინცდამაინც ქართველი (კოლხი თუ სხვა ტომი) მონებით მარაგდება რომი და საბერძნეთი, მაგრამ რომ ეს მონები პონტოსპირეთიდან არიან, ეს კია აღნიშნული. ხოლო პონტოსპირეთის ქვეყნებში ამ დროისათვის კოლხიდას უკანასკნელი ადგილი არ სჭერია. საბერძნეთში მყოფი ქართველი მონები იხსენიებიან ბერძნულ წარწერებში ძვ. წ. VI ს. — დან და შემდეგ (კოლხი, ტიბარენი...). მათ იცნობს ქსენოფონტი (მაკრონი — IV, 8, 4—5) და ალკიფრონი (კოლხი, Epist. III, 61) ¹.

პოლიბიოსის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში (IV, 38) არის ასეთი ცნობაც: ხალხები, რომლებიც პონტოს ირგვლივ ცხოვრობენ,

¹ ამის შესახებ იხ. ქვემოთ თავი: ბერძნული ეპიგრაფიკა, როგორც წყარო საქართველოს ისტორიისა.

პურით ამარაგებენ რომაელებსა და ბერძნებს, როდესაც მათ ამისი ნაკლებობა აქვთ და პირიქით — როდესაც პონტოს მიდამოში პურის ნაკლებობაა, მაშინ იქიდან შემოდის აქ პური.

პონტოსპირეთის ქვეყნების (მაგ., მოსინიკების, ტრაპეზუნტელების — ე. ი. კოლხების, იხ. ქსენოფონტი, IV, 8, 23; V, 4, 27) პურით სიმდიდრეზე და აქედან საბერძნეთში პურის ექსპორტზე (პეროდოტე, ისტორია, VII, 147) პოლიბიოსზეც ადრეც არის ცნობები ლიტერატურაში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ქვეყნებში პურის შემოტანას, სხვა წერილობით წყაროებში, გარდა პოლიბიოსისა, ამ რიგის ცნობები არ გვაქვს. დამატებითი მასალა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის მოსახლეობაში პურის გასაჰირის შესახებ ეპიგრაფიკული ზასიათისაა.

პოლიბიოსის ზემოთ განხილული ცნობები შეიცავენ პირველხარისხოვან მასალას პონტოსპირეთის ქვეყნების (და მათ შორის კოლხიდის) ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად.

ტექსტი: Polybius, The Histories with an English translation, by W. R. Paton, in six volumes, 1954 (Loeb-ის სერიაში).

Polybii, Historiae, retractavit Th. Büttner-Wobst. Lipsiae vol. I—II, ed. II. 1922—1924. vol. III—V, ed. I, 1893—1904.

BT. იმავე სერიაში უკანასკნელი გამოცემა არის 1962 წლისა.

თარგმანები: ინგლისური—Paton-ის, 1922—1927 წწ.

E. S. Shuckburgh-ის—1962 წ.

გერმანული — Benicken-ის—1820 წ. Haakh-ის 1858—68 წწ. Drexler-ის—1961 წ.

ფრანგული — J. Buchon-ის—1838 წ. F. Bouchot-ის—1847 წ. P. Waltz-ის—1921 წ.

იტალიური — G. B. Cardona-სი — 1948 წ.

რუსული — Ф. Мищенко-სი, 3 ტომად, М. 1890—95 гг.

ნაწყვეტები: B. Latyshev, SC, I, გვ. 440—444. ВДИ, 1947, № 3.

თ. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ: ორიონი, 1967, გვ. 277—291.

თ. ყ ა უ ხ ი ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III. 1976.

დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.) არის ავტორი მსოფლიო იატორიისა, რომელსაც ეწოდება „ბიბლიოთეკა“ (Βιβλιοθήκη). შრომა შედგება 40 წიგნისაგან და იგი სრულად არაა ჩვენამდე მოღწეული. ავტორი მეორეხარისხოვან ისტორიკოსად ითვლება, ხო-

ლო ნაშრომი კომპილაციურ ხასიათისად. მაგრამ მაინც დიდად მნიშვნელოვანია „ბიბლიოთეკა“, რადგან ბევრი დაკარგული წყარო აქვს მის ავტორს გამოყენებული.

დიოდორეს, მისივე ცნობების თანახმად, აზიისა და ევროპის მეტი ნაწილი დაუვლია და შრომის შესრულებას 30 წელი მოსდომებია. დიოდორეს ძირითად წყაროდ დიდხანს მხოლოდ ეფოროსი იყო შინნეული, მაგრამ XX ს. -ის კვლევამ ამ მიმართულებით დაადასტურა, რომ იგი სარგებლობდა ეფოროსის გარდა ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, ქსენოფონტის, პოლიბიოსისა და პოსეიდონიოსის ნაშრომებით. განსაკუთრებით დიდი ჩანს მიბაძვა პოლიბიოსისა, მაგრამ დიოდორესთან, ასე ვთქვათ, უფრო ფართო მასშტაბით არის მსოფლიო ისტორია წარმოდგენილი: „ბიბლიოთეკა“ შეიცავდა აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიას დაწყებული მითური დროიდან და გათავებული იულიუს კეისარის მიერ გალიის დაპყრობით.

„ბიბლიოთეკაში“ დაწვრილებით არის გათვალისწინებული აღწერილი ქვეყნების გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ხელოვნება და კერძოდ ლიტერატურა.

სრულად მოღწეულია ჩვენამდე I—V და XI—XX წიგნები. დანარჩენი წიგნები ფრაგმენტულადაა დაცული.

დიოდორეს ცნობები საქართველოს შესახებ რამდენიმე ჭკუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

I. თქმულებები და გადმოცემები.

a. დიოდორეს აქვს საინტერესო დეტალები პრომეთეის თქმულებიდან. მაგ., I, 19, 1—3 გადმოგვცემს იმ ამბავს, რომ ეგვიპტის ნაწილი პრომეთეის კუთვნილი ქვეყანა იყო; ამას გარდა, ამავე ნაწყვეტში უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ მითის ერთგვარად კანონიერი ვერსია (პერაკლემ მოკლა არწივი, რომელიც პრომეთესს უკორტნიდა ღვიძლს) ახსნილია ელინ პოეტთა მიერ შექმნილ ამბად, რის საფუძველიც თითქოს ისტორიულად არსებული, რეალური ამბავი იყო: აღიდებული ნილოსი, იგივე აეტოსი (Ἄετος ნიშნავს „არწივს“) კალაპოტში ჩააყენა პერაკლემ. პერაკლეს მიერ მდ. აეტოსის კალაპოტში ჩაყენება აღიქვეს როგორც აეტოსის (ე. ი. არწივის) მოკვლა; აეტოსი კი პრომეთეისს წილხვდომილ ქვეყანას, ანუ თვით პრომეთესს აზიანებდა.

ეს არის ერთგვარი ცდა იმის ახსნისა, თუ რანაირად არის შექმნილი პრომეთეისის მითი. წყაროდ ისტორიისათვის ჰეკატაეოს აბდერელია მიჩნეული, ხოლო მითოლოგიისათვის დიონისიოს სკიტობრახიონი.

პრომეთეისის ხსენება დიოდორესთან სხვაგანაც გვხვდება (XVII, § 3, 1), სადაც პრომეთეისის სახელი უკავშირდება ინდოეთის კავკასოსს. ცნობა მომდინარეობს კლემენტარქოსის ისტორიიდან, რის წინააღმდეგაც გაილაშქრა ჭერ კიდევ სტრაბონმა (XI, 5, 5).

არგონავტების მითი, რომლის მნიშვნელობაც სადავო არაა საქართველოს ისტორიისათვის, საკმაოდ ვრცლად და თავისებური ვერსიის სახით არის გადმოცემული დიოდორეს „ბიბლიოთეკაში“ (IV, 40—56). სპეციალისტთა აზრით, ძირითადი წყარო ამ ნაწილისათვის დიონისიოს სკიტობრაზიონია, თუმცა პარალელურად სხვა მასალაც არის გამოყენებული. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს ის, რომ არგონავტების ზღმძღვანელი, ცენტრალური ფიგურა ამ ლაშქრობისა დიოდორეს თვალსაზრისით არის ჰერაკლე და არა იასონი (IV, 16; IV, 40—56), როგორც მიღებულია მითის ძირითად ვერსიაში. თხრობა საერთოდ მოცემულია იმისათვის, რომ ჰერაკლეს ღვაწლი ყოველმხრივ დახასიათდეს.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ დიოდორეს აქვს სურვილი თქმულებაში მოცემული ზღაპრულ-ფანტასტიკური მოვლენების რეალისტური საფუძვლების დაძებნისა. მაგ. აძეტესს ნაწინასწარმეტყველევი აქვს, რომ ის ჰიპოკრატესს დაასრულებს მაშინ, როდესაც მის ქვეყანაში უცხოელები მოვლენ და ოქროსსაწმისიან ტყავს გაიტანენ. ამის გამო ის სასტიკად უსწორდება უცხოელებს, წმინდა ადგილას ზღუდეს ავლებს და შიგ აყენებს მცველებს ტავრეთის მცხოვრებთაგან.

„აი ამ ამბავთა საფუძველზე შეითხზა ელინებთან სანაწაულებრივი მითები. დაირხა ხმა, თითქოს წმინდა ადგილის მახლობლად ცეცხლისმფრქვევი ხარები იყვნენ, ხოლო ტყავს მარად ფხიზელი დრაკონი იცავდა; ტავრთაგან¹ იგივე სახელწოდება გადავიდა ხარების ძალაზე. უცხოელთა მკვლელობის დროს გამოჩენილი უღმობელობის წინადაგზე კი შეიქმნა მოთხრობა, თითქოს ხარები ცეცხლს აფრქვევდნენ. ამის მსგავსადვე წმინდა ადგილის მცველს სახელად ერქვა დრაკონი. პოეტებმა კი ეს სახელი სასწაულებრივ და ზარდამცემ ცხოველზე გადაიტანეს“ (IV, 47). ასევე ცდილობს დიოდორე აგვიხსნას ოქროსსაწმისიანი ვერძის ამბავიც — „ერთნი ამბობენ, რომ (ფრიქსოსმა) ზღვა გადაცურა ხომალდით, რომელსაც ცხვირზე ვერძის თავის გამოსახულება ჰქონდა“ (IV, 47). „ფრიქსოსის აღმზრდელი კი, რომელსაც სახელად კრიოსი (ე. ი. ვერძი) ერქვა, მსხვერპლად შეწირეს ღმერთებს (ივარაუდება კოლხებმა, —

¹ ძამიფი იგივეა, რაც მამფი, ე. ი. ორივე „ხარს“ აღნიშნავს.

თ. ყ.), ხოლო მისი სხეულიდან აცლილი ტყავი, ადათის თანახმად, ტაძარში ჩამოკიდეს...“

შემდეგ, რადგან ადეტესს ეწინოდა, რომ კრიოსის ტყავს წაიღებდნენ, „მეფემ წმინდა ადგილას ზღუდე შემოავლო და შიგ მცველები ჩააყენა. ამას გარდა, ტყავი ოქროში დაფერა, რათა სიბრწყინვალის წყალობით ჯარისკაცთა მხრივ იგი უფრო მეტი ყურადღებით ყოფილიყო დაცული“ (IV, 47)¹.

ხომალდის სახელის, „არგოს“ ეტიმოლოგიაც აინტერესებს დიოდორეს, რომელიც ამ შემთხვევაშიც არ სჯერდება ერთ აზრს — „ზოგიერთ მითოგრაფოსთა მიხედვით ხომალდს ეწოდა „არგო“ ხომალდის ამშენებელი არგოსისაგან... როგორც სხვები ამბობენ, ხომალდმა სახელი მიიღო ძლიერი სისწრაფის გამო. ვინაიდან ძველები „სისწრაფეს“ „არგოსს“ ეძახდნენ“ (IV, 41).

დიოდორესეულ გადმოცემაში არგონავტთა მითი ასახავს ხალხებს შორის ურთიერთობებს, რაც მოცემულია აგრეთვე ნათესაური კავშირების სახით. მაგ., კოლხი მედეას ძეა თეტალოსი — თესალიის ეპონიმი (IV, 54), კირკე, ამ ვერსიით ადეტესის, კოლხთა მეფის ასული, სარმატების ანუ სკვითების მეფის ცოლია (VI, 45); სკვითების მეფე ადეტესის სიძეა (IV, 47), ფრიქსოსი (ელინი) კოლხებში მოხვედრის შემდეგ ზღვება სკვითების მეფე (IV, 47). აქ უფრო სხვაგვარად არის ურთიერთობა მოცემული; უფრო გარკვეულად და არა ნათესაობის აღნიშვნით.

დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ თანახმად ჰელიოსის ვაჟები არიან კოლხთა მეფე ადეტესი და ტავრების მეფე პერსესი. პერსესის ასულია ჰეკატე (ულმობელი, ვერაგი, მედიცინაში ფრიად განსწავლული). ჰეკატემ მოწამლა მამა და ტავრების ქვეყანა მემკვიდრეობით მიიღო. ამის მერე დაუკავშირდა ადეტესს (ე. ი. გაერთიანდა კოლხებისა და ტავრების ქვეყანა? — პირდაპირ არ სწერია, მაგრამ ასე უნდა ვივარაუდოთ) და გაუჩნდათ მათ 3 შვილი — კირკე, მედეა და ადგიალევსი (ე. ი. მედეა და კირკე დები არიან, ხოლო ძმა არის ადგიალევსი; ამ ვერსიაში აფსურტოსის სახელი სულ არ ჩანს და არც ის ამბავი, რაც მასთან დაკავშირებით გადახდა მედეას). ორივე და ფრიად განსწავლულია წამლების დამზადებაში და საერთოდ სამედიცინო საკითხებში. კირკე მიათხოვეს სარმატების ანუ სკვითების მეფეს. ისიც დედასავით ვერაგია, ჰკლავს ქმარს, ავიწ-

¹ საინტერესოა, რომ ამას დასძენს დიოდორე: „მკითხველებისათვის მიგვიჩვენია, იმსჯელონ ამ გადმოცემათა შესახებ, თითოეულმა თავისი არჩენის მიხედვით“. ე. ი. ის გვაწვდის რამდენსავე ვერსიას და განსჯას მკითხველს ანობს, თავის დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს მათ მიმართ.

როვებს ქვეშევრდომებს, ამიტომ აძევებენ მან სამეფოდან და ერთი ვერსიის მიხედვით მიღის ოკეანის ერთ უდაბურ კუნძულზე, ხოლო მეორე ვერსიის თანახმად იტალიის ერთ კონცხზე, რომელსაც ჯერაც კირკემონი ეწოდება (IV, 45).

სულ სხვაგვარია მედეა. ვჩერდები ამ საკითხზე, იმიტომ, რომ ამ სახემ დიდი ცვლილება განიცადა თვით მითში და შემდეგ მითის საფუძველზე შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, დიოდორესთან იგი კეთილია, სათნოა, თავის ცოდნას ფარმაკოლოგიის დარგში ხალხზე ზრუნვასა და განსაცდელში ჩავარდნილთა ხსენისათვის იყენებს (IV, 46). პირველად მან თავისი გრძნეულება ბოროტი მიზნისათვის მხოლოდ პელიასის მიმართ გამოიყენა (მანამდე პელიასმა ამოხოცა იასონის მთელი საგვარეულო. თვითონ დაჭდა ტახტზე, რომელსაც უბრძოლველად არ დაუთმობდა იასონს). დიოდორე პირდაპირ ამბობს მედეას პირით: „უწინ ეს წამლები არასოდეს გამოუყენებია ადამიანთა დასალუპავად. ახლა კი მათი საშუალებით ადვილად მიუზღავს სამაგიეროს შურისძიების ღირსთ“ (IV, 50) და ამის მერე მოთხრობილია, თუ როგორ ააქუწინა მედეამ პელიასი მის საკუთარ ასულებს, მოტყუებითა და თავისი თილისმის წყალობით (IV, 51—52). შემდეგ ახალი ბოროტმოქმედება ხდება. მას უძღვის ავტორის განმარტება — მედეას ექმარი დიდ პატივს სცემდა, არა მარტო იმიტომ, რომ ის მშვენიერებით გამოირჩეოდა, არამედ იმიტომაც, რომ გონიერებითა და სხვა მრავალი სიკეთით იყო შემკობილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც დრომ დაიწყო მისი ბუნებრივი სილამაზის სულ უფრო და უფრო მეტად წარტაცება, ამბობენ იასონს მხურვალედ შეუყვარდა კრონტის ასული გლავკე და კიდევ დანიშნა ქალწული“ (IV, 54).

ამის მერე იწყება მედეას შურისძიება, ჯერ დალუპავს კორინთოს მეფესა და მის ასულს (აქაც 2 ვერსიია მოყვანილი, პირველი როგორც ჩანს, დიონისიოს სკიტობრახიონისა (?), მეორე კი ნამდვილად ევრიპიდესეული), ხოლო ბოლოს—თავის საკუთარ შვილებს. „თავისი რისხვითა და იქნეულობით იგი ისეთ მძვინვარებამდე მივიდა, რომ როცა პატარძლის ამბავს გადაურჩა, შვილების დაკვლით იასონი უდიდეს უბედურებას აწია“ (IV, 54).

ერთი სიტყვით, დიოდორე არჩევს იმეთ ვერსიას, სადაც ნაჩვენებია მედეას ხასიათის ევოლუცია, გამოწვეული გარემო მიზეზებით, სხვათა ლალატითა და ვერავობით.

ორჯერ არის აღნიშნული, თუ რომელ ენაზე ლაპარაკობს მედეა. ერთხელ ის ტავრულ დიალექტზე ე. ი. ენაზე (τῆ ταυρικῆ δ:αλέκτῃ) მიმართავს ადელტისის მიერ დაყენებულ მცველებს

(IV, 48), რომლებიც, როგორც ვიცით, ტავერები იყვნენ (მედვას დედაც ხომ ამ ვერსიის თანახმად ტავერთა მეფის ასულია); ხოლო მეორეგან — კოლხურ დიალექტზე ანუ ენაზე (τῆ χολχίδι διαλέκτῃ) წარმოთქვამს გრძელ ლოცვას (IV, 52), ეს უკვე იოლკოსში, პელიასის აკუწვის შემდეგ. რომ სხვადასხვა ენაზეა აქ ლაპარაკი, ეს სრულიად ცხადია, მაგრამ ტავერების ენა რას გულისხმობს, ამისი დაზუსტება ჭირს.

დიოდორე ახსენებს სიბარისს, რომელიც კოლხთა სატახტო ქალაქია (IV, 48). კოლხთა ქალაქი სიბარისი მხოლოდ ამ ტექსტში იხსენიება. სიბარისის სახელით ანტიკურ წყაროებში ცნობილია სამხრეთ იტალიის სიმდიდრით განთქმული ქალაქი. აკ. ურუშაძის აზრით, „შესაძლოა, დიოდორემ ეს სახელი, როგორც სიმდიდრის აღმნიშვნელი, განაზოგადა და სიმდიდრითვე ცნობილ კვტიისზე გადაიტანა“¹. თუ ეს ახსნა მიუღებელია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ტექსტში რაღაცა შეცდომა არის, თუნდაც პალეოგრაფიულ-ორთოგრაფიული ხასიათისა, რადგან სხვა წყაროთა მონაცემებში კოლხთა დედაქალაქი სიბარისი არსად ჩანს.

II. ყველაზე საინტერესოა ის ცნობები, რაც აქვს დიოდორეს ცალკეულ ტომებთან დაკავშირებით.

ა) დიოდორეს აქვს ერთი ზოგადი ცნობა, რომელიც ნინოს ასირიელის დაპყრობებს ეხება და რომელიც მისივე განცხადების თანახმად მას კტესიას კნიდელის ნაშრომის მიხედვით აქვს მოყვანილი. ნინოსს დაუპყრია ეგვიპტე და ფინიკია, დაუმორჩილებია ტროადა, ჰელესპონტთან მდებარე ფრიგია, პროპონტიდა, ბითონია, კაპადოკია და პონტოსთან მცხოვრები ბარბაროსული ტომები ვიდრე ტანაისამდე, შემდეგ დაეუფლა კადუსიების, ტაპირების, ჰირკანელების და სხვათა მიწა-წყალს. გაიარა აგრეთვე სპარსეთი, სუსიანე და ე. წ. კასპიანე, რომლის შესასვლელი ძალიან ვიწროა და ამიტომაც, რომ მას უწოდებენ კასპიის კარს (Κασπίαι πύλαι, II, 2, 3).

ეს ცნობა, რომელიც თარიღიანია, ყურადღებას აპყრობს პონტოსთან მცხოვრები ტომების ზსენებით — თუ გადაჭარბება არ არის, მთელი სამხრეთ კავკასია და მისი მეზობელი სამხრეთის ქვეყნები ნინოსის ხელში ყოფილა გარკვეულ დროს (პონტოსპირეთის ტომებში, ცხადია, ქართველი ტომები იგულისხმებიან, ამ კონტექსტში მაინც)².

¹ აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, გვ. 501, შენ. 26.

² ნინოსი თუ მითიური არ არის, მაშინ ის ძვ. წ. IX—VII სს.-ის მეფეა.

რაც შეეხება „კასპიის კარს“, ის გარკვევით კასპიის ზღვის მიდამოებშია საქმენი და არა ახლანდელ საქართველოს ტერიტორიაზე.

ბ) კოლხები. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ცნობებს, რასაც დიოდორე წერს ამ ტომის შესახებ არგონავტთა მითთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ორჯერ, სხვადასხვა სახით აქვს მას მოყვანილი. ესაა კოლხთა ურთიერთობა ეგვიპტელებთან.

დიოდორეს კონცეფციით ეგვიპტელები მთელს ქვეყნიერებაზე არიან მოდებული. მათ შორის ეგვიპტიდან არიან გამოსული კოლხები და იუდეველები; კოლხები დაასახლეს პონტოსთან, ხოლო იუდეველები არაბებსა და სირიელებს შორის (ამიტომაც, რომ ეს ხალხებიც ეგვიპტელებისა არ იყოს წინადაცვეთის წესს იცავენ) (I, 28).

მეორეგან, როდესაც ლაპარაკობს დიოდორე სესოსტრისის შესახებ (ის იმ ხალხებსაც კი ებრძოდა, ვის ქვეყანას ალექსანდრე მკედონელი არ გააკარებია) წერს ასეთ რამესაც: „შემდეგ მან დაიპყრო სკვითური ტომები თვით მდ. ტანისამდე, რომელიც საზღვრავს აზიას ევროპისაგან. აქ მეოტისის ტბასთან მან დატოვა ეგვიპტელთა ერთი ნაწილი, რომელმაც შექმნა კოლხთა ტომი (Ἔθνος). რომ ეს ტომი ეგვიპტური მოდგმის არის, ამისი საბუთი შემდეგია: ეს ხალხი წინადაცვეთას ეგვიპტელთა მსგავსად აწარმოებს, ხოლო ეს წესი ამ მოსახლეობაში (იგულისხმებიან კოლხები) ისევეა შემორჩენილი როგორც იუდეველებში“ (I, 55). საერთოდ ეს ცნობა საინტერესო ლიტერატურაში მიჩნეულია ჰეროდოტეს „ისტორიიდან“ (II, 103—105) მომდინარედ. დიოდორემ სწამებენ იმას, რომ იგი თავის წყაროს სიტყვასიტყვით იწერს, სრულიად უკრიტიკოდ. მართალია, ჰეროდოტეს აქვს ცნობა კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობის შესახებ (და საამისოდ წინადაცვეთის გარდა სხვა ბევრი მასალაც მოჰყავს), მაგრამ დიოდორეს ცნობა არც შინაარსის მხრივ და მითუმეტეს არც სტილისა და აგებულების მხრივ არ გვაძლევს საშუალებას იმის მტკიცებისას, რომ ის ჰეროდოტესაგან არის გადმოწერილი. ეგვიპტის ისტორიისათვის დიოდორეს წყაროდ ჰეკატაეოს აბდერელი არის აღიარებული. ე. შვარცი, რომელიც სპეციალურად იკვლევს ამ წყაროსთან დიოდორეს ჩემს მიერ ზემოთ მოყვანილი ადგილის (და საერთოდ მთელი ეგვიპტის ისტორიის) მიმართებას, ამბობს, რომ აქ წყაროა ჰეკატაეოს აბდერელი (მაგრამ ე. შვარცს სრულიად არ აინტერესებს კოლხთა და ეგვიპტელთა ურთიერთობის კონკრეტული საკითხი, ის ამაზე არაფერს წერს).

რადგან ჰეკატაეოს აბდერელი მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენ-

ტების სახით არის ჩვენამდე მოღწეული, ისღა დაგვრჩენია დავასკენათ, რომ დიოდორე სარგებლობდა ჰეროდოტეს „ისტორიით“, ჰეკატაეოსის ნაშრომით (სადაც კონკრეტულად რა იყო, არ ვიცით) და ამის საფუძველზე შეიტანა თავის ნაშრომში ცნობა კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობის შესახებ.

ჩვენ დღესდღეობით გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით ამ ცნობის ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ ის მთლად ისე ხელაღებით უარსაყოფი არ უნდა იყოს, როგორც აქამდე ხდებოდა. მას სხვაგვარი ახსნა სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ხსნიან ხოლმე.

გ). დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ XIV, 19—31 წარმოადგენს კიროსის ლაშქრობის გადმოცემას.

ე. შვარცის აზრით, კიროსის ლაშქრობა და 10000 მოქირავნის უკან დაბრუნება დიოდორეს ეფოროსის ნაშრომის მიხედვით აქვს გაკეთებული და არა ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით¹.

მესი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ დიოდორეს წყარო ამ საკითხში იყო სოფაანეტოსის „Κύριον Ἀνάβασιν“², რაც ზოგმა ავტორმა გაიზიარა (მაგ., თ. მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, 1967 წ. გვ. 127), მაგრამ რაც ჭაერთოდ, ჩემის აზრით, ჭრულიად სამართლიანად ყველას მიერ არ არის გაზიარებული³. საქმე ისაა, რომ სტეფანე ბიზანტიონელი წერს, სოფაანეტოსი იყო ავტორი Κύριον Ἀνάβασιν — ისო, ამ სოფაანეტოსს მიიჩნევენ იმავე სოფაანეტოს სტიმფალოსელად, რომლის სახელი ქსენოფონტის „ანაბასისში“ მრავალგზის გვხვდება. ეს ჭრულიად დასაშვებია, მაგრამ სავალდებულო არ არის. მთავარი ისაა, რომ არც ეფოროსის „ისტორიაა“ ჩვენამდე მოღწეული მთლად (მხოლოდ ფრაგმენტებია მისი)⁴ და არც სოფაანეტოსის ნაშრომი (ეს საერთოდ არ არსებობს არავითარი სახით). ამდენად ძნელია იმისი მტკიცება, რომ დიოდორე სარგებლობდა მაინცდამაინც ამ წყაროებით. ჩვენ ხელთ გვაქვს ქსენოფონტის „ანაბასისი“, სადაც სწორედ ის ამბებია მოთხრობი-

¹ Diodoros, გვ. 61.

² Rheinisches Museum, 1906, გვ. 360—390.

³ RE, Sophanetos, Bux-ის სტატია.

⁴ მართალია, ძალიან მრავალრიცხოვანი (იხ. F. Jacoby, die Frag. d. gr. Hist. II. Teil A. Universalgeschichte u. Hellenika, Berlin. 1926, გვ. 37—109), მაგრამ არსად არის ის კონკრეტული მასალა დიოდორესთან საერთო, რაც ჩვენთვის საინტერესოა. დიოდორეს „ბიბლიოთეკაში“ ე. წ. ანაბასისის მხოლოდ დასაწყისშია ეფოროსი ნახსენები (XIV, 22), 401/400 წლის ამბებთან დაკავშირებით, საკუთრივ არტაქსერქსესა და კიროსის კონფლიქტის გვერდით.

ლი, რაც დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ XIV წიგნში. ქსენოფონტის ნაშრომში ყოველივე ის, რაც ეხება ამ ლაშქრობას, საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით არის მოცემული, დიოდორესთან — უფრო მოკლედ, რადგან ამ ავტორს სხვა მიზანდასახულება აქვს. თანაც, ჩემის აზრით, კიდევაც რომ მხოლოდ ქსენოფონტის „ანაბასისი“ ყოფილიყო დიოდორესთვის აღნიშნულ საკითხში წყარო, ის მას სიტყვასიტყვით არ გადმოიწერდა, როგორც ხდება ხოლმე სხვა შემთხვევებშიც (თუმცა მკვლევართა უმრავლესობა მას ამას საყვედურობს). აქვე უნდა შეინიშნოს ის გარემოება, რომ როდესაც ამთავრებს დიოდორე კიროსის ლაშქრობის ამბის თხრობას, ასე წერს: კიროსის მოქირავნეები მოვიდნენ კოტიორაში, ბერძნულ ქალაქში, სინოპელთა ახალშენში... სინოპე თავისთავად მილეტელთა კოლონიიაა... აი, აქ იყო მთავარი სადგომი მითრიდატესი, რომელიც ჩვენს დროს ეომებოდა რომაელებს (XIV, 31, 1—2). ე. ი. V—IVს-ის ავტორთაგან, რომლისგანაც არ უნდა ესარგებლა დიოდორეს, იგი სხვა, უფრო ახალ, მითრიდატეს დროინდელ წყაროსაც იყენებდა, რომელშიც ეწერა „ჩვენს დროს“ (ე. ი. ძვ. წ. I ს.-ის მეორე მეოთხედში — მაშასადამე, დიოდორეზე 1/2 საუკუნით უფრო ადრე; „ჩვენი დრო“ მისთვის მითრიდატეს ომების ხანა არ იყო).

უნდა შეინიშნოს ისიც, რომ დიოდორე თავის „ბიბლიოთეკის“ მთელ ამ მონაკვეთზე არსად ახსენებს ქსენოფონტს (ხეირისოფოსის სახელი კი გვხვდება). ქსენოფონტი დიოდორესთან ჩნდება მას მერე, რაც ლაშქარი ელადაში ბრუნდება (XIV, 37).

როდესაც ვაღარებთ ქსენოფონტისა და დიოდორეს ცნობებს, პირველ ყოვლისა შეიმჩნევა განსხვავება სახელთა გადმოცემისას. მაგ., ქსენოფონტის τείχιον-ს ადგილას დიოდორეს აქვს τήν χῆον ... χῆρον (XIV, 29,1); ქსენოფონტს აქვს Σασιθυσι, დიოდორეს δὲ Σασιτυσι (XIV, 29,2), ქსენოფონტის Θήχηξ ცნობილი მთა, რომლის მსგავსი სახელები დღესაცაა დადასტურებული ზიგანასთან — სოფ. ტეჟე, იგივე Tachije (შდრ. თ. მიქელაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 42—43) დიოდორესთან არის ფორმით τὸ χήσιον ὄρος (იქვე), ქსენოფონტის Γαμυῖδς — ქალაქი — დიოდორესთანაა Γαμυῖστρον (იქვე) და სხვ.

ამ სხვაობებზე დიდი მსჯელობის გამართვა არ შეიძლება — ეს პირველ რიგში ხელნაწერთა კითხვა-სხვაობებია, იმ ხელნაწერთა, რომლებიც დედნებს ათეული საუკუნით არიან დაშორებული. ამ ხნის განმავლობაში თვით ბერძნულ ენაშიაც, კერძოდ ფონეტიკა-ორთოგრაფიაში მოხდა ცვლილება, რის შედეგადაც მ-ს მაგივრად

გვხვდება τ (Σχισμοί — Σχισμοί), ι და η-ს მონაცვლობა ჩვეულებრივია, τბ χήσιον (არტიკლი და სახელი) ერთად არის Θήχη-ის გაღმოცემა (ისევ τ და მ-ს მონაცვლობით), Ἰσχυράς და Ἰσχυασία მსგავსი სახელებია, ისე რომ, მათი არევა სულ იოლი საქმეა.

ამრიგად, ეს დამწერლობითი ხასიათის სხვაობები არაფერს გვეუბნებიან რომელიმე წყაროს სასარგებლოდ და ქსენოფონტის „ანაბასისი“ გამოყენების საწინააღმდეგოდ.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ქსენოფონტისათვის დამახასიათებელია გამოთქმა — აქედან გაიარეს ამდენი და ამდენი სადგომი (σταθμός), ამდენი და ამდენი ფარსანგი (παρασάγγης). ეს გამოთქმა გვხვდება ძალიან ხშირად და მთელი ის გზა, რაც მოქირავნეებმა გაიარეს, ამგვარად არის გაზომილი.

დიოდორესთან კი არსადაა არც „სადგომები“ და არც „ფარსანგები“, გზა გაზომილია დღეების საშუალებით — „შვიდ დღეში გადაიარეს ქალღების ქვეყანა“ (29, 2), „სამი დღე იარეს სკვიტინების ქვეყანაზე და შეოთხე დღეს მივიდნენ გიმნასიაში“ (29, 2); „15 დღეში მივიდნენ ზენიონის მთასთან“ (29, 3); „ტრაპეზუნტიდან მესამე დღეს მივიდნენ კერასუნტში“ (30, 5) და სხვ.

ეს გარემოება იმის მანიშნებელია, რომ თუ კიდევაც ქსენოფონტის ტექსტით სარგებლობდა დიოდორე, მას ბრმად არ იმეორებდა.

ამას გარდა ისიც ცნობილია, რომ ზოგი სპეციალისტის აზრით ფარსანგი დროის საზომია და არა მანძილის (ის უდრის ერთ საათში გავლილ მანძილს)¹, ამდენად შესაძლებელია დიოდორესაც ის ასე ესმოდა და მანძილები დღეებით გაზომა (და არა სიგრძის ერთეულებით), ე. ი. მანძილი არა სიგრძის მიხედვით გაზომა, არამედ იმ დროის მიხედვით, რაც ამ მანძილს დაფარვას უნდებოდა.

ვნახოთ, საკუთრივ ცნობებში რა ვითარებაა: ქსენოფონტი ახახელებს შემდეგ ქართველ ტომებს: ტაოხებს, ხალიბებს, ხალდებს, ფასიანებს, სკვიტინებს, მაკრონებს, კოლხებს, დრილებს, მოსინოეკებს, ტიბარენებს, რომელთა ტერიტორიაზედაც გადაიარა მოქირავნეთა ჯარმა. დიოდორეს მიერ ამ კონტექსტში ხსენებული ტომები: კარდუხებსა და არმენიელებს გარდა — ხაები (ე. ი. ტაოხები), ფასიანები, ხალდები, სკვიტინები, მაკრონები, კოლხები, მოსინოეკები, ტიბარენები.

ე. ი. არაა ხსენება ჰესპერიტებისა და კოატიებისა, რაც ქსენოფონტის ტექსტის დანართშია მოცემული. არ გვაქვს ხალიბების ისტორია მოცემული და არ არიან ხსენებული დრილები. უნდა შეი-

¹ შტრ. თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

იმწნოს, რომ დიოდორეს „ხალდეები“ იქ ჰყავს ხსენებული (თუმცა აღწერილებითი ცნობების გარეშე), სადაც ქსენოფონტს — ხალიბები. აქვე უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ სტრაბონის ცნობის მიხედვით ხალიბები და ხალდეები ერთი და იგივე ტომის სახელია (ხალიბები ადრინდელი, ხალდეები — სტრაბონის (თუ მისი წყაროს) დროინდელი — XII, 3, 19). ისე რომ, შესაძლოა ქსენოფონტის (და მის თანამედროვეთა) ცნობების გვერდით დიოდორეს უფრო ახალი წყაროებიც ჰქონდა ხელთ შრომის ამ ნაწილის წერისას (მისი ხალდეები იგივე ქსენოფონტის ხალიბები არიან). რომ არ აღვნიშნო ყველა ის დეტალი, რაც საერთოა ქსენოფონტის „ანაბასისას“ და დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ XIV წიგნს შორის, გვერდს ვერ ავუვლი ამბავს საყოველთაოდ ცნობილი კოლხური თავლის მომწამვლელი თვისებების შესახებ (ქსენოფონტი, IV, 3, 2; არისტოტელე, საოცარ ამბავთა შეს. 18; დიოდორე, XIV, 30, 1—3; სტრაბონი XII, 3, 8; კლავდიუს ელიანუსი, ცხოველთა ისტ. — V, 42, პლინიუსი, NH, XXI, 13 და სხვ.); ბარბაროს ტომთა მაგ. მაკრონთა და ელინთა შორის ზავისა და ხელშეკრულების დადების ცერემონიალებს (ქსენ. IV, 8, 7—8; დიოდორე XIV, 29, 4—5); ზღვის დანახვისას მხიარულების ნიშნად ღრიანცელს (რაც უკან მიმავალთ მტრის თავდასხმით გამოწვეული განგაში ეგონათ (ქსენ. IV, 7, 21 და შდრ. დიოდორე XIV, 29, 3); არმენიელთა საცხოვრისის აღწერილობას (ქსენ. IV, 5, 25, დიოდორე XIV, 28, 5) და სხვ. როდესაც ზემოთ კოლხები გამოეყავით ცალკე, იქ იყო მხოლოდ ერთი საკითხი — კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობისა, რაც, ჩემო აზრით, ძირითადად ჰეროდოტესაგან მოდის. დიოდორესთან კიროსის ლაშქრობასთან დაკავშირებით ხსენებული კოლხები ცხოვრობენ იქავე, სადაც ქსენოფონტის კოლხები, ე. ი. ტრაპეზუნტ-კერასუნტის მიდამოში, ჭოროხის აუზში და უფრო სამხრეთით და არა რიონის აუზში (დიოდორე XIV, 29, 5—30, 1—5); დიოდორეს დროისათვის, ცხადია, ეს ასე არ არის — კოლხების საცხოვრისის ჩრდილოეთის საზღვარი ვაცილებით უფრო ჩრდილოეთითაა, ვიდრე ტრაპეზუნტი, მაგრამ დიოდორე ამის შესახებ არაფერს წერს, იგი მისდევს თავის წყაროს. დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ მასალის მიხედვით კოლხები მტრულად შეხვდნენ მოსულ ელინებს. ბრძოლაში ელინებმა აჯობეს და დაიჭირეს მათი გამაგრებული ბორცვი, საიდანაც აოხრებდნენ მთელ მხარეს, სადაც ყველაფერი ბლომად მოიპოვებოდა. ამის მერე მოთხრობილია ცნობილი ეპიზოდი მომწამვლელი თავლის შესახებ. გამომჩობინებულმა ელინებმა 3 დღე იარეს და მივიდნენ ტრაპეზუნტში. იქ დარჩნენ 30 დღეს, ადგილობრივი მცხოვ-

რებლები ძალიან გულლიად დახვდნენ და უმასპინძლეს. ხოლო ელინებმა ჰერაკლესა და მაცხოვარ ზევსს მსხვერპლი შესწირეს, თანაც შეჭიბრება გამართეს იმ ადგილას, სადაც გადმოცემათა მიხედვით მოადგა არგო და იასონი თავისი მხლებლებითურთ. სანამ ქეარისოფოსი ბიზანტიონში გაგზავნეს დიპლომატიური მისიით, თვითონ ადგილობრივ მცხოვრებლებს ძარცვავდნენ ზღვაზედაც და ხმელეთზედაც (XIV, 29—30).

ქსენოფონტის „ანაბასისში“ კოლხებთან შეხვედრის ამბავი ვრცლად მოთხრობილი — შიგვეა ჩართული დრილების ეპიზოდიც (IV, 8, 8—V, 3, 1). მკაფიოდაა წარმოჩენილი თვითონ ქსენოფონტის ღვაწლი. ეს ორი უკანასკნელი ამბავი დიოდორესთან სულ არ არის. ხოლო დანარჩენი არსებითი, ერთგვარადაა ორივე ავტორთან (მაგ. ბორცვზე დაბანაკება, ტრაპეზუნტში 30 დღე დარჩენა, ტრაპეზუნტელთა პოზიცია ელინთა მიმართ და სხვ.).

მოსინოჟკთა შესახებ თვითმხილველ ქსენოფონტს საკმაოდ ვრცელი თხრობა აქვს (V, 4, 2—34).

დიოდორეს მოქირავნეთა კატაბასისის ეს ადგილი გაცილებით მოკლედ აქვს, მაგრამ ქსენოფონტის „ანაბასისის“ შესაბამისი ტექსტის დედააზრი მანც გადმოცემულია. მოვიყვან სიტყვასიტყვით: „... (ელინებმა) რამდენიმე დღე გაატარეს (ეერასუნტში) და (შემდეგ) მივიდნენ მოსინოჟკთა ტომთან (ἔθνος). ბარბაროსები გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ, მაგრამ (ელინებმა) ისინი ჩძლიეს და ბევრნი ამოხოცეს. (ბარბაროსები) გაიქცნენ ერთ გამაგრებულ ადგილას (χάριον), სადაც ისინი ცხოვრობდნენ შვიდსახურავიან¹ ხის კოშკებში², (ელინები) კი შეუწყვეტლივ იერშით მიდიოდნენ მათზე და (ბოლოს) ძალით დაიპყრეს ეს გამაგრებული ადგილი (χάριον), ის მთავარი იყო (μυρτίπιδε) სხვა სიმაგრეთა (ἔργματα) შორის და მათი მეფე ცხოვრობდა აქ ყველაზე უფრო მაღალ ადგილას, მამაპავეული წესის მიხედვით მეფე (βασιλεύς) მთელ თავის სიცოცხლეს აქ რჩება და იქიდან აძლევს განკარგულებებს ხალხს (ἄλλοις). ჯარისკაცები ამბობდნენ, რომ ეს ტომი (ἔθνος)

¹ ვარიანტში არის *ἑπταπόδιος*. ასეთი სიტყვა არც ერთ ბერძნულ ლექსიკონში არ დასტურდება, ამდენად შეეცდომად უნდა ჩაითვალოს.

² ეს ადგილი ჩვეულებრივ ითარგმნება „შვიდსართულიანი ხის კოშკები“, ჰეროდოტეს ერთი ადგილისა არ იყოს ბაბილონის ყოფასთან დაკავშირებით (I, 180) ბერძენ ნიშნავს „სახურავს“, „კერს“ და არა „სართულს“, ისე რომ, ეს არის თავისებური არქიტექტურული ნაგებობა რამდენიმე სახურავით და არა რამდენიმე სართულიანი.

ყველაზე უფრო ბარბაროსულია მათ შორის, რომლებიც მათ გაიარეს, ქალებსაც ისინი ყველას დასანახავად უკავშირდებიან, ყველაზე უფრო მდიდართა შვილები მოხარშული წაბლით არიან ნაკვები, ყველა ესენი ბავშვობიდანვე დატატუირებული არიან ზურგზედაც და მკერდზედაც. ეს მხარე ელინებმა 8 დღეში გადაიარეს... (XIV, 30, 5—7).

დიოდორეს ამ ნაწყვეტში შემოკლებულია ქსენოფონტის აღწერილობის პირველი ნაწილი, სადაც მოცემულია დახასიათება მოსინოკეთა 2 ჯგუფისა, მათი ურთიერთობისა, ელინთა და მათი ბრძოლის პერიპეტეებისა. სამაგიეროდ, თვით მოსინოკეთა ტომის ყოფა ყველა პუნქტში ისევეა აღწერილი, როგორც ჰქონდა ეს ქსენოფონტს.

საგანგებო ყურადღებას იქცევს მოსინის აღწერილობა, რაც იმავე ქსენოფონტის მოსინოკებთანა და დრილების სადგომების, აპოლონიოს როდოსელის და დიონისიოს ჰალიკარნასელის მოსინოკების, სტრაბონის ჰეპტაკომეტების, ფსევდო-სკიმნოსისა და დიონისიოს პერიეგეტის მოსინიკების საცხოვრებლის აღწერასთან ერთად საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ერთ-ერთი ქართული ტომის (მოსინიკებს) სამოსახლოს სურათი. მოსინიკების შესახებ ცნობები გვხვდება გარდა ქსენოფონტისა (რაც უძველესია), ეფოროსთან, აპოლონიოს როდოსელთან, ფსევდო-სკიმნოსთან, სტრაბონთან, ნიკოლოზ დამასკელთან, დიოდორესთან, პომპონიუს მელასთან. როდესაც ხდება მათი საგანგებო შესწავლა, ირკვევა, რომ ეფოროსს აქვს შემდეგი (ვლადიმეროვ მხოლოდ დღეს ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტის მიხედვით):

„მოსინიკების შესახებ მოგვითხრობენ ეფოროსი და ნიმფოდოროსი, რომ ისინი თავის მეფეს, რომელიც რასმე უსამართლოდ განსჯის, ჩაჰკეტავენ და აშიმშილებენ“ (Frgm. 161a).

ეს ცნობა მეორდება აპოლონიოს როდოსელთან, ფსევდო-სკიმნოსთან, ნიკოლოზ დამასკელთან და პომპონიუს მელასთან.

დიოდორე ამის შესახებ არაფერს წერს.

იმის მიხედვით, რაც ხელთ გვაქვს, ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეფოროსს ეს ცნობა არ შესულა დიოდორეს თხზულებაში¹.

ხაებისა (ტაოხებისა) და ფასიანების ქვეყანაში ელინები არმენიიდან მივიდნენ, გზად მდ. ფასისი გადაიარეს (ეს ფასისი ყველას მიერ არაქსად არის აღიარებული), სადაც 4 დღეს იტარებდნენ. ხა-

¹ უფრო დაწვრილებით იხილეთ თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, 1967, გვ. 67—71.

ებისა და ფასიანების ქვეყანაში ელინებს ადგილობრივი მცხოვრებლები დაესხნენ თავს. მაგრამ ელინებმა გაიმარჯვეს ამ ბრძოლაში და დაიპირეს მათი დოვლათით სავსე საცხოვრებლები, სადაც 15 დღეს დარჩნენ (X IV, 29, 1).

ქსენოფონტის ცნობათა მიხედვით, ელინები მართლაც იმარჯვებენ ხალიბებთან, ტაოხებთან და ფასიანებთან ბრძოლაში, მაგრამ ამას გარდა, სხვა ეპიზოდები რომ არ აღვნიშნოთ, თან ახლავს კიდევ ტაოხების სიმამაცისა და ვაჟკაცობის დამახასიათებელი სცენები, მათი წარჩინებულების მომხიბლავი ჩაცმულობა, შეკაზმულობა, ელინ ოფიცერთა სიხარბე და სხვ. (IV, 6—7), ერთი სიტყვით ის, რაც თვითმხილველს შეუძლია მოგვითხროს, და რაც შემდეგი ხანის ისტორიკოსს სრულიად აღარ სჭირდება უფრო ფართო მიზანდასახულების ნაწარმოებში.

ქსენოფონტი დაწვრილებით აგვიწერს მამაც ხალიბებს (IV, 7, 15—18), რაც სრულიად არაა დიოდორესთან, მაგრამ დიოდორესთან შესაბამის ადგილას ხალდებზეა ლაპარაკი, რომელთა ქვეყანაც ელინებმა 7 დღეში გადაიარეს (ქსენოფონტთან 7 სტათმოზზეა ლაპარაკი) და მივიდნენ მდ. ჰარპაგოსთან, რომლის სიგანე 4 პლეთრონია (ქსენოფონტთან ამ 4 პლეთრიან მდინარეს ჰარპასოსი ჰქვია). (X IV, 29, 2). დიოდორეს ნაშრომის ეს ადგილი იმას გვაფიქრებინებს, რომ ქსენოფონტის „ანაბასისის“ გარდა დიოდორეს ხელთ ჰქონდა უფრო ახალი ცნობები. მაგ., სტრაბონი (X II, 3, 18) ახსენებს ეფოროსისა და აპოლოდოროსის დამოწმებით ხალიბებს, შემდეგი დროის ხალდებს, ასევე მეორეგან წერს — არტაქსიასა და ზარიადრის დროს (ე. ი. ძვ. წ. II ს.-ში) არმენიამ ხალდებისა (იგივე ხალიბებისა) და მოსინიკებისაგან წაიღო კარენიტი და ქსერქსენეო (X I, 14, 5). სხვაგან უკვე უთარილოდაა ნათქვამი, რომ არმენიის ქვეშევრდომები იყვნენ ხალდები და ტიბარენებიო (X II, 3, 28), როგორც ჩანს იმავე ძვ. წ. II ს-თვის.

ერთი სიტყვით, ცხადია, რომ ქსენოფონტისა და ეფოროსის დროის ხალიბებს (თუ მათ ნაწილს) დიოდორესა და სტრაბონის დროს ხალდები ეწოდებოდათ და ეს კორექტივი არის კიდევაც დიოდორეს „ბიბლიოთეკაში“.

მსგავსი სურათია დიოდორეს სკიტიებისა (მათი ქალაქით გიმნასიათი) და ქსენოფონტის სკვითინების (ქ. ფვმნიასი) აღწერისას (ბიბლ. X IV, 29, 2; ქსენ. IV, 7, 18—19).

სკვითინებიდან მაკრონებთან მისვლა და ელინების მაკრონებთან ურთიერთობა დიოდორესთან ძირითადად მეგზურის დასაჩუქრები-

თა და ამ ორ ხალხს (ელინთა და მაკრონთა) შორის ხელშეკრულების დადებით ამოიწურება (XIV, 29, 4—5).

ქენოფონტის თხრობა ბევრად უფრო დაწვრილებითია; ყველაზე საინტერესო დეტალი; რომელიც ქსენოფონტს აქვს (და რაც არ არის დიოდორესთან), ათენში მონად ნამყოფი მაკრონის ეპიზოდია, მაგრამ აქაც იგივე უნდა ვთქვათ — ეს მომენტი ჩვენთვის არის საინტერესო, დიოდორესთვის კი ის უმნიშვნელო წერილმანი იყო, ამიტომ არ შეიტანა თავის „ბიბლიოთეკაში“.

ტიბარენების ქვეყანას სულ ერთი ფრაზით ახსენებს დიოდორე (XIV, 30, 7) — ელინებმა ის 3 დღეში გადაიარეს და მივიდნენ ქ. კოტიორაში.

არც ქსენოფონტის „ანაბასისშია“ ტიბარენთა შესახებ მაინცდამაინც ვრცელი თხრობა; აქ აღწერილია მათი ვაკიანი ქვეყანა, რომელიც ელინებმა 2 დღის (და არა 3-ის) განმავლობაში გაიარეს, მანამდე საჩუქრები მიიღეს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან და მსხვერპლშეწირვაც მოახდინეს. აქედან მივიდნენ სწორედ კოტიორაში (V, 5, 1—3).

ისე რომ, ბუნებრივი ჩანს, პირველი წყარო ძუნწად წერს ამ საკითხზე და დიოდორეც არ ავრცობს თავის თხრობას, მხოლოდ ასახელებს აღნიშნულ ტომს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნას ვაკეთებ; რომ კიროსის ანაბასისი (და კატაბასისი) სრული სახით მხოლოდ ქსენოფონტის ნაწარმოებში გვაქვს წარმოდგენილი. ამიტომ შედარება დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ XIV წიგნში დაცული ცნობებისა ძირითადად მასთან უნდა მოხდეს (ეფოროსის ცალკეული ფრაგმენტები, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში მხოლოდ ფრაგმენტებია). ამ შედარების შემდეგ აშკარაა, რომ ტომების დასახელება, — ჩამოთვლა (თანმიმდევრობაც კი) ამ ორ ავტორს ერთი აქვთ; ძირითადი მომენტები ტომის დახასიათებისას აკრეთვე მსგავსია: პრინციპული სხვაობა მრავლებლის შეფასებისას არაა. განსხვავება არის ძირითადად თხრობის შემოკლების ხარჯზე და ამას გარდა — სტილისტური ხასიათისაც. ესოდენ დამახასიათებელი, ფორმულად ქცეული ქსენოფონტთან „აქედან გამოვიდნენ, გაიარეს ამდენი სადგომი, ამდენი ფარსანგი“ — შეცვლილია მანძილის ჩვენებით მგზავრობაზე დახარჯული დღეების რაოდენობით.

მასასადავს, დიოდორესთვის ცნობილია ქსენოფონტის „ანაბასისი“, რომლის შემოკლებულ და გადამუშავებულ ვერსიას წარმოადგენს „ბიბლიოთეკის“ XIV, 27—31. რას წარმოადგენდა სოფადენე-

ტოსის Κύριος 'Ανάβασις — ამაზე ზედმეტიც კი არის ლაპარაკი, ხოლო ეფოროსის „ისტორიაში“ a priori შეიძლება ითქვას, რომ კიროსის ლაშქრობა არ იქნებოდა ისე ვრცლად გადმოცემული, როგორც ქსენოფონთან. ამდენად შესაძლოა მას მართლაც მეტი ჰქონოდა საერთო დიოდორესთან, ვიდრე ქსენოფონტს. ორივესათვის პირველი წყარო ზომ თვითმხილველი ქსენოფონტი იქნებოდა, თუ არ დავუშვებთ იმას, რომ ქსენოფონტი იყო წყარო ეფოროსისათვის, ხოლო ეფოროსი დიოდორესათვის — ამას დაადგენს ეფოროსის ფრაგმენტების შოპოვება მეტი რაოდენობით და მისი ასევე შედარება დიოდორეს თხზულების შესაბამის ადგილთან.

დიოდორეს მოეპოვება ცნობები საქართველოს მეზობელი ტომების და ქვეყნების შესახებაც. მაგ., ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის გადმოცემისას (რაც თავისთავად კლეფტარქოსის ისტორიის მიხედვით არის გაკეთებული) მოცემულია ერთი ჰირკანიის მახლობელი ქვეყნის აღწერილობა, რაც საკმაოდ მოგვაგონებს სტრაბონისეულ ალბანიას (XVII, 75).

საინტერესო ცნობები აქვს დიოდორეს სკვითებთან დაკავშირებით (II, 43—44; V, 42, 4; XIX, 73, 2—6), კიმერიელების შესახებ (V, 32, 3—4), ბოსფორის სამეფოზე — ძირითადად თარიღიანი (XII, 31; XII, 36; XIV, 93; XVI, 31; 52; XX, 22), არმენია — კაპადოკიის შესახებ (გაფანტული მთელს ნაწარმოებში) და სხვ.

ამგვარად, თუმცა დიოდორე პირველხარისხოვან ისტორიკოსთა რიგში არ დგას, მაგრამ საბერძნეთის ისტორიისა და ამ ქვეყანასთან დაკავშირებული სხვა ხალხების ისტორიის შემსწავლელთათვის იგი ერთ-ერთი ძირითადი ავტორია.

ტექსტი: 1. Diodorus Siculus, Loeb-ის სერიაში 8 წიგნად. 1963 წ.

2. Diodori Bibliotheca historica I—III vv. rec. Fr. Vogel, Lipsiae, 1888 — 1893.

IV—V vv. rec. C. Th. Fischer, 1904—1906 (BT).

რუსული თარგმანი: Дюдор Сицилийский „Историческая Библиотека“, пер. Ив. Алексеева, I—VI. СПб, 1774—76.

თ. ყ ა უ ზ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, 1976.

აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძველი კოლხეთი არგონავტთა თქმულებაში, გვ. 377—410 (დიოდორეს „ბიბლიოთეკის“ IV წიგნის 40—56 თავები მთლიანად).

დიონისიოს ჰალიკარნასელი (ოქტავიანე ავგუსტუსის დროის მოღვაწე, გარდაიცვალა ახ. წ. 8 წლის შემდეგ) იყო რიტორიკის მასწავლებელი რომში, ავტორი რიტორიკული ხასიათის თხზულებებისა და დიდი ისტორიული ნაშრომისა, რომელსაც ეწოდება „რომის სიძველეთაშეცოდნება“. ამ ნაშრომში გადმოცემულია რომის ისტორია დასაბამიდან პუნიკური ომების დასაწყისამდე (ე. ი. ძვ. წ. 264 წ-მდე). მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს მან იმიტომ გააკეთა, რომ არც ერთ ბერძენ მწერალს რომის ისტორიის უძველესი ხანა არ ჰქონდა აღწერილი (რომ. სიძვ. I, 4,5), ხოლო თვითონ ამით უხდიდა მადლობას რომაელებს კარგი მიღებისათვის და დიდად აქებდა მათ ზნეობრივ თვისებებს. თავისი ამოცანის შესრულებისას დიონისოსს ჰალიკარნასელი ღვას ბერძენი რიტორის პოზიციაზე, მისთვის „ისტორია არის ფილოსოფია, მხოლოდ მაგალითებით წარმოდგენილი“ (რეტ. II, 1) და საერთოდ, ძირითადად მისი ეს უმთავრესი ნაწარმოები პატრიციული რომის აპოლოგიას წარმოადგენს. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რომაულ მოვლენებს ის ბერძნის თვალთ უყურებს და ბევრი რამე „რომის სიძველეთაშეცოდნებაში“ ატიკელი პროზაიკოსებისგან აქვს გადაღებული და შეტანილი.

„რომის სიძველეთაშეცოდნება“ შედგება 20 წიგნისაგან. I—X წიგნები მთლიანადაა ჩვენამდე მოღწეული, XI ნაკლულია, ხოლო XII—XX წიგნების მხოლოდ ექსცერპტებია დაცული კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში და იმ ეპიტომეში, რომელიც ანჯელო მაიმ მილანის ხელნაწერებში აღმოაჩინა 1816 წ-ს.

იმ კვლევის შედეგად, რაც დიონისიოსის წყაროების მიმართ არის ჩატარებული, სპეციალისტები უპირატესობას აძლევენ ბერძენთაგან ტიმაჩოსსა და პოლიბიოსს; რომაელთაგან — ვალერიუს ანტიასსა და ლიცინიუს მაცერს.

ვ. კრისტის აზრით, დიონისიოსი ამას გარდა სარგებლობდა ენიუსის „ანალებითა“ და რომაელთა *fabulae praetextatae*-თი (ე. ი. ამით ის ბერძენ მწერალზე რომაელი პოეზიის გავლენას აღიარებდა).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დიონისიოსს ჰალიკარნასელი და სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი თანამედროვეები არიან, მაგრამ ნაწერებში ერთმანეთის ანგარიშგაწევა სულ არ ჩამს და თუკი რამე არის საერთო ამ ორ ისტორიკოსს შორის, ეს უნდა აიხსნას საერთო წყაროებითა და საერთო თემატიკით.

დიონისიოსის ნაწერებში საქართველოს წარსულთან დაკავში-

რებით რამდენიმე რიგის ცნობები: I. მითოლოგიური ხასიათის (პრომეთეის მითის ამსახველი, I, 17, 3; XVI, 1, 2; არგონავტების მითიდან კირკეს ეპიზოდები, რომლის თანახმადაც კირკეს შთამომავლები რომაული ქალაქების ოკეისტები და ეპონიმები არიან, ე. ი. კონტაქტი ხალხებს შორის წარმოდგენილია ნათესაური კავშირების საშუალებით: I, 72, 5; IV, 45, I; IV, 63, 1).

II. ქართველი ტომების დამახასიათებელი. ქართველ ტომთაგან დიონისიოსი ახსენებს ორს — მოსინიკებსა და აქეებს. არც ერთ შემთხვევაში მისთვის ამ ტომთა დახასიათება თვითმიზანი არ ყოფილა. იგი ამ ტომთა შესახებ ლაპარაკობს სხვათაშორის, თავისი დებულების ილუსტრაციისათვის, ე. ი. მისთვის ეს მასალა კარგად არის ცნობილი და მოხერხებულად იყენებს მას.

a. მოსინიკები. „ტირენები შემოღობილ და გადახურულ საცხოვრებელს უწოდებენ ტურსეას-ს¹, ისევე, როგორც ელინები, აქედან გამომდინარეობს ის, რომ მათაც ისევე მიიღეს სახელი, როგორც აზიაში (მცხოვრებმა) მოსსუნოაკებმა: რადგან ესენიც ცხოვრობენ კოშკების მსგავს მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმულ ადგილებში, რასაც ისინი უწოდებენ მოსსუნებს“ (რომ. სიძვ. I, 26, 2).

ზემოთ მოყვანილი ადგილი ყურადღებას იპყრობს ორმხრივ: 1. დიონისიოსი იძლევა ეთნონიმის ეტიმოლოგიას და 2. მნიშვნელოვანია ამ ტომის საცხოვრებლის აღწერილობა.

ეტიმოლოგია ასეთია: საცხოვრებელს ეწოდება „მოსსუნი“, ამის მიხედვით ტომს ეწოდება „მოსსუნოაკი“.

ბერძნულ მწერლობაში „მოსინიკის“ ეტიმოლოგია (დაკავშირება სატომო სახელისა საცხოვრებლის სახელწოდებასთან) ჩნდება აპოლონიოს როდოსელის დროიდან, ე. ი. ძვ. წ. III ს.-იდან და შემდეგ ხშირად გვხვდება როგორც ელინისტურ, ასევე ბიზანტიურ ხანაში. მაგრამ ერთგვარ საბაბს საამისოდ ქსენოფონტის ტექსტი იძლევა, სადაც ტომის სახელი არის „მოსსუნოაკო“ (პეროდოტესი არ იყოს), ხოლო ამ ტომის „ბასილევსის“ საცხოვრებელი არის „მოსსუნი“.

დღესდღეობით ამ სიტყვის ასეთი მეცნიერული ეტიმოლოგიები არსებობს: „ძირი ამ სიტყვისა ირანულია. შდრ. დასავლურ-ოსურ masug-ს, რაც ნიშნავს turris-ს, პ. კრეჩმერს ეს ძირი წინარეინდოგერმანულად მიაჩნდა...“².

¹ რძივც ნიშნავს: კოშკი, ციხე-სიმაგრე.

² Frisk H., Griechisches etymologisches Wörterbuch, Heidelberg. 1963, გვ. 258 — 259.

ამისგან განსხვავებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არის აქამდე ფართოდ გავრცელებული ივ. ჯავახიშვილისეული ეტიმოლოგიაც, რომ მოსსუნ-ში მო||მა პრეფიქსია, ძირია სსუნ||ქსსან, რაც არის იგივე კან-ი¹.

ამ უკანასკნელად თ. მიქელაძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ „მოსსუნი“ წარმოადგენს ბერძნულ ტრანსკრიპციას „მუშუან“ისას (ე. ი. სვანის სახელწოდებისას), ე. ი. ის არის ქართული სატომო სახელი.

ამ ეტიმოლოგიების საფუძველზე მინდა გამოვთქვა ვარაუდი, რომ საექვოა ქართველ ტომს (მოსინიკები) წმინდა ბერძნულ ეტიმოლოგიის სახელი ჰქონოდა და აქაც თუ ქართულ ეტიმოლოგიას არ მივიღებთ, ის მაინც იქნება დასაშვები, რომ ადგილობრივი სახელი ბერძენმა მისთვის ცნობილ ზიტყვას დაუკავშირა ფონეტიკური (შეიძლება შემთხვევითი) მსგავსების საფუძველზე.

„მოსინებიც“ (ხის საცხოვრებლები) ძირითადად იმ ტერიტორიაზე ივარაუდებიან, სადაც „მოსინები“ (ქართველი ტომი) ცხოვრობდნენ. ამ სახელწოდების ნაგებობები ბერძენ-რომაელთათვის ცნობილ მთელ დასახლებულ სამყაროში არ არის მოღებული, ეს არც ჩვეულებრივი სამოსახლოა და მითუმეტეს არც ფართოდ გავრცელებული. დიონისიოსის აზრით, თვით მოსინიკები უწოდებენ ამ ნაგებობებს მოსინებს (და არა სხვები).

საინტერესოა მოსსუნების აღწერილობა, რაც დაცულია დიონისიოსთან — ესაა კოშკების მსგავსი მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმული ადგილები (I, 26, 2).

მოსსუნების აღწერილობა გვხვდება ქსენოფონთან (საკუთრივ მოსინიკების საცხოვრისის და მეორეს მხრივ დრილების სადგომის), აპოლონიოს როდოპელთან, დიოდორე სიცილიელთან, სტრაბონთან (პეტატიკომეტების ანუ მოსინიკების საცხოვრისი), ფსევდო-სკიმნოსთან, დიონისიოს პერიეგეტთან და სხვ.

ყველა ამ ცნობის მიხედვით შეიძლება დაისკვნას, თუ რას წარმოადგენდა „მოსსუნი“: ის არის მწვერვალზე ან ამაღლებულ ადგილზე; იგი არის ხის; ის წარმოადგენს კარგად შეკრულ ღობეს, გალავანს, რომელშიც ცხოვრობს ბასილევსი (უმალღესში) და შემდეგ, თითქოს დანარჩენი მოსახლეობაც.

ეს არის ერთგვარი „სადგომი“ და არა მხოლოდ ხის კოშკი, ან ხის სახლი. როგორც ჩანს, ეს არის ნაგებობათა კომპლექსი, ხის მესერით, ძელებით გამაგრებული და გარშემორტყმული, მოსსუნი

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 25.

ტექსტების მიხედვით ამ გალავანს ეწოდება და შემდეგ, მთელ კომპლექსს, ყველაფერს, რასაც ეს გალავანი მოიცავს.

b. აქაეების შესახებ დიონისიოს პალიკარნასელი წერს, რომ პონტოსპირეთში მცხოვრები აქაეები ელინები არიან, მოხვდნენ ბარბაროსულ გარემოცვაში და ზნე იცვალეს (I, 89, 4). დიონისიოსს გარდა პონტოელი აქაეების კავშირის აღნიშვნა საბერძნეთის აქაეებთან სხვა ავტორებთანაც გვხვდება (სტრაბონი, აპიანე, ანონიმი...). მათი მოსვლა საბერძნეთიდან ორნაირად თარიღდება — ერთი თარიღია იასონის ლაშქრობა (სტრაბონი, XI, 2, 12), ხოლო მეორე — ტროის დაცემა (სტრაბონი, IX, 2, 42, აპიანე, ანონიმური პერიპლუსი). რა რეალური საფუძველი აქვს ამ ცნობას, ძნელია ამის თქმა, მაგრამ ერთი უეჭვოა — ელინისტურ ხანაში განათლებული ბერძენი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო ტომთა ის მიგრაციები, რაც ხდებოდა II ათასეულის ნახევარში. ამას გარდა სახელთა მსგავსება იწვევდა სურვილს ამ ორი ტომის დაკავშირებისას და ამის საფუძველზე შეიქმნა გადმოცემები, რომლებიც აისახა ბერძნულ მწერლობაში.

პონტოსპირეთში დასტურდება ამავე ძირის ('Αχαιοί) სხვა სახელებიც: ტოპონიმები—Παλαίαι 'Αχαια (არიანე, PPE, 18), 'Αχαια αμαη (Ptol. V, 8, 2) და ჰიდრონიმი — 'Αχαιοίς (არიანე, PPE, 18). დღევანდელი მდ. შახე. ყოველივე ეს იმის მაფიქრებელია, რომ ადგილს, მდინარეს და ტომს რაღაცა ერთი ძირისაგან წარმოებული სახელი ჰქონდა, რაც მოსულმა ბერძენმა აღიქვა ისე, რომ დაუკავშირა მისთვის კარგად ცნობილ სახელს — 'Αχαιοί.

გ ა მ ო ც ე მ ა: Loeb-ის სერიაში 7 ტომად, ინგლისური თარგმანითურთ, პირველი გამოცემა 1937—1950 წწ. უკანასკნელი — 1960-63 წწ. გამომცემელი და მთარგმნელი არის Earnest Cary.

რ უ ს უ ლ ე ნ ა ზ ე მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ი ა თ ა რ გ მ ნ ი ლ ი — B. Latyshev, SC., I, გვ. 479. ა. მალეინის, ВДИ, 1948. № 4.

ქ ა რ თ უ ლ ა დ: თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III, 1976.

ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა გეოგრაფიულმა ჟანრმა. იწერება შრომები როგორც მსოფლიო გეოგრაფიის, ასევე ცალკეული ქვეყნების აღწერილობის შესახებ.

თავდაპირველად ისტორია და გეოგრაფია არ იყო ერთმანეთისგან გამიჯნული, ისტორიკოსები იგივე გეოგრაფოსები იყვნენ და პირიქით, გეოგრაფიულ თხზულებებში ბევრი იყო ისტორიულ-

ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები, მაგრამ შემდეგ თანდათანობით მოხდა დახვეწა.

შიუხედავად ამისა, სტრაბონის „გეოგრაფია“ ამავე დროს ისტორიული ხასიათის ნაშრომია, ისევე, როგორც მისი მომდევნო ხანის მოლვაწის, კლავდიოს პტოლემეაფოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ერთი შეხედვით წმინდა გეოგრაფიული ცნობები მასალას გვაწვდიან საკუთრივ ისტორიისათვის.

ძველი ბერძენი გეოგრაფოსების თხზულებები მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

[სტრაბონი (დაახლ. ძვ. წ. 64—ახ. წ. 24 წწ.), წარმოშობით პონტოელი ბერძენი, ქ. ამასიიდან, წარჩინებული წრიდან, ბრწყინვალე განათლებსა და ნიჭის პიროვნება. თავის სიცოცხლეში მან ბევრი იმოგზაურა; როგორც მაღალი თანამდებობის პირთა მხლებელმა, თვითონ წარგზავნილმა პირმა და დესპანმა და მეორეს მხრივ—მეცნიერმა მკვლევარმა. სავარაუდოა, რომ სტრაბონი ყოფილა კოლხიდაშიც.]

ძველი წყაროები და თანამედროვე მკვლევრები მას ფილოსოფოსად, ისტორიკოსად და გეოგრაფოსად იხსენიებენ. ნამდვილი ფილოსოფოსი ის, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მაგრამ საფუძვლიანი განათლება ჰქონდა და თავს მიიჩნევდა სტოიკოსად. [თვითონ თავის თავს ფილოსოფოსად თვლიდა და არა ისტორიკოსად ან გეოგრაფოსად. სინამდვილეში, თანამედროვე გაგებით ის ისტორიკოსი და გეოგრაფოსია; როგორც ასეთი, ის ყველა დროის სპეციალისტთა მიერ ძალიან მაღალ შეფასებას იღებდა¹ და მისი ჩვენამდე მოღწეული თხზულებები ნდობას იმსახურებდა.]

[მისი სახელით ორი ნაწარმოები არის ცნობილი: Ὑπομνήματα ἱστορικὰ („ისტორიული მოგონებანი“) და Γεωγραφικά („გეოგრაფია“). პირველი შრომის მხოლოდ 19 ფრაგმენტია მოღწეული, ხოლო მეორე მთლიანადაა დაცული. ცნობები საქართველოს შესახებ არის „გეოგრაფიაში“. ეს ნაშრომი შედგება 17 წიგნისაგან.] I—II წიგნებში ავტორი ეხება ფიზიკური გეოგრაფიის ზოგად საკითხებს. III—X წიგნებში აღწერილია ევროპის ქვეყნები. XI—

¹ მაგ., М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, 1925, стр. 42, წერს: «У Эратосфена он взял его глубокие и блестящие общие положения и характеристики, у Эфора и Посидония — высокоинтересные этнографические портреты, у Артемидора — его точный перилл, у комментаторов Гомера — связь настоящего с прошлым, у историков Митридата и Помпея — все то новое, что дала деятельность Митридата и Помпея для истории и этнографии Причерноморья».

XVI წიგნებში — აზიის ქვეყნები, ხოლო XVII შეიცავს აფრიკის გეოგრაფიას.]

სტრაბონი თავის წყაროებს ჩვეულებრივ დიდი ხალხით ასახელებს: ყველა ავტორი რომ არ მოვიზნენით, რომელთა სახელსაც „გეოგრაფიაში“ ვხვდებით, საქართველოს შესახები ცნობების ძირითად წყაროდ ჩვეულებრივ მიჩნეული იყვნენ: საზოგადოებრივი წყობილების აღწერისას პოსეიდონიოსი (რომელიც ძვ. წ. II ს.-ის 40-იანი წლების ვითარებას გადმოგვცემს) და მითრიდატეს ისტორიკოსთაგან, უფრო დაზუსტებით მისი III ომის (73 წ.) აღმწერი, თეოფანე მიტილენელი. საერთოდ კავკასიის ქვეყნების აღწერისას (ნომანის, არნოლდი, ფაბრიციუსი, ა. ბოლტუნოვა), მ. როსტოცკევის აზრით, თეოფანეს როლი მკვლევართა მიერ გაზვიადებულია, ხოლო ჰიფსიკრატესი — მიჩქმალული¹.

ო. ლორთქიფანიძე პოსეიდონიოსის მაგივრად იბერიის საზოგადოების სტრუქტურის საკითხებში წყაროდ გვთავაზობს პატროკლეს (ძვ. წ. III)². საქმე ისა, რომ იბერიის საზოგადოების დახასიათებისას სტრაბონი იქვე არც ერთ პირს არ ასახელებს, მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში ბევრ მის თანამედროვე, თუ მასზე ადრე არსებულ ავტორს ახსენებს და აციტატებს ხოლმე. ამდენად, გადაწყვეტილ და დაბეჯითებით ამ ადგილის წყაროზე ლაპარაკი ქირს და ჩემის აზრით, მაინც ჰიპოთეზის ფარგლებში რჩება ყველა ხეივნიანი ავტორი, პოსეიდონიოსი იქნება ეს თუ პატროკლე. მითუმეტეს, რომ ამ ავტორთა მხოლოდ ფრაგმენტებია ჩვენამდე მოღწეული და ამ ნაწყვეტებში ნიშანდობლივი მაინცდამაინც არაფერია. რაც შეეხება ა. ბოლტუნოვას მიერ საბუთად მოტანილ პოსეიდონიოსის ერთ ჩვენამდე მოღწეულ ფრაზას — *ἐξ ἂν ἀμφὸν τὸν βᾶσιλέα καὶ στρατῶν* და მის მსგავსს სტრაბონთან — *ἐξ ὧν τὸν βᾶσιλέα καὶ στρατῶν* — აქ ორივეგან მეფეთა დასმაზეა ლაპარაკი (სხვათაშორის, სხვადასხვა პირობებში — იბერიაში პირველი ἄριστος-იდან სვამენ მეფეს, ხოლო პართიაში სინედრიონის ორი სხვადასხვა ნაწილიდან), ისე, რომ მხოლოდ ეს სიტყვები — *βᾶσιλέα* და *στρατῶν* უნდა ეხმარა ყველას, ვისაც კი დასჭირდებოდა ამ აზრის გამოთქმა, დამოუკიდებლად წყაროსგან. ამრიგად, ამ 2 ფრაზის გარეგნული მსგავსება ერთის მეორისაგან დამოკიდებულების უტყუარ საბუთად არ შეჩვენება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჰონიგმანის კვალდაკ-

¹ Скифия и Боспор, стр. 140.

² Сообщения Страбона о первом геносе населения Иберии: Сообщения АН СССР, т. XVIII, № 3, 1957 г., стр. 371.

ვალ სტრაბონის მიერ პოსეიდონიოსის გამოყენება უარვეყრთ, მაგრამ მინდა გავიმეორო — თვითონ სტრაბონი არაერთგან აღნიშნავს იმას, რომ მითრიდატეს ომების აღმწერელთაგან და პომპეუსის ლაშქრობასთან დაკავშირებით იცნობს საქართველოს ამბებს¹, და როგორც განათლებული კაცი, უთუოდ კიდევ ბევრ სხვა მწერალს იცნობდა და მათი შრომებით სარგებლობდა. უფრო კონკრეტული და რაც მთავარია, კატეგორიული მსჯელობისათვის ჯერ საფუძველი არ გვაქვს.

სტრაბონის „გეოგრაფია“ საქართველოს გეოგრაფიისა, ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ერთი ჯგუფი ცნობებისა, რომელიც ამ ტექსტში არის დაცული, გეოგრაფიული ხასიათისაა და ეხება ან წმინდა ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებს, ან პოლიტიკური გეოგრაფიის მონაცემებს. მეორე ჯგუფშია სხვადასხვა თქმულებები, რომლებიც ავტორის მიერ საკუთარი მოსაზრებების დართვით არიან ხოლმე წარმოდგენილი, მესამე სახის ცნობებში მოცემულია ცალკეული ტომებისა და ხალხების დახასიათება.

ცნობათაგან განვიხილავ მხოლოდ არსებითს. სტრაბონი ერთად ასახელებს აქეებს, ზიგებსა და ჰენიოხებს, რომლებიც ზღვის სანაპიროზე არიან სინდიკესა და გორგიბიის სამხრეთით, მაგრამ კოლხებზე უფრო ჩრდილოეთით (II, 5, 31; XI, 2, 1; XI, 5, 6). ისინი იასონის ლაშქრობის შემდეგ ცხოვრობენ ამ ადგილებში — ფთიელმა აქეელებმა დააარსეს აქადა, ხოლო ლაკონელმა ჰენიოხებმა ჰენიოხია. მათი სანაპირო მეტწილად უნავსადგურო და მთიანია; ისინი ცხოვრობენ ზღვაზე მეკობრეობით. აქვთ პატარა, წვრილი და მსუბუქი ნავეები, რომლებიც ჩვეულებრივ 25 კაცს, ხოლო იშვიათად 30 კაცს იტევენ. ელინები მათ უწოდებენ კამარებს². კამარებისგან ქმნიან ფლოტებს და თავს ესხმიან ხან საბარგო ხომალდებს, ხან რომელიმე ქვეყანას, ან ქალაქს და ასე ფლობენ ზღვას. ბოსფორის მფლობელები ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ

¹ ისტორიაში უკვე დამკვიდრებულია ის აზრი (რისი ერთ-ერთი საფუძველიც უთუოდ სტრაბონის ეს განცხადებაც არის), რომ საქართველოსა და ანტიკურ სამყაროს შორის ურთიერთობის, ბერძენ-რომაელთაგან საქართველოს ამბებით ცოდნის ახალი ეტაპი შექმნა სწორედ მითრიდატეს ომებთან დაკავშირებულიმა ლიტერატურამ, კიდევ ერთი ახალი ტალღა ახლა წამოვიდა და ამისი ასახვა ხდება სტრაბონთან გეოგრაფიულ-ისტორიულ ასპექტში, კონკრეტული გეოგრაფიული ცნობების თვალსაზრისით — პტოლემეაღმოსთან და სხვ.

² ამას ჩვეულებრივ უკავშირებენ პიოკრატესა და ქსენოფონტის *μοισήνης* *πλοία* (იხ. ზემოთ).

მათ ნავსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის საშუალებას. ხოლო როდესაც ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, კამარებს ზურგზე იგდებენ და მიაქვთ ტყეებში, სადაც ცხოვრობენ, ამუშავენ მწირ მიწას, შემდეგ კი, როდესაც ნაოსნობის დრო ღვება, კამარები უკან მიაქვთ. ასევე იქცევიან ისინი სხვა ქვეყანაშიც, სადაც აქვთ განთქმული ტყიანი ადგილები, რომლებშიც ინაზავენ კამარებს, ხოლო თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყვეების მოპოვების მიზნით. რასაც ისინი მოიპოვებენ, იოლად სთმობენ გამოსასყიდით და წასვლის შემდეგ ატყობინებენ გაძარცვულებს. იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც თავისი მმართველები ჰყავთ, რაღაცა შემწეობას ჰპოვებენ ხოლმე წინამძღოლთაგან უსამართლობის შემთხვევაში (რადგან ხშირად ესხმიან თავს და მიჰყავთ კამარები იქ მყოფ ხალხიანად), ხოლო რომაელების გამგებლობაში მყოფი ნაწილი უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო (რომის გამგებლობაშია აზიის მთელი სანაპირო გარდა აქეების, ზიგთა და ჰენიოხთა ქვეყნებისა, რომლებიც ვიწრო და ღარიბ ადგილებში მდებარეობენ და ხალხი კი ყაჩაღობითა და მომთაბარეობით ცხოვრობს — XVII, 3, 24)¹.

როდესაც მითრიდატე ევპატორმა, თავის სამშობლოდან გამოქცეულმა (ბოსფორში რომ მიდიოდა) ჰენიოხების ქვეყანაზე გადაიარა, მაშინ მათ 4 „ბასილევსი“ ჰყავდათ². ეს მხარე მისთვის კარგი სავალი იყო, მაშინ, როდესაც ზიგების ქვეყანაზე უარი თქვა მისი ცუდგზიანობისა და ველურობის გამო; ძნელად იმგზავრა ნაპირ-ნაპირ, ბევრი იმგზავრა ზღვაზე, ვიდრე აქეის ქვეყანამდე მივიდოდა. ესენი დაეხმარნენ მას და ასე დაასრულა გზა (XI, 2, 12—14).

ამ ტომების დახასიათება, რაც სხვა ბერძენ ავტორებთანაც გვხვდება (გაცილებით უფრო ადრე), ყველაზე სრულად სტრაბონს აქვს. რაც შეეხება მათ სახელწოდებას (აქეები, ჰენიოხები), დღესდღეობით არავინ იზიარებს. ამ სახელების ბერძნულ ეტიმოლოგიას თუ მათ კავშირს ბერძნულ აქეებთან და ჰენიოხებთან (მათში რაიმე ადგილობრივი სახელწოდება უნდა იმალებოდეს). ერთი კია — ამ ტომების გაჩენა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გადმო-

¹ ევფრატსა და ფასის შორის მდებარე ტერიტორია რომ სულ რომაელთა ხელშია, ამას სხვაგანაც აღნიშნავს სტრაბონი (VI, 4, 2).

² ჰენიოხებზე თხრობისას ტექსტში არის ადგილი, სადაც სკვპტუხებზეა ლაპარაკი. ჩვეულებრივ ამასაც ჰენიოხებს მიაკუთვნებენ ხოლმე. ჩემის აზრით, ეს ეკუთვნის კოლხთა დახასიათებას, თვითონ ტექსტია აქ შერყენილი და მე სკვპტუხების მომხსენიებელი თითქოს ჰენიოხებისათვის განკუთვნილი აზრაცი გადმოიტანე კოლხებთან.

ცემებში უკავშირდება იასონის (ე. ი. არგონავტების) ლაშქრობას კოლხიდაში, რაც ისტორიულად ტროის ომზე ადრე ივარაუდება; უკავშირდება ასევე ტროის ომსაც; ამდენად შესაძლოა გამოძახილი იყოს იმ მიგრაციებისა, რაც II ათასწლეულში ხმელთაშუა ზღვის აუზში ხდებოდა.

ტომთა დახასიათებისას მათი, ასე ვთქვათ, ველური ბუნებისა და მეკობრული ცხოვრების გარდა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მითრიდატე ევპატორის დროს ჰენიოხებს 4 „ბასილევსი“ ჰყალიბათ. ამ ტომის დახასიათების საერთო ფონზე ჰენიოხების „ბასილევსი“ მეფედ ძნელი წარმოსადგენია, ის უნდა იყოს გვარის უფროსი. ზიგები, რომელთაც ჩვეულებრივ შემდეგი ხანის ჭიქებთან აიგივებენ ხოლმე, შავი ზღვის სანაპიროზე პირველად სტრაბონს ჰყავს გამოყვანილი. როგორც ჩანს მანამდე ისინი ქედს გადაღმა სარმატიის დაბლობზე ცხოვრობდნენ (იხ. VIII...) და ამ დროისათვის ჩამოსახლდნენ აქ. სტრაბონი და მისი მომდევნო ბევრი ავტორი (არიანე, დიონისიოს პერიეგეტი, სტეფანე ბიზანტიონელი...) შემდეგ უკვე აქ ასახელებს მათ.

ქვეყანის მთებში მცხოვრებ სხვადასხვა ტომთა შორის სტრაბონი ჩერდება სვანების (Σιόνας) დახასიათებაზე (XI, 2, 14; 19): ისინი გამოირჩევიან სიმამაცით, დიდი ფიზიკური ძალით, ირგვლივ ყველაფერს ფლობენ. მათ ჰყავთ „ბასილევსი“ და 300 მამაკაცისაგან შემდგარი საბჭო. საჭიროების შემთხვევაში 200.000 კაციან ლაშქარს ჰკრებენ, რადგან მთელი ზალხი მეომარია. ისინი ისრის წვერებისთვის წამალს ხმარობენ, რასაც ძალიან მძიმე სუნი აქვს.

სვანეთში ზამთრის ნიაღვრებს ჩამოაქვს ოქრო, რასაც მოსახლეობა დახვრეტილი ვარცლებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით აგროვებს. აქვე აკეთებს ავტორი საფულისხზო შენიშვნას — აქედან უნდა მომდინარეობდეს მითი ოქროს საწმისიან ვერძედაოქ ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, სტრაბონმა იცის ძველი მითები, იცის ძველი წყაროები, ისტორია და ყოველივე ამის გათვალისწინებით, უთუოდ ძნელი დასაჯერებელია მისთვის ზღაპარი ოქროს საწმისიან ვერძე, ისიც ეძიებს მისთვის ისტორიულ სარჩულს.

სვანების საკმაოდ რეალური სურათია მოცემული. მათ შემთხვევაშიც „ბასილევსი“ გვარის უფროსად ჩანს.

ძველ ბერძნულ მწერლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ტომთა, თუ ტომთა გაერთიანებათა შორის კოლხიდას საგანგებო ადგილი უჭირავს. დიდ ადგილს უთმობს შას თავის „გეოგრაფიაში“ სტრაბონიც. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის, რომ სტრაბონი გადმოგვცემს იმ მოსაზრებას, რასაც ვხვდებით მასზე ად-

რინდელ ავტორებთან, რომ ეგვიპტელთა ნაწილი ეთიოპიასა და კოლხებში დასახლებულა (I, 3, 21; XI, 2, 17). სტრაბონის ეს ცნობა რამდენად შეეფერება მის თვალსაზრისს, არ ჩანს, მაგრამ გამოძახილი უნდა იყოს იმ ცოდნისა, რომელიც ძველ ბერძნებს ჰქონდათ ხალხთა ურთიერთობის შესახებ (რამდენად ჰეშმარიტია კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობა; ამაზე ლაპარაკი, საერთოდ, კირს). ამისი დარია ცნობა იმის შესახებ, რომ კორიბანტები, რეას შეიარაღებული მცველები, კოლხთაგანნი არიან (ან სხვათა აზრით, ისინი ბაქტრიანიდან არიან, ანდა კორიბანტები იგივე კაბირები არიან) (X, 3, 19). ვრცელი ექსკურსი რომ არ გავაკეთოთ კაბირთა და კორიბანტთა რაობის დასადგენად, მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ ორივე ეს კატეგორია ძველ პელაზგურ ან წინაბერძნულ ცხოვრებას უკავშირდება, ე. ი. ამ აზრის ავტორისათვის კოლხიდა და წინაბერძნული სამყარო გარკვეულ კავშირში, ურთიერთობაშია.

კოლხიდის ტერიტორიის განსაზღვრისას, ჩანს, სტრაბონს ორი დროის ცნობები აქვს — უფრო ადრეული ცნობების მიხედვით კოლხიდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს სამხრეთ მონაკვეთში არის სავარაუდებელი (მაგ., კოლხიდა და კაადოკია უფრო სამხრეთით მდებარეობენ, ვიდრე ალბანია და იბერია — II, 5, 28 და სხვ.) (ხოლო შემდეგი დროის ცნობების მიხედვით უკიდურეს ჩრდილოეთ პუნქტად საზღვაო სანაპიროზე მიჩნეულია თუ დიდი პიტიუნტი არა, დიოსკურიიდა მაინც) (XI, 2, 14) ¹

კოლხიდასთან დაკავშირებით ნახსენებია მოსხური მთები (Μοσχικά ὄρη), რომლებიც კოლხიდის ზემოთაა (XII, 3, 28), *ὑπερῆται* ყოველთვის მიმართულებას არ აღნიშნავს, რუსულად იქნება *возвышается* (ე. ი. *Москхские горы возвышаются над Колхидой*). ამიტომ ამ კონტექსტის მიხედვით ძნელია გარკვევა იმისა, თუ რომელი მხრიდან დაჰყურებენ კოლხიდას ეს მთები. თუ იმაში მივიღებთ მხედველობაში, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომთა ჩამოთვლისას სტრაბონი ჰენიოხებისა და კერკეტების შემდეგ ჯერ მოსხებს ასახელებს და შემდეგ კოლხებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს *ὑπερῆται* კოლხიდისაგან ჩრდილოთ თუ ჩრდილო-დასავლეთის მხრივ არის (ამ შემთხვევაში თვით მოსხების საცხოვრისია დასადგენი!). მეორეს მხრივ, იმავე სტრაბონზე დაყრ-

¹ დიოსკურიიდან ტრაპეზუნტამდე შავი ზღვის სანაპირო კოლხიდის სანაპიროდ იწოდება; პიტიუნტიდან დიოსკურიამდე 360 სტადიონია და ამ სანაპიროს ცალკე გამოყოფს არტემიდორე, რომელსაც საერთოდ ედავება სტრაბონს, მაგრამ ამ პუნქტის მიმართ არაფერს ამბობს.

დნობით ყველა მკვლევარი (ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ВДИ-ს შენიშვნა) დაახლოებით ერთი აზრისაა, რომლის თანახმად ეს არის სამხრეთით, პარიადრესა და სკიდისეს მეზობლობაში — ესენი იგივე ქანეთის მთებია, თუ მტკვრისა და ჭოროხის ხეობათა გამყოფი ქედი არაქსისა და ევფრატის ხეობათაგან¹.

მდინარეთაგან, რომელთაც კოლხიდაში მოიხსენიებს სტრაბონი, შემდეგია აღსანიშნავი: დიდი სანაოხნო მდინარე არის ფასისი, რომელსაც სათავე არმენიაში აქვს (XI, 2, 17). სხვა შემთხვევაში ფასისის სათავე კავკასიის მთებში (XI, 3, 4). აქ ერთსა და იმავე მდინარეზეა ლაპარაკი (და მაშინ „სათავე არმენიაში“ შეცდომაა), და არა ორ სხვადასხვაზე — (ფასისი ხომ იმ დროს არაერთ მდინარეს ერქვა!). ეს ფასისი არის თანამედროვე რიონი, მას ერთვის მდინარეები გლავკოსი და ჰიპოსი; მასზეა ციხე-სიმაგრე სარაპანა (შორაპანი) და მისი მოსახლე ქალაქი (ე. ი. ფასისი). თვით ფასისზე 120 ხიდი არის გადებული და იგი სანაოხნოა შესართავიდან შორაპანამდე. კოლხიდის ტერიტორიაზე სტრაბონი კიდევ ერთ მდინარეს, ქარესს ახსენებს დიოსკურიადასთან. მდინარის ეს სახელწოდება ძველ ავტორთა შორის მხოლოდ სტრაბონთან გვხვდება. ამდენად მისი იდენტიფიკაცია თანამედროვე სოხუმის მახლობლად („მახლობლად“ — ესეც შედარებითი ცნებაა) არსებულ რომელიმე მდინარესთან ძნელდება.)

რაც შეეხება ფასისის შენაკად გლავკოსს, ასეთს მხოლოდ სტრაბონი იცნობს (კლავდიოს პტოლემეაძოსთან მსგავსი სახელწოდების მდინარე აკამფსისის შენაკადია)², მდ. ჰიპოსს არაერთ ავტორი ახსენებს. ВДИ-ის კომენტარსა და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „გლავკოსი“ ყვირილასთან არის ხოლმე გაიგივებული. კისლინგის აზრით, (RE) გლავკოსი არის მდ. ტეხური, ჰიპოსი ჩვეულებრივ ცხენისწყლად არის ხოლმე მიჩნეული³.

¹ მოსხურ მთებზე შეეჩერდი იმიტომ, რომ ეს საკითხი გასარკვევია, სიტყვას არ ვაგრძელებ კავკასიონის ქედის შესახებ, რომლის აღწერილობაც მოცემულია „გეოგრაფიაში“ (XI, 2, 15).

² ლიტერატურაში ცნობილი ყველა სხვა გლავკოსი ან საბერძნეთშია, ან მცირე აზიაში.

³ მდ. ჰიპოსთან (და ზოგ სხვა მდინარესთან) დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის განხილვისას განსხვავებული აზრები გვხვდება, მაგ., არიანეს ჰიპოსი ნ. კეჟალმაძეს კოდორად მიაჩნდა (მაგრამ ეს ჰიპოსი აშკარად სხვაა, ეს ზღვას ერთვის და არა ფასისს). მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ჰიპოსი აუცილებლად ფასისის შენაკადი უნდა იყოს — ავტორი ამის შესახებ ორჯერ ლაპარაკობს. არის თუ არა ის მაინცდამაინც „ცხენისწყალი“, ამისი კატეგორიული განცხადება ჰირს, მაგრამ იმდენად ახლოსაა ბერძენთათვის ჩვეული

კოლხიდის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქთა შორის სტრაბონი ასახელებს და ახასიათებს: პიტიუნტს, დიოსკურიას, ფასისს, ტრაპეზუნტს, სარაპანას (შორაპანს). ამ უკანასკნელის შესახებ ისაა ნათქვამი, რომ იგი ციხე-სიმაგრეა და მას შეუძლია მთელი ქალაქის მოსახლეობის დატევა (XI, 2, 17). ქ. ფასისს ერთ მხარეს ზღვა აქვს, მეორე მხარეს ტბა და მესამე მხარეს მდინარე — ის არის კოლხთა ემპორიონი (სავაჭრო ადგილი. იქვე). დიოსკურია მდებარეობს შავი ზღვის უბეში, იგი არის საერთო ემპორიონი (სავაჭრო ადგილი) მის ზემოთ¹ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის — ამ ტომთა რიცხვი ავტორის აზრით 70-ია (XI, 2, 16), ეს ხალხი დიოსკურიაში თავს მარილისათვის იყრის (XI, 5, 6). ხალხი, ვინც დიოსკურიაში დადის, კავკასიელი ტომებია, მათ შორის არიან სარმატები (XI, 2, 16). ამ ცნობებიდან ჩრულიად ნათელია კოლხიდის ქალაქების სავაჭრო და სამხედრო მნიშვნელობა, ის ურთიერთობა, რაც კავკასიელ ტომთა შორის არის. ავტორი გვაცნობს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრესაც: კოლხიდაში ყოველგვარი ნაყოფი კარგი იცის (მხოლოდ თაფლია მწარე). ბევრი ტყეა (მას ეზიდებიან მდინარეების საშუალებით) და გემთმშენებლობისათვის ყოველგვარი მასალა მოიპოვება. ამუშაებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. კოლხიდა სელის დამუშავებით განთქმულიც კი არის და სელი კოლხებისათვის საექსპორტო საგანია. აქვე შენიშნავს სტრაბონი, რომ კოლხთა და ეგვიპტელთა ნათესაობის თეორია რომ არსებობს, ის ამის საფუძველზეა აგებული² (XI, 2, 17).

საინტერესო ცნობები აქვს გეოგრაფოსს კოლხიდის პოლიტიკური ისტორიისათვის (XI, 2, 18). კოლხიდა ძველიდანვე სახელგანთქმული იყო. ამას ცხადყოფენ ძველი მითები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ ქვეყანაში ფრიქსოსისა და შემდეგ იასონის ლაშქრობებზე. ე. ი. სტრაბონმა იცის ბერძენთა კოლხიდაში მოსვლის, საბერძენთ-კოლხიდის ურთიერთობის ორი ეტაპი. შემდეგ ავტორი ისტორიულ ხანაზე გადმოდის: იმ მეფეებზე, რომლებმაც შემკვიდრობით მიიღეს ძალაუფლება, სავარაუდოა ალექსანდრე მაკედონე-

თარგმანი (ზეპიდ — ცხენი), რომ ძალაუნებურად, რაკი სხვა უძვეელი ვარიანტი არ გვაქვს, ვიღებთ ამ შესატყვისობას.

¹ τῶν ὑπερῶν μέρων.

² ავტორი კი გვაწვდის ამ თვალსაზრისს, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებული იყო ბერძნულ მწერლობაში, მაგრამ გარკვეულად არ ჩანს, რომ იგი მას იზიარებდეს.

ლის მომდევნო ეპოქაში¹, სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და მმართველობა, ძალაუფლება ზომიერი ჰქონდათ. ამ ადგილას მე ვუმატებ ფრაზას ერთ-ერთი წინა 5-დან (XI, 2, 13): ხოლო ამათ ეგრეთწოდებული სკეპტუხები განაგებენ, ე. ი. სკეპტუხი, ჩემის აზრით, განაგებს კოლხიდას თუ კოლხიდის ცალკეულ პროვინციას, რომელშიც როგორც ჩანს, ჰენიოხიაც შედის².

ერთი კი უდავოა, რომ კოლხიდას დიდი მოხელეები, სკიპტროსნები (ანუ სკეპტუხები) გასჩენია, რომელთაც თავთავისი პროვინციის მართვა ევალებოდათ.

„სკეპტუხი“ ამ გაგებით ქართული სინამდვილის მიმართ სხვა ბერძენ მწერალს არ აქვს ნახმარი. ვხვდებით ამ სიტყვას ჩრდილო კავკასიის ტომებთან დაკავშირებით, რომელს წყაროთმცოდნეობაში ტაციტუსთან, სადაც სკეპტუხი ტომის ბელადის მნიშვნელობისა უნდა იყოს, ე. ი. ეს ორი სკეპტუხი სხვადასხვა რამ ჩანს. ტაციტუსის „სკეპტუხები“ სარმატების სკეპტუხები არიან, რომლებიც ფარსმან იბერთა მეფის (ახ. წ. I ს.) ორპირა მოკავშირეები არიან.

¹ *διαδέχασθαι βασιλειν* -მემკვიდრე მეფეები; ჩვეულებრივ ეს გამოთქმა (*οι διαδέχασθαι*) იხმარება ხოლმე ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეთა მიმართ (შდრ. Pol. 9, 34, 11), ამდენად დაშვების სახით, აქაც შეგვიძლია ვივარაუდოთ — სტრაბონი ლაპარაკობს კოლხიდის იმ „მეფეთა“ შესახებ, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ განაგებდნენ კოლხიდას.

² განმარტებისათვის მოვიყვან ამ ადგილს მთლიანად: XI, 2, 13: „ასეთია მათი ცხოვრება. განაგებენ მათ ეგრეთწოდებული სკეპტუხები, ხოლო თვით ესენი ტირანთა ან მეფეთა გამგებლობაში იმყოფებიან. ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავდათ, როდესაც მითრიდატე ევატორმა... მათ ქვეყანაზე გადაიარა“. ჩვეულებრივ ამ 5-ის სკეპტუხები მიჩნეული იყო ხოლმე ჰენიოხთა სკეპტუხებად, რასაც მე არ ვიზიარებ და აი რატომ: „ასეთია მათი ცხოვრება“ — ეს გამოთქმაც უყოყმანოდ ჰენიოხებს მიეწერებოდა ხოლმე. საქმე ისაა, რომ წინა 5-ში ვრცლად არის გადმოცემული მეკობრე ჰენიოხების საქმიანობა. შემდეგ კი ჩამოუთვლელად და დაუსახელებლად ლაპარაკია იმ ხალხებზე, რომლებსაც ჰენიოხები აწიოკებენ. მათ შორის, ვისაც თავისი საკუთარი გამგებელი ჰყავს, იმათი საქმე უკეთაა — ისინი იცავენ თავისიანებს მეკობრეთაგან, ხოლო ვინც რომაელთა ქვეშევრდომია, ისინი სულ უპატრონოდ არიან გამოგზავნილ პირთა უპასუხისმგებლობის გამო (აქვეა კრიტიკა რომელი მოხელეების). მაშ, ასეთია იმ ხალხის ცხოვრება, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ეს ტერიტორია კი არის კოლხიდა. სკეპტუხებიც მათ, ე. ი. კოლხიდის მცხოვრებთ, განაგებენ. ყოველშემთხვევაში იქვეა ნათქვამი, რომ ჰენიოხებს ოთხი ბასილევსი ჰყავთ, თუ კიდევაც სკეპტუხი განაგებს ჰენიოხებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროისათვის თვით ჰენიოხები კოლხთა ქვეშევრდომები არიან და კოლხი სკეპტუხი განაგებს მათ (თავის მხრივ, თვით ჰენიოხებს მითრიდატეს დროისათვის 4 „ბასილევსი“ ანუ გვარის უფროსი ჰყოლიათ).

(ანალები, VI, 33)¹. მომდევნო ხანაში, როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა კოლხთა ქვეყანა: ქვეყნის მმართველად და განმგებლად იგზავნებოდა მულამ ვინმე მის მეგობართაგანი (ერთ-ერთი ასეთი ყოფილა სტრაბონის ნათესავი მოაფერნე). ამ ქვეყნიდან შეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისთვის. უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მის მერე მისი მეუღლე, პითოდორისი ფლობდა მას, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე².)

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ვხვდებით მოსხებს (μῦθοι). შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლისას, მითრიდატეს ისტორიკოსთა ცნობებზე დაყრდნობით, რომლისაც სჯერა სტრაბონს, იგი ახსენებს: აქეებს, ზიგებს, ჰენიოხებს, კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს (და მათ ზემოთ ფთეაროფაგებს, სვანებს და სხვა ტომებს). თანაც ამ თანმიმდევრობის დაცვას თხოულობს (XI, 2, 14). ცნობა დათარიღებულია და ამდენად მეტი ნდობის ღირსი უნდა იყოს, მაგრამ დღესდღეობით ცოტა არ იყოს ჭირს ამ ტომის შავი ზღვის სანაპიროზე, მით უმეტეს დიოსკურიის ჩრდილოეთით (კოლხიდა პიტიუნტიდან თუ არა, დიოსკურიადიდან ხომ მაინც იწყება და ვრცელდება ტრაპეზუნტამდე) ლოკალიზაცია, ძვ. წ. II—I საუკუნეებისათვის.)

მოსხებს, როგორც კოლხურ ტომს ახსენებს ჰეკატაეოს მილეტელიც (ფრგ. 188), მაგრამ მათიენების მახლობლად და არა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ მონაკვეთზე.

ჩვენი ცოდნის დღევანდელ საფეხურზე სტრაბონის ამ ცნობის გაზიარება არ შეგვიძლია.

ჭეროდოტეს სარწმუნო ცნობის საფუძველზე მოსხები დარიოსის XIX სატრაპიაში შედიოდნენ და მათთან ერთად გაერთიანებუ-

¹ ტაიტუსის რუსული გამოცემის (Ленинград, 1969) კომენტარის მიხედვით. «Скептух-жезлопоец; вождь, сановник у восточных народов» (?) — განსაზღვრა ზუსტი არ არის.

² აქაც დგება საკითხი, *ὑπερχεῖμῆσιν βαρβάρων* — ვის ეხება, ვის ზემოთ ცხოვრობენ ეს ბარბაროსები? მე მგონია, რომ საქმე ეხება კოლხების ზემოთ მცხოვრებ სვანებს, ფთეაროფაგებსა და სხვათ — § 19, მითუმეტეს, რომ სტრაბონი *ὑπερχεῖμῆσιν βαρβάρων*-ის შემდეგ წერს: „რომელთა შესახებ შემდეგ ვილაპარაკებთ“. ეს ტომები მართლაც კოლხებს ზემოთ (ე. ი. ჩრდილოეთით და მთებში) ცხოვრობენ (ასევეა მეორეგანაც — XI, 2, 14).

ლი იყვნენ ტიბარნები, მაკრონები, მოსინიკები, მარები (ეს გაერთიანება კი ჩვეულებრივ გეოგრაფიული ნიშნით ხდებოდა ზოლმე).

პაუელის განმარტებით მოსხები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ, ხოლო პაპე „მოსხებს“ აიგივებს „მესხებთან“ და მათ საცხოვრის სტრაბონის ცნობების მიხედვით განმარტავს.

„მოსხების“ საცხოვრისის დადგენა სხვადასხვა დროისათვის (და მითუმეტეს მათი დაკავშირება მუშქებთან და ეთნოგენეზის კვლევა), საკმაოდ რთული საკითხი ჩანს. მაგრამ მეორე რიგის ცნობები, რაც სტრაბონს აქვს მათ შესახებ (განსხვავებული ზემოთ მოყვანილი ლოკალიზაციისაგან), საშუალებას იძლევა მათი შემდეგი ხანის მესხეთის მიახლოებით ტერიტორიაზე დასახლებისას. აქ ისევ უნდა გავიხსენოთ მოსხების მთები, რომლებიც ანტიტავროსის მიყოლებით, ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმული ქედის ნაწილია (XI, 12, 4. XI, 14, 1). მოსხების ქვეყანა სამ ნაწილს შეიცავს: ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე იბერებს და მესამე არმენიელებს, ე. ი. ეს სამი ხალხი მის მეზობლად არის — საფიქრებელია ესაზღვრება მას დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან, ჩრდილო აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან). მოსხების ქვეყანაში, როგორც ჩანს, მის კოლხურ ნაწილში (იმის ზემოთ, სადაც მდ. ფასისის გლავკოსი (ტეხური) და ჰიპოსი (ტხენისწყალი) ერთვის, მდებარეობს ლევკოთეას ტაძარი, ფრიქსოსის მიერ აგებული და სამისნო, სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ტაძარი — სამისნო მდინარე იყო, ზოლო სტრაბონის დროს, იგი ჯერ ფარნაკეს მიერ და ამის შემდეგ მალე მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცვული. ლევკოთეას ტაძრის დანაშაულებით გაიგივება რომელიმე დღესდღეობით ცნობილ პუნქტთან ჯერ არ გვაქვს, მაგრამ არსებობს ოთ. ლორთქიფანიძის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით სტრაბონის ლევკოთეად თანამედროვე ვანი უნდა მივიჩნიოთ¹.

იბერიაში, თუ იბერთა კუთვნილ მოსხების ნაწილში არის პატარა ქალაქი, ფრიქსოპოლისი; შემდეგ იდენტური წოდებული, კარგად გამაგრებული ადგილი კოლხიდის საზღვარზე (XI, 2, 17—18). იდენტურს ჩვეულებრივ ოძრხედ მიიჩნევენ ზოლმე.)

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზე იხსენიება მთელი ჩვეულებრივი ქართველი ტომებისა: სისპირიტი (ვარ. ჰისპირატი) სტრაბონის დროისათვის არმენიის ნა-

¹ „ვანის ქალაქი“, ტისკარი, № 7, 1968, გვ. 133—143 და სხვა.

წილში ჩანს (XI, 4, 8; 14, 12). ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარნები, ხალღები (ხალიბები) და სანები (მაკრონები), აქვეა მცირე არშენია. ამ აღვილებს ახლოს ცხოვრობენ აპაიტებო (კერკიტები)¹, ამათ ზემოთ არის მთები—სკიდისე, პარადრე... მოსხური მთები, რომლებიც კოლხიდის ზემოთ მდებარეობენ. ამ მთებში სახლობენ ტომები, რომლებიც სრულიად ველურები არიან და მათ შორის კიდევ ყველას ჰებტაკომეტები აღემატებიან. ამათ სკიდისეს მწვერვალები უპყრიათ. ზოგიერთები ცხოვრობენ ხეებზე ან კოშკებში², ამიტომაც რომ ძველები მათ მოსინიკებს უწოდებენ³. ისინი იკვებებიან გარეული მხეცის ხორციით და ხილით. ჩამოდიან ამაღლებული ადგილებიდან და თავს ესხმიან მოგზაურებს. ჰებტაკომეტებმა ამოწყვიტეს პომპეუსის სამი რაზმი, რომლებიც მთიან ადგილას გადადიოდნენ, გამაცოფებელი თაფლი შეუტრის კრატერებში, პომპეუსის ხალხმა ეს რომ იცემა, მთლად დავიდა და ჰებტაკომეტებმა იანი ადვილად ამოწყვიტეს. აქ მოსახლე ბარბაროსთა შორის არიან ბიძერებიც (XII, 3, 18). ამ მხარეში მიწათმოქმედებას დიდად არ მისდევენ (რადგან სანაპირო ვიწროა, ტყით დაფარული მთებია იქვე, რომლებიც მადნეულით არის სავსე). მეზღვაურები ნებაურობით ირჩენენ თავს (განსაკუთრებით პელამიდებსა და დელფინებს იჭერენ. VII, 6, 2; XII, 3, 19),

¹ „კერკიტები“ იგივე ჩრდილოეთით ხსენებული „კერკეტები“ უნდა იყვნენ. სახელი ერთი და იგივეა და შესაძლებელია, ტომიც ერთი და იგივე იყოს. სტრაბონს მოცემული აქვს ამ ტომთა ახალი და ძველი სახელები: „სანები, რომელთაც უწინ მაკრონებს უწოდებდნენ“; „ხალღები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ“. „აპაიტები, უწინდელი კერკიტები“.

² ასეა სტრაბონის ტექსტში; ჩემის აზრით, აქ შეცდომაა და უნდა იყოს „ხის კოშკებში“ — მითუმეტეს, რომ ჰებტაკომეტები იგივე მოსინიკები არიან, ხოლო მოსინიკთა საცხოვრებელი იყო „ხის კოშკი“. საერთოდ ძნელი წარმოსადგენია, ტომი, რომელიც ებრძოდა პომპეუსის ლაშქარს, საგანგებოდ ველური ყოფილიყო და ხეზე ეცხოვრა.

³ მოსინი-კოშკი; მოსინიკი — კოშკის მცხოვრები. ასეთია სტრაბონის (და ზოგი სხვა ბერძნის) ეტიმოლოგია. ჰებტაკომეტების სახელი იგი ჭავჭავიძის გამოკვლევითა შემდეგ მაინც სულ ტრიალებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. სახელდობრ, იგი ჭავჭავიძის აზრით „ჰებტაკომეტები“ ხალხის სახელია კა არა, ის ნიშნავს „შეიდი სოფლის მცხოვრებლებს“ (თვით მთის სახელიც, სკვდისე-შკვდომი, მეგრ. შვიდი), რასაც ადასტურებს ამავე რაიონში შემდეგი დროის არაბული სახელწოდება „კურასება“. ჰებტაკომეტები, ანუ შვიდსოფელნი, მოსინიკები მეგრულ-ქანური შტოს წარმომადგენლები არიან (ქართული ერის ისტორია, I, 1913, გვ. 44—45). აღარ მოვიყვანე შეზღვევი ხანის მკვლევართა შრომებს, სადაც ამ საკითხთან დაკავშირებით დაახლოებით იგივე წერია. დამატებით აღსანიშნავია თ. მიქელაძის მოსაზრება, რომელიც „მოსკუნს“ „მუშუანს“ უკავშირებს. ე. ი. სვანის აღმნიშვნელ სიტყვას.

ხოლო ხალდები მომთამადნეობით. ადრე ისინი მიწიდან ვერცხლსაც იღებდნენ, სტრაბონის დროს კი რკინას. ეფოროსის ცნობითა და აპოლოდორეს დამოწმებით სხვა უძველეს ბარბაროსულ ტომთა შორის იხსენიებიან ხალიბები (შემდეგი დროის ხალდები) შიგნით, მატერიკზე (პიზიდიელების, მისიელების, ფრიგიელებისა და მილიების გვერდით). სტრაბონის აზრით კი, ხალიბების ნაწილი ცხოვრობდა ამ ადგილას (სადაც ეს ავტორები მიუთითებენ), მეორე ნაწილი კი ზღვის პირას (XIV, 5, 23—24). ეს ცნობა დასტურდება სხვა ავტორთა მონაცემებითაც.

ამ ტომთა შესახებ არის ცნობები პოლიტიკური ისტორიიდანაც. ძვ. წ. II ს. -ში, არტაქსიასა და ზარიადრის დროს არმენიამ ხალდებისა (ხალიბებისა) და მოსინიკებისაგან წაიღო კარენიტი და ქსერქსენე, რომლებიც მცირე არმენიის მეზობლადაა, თუ სულაც მისი ნაწილია (XI, 14, 5). მეორეგან, უკვე დათარიღების გარეშე (მაგრამ ამის შემდეგ უშუალოდ მითრიდატე ევპატორზეა მერე ლაპარაკი) ნათქვამია, რომ არმენია მდიდარი ქვეყანაა და მისი ქვეშევრდომები იყვნენ ქალები და ტიბარენები (XII, 3, 28), როგორც ჩანს, ამ დროისათვის (ე. ი. ძვ. წ. II ს. -ში) საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ტომები დაუმორჩილებია არმენიას. სტრაბონის ეს ცნობები შესულია საქართველოს ისტორიაში როგორც ამ დროის ვითარების ამსახველი ჭეშმარიტი საბუთი. (თუ კოლხიდისა და კოლხების სახელი ბერძნულ მწერლობაში თავიდანვე ჩანს (ზოგან შინიშნებით და ზოგან პირდაპირ, მაგ., ძვ. წ. VIII ს. -ში ევმელოსთან), უეჭველად რომ იბერებს შეეხება, ასეთი ცნობები პირველად სტრაბონის „გეოგრაფიაში“ გვაქვს (XI, 3, 1—6).

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტრაბონი ხმარობს ტერმინს „იბერია“ და არა მხოლოდ „იბერებს“, როგორც ზოგიერთი სხვა ტომის შესახებ (მაგ., ბიძერები, კერკეტები). ეს უეჭველად მომასწავებელია იმისა, რომ მისი წარმოდგენით ეს არის უკვე სხვა, უფრო მაღალი კატეგორიის საზოგადოება, ვიდრე ის, ვისაც მხოლოდ ეთნიკური სახელწოდებით მოიხსენიებს.

„გეოგრაფიის“ შესავალ ნაწილში, როდესაც სტრაბონი ხალხთა გადასახლებაზე ლაპარაკობს, ახსენებს იმ მოსაზრებასაც. რომ დასავლეთის იბერთა ნაწილს წარმოადგენენ აღმოსავლელი იბერები და იქიდან მოსულები დასახლდნენ პონტოსა (ივულისხმება პონტოს სამეფო) და კოლხიდის ზემოთ (1, 3, 21). ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას იგი არ იცავს, მხოლოდ მოჰყავს. ჩანს, მის დროს ასეთი შეხედულებები ტომთა მიგრაციის შესახებ საკმაოდ გავრცელებული იყო და იგი საჭიროდ თვლის ამის აღნიშვნას.

გარკვეული პერიოდისათვის სტრაბონი იბერიის სამხრეთ საზღვრად მიიჩნევს აპოლოლორეს აზრის თანახმად მდ. არაქსს, ხოლო თვითონ უფრო სჯერა მეორე—კიროსი (მტკვარი) და მოსხიკის მთებია ეს საზღვარი (I, 3, 21). მეორეგან იგი წერს, რომ არმენია არტაქსიასა და ზარიადრის დროს (ე. ი. ძვ. წ. II ს.-ში) გაიზარდა იმითაც, რომ იბერიას ჩამოაქრა და დაისაკუთრა პარიადრეს ფერდობი, ხორზენე და ვოგარენე, რაც მტკვრის გადაღმა არის (XI, 14, 5), ხორზენე იყო ზემო ევფრატის აუზში და შეიცავდა დაახლოებით გუმიშხანის თემის აღმოსავლეთ ნაწილსა და ბაიბურთის თემს¹, ვოგარენე გარდაბანის მხარეა², ისე რომ ძვ. წ. II ს.-მდე იბერიის სამხრეთი საზღვარი გაცილებით უფრო სამხრეთით გადიოდა, ვიდრე მტკვარია. ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის ქედი ივარაუდება. დანარჩენი საზღვრები ირკვევა მხარის აღწერისას. სტრაბონის სიტყვები რომ გავიმეოროთ, (იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბეებით. შენობებს აქვთ კრავიტის სახურავები, სახლები არქიტექტურულად არის მოწყობილი, არის ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები. ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებით არის გარშემორტყმული... ამ მთების მეტისმეტად ნაყოფიერი ტოტები მიემართებიან სამხრეთისაკენ, მოიცავენ მთლიანად იბერიას და აღწევენ არმენიასა და კოლხიდას. შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მოწყვლილი. ამ მდინარეთა შორის უდიდესია კიროსი (მტკვარი), რომელსაც სათავე აქვს არმენიაში, მალე შემოდის დასახლებულ დაბლობში, ღებულობს არაგოსს (არაგვს), რომელიც კავკასიის მთიდან მოედინება, სხვა წყლებსაც და ვიწრო ვაკეებით ჩადის ალბანიაში...

ქვეყანაში ოთხი შესავლელია: ერთი კოლხური ციხე-სიმაგრე სარაპანაზე (შორაპანზე) და მასთან არსებულ ვიწრობებზე... მეორე — ჩრდილოეთით მცხოვრებ მომთაბარეებზე 3 დღის სავალი და შემდეგ 4 დღის სავალი არაგვის ხეობაში; ამ მეორე გზის ბოლო ბნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული. მესამე გზა ალბანიიდან შემოდის, ის ჭერ კლდეებში არის გაჭრილი, უწყლო და ოღრო-ჩოღრო კამბისენეზე, ხოლო შემდეგ გადადის ალაზონიოსის (ალაზნის) მიერ შექმნილ ქაობებში. მეოთხე — არმენიიდან შემოდის მტკვრისა და არაგოსის ვიწრობებით³. იმ ადგილას, სადაც ეს

¹ ს. ჯანაშია, შრომები, II, გვ. 93.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 457, 466...

³ ამ ადგილას „არაგოსი“ ყოველთვის გვესმოდა, როგორც მდ. არაგვი, მიუთმეტეს, რომ შემდეგი ფრაზიიდან მტკვრისა და არაგვის შერწყმაზეა ლაპარაკი. გ. ჩიტაიამ უურადღება მიაქცია ამ ადგილს და იგი ასე დააზუსტა: იბერიაში არ-

მდინარეები (მტკვარი და არაგვი) ერთმანეთს უნდა შეერწყან, კლდეებზე მდებარეობს ორი გამაგრებული ქალაქი, რომლებიც ერთმანეთს 16 სტადიონით არიან დაცილებული — მტკვარზე მდებარეობს ჰარმოზიე (არაშტციხე — სტაბტო ქალაქი აკროპოლისი), ხოლო არაგვზე — სისამორა (წიწამური)¹. ამ ორ ქალაქს გარდა იბერიის, თუ მოსხების იბერიული ნაწილის, კიდევ ერთ კარგად გამაგრებულ ქალაქს — ფრიქსოპოლისს — იდეესას ახსენებს სტრაბონი (XI, 2, 18). სხვა ქალაქები, რომელთაც შემდეგ კლავდიუს პტოლემეაფოსი ჩამოთვლის, სტრაბონს არა აქვს ხსენებული.

ის ოთხი ძირითადი გზა, რომელიც იბერიაში შემოდიოდა (მე არ მინდა ვთქვა, რომ ამის მეტი გზა არ იყო იბერიაში შემოსასვლელი), სტრაბონს კარგად აქვს აღწერილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა სტრაბონის მიერ აღნიშნული ქალაქები — არაშტციხე და წიწამური, იბერიის კრამიტით გადახურული ნაგებობები (მაგ., მცხეთის აკლდამა).

სტრაბონი ახასიათებთ იბერიის მოსახლეობასაც: ბარში ცხოვრობენ მიწათმოქმედები, ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილი და არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად იჭურვებიან. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მეტროპოლი ბუნების არის, უქიკავს მთიანი მხარე და ისინი ცხოვრობენ სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესაულებიც არიან. ესენი ეწევიან მიწათმოქმედებასაც, მაგრამ როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი (ე. ი. სკვითებისა და სარმატების) სახსრებით გამოჰყავთ მრავალი ათასი მეტროპოლი.

როგორც ვხედავთ, სტრაბონს იბერიის მოსახლეობად არა მარტო შემდეგი დროის ქართლის მოსახლეობა მიაჩნია, არამედ აღმოსავლეთის მთიანეთის მკვიდრნიც; ისიც აღსანიშნავია, რომ იგი ხედავს მათ არა მარტო მეზობლობას, არამედ ნათესაობასაც არაიბერიელ, ე. ი. ჩრდილო კავკასიის ტომებთან. ეს საკითხი დღემდე

მენიიდან შემოსასვლელი არის მტკვარზე და არაგოსზე (და ეს „არაგოსი“ არის არა „არაგვი“, არამედ „არაგაწი“ ე. ი. არარატის ერთ-ერთი მთა). გ. ჩიტაის კონფექტურა დამამუქრებელი ჩანს, მითუმეტეს რომ სტრაბონისავე განმარტებით იბერიაში ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი არაგვის ვიწრობებზე იყო და სამხრეთიდან შემოსასვლელი გზა იმავე მიმართულებასა ვერ იქნებოდა (გ. ჩიტაია, რეცენზია ლ. კლაშვილის საღისერტაციო ნაშრომზე, წაყითხული 1958 წ. 30. XI 1).

¹ მეცნიერებაში აქამდე დამკვიდრებული „სევსამორა“ პალიმფსესტის წაკითხვის შემდეგ შეიცვალა „სისამორად“; პალიმფსესტში არის *Σευσμορδα*, რამაც, როგორც ჩანს შემდეგ მოგვცა მეორე ფორმა *Σευσμορδα*.

აინტერესებს ქართულ მეცნიერებას. მეცნიერთა ნაწილი ქართული და კავკასიის (კერძოდ, კავკასიის მთის) ენების ნათესაობას აღიარებს, ნაწილი კი არ სცნობს ამ ნათესაობას და ზოგიერთ ენობრივ დამთხვევებს ამ ტომთა შორის უძველესი და ხანგრძლივი კონტაქტებით ხსნის.

ყველაზე საინტერესოა სტრაბონის ის ცნობა, რომელიც ეხება იბერიის საზოგადოების სტრუქტურის დახასიათებას: „ასევე ადამიანთა ოთხი გვარი სახლობს ამ ქვეყანაში: ერთი (გვარია) და პირველი¹, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე (ამ გვარიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე (გვარი) არის ქურუმთა, რომლებიც ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე. მესამე (გვარი) არის მოლაშქრეთა და მიწისმოქმედთა. მეოთხე (გვარი) არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულ (ნათესაობას) უხუცესი“ XI, 3, 6). მომყავს თარგმანი სრულად, რადგან მისი სხვა მთარგმნელები (მაგ., მიშჩენკო, სტრატანოვსკი) და კომენტატორები დედნისაგან განსხვავებულ და არაზუსტ თარგმანებს იძლევიან.

სტრაბონის შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობაში ბევრ მკვლევარს გამოუთქვამს აზრი, განსაკუთრებულ ინტერესს კი ყოველთვის „გეოგრაფიის“ ეს ადგილი იწვევდა, სრულიად გასაგები მიზეზების გამო.

ივ. ჯავახიშვილი («Государственный строй древней Грузии и Армении», „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“) იმ აზრისაა, რომ სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები საგვარეულო წესწყობილებაზე ყოფილა დამყარებული და ეს გვაროვნული წყობილება მეტად მაღალ საფეხურზე ყოფილა ასული.

ს. კაკაბაძეს სტრაბონისეული იბერია გვაროვნული წყობის ქვეყნად მიაჩნია („ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“).

ს. ჯანაშიას გამოკვლევით, სტრაბონის დროის იბერია ჩა-

¹ „ერთი და პირველი“ ეს გამოთქმა ბერძნულისათვის ჩვეულებრივია, როდესაც ჩამოთვლასთან არის საქმე. მაგ., პეროლოტე პლატეის 5 ბრძოლის ჩამოთვლისას ასევე ამბობს: „ერთი და პირველი ეს ის ბრძოლაა, რომელიც იყო პლატეაში“ (IX, 35; *εἷς μὲν καὶ πρῶτος οὗτος ὁ ἔν Πλαταιῶσι*).

მოყალიბებული სახელმწიფოა, ძირითადად მონათმფლობელური ფორმაციით („საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის ვზაზე“).

ი. მ ა ნ ა ნ დ ი ა ნ ი ს აზრით, სტრაბონის ცნობაში მოცემულია ფეოდალური იბერიის აღწერილობა, ცალკეული ფეოდალებით (ჰაქსლანდ) სათავეში. ეს ფეოდალი რაღაცა საშუალო მოჩანს მონარქსა და მამასახლისს შორის («Заметки о Феоде и феодалыном войске Парфии и аршакидской Армении»).

ა. ბოლტუხოვას შენიშვნის მიხედვით («Иберия и римская экспансия в Азии»), სტრაბონის მიერ აღწერილ იბერიაში რღვევას ვზაზე დამდგარი გვაროვნული წყობილება გვაქვს. შემდეგში მან ეს მოსაზრება შეცვალა.

ბ. ბერძენიშვილი იზიარებს ს. ჯანაშიას ძირითად დებულებას (სტრაბონის დროსათვის იბერიაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოა), მაგრამ თვით სტრაბონის ცნობაში წარმოდგენილი დახასიათება ჰაქსლანდ-ისა არ მიაჩნია მეფის დახასიათებად (ეს რა მეფეა, რომელიც არც მხედართმთავარია, არც მოსამართლე, არც მეზობლებთან საქმეების გამგებელია), ან სტრაბონი მასზე გაცილებით აღრინდელ საზოგადოებას აგვიწერს. ანდა ის ინფორმატორთაგან შეცდომაშია შეყვანილი (რეცენზია „ს. ჯანაშიას ნაშრომზე, საქართველო. აღრინდელი ფეოდალიზაციის ვზაზე“: მიმოხილველი, III).

გ. მელიქიშვილი («К истории древней Грузии», „ნარკვევები“... I) სტრაბონის ცნობაში ხედავს ადრეკლასობრივი საზოგადოების დახასიათებას, რა დროსაც სამეფო დინასტია, სამეფო გვარი, სახელმწიფოს უყურებს როგორც თავის კოლექტიურ, საგვარეულო სამფლობელოს. სტრაბონის თაობაზე გ. მელიქიშვილის მიერ გამართულ მსჯელობაში ახალი არის ქურუმთა წოდების საქმიანობის შეფასება. მეორე ἱερός-ი, ქურუმთა წოდება, „ზრუნავს მეზობლებთან სამართალზედაც“. სტრაბონის ეს ცნობა ჩვეულებრივ გაიზარებოდა ხოლმე ისე, რომ ქურუმები საჯარო პოლიტიკას მართავდნენ. ამისაგან განსხვავებით გ. მელიქიშვილი ამბობს, რომ მეზობლებთან სამართალზე ზრუნვა არა საჯარო ურთიერთობას ნიშნავს, არამედ შიგნით სახელმწიფოში ცალკეულ კოლექტივთა შორის ურთიერთობის მოგვარებას (გვ. 318, 319, „К истории“...).

ოთ. ლორთქიფანიძის აზრით («Известия Страбона о первом геносе населения Иберии»: მოამბე, 1957, XVIII. № 3, გვ. 369—376), რასაც იზიარებს ნ. ლომოურიც (რეცენზიაში თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „სტრაბონის გეოგრაფიაზე“), სტრაბონის მიერ აღწერილი იბერიის საზოგადოების წყობას ახასია-

თებს არქაულობა და იქ ასახულია იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეული საფეხური. ამის შესაბამისად ო. ლორთქიფანიძე „გეოგრაფიის“ XI, 3, 6-ს, ერთი მეფის ნაცვლად ხედავს ორ მეფეს, რომელთა შორის ფუნქციები განაწილებულია¹.

თ. გამსახურდია („პიტიახშის ინსტიტუტის საკითხისათვის“: მაცნე, 1970 № 6) სტრაბონის ამ ცნობილი ადგილის ბ მენტე-რძე - ს (მეფის შემდეგ მეორე პირს) იმიჩნევს პიტიახშის შესაბამისად და ლეონტი მროველის სპასპეტის მსგავსად.

როგორც ვხედავთ, ავტორთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა სტრაბონისეული იბერიის საზოგადოების სტრუქტურის საკითხის გაგებაში; აზრთა სხვადასხვაობას იწვევს პირველი γένος-ის გარდა, მეოთხე γένოს-იც (λασι), რომელიც დამოკიდებული, ექსპლოატირებული, სოფლის მდაბიო ხალხია, „გლეხია“, რომელიც βασιλευς - ის სამსახურშია, სამეფო მიწაზე ზის (განსხვავებით, სწორედ მცირე აზიის λασι-საგან, რომელიც არა მარტო „სამეფო მონაა“).

სტრაბონის წყარო მართლაც გაცილებით უფრო ადრინდელია, ვიდრე ის თვითონ ცნობობდა და შესაძლოა ვიდრე პოსეიდონიონია, თუ პატროკლე. მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვეულებრივ წყაროებს ძალიან ხშირად ასახელებს, ამ შემთხვევაში არც ერთი ავტორის ჩსენება არაა. ისე რომ, რომელიმე მათგანზე ზელის დადება ჯერაც ჰიპოთეზის ფარგლებში რჩება. რისი შემოწმების საშუალებაც გვაქვს, იქ სტრაბონი სწორი აღმოჩნდა (შემოსასვლელები იბერიაში, არმაზციხე, წიწამური; კრამიტიანი ნაგებობები etc). რალა საზოგადოების სტრუქტურის გადმოცემაში ცდება (ან ის, ან მისი წყარო)? მისი ცნობები სავარაუდოა, რომ აქაც სწორია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ გავიგოთ სწორად, თუ რომელ საზოგადოებას გვიხასიათებს, რა დროს აგვიწერს.

სტრაბონის მიერ დასახული იბერიის საზოგადოების სურათი ამ ქვეყნის ადრეკლასობრივ საფეხურს უნდა ასახავდეს. მართალია, არსებობს სტრუქტურა და ეტაპები მსოფლიო ისტორიის განვითარებისა, მაგრამ ყოველი ცალკეული ქვეყნის მიმართ მათი უყოყმანოდ მიყენება არ შეიძლება; უნდა იქნეს შესწავლილი კონკრეტუ-

¹ მე ვფიქრობ, ჩვენს ხელთ არსებული სტრაბონის ტექსტი მისი ასეთი გაგების საშუალებას არ იძლევა, ხოლო მისი გადაკეთება მარტო იმის საფუძველზე, რომ ოდესღაც ასირიასა, მიკენსა და სპარტაში ასეთი ვითარება იყო, მიზანშეწონილი არ არის.

ლი ქვეყნების განვითარების თავისებურებები, რაც, როგორც ჩანს, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში კიდევ მომავლის საქმეა.

რომ იბერიაში ე. წ. ელნისტურ ხანაში განვითარებული საზოგადოებაა, ეს დადასტურებულია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რაც ქართული არქეოლოგიის მონაპოვარია. მართალია, სტრაბონის იბერიელ „ბასილევსს“ შემდეგი ხანის მონარქის ბევრი ფუნქცია აკლია, მაგრამ ეს იმას მოაწივებს, რომ ეს ინსტიტუტი ჯერ საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული.

ქურუმთა ფენას გარდა ქურუმთათვის ჩვეული ძირითადი საქმიანობისა, მეზობლებთან ურთიერთობის მოგვარებაც ევალება. „მეზობლებში“ მესმის საერთოდ იბერიის მეზობლები და არა შიგნით, თვით იბერიაში ცალკეულ კოლექტივთა მეზობლობა: საკუთრივ იბერიაში სტრაბონი მხოლოდ ბარისა და მთის მოსახლეობას ასხვავებს, ცალკეულ ტომებს არც აღნიშნავს¹, და კიდევაც რომ აღენიშნა, ის იბერიისათვის „მეზობელი“ არ იქნებოდა. სტრაბონის ცნობის შვირთი (ძირია — შვირთი საზღვარი) კი სწორედ იმას ნიშნისაგან, ვინც საზღვართან გემიჯნავენა (და არა იმას, რომელიც საზღვრის შიგნით შენი მეზობელია).

მესამე მოლაშქრეთა და მიწისმოქმედთა ფენა თავისუფალი მწარმოებლები უნდა იყვნენ. სავარაუდოა, რომ მშვილობიანი ხანის მიწისმოქმედი ომიანობის დროს მოლაშქრე იყო.

საეკვოა, რომ იმ ტიპის მეფეს, როგორც სტრაბონს ჰყავს, რეგულარული ჯარი ჰყოლოდა. ყველაზე რთულად მეჩვენება დადგენა მეოთხე ფენის რაობისა — *λαοί*: ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გადმოღის როგორც „ერი“ (საკუთრივ ბერძნულში მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს) და კაცმა რომ თქვას, მესამე ფენის ზოგადი სახელი ეს უნდა ყოფილიყო. მაგრამ სტრაბონთან მეოთხე ფენაა ამ *λαοί* - სა, რომელიც მერე ახსნილია როგორც „სამეფო მონები“ (*δῆμοι* ყველაზე ფართო, დაუკონკრეტებელი ცნებაა ექსპლუატირებული და დამოკიდებული ადამიანის აღსანიშნავად), ემსახურებიან მეფეს, ე. ი. *λαοί-βασίλειοι*: *δῆμοι* არის დამოკიდებული, მდაბიო ხალხი. ქართველ ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა აზრით ამ ცნებას გამოხატავს ქართული სიტყვა „გლეხი“. ჭერჯერობით მეც ამ განსაზღვრაზე ვჩერდები, თუმცა ამ ფენის ფუნქციამოვალეობები მთლად გარკვეული არ მეჩვენება.

¹ თუ არ გავიხსენებთ განაპირა პროვინციებს, რომლებიც ხან შედის იბერიის გაერთიანებაში და ხან მეზობელი ქვეყნები ეპატრონებიან მათ. მაგ., მოსხების ნაწილი, ხორხენე, გოგარენე...

საქოკმანოდ ჩანს ხოლმე ამ პარაგრაფის ბოლო ფრაზა „საზოგადოლო აქეთ მათ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულ (ნათესაობას) უხუცესი“. ისმება საკითხი: ეხება ეს ოთხსავე ფენას, თუ მხოლოდ მეოთხეს და მთელ პარაგრაფში ერთი ცნობაა თუ ორი სხვადასხვა, სხვადასხვა საზოგადოების ამსახველი?

ჩემის აზრით, პრულიად დასაშვებია ის, რომ ზემოთ განხილულ §-ში თავიდან ამ ადგილამდე ერთი ცნობაა, ადრეკლასობრივი საზოგადოების დამახასიათებელი და მერე მასზეა დაკავშირებული მეორე, უფრო ძველი, რომელიც გვაროვნული საზოგადოების ყოფის ამსახველია.

თუ მაინცდამაინც დავუშვებთ, რომ ცნობები თანადროულია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ადრეკლასობრივ საზოგადოებაში ძლიერად არის გადმონაშთები გვაროვნული წყობისა (ამ გადმონაშთებს ჩვენ ღღესაც, XX ს.-შიც ვპოულობთ) — თავისი უხუცესებით. მაშინ „ბასილევსების“ კატეგორიაში შესაძლებელია და ალბათ მხოლოდ ერთი *სუყყჷვიჲ* იყო, მაგრამ მეომრები და მიწათმოქმედები უეჭველად არაერთ *სუყყჷვიჲ*-ს შეიცავდნენ.

ს. ჭანაშიას აზრით, ზემოთ მოყვანილი ადგილი ეხება მხოლოდ IV „გვარს“, *ღაძი*-ს, რომელიც შედგება თემებად შეკავშირებული სამეფო ყმებისაგან, რუსული „*ОДНАКН*“-ისა და გერმანული „*მარკის*“ მსგავსად¹.

საინტერესო ცნობა აქვს სტრაბონს იბერიისა და რომის ურთიერთობის ისტორიიდან (მითრიდატე ევპატორისა და კლეოპატრას ხანის შემდეგ): სტრაბონის „გეოგრაფიაში“ ხშირადაა შექმნილი რომის პოლიტიკა. მოხსენიებული არიან ხალხები, რომლებიც ავტორის აზრით რომს ჰმორჩილებენ, მაგრამ ავტორის აღწერილობაში რეალური ვითარება მაინც იჩენს თავს. ეს ხალხი ყოველთვის მორჩილი არაა, მაგ., „მთელი ქვეყანა ფასისისა და ევფრატის შიგნით, გარდა არაბეთის რაღაც ნაწილისა, რომაელების გამგებლობაშია და რომაელების მიერ დაყენებული დინასტიების ხელშია. არმენიელები და კოლხიდის ზემოთ მცხოვრებნი ალბანები და იბერები მხოლოდ შმართველთა ყოლას საქიროებენ და კარგად ჰმორჩილებენ მათ. აჯანყდებიან ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც რომაელები სხვა საქმეებით არიან გართული, ისევე როგორც ისინი, ვინც ისტროსის გადაღმა... მოსახლეობენ“ (VI, 4, 2). აქ კიდევ უნდა შევნიშნო ის, რაც ზემოთ ვთქვი — ეს „მორჩილი“ ხალხი თურმე მო-

¹ ს. ჭანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 139—142.

მენტს ურჩევს რომაელებს და უჯანყდება. სრულიად აშკარაა მათი „მორჩილების“ ხასიათი.

საინტერესოა და დაწვრილებითი ცნობები აქვს სტრაბონს ალბანიის შესახებ (XI, 4, 1—8). მისი საზღვრებია — დასავლეთით იბერია (როგორც ჩანს, მდ. ალაზანზე უფრო დასავლეთით), აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, სამხრეთით არმენია. ე. ი. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც შეიცავდა თანამედროვე კახეთის ნაწილს, სამხრეთ მთიან დაღესტანს და აზერბაიჯანს, ალბანიაზე გადადიოდა ის დიდი გზა, რომლითაც შემოჰქონდათ ინდური საქონელი (მდ. ოქსოსი, პირკანიის ზღვა, ალბანია, მტკვარი, მისი მომდევნო ადგილები, ფასისი და შავი ზღვა)¹ (დამატებით II, 1, 15). მის ტერიტორიაზეა გარდა მტკვრისა და არაქსისა, სანაონსო მდინარეები: ალაზანი, სანდობანი, როდტაკი და ხანი. ალბანია მდიდარია საძოვრებით, მის მიწაზე ყველაფერი მოდის, თვით მულამ მწვანე ხეებიც კი. ერთხელ დათესილი ორჯერ და სამჯერ იღებს ნაყოფს. ზოლო პირველად ნაყოფი ერთი ორმოცდაათად მოდის. რკინის გუთანს კი არ იხმარება, არამედ ხისა. ჰავაც ძალიან კარგია. ვაზებს არ თოხნიან, ხოლო სხლავენ ხუთ წელიწადში ერთხელ. ახალი ვაზი მეორე წელსავე იღებს ნაყოფს, ხოლო ზრდადასრულებული კი იმოდენა ნაყოფს იძლევა, რომ მეტი წილი ზედ ვაზზედგე რჩება. საქონელი, როგორც შინაური, ასევე გარეული, დიდი ტანისა ჰყავთ. ადამიანებიც გამოირჩევიან სილამაზითა და ახონებით. ალბანიის მოსახლეობა ველური არ არის, მაგრამ მწყემსობასა და მომთაბარულ ცხოვრებას მისდევენ. ისინი უბრალოები არიან და ვაჭრული ბუნება მათთვის უცხოა. არც მონეტებს ხმარობენ და არც რიცხვები იციან 100-ზე ზევით. ისინი ეწევიან საქონლის გაცვლა-გამოცვლას. არ იციან წონისა და ზომის სიზუსტე. ომის, სახელაწიფო საქმეებისა და მიწათმოქმედების მიმართ გულგრილები

¹ ამის შესახებ არის წერილები: Еремян С. Т., «Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana»: ВДИ, 1939, I, стр. 79—97.

Гозалиншвили Г. К., «О древнем торговом пути в Закавказье»: исторический институтის შრომები, II, 1956, გვ. 153—160.

Ямшоловский З. И., «К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю»; იქვე, გვ. 161—180.

ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანსპორტო გზის შესახებ. აკად. მოამბე, 1957, XIX, 3, გვ. 337—348.

ბ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1. 1958, გვ. 99—118.

არიან. ლაშქარი დიდი ჰყავთ (60 000 ქვეითი და 22 000 ცხენოსანი გამოჰყავთ). შეიარაღებულები არიან იბერების მსგავსად (შუბებით, მშვილდებით, ფარებით და ცხოველთა ტყავის მუზარადებით). ცხენებიც შეჭავშეულები ჰყავთ (უთუოდ ეს ცნობები თეოფანე მიტილენელისაგან აქვს სტრაბონს, რომელიც მისივე სიტყვით ყოფილა ალბანიაშიც, როდესაც ახლდა თან პომპეუსს. პომპეუსს ისინი ასეთი ჯარით შეხვედრიან!).

ალბანელები მოხუცებულებს პატივს სცემენ. მიცვალებულებზე ზრუნვა ან მათი მოვონება წესად არა აქვთ. მიცვალებულთან ერთად ფლავენ მის ქონებასაც, რაც აღარ ხვდებათ მემკვიდრეებს, ამიტომ ღარიბად ცხოვრობენ.

ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსს¹ და მთვარეს. განსაკუთრებით ამ უკანასკნელს². მისი სალოცავი იბერიის მახლობლადაა. აქ ქურუმობს მეფის შემდეგ უწარჩინებულესი კაცი, რომელიც განაგებს დიდ და კარგად დასახლებულ ტაძრის მიწას და ტაძრის მსახურთ. სტრაბონი აქ აგვიწერს, თუ როგორ ხდება ქურუმის მიერ მსხვერპლად შეწირვა შთაგონებული ტაძრის მსახურისა (XI, 4, 7)³. ალბანიაში 26 ენაა (ე. ი. 26 სხვადასხვა ტომია). უწინ ყველას

¹ „ზევის“ არის აქ ირიბი ბრუნვის ფორმით — *Δία*;

საინტერესოა, იგულისხმება აქ ბერძენთა ღმერთი „ზევის“, თუ რომელიმე ადგილობრივი ღვთაება, რაც სტრაბონს გაიგივებული ჰყავს თავის მთავარ ღმერთთან (ფუნქციის, თუ სხვა რამ ნიშნის, მაგ., სახელწოდების მსგავსების მიხედვით).

პანტიკაპეის ერთ-ერთ II ს-ის, სავრომატ II-ის დროინდელ წარწერაში (ΚΒΗ, № 74), ასეა: *Υπὸ Δία, Γῆν, Ἡλίον*, ე. ი. იქაც სამი ღვთაებაა მოხსენიებული: ზევის, მიწა და მზე (აქ „დედამიწა“ ჩვენი „მთვარის“ მაგეარად).

² აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მედეამ კოლხურ ენაზე მიმართა ლოცვით სწორედ მთვარეს, დიოდორე სიცილიელის ცნობის თანახმად (ბიბლ. IV, 52, 3).

³ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, სტრაბონის ეს ცნობა კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი უძველესი ღვთაება იყო მთვარე, მამაკაცი ღმერთი, რის გაგრძელებასაც ქრისტიანობის დროს ქართული წმ. გიორგი წარმოადგენდა. ხოლო სტრაბონის მიერ აღწერილი ამბები შეიძლება ხდებოდეს დღევანდელ კახეთში, სადაც ახლა სოფ. აწყურია ცნობილი თავისი წმ. გიორგის ტაძრითა და მთელს აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული დღეობით: ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 92—145. ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება საყურადღებოა, მაგრამ მაინც ძნელია იმის მტკიცება, რომ ალბანელი ქურუმის მიერ შთაგონებული ტაძრისმსახურის მსხვერპლად შეწირვა მაინცდამაინც სოფ. აწყურში ხდებოდა. ასე მეჩვენება, რომ წმინდა გიორგის ცნობილი დღეობა აწყურში საამისოდ უეჭველი საბუთი არ არის.

ამათ ცალ-ცალკე ბასილევსები ჰყავდათ. სტრაბონის (თუ მისი წყაროს) დროს უკვე ერთი ბასილევსია.

კ. ტრევერის გამოკვლევით (რაც, ცხადია, სტრაბონის ცნობებზედაც არის დამყარებული) IV—II სს. ალბანიის ისტორიაში პირველი ეტაპია, როდესაც ალბანთა ტომებისაგან ჯერ არ შექმნილა სახელმწიფო. მეორე ეტაპი ქრონოლოგიურად ძვ. წ. I — ახ. წ. III სს.-ით განისაზღვრება, როდესაც სრულდება სხვადასხვა ტომთა გაერთიანება და ალბანიის სახელმწიფოს წარმოშობა¹.

ალბანიის იმ აღწერილობაში, რაც აქვს სტრაბონს. უკეთ ჩანს ის ზანა, როდესაც ალბანია ერთ სახელმწიფოდ არ იყო გაერთიანებული (მხოლოდ იქ ჩანს ის გაერთიანება, სადაც ლაპარაკია ერთ ბასილევსზე და პომპეუსის წინააღმდეგ დიდი არმიის გამოყვანაზე). მრავალენიანობა და მრავალტომიანობა კი ალბანიას (უფრო სწორად, მის დაღესტნურ ნაწილს) დღემდე შერჩა. ის გაერთიანება პოლიტიკური იყო.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმ ხალხების შესახებ, რომლებიც დიდ კავშირში ჩანან ქართველ ტომებთან. მათ ხშირად ახსენებს სტრაბონი და ბევრ შემთხვევაში საინტერესო ცნობებსაც იძლევა მათ შესახებ.

დასკენის სახით, ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ სტრაბონის „გეოგრაფია“ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერძნული წყაროა საქართველოს ისტორიისათვის, თავისი მრავალრიცხოვანი, მრავალმხრივი, საინტერესო და ძირითადად უტყუარი მასალით და მისი საფუძვლიანი ცოდნა აუცილებელია საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდში მომუშავე, თუ ამ პერიოდით დაინტერესებულ პირთათვის.

ტექსტი: 1. A. Meineke, Strabo, Geographica, Lipsiae, Teubner-ის სერიის გამოცემა 3 ტომად, I გამოცემა, 1860—1866 წწ. (და შემდეგ მრავალგზის გადაბეჭდილი).

2. Strabo, Geography by H. Jones, Loeb-ის სერიაში, 1917—32 წწ.

3. Strabonis Geographica in 17 Büchern, Text, Übersetzung und erläuternde Anmerkungen von W. Aly, 1957 წ. და შმდ. (გამოცემა ჯერ არაა დასრულებული და ჩვენში არც მოიპოვება).

¹ К. В. Тревер, К изучению Кавказской Албании. Тезисы докладов... 1956, стр. 27—28. მისივე. Очерки по истории и культуре Кавказской Албании, М.-Л., 1959.

რუსული სრული თარგმანები: Ф. Г. Мищенко-სი, 1879 წ. Г. А. Стратановский-ს, 1964 წ.

ნაწყევტები: В. Latyshev, SC, I, ВДИ, 1947, № 4.

ქართული: თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრახონის გეოგრაფია, 1957 წ. (XI წიგნი მთლიანად, დანარჩენი 16 წიგნიდან მხოლოდ ცნობები საქართველოს შესახებ).

კლავდიოს პტოლემეაძის (100—178), სახელგანთქმული ალექსანდრიელი მოღვაწე, XVI ს.-მდე ითვლებოდა მეცნიერული ასტრონომიისა და გეოგრაფიის ფუძემდებლად და ურყევ ავტორიტეტად. მისი შრომები აღრევე იყო თარგმნილი ლათინურ და არაბულ ენებზე. მისი გეოცენტრული თეორიის უარყოფა მხოლოდ კოპერნიკის ჰელიოცენტრული მოძღვრების გაჩენის მერე (1543 წ.) მოხდა.

გეოგრაფიულ მეცნიერებაში კლავდიოს პტოლემეაძისმა შემოიღო გეოგრაფიული პუნქტებისათვის კოორდინატები: — სიგრძე და განედის — დადგენა¹. თავისი ტაბულების შედგენისას ის იყენებდა მოგზაურობათა აღწერებს (პერიპლუსებსა და პერიეგესისებს), იტინერარიებსა და მოხელეთა ოფიციალურ მოხსენებებს მანძილთა შესახებ სხვადასხვა პუნქტებს შორის.

მისი თხზულება „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ (Γεωγραφικὴ ὑπόληψις), მიუხედავად ბევრი შეცდომებისა და უზუსტობისა, რაც მასშია, საშუალო საუკუნეებში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისა და ღირებულებისა იყო.

ნაშრომი შედგება 8 წიგნისაგან, მისი $\frac{3}{4}$ ტაბულებსა და რუკებს წარმოადგენს; ამას გარდა მასში არის მასალა ცალკეულ მხარეთა საზღვრებისა და ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის შესახებ.

აღნიშნულ ნაშრომში, ძირითადად მის V და ნაწილობრივ VIII წიგნებში, არის უნიკალური ცნობები ძველი საქართველოს გეოგრაფიისათვის (ისტორიისათვის).

¹ ავტორის მცდარი გეოცენტრისტული მოძღვრება იყო მიზეზი იმისა, რომ მან გრადუსის სიგრძე სწორად ვერ გამოიანგარიშა. ამას გარდა, გამოშვაც არ ჰქონდა მას ზუსტი — რაც უფრო მეტად იყო დაშორებული რომელიმე პუნქტი დიდ ქალაქებს (რომს, ალექსანდრიას...), რომელთა შესახებ მას მეტნაკლებად ზუსტი ცნობები ჰქონდა დამყარებული ასტრონომიულ გამოთვლაზე, მათ უფრო მეტი იყო ცდომილება, რასაც ის უშვებდა.

კლავდიოს პტოლემეაძისათვის საწყისი მერიდიანი იყო კანარის კუნძულებზე გამავალი მერიდიანი, ე. ი. ატლანტის ოკეანეში, აფრიკის სანაპიროსთან, ხოლო საწყისი პარალელი — კუნძ. როდოსის პარალელი, ხმელთაშუა ზღვაში, დაახლოებით კრეტასა და კვიპროსს შორის.

ავტორს სხვადასხვა დროის წყაროები აქვს გამოყენებული, ესენი არიან: ლოგოგრაფოსები, ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი; სტრაბონი, პლინიუსი და მისი თითქმის თანამედროვე — არიანე. იმისათვის, რომ კლავდიოს პტოლემეაფოსის ცნობებში გავერკვეთ (რაც საკმაოდ რთული ამბავია) და ისინი გამოვიყენოთ, საჭიროა მისი მასალის შედარება სხვა ავტორების მიერ დაცულ ცნობებთან და ასეთ ავტორებად გვევლინებიან. როგორც ზემოთ აღნიშნული მის წყაროებად დასახელებულნი, ასევე ზოგი შემდგომ ხანაში მოღვაწე ბიზანტიელი ისტორიკოსები¹.

„გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს“ V წიგნში (IX თავი) მოცემულია კოლხიდის აღწერილობა: მისი საზღვრები, ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა სახელები და ბევრი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება.

როგორც დადგენილია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში (და რაც დამყარებულია სხვა მონაცემებთან ერთად ბერძნულ-რომაულ წყაროებზედაც) კლავდიოს პტოლემეაფოსის დროისათვის (II ს.-ში) ერთიანი კოლხიდის სახელმწიფო აღარ არსებობს, მის ადგილას უკვე რამდენიმე დამოუკიდებელი ერთეულია. ძველი და ახალი მასალის გამოყენებისას, როგორც ჩანს, ავტორი ყოველთვის ვერ გარკვეულა საქმის ქეზმარიტ, მის თანამედროვე ვითარებაში.

როდესაც ერთიან კოლხიდაზე ლაპარაკობს გეოგრაფოსი, ის უთუოდ ამ დროს ძველ წყაროებს ეყრდნობა; მაგრამ ამავე დროს ახალი წყაროების მონაცემებიც გვაქვს იქვე. სახელდობრ: კლავდიოს პტოლემეაფოსი იქნობს და აგვიწერს კაპადოკიის პონტოს (V, 6 და ახსენებს რამდენჯერმე სხვაგანაც); ამას გარდა კოლხიდის საზღვრებს გარეთ ახსენებს *χαρσεβον τειχοεις*-ს (მაგარ კედელს), რაც გაიგივებულია ძველ პიტიუნტთან (ბიჭვინთთან), რომელიც ძველ კოლხიდაში შედიოდა ყოველთვის, მხოლოდ II ს.-ის პირველი ნახევრიდან დროებით ბოსფორის სამეფოს გამგებლობაში აღმოჩნდა (არიანეს ცნობის მიხედვით).

უთუოდ ეშლება გეოგრაფოსს, როდესაც მის მიერ ხსენებული კოლხიდის სამხრეთ საზღვრად მდ. ფასისს (რიონს) ასახელებს, და

¹ ასეთი სამუშაო ჩატარებული აქვს ნ. ლომოურს, იხ. მისი „კლავდიოს პტოლემეაფოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ“, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 32, 1955, გვ. 39—65.

ჩემი შრომის ეს პარაგრაფი ძირითადად ნ. ლომოურის გამოკვლევას ემყარება. აქა-იქ მაქვს შეტანილი პატარა კორექტივი.

ტერიტორიას ფასის-რიონიდან ტრაპეზუნტამდე კაპადოკიის პონტოს საზღვრებში აქცევს¹.

იმ ტერიტორიაზე, რომელსაც კლავდიოს პტოლემემაფოსი კოლხი-დას უწოდებს, ე. ი. მდ. კორაქსიდან მდ. ფასისამდე, თუ ზღვის სანაპირო ზოლს ვიანგარიშებთ, ე. ი. თანამედროვე მდ. ბზიფის შესართავიდან მდ. რიონის შესართავამდე, ცხოვრობენ ტომები: ლაზები, მანრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი (§ 5). ლაზები — ზღვისპირა არიან, ხოლო დანარჩენები — ზღვისაგან მოშორებით, ლაზებს ზემოთ. სრულიად გარკვეულია, თუ პტოლემემაფოსის „ლაზები“ სად ცხოვრობენ; ლაზთა სახელი ბერძნულ-რომაულ მწერლობაში შედარებით ახალი გაჩენილია (მემნონი ძვ. წ. I ს., პლინიუსი — ახ. წ. I ს.), ისე რომ, აქაც გეოგრაფოსს ახალი წყარო ჰქონდა ხელთ. რაც შეეხება „მანრალებს“ და ეკრიკტიკის ქვეყანას, ესეც პტოლემემაფოსის შემოტანილია ბერძნულ მწერლობაში² და ქართველი ისტორიკოსები ამ სახელწოდებებს „ეგრ“ — ძირს უკავშირებენ (საიდანაც წარმოსდგება ქართული „ეგრისი“ და „მეგრელი“).

აღნიშნული კოლხიდის ჩრდილოეთით, იმ თავში, რომელიც აზიის სარმატიის აღწერილობას იძლევა (თავი VIII), იხსენიებიან ტომები: აქაეები, ეერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები. პირველ სამ ტომს არაერთი ძველი ავტორი ასახელებს და როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში კლავდიოსს პტოლემემაფოსს ძველი წყარო ჰქონდა ხელთ — მისი ჰენიოხები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილო ნაწილში არიან (და არა სამხრეთ ნაწილში, როგორც ეს უფრო გვიანდელ წყაროებში არის). რომ მას ძველი წყარო ჰქონდა ამ ნაწილისათვის ხელთ, ამაზე მიუთითებს ზინხების (ანუ ჭიქების) ხსენებაც სარმატიაში³, რაც სტრაბონის დროიდან იცვლება. სტრა-

¹ ძველ წყაროებში ეს ტერიტორია ყოველთვის კოლხიდის კუთვნილია, ხოლო რაც შეეხება უფრო ახალ ვითარებას, კაპადოკიის პონტოს ჩრდილოეთ საზღვარი არასოდეს ამოსულა ფასის-რიონამდე!

² „მანრალები“ მხოლოდ პტოლემემაფოსს ჰყავს საერთოდ ხსენებული, ხოლო „ეკრიკტიკის ქვეყანას“ ახსენებენ ლათინი ავტორები: პომპონიუს მელა (I, 19) და პლინიუსი (VI, 4). მანრალებს დ. მუსხელიშვილი კლავდიოს პტოლემემაფოსისა და სომხური წყაროს ცნობების ანალიზის საფუძველზე არგვეთის ტერიტორიაზე ათავსებს; „მანრალი“ იგივეა, რაც „მარგველი“; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1972 წ. გვ. 103 და შმდ. (მანქანაზე გადაბეჭდილი). იგივე აზრი, უფრო ზოგადად, ადრე გამოთქმული ჰქონდა ს. კაკაბაძეს, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გენეზისი. საისტორიო მოამბე, 1924, 1 წ. გვ. 30.

³ RE, VIII, გვ. 263. პტოლემემაფოსის ზინხების საცხოვრისი მდ. ყუბანისა და მდ. ლაბას სათავეებთან ივარაუდება.

ბონის ზიგები (ჯაყოს) უკვე შავი ზღვის პირას არიან, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში ჩამოვიდნენ და სტრაბონის შემდეგი დროის წყაროები მათ სწორედ ამ ტერიტორიაზე მოიხსენიებენ ხოლმე.

ცალკე დგას სუანოკოლების საკითხი, რომელთაც მხოლოდ პტოლემემაჟოსი ასახელებს და ასახელებს დაახლ. ჰენიოხებსა და მდ. კორაქსს (ბზიფს) შორის, ე. ი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაახლოებით ამავე ადგილას არიანეა და სხვა ავტორებს საწიგები ჰყავთ ხსენებული. თვით სახელწოდება „სუანოკოლები“ (Σουαννοκόλοι) აშკარად ორი, ჩვენთვის ნაცნობი სახელისაგან შედგება — „სუანი“ (სვანი) — ზოგ მკვლევარს უჩნდება სურვილი ამ სიტყვაში სან-ძირი დაინახოს — და „კოლხი“. პაპე და გ. მელიქიშვილი მაგ., მეორე კომპონენტს სრულიად უარყოფენ და „სუანოკოლებს“ აიგივებენ „სვანებთან“¹. რას უნდა მოასწავებდეს ამ ორი ტომის სახელის გაერთიანება, მთლად ნათელი არ არის.

მე ვფიქრობ, რომ ეს ორმაგი სახელი იმავე რიგისაა, როგორც პლინიუსის (VI, 4, 11) „არმენოხალიბები“ და პლუტარქოსისა და ევსტათის (დიონისიოს პერიეგეტუს 163 ტაეპის კომენტარში) „ტავროსკვითები“. პაპე სამივე ამ სახელს სხვადასხვა რიგის განმარტებას აძლევს. სუანოკოლების შესახებ უკვე ვთქვი, ისინი მას უბრალოდ სვანებად მიაჩნია, „არმენოხალიბები ის ხალიბები არიან, რომლებიც ცხოვრობენ დიდ არმენიასა და კოლხიდას შორის“, ხოლო „ტავროსკვითები არის ტომი ევროპულ სარმატიაში, სკვითებისა და ტავრების შერევის შედეგად წარმოშობილი“. ასე რომ, მისთვის არ არის კანონზომიერება ამ კომპონენტების ახსნისა; სამივე შემთხვევაში სამი სხვადასხვა კრიტერიუმი აქვს. გ. მელიქიშვილს „არმენოხალიბები“ ესმის როგორც არმენიელებთან ასიმილირებული ხალიბები (იქვე, გვ. 85), ხალიბები, რომლებიც ძვ. წ. II ს.-დან მკირე არმენიის შემადგენლობაში შედიოდნენ (იქვე, გვ. 302). მე პირადად ეს ორმაგი სახელები ასე მესმის: „სუანოკოლები ნიშნავს კოლხ სვანს, ე. ი. იმ სვანს. რომელიც კოლხია, ე. ი. ტომით სვანია, მაგრამ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც კოლხიდაში შედის; არმენოხალიბები ეს ის ხალიბები არიან, რომლებიც არმენიაში ცხოვრობენ (ასიმილაციის საკითხი, ვფიქრობ, სახელწოდებაში არაა ანახული); „ტავროსკვითი“ ის ტავრია, რომელიც სკვითთაშია (ამ

¹ პაპე კომენტარებს გარეშე, ხოლო გ. მელიქიშვილი მისი იმ საერთო მოსახრების საფუძველზე, რომ სვანებს ოდესღაც გაცილებით უფრო ვრცელი ტერიტორია ეკირათ, ვიდრე შემდეგ (Г. А. Мелник и Ш. В. И. И., «К истории...», стр. 92).

კონკრეტული მაგალითის მიხედვით, ისინი მეოტისთან არიან, დიონ. პერ. 163) და არა სხვა ტავრები.

ამ ორმაგ სახელებში ერთი კომპონენტი მეორეს კი არ ფარავს, არამედ ერთით არის ახსნილი, განაზღვრული მეორე.

განახვევებული აზრისა მ. როსტოვეცივი ამ საკითხზე — თითქოს პოსეიდონიოსის ეთნოგრაფიული თეორიიდან მომდინარეობს შეჩვეულ ტომთა არსებობა, რომელთათვისაც ის ქმნიდა კიდევაც საგანგებო სახელებს. ასე შეუქმნია მას „კელტიბერები“ და „ელინოგალატები“. ამის მსგავსად გაუკეთებია მერე სტრაბონს „კელტოსკვითები“ და გაუწვრილებია „კელტიბერები“ („Скифия и Боспор“, გვ. 39). მე არ გეონია, რომ პოსეიდონიოსს ეს თეორია რაღაცა უსაგნო და განყენებული იყოს და რომ ის ხელოვნურად ქმნიდა არარსებულ ტომებსა და ზალზისათვის პირობით სახელს (კელტიბერებს, ელინოგალატებს და კელტოსკვითებს თავთავისი ახსნა მოეპოვებათ).

კოლხიდის ტერიტორიაზე კლავდიოს პტოლემეაძის შემდეგ მდინარეებს აღნიშნავს: მდ. ჰიპოსს (= თანამედროვე კოდორს), მდ. კვანეოსს (= მოქვის წყალს)¹, მდ. ზარიუსტოსს (= მდ. ხობს), ფასისს (= რიონს). კოლხიდის ჩრდილო საზღვარი არის მდ. კორაქსი (= ბზიფს). აქ ასეთი რამ უნდა შევნიშნოთ: მდ. ბზიფის ძველი, ქართული სახელი არის კაპოეტის წყალი. ბერძნულ ძეგლებში ამ მდინარის (და მის მიდამოებში არსებული ტომისა და ნაგებობების) აღსანიშნავად იხმარება *აბპაჯ* ფუძის შემცველი სიტყვა. *აბპაჯ* ბერძნულად მტაცებელ ფრინველს (ყვავს) ნიშნავს, ხომ არ წარმოადგენს „კორაქსი“ კაპოეტის თარგმანს? (ისევე, როგორც ჰიპოსი-ცხენისწყალს, ბოასი — ყვირილას, როდოპოლისი — ვარდციხეს და სხვ.).

კოლხიდის ტერიტორიაზე აღნიშნული დასახლებული პუნქტებისა და ქალაქების იდენტიფიკაცია თანამედროვე ქალაქებთან არ იწვევს ეჭვს: ასეთებია: დიოსკურია ანუ სებასტოპოლისი — თანამედროვე სუხუმში ან სუხუმის ნაწილი, სიგანეონი — თანამედროვე გუდაუა (უფრო ადრინდელი გუდაყვა) ერისწყლის პირას; ფასისი —

¹ პტოლემეაძის „კვანეოსი“ უეჭველად კავშირშია ქ. „კვანოსთან“ (ფსევდო-სკილაქსი) და ქ. Cynnum-თან (მელა). ეს ხომ ჩვეულებრივია — მდინარე და მასზე მდებარე ქალაქი ერთი სახელისა არიან ხოლმე — მაგ., ფასისი; ბათისი; აბაშა და აბაშისწყალი და სხვ. ამ მდინარის ადგილას არიან ახსენებს „ტარსუ-ფას“, ხოლო ანონიმი მოქვსს. ისე რომ, ამ მხრივაც ადვილდება ამ მდინარის იდენტიფიკაცია მოქვისწყალთან, პირდაპირი მითითებაც კია ანონიმთან (მოქვსს = სოქვს).

ქალაქი თანამედროვე ფოთის რაიონში; კოლხიდისავე ტერიტორიაზე კლავდიოს პტოლემამაოსი ახსენებს ქ. აფას (ხობის შესართავთან თითქოს ახლოს), რომლის დაზუსტება რომელიმე თანამედროვე პუნქტთან არ ხერხდება და რომლის ხსენებაც „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ლიტერატურული ტრადიციით თუ აიხსნება (ეს სახელი არგონავტების მითთან დაკავშირებით არის გაჩენილი მწერლობაში).

ამვე ტერიტორიაზე ქ. ნეაპოლისზეა (ე. ი. ახალქალაქი) ლაპარაკი, რაც არ გვხვდება არც ერთ სხვა წყაროში. არის გამოთქმული ვარაუდი, რომ ეს ქალაქი არიანემ ააშენა მდ. ხობოსის (= თანამედროვე ენგურის) შესართავთან. კოლხიდის არა სანაპირო ზოლში, ანამედ შიგნით, „შუა ქვეყანაში“ კლავდიოს პტოლემამაოსი ასახელებს „ქალაქებსა და სოფლებს“:

მეხლესოსს (=პროკოპი კესარიელის მოხიროსის, თანამედროვე მუხურის ციხეს, სამტრედიის რაიონში), სარაკეს (=სარაპანას, შორაპანს), სურიონს (=სვირსა თუ სულორს), მაღიას, რასაც უკავშირებენ პლინიუსის Malium-ს, მაგრამ ამისი ლოკალიზაცია ჯერ არ გვაქვს (ხომ არ არის პლინიუსის Malium „ბათუმის“ დამახინჯება?) და სხვ.

კლავდიოს პტოლემამაოსის მიერ კოლხიდად განსაზღვრული ტერიტორიის გარეთ არის მთელი რიგი მდინარეებისა და ადგილებისა, რომელთა ხსენება სხვა ავტორებთან ისევ კოლხიდაში ხდება ხოლმე. ამათგან მოვიყვან მხოლოდ ძირითადს: ჩრდილოეთით, ე. წ. სარმატიის ტერიტორიაზე დასახელებულია სოფელი აქადა (რაც იგივეა, რაც არიანეს „ძველი აქადა“) და რაც უნდა ივარაუდებოდეს გელენჯიკსა და ტუაფსეს შორის; მასზე სამხრეთითაა „ქალაქი ტაძოსი“, რაც მათუღერის სამართლიანი კონაექტურით უნდა იყოს „ქალაქი ლაძოსი“ (იგივე არიანეს „ძველი ლაზიკა“ და ანონიმის ნიკოფსისი — ნიკოფსია, ე. ი. სოფ. ნოვომიხალოვსკაას გვერდით შემორჩენილი ძველი ნაქალაქარი). აქვეა ხსენება „მაგარი კედლისა“, Καρτερὸν τεῖχος, რომელიც არქეოლოგ ბ. კუფტინის გამოკვევით პიტიუნტის (ბიჭვინთის) ადგილას იყო. მის მახლობლად გეოგრაფოსი აღნიშნავს დასახლებულ პუნქტს, ოფანთესს, რომელიც სპეციალისტების საერთო აღიარებით არიანეს „ნიტიკა“ ეკვივალენტია, ხოლო „ნიტიკა“ კი თანამედროვე გაგრიის ტერიტორიაზე ივარაუდება (რა თქმა უნდა, სახელების მსგავსებაზე ლაპარაკი ზედმეტია).

კოლხიდის სამხრეთით, კაპადოკიის ტერიტორიაზე კლავდიოს პტოლემამაოსი ასახელებს აფსოროსსა და მდ. აფსოროსს. ეს მდი-

ნარე იგივე კოროხია, ხოლო მისი მოსახელე დასახლებული პუნქტი თანამედროვე გონიოს (თუ სარფის) ადგილზეა სავარაუდებელი.

გეოგრაფიკი აღნიშნავს ორ მდინარეს, გლავკოსსა და ლიკოსს, რომლებიც, როგორც ჩანს, ერთ ადგილას ერთიან კოროხს. თუ აქ მდ. ფასიათან დაკავშირებით ცნობილ „გლავკოსთან“ და „ჰიპოსთან“ არ რევეს გეოგრაფოსი ამ შენაკადებს, მაშინ, შესაძლოა მართალი იყოს ნ. ლომოურის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ამ სახელებით თანამედროვე ოლთუ-ჩაი და თორთუმი არიან მოხსენიებული¹.

აზიის სარმატიკაში ათავსებს კლავდიოს პტოლემეაოსი ჰიპიისა და კორაქსის მთებს (კავკასიონის ქედის არსებობა, ცხადია, მან იცის); კისლინგის აზრით, ეს შეცდომაა და ჰიპიის მთა უნდა იყოს კავკასიონის ქედის ნაწილი, დაახლ. ის ადგილი, საიდანაც გამოდის მდ. ჰიპოსი (ე. ი. ცხენისწყალი). ამის ანალოგიით იქვე ხსენებული კორაქსის მთა (რომელიც ნ. ლომოურს კავკასიონის უკიდურეს დასავლეთის ნაწილად მიაჩნია), ჩემის აზრით, უნდა დავუკავშიროთ (იმვე სახელების მსგავსებებს ნიადაგზე) მდ. კორაქსს, ე. ი. ბზიფს, ამ შემთხვევაში კორაქსის მთა იქნება თანამედროვე ბზიფის ქედი.

ამრიგად, კოლხიდის გეოგრაფია, რომელიც მოცემულია კლავდიოს პტოლემეაოსის „სახელმძღვანელოში“, შეიცავს რამდენიმე, სხვა წყაროების მიხედვით სრულიად ახალ ცნობას, მაგრამ ძირითადად ის მაინც მისდევს ფსევდო-სკილაქსის და არიანეს „პერიპლუსებს“ და პლინიუსის NH-ს.

¹ „გლავკოსი“, როგორც სტრაბონთან დაკავშირებითაც აღვნიშნე, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ამ ორ ავტორთან არის ხსენებული, ხოლო, რაც შეეხება *Αύγιος*-ს, მას სხვა ავტორებიც იცნობენ. მაგ. ფსევდო-სკილაქს არიანელი მარიანდინების ტერიტორიაზე (ე. ი. მეორე აზიის შავი ზღვის სანაპიროზე) ქ. ჰერაკლესთან ასახელებს ორ მდინარეს — ლიკოსს (*Λύκος*) და ჰიპოსს (*Ύψιος*). ცხადია, ესენი კოროხის შესართავები ვერ იქნებიან, მაგრამ „ლიკოსი“ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ცნობილი მდინარეა. აქ ეს წყვილი (ლიკოსი და ჰიპოსი) იხსენიება, სტრაბონთან მეორე წყვილი — გლავკოსი და ჰიპოსი, ისე რომ, სრულიად დასაშვებია, რომ კლავდიოს პტოლემეაოსს, რომელიც სარგებლობდა როგორც ფსევდო-სკილაქსის, ისე სტრაბონის ნაშრომებით, ამ ადგილას პატარა მეტათესისი დაემართა: „ფასისს“ „გლავკოსი“ და „ჰიპოსი“ ერთვის; „აფსაროსი“, ზოგი წყაროს მიხედვით იგივე „ფასისია“, ჰერაკლესთან „ლიკოსი“ და „ჰიპოსი“ მიედინებიან; „აფსაროს — ფასისს“ უეჭველია რაღაცა მდინარეები ერთვის — საბოლოოდ ფასისს—აფსაროსს „გლავკოსი“ და „ჰიპოსი“ დაუკავშირდნენ. მეორეს მხრივ, რადგან კოროხს უეჭველად ერთვის ორი მდინარე, შესაძლებელია, რომ ეს მდინარეები თანამედროვე ცნობილ მდინარეებთან გაეაიგივოთ, მეტნაკლებად რომ აკმაყოფილებენ გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში წამოყენებულ პირობებს.

იბერიის შესახებ (თავი X) კლავდიოს პტოლემემაფოსს ბევრი ახალი, საინტერესო, მაგრამ ჭეშრაც გაურკვეველი და დაუმუშავებელი ცნობა მოეპოვება. როგორც ჩანს, მას ამ შემთხვევაშიც ძველი და ახალი წყაროები აქვს გამოყენებული, შერწყმული (და ზოგჯერ არეული).

იბერიის საზღვრები გეოგრაფოსს ასე აქვს წარმოდგენილი — ჩრდ. საზღვარია სარმატია, კავკასიონის ქედი, დასავლეთის საზღვარი — კოლხიდა — კავკასიონის ქედის განტოტება (ე. ი. თანამედროვე სურამის ქედი), სამხრეთის საზღვარი — დიდი არმენია — მდ. მტკვარი და აღმ. საზღვარი — ალბანია (აქ არაა მოცემული ისე მკაფიოდ კოორდინატები, რომ გასაგები იყოს, სად ვარაუდობს ავტორი ამ საზღვარს). რაც შეეხება იბერიის ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრებს, აქ ეს შეტნაკლები სიზუსტითაა მოცემული (თუმცა I ს.-სთვის ამ საზღვრების უფრო გაწევა შეიძლებოდა, კავკასიონის ქედს გადაღმა, უფრო ჩრდილოეთით და სურამის ქედზე უფრო დასავლეთით, ისე რომ, შორაპანი და სკანდე იბერიის საზღვრებში მოხვედრილიყვნენ).

რაც შეეხება სამხრეთის საზღვარს, როგორც ჩანს, კლავდიოს პტოლემემაფოსი სარგებლობდა დაახლ. ძვ. წ. II ს. წყაროთი, როდესაც არმენიის ხელში იყო გუგარეთი და კლარჯეთი (სტრაბონის „გოგარენე“ და „ზორძენე“; იმავე კლავდიოს პტოლემემაფოსის „ტროსარენე“ და „კატარძენე“), მაგრამ ამავე დროს ყურადღებას იპყრობს ის ცნობა, რომ იბერიის ქალაქთა შორის ავტორი ახსენებს „არტანისას“ (ე. ი. არტანუჯს), რომელიც „კატარძენეს“ (ე. ი. კლარჯეთის) ცენტრია. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ მას ახალი წყარო გამოუყენებია.

რაც შეეხება იბერიის აღმოსავლეთის საზღვარს, დაახლ. კლავდიოს პტოლემემაფოსის დროისათვის, ის გადიოდა იორსა და ალანს შორის, ისე რომ, იორის სამხრეთი ნაწილი არც კი შედიოდა იბერიაში (ის ალბანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა) ¹.

იბერიის ტერიტორიაზე 9 ქალაქსა და სოფელს ასახელებს კლავდიოს პტოლემემაფოსი, მათ შორის დავასახელებ მათ, რომელთა იდენტიფიკაცია ხერხდება თანამედროვე ან სხვა წყაროებით ცნობილ დასახლებებთან, ესენია: ჰარმაქტიკა (იგივე ჰარმოზიკე ანუ არმაზციხე), მესტლეტა (მესხეტა — ანუ მცხეთა) — ესაა პირველი

¹ ეს საზღვარი ნ. ლომოურს გარკვეული აქვს ბერძენი ავტორების ცნობებს გარდა ქართული წყაროების მონაცემების მიხედვით (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბაგრატიონი).

ხსენება იბერიის ძველი სატახტო ქალაქისა სწორედ ამ სახელით (თორემ მისი ნაწილი და მეზობელი ქალაქი ჯერ კიდევ სტრაბონმა აღნიშნა — ჰარმონიკე და სისამორა), ძალისა (დღევანდელი ძალისი, მუხრანის დაბლობზე)¹, სურა (შესაძლოა არის სურამი) და არტანისსა (იგივე არტანუჯი. მითუმეტეს რომ არის ხელნაწერი, სადაც სწერია Ἀρτανισσα ← Ἀρτανισσα-დან). ის გარემოება, რომ კლავდიუს პტოლემეაოსი იცნობს ამ ქალაქებს, იმის მომასწავებელია, რომ მისი დროისათვის (ან მისი წყაროს დროისათვის) ისინი მნიშვნელოვან დასახლებულ ადგილებს წარმოადგენენ და თუ სტრაბონი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული დაბებითა და ქალაქებით“ (XI, 3,1), კლავდიოს პტოლემეაოსი კიდევაც აღნიშნავს ამ კარგად დასახლებულ პუნქტებს.

არტანისსა (არტანუჯი) ქოროხის აუზშია და ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზეა და კლავდიოს პტოლემეაოსის მიერ მისი იბერიაში ხსენება უდავოდ მაუწყებელია იმისა, რომ მისი წყაროს დროისათვის იბერიის სახელმწიფო მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გარკვეულ პროვინციებს (ეს ხდება ახ. წ. I ს.-ში).

სარმატიის ტერიტორიაზე (VIII თ.) კლავდიოს პტოლემეაოსი ასახელებს ტომებს, რომლებიც სხვა ავტორთა ცნობათა თანახმად ჩვენს სიანამდვილეს უკავშირდებიან, ასეთები არიან ფთეაროფაგები და ზინხები. ზემოთ მქონდა შემთხვევა მეთქვა, რომ ზინხების ხსენება კავკასიონის ქედის გადაღმა იმის მაუწყებელია, რომ ავტორს მქონდა ამ საკითხში უფრო ძველი წყარო, ვიდრე სტრაბონია. იგივე უნდა ითქვას ფთეაროფაგებთან დაკავშირებითაც — ფთეაროფაგებს სტრაბონი სვანების მეზობლად ათავსებს; ხოლო მსგავსი სახელის ტომს — ფთეაროტროგებს იცნობს ჰეროდოტე, დაახლოებით იქვე, სადაც კლავდიოს პტოლემეაოსის სარმატიაა (სხვათაშორის, საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის მომცველი ცნება). (როგორც ჩანს, (ეს ორი ტომი) (და შესაძლოა კიდევ ბევრი სხვაც, ამავე კონტექსტში — ძალიან ბევრი ტომის სახელია ამავე წ.-ში, მაგრამ მათი იდენტიფიკაცია ჯერ არ არის ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში) (დაახლ. ჰეროდოტეს დროისათვის ცხოვრობდნენ სარმატიაში (ე. ი. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით) და ძვ. წ. I ს.-სათვის უკვე ჩამოსახლებულან ამავე ქედის სამხრეთ კალთებზე (მიზეზი ამ ჩამოსახლებისა ჯერჯერობით უცნობია).

ასე ვთქვათ, აღმოსავლეთ სარმატიაში კლავდიოს პტოლემეაო-

¹ სადაც ამაჟამად ბრწყინვალე ძველი გათხარა არქ. ა. ბოხოჩაძემ.

სი ასახელებს ტუსკებს, დიდურებსა და სანარებს. ესენი უნდა იყვნენ თუშები, დიდოელები და წანარები (ეს უკანასკნელი კარვად ცნობილი ქართული, სომხური და არაბული წყაროების მიხედვით).

თუ თუშები (წოვა-თუშები) და დიდოელები ჩრდილო კავკასიის (გეოგრაფიის ტერიმინოლოგიით ჰარმატიის) მცხოვრებლებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, წანარების საცხოვრისად დარიალის ხეობა არის მიჩნეული, რაც ასევე იმაზე მიუთითებს, რომ ან ძველი წყარო ჰქონდა აქაც კლავდიოს პტოლემეაოსს (სხვა ბერძნულ-რომაული წყაროები არ იცნობენ ამ ტომს, ისე რომ, ჰირს ამისი მტკიცება), ან კიდევ ის უნდა ვიფიქროთ, რომ მან გარკვეული უზუსტობა დაუშვა.

არმენიის ტერიტორიაზე იხსენიებიან ბოხები (მდ. ჰოროხს ვოხ-ჰქვია სომხურად და იქ მოსახლე ტომი უნდა იყოს), პროვინციები კატარძენე — მოსხურ მთებთან და ტოსარენე მდ. კიროსის გასწვრივ. რომ გავითვალისწინოთ ხელნაწერთა კითხვა-სხვაობანი (მაგ. ტოსარენესთვის — ობარენე, ოგარენე), სხვა ავტორთა (ბერძენთა და არაბერძენთა) მონაცემები და ისტორიული სინამდვილე, ეს ოლქები გასაიგივებელია შემდეგი დროის ქართული წყაროების კლარჯეთთან და გუგარეთთან, ხოლო კლავდიოს პტოლემეაოსის აღნიშნული ცნობა დასათარიღებელია ძვ. წ. II ს.-ით, როდესაც ეს ოლქები არმენიამ ჩამოგვაჭრა.

არმენიის მდინარეთა შორის კლავდიოს პტოლემეაოსი ასახელებს არაქსს, ხოლო არმენია — იბერიის საზღვარზე მდ. კიროსს (ამ მდინარის ხსენება სხვადასხვა კონტექსტში არაა). არმენია-კავადოკიის საზღვარზე რამდენჯერმე გვხვდება მოსხური მთების სახელი და ერთხელ პარიადრის. ჯენს სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ მსჯელობა საკმაოდ ხშირია (როგორც ჩანს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაზუსტებელია ხოლმე ამ მთების ზუსტი მდებარეობა, თუმცა, ძირითადად ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არიან სავარაუდებელი).

ამ მთებად მიჩნეულია აღმ. პონტოს ქედის ის ნაწილი, რომელიც ჰოროხის ქვემო წელიდან ტრაპეზუნტ — ბაიბურთის ხაზამდე ვრცელდება.

კლავდიოს პტოლემეაოსი „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ VIII თავში ორჯერ სხვადასხვა კოორდინატების აღნიშვნით ასახელებს „სარმატიის კარს“. ერთს ურთავს განმარტებას, რომ ის არის იბერიის მიჯნაზე. სპეციალისტთა ერთსულოვანი განსაზღვრით, ამ სახელწოდებით უნდა აღინიშნებოდეს „დარიალი“, ხოლო მეორე კარი სარმატიისა, გაურკვეველია. ჯერაც დაუდგენელია, თუ რომე-

ლი გადასასვლელი იგულისხმება ჩრდილო და ამიერკავკასიას შორის.

ამას გარდა გეოგრაფოსმა იცის კიდევ ალბანიის კარის არსებობა, მასაც ორჯერ ახსენებს (VIII და XI წიგნებში), მაგრამ ერთსა და იმავე კოორდინატებს იძლევა. ე. ი. ალბანიის კარი ერთია და არის მოსაზრება, რომ ეს სახელწოდება „დარუბანდს“ გულისხმობს. ამ კართა მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის ყოველთვის დიდი იყო, როგორც ჩანს, ეს ცნობილი იყო გეოგრაფოსისათვის და მან ისინი თავის „სახელმძღვანელოში“ შეიტანა. კლავდიოს პტოლემეაძის ცნობები საქართველოს შესახებ ამით არ ამოიწურება. განსაკუთრებით ბევრია დაუმუშავებელი მასალა იმ თავებში, რაც ეხება სარმატიისა და ალბანიის აღწერას. არის ცდა სხვადასხვა სპეციალისტებისა (RE-ში სტატიები, მანერტის „Geographie der Griechen und Römer“, IV, 1920 და სხვ.) ამ მრავალრიცხოვანი პუნქტების ლოკალიზაციისათვის, მრავალრიცხოვანი მდინარეების იდენტიფიკაციისათვის თანამედროვე მდინარეებთან, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ ჰიპოთეზების ფარგლებშია, ამიტომ მათი გადმოცემისაგან თავს ვიკავებ.

ტექსტი: 1. Claudii Ptolemaei Geographia, e codicibus recognovit, prolegomenis, annotatione, indicibus, tabulis instruxit Carolus Müllerus, Vol. I, pars II. Parisiis, 1901.

2. H. Mzik, Des Kl. Ptolemaios Einführung in die darstellende Erdkunde, Teil I, Wien, 1938 (გერმანული თარგმანითა და კომენტარებით).

3. Ptolemaeus Claudius, Opera quae exstant omnia, ed. Sammert (B'I), 1961.

თარგმანი: Edw. Luth. Stewenson, Geography of Cl. Ptolemy, transl. in English, New-York, 1932.

ნაწიყეებები: B. Latyshev, SC, I, ВДН, 1948, № 4.

ნ. ლოშოვი, კლავდიოს პტოლემეაძის, გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები, № 32, 1955. გვ. 32—65. მისივე, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან: უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107, 1964, გვ. 87—96.

ბერძენ ავტორთა ერთი რიგი გვაწვდის ცნობებს ძველი საქართველოს საგარეო ურთიერთობის შესახებ სხვა ქვეყნებთან, კერძოდ ბერძენულ-რომაულ სამყაროსთან.

ამ დროიდან წყაროებში ინტენსიურად ჩანს იბერია.

ეს ცნობები, უფრო ადრინდელები მათ შორის, ძირითადად მითრიდატე ევპატორის ომებთან დაკავშირებით ჩნდება, ისინი არიან ე. წ. მითრიდატეს ისტორიკოსთა თხზულებებში, ხოლო უფრო გვიანდელი ცნობები ასახავს უშუალოდ რომის ურთიერთობას იბერიასა და კოლხიდასთან.

პირველ რიგში განვიხილავ მითრიდატეს ისტორიკოსების ცნობებს, სადაც მოიპოვება მასალა საკუთრივ ძველი საქართველოს ისტორიისათვის, სადაც ჩანს იბერია და კოლხიდა, როგორც უშუალო თუ უნებლიე მონაწილენი იმ ხანგრძლივი და დიდი ომებისა, რაც რომსა და მითრიდატეს შორის იყო.

მემნონის ცხოვრების თარიღის შესახებ მეცნიერებაში ორი აზრი არსებობს. ერთის მიხედვით ის ახ. წ. I—II სს.-ში ცხოვრობდა, ხოლო მეორე აზრით, რომელიც ლაქერს ეკუთვნის და გაზიარებულია თანამედროვე სპეციალისტების მიერ, ის ცხოვრობდა და წერდა ძვ. წ. I ს.-ის ბოლოს, ან ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

იგი წარმოშობით ჰერაკლეელი იყო და დაწერა „ჰერაკლეს ისტორია“, რომელიც ჩვენამდე მოღწეული ტექსტის მიხედვით შეიკავს პერიოდს ძვ. წ. IV ს.-დან იულიუს კეისრის დრომდე. მისი მიზანია ჰერაკლეს ისტორიის გადმოცემა; ყველაფერი სხვა ჰერაკლესთან მიმართებაში არის წარმოდგენილი.

მემნონი ერთი ისეთი ავტორია, რომელიც ჩვენამდე უშუალოდ არ არის მოღწეული. მისი ნაშრომის შესახებ ვიგებთ ფოტიოსის „ბიბლიოთეკიდან“, სადაც დაცულია მემნონის „ჰერაკლეს ისტორიის“ IX—XVI წიგნები, პირველი 8 წიგნი სულ დაკარგულია და არც XVI-ის მომდევნო წიგნები ჩანს.

მემნონის წყაროთა შორის სხვადასხვა ავტორებს ასახელებენ, ხოლო ჩვენთვის საინტერესო, საქართველოს შესახებ მასალა მითრიდატეს ომებთან დაკავშირებით არის მოცემული. ამის წყაროს პირდაპირ ვერავინ ასახელებს, ვ. ძაგუროვას აზრით, მემნონი სარგებლობდა იმ *σχυραφεις*-ით, რომელთაც იხსენიებს სტრაბონი.

მემნონის ცნობები დიდად მნიშვნელოვნად და სანდოდ არის აღიარებული (რეაჩკი, მომზენი, როსტოვეცი, მანანდიანი, მაქსიმოვა, ძაგუროვა...).

საქართველოსთან დაკავშირებით მემნონს ასეთი ცნობები აქვს: პონტოს მეფემ, მითრიდატემ რომაელების წინააღმდეგ სასტიკი ომი წამოიწყო 89—88 წლების ზამთარში. ამ ომის დროს მან დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები, კავკასიონის გადაღმა მდებარე ტერიტორიამდე თავისი ძალაუფლება განავრცო და მეტისმეტად გადიდგულდა. რომაელებმა სენატის გადაწყვეტილებით უბრძანეს,

რომ სკვიტების მეფეებისთვის მამეული საგამგებლოები დაებრუნებინა. მითრიდატე ამ დადგენილებას უხალისოდ დაემორჩილა და ამავე დროს მოკავშირეებად გაიხადა პართები, მიდიელები, ტიგრანე არმენიელი, ფრიგიელი მეფეები. (მეორე წაკითხვით — სკვიტი მეფეები) და იბერი მეფე (22, 4) ¹.

ძვ. წ. 83 წელს სინოპესთან არის ბრძოლა მითრიდატესა და მურენას შორის. თავდაპირველად ამ ბრძოლებში მეფის ჯარები იყვნენ წარმატებული, მაგრამ ჰერე მტრები რაღაცა მოეშვნენ — მურენა აზიაში გაემართა, ხოლო მითრიდატე ფასისისა და კავკასიონის მიდამოებში გაბრუნდა (26, 4).

სინოპეს ბრძოლასთან დაკავშირებით მოთხრობილია შემდეგი: ძვ. წ. 70 წელს მითრიდატეს მხედართმთავრები და სინოპეში დაყენებული კაცები, კლეოხარე და სელევკოსი ერთმანეთში ვერ მორიგდნენ ლუკულუსთან ბრძოლის დროს. კლეოხარეს უნდოდა ომისთვის ბოლომდე გაეძლო, ხოლო სელევკოსს კი — ყველა სინოპელი გაეულიტა და ქალაქი რომაელებისათვის დაეთმო დიდი სასყიდლის საფასურით. ისინი ვერ შეთანხმდნენ. თავისი ქონება ჩააწყვეს საბარგო ხომალდებში და გაუგზავნეს მახარეს², მითრიდატეს ძეს, რომელიც ამ დროს კოლხიდაში იყო. ამასობაში ლუკულუსმა ქალაქს ალყა შემოარტყა. მახარემ მას მოციქულები მიუგზავნა მეგობრობისა და მოკავშირეობისათვის. ლუკულუსმა ისინი სიამოვნებით მიიღო და მოსთხოვა, სინოპელებისათვის პროვიანტი არ მიეწოდებინათ. მახარემ არა მარტო ეს პირობა შეუსრულა, არამედ უფრო მეტიც გაუკეთა: ისიც, რაც ჰქონდა მომზადებული მითრიდატეს მომხრეებისთვის, ლუკულუსს გაუგზავნა. კლეოხარეს მიმდევრებმა ეს რომ დაინახეს, საბოლოოდ გადაიწყვიტეს იმედი. დიდძალი ქონება დააწყვეს ხომალდზე, ქალაქი დასარბევად მისცეს ჯარისკაცებს და თვითონ კი ნაევით გაიქცნენ პონტოს აღმოსავლეთის მხარეებში; ამ ადგილას ხომ სანეგები და ლაზები სახლობენ... ლუკულუსმა ამის მერე მალე აიღო სინოპე (37, 4—7).

¹ შტრ. Appianus, Mithr. 13, 15. იბერი მეფის სახელია „არტოკეს“, ასევე დიონ კასიოსთანაც (‘Ρη’ XXXVI—XXXVII), რაც ქ’ც-ის არტაგთან გაიგვივა ჯერ ივ. ჯავახიშვილმა და შემდეგ ეს გაზიარებულია ყველას მიერ.

² სახელი მახარე (Μαχάρης) ბერძნულ ონომასტიკონში გავრცელებული არაა. ის რამდენიმე ბერძენ ავტორთან არის დადასტურებული (მემნონი, პლუტარქე, აპიანე, დიონ კასიოსი) და ყველგან ერთსა და იმავე პირს, მითრიდატეს ვაჟს ვარაუდობს. როგორც ჩანს, სხვა „მახარე“ ბერძნულმა წყაროთმცოდნეობამ არ იცის. თვით სახელი ისეთი ავებულებისაა, რომ ჩნდება სურვილი მისი ადგილობრივი ე. ი. ქართული წარმოშობის შესახებ ლაპარაკისა (თუ ეს რაიმე შეუძლებელი ფონეტიკური დამთხვევა არ არის).

მემნონის „ისტორიის“ ეს ნაწილი საინტერესოა ჯერ მახარეს პოლიტიკის დახასიათების თვალსაზრისით და შემდეგ სანეგებისა და ლაზების მოხსენიებით.

მითრიდატეს შვილების სახელები ბევრი ძველი ავტორის შრომის მიხედვით არის ცნობილი. ყველა სხვა წყაროს მიხედვით მითრიდატეს ძე, მახარე, მამამ ბოსფორის მეფედ დასვა (შემდეგ მან რომაელებთან დაამყარა მეგობრობა და ბოლოს, მამის შიშით თავი მოიკლა). ხოლო კოლხების მეფედ (ცოტა ხნის განმავლობაში) იყო მითრიდატეს სხვა შვილი, ასევე მითრიდატე¹. მემნონის ცნობა განსხვავდება ყველა სხვა ავტორის ცნობისაგან, ე. ი. მასთან მახარე არის კოლხებში (და არა მითრიდატე) და ეს მახარე აშკარად იჭერს რომაელების მხარეს. მემნონს ეშლება (?) სახელი, მაგრამ, როგორც ჩანს, სიტუაციას მაინც სწორად გადმოგვცემს: მამის ერთგული არც მახარე იყო და არც მითრიდატე. მითრიდატე მითრიდატეს ძეს (რომელიც ფიბრაას ებრძოდა) იცნობს მემნონიც.

სანეგები (იგივე სანიგები) და ლაზები ანტიკურ წყაროებში არაერთგზის იხსენიებიან. ორივე ამ ტომის მიმართ საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული მკვლევრები დიდ ყურადღებას იჩენენ, ხდება ხოლმე როგორც მათი საცხოვრისის დადგენა, ასევე მათი სახელწოდებების კვლევა და დაკავშირება სხვა ფორმის, მაგრამ იმავე ძირის სახელებთან. სატომო სახელი *Λαζοί* (*Λαζαί*, *Lazi*) სხვა ავტორთა შორის ყველაზე ადრე მემნონთან გვხვდება და შემდეგ პლინიუსთან (ახ. წ. I ს.). აქამდე ჩვეულებრივ პლინიუსს ასახელებდნენ ხოლმე როგორც პირველ ავტორს, ვინც იცნობდა ლაზებს. მემნონის „ლაზების“ საცხოვრისის გასარკვევად კარგ მასალას გვაწვდის თვით მისი ტექსტი. თუ დავაკვირდებით მემნონის ცნობას [*ἔτι δὲ τῶν πλίστων ἔφευγον εἰς τὰ ἑστέρα τῶν Πόντου (Σάθηγας δὲ καὶ Λαζοὺς ἐπορεύουσιν εἰς τὸν τὰ χερσῖν)*], *ἑστέρα τῶν Πόντου*) პონტოს უკიდურესი აღმოსავლეთის ნაწილი სინოპესათვის (და საერთოდ ბერძნებისათვის) ნიშნავს შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთს. მით უმეტეს, როდესაც გვაქვს მემნონის თანამედროვის, სტრაბონის ასეთი ცნობა: „დიოსკურიას უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი (*ἑσθμιστάτατον σημεῖον*) მთელი ზღვისა, ამიტომ ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის ყურე და უკიდურესი ადგილი, მათთვის, ვინც ცურავს ამ ზღვის გასწვრივ“ (XI, 2, 16).

ამრიგად, მემნონის ლაზები შესაძლოა სადღაც დიოსკურიასთან

¹ Appianus Mithr., ქართული თარგმანი, გვ. 135.

ცხოვრობდნენ სანიგებთან ერთად, სანიგებს ახსენებენ მემნონას გარდა პლინიუსი და არიანე — ამ ორივე ავტორის სანიგები არიან დაახლ. იქ, სადაც სებასტოპოლისია (ე. ი. ძველი დიოსკურია).

ამრიგად, მემნონის ლაზები შავი ზღვის აღმ. სანაპიროს ჩრდილო მონაკვეთზე არიან. ჩრდილო მონაკვეთზევე გვხვდება გეოგრაფიული სახელები $\Lambda\alpha\zeta\acute{\iota}\varsigma$ და $\Pi\alpha\lambda\alpha\iota\acute{\alpha}$ $\Lambda\alpha\zeta\acute{\iota}\chi\eta$ (პტოლემეაჟოსი, არიანე). ჩვეულებრივ ამ ორ პუნქტს უკავშირებენ და აიგივებენ ანონიმის ნიკოფსისთან (რაც ქართული წყაროებით კარგად ცნობილი ნიკოფსიაა). ამ ადგილის ლოკალიზაციას ნოვომიხაილოვსკაჟას მახლობლად ახდენს ბ. კუფტინი.

ლაზები, რომელთაც ახსენებენ პლინიუსი, პტოლემეაჟოსი, არიანე, ცხოვრობენ შავი ზღვის აღმ. სანაპიროს იმ ტერიტორიაზე, რომელიც სებასტოპოლისიდან სამხრეთითაა (ვიდრე აბსაროსამდე — არიანე), ხოლო შემდეგ, IV—V სს.-ისათვის ამ სახელისაგან წარმოებული გეოგრაფიული სახელი $\Lambda\alpha\zeta\acute{\iota}\chi\eta$ გაცილებით უფრო ფართო ტერიტორიას მოიცავს, დასავლეთ საქართველოს სამეფოს სახელად იქცევა.

ამრიგად, ლაზების სახელი უძველეს ბერძნულ-რომაულ წყაროებში გვხვდება ჯერ უფრო ჩრდილოეთით ($\Pi\alpha\lambda\alpha\iota\acute{\alpha}$ $\Lambda\alpha\zeta\acute{\iota}\chi\eta$ = ნიკოფსიას; შემდეგ დიოსკურია-სებასტოპოლისთან) და მერე ვრცელდება უფრო სამხრეთით.

სატომო სახელი სანიგები (რომლებიც ყველაზე ადრე ამ ფორმით ასევე მემნონთან გვხვდება), როგორც ზემოთ ვთქვი, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იხსენიება. ამ სახელს სანების სახელს უკავშირებენ ხოლმე, სანები კი ჩვეულებრივ სამხრეთით იხსენიებიან ხოლმე (სტრაბონი, ევსტათის კომენტარები დიონისიოს პერიეგეტის თხზულებისათვის და სხვ.).

ამრიგად, სანები და სანიგები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ორ მონაკვეთზე გვხვდებიან, ჩრდილოეთისაზე და სამხრეთისაზე.

მემნონი რომ ხსენებულ ავტორებთან შედარებით ყველაზე ძველია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას სხვებზე ადრინდელი წყაროები ჰქონდა ხელთ. მაგრამ სანეგებისა და ლაზების შესახებ ცნობა თარიღიანია — მითრიდატეს ომები ან მისი ცხოვრების წლებზე ცოტა ადრე დასრულდა (და მას მისი მომსწრეებიც კი ეცნობებოდა), ან კიდევ ამ ომების აღმწერლების (სუყყაჟაჟი) თხზულებები ჰქონდა მას ხელთ, მის დროზე არც თუ ბევრად ადრე შედგენილი. ამრიგად, მან კარგად უნდა იცოდეს სანეგებისა და ლაზების

საცხოვრისი, რომელიც ძვ. წ. 70-იანი წლებისათვის დაახლ. დღე-
ვანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე არის¹.

ამრიგად, მემნონმა, რომელიც საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ აქამდე მაინცდამაინც გამოყენებული ავტორი არ იყო, საინტერესო ცნობები შემოგვინახა ამ ორი ტომის, მითრიდატე პონტოელის და მისი ძის კოლხიდაში მოღვაწეობისა და იბერთა მეფესთან კავშირის შესახებ.

ტექსტი: F. Jacoby, Die Fragmente der griechischen Historiker, III. B. Leiden-Brill, 1950. გვ. 336—368.

რუს. თარგმანი: В. П. Дзгурова, Мемнон о Геракле (ВДИ, 1951, № 1. стр. 289—316).

ქართულად: თ. ყაუხჩიშვილი, მემნონის „ჭერაკელის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები, ნაკვ. 34, 1962. გვ. 137--194.

(ამ წერილში ცნობა ლაზებისა და სანიგების საცხოვრისის შესახებ სხვაგვარად არის წარმოდგენილი და შექმდეგ შესწორებულია).

პლუტარქოსი (46—120 წწ.), წარმოშობით ბეოტიელი ბერძენი, ქერონეიდან, შეძლებული ოჯახის შვილი იყო და შესხნამუნავი. განათლება ჰქონდა მიღებული. ახალგაზრდობაში იყო ათენში (უსმენდა-ფილოსოფოს ამონიოსს), ალექსანდრიაში; შემდეგ ჩადიოდა ხოლმე იტალიაში, განსაკუთრებით კი რომში, ნაწილობრივ მეცნიერული მიზნებით, ნაწილობრივ კი თავის თანამემამულეთა სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად. ამ საქმიანობის შედეგად ის დაუმეგობრდა ტრაიანესთან ახლომდგომ პირებს. ძირითადად იგი მაინც ქერონეაში ცხოვრობდა, სადაც სხვადასხვა თანამდებობა ეჭირა (იყო დელფოსში აპოლონის ქურუმი, იყო არქონტი).

(მიუხედავად ბერძნული პატრიოტიზმისა, პლუტარქოსი დიდოთაყვანისმცემელი იყო რომის ძღვევამოსილებისა—და საგანგებოდ შეისწავლა ლათინური ენა) (თუმცა, თვითონვე ამბობდა, რომ ის ჯეროვნად არ იცოდა).

პლუტარქოსი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი ბერძენი მწერალია. მისი სახელით 154 ნაწარმოებია ჩვენამდე მოღწეული, ისინი 2 კრებულშია თავმოყრილი. ეს არის „პარალელური ბიოგრაფიე-

¹ ერთი და იგივე სახელწოდების ტომების მოხსენიება ორივეგან, ჩრდილოეთით და სამხრეთით, არც თუ ისე იშვიათია ბერძნულ მწერლობაში და ამას თავისი ახსნა სჭირდება (ეს ტომებია: ჰენიოხები, სანები-სანიოიბი, ლაზები და კერკეტები...).

ბი“ (Βιογραφία) და „ეთიკა“ (Ἠθική) „პარალელური ბიოგრაფიები“ შეიცავს 23 წყვილ და 4 კენტ ბიოგრაფიას: ერთი ბიოგრაფია რომ ბერძენი მოღვაწისაა, მეორე—რომაელის. ხშირად ამ წყვილ ბიოგრაფიას ბოლოს „შედარება“ ერთვის, სადაც ამ 2 პირის—ბერძენისა და რომაელის შედარება ხდება. ზოგის აზრით, ეს „შედარება“ სხვისი გაკეთებულია და არა პლუტარქოსის. არის კიდევ ცალკეული ბიოგრაფიებიც, რომლებიც, ივარაუდება, რომ უფრო ადრე დაწერა ჩვენმა ავტორმა, ვიდრე ის წყვილ-წყვილი.

„ეთიკაში“ სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებებია თავმოყრილი: ფილოსოფიური, პოლიტიკური, ეკონომიური; ტრაქტატები ჭანჭრთელობაზე, ჰეროდოტეს წინააღმდეგ და ა. შ. როგორც სხვა ძველ ავტორებთანაც დგება საკითხი. აქაც უნდა ვთქვათ, რომ ზოგი ნაწარმოები ჰემმარიტად მისია, ხოლო ზოგი მას მიეწერება.

პლუტარქოსი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში შესულა როგორც ბიოგრაფოსი ის არაა მკვლევარი, არაა ისტორიკოსი; ის ფართოდ განათლებული მწერალია, რომელსაც აინტერესებს არა ისტორიული ჰემმარიტება, არამედ მორალური ჰემმარიტება, ამიტომ ცნობილ ისტორიულ პირებზე წერის დროს ხშირად ძირითად, არსებით ისტორიულ ამბებს განზე ტოვებს და მეორეხარისხოვან დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან ასე ჰგონია, ეს უფრო არსებითია ამ პიროვნების მორალური სახის ჩვენებისათვის.

პლუტარქოსის დიდი მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ ის სარგებლობდა ისეთი ლიტერატურით, რაც დიკარგა, რამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. დიდძალი მასალა, ბევრი სახელი და ბევრი მოღვაწე მხოლოდ პლუტარქოსის შემოქმედების წყალობით არის ჩვენთვის ცნობილი.

პლუტარქოსის წყაროების საკითხი დიდხანს აწვალებდა მეცნიერებს. იყო დრო, როდესაც თითოეული ფრაზისათვის ცალკე წყაროს ეძიებდნენ (თანაც ეს წყარო თვითონ ორიოდ უმნიშვნელო ფრაგმენტის სახით იყო ხოლმე მოღწეული). ერთი უდავოა, პლუტარქოსი ძალიან ნაკითხი მწერალია. მის ძირითად წყაროდ ედ. მაჰერს მიაჩნია ბიოგრაფიული ტრადიცია, ბიოგრაფიული ლიტერატურა, რაც ჩვენამდე არ მოღწეულა და რომელშიც გადამუშავებული იყვნენ ძველი ისტორიკოსები, მათი მასალა.

ასეთ ბიოგრაფიულ ჟანრს, რაც ჩვენამდე მოღწეულია, ბერძნულ მწერლობაში ეკუთვნის ქსენოფონტის „კიროპედია“ და „აგესილასი“. რომაულ მწერლობაში ისტორიკოსმა კორნელიუს ნეპოტმა (100—27 წწ.) შეადგინა წიგნი „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“, რაც სრულად არაა მოღწეული, მაგრამ ცნობილია, თუ რა აღნაგო-

ბისა იყო (ბიოგრაფიები დაჯგუფებული იყო პიროვნებათა საქმიანობა-მდგომარეობისდა მიხედვით. შაგ., ცალ-ცალკე იყვნენ მხედართმთავრები, მეფეები, ორატორები, პოეტები... არარომაელი და რომაელი მოღვაწეები და ა. შ.).

პლუტარქოსის კითხვისას უეჭველია, რომ იგი კარგად იცნობს ბერძნულ პოეზიას (ხშირად იმოწმებს მას), ისტორიკოსებს: ჰეროდოტეს (რომელიც არ უყვარს და აკრიტიკებს იმის გამო, რომ მას „ისტორიაში“ თებეს როლი ისე არა აქვს გამოყვანილი, როგორც პლუტარქოსს სურდა), თუკიდიდეს, ეფოროსს, თეოპომპეს (საგანგებოდ), პოლიბიოსს; ფილოსოფოსთაგან — არისტოტელეს (შეიძლება არა უშუალოდ) და სხვა მრავალ ნაკლებად ცნობილ ავტორებს.

პლუტარქოსის შემოქმედებაში მოიპოვება საინტერესო ცნობები საქართველოს ისტორიისათვის. ეს ცნობები სხვადასხვა რიგისაა.

გეოგრაფიული ხასიათის ცნობათაგან ყურადღებას იპყრობს მასალა ფასისის შესახებ, რაც გვხვდება ნაწარმოებში „მდინარეთა, მთათა და რაც მათში მოიპოვება, იმის შესახებ“.

ეს ნაწარმოები, საერთოდ მიღებული აზრის თანახმად, პლუტარქოსს ქერონეელის კი არ არის, არამედ რომელიღაც სხვა პლუტარქოსისაა, რომელიც ალექსანდრიელი იყო და ცხოვრობდა ცოტათი უფრო გვიან, ვიდრე ჩვენი ავტორი (დაახლ. ტრაიანესა და ადრიანეს დროს).

რამდენადაც ეს ნაწარმოები ტრადიციის მიხედვით პლუტარქოსს მიეწერება (და მისი ავტორი საერთო აღიარებით სულ ცოტათია ქრონოლოგიურად ნამდვილ პლუტარქოსს დაშორებული), ამიტომ ამ ცნობასაც აქვე განვიხილავ.

„ფასისი სკვითიის მდინარეა¹, იგი ქალაქს ჩამოუღის². უწინ მას არქტუროსი ერქვა... შემდეგ კი სახელი გადაერქვა შემდეგი მიზეზით: ჰელიოსისა და ოკეანის ასულის, ოკინოეს ძემ, ფასისმა, დედას წაასწრო მრუშობისა დროს და იქვე მოკლა. გამოჩნდნენ თუ არა ერინიები, ფასისი გაცოფდა და გადავარდა არქტუროსში, რომელმაც მერე მისგან მიიღო (სახელი) ფასისი“.

ამ ცნობაში გარდა წმინდა გეოგრაფიული მონაცემებისა, არის ლეგენდაც, რომელშიც საინტერესო კავშირები ვლინდება — ფასისი, მდინარისა და ქალაქის ეპონიმი, ჰელიოსის ძეა; მეორეს მხრე,

¹ ძველ ბერძენ-რომაელ ავტორებს „სკვითია“ ესმით როგორც ფართო ცნობი. ამჯერად ის „კოლხიდასა“ მოიცავს, როგორც შემდეგივე ფრაზიდან ჩანს.

² ამ ქალაქად უეჭველად ქ. ფასისი იგულისხმება.

არგონავტების მითის მიხედვით ჰელიოსის ძეა აეტესი (ეს ამბავი უფრო პოპულარულია, ვიდრე ჰელიოსისა და ფასისის დაკავშირება). არის კიდევ ცნობა მნასეასთან, იმის შესახებ, რომ კოლხოსის ძეა ფასისი¹. ე. ი. სრულიად უეჭველია საფუძველი ამ ლეგენდისა: ჰელიოსის, აეტესის, ფასისისა და კოლხოსის ურთიერთობა ლეგენდაში ასახულია ნათესაური კავშირით.

კავკასიონის მთების შესახებ რამდენგანმე ლაპარაკობს პლუტარქოსი. მაგ., კავკასიონი შედგება მრავალი და ღრმადღანრამული მთებისაგან, რომელთაც შეუძლიათ შეიფარონ და დამალონ ბევრი (10000) ბრძოლას გაქცეული მეფე (ლუკულუსი, XIV). კავკასიონის მთებს უწინ „ბორეასის სარეცელი“ ეწოდებოდა, შემდეგ კი მწყემსის, კავკასოსის პატივისცემით დაარქვა ზევსმა ამ მთას კავკასიონი (მდინარეთა და მთათა-სახელების... შესახებ)².)

პლუტარქოსის ცნობით მდ. კირნოსი იბერიის მთებში იწყება, მას უერთდება არაქსი, რომელიც არმენიიდან გამოდის და 12 შესართავით ერთვის კასპიის ზღვას... (პომპეუსი, XXXIV).

აღსანიშნავია რომ პლუტარქოსი, ისევე როგორც შემდეგ აბიანე და დიონ კასიოსი, მდ. მტკვარს, რომელსაც ბერძნულ-რომაული წყაროები უწოდებენ „კიროსს“, უწოდებს „კირნოსს“. თუ ფრაზის დასაწყისს არ მივიღებთ მხედველობაში, ზუსტად ასეთივე ცნობა კირნოსის შესახებ აქვს აბიანეს (§ 103). თუ აბიანესთვის ამ შემთხვევაში პლუტარქოსი არ არის წყარო, მაშინ შესაძლოა მათთვის საერთო წყარო დავძებნოთ. კირნოსის ხსენება ამ ავტორებს მითრიდატეს III ომთან დაკავშირებით აქვთ; აბიანესთვის ამ მესამე ომის, უფრო დაზუსტებით პომპეუსის და მითრიდატეს ომის, აღწერისას ძირითად წყაროდ პოსეიდონოსისა და ნიკოლოზ დამასკელს მიიჩნევენ (მაგრამ მე მეჩვენება, რომ ეს მაინც თეორიული მსჯელობაა და არა ფაქტებზე დამყარებული). პლუტარქოსის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ მდ. კირნოსი იბერიის მთებში

¹ თეოკრიტეს XIII იდილიის სქოლიოში ვითხოვლობთ: „მნასეასი ამბობს, რომ კოლხებმა სახელი მიიღეს ფასისის ძის, კოლხოსისაგანო“ (მდრ. აკ. უ რ უ შ ა ძე, ძველი კოლხეთი... გვ. 317).

² აქ საინტერესოა ის ამბავი, რომ კვლავ ლეგენდაა გადმოცემული, რომლის თანახმადაც კრონოსი და პრომეთეუსი, ასე ვთქვათ, თანამოაზრე, ანუ უფრო სწორად, ერთი თაობის დემონები არიან, ხოლო ზევსი შემდეგი თაობისა. ზევსი მათი საერთო მტერია. ზევსმა „ბორეასის სარეცელზე“ გამოქცეული მამა ტარტარში ჩაავლო, ხოლო პრომეთესი ამ მთას მიაქაქვა, ხოლო მწყემსის, კავკასოსის მიმართ უკანონო საქციელის ჩადენის გამო პრომეთეუსს მიუჩინა შიგნეულის მკორტნავი არწივი. ფსევდო-პლუტარქოსი ამ ლეგენდისათვის იმოწმებს კლავდიუს „თეომაქიას“.

იწყება (ეს არა აქვს აზიანეს). მტკვარი, როგორც ცნობილია, არსიანის მთებში იწყება, ესაა ტერიტორია ჩაღდღის ტბის სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც როგორც ჩანს, პლუტარქოსს წყაროსათვის იბერიის სახელმწიფოში შედიოდა. მთებზე, რომ ცოცხალია სეპთით, აქვე სურია, რომ ჩაბრები ცხოვრობენ გავასიონის მთებიდან მოსხების მთებისა და პონტოსკენ... (თე—პონტომდე). პლუტარქოსს აქვს ცნობები ზოოლოგიიდანა (მაგ. De sollertia animalium. 32), რის შესახებაც სიტყვას აღარ გვაგებებებს (უნდა შეინიშნოს, რომ მსგავსი ცნობები მოეპოვებათ არისტოტელესა და კლავდიუს ელიანუსს — ეს ენება პონტოს თევზებს, პონტოს ცხოველებს და სხვ.).

პლუტარქოსს აქვს ცნობები ძველი ქართველი ტომებისა და მათი ანტიკურ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ, მაგ., რომის დაარსებასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია, ბევრი ლეგენდა არსებობს. პლუტარქოსს აქვს მათ შორის მოყვანილი კიდევ ერთი, რაც ჯერ კიდევ სერიოზულ კვლევას მოითხოვს, მაგრამ, რაზედაც უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

„ზოგიერთთა მიხედვით კი, ქალაქი (რომი) დააარსა რომანოსმა, ოდისევისა და კირკეს ვაჟმა“ (რომულუსი, 2).

რა საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს ამ გადმოცემას, ერთი უდავოა — მისი თუნდაც შემთხვევითი იმ აზრისაა, რომ ლათინთა სამყაროსა და კოლხურ სამყაროს შორის გენეტიკური კავშირია — კირკეს ვაჟია რომის დამაარსებელი! ეს ცნობა იმავე რიგისაა, როგორც ჰქონდა პესიოდეს — ოდისევისა და კირკეს ერთ-ერთი ვაჟი იყო ლატინოსი, ლატინთა ეპონიმი (თეოგონია, 1011—1016).

„ალექსანდრიულ ანდანებში“ (რომლებაც „ეთიკაში“ შედის) პირდაპირ მთელი სიბა ძველ ქართველ ტომთა, თავისი დასასიათებითურთ. რამდენად ზუსტია ის ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები, რაც პლუტარქოსს აქვს, ვერ ვიტყვით, ამისი შემოწმება სხვა წერილობითმა წყაროებმა და ხალხურმა ყოფამ უნდა მოგვეცეს.

მაგ., საერომატები ქალიშვილებს ლსინის ღროს პყვიან; ამაზონებში ვერც ერთი ქალწული ვერ გათხოვდება, თუ ჯერ მტერი არ მოკლა¹. ტიბარენები მას მერე, რაც მათი ცოლები მოიშობი-რებენ, თავებს იხვევენ და წვებიან². კერკეტთა შორის მუშებს მა-

¹ პეროდოტე (IV, 117) ამ ადათს მიაწერს საერომატებს. საერთოდ ძველ მწერლებში საერომატებისა და ამაზონების საკითხი ერთმანეთშია ჩახლართული.

² ტიბარენების ამ ადათის შესახებ სხვა წყაროებიც გვაქვს — და ეს ადათი, როგორც ჩანს, ბევრ პრიმიტიულ ტომს ჰქონდა. ისე ამ ტომის სახელი ფართოდ არის ცნობილი ბერძნულ-რომაულ მწერლობაში.

ნამ დააქვთ ტვირთი, ვიდრე ვინმე არ იყიდის ამ ტვირთს¹. კავსიანები ახალშობილთ დასტირიან, ხოლო მკვდრებს დაჰსარიან². ბაკჩირები თუ ავღმყოფობისაგან არ იკურნებიან, თავიანთ თავს ძაღლებს აკმევიანებენ³. ტავროსკვითები მსხვერპლად სწირავენ ადამიანს⁴.

პლუტარქოსს აქვს ცნობები ზოგადად პონტოსპირეთის ქვეყნების შესახებ, რომელთა შორის კოლხიდა არ არის გამოსარიცხი. მაგ. პერიკლეს ბიოგრაფიაში (§ 20) ვკითხულობთ, რომ ის იყო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე „...შევიდა თუ არა დიდი და ბრწყინვალედ აღჭურვილი ფლოტი პონტოში, პერაკლემ ყველაფერი აუსრულა ბერძნულ ქალაქებს, რასაც კი ესენი შოითხოვდნენ და კაცობრივად მოექცა მათ; ხოლო ამ ქალაქთა მახლობლად მცხოვრებ ბარბაროს ტომებს, მათ მეფეებსა და მმართველებს (θύραται) მან უჩვენა თავისი ძლიერების სიდიადე და ათენელთა უშიშროება და სიმამაცე, რომელთა წყალობითაც მათ შეეძლოთ, სადაც მოისურვებდნენ იქ ეცურათ და მთელი ზღვა დაემორჩილებინათ“ (მერე ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა გააკეთა სინოპელებისათვის პერიკლემ).

სპეციალისტთა (დუნკერი, ლატიშევი) აზრით, ეს ექსპედიცია 444 წლის განაფხულზე თუ ზაფხულში მოხდა, ისე რომ ეს ცნობა თარიღიანია.

შავი ზღვისპირეთის ელინური ქალაქების შესახებ ლაპარაკობს ჯერ კიდევ ფსევდო-სკილაქსი ე. ი. პლუტარქოსზე აღრინდელი, მაგრამ პერიკლეზე გვიანდელი ავტორი (რომელიც არჩევს ელინურ ქალაქს, ქალაქს და ბარბაროსულ ქალაქს). ამ ელინურ ქალაქთა მახლობლად თუ ირგვლივ მცხოვრებ (παρισιαῖνοι) ბარბაროს ტომებ-

¹ კერძოთა ეს ჩვევა მხოლოდ პლუტარქოსს აქვს აღნიშნული. ტომის ეს სახელი, ამ ფორმით სხვა ავტორებთანაც გვაქვს; დღესდღეობით ხდება მისი დაკავშირება ეგრ-ძირის შემცველ სახელებთან. უწინ „კერაკტი“ მიჩნეული იყო „ჩერქეზის“ ბერძნულ გადმოცემად.

² კავსიანების სახელით რომელი ტომია, მთლად ნათელი არ არის, ხომ არ არის „კავსიანები“? მითუმეტეს, რომ მათი ამ ჩვეულების მსგავსი ქსენოფონტის მოსინოაქებსაც ახასიათებთ (Anab. V, 4, 34).

³ ბაკჩირები სხვა ავტორთა ბეჭეალები უნდა იყვნენ. ბეჭეალები ჩვეულებრივ მაკრონთა მეზობელი ტომია ხოლმე. მათი ჩვეულებაც იმ რიგისაა, რომელსაც ჭერჭერობით შემმაგრებელი მასალა არ მოეპოვება.

⁴ ტავროსკვითები — ე. ი. ტავრები, ვინც სკვითები არიან; სკვითების ელურ ჩვევებზე ერთი საერთო აზრი არსებობს კლასიკური ხანიდან მოკიდებული ბერძნულ მწერლობაში, ისე რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვა მათგან და სხვა მსგავსი, პლუტარქოსთან ორიგინალური და ცალკე მდგომი ცნობა არ არის.

ში კონკრეტულად ვის გულისხმობს პლუტარქოსი, არ ჩანს (მაგ., პოლიბიოსის ისტორიაში ამავე კონტექსტში ხსენებულ ბარბაროს ტომებში სპეციალურად სპეციალურად არ არის აღნიშნული, ი.ე. ზემოთ.), მაგრამ ეს ცნობა საყურადღებოა იმით, რომ გვიდასტურებს ფაქტს — პერიკლე იყო პონტოში თავისი ფლოტი (უფრო ზუსტად მის სამხრეთ სანაპიროზე), ზღვისპირა ელინურ ქალაქებს (ე. ი. კოლონიებს) კეთილად მოეპყრო, ბარბაროსულ ტომებს, თავისი მეფეებით და მმართველობით თავისი ძალა აგრძელებდა, ე. ი. საჭირო იყო მათთვის ძალის ჩვენება, რადგან, უთუოდ, ამ ბარბაროსების ძალა (და წინააღმდეგობის გაწევის უნარი) მთლად უმნიშვნელო არ ყოფილა თვით ძლევამოსილი ათენისთვისაც. ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც აღზევებული ელინი საზოგადოება საგანგებოდ უპირისპირდება ყველაფერს არაელინურს, ე. ი. ბარბაროსულს.

(სხვა ძველ ავტორებთან ერთად პლუტარქოსიც ახსენებს მითრიდატეს ძეს, მახარეს, რომელიც ბოსფორის შეფედ ჰყავს მამას დაყენებულს) (ლუკულუსი, XXIV; სულა, XL). ამ ცნობაზე ამკერად ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ სახელის გამო. *Μαχάρης* ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის ჩვეულებრივი სახელი არაა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არც მისი ინდოევროპული ეტიმოლოგიაა გამორიცხული. ეს სახელი ბერძნულ-რომაულ მწერლობაში მითრიდატეს ისტორიასთან დაკავშირებით არის შესული, როგორც ვთქვი, მემნონის ცნობასთან დაკავშირებით. ასევე ყურადღებას იპყრობს დანდარიების მმართველი (δυναστος) ოლთაკოსი; თანაც დანდარიები მეოტიდის ნაპირზე მცხოვრებ ტომად არიან გამოცხადებული. სტეფანე ბიზანტიონელის ცნობით, დანდარიები კავკასიონის მახლობლად ცხოვრობდნენ. იგი, ოლთაკოსი, მითრიდატეს მხარეზე და დიდი ღირსებებით გამოირჩევა (ლუკულუსი, 16). ეს სახელი გვაგონებს აპიანესთან ხმარებული კოლხი სკვპტუხის, ოლთაკეს ('Ολθαχης) სახელს (ანალოგიურსავე სიტუაციაში); როგორც ჩანს, ერთსა და იმავე პირზეა ლაპარაკი ამ 2 ავტორთან. მაშინ გამოდის, რომ დანდარიები მეოტიდის ნაპირზე კი არა, კოლხიდაში ცხოვრობენ (და მუხატოვ სინონიზია სკვპტუხისა. 'Ολθαχης და 'Οლθαχης (მახვილები და დაბოლოებები შესაძლოა გადამწერთა ხელიდანა გამოსული) არსებითად ერთი და იგივე სახელებია.

საინტერესო ცნობები აქვს პლუტარქოსს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, საქართველოსა და რომის ურთიერთობისათვის ძვ. წ. I ს.-ში. ეს ცნობები დაცულია შემდეგ ბიოგრაფიებში: „ლუკულუსი“, „პომპეუსი“, „ანტონიუსი“.

(პლუტარქოსი „ლუკულუსისა“ და „პომპეუსის“ ბიოგრაფიებში, ცხადია, ვხვება მათ ომებს მითრიდატე ევპატორთან — მითრიდატეს ვ. წ. III ომში (74—64 წწ.) რომაელთა ჯარს ჯერ (74—66 წწ.) მთავარწინააღმდეგე ლუკულუსი, სოლო შემდეგ პომპეუსი).

(ამ ომში იყო ჩათრეული საქართველოს და მისი უშუალო მეზობელი ქვეყნების ტერიტორია. ამდენად, ამ ორ ბიოგრაფიაში საინტერესო მასალა გვაქვს საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით (შესაბამისი მასალა მცირეოდენი ვარიანტებით მოეპოვებათ აპიანესა და დიონ კასიუსსაც).

ძვ. წ. 69 წელს, როდესაც ლუკულუსმა ალყა შემოარტყა ტიგრანოპოლისს¹, ტიგრანესთან მოვიდნენ არმენიელები და გორდიენები, მიდიელები და ადიაპენები, ბაბილონის ზღვისპირეთიდან. არაბებში, სოლო კასპიის ზღვის მხრიდან — ბევრი ალბანი და იბერი, აღბანების მეზობლად რომ ცხოვრობენ; ცოტანი არ მოსულან არაქსის პირას მცხოვრები, თავისუფალი, უმეფო (ἀναξίμαχοι) ტომები, კარგი განწყობილების გამო, ან საჩუქრებით მოსყიდულები (ლუკულუსი, X XVI).

ამ ნაწყვეტიდან ერთი უდაოდ ჩანს—ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ხალხი, მათ შორის იბერი და ალბანი — წინააღმდეგია რომის პოლიტიკისა და ბრძოლის დროს იჭერს რომაელთა მტრების მხარეს, არა აქვს იმას მნიშვნელობა, ტიგრანესთან კარგი განწყობილების შედეგი იყო ეს მოკავშირეობა, თუ საჩუქრებით იყვნენ ისინი გადაბირებული. ორსავე შემთხვევაში მათ პოლიტიკურ მტვრომარეობასა და განწყობილებას ლაპარაკობს მათი კავშირი ამჯერად მითრიდატე-ტიგრანესთან, ჯერჯერობით მათ საერთო მტერი ჰყავთ და მას წინააღმდეგ მოქმედებენ.

ძვ. წ. 68 წელს ახლა არტაქსატასთან მოუხდათ ბრძოლა ლუკუ-

¹ ტიგრანე II, არმენიის მეფის მიერ 77 წელს დაარსებული ქალაქი, მდ. ტიგრისის ზემო დინების ჩრდილოეთით, თანამედროვე ქ. ფარკინის ადგილას.

დამარცხებულმა და პონტოს ფარგლებიდან გაძევებულმა მითრიდატემ თავი შეაფარა არმენიაში. ლუკულუსი მას დაედევნა, დაამარცხა არმენიის ჯარი და ალყა შემოარტყა ტიგრანოპოლისს. 69 წელს დიდი ბრძოლა მოხდა ტიგრანოპოლისთან ლუკულუსსა და ტიგრანე II-ს შორის, რასაც ტიგრანეს სასტიკი დამარცხება მოჰყვა. პლუტარქოსის ტექსტის მიხედვით, მითრიდატე არ ურჩევდა ტიგრანეს ამ ომს, რადგან შედეგისა ეშინოდა, მაგრამ ტიგრანემ მას ვერ გაუგო, შურიანობაში ჩამოართვა, ჩემი წარმატება არ სურსო და გამხნეებულმა ბევრი მოკავშირის მოსვლით, ბრძოლაზე უარი არ თქვა. დამარცხების შემდეგ არმენიის დაცვა რომაელთაგან ტიგრანე II-მ მითრიდატეს მიანდო.

ლუსისა და არმენიელთა ჯარებს¹. „ლუქულუსის წინააღმდეგ მტრის რჩეული და მრავალრიცხოვანი მხედრობა იყო ჩამწყვრივებული. ამ მხედრობას წინ ცვენოსანი მშველდოსნები — მარდები (მიდიისა და პირკანიის საზღვარზე მცხოვრები ტომი) და შუბოსანი იბერები იდგნენ. უცხო მეომართა შორის ყველაზე უფრო დიდ ნდობას, როგორც საუკეთესო მებრძოლებს, ტივრანე სწორედ მათ უტანაღებდა. მაგრამ არავითარი ბრწყინვალე გმირობა მათ მაშინ არ ჩაუღვნიათ... ესენიც კი ვერაფერს გახდნენ რომაელ მხედრებთან და ქვეით ჯართან და გაქცევა მოუხდათ“ (ლუქულუსი, X X X I). მართალია, ტივრანესათვის სახარბიელო რენულტატი არ მოჰყვა ამ ბრძოლას, მაგრამ ავტორის ობიექტური შეფასებით იბერები საუკეთესო და სანდო მებრძოლებად იყვნენ მიჩნეული. ეს ერთის მხრივ მათ პიროვნულ ღირსებებზე ლაპარაკობს, თან ალბათ იმაზედაც, რომ ტივრანეს ერჩია წინა ხაზზე ესენი გაეშვა და არა თავისი ჯარისკაცები (მარდების და იბერების გაწყვეტას არჩევდა, ვიდრე არმენიელები-სას). მეორეს მხრივ, აქაც იგივე უნდა გავიმეოროთ. რაც წამოთ ითქვა — რომის ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში იბერები მხოლოდ აქტიურები ჩანან.

უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ძვ. წ. 65 წ. ამბები. საქართველოს ისტორიის ეს ეპიზოდი პლუტარქოსის, აბიანესა და დიონ კასიუსის ისტორიების წყალობითაა ცნობილი. არმენიის ყურის გდება პომპეუსმა თავის მხედართმთავარს ლუციუს აფრანიუსს ჩააბარა, თვითონ კი მითრიდატეზე უნდა გაეღმწრა კლავსთონის ირგვლივ მცხოვრები ტომების მიწა-წყალზე გაეღოთ. უდიდესი ტომები (Σίϋϋ) მათ შორის არიან ალბანები და იბერები. იბერები მოსხურ მთებსა და პონტოს აღწევენ. ეს ცნობა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ იბერია ძვ. წ. I ს.-ში სანამდე ვრცელდებოდა (იბერიის სამხრეთი და სამხრეთ-დასავ. საზღვრის საკითხია). ხოლო ალბანები კასპიის ზღვაზე მოსასლეობენ. ალბანები ჯერ დაპირდნენ პომპეუსს, რომ გაატარებდნენ თავის ქვეყანას, ხოლო როდესაც ზამთარმა პომპეუსის ჯარს აქ მოუსწრო, ალბანები 40000-კაციანი ლაშქრით გადავიდნენ მდ. კირნოსზე და თავს დაესხნენ მათ. პომპეუსს შეეძლო მტერი დაებრკოლებინა და კირნოსზე არ გაღმოეშვა, მაგრამ დააცადა ალბანებს მდინარის ვადმოლაშვია, მერე

¹ არტქსატა ანუ არტაშატი მღებარეობდა მდ. არაქსის პირას. ქ. ერევნის სამხრეთით. მისი დაარსების შესახებ ცნობები მოიპოვება სტრავსიანისა და იგი იყო სომხეთის ძველი დედაქალაქი, დაარსებული არტაშეს I-ის მიერ. ძვ. წ. 11 ს.-ის 80-იან წლებში.

დაესხა თავს, უკუაქცია და ამოელიტა. ამის შემდგომ ალბანთა მეფემ¹ მას ელჩები მიუგზავნა და შეწყალება სთხოვა. პომპეუსმა მას დანაშაული აპატია და ახლა იბერთა წინააღმდეგ გაილაშქრა. იბერები რიცხვით ალბანებს არ ჩამოუვარდებოდნენ, გულადობითაც სხვებზე უფრო მამაცნი იყვნენ² და თან ძალიან უნდოდათ მითრიდატესთვის ეამებინათ და პომპეუსი უკუაქციათ³. იბერები არც მიდიელების წინააღმდეგადაც ყოფილან, არც სპარსებს ექვემდებარებოდნენ და, თავის ღრობე, მაკედონელთა მპრძანებლობაც აიცდინეს თავიდან იმის წყალობით, რომ ალექსანდრე ფრიად სწრაფად გაბრუნდა პირჯანიიდან⁴. მკვრამ პომპეუსმა იბერებიც დაამარცხა დიდ ბრძოლაში ისე, რომ ცხრა ათასი კაცი მოკლულ იქნა, ხოლო ათათასზე მეტი რომაელებს ჩაუვარდა ტყვედ⁵.

(დაამარცხა თუ არა იბერები, პომპეუსი კოლხიდაში შეიჭრა⁶, მდ. ფასისის სანაპიროზე მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა (პომპეუსი XXXIX). ამასობაში პომპეუსმა შეიტყო, რომ ალბანები ისევე ამბოხებულან (თანაც მიმდრდატეს დევნა-ბოსფორსა და მეოტიდაში-ძალიან რთული საქმე იყო), განრისხებული და შურისძიების სურვილით შეპყრობილი პომპეუსი დიდი გაჭირვებით გადმოვიდა უკან კირნოსზე, რომელიც ბარბაროსებს დიდზე გადაელობათ (σταυροίς ἀπειχεραξάμενοι). იცოდა პომპეუსმა, რომ ძნელადსაეალი და უწყლო გზა ჰქონდა წინ⁷ და ამიტომ მოიმარაგა 10000 ტიკი წყლით, დაიძრა მტრის წინააღმდეგ. მდ. აბანტთან (აიგივებენ მდ. ალაზნთან) შეხვდა მას და-

¹ ალბანთა მეფის სახელი აპიანესა და დიონ კასიუსის მიხედვით არის „ორიონე“. აქ მისი სახელი არ წერია.

² პლუტარქოსი აქ პირველად არაა, რომ ლაპარაკობს იბერთა მამაცობაზე.

³ პომპეუსის უკუაქცევა რამდენად მითრიდატეს საამებლად უნდოდათ იბერებს, ეს კიდევ საკითხია, აქ პირველ რიგში ისინი საკუთარ თავს იცვენ, ბრძოლა ამეზად ხომ მათ ტერიტორიაზე ხდება.

⁴ პლუტარქოსი განსხვავებით ბევრი სხვა ავტორისაგან, იმ სწორი შეხედულებისაა, რომ იბერიის ასეცა მაკედონელთა გამგებლობა, ალექსანდრე მაკედონელი იბერიაზე არ მოსულა. სწორია ისიც, რომ ისინი არ ექვემდებარებოდნენ სპარსელებს. ამიტომ არის, რომ იბერთა სახელი —~~ა~~ მოხვდა პეროლოტის „ისტორიაში“.

⁵ იბერების დამარცხების ამბავი, საერთოდ ამ ბრძოლის ამბავი, უფრო დაწვრილებით აქვს აპიანეს და კიდევ უფრო დაწვრილებით დიონ კასიუსს. რიცხვები — 9000 მოკლული და 10000 ტყვე იბერი მიუთითებს იბერიის მოსახლეობის მრავალრიცხოვნებაზე.

⁶ სავარაუდებელია, რომ არც აქ ეგებოდა მას მოსახლეობა ფიანდზად, უთუოდ აქც იარაღით მიიკვლევდა გზას პომპეუსი.

⁷ კამპისენზე — ე. ი. კამბეჩოვანი (ქიზიყ-შირაქის ნაწილი).

რაზმული 60000 ქვეითი და 12000 ცხენოსანი, რომლებიც ცუდად იყვნენ შეიარაღებული და ჭარისკაცების მეტი წილი ნადირის ტყავეებში იყო ჩაცმული¹. მათ ნეთაურობდა მეფის ძმა, სახელად კოსისი², ხელჩართულ ბრძოლაში პომპეუსმა მოკლა კოსისი... ამ ბრძოლაში პომპეუსმა დაძლია მტერი (იქვე, XXXV). როდესაც პლუტარქოსი პომპეუსის უანგარობაზე ლაპარაკობს, სხვათაშორის ამასაც ამბობს, როცა პომპეუსს იბერთა მეფემ (სახელი არაა, უთუოდ არტოკესია სხვა ბერძნულ წყაროებში) მთლად ოქროსაჯან ნაკეთები საწოლი, მაგიდა და საშეფო ტახტი გაუჯახენა და სთხოვა, ეს საჩუქრები მიეღო. პომპეუსმა მთელი ეს ძღვენი ხაზინადრებს გადასცა, რომ სახელმწიფო ქონებად ჩაერაცხათ (იქვე, XXXVI). ეს ძვირფასი საჩუქრები უთუოდ დამარცხებულმა მეფემ მთავრად პომპეუსს, მანამ ვიდრე ზავს დასდებდნენ (~~მადრ დონ კოსიუსი~~, XXXVII, 2, 5). ძვირფასი საჩუქრები მეფის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს.

ქვ. წ. 36 წ. ანტონიუსის მხედართმთავარმა სოსიუსმა ბევრი რამ გააკეთა სირიაში, ხოლო კანიდიუსმა, რომელიც მან არმენიაში დატოვა, დაამარცხა ესენიკ (ე. ი. არმენიელები) და იბერთა და ალბანთა მეფეებიც და მივიდა კავკასიონამდე (ანტონიუსი, XXXIV).

პლუტარქოსის ცნობა, კანიდიუსის ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ, დადასტურებას პპოვებს სტრაბონთან (გეოგრაფია XI, 3, 5) და დიონ კასიუსთან (49, 24), რომელთაც მსგავსი ამბავი აქვთ გადმოცემული, უფრო დაზუსტებით, თუ რა გააკეთა კანიდიუსმა ჩვენს ქვეყანაში, ან რა ერქვათ იბერთა და ალბანთა მეფეებს, პლუტარქოსი ამის შესახებ არაფერს ამბობს, დიონ კასიუსთან ეს ამბები უფრო დაწვრილებითაა.

როგორც ვხედავთ, პლუტარქოსს საინტერესო მასალა აქვს ხაქართველოს-ისტორიისათვის. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას პომპეუსის ჩვენს ქვეყანაში ლაშქრობის შესახებ, რომლის ძირითადი წყარო არის პლუტარქოსი (აბიანესა და დიონ კასიუსთან ერთად).

ტექსტი: Plutarchus Chaerontensis, Vitae Parallelae, I 1, 2. II 1—19.50—1964. K. Ziegler (B1).

¹ რას გულისხმობს აქ პლუტარქოსი, არ ვიცი, ტყავის მეზარადები და აბჯრები ძველ რომებს საერთოდ ჰქონდათ. რატომ ეჩვენა მას ალბანები სავანგებოდ ცუდად ჩაცმულები, გაუგებარია. შესაძლოა ის ჩამორჩენილ მთის ტომებს გულისხმობს, რომლებიც სასხვათაშორისოდ იქნებოდნენ გამოწყობილი.

² სხვა წყაროებში ეს სახელი არ ჩანს. იქ მეფე ორომხეჯეა ლაპარაკი მხოლოდ (ერთი ძმა მეფეა და მეორე მხედართმთავრობს?).

Plutarchi Vitae parallelae, rec. C. Sintenis. Lipsiae, 5 ტომად (BT). Plutarchi Moralia, ed. G. N. Bernardakis. Lipsiae, 1888—96. 6 ტომად (BT).

Плутарх. Сравнительные жизнеописания в 3-х томах. М., 1956, под редакцией Соболевского.

პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, ძველბეჭდვლიდან თარგმნა... აკაკი ურუშაძემ. 1975 (13 ბიოგრაფია).

აპიანე (დაახლ. 90—170 წწ.) რომელი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი, უპირატესად გრამატიკული და რიტორიკული განათლების მქონე პირი, ავტორია „რომის ისტორიისა“ (Ῥωμαϊκῆς); რაც დაახლ. 160 წელს დაუწერია და რომელიც თავის დროზე თურმე 24 წიგნისაგან შედგებოდა. დღესდღეობით ამ წიგნებიდან მთლიანად არის მოღწეული VI—VIII და XI—XVII წიგნები. XVIII—XXIV წიგნები მთლიანად დაკარგულია, ხოლო დანარჩენები შემონახულია ნაწილობრივ ან ფრაგმენტულად.

ამ ნაშრომში უარყოფილი იყო აპიანეს წინამორბედი ცნობილი ისტორიკოსების მიერ გაზიარებული ქრონოლოგიური მეთოდი და იგი ეთნოგრაფიული მეთოდის მიხედვით იყო გამართული; ავტორი მიზნად ისახავდა ფართო, არარომელი საზოგადოებისათვის წარმოდგენა რომის ისტორია, განსაკუთრებით კი რომის პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებში, რისთვისაც აჯვარებდა რომის მიერ დაპყრობილი ცალკეული ქვეყნების ისტორიას იმ თანრიგით, როგორც რომი მათ იპყრობდა. თხზულებაში გადმოცემული იყო რომის ისტორია რომის დაარსებიდან ახ. წ. II ს.-ის პირველ მეოთხედამდე (დაახლოებით).

ნაწარმოების მიზანი რომის პოლიტიკის პოპულარიზაცია, ერთგვარი პროპაგანდა იყო. საერთო აზრი ისეთია, რომ აპიანეს უნდოდა ფართო საზოგადოებისათვის მიეწოდებინა კარგად დამუშავებული ნაწარმოები, რომელიც ჩააგონებდა მას რომის ძღვევამოსილებას.

Ῥωμαϊκῆς ერთგვარად, დღევანდელი ტერმინოლოგიით, პოპულარულ-მეცნიერულ შრომად არის აღიარებული, მაგრამ ისინიც კი, ვინც ასეთად სცნობენ აპიანეს ნაწარმოებს, არ უარპყოფენ იმას, რომ ავტორი სხვადასხვა წყაროებით სარგებლობდა, და სცნობენ იმასაც, რომ ბევრ შემთხვევაში აპიანეს მიერ დაცული ცნობები უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა ავტორებისა. „რომის ისტორიის“ XII წიგნი „მითრისდატეს ომების ისტორიაა“. ამისი წყა-

როების შესახებ ასეთი აზრია: იგი პირველი წყაროებით კი არ სარგებლობდა, არამედ იყენებდა ძვ. წ. I ს.-ის ავტორებს. ასეობი იყენენ: ტიტუს ლეიუსი, ნიკოლოზ დამასკელი, პოსედონიოსი, სალუსტიუსი... (რეანაი, სევასტიანოვა...).

„მითრიდატეს ოპების ისტორიაში“ იმდენად არის ცნობები საქართველოს შესახებ, რამდენადაც მითრიდატე პონტოს მეფეა, ე. ო. მეფეა საქართველოს ერთ-ერთი უახლოესი მეზობელი ქვეყნისა ღა მისი სხვადასხვა საქმიანობა რამდენადმე ეხება საქართველოს ტერიტორიასაც და მასზე მცხოვრებ ქართველ ტომებსაც.

„მითრიდატეაში“ დაცულ საქართველოს შესახებ ცნობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემდეგი:

„აპიანე გადმოსცემს სხვათა აზრებს საქართველოს იბერებისა და ესპანეთის იბერების ურთიერთობის შესახებ. ობიექტურად გვაუწყებს იმას, თუ რა აზრისა არიან ამ საკითხზე სხვადასხვა პირები — ზოგის აზრით, ჩვენი იბერები წინაპრები არიან ევროპელი იბერებისა, სხვათა აზრით — ევროპის იბერების კოლონიზატები არიან აზიის იბერები; აპიანეს მიერ მოყვანილი მესამე აზრის თანახმად, ევროპისა და აზიის იბერები თანამოსახელე ტომები არიან, რადგან არც ენა აქვთ მსგავსი და არც ზნე-ჩვეულებებით (§ 101).

თუ საიდან აიღო აპიანემ ეს მოსაზრებები, ამის შესახებ თვითონ არაფერს ამბობს, წყაროს არ იმოწმებს, მაგრამ ფაქტია, რომ არსებულა ასეთი შეხედულებები და მათ აპიანემ დაუპირისპირა თვისი. ჯანსხვაებული აზრი.

ჩვენი ცოდნის თანამედროვე ეტაპზე ამ ორი ხალხის ურთიერთობის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, სანამ მეცნიერულად არ იქნება შესწავლილი ბასკების (ესპანელებისა) და ქართველების ენობრივი ურთიერთობისა თუ ზნე-ჩვეულებათა საკითხები.

ასევე უშეძველად საყურადღებოა კავკასიონის ნაკალულების მიერ ჩამოტანილი ოქროს ქვიშის შეგროვების წესის აღწერისას (რაც სხვა ავტორებსაც აქვთ, მაგ. სტრაბონს) გამოტანილი დასკვნა: ოქროს ქვიშას სქელბეწვიანი ტყავების შემოქობით ავროვებენ, ქვიშა ბეწვებზე რჩებოდა და ალბათ ასეთი იყო აეტესის ოქროსმატყლოვანი ვერძის ტყავიცო (§ 103).

დღესდღეობით, როდესაც ჩვენ არგონავტთა მიზის რეალური, ისტორიულად არსებული საფუძვლების გარკვევას ვცდილობთ, იქას ვამბობთ, რომ კოლხიდაში არსებულმა სიმდიდრემ (მათ შორის სხვადასხვა ლითონების არსებობამ, კერძოდ სვანეთის ნაკალულების ოქრომ) მოიზიდა ბერძნები აქ და მათი ლესქრობა შემდეგ არ-

გონაცტთა მითში აისახაო. აპიანესაც ასეთი რეალისტური ახსნა აქვს ამ მოვლენისა.

ძველი ბერძენი ავტორები შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს, კერძოდ აქეებს საკმაოდ დაბალი განვითარების ტომად წარმოგვიდგენენ. აპიანე დამატებით იმას გვაუწყებს, რომ ისინი თურმე ხოცავდნენ დატყვევებულ ბერძნებს და მას საპიროდ მიაჩნია ამისი მიზეზიც აგვიხსნას. ახსნა საკმაოდ გულუბრყვილოა და უკავშირდება ისევ იმ დაუსაბუთებელ თეზას, რომელიც ბევრ სხვა ავტორთან გვხვდება: ეს აქეები ბერძენი აქეების ნაწილს წარმოადგენენ — ტროის ომის შემდეგ ისინი ქარიშხალმა პონტოში შემორეკა. აქ მათ როგორც ელინებს ძალიან გაუჭირდათ ბარბაროსებთან ერთად ცხოვრება და შეუთვალეს საშობლოში, ხომალდები გამოგვიგზავნეთო. პასუხი არ მიიღეს, ამიტომ განრისხდნენ ელინურ მოდგმაზე და სკვითური ჩვეულებების თანახმად დაუწყეს ხოცვა — მსხვერპლად შეწირვა ელინებს (§ 102). აღსანიშნავია ის, რომ აპიანე, განსხვავებით ელინი-აქეებისგან, კავკასიაში მობინადრე აქეებს „სკვით-აქეებს“ უწოდებს და მთელი ეს ცნობა თავისი ახსნიანად იმისი გამოძახილი უნდა იყოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ზოგიერთი ტომი (მათ შორის აქეები, ჰენიოხები) ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაულ წყაროებში საკმაოდ ველური ზნისად არიან ხოლმე გამოცხადებული, ისევე, როგორც ბევრი სკვითური მოდგმის ხალხი.

ასევე საკმაოდ გულუბრყვილოდ გამოიყურება აპიანესეული ახსნა პომპეუსის კოლხიდაში გამგზავრების მიზეზებისა (ძვ. წ. 65 წ.). თურმე პომპეუსს მოსდომებია არგონავტების, დიოსკურებისა და ჰერაკლეს იქ ყოფნის ამბები შეეტყო და განსაკუთრებით კი პრომეთეუსის ტანჯვის აღვილი — კავკასიონის მთები ენახა (§ 103).

სხვა შემთხვევაში შესაძლოა რომელიმე მეცნიერი მართლაც გამგზავრებულიყო კოლხიდაში მის დასათვალისწინებლად, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც მთელი აღმოსავლეთის ფრონტი პომპეუსს ექვემდებარებოდა, მას სხვა თუ არაფერი, არ ეცლებოდა მხოლოდ განმანათლებელი და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი ექსკურსიებისათვის.

სრულიად გარკვეულია ის ამბავი, რომ პომპეუსმა კოლხიდაში მისდია დამარცხებულ მითრიდატეს და როდესაც დარწმუნდა, რომ ამის მეორე ის ვერაფერს გახდებოდა, ანება მას თავი.

ამ ამბების გვერდით საკმაოდ ზუსტადაა აღწერილი (და სხვა ავტორებთანაც დაახლ. ასევეა ეს ამბები წარმოდგენილი) პომპეუ-

სის ბრძოლის სურათი იბერთა და ალბანთა მეფეებთან: საქართველოს (თუ კავკასიის) ტერიტორიაზე პომპეუსი ზოგმა ტომმა მშვიდობიანად გაატარა, ხოლო ალბანთა მეფე ოროზხე და იბერთა მეფე არტოკე 70000 კაცით დახვდნენ მას მდ. კარნოსთან (მტკვართან), (რომელიც 12 სანაოსნო ტოტით უერთდება კასპიის ზღვას, მას მერე რაც ბევრ მდინარეს იერთებს, მათ შორის კი უდიდესია არაქსი).

პომპეუსმა რომ შეიტყო ჩასაფრების ამბავი, ხიდი გასდო მდინარეზე (ამ ხიდის ნანგრევებს დღესაც მიუთითებენ მცხეთასთან — თ. ყ.), ხოლო ბარბაროსები შერეკა სქელ ბუჩქნარში... თავისი ჯარი ამ ბუჩქნარს გარშემოარტყა და ბუჩქნარს ცეცხლი წაუქიდა. ვინც აქედან გაქცევა მოინდომა, იმას მდევარი დაადევნა, ასე გააყვითა მანამ, ვიდრე ყველამ მიწველები არ მისცა და საიუტრები არ მოუტანა (§ 103).

აპიანეს მიერ კარგად არის დიფერენცირებული, თუ როგორ ეპყრობოდნენ რომაელები დაპყრობილ ხალხებს — ზოგს ქვეშევრდომებად იხდიდნენ, ზოგს დამოუკიდებლობას უტოვებდნენ მოკავშირეობის პირობით, ზოგსაც სამეფო ძალაუფლებას აძლევდნენ. (მაგ., არმენია — ტიგრანეს, ბოსფორი — ფარნაქეს, კაპადოკია — არიობარზანეს etc. § 114).

რომის პოლიტიკას დაპყრობილთა მიმართ თანამედროვე ისტორიოგრაფიაც ასე იაზრებს.

საქართველოს ანტიკური ისტორიის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობისად არის აღიარებული აპიანეს ცნობა, სადაც ეკითხულობთ: პომპეუსმა კოლხთა დინასტიად დააყენა არისტარქე (§ 114).

როდესაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არისტარქეს შესახებ არის ხოლმე ლაპარაკი, მას ხან „მეფედ“ იხსენიებენ და ხან „მმართველად“ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო“, სასკოლო და დამსმარე, 1958 წ.).

მ. ინაძის აზრით, რომაელებმა არისტარქე მეფედ დასვეს, მაგრამ მისი რეალური ფუნქცია მხოლოდ მმართველობა, რომელიც მმართველის მოვალეობის შესრულება იყო¹. სპეციალური კვლევა არისტარქეს ძალაუფლების გასარკვევად არსად არის წარმოებული

¹ მ. ინაძე, „ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის... მანქანაზე გადაბეჭდილი 1953 წ. გვ. 96, 302. აქ შერიგებაა იმ ორი აზრისა, რომელთა თანახმად არისტარქე „მეფეა“ ან „მმართველი“.

და ამიტომ, რომ ის ხან „მეფედ“ არის მოხსენიებული და ხან „მმართველად“.

მუხათყ (როგორც მას უწოდებს აპიანე) თავდაპირველად ეწოდებოდა ყველა იმას, ვისაც რაიმე მნიშვნელოვანი ძალაუფლება ჰქონდა და შემდეგ ის დასუსტდა როგორც „მთავარი“, „მმართველი“, „გამგებელი“. ელინისტური და მომდევნო ხანისათვის მუხათყ არსად ნიშნავს „მეფეს“ და რატომ უნდა ვავიგოთ ის ასე კოლხიდის შემთხვევაში. როდესაც კოლხიდაში საამისო მონაცემები არ არის?

ყველა ისტორიკოსი, რომელიც არისტარქეს საკითხს შეხებია, იმავე არისტარქესად მიიჩნევს ვერცხლის დრაქმას, ძვ. წ. 52 წელს მოპრილს და რომელსაც აქვს ბერძნული წარწერა Ἰρυσταρχου τῶν ἑπὶ Κολχίδας Βί¹ „არისტარქესი, რომელიც კოლხიდას (განაგებს, მართავს) 12-ე (წელი)“. ἑπὶ Κολχίδας არის ის პირი, ვინც კოლხიდის უფროსია, კოლხიდას ვანაგებს; ასეთი, ცხადია, შეიძლება იყოს მეფეც, მაგრამ მაშინ ესეც იქნებოდა აღნიშნული. ისევე, როგორც ამავე დროის ბოსფორის მეფის მონეტაზეა: βασιλέως μεγαλέως φαραχίου² ღრი მეფის, ფარნაკესი...

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ფარნაკე იხსენიება როგორც მეფე, ხოლო არისტარქე, როგორც თანამდებობის პირი კოლხიდაში. მითუმეტეს, რომ განსხვავებით სხვა ბერძენ-რომაელი ავტორებისაგან, ძალაუფლების აღმნიშვნელი ყველა ტერმინი კარგად აქვს გარჩეული აპიანეს და შემთხვევითი არაა, რომ ის არისტარქეს მუხათყ-ს უწოდებს. აქვე არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ლუციანე სამოსატელის (II ს.) დიალოგი „ტოქსარსისი“, სადაც ბოსფორის მეფეა (φαραχίης) ლეკვანორე, ლაზთა მბრძანებელია (მუხათყ) ტიგრაპატე და მახლიების მმართველია (ჭაჯაყ) აღირმახე. როგორც ჩანს, II ს-ის განათლებული ბერძნის წარმოდგენაში სწავლასხვა ხალხების მმართველები სხვადასხვა უფლებებისა და მღვთმართობისანი იყვნენ, რაც ენაშიც იყო ასახული.

როგორც ცნობილია, რომისა და მითრიდატეს ბრძოლები მითრიდატეს დამარცხებით დამთავრდა მთავარსარდალ პომპეუსის დროს. აპიანე წერს: პომპეუსმა მარტო ამ ერთი ომით გაანადგურა ყაჩა-

¹ Ἰ. კ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1950. გვ. 32. არისტარქეს დრაქმის ეგზემპლარები დაცულია ლენინგრადში (ერმიტაჟში), პარიზსა და სპირანში.

² Γαβδουκηνίχ, Βοσπορικόε царство, стр. 586. таб. III, 53.

ღობა, დაამხო დიდი მეფე და გარდა ამ პონტოს ომისა, მონაწილეობას ლებულობდა ბრძოლებში კოლხებთან, ალბანებთან, იბერებთან, არმენიელებთან, მიდიელებთან, არაბებთან, იუდეველებთან და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან და რომაელთა ხელისუფლება განაგრძო ეგვიპტეში... (§ 114).

რომში პომპეუსის ტრიუმფმა ყველა სხვას გადააწარბა. ორ დღეს სეიმობდნენ გამარჯვებას მრავალ ხალხებზე, რომლებიც იყვნენ პონტოდან, არმენიიდან, კაპადოკიიდან, კილიკიიდან, მთელი სირიაიდან, ალბანთაგან, ჰენიოხთაგან, აქეელთაგან, რომლებიც სკვითიაში არიან და აღმოსავლეთის იბერიაიდან (§ 116)¹.

ამ ტრიუმფის დროს თვით პომპეუსის წინ მიდიოდნენ დამარცხებული მეფეების მთავრები, შვილები და მხედართმთავრები, ზოგი ტყვე და ზოგი მძევალი — სულ 224 კაცი.

აქ იყვნენ: ტიგრანე, ტიგრანეს ძე, მითრიდატეს 5 ვაჟი და 2 ქალი, კოლხთა სკეპტუქი ოლთაყე, სკვითი ქალები სამეფო გვარიდან, იბერთა სამი მთავარი, და ალბანთა ორი, მენანდრე ლაოდიკიელი, მითრიდატეს ჰიპარხოსი და სხვ. ვინც აქ არ იყო, იმათი ვამოსასულებები მოჰქონდათ. მოჰქონდათ აგრეთვე ბრძოლების ამსახველი სურათები და აგრეთვე დაფა, რომელზედაც ეწერა: ამდენი ხომალდი ვიგდეთ ხელთ, ამდენი ქალაქი დავაარსეთ... დაძლეულნი არიან მეფეები: ტიგრანე არმენიელი, არტოკე იბერი, ოროხზე ალბანი. დარიოს მიდიელი, არეტა ნაბატეელი, ანტიოქე კომაგენელი (§ 117).

ამ 5-ში ყურადღებას იპყრობს ხსენება ტყვეთა და მძევალთა შორის: კოლხთა სკეპტუქის ოლთაყესი, იბერთა 3 და ალბანთა 2 ბელადის, მთავრის (ἡγεμῶν); ხოლო დამარცხებულთა შორის არტოკე იბერთა მეფის და ოროხზე ალბანთა მეფისა. აპიანის ნაშრომის მიხედვით, ცხადია, რომ მეფეზე დაბალი საფეხურია მთავარიცა (ἡγεμῶν) და სკეპტუქიც. საინტერესოა ის, რომ სკეპტუქი სწორედ კოლხია². ჩვენ ამ ძეგლის საშუალებით ვიგებთ კოლხი

¹ აღსანიშნავია, ის, რომ პონტოდან სირიამდე ჩამოთვლილი ქვეყნების სახელები, შემდეგ — ალბანები, ჰენიოხები და აქეები ხალხთა სახელით არიან წარმოდგენილი, იბერია ისევ ქვეყნის სახელითა მოცემული. „კოლხიდასა“ და „კოლხებს“ პარალელურად ხმარობს აპიანე. ეს გარემოება უთუოდ შემთხვევითი არ არის და ასახავს ავტორის ცოდნას ამ საკითხში — უფრო მაღალ განვითარების ხალხები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო, ქვეყნის სახელით არიან წარმოდგენილი, ხოლო სახელმწიფოებრივად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხი — სატომო სახელით.

² ანტიკურ მწერლობაში ხომ სხვაგანაც (ერძოდ. სტრაბონთან) გვხვდება „სკეპტუქიებისა“ და „სკეპტუქების“ შესახებ მსჯელობა სწორედ კოლხიდაში

სეპტუქის სახელს. სახელი ოლთაკოსი გვხვდება პლუტარქოსთან— დანდარიების მმართველია (δυναστεύς) ოლთაკოსი ('Οι:μαχός), რომელიც მითრიდატეს მხარეზეა აქტიურად და იბრძვის ლუკულუსის წინააღმდეგ (ლუკ., 24). მე პირადად ეს ორჯერ ხსენებული „ოლთაკე“ ერთსა და იმავე პირად მიმაჩნია.

გ. მელიქიშვილის აზრით, რაც სარწმუნო ჩანს, ოლთაკეს მონაწილეობა პომპეუსის ტრიუმფში იმისი საბუთია, რომ პომპეუსი კოლხიდის ცენტრალურ ნაწილშიც იარაღით მიიკვლევდა გზას („История...“ стр. 330). საერთოდ სხვა წყაროების, მაგ., დიონ კასიუსას მიხედვით სრულიად უეჭველია, რომ ჯერ მითრიდატეცა და შემდეგ პომპეუსიც კოლხიდა—ბოსფორში წასვლისას მოსახლეობას (კოლხებსა და მათ მეზობელ ტომებს) ხან უყვავებდნენ და დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, ხან კიდევ აშინებდნენ და ძალას ხმარობდნენ, ეს იმისათვის, რომ მათ ქვეყანაზე გადაეარათ (დიონ კასიუსი.... XXXVI, 50; XXXVII, 3).

„მითრიდატიკის“ აღნიშნულ ადგილას იბერთა და ალბანთა მთავრები დასახელებული არ არიან.

არტოკე იბერთა მეფე სპეციალისტთა მიერ ქართულ საისტორიო წყაროებში ხსენებულ არტაგთან არის გაიგივებული¹. იგივე არტოკე იხსენიება დიონ კასიუსთანაც (37,1 და შმდ.), ხოლო რაც შეეხება ოროფზეს, ალბანთა მეფეს — იგი ხსენებულია დიონ კასიუსთანაც (36, 54; 37, 4), მხოლოდ არა ამ დამწერლობით, როგორც აპიანესთანაა ('Οροφζης). არამედ ოდნავ სხვაგვარად ('Ορσζης) რაც გამოთქმაში არსებითად ერთი და იგივეა. ქართულ წყაროებში ეს სახელი არ გვხვდება. აპიანეს „მითრიდატიკის“ შესწავლის შედეგად უეჭველი ხდება ის აკრიბია, რაც ახასიათებს ავტორს მასალის დამუშავებისას, და თუ მისი 'Ρωμσιν:α მთლად დამოუკიდებელი კვლევის ნაყოფი არ არის, იგი ერთი უეჭველად მეტად სანდო წყაროთაგანია რომის ისტორიის შემსწავლელთათვის და მათთვის, ვისაც „მითრიდატიკაში“ დაცული ცნობები აინტერესებს.

ტექსტი: Appianus, Historia Romana, ed. Viereck, P. & Rous. A. G. (BT). Lipsiae, 1939.

Editio stereot. corr., add., ...Gabba, E. Leipzig, 1962 (BT).

და შეიძლება ითქვას, დაახლოებით ასეთსავე კონტექსტში—მითრიდატეს წინა, ხანაში, დიადოხების ეპოქაში.

¹ „არტაგი, არშაკუნიანი, არშაკის ძე, მეექვსე მეფე ქართველთა, მეფობდა ორ წელს და მისი ძე იყო ბარტომი“: ლეონტი მროველი: ქც, I, 1955, გვ. 30.

თ არ გ მ ა ნ ე ბ ი: გერმანული — დილენიუსის 1822 წ.

ინგლისური—H. White-ისა (Loeb-ის სერიაში, I გამოც. 1912—1913 წწ., უკანასკნელი—1955 წ.).

რუსული — С. П. Кодратьев, Митридатовы войны: ВДИ, 1916, № 4.

აქიანე მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1959.

კასიუს დიო კოკეჯანუსი (ანუ როგორც ჩვეულებრივ ვუწოდებთ დიონ კასიუსს) (153—235 წწ.) წარმოშობით ნიკეელი (ბითონიელი). ბერძენი იყო, სენატორთა ოჯახიდან (მამამისი იყო ჯერ დალმაციის და მერე კილიკიის მმართველი), თვითონაც სულ მუდამ სხვადასხვა თანამდებობაზეა. ჯერ არის პრეტორი, შემდეგ *consul suffectus*-ი, მერე მოქალაქეთა ზედამხედველი კურატორი, სხვადასხვა პროვინციების პროკონსული და 229 წელს უკვე კონსული და თვით იმპერატორის კოლეგა. ბოლოს ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას და გადასახლდა თავის სამშობლოში, ბითონიაში.

მას დაუწერია ნაწარმოებები: „რომის ისტორია“ (*Ῥωμαϊκῆ ἱστορίᾱ*), „ფილოსოფოს არიანეს ცხოვრება“ (*Βίῃς Ἀρειᾶνου τῆν φιλοσοφῆς*), „სიზმრებისა და წინასწარმეტყველებათა შესახებ“, „კომოდის მმართველობის ისტორია“, მის სახელს კიდევ რამდენიმე ნაწარმოებს უკავშირებენ, მაგრამ სპეციალისტთა გამოკვევით ისინი სხვა ავტორთა თხზულებებია.

ჩვენამდე მოღწეულია მისი მხოლოდ „რომის ისტორია“, რომელიც 80 წიგნად იყო დაწერილი და შეიცავდა რომის ისტორიას ლეგენდარული ეპოქიდან (ენეასის დროიდან) ა. წ. 229 წლამდე. ნაშრომი თვით ავტორის განცხადების თანახმად შაჰარასის თვალსაზრისით 3 ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი შეიცავს 51 წიგნს და ეხება რომის ისტორიას დასაბამიდან იმპერიის შექმნამდე; მეორე ნაწილი — ავგუსტუსიდან მარკუს ავრელიუსის სიკვდილამდე (დაახლ. 170 წ.) და მესამე — მარკუს ავრელიუსის სიკვდილიდან 229 წლამდე.

ამ თხზულების 36—60 წიგნებია მთლიანად მოღწეული (ძვ. წ. 68 წ-დან ახ. წ. 47 წ. ამბების შემცველი), დანარჩენი წიგნების ნაწყვეტები და შემოკლებული მიმოხილვებია შემონახული ბიზანტიელ მწერალთა ნაშრომებში (კონსტანტინე პორფიროგენეტი იოანე ქსიფილინოსი, იოანე ზონარა).

დიონ კასიუსის „რომის ისტორიის“ I ნაწილი (1—72 წიგნები)

შედგენილია წინადროინდელ ავტორთა ნაშრომების საფუძველზე და წარმოადგენს მიმოხილვით კომპენდიუმს, ხოლო მეორე ნაწილში (72—80 წიგნები) აღწერილია თვით ავტორის თანამედროვე ამბები, რომელთა თვითმხილველსაც ის წარმოადგენს (და ამის შესახებ მისი აზრს იხილეთ მისი წიგნების დასასრულზე).

„რომის ისტორიის“ წყაროები დღემდე სუსტადაა შესწავლილი და ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ისტორიკოსი თავის წყაროს არსად ასახელებს; ამას გარდა ნაშრომის დიდი ნაწილი ფრაგმენტების სახითაა, რაც ცხადია, წყაროთა დაღვენის საკითხს ართულებს.

ე. შვარცის გამოკვლევის თანახმად¹ „რომის ისტორიის“ I—XVII წიგნები დაფუძნებულია რომაელი ანალისტების ნაწარმოებებზე; XVIII—XXI წიგნები — პოლიბიოსის „ისტორიაზე“ (შესაძლოა არა უშუალოდ), XXII—XXXV წიგნები იმდენად ფრაგმენტულადაა მოღწეული, რომ მათი წყაროების შესახებ მსჯელობა ჭერჭერობით ფართოდ არავის გაუშლია. წყაროდ იმ მასალისათვის, რომელიც არის XXXVI წიგნიდან და შემდეგ — ლუკულუსის აღმოსავლეთში ლაშქრობიდან დაწყებული ვიდრე იულიუს კეისრის სიკვდილამდე — მიჩნეულია ტიტუს ლივიუსის „ეპიტომე“² (თუმცა შესაძლოა აქ სხვა დამატებითი წყაროებიც ჰქონდა გამოყენებული დიონ კასიუსს). XXXVI—XXXVIII წიგნებისათვის (სადაც შითრიდატუს ამბავია აღწერილი) რა წყაროც არ უნდა ვივარაუდოთ, დიონ კასიუსისა და პლუტარქოსის მსგავსებაზე თვალს ვერ დავხუქავთ. ან უნდა ვცნოთ ის, რომ პლუტარქოსია დიონ კასიუსისთვის წყარო, ან უნდა ეეძებოთ მათთვის საერთო წყარო. შესაძლოა მისთვის პლუტარქოსის მასალის გარდა, როგორც დიდი თანამედრობის პირისათვის, ხელმისაწვდომი იყო დოკუმენტებიც და ამითაა გავრცობილი მისი თხრობა პლუტარქოსთან შედარებით.

ძვ. წ. I ს.-ის შემდგომი ამბები წარმოადგენილია კეისრის „კომენტარების“ და ტიტუს ლივიუსის „ეპიტომეს“ მიხედვით.

(ან. წ. I ს.-ის ისტორია მოცემულია ტაციტუსის „ანალების“ მსგავსად³. როგორც ჩანს, დიონ კასიუსი სარგებლობდა „ანალებ-

¹ RE, III, გვ. 1684—1722.

² ტიტუს ლივიუსს ჰქონდა „რომის ისტორია“ დასაბამიდან (Ab urbe condita) ოქტავიანეს ავგუსტუსის დრომდე. ამისია „ეპიტომე“, აქ გამოყენებული.

³ კორნელიუს ტაციტუსის „ანალები“ წარმოადგენს ტიტუს ლივიუსის „რომის ისტორიის“ გაგრძელებას, იწყება ოქტავიანეს ავგუსტუსის სიკვდილით და თავდება ან. წ. 96 წ-ით.

ბით“, მაგრამ იქ არსებულ მასალას ამოკლებდა, მხოლოდ არსებობის ჰკრეფდა იქიდან და ერთგვარად ლიტერატურულად ამუშავებდა. კორბულონის ისტორიის გადმოცემისას მკვლევართა აზრით, დიონ კასიუსი პლინიუსის იმ ისტორიული ნაშრომით სარგებლობდა, რომელიც ჩვენამდე არაა მოღწეული (მაგრამ NH-შიც კარგად ჩანს ავტორის ანტინერონული და პროკორბულონური განწყობილებები, რაც ისტორიულ ნაშრომში უფრო მკვეთრად იქნებოდა). სპეციალისტთა აზრით, გარდა ~~სწავლასწავლული ისტორიკოსთა~~ ~~ავტორები-~~ ~~სა,~~ დიონ კასიუსი იყენებდა იმპერატორთა პირად მემუარებს, წერილებსა და ოფიციალურ დოკუმენტებს, ~~მონეტებსა და მხედართ-~~ ~~მთავართა~~ ~~სწავროშებს,~~ ელიზობათა ანგარიშებს, მიმოწერას და სხვათ.)

ასე ესახებათ სპეციალისტებს დღესდღეობით დიონ კასიუსის წყაროების საკითხი. საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირებისათვის განსაკუთრებით სამწუხაროა ის, რომ არ ვიცით დანამდვილებით ის წყაროები, რაც ავტორს ჰქონდა ხელთ ჩვენს შესახებ მასალის გადმოცემისას — ვპოულობთ მსგავსებას პლუტარქოსთან, ტაციტუსთან, მაგრამ საკითხი საბოლოოდ შესწავლილი არ არის. მართალია, დიონ კასიუსის „რომის ისტორია“, განსაკუთრებით მისი I უდიდესი ნაწილი, ერთგვარად კომპენდიუმს წარმოადგენს, მაგრამ ის თვითონ მაინც მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით რომის საგარეო პოლიტიკის შესასწავლად და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მან ძველი წყაროები შეზღვევინა. ნაწარმოები გამართული, მხატვრული ენით არის დაწერილი და საშუალო საუკუნეებში საუკეთესო სახელმძღვანელოდ იყო მიჩნეული.

ანტიკურობის ბევრი დიდი სპეციალისტი დიონ კასიუსს კეთილსინდისიერ და ფრიად მკოდნე ისტორიკოსად მიიწნევს. თბრობის მანერითა და წერის სტილით დიონ კასიუსი ბაძავდა სახელგანთქმულ ბერძენ ისტორიკოსს, თუციდიდეს, თუმცა იგი რომაული ისტორიოგრაფიის ტიპური წარმომადგენელია; მისთვის რომის პოლიტიკა ყოველთვის შექების ღირსია, როგორც მოღვაწეთა ყოველი მოქმედება გამართლებულია და ამისი შესაბამისია „ბარბაროსთა“ მიმართ მისი დამოკიდებულება (დიონ კასიუსის იდეალი იყო ძველი რესპუბლიკური წყობილება, მაგრამ მონარქიაზე გადასვლაც გარდაუვალ აუცილებლობად მიაჩნდა. იგი სენატის მიერ არჩეული იმპერატორის მომხრეა, მაგრამ იმ პირობით, რომ სენატს იმპერიაში უმაღლესი ორგანოს როლი უნდა შერჩენოდა!).

¹ Н. А. М а ш к и н, История древнего Рима, 1948, стр. 23.

დიონ კასიუსის „რომის ისტორიაში“ არის ცნობები საქართველოს შესახებაც. ეს ცნობები ძირითადად პოლიტიკურ ისტორიას შეეხება, საქართველოსა და რომის ურთიერთობის საკითხებს, თუმცა არის ისეთი ცნობებიც, რომლებიც შუქს ჰფენენ სხვა რივის საკითხებსაც.¹

დიონ კასიუსი საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს მითრიდატეს ე. წ. III ომს (74—64 წწ.), ლუკულუსის ბრძოლებს მითრიდატესა და ტიგრანესთან. შემდეგ, ზუნებრეგაა, გადადის პომპეუსის ლაშქრობებზე. ამ, პომპეუსის ლაშქრობებთან დაკავშირებით იგი ასეთ ცნობებს გვაწვდის ძველი საქართველოს შესახებ: მითრიდატე ევპატორი არმენიაში პომპეუსთან განცდილი დიდი მარცხის შემდეგ, მას მერე, რაც ის ტიგრანემ არ მიიღო¹, გაემართა კოლხიდისაკენ და იქიდან ხმელეთით წავიდა მეოტიდასა და ბოსფორში, გზაზე დამხდურ ტომებზე ზოგზე დარწმუნებით მოქმედებდა, ზოგზე კი დეე ძალას ხმარობდა. ასე მიაღწია (ბოსფორს) და დაიმორჩილა ეს ქვეყანა². მისი ვაჟი მახარე, რომელიც ამ ღროს ამ მხარეს განაგებდა და რომაელებს მიემხრო, სახტად დარჩა და მისი ხლება ვერ გაბედა. მითრიდატემ მოჰკლა ის მისი მახლობლების დახმარებით, რომელთაც შენდობა და გასამრჯელო აღუთქვა³. ამასობაში პომპეუსმა მითრიდატეს დაადევნა მღევარი, მაგრამ მან ფასისზე გადაასწრო⁴ (ე. ი. რიონზე) (XX XVI, 50).

არმენიის ოპერაციების შემდეგ პომპეუსმა თავისი ჯარი სამად

¹ რაკი ტიგრანე II მას სწამებდა მისი ძის ტიგრანე უმცროსის მიერ მამის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების სულის ჩამდგმელობას (რაც შეიძლება გამორიცხული არ იყო — მითრიდატეს ერჩივნებოდა არმენიის ტახტზე თავისი შვილიშვილი ჰყოლოდა, ვიდრე გამოცდილი და ძლიერი მეფე ტიგრანე II).

² როგორც ცნობილია (სტრაბონი, XI, 2, 18; აპიანე, 115), მითრიდატე ევპატორის ხელშია კოლხიდა, აი, ამ გზით მოდის უკუქვეული მითრიდატე და გზაზე — ზოგ ხალხს დაევალებით, დარწმუნებით გაივლის, ზოგს კი ძალით, ამ ნაწყვეტში ეს ისეთ კონტექსტშია, თითქოს, კოლხიდა რომ გაიარა, მერე დასჭირდა დარწმუნება და ძალის ხმარება, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ არც კოლხიდაზე გადაუვლია იმას სრულიად შეუყოვნებლივ.

³ მახარეს ურჩობის შესახებ დაწვრილებით აქვს აპიანეს (§ 105). პლუტარქოსის „ლუკულუსში“ (XXIV) მახარემ ჯერ ლუკულუსს შესთავაზა კავშირი და ძღვენი გაუგზავნა. მეზნონს შეცდომით მახარე მითრიდატეს მიერ კოლხიდაში დასმულ შეფედ ჰყავს გამოყვანილი (და არა ბოსფორის მეფედ) და ისიც რომაელთა ორიენტაციისა — ლუკულუსს უქერს მხარს (XVI, 54, 1). სინამდვილეში მითრიდატეს კოლხიდაში თავისი ძე, მითრიდატე ჰყავდა, ხოლო ბოსფორში მახარე. მამის ერთგული არც ერთი არ ყოფილა და ორიენტი რომაელებთან იქერდნენ კავშირს.

გაპყო და ანაიტისის ოლქში, მდინარე კირნოსთან დაიზამთრა¹, აქ მან ტიგრანესგან სანოვაგე და ფული მიიღო, გაცილებით მეტი, ვიდრე ადრე ჰქონდათ დათქმული — ამის გამო ის მეგობრად და მოკავშირედ გაიხადა, ხოლო მისი ურთი ვაჟი (ტიგრანე მცირე) შეპყრობილი გაგზავნა რომში (X XXVI, 53). (ἔξ τε τοῦς φίλοις αὐτοῦ ἔξ τοῦς συμμάχοις... ἔσχημαξεν — „მეგობრად და მოკავშირედ ჩაწერა“ ჩვეულებრივი ფორმულა იყო რომაელთათვის; ამით ისინი აღნიშნავდნენ დამარცხებული ქვეყნის თავის ვასალურ სახელმწიფოდ ქცევის ამბავს).

მაგრამ პომპეუსმა ზამთარი მშვიდად ვერ გაატარა. ოროჯემ², მდინარე კირნოსის ზემოთ მცხოვრები ალბანების მეფემ³, ერთის მხრივ იმიტომ, რომ ახალგაზრდა ტიგრანეს სიამოვნება უნდოდა, რაკილა მისი მეგობარი იყო, უფრო კი იმიტომ, რომ რომაელების ალბანიაში შეჭრისა ეშინოდა, გადასწყვიტა მოულოდნელად დასხმოდა მათ თავს, სხვადასხვა ადგილას დაბანაკებულებს (სამად გაყოფილებს) და გაილაშქრა კიდევაც მათ წინააღმდეგ სწორედ კრონოსის დღესასწაულის წინ⁴. თვითონ ოროჯე გამართა მეტელუს ცელერის წინააღმდეგ (რადგან მასთან იყო ტიგრანე), მეორე რაზმში გაგზავნა პომპეუსის წინააღმდეგ, ხოლო მესამე — ლუციუს ფლავუსის წინააღმდეგ... მაგრამ ოროჯე ვერაფერს გახდა ამ მანევრებით—მეტელუს ცელერმა სასტიკად დაამარცხა თვით ოროჯე, ლუციუს ფლავუსმა შეიტყუა მტერი (ე. ი. ალბანელები), ზო-

¹ თუ სად დაიზამთრა ძვ. წ. 66—65 წელს პომპეუსმა, კირნოსის (მტკვრის) რა ადგილას, ამის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს. უთუოდ მართალია ნ. ლომოური, რომელიც ამბობს, რომ ეს არის ალბანეთის საზღვრების მახლობლად, სადაც აწინდელი უახახისა, თუ თოუზის მიღამოებში (დიონ კასიუსი... ვ. 97, 100). ბერძნული წყაროების ანაიტისის ოლქი ჩვეულებრივ არმენიის დასავლეთის ოლქი (აკილისენე) იყო, მაგრამ ამ სახელწოდების ოლქი არმენიაში რამდენიმე იყო. ქალღმერთი ანაიტისი სომხური წარმართული პანთეონის ერთ-ერთი მთავარი ღვთაება იყო და მისი კულტი ფართოდ იყო არმენიაში გავრცელებული, ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ დიონ კასიუსის მიერ ხსენებული ოლქი იყო გაცილებით უფრო აღმ-ით, ვიდრე სტრაბონის აკილისენა.

² ოროჯე—ალბანთა მეფე ცნობილია აპიანესთვისაც ('Ορειζης ფორმით).

³ სრულიად გარკვეულია ალბანიის სამხრეთ საზღვარი — ესაა მდ. მტკვარი. სხვა წყაროების მიხედვით აღმ. საზღვარი იყო კასპიის ზღვა, ხოლო დასავლეთისა—იორ-ალაზნის აუზი. თანამედროვე აზერბაიჯანისა და სამხრეთ დაღესტნის ტერიტორია.

⁴ τὰ Κρόνια, ლათინ. saturnalia იმართებოდა რომში ყოველწლიურად 17 დეკემბერს, ე. ი. თავდასხმა 66 წლის 17 დეკემბერს მოხდა.

გი ბრძოლაში დახოცა, ზოგსაც გაქცეულს მისდია. ხოლო პომპეუსმა რომ შეიტყო ბარბაროსების განზრახვა, თვითონ შეუტია სასაწრაფოდ, გაანადგურა და წამოვიდა ორომანესკენ, მანკრამ ვერ ჩაივლო სულში, ორომანე გაიქცა. სანავიეროდ პომპეუსმა ბევრი ალბანელი დახოცა, ჟანსაკუთრებით კირნოსზე გადასვლისას. ამის მერე, ალბანთა დაყინებული თხოვნა შეიწყნარა პომპეუსმა და დადო მათთან ზავი. ძალიან უნდოდა მათზე შერი ეძია და მათ ქვეყანაში შეჭრილიყო, მაგრამ ზამთრის გამო შეიკავა თავი (X XXVI, 54) (შემდეგ წელს მან ეს საწადელი აისრულა — თ. ყ.).

შემდეგ წელს, ლუციუს კოტას და ლუციუს ტორკვატუსის კონსულობაში (ე. ი. 65 წ.) იგი ეომა როგორც ალბანებს, ასევე იბერებს. უფრო უწინ კი იბერებს და იძულებული გახდა სრულიად მოულოდნელად შეებმოდა მათ. იბერები კირნოსის ორივე ნაპირზე ცხოვრობენ და ემეზობლებიან ერთი მხრით ალბანელებს, მეორე მხრით არმენიელებს¹. მათ მეფეს, არტოკეს² ეშინოდა, რომ პომპეუსი მის წინააღმდეგ არ შემობრუნებულიყო, ამიტომ გაუგზავნა მოციქულები თითქოს მეგობრობის დასამყარებლად, სინამდვილეში კი ამ დროს ემზადებოდა, რომ მოულოდნელად დასხმოდა თავს. პომპეუსმა ეს შეიტყო და თვითონ პირველი შეიჭრა მის ქვეყანაში, ვიღრე ის შესძლებდა მომზადებას და მეტად ძნელგასავალი ვიწრობების დაკავებას³.

სანამ არტოკე გაიგებდა პომპეუსის შემოსვლას, პომპეუსმა მოასწრო მისვლა ქალაქამდე, რომელსაც აკროპოლისი ეწოდება.

¹ იბერიის სამხრეთი და აღმოსავლეთი საზღვრებია ნაჩვენები. ონაც ისიცა ნათქვამი, რომ იბერები მტკერის ორივე ნაპირზე ცხოვრობენ, ე. ი. სამხრეთ საზღვარი მტკერზე უფრო სამხრეთითაა, უთუოდ პომპეუსის დროისათვის.

² იბერთა მეფის, არტოკეს სახელი გვხვდება აპიანესთანაც. მას აიგივევენ ქართული წყაროს არტაგთან.

³ დიონ კასიუსი სრულიად გარკვეულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, თითქოს პომპეუსს არ სურდა იბერებთან და ალბანებთან ბრძოლა. უბრალოდ ის იძულებული გახდა ეომა, ისე იქცოდნენ ადგილობრივი მეფეები — ჯერ ორომანე ესხმის თავს, შემდეგ არტოკე უპირებს უარესს. სინამდვილეში რომის პოლიტიკა სრულიად გარკვეულია — მას თუ არ სჭირდება სრული დამორჩილება ამიერკავკასიის ქვეყნებისა, ის მაინც სურს, რომ თავის გავლენის ქვეშ ჰყავდეს. ამიერკავკასია ყოველთვის საინტერესო იყო, ბევრ სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ქვეყნებისათვის, თავისი რესურსებისა თუ კარგი დებარეობის გამო — ის იყო ყელი, გასავალი ევროპასა და აზიას შორის — ბევრი გზა გადიოდა მასზე, რომელიც აერთებდა დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს.

პომპეუსი, მართალია, მითრიდატეს ებრძოდა, მაგრამ უამისოდაც მისი (ე. ი. რომის) პოლიტიკა იქით იყო წარმართული, რომ ამიერკავკასია მის ექსპანსიას ვერ გადურჩებოდა.

ქალაქი მდებარეობდა სწორედ ვიწრობებში, ერთ მხარეს (კიანოსი მოედინებოდა)*, ხოლო მეორე მხარეს კავკასიონი იყო გადაჭიმული. აქვე იყო ის გამაგრებული საგუმბაგოებით თავდასამსმელთაჯანი¹. შეშინებულ არტოკეს დრო არ ჰქონდა, რომ საბრძოლველად მომზადებულიყო, ამიტომ გადავიდა მდინარეზე და დასწვა ხიდი. ხოლო ისანი, ვინც სიმაგრეში იყვნენ, მეფის გაქცევის გამო და თანაც იმიტომ, რომ ბრძოლაში დამარცხდნენ, დანებდნენ პომპეუსს. ამგვარად დაიპყრო პომპეუსმა გასასვლელები, დააყენა იქ მცველები, ხოლო თვითონ წავიდა და დაიპყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე (XXVII, 1)². როდესაც პომპეუსი კირნოსზე გა-

* ამ ადგილას ტექსტში არის ლაქუნა, შეესება ეუთენის ბეკერს, რაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

¹ ქალაქი აკროპოლისი უნდა ნიშნავდეს იბერიის დედაქალაქს, იმას, რასაც სხვა ავტორები (სტრაბონი, პლინიუსი, პტოლემეოსი) *Ἀγρωστίζην, Harmastis, Ἄγρωστα* უწოდებენ. ეს სახელწოდებები ქართული არმაზის, არმაზციხის გადმოცემას წარმოადგენენ; არმაზციხე კი იყო ქ. მცხეთის აკროპოლისი. გ. მელიქიშვილის აზრით, „მოქცევა ქართლისაჲ“-ს ცნობა, არმაზში „შიდა ციხის“ აშენების შესახებ გვაწვდის ამ ადგილის ქართულ სახელს, რისი შესაბამისიც (ე. ი. „შიდაციხის“) ბერძნული ფორმა „აკროპოლისია“ („Κ ιστοριον...“ 329 გე). „შიდაციხეს“ შესახებ დაიონ კასიუსის „აკროპოლისია“, შარამ მის თარგმანს ის არ წარმოადგენს, პომპეუსმა რაც ნახა (ივენებურად „შიდა ციხე“), ის ეჩვენა მას აკროპოლისად (მან ცხადია იცის, რა არის აკროპოლისი) და ამიტომ უწოდა მას ასე.

არქეოლოგიური გათხრის შედეგად დადასტურებულია, რომ ეს ქალაქი მდებარეობდა ზაგინეთის ბორცვზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირას, არაგვის შესართავის პირდაპირ.

2 ტექსტის ამ ადგილთან დაკავშირებით ნ. ლომოური აყეთებს ვრცელ და დრიალ დამაჯერებელ კომენტარს, რომელშიც განსაზღვრულია პომპეუსის მარშრუტი — თუ როგორ შემოვიდა ის იბერიაში. იგი დედაქალაქს აღმოსავლეთიდან მოადგა; საზამთრო ბანაკი რომ მდ. მტკვრის ნაპირას, აღსტაფისა და თოუზის შესართავთა რაიონში ჰქონდა, იქიდან აჰყვა მტკვარს და შიდა იბერიას, რომლის ტერიტორიაც ამ დროს მდ. ხრამის მტკვართან შეერთების ადგილას იწყებოდა. აქედან მართლაც შეიძლება უცბად და მოულოდნელად შეკრა მცხეთამდე (ხოლო სხვათა აზრით, თუ მტკვრის ზედაწელს გამოქვევბოდა არმენიიდან პომპეუსი, ან აღბანისთან როდის მივიღოდა და ან უცბად როგორ მოადგებოდა მცხეთას, როდესაც გზაზე იბერიის გამაგრებული ქალაქები — ოძრხე, ურბნისი, კასპი, სარკინე — დახვდებოდა). პომპეუსს უსარგებლია სომხეთ-იბერიის დამაკავშირებელი გზების იმ შტოთი, რომელაც აღსტაფის ქვემო დინეზიდან მტკვრის აყობებით მარჯვენა ნაპირის გასწვრივ თბილის-მცხეთის რაიონს ადწევდა. ამის დადასტურებაა სტრაბონთან — როდესაც ის ავეიერს იბერიაში 4 შემოსასილელს, IV—არმენიიდან შემოსასვლელია, აზის მერე ამბობს: „ამ შემოსასვლელით ისარგებლა პირველად პომპეუსმა, რომელიც არმენიიდან მოდიოდა, ხოლო შემდეგ კანიდიუსმა“ (XI, 3, 5). ეს შემოსასვლელი

დასვლას აპირებდა, არტოკემ კაცები შიუგზავნა და ზავსა სთხოვდა, ხოლო თვითონ თავის მხრივ ხიდის შეკეთებას და პროვიანტის მიწოდებას პპირდებოდა. არტოკემ ორივე შეასრულა, რადგან მასთან შეთანხმებას აპირებდა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოვიდა, შეშინებული გაიქცა მდ. პელოროსისკენ, რომელიც აგრეთვე მის სამეფოზე მიედინებოდა!

პომპეუსი მას დაედევნა და დაამარცხა. ამის მერე არტოკე გადავიდა პელოროსზე, დასწვა მასზე გადებული ხიდი და გაიქცა, ხოლო მისი მზღებლები ზოგი ხელჩართულ ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი კი მაშინ, მდინარეზე რომ გადადიოდა. ბევრი მათგანი კი ტყეებს შეეფინა და რამდენსამე დღეს მალალი ხეებიდან ისრებს უშენდნენ მოწინააღმდეგეს. მაგრამ როდესაც ტყე გაკაფეს, ეს მეომრებიც დაიღუპნენ. ამის მერე არტოკემ კვლავ გზუგზავნა საჩუქრები პომპეუსს. პომპეუსმა მას მძევლებად შვილები მოსთხოვა. არტოკე ერთხანს არ თანხმდებოდა, მაგრამ ზავხელში პელოროსი დაშრა და რომაელებისათვის ძნელი არ იყო მასზე გადასვლა, დაბრკოლება სხვა არც იყო. მაშინ არტოკე დასთანხმდა პომპეუსს, გაუგზავნა შვილები და ამის შემდეგ დასდეს ზავიც² (XX XVII, 2).

არმენიიდან საბოლოოდ მცხეთის სანახებთან მოდის (ნ. ლომოური, დიონ კასიუსი... გვ. 104—106).

¹ მდ. პელოროსი ბერძნულ-რომაული წყაროებისათვის უცხოა. ВДИ-ს კომენტარში (1948, № 2, გვ. 271) ის გაიგივებულია მდ. ლორესთან (ახლ. სომხეთის ტერიტორიაზე), მაგრამ თვითონ დიონ კასიუსის ტექსტის მიხედვით ეს სრული გაუგებრობაა. ეს მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლის შემდეგ არის და ყველა მონაცემებით „არაგვი“ უნდა იყოს.

თუ რატომ უწოდა „არაგვი“ „პელოროსი“ გაუგებარია. ვ. დონდუას მონაზბტებით, თითქოს ის შეიძლება დაეუკავშიროთ ბერძნულ ზმნას — *αελα* (ცმობრაობ, ვტრიალებ) — ე. ი. მაშინ მდინარე მისი დინებოს (მოუსვენარი, სწრაფი დინების) ნიშნითა დასახელებული; ანდა *αελα* — სახელს, რაც ნიშნავს ყუდობილს-ს (საოცრება, გოლიათი, დევი; შდრ. დევის ხერელი; დევის ნამუსლა).

საერთოდ ძნელია ვარკვევა, თუ რატომ ჰქვია ამა თუ იმ მდინარეს (ან პუნქტს) ესა თუ ის სახელი. მაგ., ცოტა მდინარე შეგებულა ბერძნულ წყაროებში, რამელთაც არ ვიცით რატომ ეწოდება ასე? მაგ., აბანტი — ალახანი (იქვე, დიონ კასიუსთან). ქარესი — კელასური (?) (სტრაბონთან) და სხვ.

² დიონ კასიუსის ეს ცნობა, ს. ჭანაშიას აზრით, რასაც იზიარებს ნ. ლომოურიც, მაუწყებელია იმისა, რომ ძვ. წ. I ს. იბერიაში სახელმწიფო ხელისუფლება იყო, ის არტოკეს მონარქიულ უფლებებზე მიუთითებს. პომპეუსი მძევლებად სწორედ მეფის შვილებს, ტახტის მემკვიდრეებს თხოულობს და არა სხვას ვისმე (მაშინ, როდესაც გვაროვნული წყობილების უმალღეს საფეხურზე მდგომ ტომთაგან მძევლებად რომაელებს ყველაზე წარჩინებული და გამოჩენილი მოქალაქეები მიჰყავდათ ხოლმე — იხ. Caesar, Comm. I, 31; II, 13; 15).

ამას გარდა, ამ ცნობაში ჩანს მეფის, არტოკეს უფლებები (განსხვავებოა

ამის მერე პომპეუსმა შეიტყო, რომ ფასისი შორს არაა და მოინდომა კოლხიდაში მის ნაპირ-ნაპირ შესვლა, იქიდან კი ბოსფორში წავიდოდა მითრიდატეს წინააღმდეგ. პომპეუსმა გაიარა კოლხეზზე და მის მეზობლებზე, ზოგან დარწმუნებით მოქმედებდა, ზოგს აშინებდა¹. აქ მან შეიტყო, რომ თუ ხმელეთით წავა, მოუხდება ბევრი უცხო და მეომარი ტომის (ξῆμα) მიწების გავლა, სოლო ზღვით მოგზაურობა უფრო ძნელია, იმიტომ, რომ არაა ნავსადგურები და მოსახლეობაც სანდო არაა². ამიტომ მან თავის ფლოტს უბრძანა, რომ მითრიდატეს ჩასაფრებოდა, თვითონ კი ისევე ალბანებს მიუბრუნდა. მხოლოდ უმოკლესი გზით კი არ წავიდა, არამედ შემოუარა, არმენიაზე გადავიდა, ეს იმიტომ, რომ მოულოდნელად დასხმოდა თავს ალბანელებს და მათ მომზადება ვერ მოესწროთ. გადავიდა კირნოსზე, რომელიც სიცხეების გამო ადვილად გასასვლელი იყო³... აქედან კამბისემდე⁴ მას მტრისაგან ცუდი არაფერი უნახავს, ხოლო სიცხემ და წყურვილმა მისი ჯარი ძალიან დასტანჯა, თუმცა ღამით

სტრაბონის იბერიის *παρουσία* — ებისაგან). იგი აწარმოებს პომპეუსთან ბრძოლას (ე. ი. მხედართმთავრობს), იგი განაგებს დიპლომატიურ ურთიერთობას და ზავის დადებას (ე. ი. საგარეო საქმეების მოგვარებაც მასვე ევალება).

ლ. ალექსიძის გამოკვლევით (К вопросу о международно-правовых взаимоотношениях Иберии (Картли) с Римом — თსუ შრომები, ტ. 65, 1957. გვ. 161—179) რომისა და იბერიის ხელშეკრულება გულისხმობს არა მარტო „ზავსა და მეგობრობას“, არამედ აქტიურ დახმარებასაც საერთო მტრებთან ბრძოლაში. კონკრეტულ შემთხვევაში ეს ხელშეკრულება განეკუთვნება იმ ცალმხრივ კავშირებს, როდესაც რომი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობს თავისი „მოკავშირის“ მიმართ (დიონ კასიუსი... გვ. 169).

¹ აქაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ზემოთ, მითრიდატეს შემთხვევაში — პომპეუსი მიდის კოლხების ქვეყანაზე და მიანცდამიანც დიდი ხალხით არ ატარებს მას მოსახლეობა — ზოგს არწმუნებს, ზოგს აშინებს (მითრიდატე ზოგს უყუავებდა, ზოგზე ძალას სმარობდა). ეს სრულიად ბუნებრივია და მაჩვენებელია კოლხებისა და მათი მეზობლების განწყობილების — არც მითრიდატე უნდა ქვეყნის გადაქვლავად და არც პომპეუსი.

² შავი ზღვის აღმ. და ჩრდილო აღმ. სანაპიროების შესახებ ეს ანბი ბერძენულ მწერლობაში თავიდანვე არის, ამისი ფესვები უპირველეს ყოვლისა ლატინურატურულია (*მჭანუა*), ხოლო შემდეგ, სანაპიროს მოსახლეობის „ველურობას“ და უნავსადგურობას უჩივის ბევრი მწერალი (არისტოტელე, სტრაბონი...).

³ პომპეუსის კოლხიდიდან ალბანიაზე ლაშქრობის მარშრუტი ვასასბლერული აქვს ი. მანანიანს (Круговой путь Помпея... стр. 78); პომპეუსი კოლხიდიდან ზეკარის უღელტეხილით გადავიდა არმენიაში, ხოლო აქედან მდ. აღსუაფის ხეობით მოვიდა მტკვარამდე. მტკვარზე პომპეუსი ახლანდელ ფოილოსთან უნდა გადასულიყო.

⁴ კამბისე — თანამედროვე იორი (კამბეჩოვანი — ბერძ. *Καμπισιουή* — ქიზიყ-შირაქის ძველი სახელი. მდინარემაც, ჩანს აქედან მიიღო სახელწოდება).

მგზავრობდნენ. მეგზურები პომპეუსს ტყვეებიდან ჰყავდა და მათ ესენი ნაკლებად მოსახერხებელი გზით წაიყვანეს, ამავე დროს მდინარის წყალმაც აწყინა მათ. არც აქ შეხვედრიათ რაიმე წინააღმდეგობა. ამის მერე მივიღწენ აბანტამდე¹. თან მხოლოდ წყალი მიჰქონდათ, რადგან საგზალს ადგილობრივი მოსახლეობა აძლევდა მათ ნებაყოფლობით, ამიტომაც იყო, რომ რომაელები მათ არაფერს უშვებდნენ (XXVII, 3). მდინარეზე რომ გადავიდნენ, გაიგეს, რომ ოროზე მოახლოვებულა², აქ პომპეუსის მრავალრიცხოვანმა ჯარმა გარკვეულ სამხედრო ფანდებს მიმართა და ალბანები სასტიკად დაამარცხა (თითქოს იმ პირველი თავდასხმისათვის სამავიერო მიაგო). პომპეუსმა მათი ქვეყანა დაარბია და შემდეგ დაუნავდა ალბანებს და სხვა ხალხებს, რომლებიც კავკასიონთან ცხოვრობდნენ (XXVII, 4—5).

გარდა ამ ვრცელი დაწვრილებით თხრობისა, სადაც აღწერილია პომპეუსის 66—65 წლის ლაშქრობები იბერთა და ალბანთა წინააღმდეგ, დიონ კასიუსის „ისტორიაში“ არის ცალკეული ჩვენთვის საინტერესო ცნობებიც: მითრიდატეს ძეს, ფარნაკეს ეპყრა კიმერიული ბოსფორი³. მან მოინდომა მამეული სახელმწიფოს აღდგენა, ისარგებლა კეისრისა და პომპეუსის განხეთქილებით და აჯანყდა⁴, ამის მერე სრულიად გაუჭირვებლად დაიმორჩილა კოლხიდა⁵ და არმენია⁶, მაშინ, როდესაც დემოტაროსი⁷ იქ არ იყო და კაპადო-

¹ აბანტი — თანამედროვე ალაზანი.

² პლუტარქოსის „პომპეუსში“ (§ 35) ალბანელების სარდალი არის კოსისი, მეფის ძმა, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში მოკლა თვითონ პომპეუსმა. კოსისის სახელი დიონ კასიუსთან სულ არ გვხვდება.

³ მითრიდატე ეპატორის ვაჟმა ფარნაკემ 63 წელს მამის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო ბოსფორში და მას ბევრი ქალაქი მიემხრო. მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ პომპეუსმა ფარნაკე დაამტკიცა მხოლოდ ბოსფორის მეფედ (და არა მთელი მამისეული სახელმწიფოს მეფედ, როგორც მას სურდა).

⁴ 49—48 წლებში ბრძოლაა კეისარსა და პომპეუსს შორის ძალაუფლებით, ამ დროს წამოჰყო თავი ფარნაკემ, ისარგებლა ამ ვითარებით.

⁵ კოლხილაში მითრიდატეს დამარცხების შემდეგ მმართველად პომპეუსმა არისტარქე დააყენა (აპიანე, § 114) და ამ დროს კოლხიდა რომის მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო. 49—48 წლებისათვის ისეუ არისტარქე იყო მმართველი თუ ვინმე სხვა — არ ვიცი.

⁶ იგულისხმება „მცირე არმენია“.

⁷ დემოტაროსი სხვა წყაროებითაც კარგად ცნობილი პირია. მაგ., სტრაბონი მის შესახებ წერს: „ამ ქვეყნის (იგულისხმება — პონტოს) ერთი ნაწილი უკუჩრავთ ამისელებს, ხოლო მეორე — პომპეუსმა გადასცა დემოტაროსს, როგორც ის ადგილები, რომლებიც მდებარეობენ ფარნაკისთან და ტრაპეზუსისთან ვიდრე კოლხილამდე და მცირე არმენიამდე. ამათ მეფედ გამოაცხადა დემოტარო-

კიისა და პონტოს ზოგაერთი ქალაქები, რომლებიც ბიავინიაში შედიოდნენ (XLII, 45).

ძვ. წ. 36 წელს (ვათარილებთ იმის მიხედვით, რომ გელიუსისა და ნერვას კონსულობაზეა ლაპარაკი) პუბლიუს კანიდიუს კრასუსმა გაილაშქრა აქაურ იბერებზე და ბრძოლაში დაამარცხა მათი მეფე ფარნაბაზოსი, გაიხადა ის მოკავშირედ და შეიჭრა მასთან ერთად მეზობელ ალბანიაში, დაამარცხა ალბანელები და მათი მეფე, ზობერი და ესენიც ასევე თავისიანებად გაიხადა¹ (XLIX, 24).

შემდეგი ცნობები უკვე ახ. წ. I ს.-ისა აქვს დიონ კასიუსს, სახელდობრ:

ახ. წ. 35 წელს პართელთა მეფემ, არტაბანოსმა არმენიაში მეფედ თავისი შვილი, არსაკე დასვა. შემდეგ კაპადოკიის დაპყრობასაც შეეცადა, პართებსაც გაუმაყდა. პართებმა ტიბერიუსთან უჩივეს. ტიბერიუსმა იქ ტირიდატე (პართიის მეფის, ფრაატე IV-ის შვილიშვილი, რომში მძევლად მყოფი) გაგზავნა, რომელიც აგრეთვე სამეფო გვარისა იყო. იმისათვის, რომ ტირიდატეს ადვილად დაეპყრო ძალაუფლება, ტიბერიუსმა მითრიდატე იბერთა მეფეს მისწერა, არმენიაში შეჭრილიყო, რათა არტაბანოსი თავის ვაჟს მიშველებოდა და თავისი ქვეყანა კი დაეცალა. ასეც მოხდა. ტირიდატე გამეფდა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო ტახტზე — არტაბანოსმა სკვითები მოიშველია და გააძევა ტირიდატე. ამის მერე არმენია მიიღო მითრიდატემ, როგორც ჩანს, მითრიდატე იბერიელის ძემ, და ამის მერე რომ იბერთა მეფე იყო, ფარასმანესი, — მისმა ძმამ (LVIII, 26).

სი, რომელსაც ამას გარდა ჰქონდა გალატთა მამული ტეტრარქობა, სახელდობრ, ის იყო ტოლისტობოგების ტეტრარქი“ (XII, 3, 12). ამაზე წერს: „(პომპეუსმა) დემოტაროსი და სხვები ტეტრარქებად დაუყენა გალოგრეებს, რომლებიც ახლანდელი გალატები არიან“ (§ 114).

ფარნაკეს აჯანყების დროს დემოტაროსი პომპეუსის მხარეზე იბრძოდა ფარასლუში (მერე მიემხრო კეისარს), იმიტომ არ იყო ადგილზე.

¹ ეს ცნობა ბევრი მომენტი არის საინტერესო: ჭერ ერთი, სტრაბონის შემდეგ (XI, 3, 5) დიონ კასიუსიც გვიმეორებს იმას, რომ იბერიაში ილაშქრა კანიდიუსმა — მარკუს ანტონიუსის ერთ-ერთმა მხედართმთავარმა, რომელიც ამ დროს არმენიაში იმყოფებოდა.

მეორე — იბერთა მეფე ფარნაბაზოსი სხვა წყაროებით არაა ცნობილი. დიონ კასიუსის ცნობა თარიღიანია და ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ. წ. 36 წელს იბერთა მეფე იყო ფარნაბაზოსი. მესამე — იგივე ადგილი ისტორიისა გვაწვდის ალბანთა მეფის, ზობერის სახელს, ასევე ზუსტი თარიღით, და ბოლოს, სრულიად აშკარაა, რომ პომპეუსთან დაახლ. 25 წლის წინ დადებული შეთანხმება „მეგობრობისა და მოკავშირეობის“ შესახებ უკვე აღარაა ძალაში და ახლა ანტონიუსს უხდება თავისი ოფიცრის გამოგზავნა ექსტრადიციითურთ ამ შეთანხმების აღსადგენად უკვე და ისევ იარაღით ხელში.

დიონ კასიუსის ტექსტის ამ ადგილმა არ შეიძლება, რომ არ გავახსენოს იოსებ ფლავიუსის (37—95 წწ.) „იუდეველთა სიძველეების“ ერთი ადგილი (XVIII, 4, § 96—100): ტიბერიუსმა გაუგზავნა ვიტელიუსს (კონსულია 34 წელს და შემდეგ სირიის მმართველი) წერილი და უბრძანა, რომ დამეგობრებოდა არტაბანოსს, პართელთა მეფეს, რადგან ის მისი მტერი იყო და ეშინოდა მასი. არტაბანოსს არმენია უკვე მიეთვისებინა (თავისი ვაჟი არსაკე დაესვა ტახტზე) და ტიბერიუსს ეშინოდა, რომ მას უფრო მეტი არა ევნო რა. ვიტელიუსი არტაბანოსს მხოლოდ მაშინ უნდა ნდობოდა, თუ მიიღებდა მისგან მძევლებს. ტიბერიუსმა მისწერა ეს ვიტელიუსს და თვითონ დიდი ქონებრივი საძოვრით იბირებდა იბერთა და ალბანთა ზღუდეებს, რომ დაეთანხმებინა არტაბანოსთან ბრძოლაზე. ამათ უარი უთხრეს ტიბერიუსს შებრძოლებაზე, სამაგიეროდ სკვითებს მისცეს გზა თავის ქვეყანაზე, გაუღეს კასიუსის კარი და თავს დააახეს არტაბანოსს. ასე წაართვეს უკან არმენია არტაბანოსს... ამის მერე ვიტელიუსმა... დიდი ლაშქრით შესძლო მტრის დაძლევა და ამ მხარის დაპყრობა. ამ 2 ნაწყვეტში ერთი და იგივე ამბების თხრობა მხოლოდ ცოტა სხვადასხვაგვარად.

დიონ კასიუსი არაფერს ამბობს ვიტელიუსის შესახებ, რომელიც რომაული ლეგიონებითურთ ჰყავდა გაგზავნილი ტიბერიუსს აღმოსავლეთში; საერთოდ არტაბანოს III-ის პართია რომის დიდი მოწინააღმდეგე იყო და ტიბერიუსი ხელსაყრელ მომენტს (ე. ი. თვით პართიაში უკმაყოფილებას) ელოდებოდა, რომ საქმისათვის აქტიურად მიეხედა.

მითრიდატე იბერთა მეფისათვის არმენიაში შეჭრა მხოლოდ დიონ კასიუსს აქვს (იოსებ ფლავიუსი ზოგადად ახსენებს იბერთა და ალბანთა მეფეებს, რომელთაც საბოძვარით იბირებდა ტიბერიუსი. მაგრამ ვერ გამოიყვანს პართიის წინააღმდეგ, მხოლოდ სკვითებს აძლევენ გზას). დიონ კასიუსთან კი სკვითები არტაბანოსს გამოუყენებია ტირიდატეს წინააღმდეგ. ამ ორი ავტორიდან მხოლოდ დიონ კასიუსი წერს იმის შესახებ, რომ არმენიის ტახტზე მერე იბერთა მეფის ძე ჯდება. იბერთა მეფის, მითრიდატეს (რომელიც მამაა ფარსმან I-ისა) სახელი შემოგვიჩანს დიონ კასიუსმა.

იბერთა მეფის ფარსმანისა და მისი ძმის მითრიდატეს მონაწილეობა არმენიისათვის ბრძოლაში უფრო დაწვრილებით აქვს ტაციტუსს თავის „ანალებში“ (32—33), სადაც არ ჩანს მამა, რომელსაც ტიბერიუსმა მისცა დავალება. ტაციტუსი ქრონიკოლოგურად უფრო ახლოსაა ამ ამბებთან და ამის გარდა, მისი „ანალები“ მეტად ხანდოწყაროდ არის მიჩნეული, ამიტომ საერთოდ უპირატესობა მას ენი-

ჭემა, მხოლოდ ფარსმან I-ის მამის, მითრიდატეს სახელის ხსენებისას დიონ კასიუსი ალბათ მაინც არ სცდება (თუ კიდევაც არ მონაწილეობს ის არმენიის წინააღმდეგ ბრძოლებში). დიონ კასიუსის ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი (ტაციუსის „სახლებთან“ ერთად, ამ შემთხვევაში იოსებ ფლავუსი ცალკე დგას) მიუთითებს იბერიის სამეფოს გაძლიერებაზე ამ დროისათვის და მისი მეფეების მისწრაფებაზე არმენიისკენ განავრცონ თავისი ძალაუფლება, რასაც მონერხებულად იყენებს ტიბერიუსი.

დიონ კასიუსს აქვს ასეთი ცნობაც:

„ამის მერე კლავდიუსმა... მითრიდატე იბერი, რომელიც გააუშა მა რომში გამოიძახა და დაბორკა, შინ გაუშვა ტახტის დასაქვებლად“ (LX, 8).

ამ ფრაგმენტში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ რაღაც დანაშაულისათვის (შესაძლოა პარტიის არეულობაში ჩარევის გამო) გაიუს კეისარმა (ანუ კალიგულამ) დააპატიმრა მითრიდატე იბერი, ფარსმან I-ის ძმა, რომელიც არმენიის ტახტზე იყო და შემდეგ ის გაათავისუფლა 41 წელს ტახტზე ასულმა კლავდიუს კეისარმა და არმენიის ტახტი დაუბრუნა. ამ ფაქტის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია, ხოლო ნ. ლომოურის აზრით, მითრიდატე ძირითადად პრორომაული ორიენტაციისა იყო, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში მაინც ცდილობდა გარკვეული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ყოველთვის არ უწყვედა ანგარიშს რომის პოლიტიკურ ინტერესებს, რის გამოც დაიმსახურა კალიგულას რისხვა (გვ. 121).

„რომის ისტორის“ 63-ე თავის § 8 ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ნერონი არ წავიდა არც ვოლოგეზეს წინააღმდეგ, არც ეთიოპიისკენ, არც კასპიის კარისკენ, როგორც ეს ვანზრახული ჰქონდა, მაგრამ გაგზავნა მზვერავეები ორივე ადგილას, ... როგორც ცნობილია, და ამ ფრაგმენტიდანაც ჩანს, ნერონის ეს გასზრახვა არ შესრულდა (რადგან რომში მოხდა ვანდიკეს აჯანყება და მის ჩასაქრობად დასჭირდა იმპერატორს ჯარების უკან გაწვევა). ჩვენს ყურადღებას, რა თქმა უნდა. იპყრობს კასპიის კარი, რომელიც ასე საინტერესო იყო რომაელთათვის. როგორც პლინიუსი აზუსტებს (NH. VI, 16, 6) კასპიის კარად აქ უნდა გავიგოთ ის კარი, რომელსაც იბერიიდან კაცი სარმატებისკენ ვადაპყავდა, ე. ი. დარიალი. ამ გზის მნიშვნელობა რომაელთათვის უქველი იყო, კავკასია თავისი მდებარეობით, ზღვებით, მდინარეებითა და გასასვლელებით, ბევრ ეპოქაში ბევრ მძლავრ სახელმწიფოს ხიბლავდა.

დიონ კასიუსს აქვს ასეთი ცნობაც: ტრაიანე მივიდა სატალაში¹ და ანქიალე, ჰენიოხებიაა და მახელონების მეფე — დასასაჩუქრა (LXVIII, 19).

ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის, რომ ჰენიოხები ამ ავტორის თარიღიანი ცნობით (ახ. წ. II ს.-ის დასაწყისი) ცხოვრობენ შავი ზღვის აღმ. სანაპიროს სამხრეთ მონაკვეთზე; შემდეგ — ჰენიოხები და მახელონები² (იგივე სხვა წყაროების მაკრონები) ერთ გაერთიანებას ქმნიან, მათი მეფეა ანქიალე; ამ მეფეს იცნობს არიანე (პერიპლუსი, § 11), რომელიც, როგორც ცნობილია, ტრაიანეს აქ ყოფნის დაახლ. 15 წლის მერე იყო ამავე ადგილებში და ამ მეფის სასახლე იხილა მდ. პრიტანიდთან (ფურტუნა-სუ); ისე რომ, მეფე ანქიალეს სახელი მაგრად ზის ბერძნულ წყაროებში და საქართველოს ისტორიაში. დიონ კასიუსის ტექსტის ეს ადგილი მთლად ნათელი არაა, მაგრამ ერთი უდავოა, ტრაიანე მართო ანქიალეს დასასაჩუქრებლად არ მოვიდოდა მასთან. ცნობილია, რომ 114 წელს ტრაიანე რომიდან აღმოსავლეთისაკენ წამოვიდა. ჩვენი ტექსტის მიხედვით, 115 წელს ის არმენიის ოლქს იღებს უბრძოლველად და მერე სატალაში მიდის (მცირე არმენიის ქალაქში). აქედან კი უკვე არმენიის დედაქალაქისკენ, არტაქსატიისაკენ წავიდა. ისიც ვიცით, რომ 115 წელს ტრაიანემ არმენია რომის პროვინციად გამოაცხადა. მთელი ამ სიტუაციის გათვალისწინებით უნდა სამართლიანი იყოს სპეციალისტების ვარაუდი, რომ ანქიალემ უთუოდ თავისი ჯარებიც დაახმარა იმპერატორს არმენიაზე ლაშქრობისას (სატალადან). ანქიალე პრორომაულ ორიენტაციას იცავს, რადგან ეს მისთვისაც ხელსაყრელია — ამ დროსაა, რომ მისი მეზობელი ძიდრიტები იბერიის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომები არიან (არიანე, § 11); ამ დროსაა, რომ პართების ორიენტაციის უფლისწული (პართომასირისი) არმენიის ტახტზე დაჯდომას ფაქრობდა (დიონ კასიუსი, იქვე), ისე რომ ანქიალეს ურჩევნია თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ამ რთულ სიტუაციაში კიდევ უფრო არ გაირთულოს მდგომარეობა და რომი კმაყოფილი ჰყავს. ჰენიოხების მეფეს (მაგრამ უკვე, ალბათ, სხვას, არა ანქიალეს, იმიტომ, რომ საქმე ეხება დაახლ. 163—167

¹ სატალა არმენიის ქალაქია. ეხლანდელი სოფ. სადაღის ადგილას. მდ. კელ-კიტჩაის ნაპირას. აქ იყო ტრაიანე 114 თუ 115 წელს.

² მახელონების შესახებ მთელი მსჯელობაა გამართული სამეცნიერო ლიტერატურაში (ყოველგვარი წყაროების, ნარატიულისა და ეპიგრაფიკულის მოშველიებით), მაგრამ საბოლოო დასკვნა მაინც ისაა, რომ აქაც იგივე ძირია, რაც არის „მაკრონ“-ში (საბოლოოდ ყველა ამ რიგის ეთნონიმი ქართ. ეგრ-ძირთან მიგვეყავს).

წლებს) დიონ კასიუსი კიდევ ახსენებს LXXI, 14, სადაც სწერია: „სატრაპმა ტირიდატემ აჯანყება მოახდინა არმენიაში და მოჰკლა ჰენიოხების მეფე და ზმალა აღმართა ვერუსის წინააღმდეგ“. ეს არის მარკუს ავრელიუსის ომები პართიასთან: ხოლო ვერუსი არის კაპადოკიის ლეგატი მარტიუს ვერუსი 163 წ. სატრაპი ტირიდატე მხოლოდ ამ ცნობის მიხედვით არის შესული ისტორიაში (მღრ. W. Pape: *Τηροβαρτης* — 2. Satrap, welcher sich gegen den arm. König Somaïos auflehnte. D. Cass. 71, 14).

უფრო დაწვრილებით ამ ცნობის ანალიზი არ ხერხდება (ისევე მნიშვნელოვანია ჰენიოხების საცხოვრისა სამხრეთ მონაკვეთში, რაც გარკვეული ხანის ბერძნულ წყაროებში შეინიშნება. საყურადღებოა ის წინააღმდეგობაც, რაც ნაჩვენებია ამ ნაწყვეტში: არმენიის მეფის წინააღმდეგ ამბოხებული სატრაპი ტირიდატე უპირისპირდება ჰენიოხთა მეფეს და კაპადოკიის ლეგატს).

და ბოლოს, დიონ კასიუსს საინტერესო ცნობები აქვს იბერიის მეფის, ქართული წყაროების ფარსმან გველის შესახებ.

ამასობაში იუდეველთა ომი დამთავრდა¹, ხოლო მეორე ომი ალანების ქვეყნიდან (რომლებიც მასაგატები არიან)² ატეხილ იქნა ფარსმანესის მიერ³. ომმა ძალიან შეაწუხა ალბანია, მიდია, არმენია, კაპადოკია. ხოლო ომი მას მეგრე შეწყდა, რაც ალანები ერთი მხრივ მოისყიდა ვოლოგეზემ (პართიის მეფე, ვოლოგეზე II, 105 — 147 წწ.), ხოლო მეორეს მხრივ შეაშინა კაპადოკიის მმართველმა, ფლავიუს არიანემ. ვოლოგეზემ... ელჩები გამოავსავნა, ისინი ადნაშაულელებდნენ რალაცაში ფარსმანესს. აღრიანემ ელჩები სენატში შეიყვანა და ფარსმანესთვის პასუხის მოთხოვნა ბრძანა, ჩააწერიონა ჩვენება და ელჩებს წაუკითხა (LXIX, 15)⁴.

ამ ფრაგმენტთან დაკავშირებით დგება საკითხი, ფარსმანი ესწრებოდა ამ ამბავს სენატში, თუ უიმისოდ ხდებოდა საჩივარიცა

¹ 132—135 წლებს ომი იუდეაში.

² ხელნაწერებში „ალანთა“||არის „ალბანები“. უპირატესობა პირველს ენიჭება. ამავე დროს მასაგატები სკვითური ტომია (ასეა ცნობილი ბერძნულ წყაროებში), ისე რომ, ეს განსაზღვრება უფრო უხდება „ალანებს“, ვიდრე „ალბანებს“.

³ იბერიის მეფე ახ. წ. II ს.-ის 30—60 წლებში. ძლიერი მეფე არ ებუებოდა რომს, ის კი არა, ბედავდა მტრულ გამოხდომებსაც კი. მაგ., აღრიანეს დროს (117—138) მან ალანები გადმოიყვანა და შეუსია კაპადოკიას, ალბანეთსა და მიდიას.

⁴ გ. მელიქიშვილის აზრით, ვოლოგეზემ რომ უჩივლა ფარსმანს, ესევე პიუს ანტონინუსის დროს იქნებოდა და არა აღრიანეს დროსაო („K. Ист. — р. II“, გვ. 361).

და განაჩენის გამოტანაც. ზოგის აზრით, ის იყო აღრიანესთან რომში, ხოლო ამ ბოლო ხანებში უფრო იმ აზრისა არიან, რომ ის რომში აღრიანესთან არ ყოფილა. სამაგიეროდ მეორე, მომდევნო ფრაგმენტი აქვამად ისეა გააზრებული (დაწყებული მომზენიდან და გათავებული ქართველი თანამედროვე ისტორიკოსებით), რომ ფარსმანმა კარგი ურთიერთობა დაამყარა და რომში ეწვია აღრიანეს მომდევნო იმპერატორს — ანტონინე პიუსს (138—161 წწ.), თუმცა ფრაგმენტში არაა იმპერატორის სახელი. ამასვე უკერს მხარს ამოციოდე წლის წინ რომის ნავსადგურში, ოსტიაში აღმოჩენილი ლათინური წარწერა, რომელიც იხსენიებს იბერთა მეფეს ფარსმანს, ვაჟით და მეუღლითურთ¹.

დიონ კასიუსი წერს: „როცა ფარსმანეს იბერიელა მეუღლესთან ერთად რომში ჩავიდა, (ანტონინუს პიუსმა)² გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება აღმართა მარსის მოედანზე და თვითონ უყურებდა ფარსმანესის, მისი ვაჟის და სხვა იბერი თავკაცების ასპარეზობას“ (LXX, 2).

როგორც ვხედავთ, დიონ კასიუსი, თუმცა უპირველესი რანგის ისტორიკოსად არ არის მიჩნეული, მაგრამ მისი ცნობები საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ურთიერთობის ისტორიისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია და მის გვერდით თუ დგება ვინმეს დაყენების საკითხი (ბერძენ მწერალთაგან), ისიც მხოლოდ პლუტარქოსისა და აპიანესი; მაგრამ ბევრ შეპოხვევაში დიონ კასიუსი სჯობნის მათ აღწერილობებითა და ფაქტების სიმრავლით.

ტექსტი: Cassii Dionis Cocceiani Historiarum Romanorum quae supersunt, edidit Ursulus Philippus Boissevain, Berolini, 1895—1901.

Dio's Roman History, with an English translation, by Earnest Cary, 1954—55 (Loeb-ის სერიაში).

ნაწყვეტები: B. Latyshev, SC. I. B.II, 1948, № 2, გვ. 268 — 277.

ქართ. ნ. ლომოური, დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ — თბ. 1966.

¹ ქართულად — ა. გამყრელიძე, ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა, ცისკარი, 1959, № 9.

² სულ არაა იმპერატორის სახელი. ეს სპეციალისტების ჩასწვლია, ლათინურს მაგ., აქვს — აღრიანე.

თ. ყაუხჩიშვილის რეცენზია ნ. ლომოურის წიგნზე: „ქართული წყაროთმცოდნეობა“ — II, 1968 წ.

საერთოდ მითრიდატეს ისტორიკოსების შესახებ:

ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, 1956 წ.

გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, 1962 წ.

იოსებ ფლავიუსი (37 — 95 წწ.) წარმოშობით ეკუთვნოდა წარჩინებულ ებრაულ გვარს. ახალგაზრდობაში მღვდელთმსახურება და ასკეტური ცხოვრება აინტერესებდა, ხოლო მალე აქტიურად ჩაება იერუსალემის რელიგიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იგი ცხოვრობდა პოლიტიკურად მძიმე ეპოქაში, იუდეველები ვერ ურიგდებოდნენ რომაელთა რეჟიმს. სხვადასხვა ლოკალურ აჯანყებათა შორის ერთ-ერთი ასეთი მოხდა გალილეაშიც, რომლის მმართველიც იყო იოსები. გალილეელთა დამარცხების შემდეგ, იგი ტყვედ ჩაუვარდა რომაელებს და რამდენიმე ხნის შემდეგ თავის აღსასრულამდე პრივილეგირებული პირია ჯერ ვესპასიანეს კარზე და შემდეგ—ტიტესა და დომიციანეს კარზედაც. ეგვიპტიდან გაჰყვანილი ტიტეს ალყაშემორტყმულ იერუსალემისკენ და თვითონ დაესწრო იმ საშინელ კატასტროფას, რაც განიცადა ებრაელმა ხალხმა. იერუსალემის დაცემის შემდეგ ცხოვრობდა რომში, საკუთარ სასახლეში; აქ დაწერა მან თავისი ყველა თხზულება: „იუდეველთა ომი“ (შედგება 7 წიგნისაგან); „იუდეველთა სიძველენი“ (20 წიგნად), „აპიონის წინააღმდეგ“ და ავტობიოგრაფია.

ფლავიუსებმა მას თავისი გვარი მიანიჭეს, ხოლო მისი ბიუსტი დადგეს ცნობილ ლათინ მწერალთა ბიუსტებს შორის (იმის სამადლობელოდ, რომ მან აღწერა მათი გამარჯვება იუდეაზე).

ებრაელებს იოსებ ფლავიუსი დიდხანს მიაჩნდათ მოღალატედ, მაგრამ მერე თანდათან აღიარეს, რომ მან რომაელთა მხარეზე გადასვლით და იუდეველთა ისტორიის დაწერით განადიდა თავისი ერი.

მისი ძირითადი ნაწარმოებია „იუდეველთა ომი“, რომელშიც აღწერილია მისი თანამედროვე ომის წინაპერიოდი, იუდეველთა შინაპარტიული ბრძოლები, რომაელთა მოსვლა, მისი ტყვედ ჩაუვარდნა, იერუსალემის დაცემა და სხვ. ეს ნაწარმოები მას თითქოს თავდაპირველად ებრაულად ჰქონდა დაწერილი. ჩვენამდე მოსულა მისი ბერძნული ვერსია, რომელშიც ენის თვალსაზრისით გვხვდება შეცდომები, მაგრამ ნაწარმოები გამოირჩევა თავისი ემოციურობითა და მხატვრულობით. ისტორიულად, როგორც ჩანს, სწორ სუ-

რათს იძლევა, მაგრამ სუბიექტური და ემოციური იმდენია, რომ ეს აფუჭებს მეცნიერული ღირებულების თვალსაზრისით. „იუდეველთა სიბველენი“ მისდევს ბიბლიას, იუდეის ისტორიას უკავშირებს აღმოსავლეთისა და საბერძნეთის ისტორიას და ყველგან წინ ისაა წამოწეული. თუ რა წვლილი შეიტანეს მსოფლიო კულტურის ისტორიაში ებრაელებმა.

ყველა მის ნაწარმოებში საგანგებოდ აღსანიშნავია ის, თუ რა დიდი სიყვარული აქვს იოსებ ფლავიუსს იუდეველთა მიმართ (მაშინ, როდესაც ის თითქმის რომაელია და ცოლიც ეგვიპტელი ბერძენი ჰყავდა). ავტობიოგრაფიაცა და ნაწარმოები „აპიონის წინააღმდეგ“ ამ მიზნებს ემსახურება.

იოსებ ფლავიუსი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა რომაულ და ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში. მისი სახელი ცნობილია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისათვის, რომელიც დავითის პიროვნების, ძლევამოსილების, ვაჟკაცობის და სხვა სიჭველეთა დახასიათებისას აღნიშნავს იმას, რომ დავითის ოდენი სხვა გამოჩენილ ისტორიულ პირს არ გაუკეთებია, სხვებს მაქებლები ჰყავდათ დიდი და ისინი აზვიადებდნენ თავისი გმირების ღვაწლს. აი, ამ კონტექსტში ქართველი ისტორიკოსი ახსენებს იოსებ ფლავიუსსაც.

„ხოლო ამად რა თხრობად მოვაწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყვ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიაბოს, ანუ აქილევვი და ეკტორა, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუთვნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესანი წარმოთქუნა მძლეობანი, სიმკნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპასიანე ტიტომა-მიერნი მეტომეთა თვსთა—ზედანი კირნი მისცნა აღწერასა და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთვსცა მის კელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყვს თვთ სადამე ალექსანდრე; არა დიდ იყავ აქილევვი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს“ რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენტა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმე იყო, და ვერცა პირველსა კუთებასა შეუძლეს წინადადვომად. ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისანი, და მათმცა აღწერნეს ჭეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინლამცა ღირს ქმნილ იყვნენ ჭეროვნასა ქებასა და ესენი

ესეოდენ¹. როგორც ჩანს, ქართველი ისტორიკოსი აქ „იუდეველთა ომს“ იმოწმებს; იცნობდა ის მას უშუალოდ, თუ რომელიმე ბიზანტიური ქრონოგრაფის მიხედვით, ძნელია ამისა თქმა; ერთი კი ცნობილია დადასტურებით; იოსებ ფლავიუსის „იუდეველთა სიძველენი“ უთარგმნია XI ს-ში იოანე პეტრიწს, რაც შედარებით უფრო გვიანდელი ხელნაწერების სახით ჩვენამდე არის მოღწეული. „იუდეველთა ომის“ ქართული თარგმანის შესახებ არაფერი ვიცით.

იოსებ ფლავიუსს იცნობს ეამთაღმწერელიც. როდესაც ის ჯალალედინის მიერ თბილისის აოხრებაზე წერს, პარალელურ მასალად მოჰყავს ცნობები იოსების „იუდეველთა ომიდან“. „და ესე ვითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებთან ქრისტეს ჭუარისა მცმელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ, ვითარცა ეამთაღმწერელი და მრავალმომთხრობელი იოსიპოს წარმოიტყვს ესოდენ ძნელბედობასა იუდეელთასა, ვიდრელა სამასსა ბევრსა აღრაცხავს მამაცსა, ოდენ სიყმილისა და მახვლისა მიერ აღსრულეზულსა, რომლისა მსგავს იქმნა ეამსაცა ამას საკრინოზთა მიერ ქალაქსა ამას ტფილისისასა²“. ეამთაღმწერელი, როგორც ჩანს, იმავე ადგილს იმოწმებს „იუდეველთა ომიდან“, რომელიც ჰქონდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს. მხოლოდ ამის გამო ვერ ვიტყვი, რომ ეამთაღმწერელმა ეს ადგილი მაინცდამაინც ქართველი ისტორიკოსისაგან აიღო. იგი, როგორც ჩანს, უშუალოდ, თუ მეშვეობით იცნობდა იოსებ ფლავიუსის შემოქმედებას. როდესაც რუსუდანი ლამობს თავისი ძის დასმას მეფედ (და არა ძმისწულისას), ეამთაღმწერელი წერს: „...უბატიო ჰყო თავი თვისი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თვისსა ზედა, გარნა განაქარვნა ზრახვანი მისნი ზეგარდამომან განგებამან, ვითარ აქტოფელისნი დავით წინასწარმეტყველის-ზე და არა გულისკმა ყო, რამეთუ „განაქარვნის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან ღმრთისამან“, ვითარ ფარაოხი მოსეს-ზე. ვითარ განერა კელთაგან მისთა ლტოლვილი პირველად, ვითარ იტყვს ეამთაღმწერელი იოსიპოს, და კუალად ვითარ განერა დავით კელთაგან სულტნისათა, რამეთუ ცუდად იქმნა განზრახვა მისი“³.

ეს ადგილი ეამთაღმწერელს „იუდეველთა სიძველეთაგან“ უნ-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქ. ც. 1, 1955, გვ. 342.

² ეამთაღმწერელი: ქ. ც. 11, 1959, ვვ. 176—177.

³ იქვე, გვ. 204—205.

და ჰქონდეს აღებული, სადაც ბიბლიის კვალდაკვალ იყო თხრობა და რომლის ქართული, იოანე პეტრიწისეული თარგმანი არსებობდა.

იოსებ ფლავიუსს აქვს ცნობები ძველ ქართველ ტომთა წარმოშობის შესახებ: „თობელმა (იაფეტის ძემ — თ. ყ.) დააფუძნა თობელები, რომლებსაც ახლა იბერები ეწოდებათ, მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, მაგრამ მათი ძველი სახელწოდების ნიშანიც ჩანს; რამეთუ მათ დღესაც აქვთ ქალაქი მაზაკა, რაც ნათელსყოფს მათთვის, ვისაც გაგება შეუძლია, რომ ასე ეწოდებოდა ოდესღაც მთელ ტომს“ (იუდ. სიძვ. I, 6).

იოანე პეტრიწისეულ თარგმანში ტომთა სახელები წარმოდგენილია ასეთი ფორმით: თოვილნი, ივირი, მესქინნი („მესხიოჲს მიერ აღშენებულნი“)¹.

ამ ცნობის მიხედვით უდავოა, რომ იოსებ ფლავიუსის ცოდნის მიხედვით შემდეგი ხანის იბერები იგივე ბიბლიის თობელები არიან, ხოლო ბიბლიის მოსოხი და მის მიერ დამკვიდრებული მოსოხენები, იგივე მესხები, კაპადოკიელების წინაპრებად მიაჩნდათ.

იოსებ ფლავიუსის თხზულებებში ამას გარდა არის კიდევ სხვადასხვაგვარი ცნობები, რომელთა გამოყენება საინტერესოა საქართველოს ისტორიის შემსწავლელთათვის.

მას „იუდეველთა ომში“ (II, 16, 4) მოჰყავს იუდეველთა მეფის, ჰეროდე აგრიპას (29—93 წწ.) სიტყვა, რომლითაც მან მიმართა იუდეველებს და რომელშიც შემდეგია სიტყვა-სიტყვით ნათქვამი: „რად უნდა ვილაპარაკოთ ჰენიოხების, კოლხების, ტავრთა ტომის (φινλαγ), ბოსფორანებისა და პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრები ხალხების (Ξθυη) შესახებ, რომლებიც უწინ საკუთარ მფლობელსაც (მესπαρτης) კი არ სცნობდნენ, ახლა კი 3000 ჰოპლიტს ჰყავთ ისინი მორჩილებაში და ორმოცი გრძელი (ე. ი. სამხედრო) ხომალდი იცავს მშვიდობას ზღვაზე, რომელზედაც უწინ ცურვა არ შეიძლებოდა და შემადრწუნებელი იყო“. ამ მასალაში ჯერ ერთი, არის ცნობა იმის შესახებ, რომ გარკვეულ ეპოქაში, შავ ზღვაზე სამიში და გაძნელებული იყო ცურვა მის ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობის გამო. აღსანიშნავია ის, რომ „კოლხების“ სახელი იმ ტომთა რიგშია ჩამდგარი, ვის ველურობასაც სხვა ავტორები ჩიოლდნენ ხოლმე. კოლხების სახელს სხვა ავტორებთან ამ

¹ შტრ. Georgica, I, 1961, გვ. 271 და შმდ.

კონტექსტში არ ვხვდებით. როგორც ჩანს, იოსებ ფლავიუსმა იცის, თუ სად ცხოვრობენ კოლხები, ისიც იცის, თუ ძველ წყაროებში რა ცნობები იყო შავი ზღვის არასტუმართმოყვარეობისა (ἄξενοσ) და სტუმართმოყვარეობის (εὐξενოს) შესახებ და ეს ცნობები ერთად წარმოადგინა აგრიპას სიტყვაში, რომელსაც ღირსადაც კი არ მიაჩნია ამ ხალხებზე ლაპარაკი. მეორე, რაც იქცევს ამ ციტატაში ყურადღებას, ესაა ორატორის (და შესაძლოა ავტორის) დამოკიდებულება პონტოსპირეთის ხალხებისადმი. და მესამე — ის ხალხი, რომელიც უწინ საკუთარ მფლობელსაც კი არ სცნობდა, არ ემორჩილებოდა — უთუოდ თავისი შეუპოვარი და ველური ხასიათის გამო (ასეთი ჩანს აზრი!), ახლა თურმე 3 000 ჰოპლიტს მოუთოკავს და 40 ხომალდს ზღვაზე წესრიგი დაუშყარებია. ე. ი. ადვილად მოსაველეი ყოფილა ძლევაშოსილი რომის ხელში!

ჩვენ მოგვეპოვება ბერძნულივე ცნობები სტრაბონისა, რომლის მიხედვით „მთელი ქვეყანა ფასისისა და ევფრატის შიგნით, გარდა არაბეთის რაღაცა ნაწილისა, რომაელების გამგებლობაშია და რომაელების მიერ დაყენებული დინასტიების ხელშია. არმენიელები და კოლხიდის ზემოთ მცხოვრები ალბანები და იბერები მხოლოდ მმართველთა ყოლას საჭიროებენ და კარგად ჰმორჩილებენ მათ. აჯანყდებიან ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც რომაელები სხვა საქმეებით არიან გართული, ისევე როგორც ისინი, ვინც ისტროპის გადაღმა... მოსახლეობენ“ (VI, 4, 2) — საინტერესო „მორჩილება“!

რომის პოლიტიკის საერთოდ შემაქმებელი სტრაბონი კოლხიდაში გამოგზავნილ რომაელ თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობას საგანგებოდ აღნიშნავს მეკობრეებისგან დაცვის თვალსაზრისით კოლხიდაში (XI, 2, 12). სტრაბონის დაახლ. 1/2 საუკუნით უფრო ადრეული ცნობები იმიტომ დაუუპირისპირე იოსებ ფლავიუსის ცნობას, რომ თვით პრორომაული ორიენტაციის ყველა მოღვაწეს ერთნაირად არ ესახებოდა ამ დროისათვის რომაელთა საქმიანობა ჩვენში და ადგილობრივი მოსახლეობის უმწეობა.

იოსებ ფლავიუსის ეს ცნობა აშკარად გამომხატველია ავტორის, მდგომარეობით წარჩინებული რომაელის, ქედმაღლური დამოკიდებულებისა იმ მხარეებისადმი, რომელთა მიმართაც რომს თავისი დამპყრობლური ზრახვები ჰქონდა.

იოსებ ფლავიუსს აქვს სხვა რიგის ცნობები — სახელდობრ, ცნობები, რომლებიც ასახავენ საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების (თუ ტომების) როლს მსოფლიო ისტორიაში ალანების

პრობლემა რომაელთათვის I საუკუნეში სერიოზულად იდვა. ამის შესახებ წერს იოსებ ფლავიუსი, წერს არიანე.

„იუდეველთა სიძველეთმცოდნეობაში“ (XVIII, 4, § 96—100) ვკითხულობთ: ტიბერაუსმა (რომის იმპერატორი 14—37 წწ.) გაუგზავნა ვიტელიუსს (კონსულია 34 წელს და შემდეგ სირიის მმართველი) წერილი და უბრძანა, რომ დაშვებულად არტაბანოსს, პართელთა მეფეს¹, რადგან ის მისი მტერი იყო და ეშინოდა მისი. არტაბანოსს არმენია უკვე მიეთვისებინა² და ტიბერიუსს ეშინოდა, რომ მას უფრო მეტი არა ევნო რა. ვიტელიუსი არტაბანოსს მხოლოდ მაშინ უნდა ნდობოდა, თუ მიიღებდა მისგან მძევლებს. ტიბერიუსმა მისწერა ეს ვიტელიუსს და თვითონ დიდი ქონებრივი საპონტო იბირებდა იბერთა და ალბანთა შეფეებს³, რომ დაეთანხმებინა არტაბანოსთან ბრძოლაზე. მათ უარი უთხრეს ტიბერიუსს შებრძოლებაზე, სამაგიეროდ სკვითებს მისცეს გზა თავის ქვეყანაზე, გაუღეს კასპიის კარი და თავს დაესხეს არტაბანოსს. ასე წაართვეს უკან არმენია არტაბანოსს... ამ ბრძოლაში დაიღუპა ბევრი სხვა და მათ შორის მეფე არტაბანოსის ძეც. ამის მერე ვიტელიუსმა დაებნა და საყების დიდი ლაშქრით შეძლო მტრის დაძლევა და ამ მხარის დაპყრობა.

თ. მომზენის გამოკვლევით (V ტ. გვ. 367), ზემოთ აღნიშნული ამბავი მოხდა 36 წ. ვიტელიუსის დიპლომატიურ მისიაზე (არტაბანოსთან დაშვებების ინსინუაცია) და მის წარმატებით დასრულებაზე სხვა ბერძნულ-რომაულ წყაროებშიც გვაქვს ცნობები (დიონ კასიოსი, ტაციტუსი). რაც შეეხება ქართულ წყაროებს, მეფე მეთე, ადერკი, რომელიც 57 წელს მეფობდა, ტახტზე ყოფილა ახ. წ. 1—57 წწ. („ხოლო პირველსავე წელსა მეფობისა მისისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე“), ე. ი. თუ სწორეა მომზენის დასკვნა, ე. ი. ამბავი 36 წ.-ს მოხდა, და მეორეს მხრივ „ქართლსა და ეგრის-

1 ესაა არტაბანოს III, რომელიც პართის ტახტზე ავიდა 16 წელს; იგი რომაელთა მიმართ მტრულ ურთიერთობაშია, ამიტომ ტიბერიუსმა ის ჩამოაგდო. შემდეგ ისე იკერს ტახტს არტაბანოსი. შტრ. ლიონ კასიოსი, LVIII, 26; ტაციტუსი, II, 58; VI, 31.

2 არტაბანოს III-მ, თავისი ვაჟი, არსაკე დასვა არმენიის ტახტზე.

3 ს. ყურადღება, რომ ტექსტში არის *'Ιβήριαν καὶ τῶν Ἀλβανῶν βασιλέα* და არა *Ἰασίლῆα* „მეფებს“, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს არის ტექსტში შეცდომა—იბერებსა და ალბანებს ამ დროს ერთი მეფე არ ჰყოლიათ. შემდეგი ნაწილი ტექსტისა იმაზე მიუთითებს, რომ ერთ მეფეზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მეტზე (*ὅς ἐστιν ἀπὸ τῶν ἰσθμῶν* — ისინი კი... ან მათ კი...). I—III სს-ის ალბანიაში საკუთარი სახელმწიფოთა, რომელსაც მეფე თავისი ჰყავდა. შტრ. К. Тревер, *Очерки по истории и культуре Кавказской Албании*, 1959.

ში“ ამ დროს ქეშმარიტად აღერკი, ძე ბარტომისი, არშაქენიანი მეფობდა¹. მაშინ ის მეფე, რომელმაც სკვითები გადაატარა თავის ტერიტორიაზე, იყო აღერკი (ეს ცხადია, დაშვების ხაზით; დაბეჭითებით ვერ ვიტყვით იმას, რომ ლეონტის მიერ ხსენებული აღერკი მაინცდამაინც 57 წელს მეფობდა. ხოლო რომისა და პართიის ომები, არმენიის მონაწილეობა ამ საქმეში, იბერთა პოზიცია და სკვითთა და ალანთა შემოჭრა-დარბევები დღგენილ ფაქტებად ითვლება). ეს ამბავი, ე. ი. სკვითების (ანუ ალანების) გადმოტარება იბერიისა და ალბანიის ტერიტორიაზე, ლეონტი მროველის თხზულებაში არ მოგვეპოვება; მისი შევსება ხდება ძველი ბერძნული წყაროებით, რომლებიც იბერთა და ალბანთა მეფეების პოლიტიკას და როლს საერთაშორისო ამბების ასპექტში წარმოადგენენ. თუ აქვე მოვიზომობთ დიონ კასიუსის ცნობას (LVIII, 26), მაშინ იბერიის მეფეა მითრიდატე, რომლის შემდეგაც გამეფდა ფარასმანესი. ალბანებუს საკითხი აქ არ დგას.

იოსებ ფლავიუსს „იუდეველთა ომში“ (VII, 7, 4) აქვს ასეთი ცნობა ალანთა თავდასხმებისა და შემოჭრის შესახებ: ალანები სკვითური ტომია; ისინი ცხოვრობენ ტანაისისა და მეოტისის მიდამოში. მათ ამ დროისათვის² მოინდომეს მიდიაში შეჭრა ქვეყნის აკლუბის მიზნით და კიდევ უფრო შორსაც აპირებდნენ წასვლას. საამისოდ პირკანიის (არის შენიშვნა, რომ უნდა იყოს — იბერიის)³ მეფესთან გააბეს მოლაპარაკება, რადგან იგი იყო უფალი იმ გასასვლელისა, რომელიც მეფე ალექსანდრემ რკინის კარებით დაჰკეტა. პირკანიის (?იბერიის) მეფემ მოლაპარაკების შემდეგ ისინი გაატარა. მიდიელები არ ელოდნენ და ალანები ისე შეიჭრნენ მათ მდიდარ, ხალხმრავალ ქვეყანაში, რომელიც ააოხრეს. წინააღმდეგობის გაწევას ვერავენ ბედავდა; ამ ქვეყნის მეფე პაკოროსიც შიშით მიუვალ ადგილებში გაიხიზნა, ყოველივე სხვაზე უარი თქვა და დიდს გაპირვებით 100 ტალანტად ცოლი და ხარკები ვამოისყიდა. ამკვარად მუვიდნენ ალანები არმენიამდე. არმენიის მეფე იყო ტირიდატე. ის შეებრძოლა ალანებს და კინალამ ცოცხლივ არ ჩაუვარდა მათ ტყვედ. ალანებმა ამის შემდეგ ააოხრეს ქვეყანა და დიდძალი ტყვეებით და ნაალაფევით დაბრუნდნენ უკან. ამ ნაწყევტში, ჯერ ერთი, საინტერესოა ხსენება ალანებისა, რომლებიც სკვითურ ტომად არიან

¹ ლეონტი მროველი, ქ-ც. I, გვ. 35 და შმდ.

² თ. მომხენის გამოკვლევით ეს მოხდა ნერონის დროს, 68 წ-ს: Римская история, V, стр. 84.

³ შდრ. Г. А. Мелликишивили, К истории древней Грузии, стр. 348.

მიწნეული. საყურადღებოა ის, რომ მათ ისტორიკოსი ტანაისისა და მეოტიდის მიდამოებში ათავსებს, თითქოს სხვა წყაროებით ისინი ჯერო აღმოსავლეთით არიან ნავარაუდები¹. ალანთა საკითხი იმდენად სერაოზული იყო რომელი იმპერატორებისათვის, რომ, როგორც ბევრი წყარო (დიონ კასიოსი, ტაციტუსი, სვეტონიუსი) და მკვლევარი აღიარებს, ნერონს განზრახული ჰქონდა ფართო ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ და მათ შორის კასპიის კარისკენაც, ე. ი. ალანების წინააღმდეგ². ხოლო შემდეგ, II ს.-ში იმპ. აღრიანე თუ სამხედრო ექსპედიციას არა, თავის ლეგატს, ფლავიუს არიანეს ათვალეებინებს კასპიის კარს (დარიალს). ალანთა ჩვენს ქვეყანაში გადმოსვლის მეორე გზა იყო ე. წ. კასპიის კარი, რომელიც ამ შემთხვევაში დარუბანდთან უნდა გავაიგივოთ. ჰირკანიის გასავალი რკინის კარით დაკეტა ალექსანდრემო, რომ ამბობს ისტორიკოსი, აქ საკითხი დგება — ეს კარი დარუბანდია თუ დარიალი (როგორც, ცნობილია, ამ კარებს ეწოდება ხოლმე „კასპიის კარი“, „ალბანიის კარი“ etc), რადგან გადმოცემის თანახმად, ალექსანდრეს (მაკედონელს) მიაწერდნენ დარუბანდში კედლებისა და რკინის ჭაპვების გაკეთებას³, თანაც გზა ჰირკანიისკენ, რომელიც კასპიის ზღვის სამხრეთით მდებარეობდა, კავკასიონის ქედის გადაღმა მცხოვრები სარმატებისთვის შეიძლება დარიალზედაც გადმოსულიყო და დარუბანდზედაც. მაგრამ რადგან ლაპარაკია აქ იმაზე, რომ ალანები ჯერ ჰირკანიაში მივიდნენ და მერე არმენიაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ეს შემოსევა დარუბანდზე იყო, კასპიის ზღვის გასწვრივ, შემდეგ მოხვდნენ ისინი ჰირკანიაში და აქედან გადავიდნენ დასავლეთით არმენიაში. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ჰირკანიის მეფეს“ ვივარაუდებთ ტექსტში და არა „იბერიის მეფეს“. ხო-

¹ კავკასიის ალანები ქლუხორის გადასასვლელთან ცხოვრობდნენ, კავკასიონის მთების გასწვრივ და როგორც ჩანს, ისინი პონტოს აღმ. სანაპიროს ესხმოდნენ თავს. ამიტომ იყო, რომ რომაელებს აფსაროსის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებში თავისი კაცები ჰყავდათ დასმული მეფეებად, რომის იმპერიის საზღვრების უშიშროების უზრუნველსაყოფად.

² ნერონის ეს ლაშქრობა არ შედგა, იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო რომში ვანდიკეს აჯანყება, რომლის ჩასაქრობადაც იმპერატორმა უკან გააწვიოა ჯარები (Tacitus, Hist., I, 6).

³ აქვე მინდა გავიხსენო ადგილი ქ.ც-დან, სადაც სწერია: „შევიდა მირვანი დურძუქეთს.. და შეაბნა კარნი ქვიტკირითა და უწოდა სახელი დარუბალ“ (ქ.ც. I, 28). ეს „დარუბალი“ ესმით როგორც „დარიალი“, ხოლო კარის შემბმეული არის ქართლის მეფე მირვანი და არა ალექსანდრე მაკედონელი. შდრ. აგრეთვე პლინიუსი (NH), ლიკოფრონის პოემის იოანე ცეცესიუელი კომენტარები; ისთარხი (X ს.-ის სპარსი ისტორიკოსი).

ლო თუ იბერიის მეფეზეა ლაპარაკი, მაშინ არმენიაში მოსახვედრად ერთ-ერთი გასასვლელით, უფრო კი დარიალით შემოვიდოდნენ ჯერ იბერიაში, ხოლო იქიდან მოხვედებოდნენ არმენიაში.

იმ ისტორიულ პირობებში, რომლებიც მოხსენებულია ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, ცნობილი არიან, პაკოროსი, პართიის მეფე, ასევე ტირიდატე I, პართიის მეფის, ვოლოგეზის ძმა, რომელიც ორჯერ იჭდა არმენიის ტახტზე, მეორედ ნერონის დროს.

ამ ნაწყვეტში უშუალოდ საქართველოს შესახებ არაა ცნობები. მაგრამ ის მასალა, რაც არის, ასე ვთქვათ მკიდრო კავშირშია იმასთან, რაც ზემოთ მოვიყვანე და ორივე ნაწყვეტს ძირითადად ისევე ალანებთან მივყავართ (იბერები და ალანები მეორე პლანზე არიან).

ის ცნობები, რომლებიც იოსებ ფლავიუსს აქვს საქართველოს შესახებ, საინტერესო მასალას შეიცავს: 1. პრორომაული განწყობილების ფენის დამოკიდებულებისათვის ე. წ. ბარბაროსული ქვეყნების მიმართ.

2. ალანთა საკითხის შესასწავლად და ალანებთან მიმართებაში ქართველი მეფის განწყობილებისა და როლის გასარკვევად საერთაშორისო სიტუაციაში (რომის იმპერატორი იბირებს ქრთამებით — და ვერ უბრძანებს ქართველ მეფეს პართელი მეფის წინააღმდეგ; მას შეუძლია არ დაეთანხმოს რომაელ იმპერატორს, მაგრამ მაინც უწყობს მას ხელს. სკვითებს გაატარებს თავის ქვეყანაზე და შეუსევს პართიას).

ამდენად, იოსებ ფლავიუსიც უნდა ჩადგეს იმ ბერძენ ავტორთა რიგებში, რომლებიც გამოიყენებიან როგორც წყარო საქართველოს ისტორიისათვის.

ტექსტი: Josephus Historicus, De bello Judaico, gr. & deutsch... von Michel O. & Bauernfeind O. München, 1962—63.

Josephus, Jewish antiquities, with an English translation, by Marcus R. & Wikgren A. (Loeb ის სერიაში), 1963—65.

ძველია, მაგრამ მაინც ერთ-ერთ საუკეთესო გამოცემად ითვლება—Flavii Josephi, Opera ed, Niese, 1896, 6 ტომად.

რუს. თარგმანი. იუდეველთა ომი — Я. Черток-ის, 1900 წ.

იუდეველთა სიძველენი — Генкель-ის.

ნაწყვეტები: B. Latyshev, SC, I.

ВДН, 1948, XXII, 275—277 სტრ.

როგორც ზემოთაც ითქვა, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქვეყნების მიმართ ბერძენულ-რომაულ სამყაროს ერთგვარად

გაუცხოველდა ინტერესი ზითრიდატეს ომების დროს; ზითრიდატეს ისტორიკოსების ნაშრომებში უხვად ვხვდებით ცნობები იბერიის, ალბანიისა და კოლხიდის შესახებ.

მომდევნო ხანაში, გაძლიერებულ რომს ფხიზლად უჭირავს თვალი კავკასიისაკენ (ქართველობისა და მისი მეზობლების მიმართ), ქართველი მეფეები და უფლისწულები გარეული არიან მსოფლიო პოლიტიკაში, რაც აისახა კიდევაც ბერძნულ საისტორიო მწერლობაში.

საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომების სახელი, მათი ურთიერთობა მეზობელ თუ შორეულ ხალხებთან ცნობილია ბერძნული ინტელიგენციისათვის. ამ ტომების ხსენებას, ცალკეულ ამბებს მათი ცხოვრებიდან ვხვდებით ახ. წ. II ს.-ის ბერძენ მწერლებთან, ბერძნული ბელეტრისტიკის წარმომადგენლებთან.

ლუკიანე სამოსატელი (დაახლ. 125—200 წწ.) წარმოშობით სირიელი ბერძენი იყო (ქ. სამოსატიდან), წვრილი ხელოსნის ოჯახიდან, მაგრამ საფუძვლიანი განათლება ჰქონდა მიღებული, ჯერ შინ, ხოლო შემდეგ იონიაში (ეფესოში თუ სმირნაში) სწავლობდა რიტორიკას. სკოლის დამთავრების შემდეგ შეუდგა პრაქტიკულ მოღვაწეობას — მოგზაურობდა ქალაქ-ქალაქ და კითხულობდა წინასწარ დამზადებულ სიტყვებს. ჯერ დაბინავდა ანტიოქიაში, ხოლო ნერე მოიარა იონიისა და იტალიის ქალაქები. ამ სიტყვებით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ხოლო მოგზაურობამ ცხოვრების ღრმა ცოდნა შესძინა. მოგზაურობის დროს ის ფილოსოფოსებს დაუკავშირდა, თავდაპირველად კვინიკოსების გავლენას განიცდიდა. ხოლო 50 წლის ასაკის მერე ეპიკურეს ფილოსოფიის მიმდევარი გახდა. საკმაოდ ხანში შესული ლუკიანე იმპერატორმა კომოდუსმა დანიშნა ეგვიპტეში მაღალ სამოსამართლო თანამდებობაზე, რომელზედაც კარგა ხანს დაჰყო და იქვე გარდაიცვალა.

ლუკიანე ელინისტური მხატვრული პროზის ერთ-ერთი ყანრის, სატირის დიდად მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი სახელით ჩვენამდე 80 ნაწარმოებია მოღწეული, მაგრამ ზოგი მათგანის მიმართ არის ეჭვი, რომ ისინი ლუკიანესი არ არის. ეს ნაწარმოებები თემატიკის მიხედვით სამად ჯგუფდებიან: I. რელიგიის წინააღმდეგ მიმართული, II. ფილოსოფიურ მიმართულებათა წინააღმდეგ მიმართული და III. სოციალური საკითხების ამსახველი.

ლუკიანემ მშვენივრად ასახა თავის თხზულებებში მონათმფლობელური საზოგადოების დაშლა, რეალისტურად წარმოგვიდგინა თავისი დროის ყოფაცხოვრება და დასრულებული, მხატვრულად გამართული ფორმა მისცა დიალოგს.

მისი ტრაქტატი „როგორ უნდა ისტორიის წერა“ (Πῶς δεῖ ἱστορίαν συγγράφειν) ძალიან საინტერესოა მისი თვალსაზრისით გასარკვევად. მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ისტორიის წერა ისეთი უბრალო საქმე კი არ არის, როგორც სიარული, ცქერა ან ქაშა; თხზულებათა არც ერთი სახეობა არ მოითხოვს ისეთ ღრმა ჩაკვირვებას, როგორც ისტორიოგრაფია, ისტორიკოსი უნდა იყოს შეუპოვარი, მოუსყიდავი, თავისუფალი, ჭეშმარიტების მეგობარი. მან საგანს თავისი სახელი უნდა დაარქვას.

სამწუხაროდ, ასეთი თვალსაზრისის მოღვაწეს საკუთრივ ისტორიული ხასიათის ნაწარმოები არ დაუწერია. მის მხატვრულ პროზაში, მის ბელეტრისტიკაში, დიალოგებში ვპოულობთ ჩვენთვის საინტერესო მასალას.

ლუკიანეს დიალოგში გვხვდება გამოყენება არგონავტებისა და პრომეთევის მითისა, გვხვდება ხსენება ქართველი და მისი მეზობელი ტომებისა.

ლუკიანეს აქვს 2 ასეთი სახელწოდების დიალოგი: Πρωμῆθενς ἢ Καταχαιος (პრომეთესი ანუ კავკასოსი) და Θειῶν δειλίγοι (ღმერთების საუბარი). ორივე ამ დიალოგში ერთნაირად არის წარმოდგენილი და კარგად ჩამოყალიბებული ის შეცოდება, რაც ჩაიდინა პრომეთესმა და რისთვისაც დასაჯა ის ზევსმა.

I დიალოგში ჰერმესი ეუბნება პრომეთესს — (თავი III): „ჭერ ერთი, შენ დაგვეალა ხორცის განაწილება, ძალიან უსამართლოდ და ფლიდურად გაანაწილე — თვითონ ირგუნე საუკეთესო ნაჭრები, ზევსი კი მოატყუე... მეორე — შენ შექმენი ადამიანები, ყველაზე უფრო ვერაგი ქმნილებები, განსაკუთრებით კი ქალები. ბოლოს — შენ მოჰპარე ღმერთებს მათი უძვირფასესი ქონება, ცეცხლი და მიეცი ადამიანებს“. აქ იმოწმებს ჰესიოდეს „თეოგონიას“ (იგივე მეორდება მეორე დიალოგშიც, I თავი — ზევსის სიტყვაა პრომეთესის მიმართ).

მას მერე, რაც გავეცანით პრომეთესის მითს, ამ ნაწყვეტში თითქოს ახალი არაფერი არის, მაგრამ მასში კარგადაა ჩამოყალიბებული ის, რაც ბერძნულ მწერლობაში ამაზე უწინ სხვადასხვაგან და ცალ-ცალკე იყო ხოლმე ნათქვამი (აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ძველ ნაწარმოებებში, მაგ., ესქილესთან ჩანდა, რომ ჰეფესტო და პრომეთესი ერთი წრის ღმერთები არიან, აქ ჰეფესტოს როლი ფერმკრთალია. პრომეთესს უპირისპირდება ერთ შემთხვევაში ჰერმესი, მეორე შემთხვევაში — ზევსი).

დიალოგში „პრომეთესი ანუ კავკასოსი“ არის ერთი ასეთი

ჩვენთვის საინტერესო ადგილი (თ. 4), პრომეთესი ეუბნება ჰერმესს: შენ კი დაიცავი ზეესი და ამბობ, რომ სწორად მომისაჯა მე ჯვარცმა კავკასიონზე, კასპიის კარის მახლობლად. მთელი სკვითების საყურებლად.

„კასპიის კარი“ ბერძნულ წყაროებში სხვაგანაც გვხვდება. მას ასხენებს მაგ., დიონ კასიუსიც (კლავდიუს პტოლემეაძისი ასხენებს „სარმატიის კარსა“ და „ალბანიის კარს“). ლატიშევის SC-ში არის შენიშვნა ამ ადგილის მიმართ: «Отметим географическую неточность: Каспийские ворота находятся далеко от Кавказа»... ვფიქრობ, ეს შენიშვნა არ არის გასაზიარებელი, მაგ., თუ მივუღებთ ამ ცნობას მეცნიერული თვალსაზრისით, უნდა გავიხსენოთ, რომ პლინიუსი აზუსტებს, კასპიის კარი ის კარია, რომელიც აერთებს იბერიასა და სარმატიას (NH, VI), ე. ი. კასპიის კარი ზოგ შემთხვევაში ესმით როგორც „დარიალი“ (და არა „დარუბანდი“). ხოლო პრომეთესის მიჯაჭვის (თუ ჯვარცმის) ადვილად კავკასიონზე კიდევაც თუ კავკასიონის ქედის დას. ნაწილს მივიჩნევთ ასეთად (იხ. არიანეს სტრობილოსი), რატომაა ასე შორს „დარიალიდან“?

ამას გარდა ისიც უნდა შეინიშნოს, რომ როდესაც ლაპარაკია მითების შესახებ, მაშინ მასშტაბები სრულიად სხვაა — მთლიანად კავკასიონის ქედი, მისი კარები (იქნება ეს დარიალი თუ დარუბანდი) და სკვითები — ეს ერთი სამყაროა და ღმერთებისათვის აქ არაფერი შეიძლება იყოს შორს. თავისთავად უადგილოა ამ შემთხვევაში გეოგრაფიულ სიზუსტეზე ლაპარაკი. ჩვენთვის არსებითია მითში: პირველი — დაპირისპირება პროთევსისა და ზეესისა (და მისი სატელიტის, ჰერმესისა) და მეორე — ხსენება კავკასიონისა და კასპიის კარისა.

ლუკიანეს აქვს ნაწარმოები მიძღვნილი სკვითების ყოფისადმი და აქვე ვხვდებით ცნობებს პონტოს შესახებ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ტომთა ხსენებას. ესაა ტოქსარსისი ანუ მეგობრობა (Ἰδὲ ἀρσίδ ἢ φίλῃ).

ნაწარმოები დაწერილია დიალოგის ფორმით. დიალოგი მიმდინარეობს სკვით ტოქსარსისსა და ელინ მნესიპოსს შორის. ნაწარმოების თემა: სკვითებში უაღრესად განვითარებული მეგობრობის გრძნობა. ეპიზოდები (რამდენიმე ამბავია იქ მოთხრობილი) აგებულია იმაზე, თუ რას სჩადის სკვითი მეგობრის გულისთვის.

ნაწარმოები, მართალია, II ს.-შია დაწერილი. მაგრამ ესება გაცილებით უფრო ადრინდელ ამბებს. ის თითქმის თარიღიანია — სკვითი ტოქსარსისი ათენში მოდის სკვით ანაქარსისზე ადრე, ე. ი.

სოლონის დროს, ან მასზე ცოტა უწინ (ძვ. წ. VII—VI სს); ტოქსარსისის მოთხრობილი ერთი ეპიზოდი კი აგებულია ბოსფორის მეფის ასულის ამბებზე (ბოსფორის სამეფო კი ძვ. წ. V ს.-დან არსებობს). ერთი სიტყვით, ავტორს თხრობა წარსულში აქვს გადატანილი, ძველ მასალას იყენებს. არის კიდევ VII—V სს-ზე ძველი ცნობებიც, სახელდობრ: თ. II. ტოქსარსისი ამბობს: პონტო მაშინ (ორესტესა და პილადეს დროს — ე. ი. ტროის ომის შემდეგ) უცნობი იყო ელინთათვის, გარდა იმ პირებისა, რომლებმაც არგოთი გაილაშქრეს კოლხიდაზე. პონტოს მაშინ არასტუმართმოყვარე (ξένους) ეწოდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ მის ირგვლივ ველური ტომები ცხოვრობდნენ.

პონტოს არასტუმართმოყვარეობაზე და მის ირგვლივ მცხოვრები ტომების ველურობაზე ბევრი ავტორი წერს და მათ შორის ლუკიანეც (ამას ყოველივეს ე. წ. მილეტის კოლონიზაციამდელი ხანით ათარიღებენ თვითონ ბერძენი ავტორები. მაგ., პერაკლიდე-არისტოტელე). ტოქსარსისის ამ სიტყვის საპასუხოდ მნესიპოსი ამბობს, თ. IV: ფინიკიელები არა მხოლოდ პონტოში ცურავენ, მეოტიდამდე და ბოსფორამდე, არამედ ელინურ და ბარბაროსულ ზღვებზე ყველგან ცურავენ. ეს ფინიკიელები ვაჭრები არიან და დამარილებული თევზით მოვაჭრენი.

ამ ცნობაში ჭერ ერთი საინტერესოა ის, რომ ფინიკიელები ცურავენ შავ ზღვაზე და II—აქაც გვაქვს ის ცნობა, რაც ჰქონდა პოლიბიოსს — პონტოს დამარილებულ თევზს დიდი გასავალი ჰქონია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ. ამის შესახებ ჭერ კიდევ კატონი ჩიოდა. თევზით მოვაჭრენი, ფინიკიელები, თუ კონკრეტულად რომელი ზღვიდან ეზიდებიან ამ თევზს, ამ ნაწყვეტში არ ჩანს, მაგრამ უდავოა, რომ ფინიკიელებს უვლიათ მეოტიდამდე და ბოსფორამდე (ფინიკიელების გზა მეოტიდასა და ბოსფორში ბოსფორიდან შემოსულისთვის უმოკლესი არის პირდაპირ ან დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ).

დიდი ნაწილი ამ დიალოგისა (თ. 44—55) გადმოსცემს ერთ ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდს: ბოსფორის მეფეს, ლევკანორს, ჰყავდა ლამაზი ასული მახაა. მას ბევრი თხოულობდა, მეფეები და მეფეთა შვილები. მათ შორის იყვნენ: ტიგრაპატე, ლაზთა მბრძანებელი (Μυαράτης), და ადირმახოსი, მახლების მმართველი (ἄρχων). ქონების მხრივ ამ მთხოვნელებში უპირატესობა ადირმახოსს აღმოაჩნდა. მას ჰქონია 10 ოქროს ფიალა, 80 ოთხადგილიანი ეტლი, უამრავი ცხვარი და ხარ-ძროხა. მახლების ქვეყანა მეოტიდაში იყო, მახლებიდან სკვითებამდე ცხენოსანი კაცი მესამე დღეს მიაღწევ-

და. ბოსფორის მეფის ძმას, ევბოტოსს და აღირმახოსს სკვითებთან ბრძოლა მოუხდათ. ჯარები რომ შეაერთეს, ევბოტოსმა, მახლიებმა და სხვ., აღმოჩნდა 90000, მათ შორის $\frac{1}{3}$ იყვნენ მშვილდოსნები. მახლიებთან ერთად ამ საქმეში იყვნენ ელინები, სავრომატები და ალანები. ბრძოლაში საბოლოოდ სკვითებმა გაიმარჯვეს (თავისი 30000-იანი ჯარით). ამას შემდეგ ხელშეკრულებას რომ სდებენ მოწინააღმდეგე მხარეება, ბოსფორელები ორმაგი ხარკის გადახდას პირდებოდნენ სკვითებს, მახლიები — მძევლების მიცემას, ხოლო ალანებმა სინდიანების დამორჩილება იკისრეს სკვითებისათვის.

ამ ცნობაში (სადაც ბოსფორანთა მეფის სახელი, ყოველშემთხვევაში, გამოგონილია) კონკრეტული ისტორიული ამბავი კი არ არის აღწერილი, არამედ მხატვრულ ნაწარმოებს საფუძვლად ისტორიული სარჩული უდევს. ყურადღებას იპყრობს ტომთა დასახელება, ეს ტომები არიან: ლაზები, მახლიები, სავრომატები, ალანები, სინდიანები და სკვითები.

ლაზთა სახელი ჯერ კიდევ მემნონის დროიდან (ძვ. და ახ. წ. მიჯნა) ჩანს ბერძნულ-რომაულ მწერლობაში. ჩემი დაკვირვებით უფრო ადრეული ცნობები ამ ტომს ახსენებენ დიოსკურიასზე უფრო ჩრდილოეთით, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს „ძველი ლაზიკის“ მოხსენიება (არიანესთან) და ქ. ლაზოსის პტოლემეაძოსთან დაახლ. ნიკოფსისის ადგილას. მართალია, ლუკიანე სამოსატელი თვითონ II ს.-ის მოღვაწეა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, მას თავის დიალოგში მოქმედება გადააქვს ძვ. წ. VII—V სს-ში. მან თავის დროს (ახ. წ. II ს-ში) იცის ლაზების არსებობა, მაგრამ ისიც იცის, რომ ისინი არც თუ ისე შორს არიან ბოსფორის სამეფოსაგან¹, კიდევაც რომ იმ ტერიტორიაზე ვარაუდობდეს ლაზებს, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ არიანეს ექსპედიციის დროს, ისიც საჯარო-ღიბსმა, რომ მან მოქმედ პირად გამოიყვანა ლაზთა დინასტი, ტივრაპატე. აღსანიშნავია ისიც, რომ მას აქვს ასეთი კონტექსტი — ქალის მთხოვნელები არიან მეფეები და მეფეთა შვილები — და შემდეგ დაზუსტებულია, თუ რომელი ტომის გამგებელს რა ეწოდება. ლაზთა უფროსს ეწოდება დინასტი (და არა მეფე ან მმართველი). ესეც გვაფიქრებინებს იმას, რომ მას თავისი თანამედროვე ვითარე-

¹ დაუშვებელი არც ის არის, რომ ლაზთა ბოსფორელ მეფის ასულს საქმარი ძალიან შორეული ქვეყნიდანაც გასჩენოდა, მაგრამ აქ ხსენებული ყველა ტომი დაახლ. ერთი ტერიტორიიდან არის (არც ერთი არაა ლიბიიდან, ან მეწამული ზღვის მიდამოებიდან, ანდა თუნდაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროდან).

ბა არა აქვს გადმოცემული (მისი თითქმის თანამედროვე, თვითმხილველი არიან მაგ., ლაპარაკობს ლაზთა მეფეზე).

ლაზთა დინასტიის სახელი, ისევე როგორც ბოსფორის მეფისა, შესაძლოა გამოგონილია. მახლიების საკითხიც იდგა ქართულ ისტორიოგრაფიაში. იყო ერთ დროს სურვილი მათი დაკავშირებისა მახელონებთან (მითუმეტეს, რომ მახელონები სხვა წყაროების მიხედვით ლაზთა მეზობელი ტომია, აქაც ეს ორი ტომი მახლიები და ლაზები ერთ კონტექსტში იხსენიებიან).

მახელონების კავშირი მაკრონებთან (და საბოლოოდ ქართ.-ევროპირის შემცველ ეთნო- და ტოპონიმებთან) დღეს ექვს ალარ იწვევს. მახლიები კი როგორც თვით ლუკიანეს შემოქმედებიდან ჩანს, მეოტიდასთან მცხოვრები ტომია, რომელსაც მძართველი (ἀρχαυ) ჰყავს (თ. 44). საყურადღებოა ის დიფერენციაცია, რაც არის ტომთა, ასე ვთქვათ — ბელადთა, სახელწოდებებში: *მაχάσσης*, *ἀρχαυ* მახლიების საცხოვრისი, მახლიენეც იხსენიება ამ ნაწყვეტში. მეოტიდის მახლიების ხსენება მხოლოდ ლუკიანესთან არ გვაქვს, ისინი იხსენიებიან კლავდიუს ელიანუსთანაც (ლიბიის ტომი, მახლიები კიდევ სხვანი არიან). სავრომატთა სახელი ბერძნულ მწერლობაში უძველესი დროიდან გვხვდება: ესაა ჩრდილოკავკასიის მოსახლეობა უფრო აღმოსავლეთით, ვიდრე მეოტიდაა. თითქოს ასეთი დაკვირვების საშუალება ჩნდება — უფრო აღრეულ თხზულებებში ამ ტომს (უფრო სწორად, ტომთა ჯგუფს) ეწოდება „სავრომატები“ და შემდეგ მასვე — სარმატები (უფრო იშვიათად, სკრმატები). (ლ. ზეუსტას აზრით ეს 2 ფონეტიკური ვარიანტია ერთი სიტყვისთვის. სკრმატის შესახებ მან არ იცის. გვ. 25—26; 264—265).

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს ძველი ადგილობრივი სახელია და ნიშნავს „შაროელთა ტომს“ (ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 624). ქართ. შარო, სომხ. შარურ, ჩრდილო კავკასიაში თემი თუ სახელმწიფო... შემდეგ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ეს ორივე სახელი პარალელურად ჩანს.

სავრომატებთან ერთად იხსენიებიან რამდენჯერმე ალანები, როგორც სკვითების მოწინააღმდეგენი.

ბერძნულ წყაროებში ალანთა ხსენება ახ. წ. I—II სს.-მდე არ ჩანს. უძველესი ავტორები, რომლებიც მათ იცნობენ, არიან იოსებ ფლავიუსი (I ს.), დიონისიოს პირიეგეტი (ახ. წ. II ს.-ის პირველი ნახევარი), ამის შემდეგ ეს სახელი გვხვდება II ს.-ის სხვა ავტორებთან ერთად (მაგ., პტოლემეოსი), ლუკიანე სამოსატელთან, რომელიც ალანებს ბოსფორანების მოკავშირედ აცხადებს, ელინებთან

და სავრომატებთან ერთად, ბოსფორის სამეფოზე ამხედრებული სკვითების მოწინააღმდეგეთა შორის. თუ არ ვიფიქრებთ იმას, რომ ლუკიანემ თავისი თანამედროვე, ალანთა ტომი გამოიყვანა ნაწარმოებში, მაშინ უნდა დაუშვათ, რომ მისთვის ცნობილ ძველ წყაროებში ალანთა ტომი იხსენიებოდა თუ უფრო ადრე არა, ბოსფორის სამეფოს არსებობის პერიოდში მაინც (ძვ. წ. V ს.-დან). როგორც ცნობილია, დიონისიოს პერიეგეტიც ძველი წყაროებით სარგებლობდა, ისე რომ, მის მიერ ალანების ხსენება (მამაცი ალანები — სადღაც მეოტიდის ტბასთან, ტაეპი 305) შესაძლოა თვით მის ცხოვრებაზე გაცილებით ადრე ეპოქას ვარაუდობდეს.

სინდები ბერძნულ-რომაულ წყაროებში ხშირად ხსენებული ტომია და მისი საცხოვრისი დაახლოებით მეოტიდის ტბის, თუ მის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ივარაუდება (თანამედროვე ანაპისა და ნოვოროსიისკის მიდამოებში). პომპონიუს მელა ამ ტომს სინდონებს უწოდებს (I, 110)¹, ხოლო ლუკიანე — სინდიანებს. ყველა ეს სახელწოდება სინდ-ძირთან მიდის. სინდები ბოსფორის მეფის ხელქვეითები იყვნენ. ამ შემთხვევაში, ჩანს, ისტორიული ამბავია ასახული ლუკიანეს „ტოქსარისში“ — ალანებმა სკვითებს პირობა მისცეს, რომ სინდიანებს მათ დაუმორჩილებდნენ — ბოსფორის მეფე, როგორც ჩანს, სხვადასხვა ტომებზე მთლად მშვიდად არ მბრძანებლობს.

ევსტათის კომენტარის მიხედვით (რაც მან გაუკეთა დიონისიოსის „პერიეგესისს“) სინდები იგივე ზიკხები არიან (ტ. 681). ზიკხები კი გაიგივებული არიან ჩვეულებრივ სტრაბონის ჯაყვი-სთან (რაც იგივე ჭიქებია). თუმცა დიონისიოსს იქვე, 5 სტრიქონით ქვემოთ ჯაყვი-ცა ჰყავს ხსენებული (ტ. 687). რამდენად შეიძლება ზიკხების, ზიგების (ჭიქების) და სინდების გაიგივება, არ ვიცით, ერთი კია, რომ XII ს.-ის კომენტატორს ეს სახელები ერთი ისეთი ტომის სახელწოდებად მიაჩნია, რომლის არსებობაც მან იცის.

რაც შეეხება სკვითებს, რომელთაც ეძღვნება ლუკიანეს მთელი ეს დიალოგი, მათ შესახებ ერთი გარკვეული ის უნდა ითქვას, რომ ავტორი მათ ათავსებს ჩრდ. კავკასიაში. მათი საცხოვრისი მეოტიდის ქვეყნიდან დაახლოებით 3 დღის სავალზე იყო ცხენოსნისათვის (საფიქრებელია აღმოსავლეთისკენ). ეს იგივე სკვითები არიან, რომელთა შესახებ ყველაზე დაწვრილებით ცნობები აქვს პეროდოტეს თავისი „ისტორიის“ IV წიგნში. ლუკიანე ხაზს უსვამს მათში არსებულ ზნეობრივ თვისებებს — მეგობრობას, მოხერხებულობას,

¹ პლინიუსი — სიდონებს (ერთად ახსენებს „მახორნებისა და სიდონების ტომს“ — NH VI, 11).

ვაეკაცობას. მათ ბრძოლას ბოსფორის მეფის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში წარმატებას.

როგორც ვხედავთ, ლუკიანეს დიალოგებში მოიპოვება საინტერესო მასალა ბერძნული მითოლოგიის იმ საკითხებზე, რომელთა მიმართება საქართველოსთან საეკუო არ არის და ზოგი კონკრეტული ცნობა საქართველოს გეოგრაფიიდან (კასპიის კარი), თუ ძველ ქართველ ტომთა შესახებ (ლაზების ხსენება — კონკრეტულად; სხვა მეზობელი ტომების გამოყვანა მოქმედ პირებად).

ტექსტი: *Luciani Samosatensis Opera*, ed. C. Jacobowitz I—III. Lipsiae, 1909—1913 (BT).

Lucian, with an English translation by Kilburn K., VI—1959; by Macleod, M. D., VII—1961 (Loeb-ის სერიაში).

Лукиан, Собрание сочинений в двух томах. Перевод под редакцией с комментариями Б. И. Богаевского, Academia, М.—И. 1935.

ალკიფრონის პიროვნების შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ არისტენეტოსი (ეპისტოლოგრაფი) ახსენებს მას, როგორც ლუკიანეს თანამედროვეს, ბიზანტიელ მწერალთაგან იოანე ცეცე უწოდებს მას რიტორს, ხოლო ევსტათი — ატიცისტს. არსებობდა მისი სირიული წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზა, რაც დღეს უარყოფილია.

არსებობდა აზრი, რომ ის არის დამოკიდებული ლუკიანეზე; იყო ამისი საპირისპირო აზრიც, რომ ლუკიანე არის მასზე დამოკიდებული. გაჩნდა მესამე აზრი, რომლის თანახმადაც ალკიფრონი და ლუკიანე საერთო წყაროებით სარგებლობენ, რითაც უნდა აიხსნას ის მსგავსება, რაც მათ შორის არის. ლაპარაკია აგრეთვე მისი და ლონგეს (I—II სს.) შემოქმედებას შორის კავშირზე. დღესდღეობით მის შესახებ მიღებულია აზრი, რომ ის ცხოვრობდა II—III ს.-ში. მისი სახელით მოღწეულია 123 წერილი, რომელთაც გამოცემლები 4 წიგნად ჰყოფენ: I. მეთევზეთა წერილები, II. მიწის-მოქმედთა წერილები, III—პარასიტების წერილები და IV— პეტერების წერილები¹.

¹ უნდა შეინიშნოს, რომ ლიტერატურული ძანრი — წერილები, ბერძნულ მწერლობაში უკვე ძვ. წ. VI—IV სს.-ში ჩნდება, მაგრამ განსაკუთრებით ვითარდება ის ელინისტურ ეპოქაში და უფრო კი იმპერიის ხანაში (როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ ლიტერატურაში.) ესაა ფიქტიური წერილები, სადაც წერილის ავტორიც გამოგონილია და წერილის მიმღებიც. ალკიფრონს თავის წერილებში რამდენიმე საუკუნით უკან დადაყვართ — ძირითადად IV—III სს.-ში.

ჩვენი თვალსაზრისით საინტერესოა ერთი წერილი (III, 25), რომელიც ასეთი შინაარსისაა: „მე ვარ ძე ანთემიონისა, ათენში (მცხოვრებთა შორის) უმდიდრესისა და აქსიოთეასი, რომელიც მეგაკლეს გვარის არის წარმოშობით, ის კი (იგულისხმება მოწინააღმდეგე — თ. ყ.), რომელიც ჩვენ ამას გვიკეთებს, უცნობი მამისა და ბარბაროსი დედის (შვილია), და მე ვფაქრობ, რომ (ეს დედა) ან სკევითა, ან კოლხი (Κολχίς) — ახალმთავარეზე ნაყიდი“.

ეს წერილი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აქ გვაქვს კიდევ ერთი ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხი ქალი შეიძლება ათენში ეყიდათ — კოლხი მონები ათენელთათვის უცხო რამ არ ყოფილა; სხვათაშორის შეიძლებოდა ამის ხსენება მოწინააღმდეგესთან პაექრობის დროს. სხვა საბუთებთან ერთად, რომლებიც მოგვეპოვება ქართული ტომების მონად გაყიდვის შესახებ, ალკიფრონის ეს წერილიც დიდად მნიშვნელოვანია.

მეორე, რაც იქცევს ყურადღებას ზემოთმოყვანილ ფრაგმენტში, ესაა შეძლებული, ასე ვთქვათ, კეთილშობილი წარმოშობის ათენელის დამოკიდებულება „ბარბაროსთა“ მიმართ (ამ ბარბაროსებში სკევითი და კოლხი ერთადაა ჩაგდებული) — მასში ჩანს უაღრესი ქედმაღლობა და მედიდურობა — აბა, როგორ შეიძლება დაპირისპირება ორი ისეთი ადამიანისა, რომელთაგან ერთი უმდიდრესი ათენელისაა და წარჩინებული ქალის შვილია, ხოლო მეორე — ვიღაც უცნობი კაცისა და ბარბაროსი, ნაყიდი მონა ქალისა. „ახალ მთვარეზე ნაყიდი“ ნიშნავს იმას, რომ საბერძნეთში ვაჭრობა ძირითადად ახალ მთვარეზე, ანუ თვის I დღეს ხდებოდა (არსებობს ამის მოწმობა არისტოფანესთან). ზუსტი დათარიღება ამ ცნობისა ჰეროდოტის, რადგან ავტორი ახ. წ. III ს.-ის მოღვაწეა (ე. ი. შეიძლება ეს განწყობილება მისია, ახ. წ. III ს.-ის რომელი მოქალაქისა), ანდა მან ასახა ის განწყობილება, რაც ჰქონდათ მის წინაპრებს, ძვ. წ. IV სს.-ის ბერძნებს ბარბაროსების მიმართ. არც ერთი შემთხვევა გამოსარიცხი არ არის.

ესაა ძირითადად ახალი ატიკური კომედიის გარემო (მაგ., მენანდრესა და მისი სატრაფო გლიკერას მიმოწერა ძალიან ცნობილია მის წერილთა შორის. ესაა IV, 18 და IV, 19 წერილები). მოქმედება ხდება ძირითადად ან ათენში ან მის გარემოში. წერილის ფორმა, თავისი ავტორითა და ადრესატით გამოვარდნებულია იმისათვის, რომ მკითხველისათვის უფრო დამაჯერებელი იყოს სიუჟეტისა და ფსიქოლოგიური განცდების ქეშმარიტება.

ტექსტი: The letters of Alciphron, Aelian and Philostratus, with an English translation by A. R. Benner and F. H. Fobes, London. 1949 (Loeb-ის სერიაში).

Epistolographi graeci, Recensuit R. Hercher, Parisiis. 1873.
Античная эпистолография. Очерки. М., 1967.

ქართ. თ. ყაუხჩიშვილი, ალკიფრონი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ (Всесоюзная научная конференция: Античные, византийские и местные традиции в странах Восточного Черноморья, Тезисы, Тб., 1975, стр. 46—48).

ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები, საერთოდ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენენ ძირითადად საბერძნეთის (და ზოგი სხვა ქვეყნის) ისტორიისათვის. კერძოდ, ერთი ჯგუფი ძველი ბერძნული წარწერებისა უეჭველად გამოგვადგება როგორც წყარო ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის.

VI—IV სს.-ის რამდენიმე წარწერა გარკვეულად ასახავს იმ ურთიერთობას, რაც, როგორც ჩანს, არსებობდა საბერძნეთსა და საქართველოს, უფრო დაზუსტებით კოლხიდას შორის.

ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე ბერძნულ წარწერას, სადაც იხსენიება „კოლხი“, სატომო სახელი, რომელიც, როგორც ჩანს, ეწოდებოდა მონას (რომელიც კოლხი იყო და სხვა სახელით მისი მოხსენიება ბერძენმა საჭიროდ აღარ ჩათვალა). ეს ამბავი ჯერ კიდევ სტრაბონმა შენიშნა (გეოგრაფია. VII, 3, 12): „მონები, რომლებიც იმყოფებოდნენ ათენში მოსამსახურეებად, იწოდებოდნენ ან ტომის სახელის მიხედვით, როგორც მაგ., „ლიდიელი“ (Λυδοί), ან „სირიელი“ (Σύριοι), ან იმ სახელების მიხედვით, რომლებიც ამ ტომებში იყო გავრცელებული, მაგ., მანესი ან მიდასი — ფრიგიელასთვის, ტიბოსი — პაფლაგონელისთვის“...

უძველეს ბერძნულ წარწერათა შორის, რომლებიც ქართველ ტომებს იხსენიებენ და საქართველოს, უფრო ზუსტად კოლხიდასა და ანტიკური სამყაროს ურთიერთობას ასახავენ, არის ათენში აღმოჩენილი ძვ. წ. VI ს.-ის მეორე ნახევრით დათარიღებული შეფიჯურიანი ოანოხოა, რომელიც ბერლინის მუზეუმშია დაცული. ეს უხვად ორნამენტირებული ქურქელი ლეონარდს ტიპიურ იონიურად მიაჩნია (ქურქლის ფორმის, წარწერის ხასიათისა და ნახატის მიხედვით). მხატვრობასთანვე არის ორ სტრიქონად ერთი ბერძნული წარწერა: +ΟΑ+ΟΞ ΜΕΓΟΙΕΞΕΝ, ე. ი. χόλχος μ'ἐπίσησεν — „კოლხმა გამაკეთა“. აქვეა სხვადასხვა ბერძენი ღმერთების

(მაგ., ათენა. პოსეიდონი...) და გმირების (პერაკლე...) სახელები¹. ამრიგად, იონიური ტრადიციების მიხედვით შესრულებული ჭურჭელი კოლხი ხელოსნის ხელით არის გაკეთებული.

ლიტერატურაში არის ცნობა იმის შესახებ, რომ მოიპოვება ამდგვარივე მონათული არაერთი ჭურჭელი, რომელთაც შესატყვისი სივანტურა არ ვაჩინიათ, მაგრამ ან ამავე პირის მიერ არიან გაკეთებული, ან ამ წრის სხვა ხელოსნის მიერ. ამავე წრის ნამუშევრად შეიძლება ჩაითვალოს ათენშივე აღმოჩენილი კილიკი, რომელსაც აქვს ასეთი ბერძნული წარწერა: ΕΜΞΨΙΕΩΣ ΧΑΙΝΗΣΕ, [X]ΙΛΥΙΩΣ Ξ[ΥΡΩΦ]ΑΞ — „ექსითეოსმა გააეთა, კოლხმა მონათა“². არ უნდა დაგვაფიქროს ამ უკანასკნელ მავალითში საკუთარი და სატომო სახელების შეპირისპირებამ — ექსითეოსი და კოლხი, ათენში მყოფ კოლხს უწოდებენ პირდაპირ კოლხს, მისი საკუთარი სახელი დავიწყებულია. ვინ შეიძლება იყოს ეს ათენში მოღვაწე კოლხი? პირდაპირი მითითება ამაზე არ გვაქვს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ათენში ტყვედ მოხვედრილა და შემდეგ თავისი ნიქის წყალობით თავი გამოუჩინია ხელოვნებაში. ამ წარწერების მიხედვით ისიც ძნელი დასადგენია, თუ ეს კოლხები რა ვზით არიან მოხვედრილი ათენში³.

ათენის არქეოლოგიური ვათსრების შედეგად მოპოვებულია სხვა მრავალ წარწერიან ძეგლთან ერთად ერთი სტელა, რომელიც სპეციალისტთა მიერ 415—414 წწ.-ით არის დათარიღებული და რომელშიც ხსენებულია ათენელი მონებით მოვაჭრე ჰეპტაკოპიდების პროცესზე მსჯავრდებული კეფისოდოროსი, აღნიშნულია მისი ქონება და აქვე არის სია მისი მონებისა. ამ მონათა შორის დასახელებულია კოლხიც (Κόλχος).

¹ CIG. IV, 8239. Leonard, Kolchos: R E, XI. 1071—1073.

² CIG, 15, 2200, ანასთან, გამოსახულებებთან არის შესაბამისი სახელები ტროის ომის გმირებისა (აქილევსი, პატროკლე, დიომედე, ნესტორი...).

³ ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, „...ძნელია მტკიცება იმაზე, რომ კოლხი მონები ათენში უშუალოდ ატოკა — კოლხეთის ურთიერთობის შედეგად არიან მოხვედრილი, თუ კერამიკული ფერწერის კოლხი ოსტატები მართლა მონები იყვნენ, გამორიცხვად არაა შესაძლებლობა, რომ ისინი რომელიმე სხვა ბაზარზე (მაგ., ქიოსზე) არიან შეძენილი“: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 79.

წარწერა ასე იკითხება:

Κεμισοῦδρο μετοῖχο ἐμ Περαι[αίῃ]

ἩΡΑΓ	Θραττα	ΗΔΔΔΔΗΗΗ	Σαῦδες
ΗΔΔΔΓ	Θραττα	ΗΔΔ	ἡλιαυρῶς
ΗΡΔΔ	Θρα:χς	ΗΡΗΗ	Κόλχως
ΗΗΔΔΔΔ	Σύρος	ΗΡΔΔΔΗΗΗ	Κάρ πατς
ΗΓ	Κάρ	ΡΔΔΗ	Καυκλὸν παιδιόν
Η·ΔΗ	ἡλιαυρῶς	ΗΗΗ	Σύρος
ΗΗΔΔ	Θραττα	ΗΓ	Μελετ[ενὸς vel ενή]
ΗΔΓ	Θραχς	ΗΡΔΔ	ლსმ ¹

მისი თარგმანია: კეფისოდროსს, მეტეკს პირეესში (პყავს)

თრაკიელი ქალი	165 (დრაქმა)	სკვითი	144 (დრაქმა)
თრაკიელი ქალი	135 "	ილირიელი	121 "
თრაკიელი	170 "	კოლხი	153 "
სირიელი	240 "	კარიელი ქაბუკი	174 "
კარიელი	105 "	კარიელი ყრმა	72 "
ილირიელი	121(?) "	სირიელი	310 "
თრაკიელი ქალი	220 "	მელიტელი	106 "
თრაკიელი	115 "	ლიდიელი	170 "

თითოეულ ხსენებულ მონას (რომლებიც ტომების სახელით არიან წარმოდგენილი) თავისი ფასი უწერია; კოლხი მონა 153 დრაქმა ღირებულა. დაახლოებით ასეთივე ფასი ღირდა სკვითი — 144 დრაქმა (სხვათაშორის, სირიელები ღირან ძვირი).

ვერც ამ შემთხვევაში ვიტყვით, თუ ეს მონები კეფისოდროსის ხელში რა გზით მოხვდნენ, მაგრამ უდავოა ის გარემოება, რომ ამ დროისათვის (V—IV სს.-ში) თრაკიელი, სირიელი, კარიელი, ლიდიელი, სკვითი, კოლხი — თუნდაც მონის სახით (და ეთნიკური და არა საკუთარი სახელით) ყველა გამოსული ათენელთა ასპარეზზე. აღსანიშნავია, რომ ამ სიაში შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროდან ცოტანი არიან მონები, გაცილებით მეტი არიან თრაკიელები.

¹ უკანასკნელი გამოცემა ტექსტისა: Hesperia, vol. XXII, № 4, 1953. გვ. 242. W. Kendrick Pritchett, The attic stelai.

აქვეა სახსენებელი ათენის საფლავის წარწერა, რომელიც ზოგადად ელინისტური ხანით არის დათარიღებული.

Εὐφροσύνη Χα.ρήμοιος Χολκίς — ევფროსინე, ქაერემონისი, კოლხი ქალი.

ბ. გრაკოვის აზრით, თუ ქაერემონი ამ კოლხი ქალის პატრონი (ე. ი. მონათმფლობელი) არ არის და მამაა (ფორმა Χα.ρήμοιος — ჩვეულებრივ, ასეთ კონტექსტში, მამის სახელს უნდა აღნიშნავდეს), მაშინ ევფროსინე განთავისუფლებული მონა ქალია, ან ასულია განთავისუფლებული მონისა¹.

ეს ცნობაც კოლხი მონების (თუნდაც განთავისუფლებული მონების) არსებობაზე მიუთითებს ათენში.

კოლხიდასა და შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს შორის ურთიერთობას მოწმობს სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენათა შორის ბერძნული წარწერებიც, რომლებიც სპეციალისტთა მიერ V—IV სს.-ით თარიღდება.

ამ მხრივ საგანგებოდ საინტერესოა პანტიკაპეოზში 1961 წელს კოლხურ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილი იონიური ქრაქის ფრაგმენტი, რომელზედაც არის გრაფიტო $\Phi\alpha\lambda\chi\omicron\varsigma^2$. კოლხი³. ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, ეს „კოლხი“ ეთნიკური სახელია, თუ საკუთარი.

ამავე ურთიერთობის მაუწყებელია ბოსფორის სამეფოს წარწერები, რომლებშიც ეთნიკური სახელი „კოლხი“ გამოიყენება როგორც საკუთარი სახელი. ასეთი წარწერა ჭერჯერობით ორია აღმოჩენილი და ორივე ძვ. წ. IV ს.-ით არის დათარიღებული. ერთზე სწერია: $\Phi\iota\lambda\acute{\iota}\alpha\chi\mu\omicron\varsigma\ K\acute{\omicron}\lambda\chi\omicron^4$, — ფილოკომოსი, კოლხოსის ძე, ხოლო მეორეზე — $M\acute{\alpha}\zeta\epsilon\varsigma\ X\acute{\omicron}\lambda\chi\omicron^5$ — შაძისი, კოლხოსის ძე (წარწერები ორ სხვადასხვა სტელაზეა შესრულებული და ნაპოვნია სხვადასხვა დროს). ამ წარწერების $\Phi\iota\lambda\acute{\iota}\alpha\chi\mu\omicron\varsigma$ — ჩვეულებრივი ბერძნული სახელია, სრულიად გარკვეული ბერძნული ეტიმოლოგიისა, ხო-

¹ Б. Н. Г р а к о в, Материалы по истории Скифии в греческих надписях... ВДИ, 1939, № 3, стр. 308.

² აღსანიშნავია პირველი ასო, კოპპა, რომელიც ამ წარწერის დასათარიღებლად გამოგვადგება, წარწერა V ს.-ის დასაწყისზე უგვიანესი არ შეიძლება იყოს.

³ ით. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966. გვ. 90.

⁴ Корпус Боспорских надписей, М.-Л., 1965, № 230.

⁵ იქვე, № 230.

რო რაც შეეხება Μαξίς-ს, ის ლ. ზელსტას ირანულად მიაჩნია¹. ამრიგად, ამ ორიოდე მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებში მოსახლეობას სხვადასხვა რიგის სახელები ჰქონდა, ყველაფრის გარდა, იმიტომაც, რომ ბოსფორის სამეფოს გარკვეული ურთიერთობა (სავაჭრო და საქმიანობა) ჰქონდა ბევრ ქვეყანასთან და ამ ქვეყანათა შორის კოლხიდასთანაც.

ძვ. წ. II ს.-ის (140—100 წწ.) დელფოს მანუმისიებში არის წარწერა SGDJ, 2218, რომელშიც იხსენიება ქალი, სახელად კალო, ტომით კოლხი (ὄνομα Καλλῶ τὸ γένος Κολχίδη), რომელიც ფსითირა ჩიკლაოსის ასულს მიუყვლიდა აპოლონ პითიელის ტაძრისთვის 5 მნად და ამგვარად განთავისუფლებულა.

ეს წარწერა კიდევ ერთი საბუთია საიმისოდ, რაც ზემოთ იყო მოყვანილი — კოლხი მონები (კაცები და ქალები) მოხვედრილი არიან საბერძნეთში; ამგვარად, ფოკიდაში, დელფოში. ამ მონა ქალს ჰქვია ბერძნული სახელი Καλλῶ (ძირითადი კალῶს — ლამაზი, კარგი), რაც არც თუ ისე გავრცელებულია ბერძნულ სამყაროში: შესაძლოა, ამ კოლხ ქალს საბერძნეთში შეარქვეს ეს სახელი მისი სილამაზის გამო. წარწერა ასეთია²:

Ἄρχοντας Σωσιπάτρου μηγὸς δαδαφορίου, βουλευόντων τῶν πρώτων ἐξάμηνον Ἀντιγένης τοῦ Διοδώρου Ἀγιῶνος τοῦ Κλευδάμου. γαρματεύοντος δὲ Ὑβρίας τοῦ Ξένωνος, ἐπὶ τοῖσδε ἀπέδοτο Ψειθύρα Νικολάου Ἀπόλλωνι τῷ Πυθίῳ σῶμα γυναικεῖον αἰ ὄνομα Καλλῶ τὸ γένος Κολχίδη, τιμᾶς ἀργυρίον μνᾶν πέντε, καὶ τῶν τιμᾶν ἔχει πᾶσαν, καμῶς ἐπίστευσε Καλλῶ τῷ θεῷ τῶν ὠνᾶν, ἐφ' ᾗτε ἐλευθέρᾳ εἶμεν καὶ ἀνέφαπτος ἀπὸ πάντων τῶν πάντα χρόνον ποιήσῃς ὁ κα θελήῃ καὶ ἀποτρέχουσα εἰς κα θελήῃ. βεβρωιωτῆρ κατὰ τὸν νόμον τῆς πόλιος Πατρίας Ἀνδρονίκου. εἰ δὲ τις ἀπειτο Καλλοῦς ἐπὶ καταδουλισσῆ. βέβαιον παρεχόντων τῷ θεῷ τῶν ὠνᾶν ἅτε ἀποδομένᾳ Ψειθύρα καὶ ὁ βεβρωιωτῆρ Πατρίας. εἰ δὲ μὴ παρέχουσι βέβαιον τῷ θεῷ τῶν ὠνᾶν, πράκτιμοι ἐόντων τῷ θεῷ κατὰ τὸν νόμον τῆς πόλιος. δημοῖως δὲ καὶ οἱ παρατυγχάνοντες κύριοι ἐόντων συλέοντες; Καλλῶ ὡς ἐλευθέρᾳ ἐῶσῃ ἀταμίῃ. ὄντες καὶ ἀνυπὸν-

¹ L. Zgusta, Die Personennamen gr. Städte der nördl. Schwarzmeerküste. Praha, 1955, 33. 112

² Б. Н. Гракoв, Материалы по истории Скифии... ВДИ, 1939, № 3, стр. 309.

კო: *πάσας δόξας και ζαυμάς*. Μάρτυροι: ὁ Ἰερεὺς τῶν Ἀπὸβλῆωνος Ἄρχων και οἱ ἄρχοντες Ἀντιγένης, Ἀγίων, (Π) Ὑβρίας και Ἰωσή-
τα: Νικάντης, Βάττος, Ἀριστέας, Φίλων Ἰατάδα, Φίλων Φιλάργου,
Τυμόκριτος.

თარგმანი ასეთია: „როდესაც არქონტი იყო სოსიპატროსი, და-
დაფორიონის თვეში, პირველი ექვსი თვის ბჭქთა, ანტაგენეს დაო-
დორეს ძის, ჰაგიონ კლევდამოსის ძის, მწერლის ჰიზრიას ქსენონის
ძის თანდასწრებით, ფსითირა ნიკოლასის ასულმა აპოლონ ჰი-
თიელს მიჰყიდა ქალი¹ სახელად კალო, წარმოშობით კოლბი 5
ვერცხლის მნის ფასად; მან მიიღო მთელი ფასი², რადგან კალომ
ნასყიდობა ღმერთს მიანდო, ამიტომ იყოს იგი თავისუფალი და
ხელშეუხებელი³ ყოველთათვის სამუდამოდ, აკეთოს რაც უნდა და
წავიდეს ვისთანაც უნდა. ქალაქის კანონთა თავმდეები პატრეას ანდ-
რონიკოსის ძე. უკეთუ ვინმე წარიტაცებს კალოს დასამონებლად.
ღმერთის მიერ ნასყიდობის სინამდვილე დაამოწმონ გამყიდველმა
ფსითურამ და თავმდემა პატრეასმა. ხოლო თუ არ დაამოწმებენ
ღმერთის მიერ ნასყიდობის სინამდვილეს, ქალაქის კანონების მიხედ-
ვით ფულად აგონ პასუხი მის მიმართ, ვინც მოისურვებს, მსაგავსად-
ვე, თუკი ვინმეს მოუხდა კალოს მოტაცება, როგორც თავისუფა-
ლისა, ისინი მართალნი იყვნენ და სამართალში მიუცემელნი ყო-
ველგვარ პასუხისგებისა და სასჯელისაგან. შოწმებები: აპოლონიას
ქურუმბი — არქონი და არქონტები: ანტიგენესი, ჰაგიონი, ჰზბრიასი
და კერძო პირები: ნიკატა, ბატოსი, არისტეასი, ფილონ იატადეს ძე,
ფილონ ფილაგროსის ძე, ტიმოკრატოსი“.

წარწერა ძალიან საინტერესოა, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით,
რომ კოლბ ქალს, მონას დელფოში ამოუყვია თავი, არამედ მთელი
იმ სამართლის კოდექსის მიხედვით, რომელიც აქ არის წარმოდგენი-
ლი: ჯერ ერთი მონა ქალი ღირს 5 მნა, შემდეგ ლაპარაკია ამ ქა-
ლის თავისუფლებასა და ხელშეუხებლობაზე, ფულად ჯარიმას იხ-

¹ *σῶμα γυναίκεϊον* სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქალის სხეული“; ზუსტად კი ეს
გამოთქმა ნიშნავს — „ქალ“. ნ. გრაკოვი თარგმნის „*пандина*“, აქედ უნდა შევწი-
ნოთ. რომ „ესითირა“ (*Πυθίειρα* თუ *Πυθίειρα* — დაწერილობით) ასევე იშვიათი
სახელია ბერძნულ წყაროებში. Pape-ს ლექსიკონში დამოწმებულია *Πυθίειδος* athe-
nischer Heros და *Πυθίειρα*—*Η.δ.ს.თან*. მეტი შემთხვევა არ იცის ლექსიკოგრაფმა.
ჩვენს შემთხვევა მას გათვალისწინებული არა აქვს.

² „დსითურამ მიიღო ფასი“ — ამან არ ვაჰყიდა? თანაც ქვემდებარე ესაა.

ბ. გრაკოვი ამ ადგილს თარგმნის: „*ног имел цену полностью*.“

³ *ἀεφρατος*. nicht anzurühren... bes. wer nicht als Slav fortge-
führt werden darf, Inscr. (P.p.e).

დის ის, ვინც მის ამ თავისუფლებას არ სცნობს და დამონებას მოიწადინებს, ხოლო თუ მას თავისუფალ პიროვნებად სცნობენ, ამ შემთხვევაში მისი წამყვანი არ ისჯებიან, პასუხს არ აგებენ.

დელფოს მანუმისიებში კოლხის ხსენება ერთია, ხოლო არმენიელები, მეოტები, ბასტარნები, სარმატები (ქალები და კაცები) გაცილებით უფრო მეტი არიან (მათი ფასიკ დაახლ. ასეთივეა).

დელფოს სამისნოს ამ დოკუმენტებს პირველ ყოვლისა მნიშვნელობა აქვთ თვით საბერძნეთის სოციალური და ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით.

არა მხოლოდ „კოლხები“ იხსენიებიან მონათა შორის, არამედ სხვა ქართველებიც. დელფოს წარწერებში, რომლებიც III—II სს.-ით არის დათარიღებული, მაგ., იხსენიება ტიბარენი მონა ქალი საფო, 3 მნად მიყიდული აპოლონისთვის (*Inscriptions requéillies à Delphes... par C. Wescher, P. Foucart. 1863. Paris. № 299*).

დელფოს სხვა წარწერებში გვხვდება ქართველური სატომო სახელები უკვე საკუთარ სახელად ქცეული. ასეთია მაგ., მაკრონი.

დელფოს 132-ე დეკრეტში, საკმაოდ გრძელ სიაში იხსენიებიან: *Μάκρωνι Δαίμωνος* (მაკრონს, დაიმენისის ძეს) და *Μάκρωνι Ἀματρός Περυαμύων* (მაკრონს, ამატოკოსის ძეს, პერგამონელს). წარწერა დათარიღებულია ძვ. წ. 208 წ.-ით.¹

Μακρὰν და *Μακράνισσα* (წარწერილი ატიკის სტელაზე) აღიარებულია ქალთა სახლებად; მათ შორის მეორე *Μακράνισσα* ვ. პაპეს მიერ მიჩნეულია მსედრობითი სქესის ფორმად სიტყვისათვის *Μάκρων*². *Μάκρων*, როგორც ბერძნის საკუთარი სახელი დადასტურებულია *Anth XI, 95*.

Μάκρων, როგორც რომაელთა საკუთარი სახელი გვხვდება დიონ კასიუსთან (სხვადასხვა პირთა სახელებია 58,9—28; 59, 10) და იოსებ ფლავიუსთან (XVIII, 6 6 — 7). ეს რომაელები თავის ენაზე იწოდებოდნენ *Macer* (მაგ., *Ναυσίος Σεπτάριος Μάκρων* — დიონ კასიუსი, 58,9, ლათინურად იქნება *Navius Sertorius Macer*). *Macer* ლათინურად ნიშნავს „გამზდარი“, „მკლე“. თუ სახელი *Μάκρων*-ის ბერძნული ეტიმოლოგიაა მაინცდამაინც საჭირო, ბერძნულში ის ყველაზე ახლოს არის სიტყვასთან *μακρὰς* (გრძელი, ხანგრძლივი, დიდი და სხვ.). უთუოდ ბერძნულად იყო გაგებული სატომო სახელი *Μάκρων*, როდესაც გაჩნდა ზოგიერთ ავტორებთან მისთვის პარალელური ფორმა, *Μακροχάμδαισι*, რაც ესმოდათ როგორც „გრძელთავიან-

¹ Fouilles de Delphes, III, fasc. IV. 1954, გვ. 206—207.

² W. Pape, Die griechischen Eigennamen.

თა“ ტომი, ან ის ტომი, რომელიც გადმოსახლდა *Μάχαρις*-იდან, ე.ი. გრძელი [კუნძულიდან], იგივე ვებეიდან.

მე ვფიქრობ, რომ ამ საკუთარი სახელების (*Μάχαρις* და *Μαχαρι-
νισσα*) ბერძნული ეტიმოლოგია არაა მისაღები, ისინი უნდა დავუკავ-
შიროთ ეთნონიმს, *Μάχαρις*-ს, რომელსაც იგივე ძირი უნდა ჰქონდეს,
რაც არის „ეკრექტიკე“ ში (კლავდიოს პტოლემეაოსი, პომპონიუს
მელა, პლინიუსი) და ქართულ მ-ეგრ-ელში.¹

ეთნონიმი *Μάχαρις*-ს კარგად იყო ცნობილი ბერძნულ სამყაროში
(მღრ. ჰეკატაეოს მილეტელი, პეროდოტე, ქსენოფონტი და ა. შ.) და
იგი იქცა საკუთარ სახელად ბერძენთა და რომაელთათვის.

ბერძნულ წარწერებში გვხვდება საკუთარი სახელი *Σάριος* (სანი),
რასაც ვუკ ვშირებ ქართულ სატომო სახელს „სანებს“ *Σάριος*, რამაც
დაიჭირა გარკვეული დროიდან „მაკრონების“ ადგილი ბერძნულ მწერ-
ლობაში (სტრაბონი, მ.გ., პირდაპირ წერს, რომ ისინი, ვინც წინათ
მაკრონები იყვნენ, ახლა სანებდ. იწოდებიანო, გეოგრაფია, XII, 3, 18).
მაგ., დელფოს 270—260 წწ.-ის წარწერაში კვითხულობთ:

Δεξφοι ξ̄νωαχ̄ν Σάριος Ἄντα [ethnicon]...

πιοξ̄σ̄ιχ̄ν, πιομ̄άν̄τ̄ειαν... etc.²

„დელფომ უბოძა სანოს (იგივე სანს)... უფლება პროქსენოსისა,
უფლება სხვაზე უწინ მისნობის შეტყობისა“... „სანოსი“ არის საკუ-
თარი სახელი ათენის № 721 წარწერაში.

Σάριος როგორც საკუთარი სახელი დადასტურებულია ეგვიპტეში
მოპოვებულ ბერძნულ პაპირუსებში³. იგივე სახელი ჰქვია ძალს კლავ-
დიუს ელიანუსის ნაშრომში „ცხოველთა ბუნების შესახებ“ (XI, 13).

ყველა სახელი, სადაც *Σαχ* და *Σαχ* ძირია, ცხადია არ მაქვს და-
კავშირებული „სან“ სატომო სახელთან, რადგან ეს შორს წაგვიყვან-
და. მაგ., სახელი *Σαχარი* ბერძენთ შორის უკვე კლასიკურ ხანაში
იყო გავრცელებული (როდესაც მათ სანების ტომის არსებობა არც კი
იცოდნენ), ამდენად ის ქართული სამყაროდან წაღებული ვერ იქნე-
ბოდა.

ლ. ზგუსტას პანტიკაპეის წარწერის *Σαχ* || *Σα* ძირიანი სახელის
დაკავშირება *Σάριος* სატომო სახელთან სახიფათოდ ეჩვენება, რადგან
არსებობს ამ ეთნიკონის მეორე ფორმაც, *Τζάριოს*-ო⁴. ჩემის აზრით,

¹ ა. ე. უ. რ. უ. შ. ა. ქე, ძველი კოლხეთი... გვ. 136—142; გვ. 321—აპოლონიოს
როდოსელის „არგონავტიკის“ სქოლიო 1024.

² *Supplementum epigraphicum graecum*, vol. XIV, 1957, გვ. 43. № 598.

³ *Preisigke*, *Fr. Namebuch*... 1522, გვ. 361. *Σάριος* Petr. III, 563,
№ 22⁹ i, 2(IIIv)... SB I, 1140.

⁴ *L. Zgusta*, *Die Personennamen griechischen Städte der nördli-
chen Schwarzmeerküste*, Praha, 1955, გვ. 411. § 1145.

ამ მეორე დაწერილობის არსებობა არაა დაბრკოლება საიმისოდ, რომ საკუთარი სახელი ეთნიკური სახელიდან წარმომავლად მივიღოთ, განსაკუთრებით იმ პირობებში, თუ გავხსენებთ, რომ ეს სატომო სახელი თავდაპირველად იწერებოდა Δάγιοι (მაგ., სტრაბონთან), ხოლო უფრო მოგვიანებით გაჩნდა დაწერილობები Τζάγιοι, Τζαγιοί, Θιαγιοί (იმვე მნიშვნელობ.: თ. პროკოპი კესარიელი, სტეფანე ბიზანტიონელი, ევსტათი თესალონიკელი...).

ქართულად დღესაც გვაქვს სან, ზან, კან-ძირის შემცველი საკუთარი სახელები, ტოპონიმები, ისევე, როგორც იყო ამ ძირის სატომო სახელებიც, რომლებიც როგორც ჩანს, ეთნიკურად და პოლიტიკურად ფარავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფონეტიკურად მთლად იდენტური ფორმა არ ჰქონიათ დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

დღეს წარწერათა შორის ყურადღებას იპყრობს ძვ. წ. I ს.-ის ერთი წარწერა: Ὁ ὀψιμος δ' Ἰάγιοι Φησιονος Σαμαθιασ Χιον (vocat) Ἄσάλλανι Ησθία¹.

„ქიოსელთა დემი ფესინოსს, სკითინოსის ძეს, აპოლონ პითიელს (ავედრებს)“.

წარწერაში 2 საკუთარი სახელი იპყრობს ყურადღებას. Φησιონος და Σαμαθιασ, რომლებიც თავისი წარმოშობით ასე მგონია, რომ ძველი კოლხიდის ისტორიას უკავშირდებიან.

Φησιონος || Φისიონος (არიანე, ანბასისი, 111, 2, 5) || Φησειონος (Inscr. III, 5741) ერთი და იგივე სახელებია, სხვადასხვაგვარად დაწერილი იტაციზმის საფუძველზე. აქ იგივე ძირია, რაც არის სიტყვაში Φაძიჯ (Φησ || Φაძ)², რომელიც ჰესიოდეს დროიდან გვხვდება, როგორც მდინარის სახელი, ხოლო არისტოტელეს დროიდან როგორც ქალაქის სახელიც, აქვეა მოსატანი ეგვიპტის პაპირუსებში დადასტურებული საკუთარი სახელები: Φაძიჯ (αζιζ), Φაძიჯ (αζαζ), Φაძაჟ, Φაძაძ (ααζაძ), Φაძიჯ, Φაძიჯ² — ტროელი ვაჟაკი (კვინტუს სმარნელი 10, 89), Φაძაძ — მედეას სახელწოდება; Φაძაძ — კოლხოსის მამა, ჰელიოსის ძე; იგივე — მხატვრის სახელი (Anth. Plan. 117), Φაძაძიჯ — სვიდასთან; Φაძაძაძიჯ — CI II, 2903 და სხვ.

აქ მოტანილი მაგალითების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ Φაძაძიჯ არგონავტების ლაშქრობის დროიდან კარგად ცნობილი სახელი იყო ბერძენთათვის, და მისი სხვადასხვა ვარიანტი (გრძელ და

¹ Fouilles de Delphé, III, fasc. IV, 1954, pag. 285, № 25³.

² ფაძ | ფიშ იგივე მხატვრულია, რაც არის ფაძიჯ || ფიჯიჯი: Ἄδραστος || Ἄδρηστος: Ἀσάροι | Ἀσθιοί; Ἀσθιήνη || Ἀσθιήνη და სხვა.

³ Fr. Preisigke, Eigennamen.

მოკლე ხმოვნია—*ä* და *ä*; შემდეგ საფესურზე *a l l e i i* მონაცვლეობა) გავრცელდა ბერძნულ-რომაულ საწყაროში.

ამავე დელტოს წარწერაში გვხვდება სახელი *Σασμιας* (თუ *Σασμιας*). ეს სახელი იშვიათია ბერძნულ მწერლობაში. მე ვფიქრობ, იგი უკავშირდება ქართულ სატომო სახელს *Σασμιας*-ს (ქსენოფონტი, ანაბასისი, IV, 7, 18; IV, 8, 1). ამ სიტყვას შევრთული ეტიმოლოგია აქვს (რაც დასტურდება სტრაბონის *Ἰσθμίου*-ს და არაბული კურასებათი), იგი ნიშნავს—„შვილი სოფლის მცხოვრებთ“. ეს სახელი კარგად იცოდნენ ძველმა ბერძენებმა და მას არ აკავშირებდნენ თუნდაც ძალიან პოპულარულ *Σασμιας*-სთან. დიოდორე სიცილიელი მაგ., ამ სატომო სახელს სწერს ფორმით *Σασμιας* (XIV, 29), ე. ი. *Σασμιας*-ისაგან სრულიად განსხვავებული ორთოგრაფიით (თუ ამის მიზეზი გადამწერი და შემდეგი ხანის შეცვლილი ფონეტიკა არ არის).

მაგრამ წარწერისეული *Σασμιας* მანც უფრო ახლოსაა *Σασμιας*-თან, ვ დრე პაპეს მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიაა — პაპეს აზრით, *Σασμιας* არის *Becherer*, დაკავშირებული ბერძნულ სიტყვასთან—*σασφός* (რომლის ეოლიური ვარიანტია *σασφός*).

ძალიან ძნელია დიდი არგუმენტაციის წამოყენება ან პაპეს ეტიმოლოგიის საწინააღმდეგოდ, ანდა ჩემი მოსაზრების სასარგებლოდ, მაგრამ ასე მგონია, ამ მოსაზრების წამოყენებაც შესაძლებელია. მითუმეტეს იმ მასალის ფონზე, რაც ზემოთ იყო წამოყენებული: ქართული სატომო სახელები (კოლხი, მაკრონი, სანი) იქცევიან ბერძნულ საკუთარ სახელებად ამ ხალხთა შორის ინტენსიური ურთიერთობის საფუძველიე.

საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული აუცილი უჭირავს ერთ ბერძნულ წარწერას ვერცხლის ფილაზე, რომელიც 1899 წ. აღმოჩნდა ყუბანში, ე. წ. ზუბოვის ყორღანში და რომელიც ამჟამად „ერმუტაჟში“ (დუნანგრაღში) ინახება.

ფილა (დიამ. 0. 21 მ., სიმაღლე 0,03 მ). საცნაოდ დანაწიებულია. მისი ფსკერი ამობურთულია, ირგვლივ ხაზოვანი და წერტილივანი ორნამენტითაა შემკული და ზედაპირზე დახვეული, თავაწეული გველის რელიეფური გამოსახულებათა მოთავსებული. ამას გარდა ფილაზე 13, სიმეტრიულად განლაგებული ორმის თავია დამატებული, რელიეფით შავნივ. ფილის ნაპირზე სავანებოდ გამოყვანილი ერთსტრიქონიანი ბერძნული წარწერაა, რომელიც ასე იკითხება: *Ἀπολλοῦς ἡγεμῖνος ἐπέ τῆμ. Ἰάσι (τῆμ=τῆμ ἐμ←τῆμ ἐμ)* „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია“. წარწერა შიშნეულია ლექსად, იამბიკური ტრიმეტრია, რომელშიც 11 მუხლ-

ში შეცდომით იამბის მაგივრად არის ტროქე, ხოლო III მუხლი წარმოადგენს დაქტილს. ენა—იონიური დიალექტია, ხოლო პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით V—IV სს.-ით არის დათარიღებული¹.

ფეიქრობ, წარწერის შინაარსს ბევრი კომენტარი არ სჭირდება, სრულიად გასაგებია, რომ ქ. ფასისში ყოფილა აპოლონის ტაძარი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ვერცხლის ფიალა.

თუ როგორ მოხვდა ნიეთი ფასისიდან ყუბანში, ამის შესახებ დაბეჭილებით აზრის გამოთქმა ჭირს, მაგრამ მართალი უნდა იყოს მ. როსტოვეცი, რომელიც ამბობს: «В данном случае мы имеем интересное указание на набеги кубанцев или их соседей на Кавказское побережье и на ограбление ими святилища Аполлона Водителя в Фасисе»².

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ნიეთი ყუბანში ფასისიდან წაღებულად ითვლება. სპეციალისტები (არქეოლოგოსები, ხელოვნებათმცოდნენი) მას ბერძნულ ნახელავად მიიჩნევენ, მათ შორის გავრცელებული იმ აზრის მიხედვით, რომ VII—V სს.-ში შავი ზღვის სანაპიროები იონიელ ბერძენთა კოლონიებს წარმოადგენდა. ბერძენების საკოლონიზაციო მოძრაობა ამ ხანებისათვის დადასტურებული ფაქტია, მაგრამ საკვლევი ის არის, თუ შავი ზღვის სანაპიროზე სად დაარსდა კოლონია და სად ემპორიონი — სავაჭრო ფაქტორია.

ისიც გასარკვევია ყოველი კონკრეტული ადგილის მიმართ, მოსულ ბერძნებს რა დახვდათ სანაპიროზე — ცარიელი ადგილი, სადაც მათ შექმნეს, დააარსეს კოლონია, თუ დასახლებული მხარე, რომელსაც საკუთარი ისტორია, კულტურა და თავისებურებები ჰქონდა. ფასისის მიმართ სრულიად უეჭველია ის გარემოება, რომ აქ მოსულ ბერძნებს განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მყოფი მოსახლეობა დახვდა, რასაც ცხადყოფს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც ამ ტერიტორიაზეა მოპოვებული³.

რაც შეეხება ბერძნულ წარწერიან ვერცხლის ფიალას, ის უდაოდ ადასტურებს იმას, რომ ქალაქ ფასისში იყო აპოლონის ტაძარი და

¹ К. Думберг, Раскопки курганов на Зубовском хуторе в Кубанской области: Известия имп. арх. ком., вып. I, 1901, стр. 94—103.

² М. Ростовцев, Скифия и Боспор, стр. 571.

³ თ. მიქელაძე, ფოთის 1962 წ. არქ. ექსპედიციის მუშაობის შედეგები: სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. სველე არქ. ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი, მოხსენებათა თეზისები, 1963 წ.

მისივე, ფოთის 1963 წ. არქ. ექსპედიციის მუშაობის შედეგები: სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. სველე არქ. ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი, მოხს. თეზისები, 1964.

მისთვის იყო ეს ნივთი შეწირული. რაც შეეხება იმ გარემოებას, ნივთი ბერძნული ნაკეთობაა, თუ ადგილობრივი წარმოებისა, ამისი გადაწყვეტა მარტო ბერძნული წარწერის მიხედვით ვერ მოხერხდება. ენობრივი ან ეპიგრაფიკული თავისებურებების შესახებ ლაპარაკი გაკირდება. ასოთა მოხაზულობა (განსაკუთრებით ტიპური Σ, Π და Ω) სრულიად ჩვეულებრივია VI—IV სს.-ის ბერძნული წარწერებისთვის, სულერთია საიდან არიან ისინი, დედა—საბერძნეთიდან თუ შავი ზღვის ჩრდილო სახაპიროდან.

გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ხელოვნებათმცოდნეთ, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ მსგავსი ფორმის ფიალები საქართველოში სხვაგანაც არის აღმოჩენილი, მაგ., „ერმიტაჟშია“ დაცული 1907 წელს ბათუმში აღმოჩენილი ვერცხლის ფიალა, 1947 წელს ვანში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფიალა და სხვ.

ამას გარდა, საუფეტი, რომელიც ამ ფიალაზეა, კოლხიდის ადრეულ ხელოვნებაში ჩვეულებრივი თემა ყოფილა¹.

საქართველოს საზღვაო სანაპიროსა და საბერძნეთის ურთიერთობის პრობლემას სწავლობენ ქართველი ისტორიკოსები და არქეოლოგები. არა მარტო წერილობითი წყაროები მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოს საზღვაო ქალაქებს (ფასისს, დიოსკურიას...) ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნულ სამყაროსთან. ეს დასტურდება არქეოლოგიური მონაპოვრითაც. მაგრამ თუ რა სახის იყო ეს ურთიერთობა, დადგენილი არ არის, ერთი უდავოა, რომ ძვ. წ. V ს.-ში ქ. ფასისში უკვე იყო აპოლონის (მილეტელთა უმთავრესი კულტი იყო აპოლონის კულტი) ტაძარი, რომლის შეწირულებამ ჩვენამდე მოაღწია (წარწერაც ხომ იონიურია, ისევე როგორც მილეტის ბერძნულიც იონიურია).

ამრიგად, ამ წარწერის მიხედვით მილეტელებისა და ფასისელების ურთიერთობა ფაქტია და არა საყოყმანო გადმოცემა.

ჩვენ გვაქვს წარწერების ერთი ჯგუფი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი და რომელიც ბერძნულ ენაზე არის შესრულებული.

ბერძნულ ენაზე გაკეთებული წარწერა იმის მომასწავებელი არ არის, რომ ის მაინცდამაინც ბერძნის შესრულებულია. ბერძნული ენა ერთ-ერთი საერთაშორისო ენა იყო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის (ზოგი სხვა ენის, გვერდით), თავიდანვე და განსაკუთრებით კი ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ (ისევე, როგორც დასავლეთის

¹ შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 69.

„გველი და ირემი, აპოლონის კულტით დაკავშირებული, იმავე დროს ჩვეულებრივ თემას შეადგენენ ადრინდელი კოლხეთის ხელოვნებაში“.

ქვეყნებისათვის ასევე აუცილებელი იყო ლათინური ენა). ამ გარემოებითვე აიხსნება ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ხანიდან დაწყებული X.IX ს.-მდე საკმაოდ დიდა რაოდენობით გვაქვს ბერძნული წარწერები, ხოლო ლათინური, შეიძლება ითქვას, რომ არ გვაქვს. მნიშვნელოვანთაგან მხოლოდ ერთი ძალიან ფრაგმენტული წარწერაა მოღწეული, უთუოდ იმის მაუწყებელი, რომ ადრიანეს დროს ფლავიუს არიანემ მოიარა შავი ზღვის აღმ. სანაპირო (ეს წარწერა ნაპოვნია სოხუმის სანაპიროზე, ცნობილია იმისი 2 პუბლიკაცია: Зап. Одесск. общ. историн и древностей, зас. 365, прил. I; Новые латинские надписи с юга России, ИАК, вып. 33, т. I, стр. 12).

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის კამპანიამ მის მიერ გათხრილი ქალაქის კარიბჭესთან აღმოაჩინა ერთი ბერძნული წარწერა, ხოლო ამ წარწერის სამსრეთით, საკულტო ნაგებობის ჩრდილოეთი კედლის შიგნითა მხარეზე ნახა კიდევ ორი ბერძნული წარწერა. სამივე წარწერა შესრულებულია ერთი სელით, ერთდროულად, ისინი ამოკაწრულია და არა ამოკვეთილი.

პირველი წარწერა ასე იკითხება: *αρ. αχαααα, რაც ნიშნავს ოქროს* *αα: ἄ ἄααααα*—გვედრები, მეუფეო (ღმერთქალაქი).

II და III წარწერა (რომელიც დაწერილია მარჯვნიდან მარცხნივ) იკითხებიან: *αρσσσσγ*, რაც უნდა ნიშნავდეს საკუთარ სახელს—*Ἀρσσσγ* არსანს.

წარწერები პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით თარიღდება იმ ძვ. წ. IV—III სს.-ით და საქართველოს ტერიტორიაზე დაცულ ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლთა შორის უძველესი არიან.

საკუთარი სახელი, დაწერილი ორჯერ და კრიპტოგრაფიულად, უნდა აღნიშნავდეს ხელოსანს (იყო ის მოქანდაკე, არქიტექტორი, თუ მხოლოდ მშენებელი-კალატონი), რომელმაც იგი შეფარვით დაწერა.

I წარწერა არის ვედრება, რომელიც, როგორც ჩანს, მიმართული იყო იმ ადგილის მფარველი ღმერთქალისადმი, რომლის ქანდაკებაც, როგორც ჩანს, ამ წარწერის გვერდით აღმართულ, დღემდე დაცულ მარმარილოს ბაზაზე იდგა, ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ ამ ბაზას, კვარცხლბეკს, ზედა ჰორიზონტალურ წახნაგზე აქვს ნიშნები იმისა, რომ მასში სწორკუთხა ფოსოში ტყვიით იყო რაღაც მარმარილოსე ნაკეთობა დამაგრებული. ასეთ ბაზაზე სრულიად დასაშვებია, რომ იდგა იმ მეუფე-ქალის გამოსახულება, რომელსაც ვედრებით მიმართავს მისი ავტორი არსანსი.

ეს წარწერები, გარდა საკუთრივ პალეოგრაფიულ-ეპიგრაფიკული მონაცემებისა, საინტერესოა იმით, რომ გვაძინობს ძველი კოლ-

ხიდის ერთ-ერთი მოღვაწის, ხელოსნის სახელს—„არსანს“-ს (ზუსტად ასეთი სახელი ჩემთვის ცნობილ ლექსიკონებში არ გვხვდება, მიმსგავსებული კი არის 'Αρσῆς; 'Αρσῆς]). ასევე დიოდორესთან დადასტურებულია (XVII, 5.5) სპარსელის სახელი 'Αρσῆνης, 'Αρσ-αμῆνης და 'Αρσῆτης (XVII, 19, 4); პროკოპი კესარიელთან გვხვდება „ფარსანს“-ი და სხვ., რაც ირანული წარმოშობის სახელი ჩანს).

პირველი წარწერა საინტერესოა იმიტომ, რომ ის გვაძლევს საშუალებას გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად. სახელდობრ იმისას, რომ ვანის ქალაქი თუ მისი ნაწილი რომელიღაც ქალღმერთის სახელზე იყო აგებული და დგება საკითხი ამ ქალღმერთის ფუნქციისა, მისი სახელისა. სხვა დიდ არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად, რაც ვანშია, ეს წარწერაც ერთგვარ მასალას იძლევა ძვ. წ. IV—III სს.-ის კოლხიდის შიდა რაიონის ცხოვრების გასარკვევად¹.

ტექსტი: თ. ყაუხჩიშვილი. ვანის ბერძნული წარწერები: აკად. მოამბე, XVIII, № 1, 1967, გვ. 253—258.

Monumentum Ancyranum ძალიან ცნობილი ძეგლია და ოქტავიანუს ავგუსტუსის ისტორიისათვის ის არის უპირველესი წყარო. ეს წარწერა წარმოადგენს ოქტავიანუს ავგუსტუსის საკუთარ თხრობას მისი მოღვაწეობა-საქმიანობის შესახებ და შედგენილია მისი ცხოვრების ბოლოს (დაახლ. ახ. წ. 14 წ.). წარწერა უზარმაზარია. ისაა დაცული თანამედროვე ანკარაში (იმდროინდელი გალატიის ქ. ანკვრაში), იმ ტაძარში, რომელიც ძვ. წ. II ს.-ში იყო აგებული კიბელეს სახელზე, შემდეგ ოქტავიანუს ავგუსტუსისა და ქალღმერთ რომას სახელს ატარებდა, ხოლო მომდევნო ხანაში გადააქციეს ბიზანტიურ ტაძრად. ძეგლი საკმაოდ დაზიანებულია, მაგრამ ორენოვანი წარწერა დღემდე ძირითადად კარგად იკითხება.

ლათინური (და მაშასადამე, ძირითადი) ტექსტი მოთავსებულია პრონაოსში, ორ, ერთმანეთის მოპირდაპირე კედელზე, ხოლო ბერძნული, რომელიც ლათინურის თარგმანს წარმოადგენს, შენობის გარეთა კედელზეა შესრულებული.

წარწერა 35 თავისაგან შედგება და იყოფა 3 ნაწილად: 1—14 თავები შეიცავენ აღნუსხვას იმ თანამდებობებისა და პატივისა, რაც ოქტავიანუს ავგუსტუსს ჰქონდა, 15—24 თავებში ჩამოთვლილია, თუ რა გააკეთა ავგუსტუსმა თავისი სახელმწიფოსა და მოქალაქეებისათვის (მაგ., რა ნაგებობები ააშენა), ხოლო 25—35 თავებში აღწერილია მისი პოლიტიკური მოღვაწეობა, საგარეო-საქმიანობა, ოქებო.

¹ შდრ. თ. ლოტქიფანიძე, ვანის ქალაქი: ცისკარი, 1968, № 7, გვ. 133—143 და მისივე სხვა წერილები შექმდომი ხანის ვანის გათხრების შესახებ.

წარწერის მესამე ნაწილში არის საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ცნობა (სხვათაშორის, ბერძნული ტექსტი ამ მონაკვეთზე უკეთ არის დაცული, ვიდრე, მისი დედნის, ლათინურის შესაბამისი ადგილი):

...την ημετέραν φιλιαν ηξίωσαν διὰ πρόβλεπον Βαστάργαι και Σαξμάι Σαρμα | των οί επιτάδε ζντες τον Ίανάνιοζ ποταμου και | οί πέραν, δε βασιλεξ, και Ἀλβανων δε και Ἰβήρων και | Μηδων βασιλεξ.

თარგმანი: „ჩვენი მეგობრობა მოითხოვეს ელჩების მეშვეობით ბასტარნებმა, სკვითებმა და იმ სარმატთა მეფეებმა, ვინც მდინარე ტანაისის გამოღმა და გაღმა მხარეს არიან; აგრეთვე ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებმა“.

ეს წარწერა მაუწყებელია იმისა, რომ I საუკუნისთვის რომსა და იბერიას შორის მეგობრული ურთიერთობა ყოფილა. როგორც ჩანს, ეს მეგობრობა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იყო: მას მერე, რაც ძვ. წ. I ს.-ში რომაელთა ორ ლაშქრობას (პომპეუსისას 66—65 წწ. და 36 წ. კანდიუსისას) არ მოჰყვა რომაელთაგან იბერიაში მტკიცედ ფეხის მოკიდება და ქვეყნის დამორჩილება, რომმა ამჟობინა მეგობრული ურთიერთობის დამყარება ამ ქვეყანასთან, რადგან ჩრდილო კავკასიის გზები იბერიელთა ხელში იყო; დიდი სავაჭრო გზა, რომელიც ევროპას და ინდოეთს აერთებდა, იბერიაზე გადადიოდა, მეორეს მხრივ, იბერიისთვისაც ხელსაყრელი იყო რომთან კავშირი: მას სურდა თავისი ძალაუფლების სამხრეთით გავრცელება; მეზობელი არმენია პართიის ორიენტაციის ქვეყანა იყო. ასეთ სიტუაციაში რომთან მეგობრობა სჯობდა მტრობას.

წარწერის ტექსტის თანახმად, რომთან მეგობრობა მოსურვებიათ, უთხოვნიათ სხვა ხალხებთან ერთად ალბანთა, იბერთა და მიდიელთა მეფეებს, სხვა წყაროებითაც ცნობილია, რომ ოქტავიანუს ავგუსტუსს მიდიელებთან საგანგებო მეგობრობა ჰქონდა; I ს.-ის დასაწყისში რომაელთაგან დამორჩილებული არმენია ჯერ არიობარხანეს მისცა ოქტავიანუს ავგუსტუსმა და მისი სიკვდილის შემდეგ — მის ძეს, არტავაზუსს¹.

მიდიელებთან ერთად, ერთ კონტექსტში იხსენიებიან იბერები

¹ ვ. ლათიშევი, SC, II, გვ. 41, მოზზენისეული შენიშვნა მოყვანილი, რომლის თანახმად ალბანთა მეფეა ფარნაბაზოსი, ხოლო იბერთა მეფეა — ზობერი. აქ შეეღობა, პირიქით — ზობერია ალბანთა მეფე და ფარნაბაზოსი იბერთა. ეს ის მეფეები არიან, რომლებიც ძვ. წ. 36 წელს დაამარცხა კანდიუსმა (დიონ კასიუსი... X, IX, 24). ისიც საეჭვოა, რომ 50 წლის შემდეგ მეფეებად ისევ იგივე ფარნაბაზოსი და ზობერი ყოფილიყვნენ იბერიასა და ალბანიაში.

და ალბანები, თუმცა სხვა საბუთი არ მოგვეძებნება ამ ქვეყნებთან რომის აპგვარევე მეგობრობისა.

წარწერებში ბასტარნები და სკვითები ტომის სახელით არიან ხსენებული (ასევეა ლათინურ ტექსტშიც), ხოლო სარმატებს, რომლებიც ტანაისის ორივე ნაპირზე ცხოვრობენ და რომლებიც ოქტავიანუს ავგუსტუსს ორ ჯგუფად წარმოუდგენია (ეს ზუსტი განსაზღვრაა, თანაც თარიღიანი) მეფეები ჰყოლიათ (ეს კიდევ საკითხია, რას წარმოადგენდა მათი მეფე). როგორც ჩანს, მეფე ერთზე მეტი იყო (ლათ. reges, ბერძნ. βασιλεις).

ტექსტის გამოცემა: Res gestae divi Augusti; Ex monumentis Ancyrano et Apolloniensi iterum edidit Th. Mommsen. 1883, Berolini (P. XXXIV, XXXV).

B. Latyshev, SC, II, გვ. 41 (ტექსტი შემოწმებული მაქვს ადგილზე).

ე. წ. ვესპასიანეს წარწერა (ახ. წ. 75 წლისა) აღმოჩენილია 1867 წელს, მტკვრის მარჯვენა მხარეს, მცხეთიდან 7 კმ-ზე, იქ, სადაც დღეს ზაპესთან რკინიგზის ხილია. ამჟამად ძეგლი ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იგი ნაწერია ლამაზი მთავრულით და ბერძნული ეპიგრაფიკის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

წარწერა ძირითადად კარგად იკითხება. 17 სტრიქონიდან დაზიანებულია მხოლოდ 1 სტრიქონი თითქმის მთლიანად, მეორე სტრიქონის პირველი ნახევარი და ამასთან, ტექსტში ზოგი ადგილი იყო ისეთი, რომ ეპქს იწვევდა. მრავალი სპეციალისტის ყურადღება მიექცა ამ წარწერას ამ 100 წლის განმავლობაში და უკანასკნელი პუბლიკაცია არის გ. წერეთლისა, რომლის ნაშრომიც, „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ გამოქვეყნდა 1958 წ. წარწერა ასე იკითხება (უკანასკნელი ვერსიის მიხედვით): $\text{Αὐτοκράτωρ καίσαρ Οὐεσπασιανὸς Σεβαστὸς, ἀρχιερεὺς μέγιστος, δημαρχικῆς ἐξουσίας τὸ Ζ, αὐτοκράτωρ τὸ ΙΔ, σπατος τὸ C, ἀποδεδειγμένος τὸ Z, πατήρ πατρίδος, τειμητής καὶ αὐτοκράτωρ Τιτος, καίσαρ Σεβαστοῦ σὺς, δημαρχικῆς ἐξουσίας τὸ E, σπατος τὸ Δ, ἀποδεδειγμένος τὸ E, τειμητής καὶ Δομειανὸς Καίσαρ Σεβαστοῦ σὺς; σπατος τὸ Γ, ἀποδεδειγμένος τὸ Δ, βασιλεὶ Ἰβήρων Μιθριδᾶτῃ βασιλέως Φαρασμάου καὶ Ἰαμασασποῦ σὺν φιλοκαίσαρι καὶ φιλορωμαίῳ καὶ τῷ ἐθνεὶ τὰ τείχη ἐξωχύρασσαν.$

ქართული თარგმანი ასეთია: „თვითმპყრობელმა* კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა**, დიდმა ქურუმთმთავარმა***, შვიდეკერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხმეტკეერ თვითმპყრობელად* (არჩეულმა), ექვსეკერ ჯპატოსმა****, მეშვიდეკერ გამოცხადებულმა, სამშობლოს მამამ, ცენზორმა და თვითმპყრობელმა* ტიტე კეისარმა, სებასტოსის** ძემ ხუთეკერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხეკერ ჯპატოსმა****, მეხუთედ გამოცხადებულმა, ცენზორმა და დომიციანე კეისარმა, სებასტოსის ძემ**, სამეკერ ჯპატოსმა****, მეოთხედ გამოცხადებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და (ი) ამზასპუჰის ძეს¹, კეისარის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს, და ხალხს² ეს კედლები გაუშვარეს“.

ამ წარწერაში საგანგებოდ საინტერესოა ჩვენი თვალსაზრისით ბოლო ნაწილი, ხოლო რაც შეეხება I ნაწილს, იგი იძლევა წარწერის დათარიღების შესაძლებლობას მასში მოხსენიებული კეისარის ვესპასიანესა და მისი ძეების ტიტულატურათა მიხედვით. მეცნიერთა საყოველთაო აზრის თანახმად, წარწერა ამოკრილია 75 წლის 1 ივლისის შემდეგ.

განსაკუთრებით საინტერესო ნაწილში მოხსენიებულია იბერთა მეფე მითრიდატე, ფარსმანის ძე, რომელიც კეისარისა და რომაელთ-

* ბერძნული *αυτοκράτορας* არის „თვითმპყრობელი“, მას შეესაბამება ლათინური „იმპერატორი“. ** ბერძნ. *Σεβαστης* (წმინდა, ღირსი თაყვანისცემისა), ქართულ წყაროებში ასევე რჩება. მისი შესაბამისია ლათ. ავგუსტუსი. ****ἐπισημεις* *μέγιστος* დიდი ქურუმი; დიდი მღვდელთმთავარი, შემდეგი ხანის ლათ. *pontifex maximus*. *****ἑπτακρης* უზუნავი, უმთავრესი, ქართულში ხმარებული ჯპატოსი, მოკვიანო ხანებში ის გადმოსცემს ლათინურ „კონსულს“.

¹ ბერძნული ტექსტის ეს ადგილი სხვადასხვაგვარად არის წაკითხული სხვადასხვა სპეციალისტის მიერ: უფრო ადრინდელი გამოცემლები (ი. ბარტოლომი, J. Mohl-ი, ვ. ლატიშვი) მას კითხულობდნენ *Ιαμασδου* (და ეს მიჩნეული იყო ქალის სახელად) *τω υιω*, ლ. რენდ და ი. პომპილოვსკი — *Ιαμασδουαυ*, რაც ნიშნავდა „ამაზდას (ე. ი. არმანის) მცხოვრებთ“. ა. ამირანაშვილი კითხულობდა *Ιαμαστω*, რაც = *Ιαμασσωα*. ა. ამირანაშვილის (ბოლტუნოვას) ეს წაკითხვა გ. წერეთლის შრომის გამოქვეყნებამდე მიღებული იყო (მ. ნ. ტოდი; თ. ყაუხჩი-შვილი), მხოლოდ „ამასასპის“ (რაც მამაკაცის სახელად იყო მიჩნეული) პიროვნების დადგენის საკითხში ერთსულოვნება არ ყოფილა. გ. წერეთელი ამ ადგილას კითხულობს ქალის სახელს, ამზასპუჰის, რომელიც ფარსმან მეფის მეუღლე იყო და მითრიდატეს დედა.

² „ხალხი“ ნიშნავს „იბერ ხალხს“, „იბერთა ტომს“. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბერძნულ: სამშენებლო წარწერებში არ გვხვდება ჩვეულებრივ ხალხის მოხსენიება.

მოყვარული ყოფილა. სამაგიეროდ ვესპასიანე კეისარი მეგობრულად განწყობილ მეფეს და მის ხალხს, იბერიის მოსახლეობას, როგორც ჩანს, არამზციხის კედლებს უმაგრებს. წარწერა, რომელიც უთუოდ გალავანში იყო ჩასმული, აშკარაა, ზღუდის გამმაგრებლების, რომაელების მიერ არის დაღვმული თავისი დეაწლის უკვდავსაყოფად. ისიც ცხადია, რომ ის ადგილზე არის ამოჭრილი. წარწერის გარეგნული სტილი და შინაარსობრივი ანალიზი მისი მკრელის სადაურობის დადგენის საშუალებას არ იძლევა (ხელი იმ დროისათვის ჩვეულებრივია, ენა გამართული ბერძნულია). წარწერის დამკვეთი რომაელია, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ამომკრელი ადგილობრივი ხელოსანი იყოს, ასევე სულ ადვილად წარმოსადგენია, რომ ზღუდის შეკეთების ზარჯი რომაელებს გაეღოთ, ხოლო კალატოზები ადგილობრივი მკვიდრნი ყოფილიყვნენ.

ე. წ. ვესპასიანეს წარწერა ასახავს იმ ორმხრივ დაინტერესებას, რაც I ს.-სათვის ახასიათებდა რომს და გაძლიერებულ იბერიას. ეს ხანა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების აღმავლობის ხანაა და იბერია (და საერთოდ ამიერკავკასია) იმ დიდ სავაჭრო მაგისტრალზე იყო, რომელიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებდა და იმ გზაზე იყო, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთის ქვეყნებთან ურთიერთობისათვის. დაახლ. 70-იან წლებში მითრიდატემ სწორედ ამ გზით ალანები გადმოატარა თავის ქვეყანაზე — ეს ფაქტი მიზნად იქნა და როგორც საგარეო პოლიტიკის საკითხების მოგვარებას (მითრიდატეს არმენიის ინტერესი ჰქონდა), ისე საკუთრივ იბერიაში მისი საშინაო პოზიციების გამაგრებას. ასეთ ვითარებაში იბერია დაინტერესებული იყო რომაელთა კეთილგანწყობილებაში, რადგან სამხრეთით მდებარე არმენია პართიის ორიენტაციისა იყო და ასეთ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში იბერია რომის მომხრეობას არჩევდა.

მითრიდატე იბერთა მეფე, რომელიც ე. წ. ვესპასიანეს წარწერაში იხსენიება 75 წელს, ფარსმან მეფის ძეა. ეს ის ფარსმანია, რომელიც ჩვენს საისტორიო მწერლობაში აღიარებულია რადამისტისა და მითრიდატეს მამად¹ და რომელიც დაახლ. 30—60-იანი წლების მოღვაწე იყო.

თუ ადრე მსჯელობა იყო მეორე სახელის, იამასასპის შესახებ (ვინაა ის, მითრიდატეს შვილია, თუ ძმა), მას მეორე რაც გ. წერეთელმა სახელი „იამასასპი“ წაიკითხა როგორც ქალის სახელი „ამაზას-

¹ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, გვ. 177—178.

პუჰი“ (და ამით მოხსნა გაუგებრობა, რასაც წარწერის ეს ადგილი იწვევდა), სრულიად გარკვეულია, რომ წარწერაში იხსენიებიან მითრიდატეს მშობლები, ფარსმანი და ამაზასპუჰი. ერთი საკითხი რჩებოდა თითქოს ასახსნელი — ძველ ბერძნულ წარწერებში ჩვეულებრივი არაა მეფის მოხსენიება დედ-მამის სახელით, ჩვეულებრივ მხოლოდ მამის სახელი არის ხოლმე. მაგრამ ამავე პერიოდის მწერლობაში ასეთი ფაქტიც არის დადასტურებული: სვეტონიუსი წერს თავის „ტიბერიუსში“ (§ 50), რომ სენატს სურდა ტიბერიუსი მოეხსენიებინათ როგორც ძე აგვუსტუსისა და ძე ლივიასი, რაც არ მოუნდა ტიბერიუსს. თუკი ასეთი რამ დასაშვებია იყო რომაელი იმპერატორის მიმართ, რა დაუშლიდა რომაელ იმპერატორს იბერი მეფე დედ-მამის სახელებით მოეხსენიებინა, მითუმეტეს, რომ გ. წერეთელმა ამ ამბავს ასეთი ახსნა-მოუძებნა:

„მამის გარდა დედის სახელის მოხსენიებისათვის წარწერაში საკმაო საფუძველი არსებობდა. როგორც ეს უკვე აღნიშნულია ლიტერატურაში¹, მითრიდატე მეფე ფარსმანის ძე უნდა ყოფილიყო მეორე ცოლისაგან. ტაციტის ცნობით², როდესაც ფარსმანის ძე რადამისტი სომხეთს გაემგზავრა თავის ბიძასთან, მითრიდატესთან, მზაკვრული მიზნებით, მან გამგზავრების მიზეზად დედინაცვალთან უთანხმოება მოიგონა. შემდეგში, როდესაც ფარსმანმა რადამისტი მოაკვლევინა, ტახტზე ავიდა მითრიდატე, ფარსმანის სხვა ძე, როგორც ჩანს, უკვე მეორე ცოლისაგან, რადამისტის დედინაცვლისაგან. წარწერაში სწორედ ის გაარემოებაა გახაზული, რომ მითრიდატე ფარსმან მეფის ძეა, მაგრამ არა იმ ქალისაგან, რომლის შვილი რადამისტი იყო, არამედ სხვა ქალისაგან, რომლის სახელი ამაზასპუჰი ყოფილა“³.

გ. წ. ვესპასიანუს წარწერაში მოხსენიებული მითრიდატე ფარსმანის ძე, იბერთა მეფე, იხსენიება არმაზის ბილინგვასთან ერთად მოპოვებულ ერთენოვან, 14 სტრიქონიან არმაზულ წარწერაშიც, სადაც იკითხება: მიპრდატ დიდი მეფე, ძე ფარსმანისი, დიდი მეფისა მე შრგს ძემ ზევახ უფლისა, მე შრგს პიტიახშმა მიპრდატ მეფისა, სიტყვა და ასეთი სიტყვა ვთქვი: თუ იქნებიან... და სადაც ლაპარაკია იბერთა გამარჯვებებზე, იხსენიება არმენია და სხვ⁴.

¹ А. И. Амиранашвили, ВДИ, 4(5), 1938, стр. 162.

² С. Taciti Annales—XII, 44...

³ გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანუს ხანისა, გვ. 20.

⁴ გ. წერეთელი. ქართველი მეფის მითრიდატეს დროის წარწერა არმაზიდან: სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. X სესიის თეზისები: მისივე, არმაზის ბილინგვა, გვ. 42.

ტექსტი: გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958 (აქვეა საკითხის ბიბლიოგრაფია).

რომის ეპიტაფია იამბიკური ტრიმეტრით არის დაწერილი, 12 სტრიქონს შეიცავს, რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული და მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრიც ბევრჯერ გამოთქმულა. იგი ასე იკითხება:

Ὁ κλεινὸς ἱνὸς βασιλέως Ἀμαζάσπος
δ' Μιθριδάτου βασιλέως κασιγνητος,
ὃ γαῖα πατρὶς Κασπίας παρὰ κλήθρα
Ἰβηρ Ἰβηρος, ἐνθαδὶ τετάρχεται
Πόλιν παρ' ἱρήν, ἦν ἔδειμε Νικάτωρ
ἐλαιόθυλον ἀμφὶ Μυγδόνοσ γᾶμα
φάγγελ δ' ὀπαδὸς Ἀυσόνων ἀγήτορι
μολῶν ἀνακτι Παρθιακῆν ἐφ' ἠσμήνην,
Πρὶν περ παλάξαι χεῖρα δεήσῃ λύθραι,
ἠφθιμον αἰῶνι χεῖρα δούρι καὶ τόξαι
Καὶ φασγάνου κνώδοντι, πεζὸς ἰππεύς τε
ὁ δ' αὐτὸς Ἰσὸς παρθένασιν αἰδοῖσας.

მისი თარგმანია: „მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბქესთან, იბერი იბერის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც აავო ნიკატორმა მიგდონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამგზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა, მოსული პართელებთან საბრძოლველად, (გარდაიცვალა) უწინ ვიდრე გაისვრიდა ხელს (ვაი რომ ძლიერ ხელს) მტრის სისხლში შუბსა, მშვილდსა და მახვილის პირზე, (იყო) ქვეითიცა და მხედარიც, თვით — მორცხვი ქალწულების მსგავსი“.

ეს წარწერა 114—115 წლების ამბავს მოგვითხრობს: როგორც წერილობითი წყაროების მიხედვითაც არის ცნობილი, ამ წლებში რომის კეისარი ტრაიანე იბრძოდა პართელთა წინააღმდეგ, ამ დროს იყო, რომ მოკავშირე ხალხები მას ჯარებითაც ეხმარებოდნენ (მაკ., დიონ კასიუსთან—ანქიალე ჰენიოხთა და მახელონ-მაკრონთა მეფე), ამ დამხმარეთა შორის, ამ ეპიტაფიის თანახმად ყოფილა იბერიელთა ჯარი იბერთა მეფის მითრიდატეს ძმის, ამაზასპის მეთაურობით. როგორც ამ წარწერიდან ჩანს, იბერთა მეფე ამ დროს არის მითრიდატე¹, ხოლო პართელთა წინააღმდეგ წარგზავნილ იბერიელთა

¹ გ. მელიქიშვილის განსაზღვრით, მითრიდატე III (Κ ιστοრი... стр. 352).

ლაშქარს მხედართმთავრობდა მისი ძმა ამაზასპი ახალგაზრდა ჰაბუკი, რომელიც დაიღუპა ნიზიბისის მახლობლად. ისიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ამაზასპი, იბერი, კასპიის ბჰესთან ცხოვრობდა. კასპიის ბჰე კარგად იყო ცნობილი იმდროინდელი რომაელი საზოგადოებისთვის (ტაციტუსი, I, 6; სვეტონიუსი, ნერონი § 19, პლინიუსი NH, VI, 16, 6), თუმცა ის ყველას ერთნაირად არ ესმოდა — ერეოდათ ერთმანეთში კასპიისა და ალანთა კარი (შდრ. პლინიუსი I. I.).

წარწერა საინტერესოა როგორც დოკუმენტი იმ ამბებისა, რომ II ს.-ის დასაწყისში რომსა და იბერიას შორის მეგობრული ურთიერთობაა, იბერია პრორომაული ორიენტაციის სახელმწიფოა და იგი რომთან ერთად იბრძვის პართიის წინააღმდეგ.

გამოცემა: G. Kaibel, *Inscriptiones graecae Italiae et Siciliae*, Berlin, 1890, № 1374.

R. Cagnat, *Inscriptiones graecae ad res Romanas pertinentes*, I, № 192.

სერაფიტის ეპიტაფია (ანუ არმაზის ბილინგვა). საქართველოს მეზღუეში დაცულია 1940 წელს არმაზისხევის თხრისას აღმოჩენილი სტელა, რომელზედაც ამოჭრილია ორენოვანი წარწერა — ზემოთ ბერძნული, ხოლო ქვემოთ არმაზული დამწერლობით შესრულებული.

10 სტრიქონიანი ბერძნული წარწერა, შესრულებული ლამაზი, მომრგვალო ასომთავრულით, ასე იკითხება: *Σηραπειτις, Ζηουάχου τῆς νεωτέρου πιτιάξου. θυγάτηρ, Πουπλικίου Ἀγρίππα πιτιάξου, υἱοῦ Ἰωσημᾶννου γυγῆ, τῆς πολλᾶς νεΐκας ποιήσαντος ἐπιτρόπου βασιλέως Ἰβήρων μεγάλου Ξεφარσούγου. Ἀπέθανε νεωτέρα ἐτῶν Κ-Α, ἥτις τὸ κάλλος ἀμείμητον εἶχε.*

ქართული თარგმანი ასეთია: „სერაპიტი, მცირე პიტიახშის ზევახის ასული, პიტიახშ პუბლიკიოს აგრიპას ძის, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოს-მოდვრის, იოდმანგანის მეუღლე გარდაიცვალა ახალგაზრდა, 21 წლისა, რომელსაც ჰქონდა უბადლო სილამაზე“.

წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით დაახლ. II—III სს.-ით თარიღდება, ხოლო მასში მოხსენიებული ისტორიული პირების მიხედვით ის იბერიის III ს.-ის I ნახევრის ამბებს უნდა გადმოსცემდეს.

ბერძნული ტექსტი ენობრივი თვალსაზრისით სიძნელეს არ წარ-

მოადგენს, მაგრამ ზოგი ამბის დასაზუსტებლად ვიშველიებთ არამეულსაც, რომლის ქართული თარგმანი ასეთია: „მე (ვარ) ზერაფტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა, — ძლევამოსილისა და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოაჰმოდურისა ხსეფარნუგ მეფისა ძისა აგრიფა ეზოაჰმოდურისა ფარსმან მეფისა, ვაება ვაებთა.“

ის რაც (—ის ვინც) იყო... არადაარულებული (ე. ი. ახალგაზრდა?) და იმდენად კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არავინ იყო (მისი) მსგავსი სილამაზით, და გარდაიცვალა 21 წლისა“.

ბერძნული და არამეული ტექსტების შეჯერებით ასეთ რეალურ ვითარებასთან გვაქვს ზაქმე: ფარსმან მეფე (სხვა დოკუმენტებით კარგად ცნობილი ფარსმან II, ანუ ფარსმან ქველი, რომელიც II ს.-ის 30—60-იან წლებში მეფობდა და რომთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, მისი ცხენოსანი ქანდაკებაც კი იდგა მარსის მოედანზე) უკვე აღარაა ცოცხალი, მისი მემკვიდრე, ქსეფარნუგი არის ახლა იბერიის ტახტზე, მას ეწოდება „იბერთა დიდი მეფე“². ფარსმან მეფის მოხელეები ქსეფარნუგის დროსაც მოღვაწეობენ. ესენი არიან: ზევახ მცირე პიტიახში და პუბლიკიოს აგრიპა (პიტიახში — ბერძნული ტექსტის მიხედვით, ეზოაჰმოდვარი — არამეულის მიხედვით). აგრიპას ვაჟი, იოდმანგანი თვით არის ქსეფარნუგ მეფის ეზოაჰმოდვარი და მას ჰყოლია ცოლად ზევახის ასული სერაპიტი. იოდმანგანი ყოფილა სახელოვანი მხედართმთავარი, მას თავისი ქვეყნისათვის „მრავალი გამარჯვება“ მოუპოვებია (ე. ი. ბევრ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და მტერი ბევრჯერ დაუმარცხებია).

სერაფიტის ეპიტაფიასთან დაკავშირებით დგება საკითხი თვით საკუთრივ იბერიის სამეფო კარის მოხელეთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა.

აქ გვხვდება იბერთა დიდი მეფე — ესაა იბერთა მეფის ოფიციალური ტიტული, მისი უფლების თეორიული დასაბუთება, რასაც თავისი რეალური საფუძვლები მოეპოვებოდა³.

ტექსტში იხსენიებიან „მცირე პიტიახში“ (ზევახი) და „პიტიახში“ (პუბლიკიოს აგრიპა). უეჭველია, რომ შემთხვევითი არ არის პიტიახშების ასე გარჩევა.

ამ წარწერის მონაპოვარია ის, რომ დადგინდა — პიტიახში მარ-

¹ გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, 1942, გვ. 16.

² ქართული წყაროს ფარნუკი (ლეონტი მროველი...) შეიძლება იგივე იყოს.

³ ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, 1968, გვ. 23—24.

ტო სპარსული ინსტიტუტი კი არაა, არამედ ეს ინსტიტუტი არსებობდა საქართველოშიც. იბერიის მეფეებს თვით ჰყავდათ თავისი პიტიახშები — მოხელეები. პიტიახში იგივე ქართული „ერისთავი“ და „ერის მთავარია“ (გ. წერეთელი. დასახ. წიგნი, გვ. 38). სავარაუდოა ის, რომ რამდენი პროვინცია იყო ქვეყანაში, იმდენი ერისთავი (პიტიახში) იქნებოდა. იბერიაში, როგორც ამ ძველის მონაცემებით ჩანს, ყოფილა „მცირე პიტიახში“ და „პიტიახში“. ამ სიტუაციაში მოსალოდნელი იყო „დიდი პიტიახშის“ არსებობაც, საამისო პარალელურ მონაცემებად გ. წერეთელმა მიიჩნია სომხეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში არსებობა მცირე და დიდი პიტიახშების ინსტიტუტისა (გ. წერეთელი, დასახ. წიგნი, გვ. 35).

განსაკუთრებით სადავო შეიქნა ტერმინი *ἐπιτροπιδε*, რაც უდრის ლათინურ *procurator*-ს, ძველ ქართულ „ეზოაჰმოძლუარს“ და თანამედროვე ქართულ „მეურვეს“, „გამგებელს“. ა. შანიძეს და ს. ყაუხჩიშვილს ეს სიტყვა ასე ესმოდათ.

გ. წერეთელმა ბერძნული *ἐπιτροπιδε*-ი, ძეგვ როგორც მისი შესაბამისი არამეული *rb. trb* — გავრცელებული სპარსული ტერმინის, სპასპეტის შესატყვისად მიიჩნია (იქვე, გვ. 44 და შმდ), ამის მერე თითქმის დაკანონდა სამეცნიერო ლიტერატურაში იოდმანგან *ἐπιτροπιδε* - ის იოდმანგან მხედართმთავრად მიჩნევა (გ. ლომთათიძე, „საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახ. წ. I—III სს.“: ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 369, კ. გრიგოლია, „ახალი ქართლის ცხოვრება“, 1954, გვ. 18 — 19). არც ერთ ბერძნულ წყაროში *ἐπιτροπιδე* - ი თავისთავად სანხედრო მოხელეს, სამხედრო თანამდებობის პირს არ აღნიშნავს. ყველგან არის ის მეურვე, მზრუნველი¹. დიდი მეფის მეურვე, მისი მარჯვენა ხელი და მისი მეურნეობის გამგებელი რატომ არ შეიძლება ამავე დროს იყოს „ძლევა მოსილი“ და თავისი ქვეყნისათვის „მრავალი გამარჯვების მომტანი“? ანტიკური ხანისა და გაცილებით უფრო გვიანი ხანის სახელმწიფო მოღვაწენი ამისთანა საქმიანობას არ გაურბოდნენ, თუ ოფიციალური ტიტული ამირსპასალარისა არ ჰქონდათ².

სერაფიტის ეპიტაფიამ ქართულ ონომასტიკონში ახალი სახელეები შემოიტანა — ფარსმან მეფის სახელი კარგად იყო ცნობილი სხვა

¹ „სამეფო მეურნეობის გამგებელი“ — ასე ესმის ქართლის ეპიტროპოსი ო. ლორთქიფანიძეს. დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

² დაახლოებით ამავე აზრისაა ბილინგვის *ἐπιτροπιδε*-ზე გ. მელიქიშვილიც (К истории... გვ. 458).

წყაროებშიც. სახელი ფარსმანი (ბერძნ. ფარასმანეს) ხშირად გვხვდება ქართულს გარდა ბერძნულ-რომაულ წყაროებში. იგი სპარსული წარმოშობის სახელია.

რაც შეეხება „ზევას“ — ეს სახელი (მისი ოდნავ განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტი) დადასტურებული იყო შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს სახელებში, კერძოდ ტანაისის წარწერაში (ჯეაჰ — 05). იყო ცდა „ზევასის“ გაიგივებისა ქართულ ჯავახთან (ს. ჯანაშია), მაგრამ ორიენტალისტები ამას უარყოფენ და ისიც ავესტურად ესმით (Justi) ან ბიბლიის „ზებაჰ“ — თან აკავშირებენ (გ. წერეთელი). სერაპიტი, რაც ქართული წყაროებით უცნობი იყო, უკავშირდება ეგვიპტური წარმოშობის სახელებს. მისი მსგავსი სერაპისი ცნობილია ეგვიპტის პაპირუსებში. იოდმანგანი — ირანული წარმოშობის სახელია.

პუბლიკიუს აგრიპა — ჩვეულებრივი რომაული სახელია. ეს პირი და მისი სახელი ქართულ სინამდვილეში ამ წარწერის შემოტანილია.

სახელი „ქსეფარნუგი“ აშკარად გაბერძნულებული ფორმაა სპარსული ქსეფარნუგისა (გ. წერეთელი, გვ. 23).

„არმაზის ბილინგვის გარშემო“ — ასე ეწოდება ვ. აბაევის სტატიას (აკად. მოამბე, V, № 8. 1944 წ. გვ. 821—829) — ამ სტატიაში გარჩეულია ყველა ამ პირთა სახელი და ასეთი დასკვნაა გამოტანილი: არმაზის ბილინგვის სახელები (გარდა, ცხადია პუბლიკიუს აგრიპასი) ჩრდილო-ირანული სახელებია (ე. ი. სკვითური ან ალანური); ავტორი მათ ძირითადად ოსურის მონაცემებით ხსნის და ამ რიგის სახელთა ასეთ გავრცელებას საქართველოს იმდროინდელ ისტორიას უკავშირებს — ამ პერიოდში ხომ განსაკუთრებით მჭიდროა იბერიისა და ალანების ურთიერთობა (იოსებ ფლავიუსი, ღიონ კასიუსი...). გზა სახელთა გავრცელებისა საეჭვო არ ჩანს.

ამრიგად, იბერიის წარჩინებულებს ძირითადად აღმოსავლური სახელები აქვთ. აქვთ რომაულიც, რაც ასახვას იმ ურთიერთობისა, რაც იბერიას ამ ქვეყნებთან ჰქონდა.

არმაზის ბილინგვას დიდი რეზონანსი ჰქონდა, გარდა საქართველოს პუბლიკაციებისა, მის შესახებ არის სტატიები: ნიბერგის, ტოდის, მეძვერისა.

პუბლიკაციია: გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა (ენიმიკის მოამბე, XIII). 1942 წ.

სტატიები: ს. ყაუხჩიშვილი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, აკად. მოამბე, II, № 1—2, 1941, გვ. 171 — 175.

ა. შანიძე, Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოაქსომოდლუარი — Θζονσμοδζγυαρ — и в древне-грузинском; აკადემიის მოამბე, II, 1—2. 1941. გვ. 181—187.

M. N. Tod. J. Rom. Stud. XXXIII, 1943, გვ. 80.

H. S. Nyberg. Quelques inscriptions antiques découvertes récemment en Géorgie (Ex Erano Rudbergiano qui est Erani vol. XLIV) Gotoburgi, 1946.

Bruce M. Metzger, A Greek and Aramaic inscription discovered at Armazi in Georgia, Journal of Near Eastern Studies, vol. XV. January. 1966, № 1 Chicago, Illinois. გვ. 18—26.

აბ. წ. I სს.-ების იბერიის სამეფო კარის ყოფასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ არმაზისხევეში მოპოვებული საბეჭდავები, რომლებზედაც შესაფერის გამოსახულებებთან ერთად არის ბერძნული წარწერებიც. სახელდობრ, ე. წ. ასპარუკის სამარხში 1940 წლის შემოდგომაზე აღმოჩნდა ოქროს ქამრის ბალთა, რომელშიც ჩასმულია აღმანდინის გემა ორი აღამიანის გამოსახულებით. გამოსახულებათაგან ანაბექლზე მარცხნივ არის კაცი, ხოლო მარჯვნივ ქალი, რომლებიც ერთმანეთს უყურებენ, ირგვლივ არის წარწერა: Ζεσάχης ζαή μου, Καρμά „ზევახი, ჩემი სიცოცხლე კარპაკი“ (კარპაკი ქალის სახელია, ზევახი კაცის).

როგორც ჩანს, საბეჭდავი კარპაკს ეკუთვნოდა თავის დროზე („კარპაკი“ ნეგატიურად არის ამოკვეთილი, დანარჩენი — პოზიტიურად).

საფიქრებელია, რომ ეს არის ცოლ-ქმრის გამოსახულება და ქალი თავის ქმარს ასეთი ეპითეტით მოიხსენიებს.

ნიბერგის განსაზღვრით სახელი კარპაკი პირველად ამ წარწერაში გვხვდება, მაგრამ იგი ირანული წარმოშობისაა (ნიშნავს „ლამაზს“, la belle) ¹.

ს. ჯანაშიას აზრით, ამ წარწერაში აღნიშნული ზევახი იგივე სე-რაფიტის მამა-ზევახია, კარპაკი — მისი მეუღლეა, ხოლო მათი ძე არის ასპარუკი ², რომლის სამარხშიც აღმოჩნდა ეს ნივთი და კიდევ მეორე, მამაკაცის ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჩასმულია სარდიონის ქვის გემა მამაკაცის ბიუსტის პროფილში გამოხატულებით

¹ დასახ. ნაშრომი, გვ. 231.

² საქართველოს ძველი ისტორიული ძეგლები: ვაზ. „კომუნისტი“, 1941, I.

და სამ მხარეზე ბერძნული წარწერით: ('Ασπασρινაζ πινδξης „ასპავრუცი პიტიახში“. ე. ი. პიტიახში (ანუ ერის მთავარი) ასპარუკის საბექდავია ეს ნივთი.

ამ მონაცემის მიხედვით ის ახ. წ. III ს.-ით თარიღდება, რასაც მხარს უქერს სახელის ფორმა ('Ασπασρινაζ ნაცვლად გაბერძნულებული 'Ασπασρινაζი-ისა) და ასოთა მოხაზულობა. ეს ნივთები გვამცნობს ქართველ ერისთავთა ოჯახის ახალ წევრებს (ასპავრუცი, კარპაკი) და მოწმობაა იმ ძალაუფლებისა, რაც პიტიახშებს ჰქონდათ. ამისი აღმნიშვნელია ისეთი ინსიგნიები, როგორიცაა საბექდავი და სხვა ნივთები, რაც აღნიშნულ სამარხში იქნა ნაპოვნი საბექდავებთან ერთად. ნიბერგი სახელს უეჭვოდ ირანულად მიიჩნევს (იქვე, გვ. 230—231).

ასპავრუკის სამარხის თანადროულ ქალის სამარხში ნაპოვნია ოქროს ბეჭედი ქალისა, შიგ ჩასმულია სარდიონის ვიწრო გრძელი თვალი, რომელზედაც არის მხოლოდ ბერძნული წარწერა, შესრულებული პოზიტიურად (და არა საბექდავად). წარწერაზე იკითხება Ζεσάχης—ზევახი.

როგორც ჩანს, დაახლ. II—III ს.-ში მცხოვრებ პიტიახშთა ქალს უტარებია ბეჭედი ასეთი წარწერით; ზევახი, უთუოდ, მისი მამა, ქმარი ან შვილი იქნებოდა, ნივთები მიჩნეულია ქართულ ნახელავად, ხოლო გამოსახულებები პორტრეტებად, ნივთები ინახება ასპართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში.

გარდა იმ ისტორიული მნიშვნელობისა, რაც აქვთ ამ ნივთებს და მასზე დატულ ბერძნულ წარწერებს, მათ ღირებულება აქვთ საკუთრივ ბერძნული ენის შესწავლის თვალსაზრისით, მაგ., ზევახის სახელის რამდენიმენაირი დაწერილობა (Ζησαχης, Ζεσαχης. Ζεσα-ჯიჯ) მასალას იძლევა ბერძნული ენის განვითარების ისტორიისათვის.

გამოცემები:

ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები — აკადემიის მოამბე, II, № 1—2. 1941. გვ. 169—170.

თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. 260—263.

მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლობტიკური ძეგლების კატალოგი, II, თბილისი, 1958. გვ. 263-264, I, 1955.

1940 წლის ნოემბერში არმაზისხევში, ე. წ. ბერსუმას სამარხში, რომელიც დაახლ. ახ. წ. III ს.-ის შუა წლებით თარიღდება, აღმოჩნ-

და ვერცხლის ლანგარი, რომელსაც ქუთაის ირგვლივ პუნქტირით ამოკრილი აქვს ბერძნული წარწერა: 'Εγώ βασιλεύς ΦΑ (ασις) Δά-
δης ἔχαρισάμην Βερσοῦμαξ πιαδέῃ „მე მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუ-
ქე ბერსუმა პიტიახშს“ (იგულისხმება—ეს ლანგარი).

„ბერსუმა პიტიახშის“ ქვემოთ ამოკაწრულია სხვა ხელით, დაუ-
დევრად და მკრთალად Μαχεδόνι „მაკედონს“.

ქუთაისის შუაში არის ამონაკაწრი ნიშნები, ჯერჯერობით დაუდ-
გენელი. პ. ინგოროყვას ისინი ქართულად მიაჩნია და კითხულობს:
„ბერცუმ პიტიახში ქართლისაჲ“ ან „ბერცუმ პიტიახში ქარძამის
ძმ“¹. ეს მოსაზრება ჯერჯერობით ჰიპოთეზის უფლებას არის, მით-
უმეტეს, რომ ასოთა მიმსგავსება ბევრი ენის ასოებთან შეიძლება,
ძირითადი, საგულდაგულოდ შესრულებული წარწერის შესახებ
უნდა ითქვას, რომ ის ან II ს.-ის მიწურულის ან III ს.-ის დასაწ-
ყისაა; საინტერესოა პიროვნებები, რომლებიც მასში იხსენიებიან:
ნივთის მბოძებელი არის მეფე ფლავიუს დადესი, ალბათ იბერიის
მეფე, ნივთის მფლობელია ბერსუმა პიტიახში. დადესი გავრცელე-
ბული სახელია (სხვადასხვა ვარიანტული ფორმით Δαδῆς, Δαδῆς,
Δαδῆς) სხვაგან რომ არ დავასახელოთ, შავი ზღვის ჩრდილო სა-
ნაპიროზე; იგი სპეციალისტებს ძირითადად ირანულად მიაჩნიათ
(თუმცა Boeck-ი მას ბერძნულად აცხადებდა, ხოლო ს. ყაუხჩი-
შვილი ქართულს უკავშირდება — ბალდადი...²). რაც შეეხება იმა-
ვე პირის მეორე სახელს, „ფლავიუსს“, ის რომელია, განსაკუთ-
რებით ამ დინასტიის (ე. ი. ფლავიუსების, ე. ი. 70—96 წწ.) დროი-
დან მას აკუთვნებდნენ ამ გვარის პატივისცემელ და მისგან დავა-
ლებულ პირებს.

ეს ორმაგი სახელი — ფლავიუს დადესი — მოწმობაა იმ ურთი-
ერთობისა, რაც იყო რომსა და იბერიას შორის, თუ ფლავიუსთა
გვარის პატივისცემის ნიშნად არ ჰქვია ქართველ მეფეს ფლავიუსი,
ეს იმის აღმნიშვნელიცაა, რომ მისთვის ეს სახელი კარგად არის
ცნობილი.

პიტიახშის სახელი, ბერსუმა ქართული სინამდვილისათვის ამ
წარწერამდე უცნობი იყო. როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები,

¹ ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, ენიშის მოამბე, X,
1941, გვ. 411—417.

² არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, აკად. მოამბე, II, 1941,
გვ. 170—171.

იგი სირიულია და ნიშნავს — „ძე მმარხველისა“¹, ამრიგად, კიდევ ერთ ქართულ პიტიახშს ჰქვია არაქართული (ამჯერად სირიული) სახელი. ეს მოწმობაა იმისა, რომ საქართველოს, კერძოდ იბერიას ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან.

ამოკაწრული სიტყვა — „მაკედონს“ (Μακεδων-ის ან Μακεδόνι-ის მიც. ბრუნვაა Μακεδόνι) ცოტა გვირთულებს აშბავს. ისმის საკითხი — ეს „მაკედონი“ ვინაა? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნივთი, როგორც მიეძღვნა ბერსუმას, ასევე მიეძღვნა მაკედონსაც, ან ხომ არაა „მაკედონი“ მეორე სახელი, ბერსუმასათვის? მართალია, მაკედონი სხვა ხელით სწერია და ძირითადი წარწერა კიდევ სხვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვადასხვა დროისა არიან. ბერძნულ ეპიგრაფიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც თანადროული წარწერები სრულიად სხვადასხვა მანერით არიან შესრულებული, სხვადასხვა სტილისანი არიან. ნივთი ადგილობრივი ხელობისაა².

იბერიის პიტიახშის სახელი გვხვდება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალიონთა განყოფილებაში დაცულ ერთ ბექედ-ზედაც — ბექედს თვალი წარმოადგენს გემას, რომელზედაც ამოკვეთილია მამაკაცის პროფილი და ირგვლივ არის ბერძნული წარწერა: Οὐσαδ πειδένης Ἰβήρων ἀρχηγόν — მისი თარგმანია: „უშა პიტიახში კარქედთა იბერთა“, ერთია უდავო, რომ ნივთი ჩვენი სამყაროდან არის და ენათესავენა ქართველი პიტიახშების სამარხებში აღმოჩენილ ნივთებსა და წარწერებს.

ამ წარწერასთან დაკავშირებით ბევრი სხვადასხვა აზრია გამოთქმული. რადგან ჩემთვის ძნელია მის შესახებ გარკვეული მოსაზრების წამოყენება, ამიტომ დავკმაყოფილდები იმით, რაც ლიტერატურაში გვაქვს ამ საკითხთან დაკავშირებით. პ. პეტერსი იძლევა მის ასეთ თარგმანს: „აშუშა პიტიახში კოლხელი იბერებისა“ (Analecta Bollandiana, t, 53, fasc, III—IV, p. p. 274—276. 1935 წ.).

პ. ინგროსოცა წარწერას ასე გვიხსნის: „უშა პიტიახში იბერთა — კარქედისა“ (ე. ი. კლდეკარის პიტიახში, წინაქრისტიანული ხანის მოღვაწე): მუზეუმის მონაბე, XI—B. 1941, გვ. 297—298, „ძველი ქართული მატრიანე — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის

¹ ნი ბ ე რ გ ი, იქვე, გვ. 231—232. გ. წერეთელი, არმაზის წარწერები და ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემა, 1948.

² შ. ა შ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართ. ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 82, მცხეთა, I, 1955, გვ. 52—54.

